1977/2

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მნათობი

10

1977

ეროვნული ბიბლიოთეკა



სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მნათობი

ყოველთვიური ლიტერატურულ-მხატვრული
და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

წელიწადი 54-ე | № 10 | ოქტომბერი, 1977 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

## შინაარსი

თავისუფლების დიადი ქარტია . . . . . . . . . . . . . 3
ხუტა ბერულავა — თბილისის თანამგზავრი. საოქტომბრო პოემა . . . . 7
გიორგი სანადირაძე — ოქტომბრის პირმშო. ნარკვევი . . . . . . 26

ჩვენი სტუმარია ლიტვური ჟურნალი „პერგალე“

ი. მაციავიჩიუსი — ორიოდე სიტყვა ჩვენს ჟურნალზე . . . . . . 37
ე. მეჟელაიტისი — უძილობა. ლექსი. თარგმნა თ. ბექიშვილმა . . . . . 40
ა. ბალტაკისი — მოპატიჟება. ლექსი. თარგმნა თ. ბექიშვილმა . . . . . 40
ი. მაციავიჩიუსი — ცეცხლმოკიდებულ მიწაზე. ლექსი. თარგმ. ბ. ხარანაულმა . 41
ი. მარცინკიავიჩიუსი — ლექსი. თარგმ. ბ. ხარანაულმა . . . . . . . 42
ა პოციუსი — ციცინათელა. მოთხრობა. თარგმნა დალი გოგეშვილი-იოდიშიენემ 43
ვ. რიმკიავიჩუსი — ოციდან ორმოცამდე. მოთხრობა. თარგმ. დალი გოგეშვილი-იოდიშიენემ . . . . . . . . . . . . . 47

კოლაუ ნადირაძე — ლექსი . . . . . . . . . . . . 51
ოთარ ჭელიძე — ლექსები . . . . . . . . . . . . 53
ოთარ შალამბერიძე — ლექსები . . . . . . . . . . 55
ციალა არდაშელია — სინანული. მოთხრობა . . . . . . . . 58
რამაზ კობიძე — გვიმრის ფოთლები. რომანი. გაგრძელება . . . . . 73
ალი ისაევ-ავარსკი — ლექსი. ავარიულიდან თარგმნა ოთარ შალამბერიძემ . . 109
ვალერიან კანდელაკი — გრძელი დღე. პიესა . . . . . . . . . 111

კრიტიკა და პუბლიცისტიკა

სერგი ჭილაია — ოქტომბერი და ქართული მწერლობა. გაგრძელება . . . 142
დავით ფანჩულიძე — ოქტომბრის რევოლუცია და ფრანგული მწერლობა . 160
დავით მაისურაძე — ოქტომბერი და სოციალური პროგრესი . . . . 171
კორნელი კინწურაშვილი — პეტერბურგის ქართველოლოგიის სკოლა . . 182
ილია ანთელავა — გიორგი სააკაძის უკანასკნელი დღეების შესახებ ოსმალეთში . . . . . . . . . . . . . . 189

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მთავარი რედაქტორი გიორგი ნატროშვილი

სარედაქციო კოლეგია:

ი. აბაშიძე, რ. ამაშუკელი (მთ. რედ. მოადგილე), ხ. ბერულავა, ო. გიგინეიშვილი, მ. ლებანიძე, ლ. მრელაშვილი, ა. სულაკაური, ა. ქუთათელი, ს. შანშიაშვილი, დ. შენგელაია, ნ. წულეისკირი, ვ. წულუკიძე, ო. ჭილაძე, გ. ხარანაული, რ. ჯაფარიძე, ბ. ჯიბლაძე.

ტექრედაქტორი რ. ჩაკვეტაძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 12.

ტელეფონები: რედაქტორის — 93-55-11.
პ/მგ. მდივნის — 93-55-18, განყოფილებების — 93-55-15, 93-55-17, 93-55-20.

© საქ. ცკ-ის გამომცემლობა, 1977.

გადაეცა ასაწყობად 6/IX-77 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 20/X-77 წ., ანაწყობის ზომა $7^1/_4 \times 12$, ქაღალდის ფორმატი $70 \times 108^1/_{16}$, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 12, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 13, სააღრ.-საგამომცემლო თაბახი 16,58.
უე 08918. ტირაჟი 13.900. შეკვ. 2746
საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა,
თბილისი, ლენინის ქ. № 14.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# თავისუფლების დიადი ქარტია

წლევანდელი 4 ოქტომბერი განსაკუთრებული ძალით, წარუშლელად აღიბეჭდება ყოველი საბჭოთა მოქალაქის გულში; მილიონობით ადამიანის თვალი მიპყრობილი იყო ცისფერი ეკრანისაკენ, საზეიმოდ მორთულ-მოკაზმული წითელი მოედნისაკენ, სადაც ქარი არხევდა თხუთმეტი მოძმე რესპუბლიკის ალისფერ დროშებს, და მათ შორის ლაღად ირხეოდა ჩვენი რესპუბლიკის — საბჭოთა საქართველოს დროშა; უხაროდა მთელ წითელ მოედანს, მთელ საბჭოეთს, მთელ მოწინავე კაცობრიობას.

უჩვეულო მღელვარება ეუფლება ადამიანს, როცა იგი მოსკოვის წითელ მოედანზე შესდგამს ფეხს. ეს გასაგებიც არის. აქ მართლაც მთელი არსებით, მთელი გულით გრძნობ კაცობრიობის ახალი ისტორიის მაჯისცემას, გრძნობ სიდიადეს ახალი ეპოქისა, რომელიც დაიწყო ათასცხრაას ჩვიდმეტ წელს და რომელმაც ცოცხალ სინამდვილედ აქცია ადამიანებისა და ერების საუკუნოვანი ოცნება თავისუფლებასა და ბედნიერებაზე. წითელ მოედანზე, ყოველ ნაბიჯზე გრძნობ, რომ დადიხარ წმინდა მიწაზე; იქ, მავზოლეუმში მარადი ძილით სძინავს ადამიანს, ვინც წალმა შეატრიალა ისტორიის ჩარხი და ხალხებს თავისუფლების გაზაფხული გაუთენა; მის სახელს, დიდი ლენინის სახელს — უღრმესი სიყვარულის გრძნობით წარმოსთქვამს ყველა პატიოსანი ადამიანი, სადაც არ უნდა ცხოვრობდეს ის და რა ეროვნებასაც უნდა ეკუთვნოდეს.

შემდეგ, ცისფერმა ეკრანმა წითელ მოედნიდან კრემლის ყრილობათა დარბაზში გადაგვიყვანა. ჩვენ შევცქეროდით როგორ დაიწყო ზღვა ხალხის ტაშის გრიალში სსრ კავშირის მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე მეშვიდე სესია. „უმაღლესი საბჭოს ახლანდელი სესიის წინაშე დგას ამოცანა, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, ისტორიული ამოცანა, — აღნიშნა თავის მოხსენებაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ, საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარემ ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევმა, — მიიღოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ახალი კონსტიტუცია.

ჩვენ ახალ კონსტიტუციას დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავის წინ ვიღებთ. ეს ქვეყნის ცხოვრების ორი უდიდესი მოვლენის უბრალო ქრონოლოგიური დამთხვევა როდია. მათ შორის გაცილებით უფრო ღრმა კავშირია. ახალი კონსტიტუცია, შეიძლება ითქვას, საბჭოთა სახელმწიფოს მთელი სამოცი წლის განვითარების კონცენტრირებული შედეგია. იგი ნათლად მოწმობს, რომ წარმატებით ხორციელდება ოქტომბრის მიერ გამოცხადებული იდეები, ლენინის ანდერძი.

ახალ კონსტიტუციას სამართლიანად უწოდებენ განვითარებული სოციალისტური საზოგადოების ცხოვრების კანონს, — განაგრძობდა ამხანაგი ბრეჟნევი — სწორედ ასეთი საზოგადოებაა შექმნილი საბჭოთა კავშირში. სწორედ ასეთი — განვითარებული, მომწიფებული სოციალისტური საზოგადოება წარმატებით იქმნება სოციალისტური თანამეგობრობის მთელ რიგ სხვა ქვეყნებშიც. და ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ კარგად წარმოვიდგინოთ მისი დამახასიათებელი თავისებურებანი, მისი ადგილი კომუნისტური ფორმაციის ჩამოყალიბების ისტორიულ პროცესში“.

სსრ კავშირის ახალი კონსტიტუცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის, მისი

პოლიტბიუროს, ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის უშუალო ხელმძღვანელობითა და აქტიური მონაწილეობით მზადდებოდა. ჩვენი ძირითადი კანონი იმ ღრმა ცვლილებათა ყოველმხრივი გაანალიზებისა და განზოგადების შედეგია, რომლებიც საბჭოთა საზოგადოებაში მოხდა წინა კონსტიტუციის მიღების შემდეგ, 40 წლის მანძილზე, საბჭოთა კავშირისა და სოციალიზმის სხვა ქვეყნების კონსტიტუციური გამოცდილების შედეგია.

კონსტიტუცია შეიცავს დიდმნიშვნელოვან მუხლს იმის შესახებ, რომ საბჭოთა საზოგადოების ხელმძღვანელი და წარმმართველი ძალა არის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია; პარტია არსებობს ხალხისათვის და ემსახურება ხალხს. კონსტიტუციაში ასახულია საბჭოთა ხალხების ძლევამოსილი ოჯახის განუხრელი წინმსვლელობა ნათელი კომუნისტური მომავლისაკენ. ხალხთა ამ დიადი და ისტორიაში მანამდე არნახული კავშირის მთელი სიდიადის, სიმტკიცისა და ერთიანობის, სიბრძნისა და სიკეთის შესანიშნავი და მართალი გამოხატულებაა, უზუსტესი სარკეა ჩვენი ახალი კონსტიტუცია. ეს არის განუზომელი მნიშვნელობის დოკუმენტი —მის სტრიქონებში ლაპარაკობს ხალხთა ისტორია და აწმყო, მის სტრიქონებში ნათლად ასახულია ოქტომბრის მსოფლიო ისტორიული მონაპოვრები, ჩვენი ხალხის გამარჯვებანი ყველა უბანზე: მასში მოცემულია გამარჯვებული სოციალიზმის პოლიტიკის, ეკონომიკისა და კულტურის მთლიანი სურათი; ყოველი სტრიქონი, ყოველი წინადადება აქ გამსჭვალულია ლენინური სიბრძნით, ლენინური ზრუნვით ხალხის ინტერესებზე.

კონსტიტუცია შეიცავს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა უაღრესად ფართო სპექტრს: ეს არის შრომის, დასვენების, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალურ უზრუნველყოფის, განათლების, კულტურის მიღწევების გამოყენების, მეცნიერული, ტექნიკური და მხატვრული შემოქმედების თავისუფლების უფლებები. ხალხის ინტერესების შესაბამისად და სოციალისტური წყობილების განმტკიცება-განვითარების მიზნით სსრ კავშირის მოქალაქეებს გარანტირებული აქვთ სიტყვის, ბეჭდვითი სიტყვის, კრებების, მიტინგების, ქუჩაში მსვლელობისა და დემონსტრაციების თავისუფლება. ამ პოლიტიკურ თავისუფლებათა განხორციელებას უზრუნველყოფს მშრომელებისა და მათი ორგანიზაციებისათვის საზოგადოებრივი შენობების, ქუჩებისა და მოედნების დათმობა, ინფორმაციის ფართო გავრცელება, პრესის, ტელევიზიისა და რადიოს გამოყენების შესაძლებლობა.

რომელ მუხლს დაჰხედავ, რომელ სტრიქონს ჩაიკითხავ, რომ თვალებში სიხარული არ გაბრწყინდეს, გულმა სიხარულით არ დაიწყოს ძგერა! აქ ყველაფერი, ყოველი სიტყვა დიდ სახალხო ბედნიერებაზე მეტყველებს; აი, მაგალითად, მუხლი 42: „სსრ კავშირის მოქალაქეებს აქვთ ჯანმრთელობის დაცვის უფლება“... ეს იმას ნიშნავს, რომ მაღალკვალიფიციური სამედიცინო დახმარება უფასოა, რომ მოქალაქეთა ჯანმრთელობაზე დღედაღამ ზრუნავს მედიცინის მუშაკთა უზარმაზარი არმია, რომ აკრძალულია ბავშვთა შრომა, რომელიც დაკავშირებული არ იქნება სწავლასა და შრომით აღზრდასთან, რომ სახელმწიფო ზრუნავს თავის მოქალაქის დღეგრძელობაზე, იმაზე, რომ ადამიანმა რაც შეიძლება უფრო მეტად გაიხანგრძლივოს ეს წუთისოფელი... კონსტიტუციის საყოველთაო-სახალხო განხილვის დღეებში პრესაში აუარებელი წერილები ქვეყნდებოდა, რომლებშიც ხალხი გამოსთქვამდა უღრმეს და უსაზღვრო მადლობას საბჭოთა სახელმწიფოსადმი, კომუნისტური პარტიისადმი, რომელთაც ასეთი შესანიშნავი სამედიცინო კადრები აღზარდეს, ასეთი შესანიშნავი საავადმყოფოები მოაწყვეს. ერთმა მშრომელმა იმ დღეებში ასეთი წერილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაუგზავნა რედაქციას: „სულ შვიდი წლისაა ჩვენი პატარა ანდრია, და რამდენი თეთრხალათიანი კაცი და ქალი დასტრიალებდა თავს, როცა ის ავად გახდა. უვლიდნენ უანგაროდ, როგორც თავიანთ ღვიძლს შვილს... სხვაგვარად არ შეიძლება ხდებოდეს ჩვენს ქვეყანაში! არ ვიცით რით ვუპასუხოთ ამ მადლსა და სიკეთეს! რა უმნიშვნელო სიტყვაა „გმადლობთ!" განა მას შეუძლია გამოხატოს ყველაფერი, რასაც ადამიანი განიცდის".

უბრალო წერილია, უბრალო სიტყვები, მაგრამ საოცრად გულის შემძვრელი, საოცრად ამაღელვებელი! ბოლოს და ბოლოს, მარტო ფულში როდია საქმე! ვერავითარი ფული, ვერავითარი თანხა ვერ დააფასებს, ვერ გაზომავს ამ განუზომელ სიკეთეს, იმ ფასდაუდებელ მონაპოვარს, რომელიც ოქტომბერმა მოგვიტანა და ჩვენმა კონსტიტუციამ აღბეჭდა თავის ბრძნულ სტრიქონებში!

„უნდა ვიოცნებოთ!" — წერდა ლენინი 1901 წლის შემოდგომაზე თავის წიგნში „რა ვაკეთოთ?". უნდა ვიოცნებოთ და თან დაუცხრომლად ვიმუშაოთ და ვიბრძოლოთ, რათა ეს ოცნებანი ცოცხალ საქმედ იქცეს, — გვასწავლიდა იგი. კონსტიტუციის ყოველ მუხლში ლენინის ოცნება, ლენინის ჩანაფიქრი, ლენინური წინასწარდასახულება ჩანს. ჩვენ ზემოთ კონსტიტუციის 42-ე მუხლზე ვლაპარაკობდით; ეს მუხლი ჯანმრთელობის დაცვას ეხება, ბავშვთა შრომის აკრძალვას, წარმოებაში უსაფრთხოების ტექნიკას და საწარმოო სანიტარიის განვითარებას, ფართო პროფილაქტიკურ ღონისძიებებს. და აი, კონსტიტუციის მუხლი, რომელიც 1977 წლის ოქტომბერში დაამტკიცა საბჭოთა ქვეყნის პარლამენტმა, ლენინს გათვალისწინებული ჰქონდა 1903 წელს, როცა იგი ადგენდა რუსეთის სოციალურ-დემოკრატიული პარტიის პირველ პროგრამას და მასში ითვალისწინებდა რვა საათის სამუშაო დღეს, ბავშვთა შრომის აკრძალვას, წარმოებებში ბავშვთა ბაგების მოწყობას, მუშათა სიცოცხლის დაზღვევას, წარმოებებში სანიტარულ ზედამხედველობას. ეს მარტო ოცნება არ იყო, ეს იყო საბრძოლო პროგრამა! ოქტომბრის პირველი დღეებიდანვე ზრუნვა მშრომელთა ჯანმრთელობაზე გამოცხადებული იქნა სოციალისტური სახელმწიფოს უმნიშვნელოვანეს ამოცანად. გავიხსენოთ რა პირობები იყო მაშინ: რესპუბლიკას ესეოდა გარეშე და შინაური მტერი, დანგრეული იყო მეურნეობა, იყო შიმშილი, მძვინვარებდა ეპიდემია და აი, ამ მძიმე პირობებში იქმნებოდა მსოფლიოში პირველი, მანამდე არნახული სახელმწიფოებრივი სისტემა ჯანმრთელობის დაცვისა, რომელსაც საფუძვლად ედებოდა ჰუმანიზმისა და კაცთმოყვარეობის ყველაზე მაღალი, ყველაზე კეთილშობილური პრინციპები. საბჭოთა სახელმწიფოს პოლიტიკა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში ნათლად განისაზღვრა პარტიის მეორე პროგრამაში, რომელიც მიღებულ იქნა 1919 წელს, კომუნისტური პარტიის მე-8 ყრილობაზე.

ჩვენ აქ ისტორიას როდი ვწერთ, ჩვენ მხოლოდ აი რის თქმა გვინდა: კონსტიტუციას რომ ჰკითხულობ, ფიქრში შენს თვალწინ ცოცხლდება რევოლუციური ბრძოლის მთელი ისტორია, ვგრძნობთ კაცობრიობის ზეაღმავალ განვითარებას, ვგრძნობთ ხალხთა ცხოვრების მაჯისცემას; და კვლავ ვიმეორებთ: რა მუხლს აიღებ, რომ ლენინის რომელიმე დეკრეტი, რომელიმე წერილი არ გაგახსენდეთ! ეს ისტორიის ლოგიკაა, დიდხანს მოდიოდა აქეთ, ჩვენი დღეებისაკენ მოწინავე კაცობრიობის აზრი, რათა ქცეულიყო საქმედ, სინამდვილედ, სოციალიზმად.

ეს ჩვენ უკვე ვნახეთ ჯანმრთელობის დაცვის მაგალითზე. ახლა ავიღოთ სულ სხვა სფერო — ლიტერატურის სფერო, რომელიც ერთი შეხედვით თითქოს შორსა დგას „ცოდვილი მიწისაგან", მაგრამ სინამდვილეში ის მუდამ, ყოველ ეპოქაში იყო უაღრესად აქტიური მოწინავე იმ იერიშისა, დინაგრულ

ეროვნული

კლასების მჩაგვრელებზე რომ მიჰქონდათ, იმ ბრძოლისა, დამონებული ერები და ხალხები დიდი იმპერიების დასამხობად რომ აწარმოებდნენ; ლიტერატურას ამ მხრივ ძლიერ დიდი დამსახურება მიუძღვის განთავისუფლებული ხალხების წინაშე; და აი, დადგა დრო, როცა მხატვრულ ლიტერატურას, მედიცინის გვერდით, სახალხო განათლების სისტემის გვერდით, საერთოდ მეცნიერების გვერდით, კონსტიტუციაში ეთმობა სათანადო და საპატიო ადგილი, და ეს ხდება პირველად ისტორიაში, დაწყებული იმ დღიდან, რაც კონსტიტუციები არსებობენ ქვეყნად. უდიდესი სიამაყის გრძნობა აღავსებს ყოველი საბჭოთა მწერლის გულს, როცა მის შრომას ესოდენ დიდი პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა ენიჭება. სსრ კავშირის რიგგარეშე სესიაზე თავის ინფორმაციაში სარედაქციო კომისიის მუშაობის შედეგების შესახებ ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა განაცხადა:

„დეპუტატების ა. ბ. ჩაკოვსკისა და რ. გ. გამზატოვის გამოსვლებში გამოითქვა სურვილი, რომ რამდენადმე უფრო ფართოდ გავაშუქოთ საბჭოთა მოქალაქეების მიერ კულტურის მიღწევების გამოყენებისა და შემოქმედების თავისუფლების უფლება. მწერლები გვთავაზობენ აღვნიშნოთ, რომ ამ უფლებას უზრუნველყოფს ტელევიზიისა და რადიოს, წიგნის გამოცემის საქმისა და პერიოდული პრესის, უფასო ბიბლიოთეკების ქსელის განვითარება, და განსაკუთრებით შევეხოთ ლიტერატურის როლს. ასეთი დაზუსტებანი სწორად მიგვაჩნია.

ამ წინადადებებს ეხმაურება დეპუტატ მ. ტ. ამანტაევას — ყაზახეთიდან წარმოგზავნილი მასწავლებლის სურვილიც — კონსტიტუციაში ჩავწეროთ, რომ სულიერი ღირებულებანი გამოყენებულ უნდა იქნეს საბჭოთა ადამიანების ზნეობრივი და ესთეტიკური აღზრდისათვის. ამ წინადადებათა შეტანა კონსტიტუციაში უფრო სრულად გვიჩვენებს სახელმწიფოს ამოცანებს კულტურის და მშრომელთა კომუნისტური აღზრდის დარგში“.

ყოველივე ამან ნათელი გამოხატულება ჰპოვა ახალი კონსტიტუციის ტექსტში, რომელშიაც აღნიშნულია, რომ სსრ კავშირის მოქალაქეებს კომუნისტური მშენებლობის მიზნების შესაბამისად გარანტირებული აქვთ მხატვრული შემოქმედების თავისუფლება. ამას უზრუნველყოფს ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარება, სახელმწიფო ჰქმნის საამისოდ საჭირო მატერიალურ პირობებს, მხარს უჭერს შემოქმედებით კავშირებს და ავტორთა უფლებებსაც სახელმწიფო იცავს.

შემოქმედებითი თავისუფლება — ეს არის უდიდესი მონაპოვარი განვითარებული სოციალიზმისა და ეს არის, იმავე დროს, ლენინის ანდერძის განხორციელება. ჯერ ისევ 1905 წელს თავის შესანიშნავ წერილში „პარტიული ორგანიზაცია და პარტიული ლიტერატურა“ ლენინი წერდა მომავლის ხელოვნების და ლიტერატურის შესახებ:

„ეს იქნა თავისუფალი ლიტერატურა, თავისუფალი იმიტომ, რომ არა ანგარება და არა კარიერა, არამედ სოციალიზმის იდეა და მშრომელებისადმი თანაგრძნობა მიიზიდავს ახალ-ახალ ძალებს მის რიგებში“.

ასე შესანიშნავად, ასე ბრწყინვალედ ეხმაურება ჩვენი ისტორია, ჩვენსავე აწმყოს და მომავალს, ასე ეხმაურება 1905 წელი 1917-სა და 1977 წლებს — ისინი ჰქმნიან განუყრელ დიალექტიკურ მთლიანობას, და ამას ეწოდება კაცობრიობის ისტორიის ზეაღმავალი განვითარება.

სსრ კავშირის ახალი კონსტიტუცია — განვითარებული სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის ეპოქის დიადი მანიფესტია, ეს არის ჩვენი წინსვლისა და გამარჯვების ბრწყინვალე ნიშანსვეტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხუტა ბერულავა

# თბილისის თანამგზავრი

## საოქტომბრო პოემა*

### კარი პირველი

### წინათქმა

...ცეცხლი თავისით არ დაინთება!
კმარა ლოდინი და გარინდება:
დროა ვეწვიო ვანო თელიას
და მის ძმობილებს — რუსთავის მკვიდრებს,
ვიდრე ვახსოვართ და მომელიან,
როგორც დაკარგულ მეგობარს. ვიდრე...

ვთქვი და რუსთავმა გამიღო კარი:
— აგერ შენა და აჰანდე მტკვარი!
რა იშვიათად გვიხსენებ ხოლმე,
თითქოს არა გრძნობ ფოლადის ძახილს.
შენი გმირები ჩამოსვლას გთხოვენ
და იგვიანებ... რას იტყვის ხალხი...

შუა ქუჩაში ავყვირდი ლამის:
— თავად არ ვიცი მიზეზი ამის.
სიტყვა კერპია ქალის გულივით,
ზამთრის ხილივით მწიფდება გვიან,
სიცოცხლეს იწყებს მძაფრი დუმილით
და ამ დუმილსაც სიმღერა ჰქვიან...

ვდუმდი და შენზე თქმულებას ვჭედდი,
დღეს კი მაუწყე თელიას ბედი,
შენ ხომ იმ ბიჭის ტოლთა და ძმათა
დიდი ცხოვრების ხარ მონაწილე,
ხომ შეაშველე მზრუნველი კალთა
ვოლგის ქალაქში ნაწრთობ ყმაწვილებს?!

---

* „რუსული გულის“ მეორე წიგნი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსთავმა თავი დამიკრა უმალ,
როგორც ახლობელს და არა სტუმარს:
— მოდი, ეძიე თავდავიწყებით,
მაგრამ შენ უნდა გახსოვდეს უკეთ,
იმდროინდელი ძმადნაფიცები
რომ სიყმაწვილეს დაშორდნენ უკვე...

მე გამეცინა მაშინ ბავშვურად
და ისე მწარედ გამიტყლაშუნა
დიდი მასპინძლის აზრმა მართალმა,
რომ გამოქცევას დამაკლდა ცოტა,
იგრძნო, მესროლა და გამათავა:
— აქ დადიოდა უკვდავი შოთა!

მითქვამს და მორჩა, ირცა რას ვნანობ.
დამიდასტურებს თამამად ვანო
და ყველა, ვისაც თავიდან ეძებ.
მაშ, გაიხსენე კვლავ სიჭაბუკე,
ნაცნობებს შეხვდი, უცნობებს ეძმე
და რიხიანი წიგნი მაჩუქე.

ჩასწერე ჩვენი კარგიც და ავიც...
რაღა მეთქმოდა, დავხარე თავი.
განა რუსთავი იმზობდა ასე, —
მე ვკამათობდი საკუთარ თავთან
და ეს კამათი ნაწვიმარ გზაზე
დასტურ, კოსმოსში გაფრენას ჰგავდა!

## კარი მეღრე

## ვანო თელია

თითქოს დავშორდით ერთმანეთს გუშინ,
თითქოს ვოლგასთან ვდგავართ ისევე, —
რაიც დარჩა და ელვარებს გულში
ყველაფერს ერთად რა გაიხსენებს!

წლები გასულან... მერე რამდენი...
წლები კი არა ქარიშხლებია!
არ ბერდებიან მეფოლადენი,
ცეცხლთან ბრძოლაში არ იღლებიან.

მეც იმ ფოლადის რაზმის წევრი ვარ,
მეც მათთანა ვარ ჭირში და ლხინში.
არცა მოწყენის განცდა მწვევია,
არც დაღლილობის იჭვი და შიში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როცა რუსთავის დილა იღვიძებს,
დიდი ქარხნისკენ მიმიხარია.
ჩემი ღუმელიც მშვიდად გიზგიზებს,
ოსტატად რომ მთვლის დიდიხანია.

შევეთვისე და შევესისხლხორცე
ქალაქს, ძმობის და ფოლადის ქალაქს.
ასე მგონია, ჩემი სიცოცხლე
მას უორკეცებს ოცნების ძალის.

ასე მგონია, უამქალაქოდ,
ვით უჰაეროდ, არ შემიძლია!
ვარსკვლავიც, მასთან თუ ლაპარაკობს,
ჩემი და არის, ჩემი ღვიძლია!

აქ ცხოვრობს თითქმის ორმოცი ერი
და ყველა ქართულ მიწა-წყალს ჰფიცავს.
რუსთავი ორმოც ენაზე მღერის
და ისე ხვდება ამოსვლას მზისას.

ის მზე თანაბრად გვინათებს ციდან,
ყველას გვიღიმის ერთიან, სათნოდ.
თანაბრად გვცივა, როდესაც გვცივა
და... სიხარულით ერთმანეთს ვათბობთ.

მწამს, ვინც რუსთავის ღირსი მკვიდრია,
და მძულს, ვინც არის ქვეყნის ურგები.
ძმას გულში ცეცხლი რომ უკიდია,
იმ ცეცხლის ალში მეც ვიბუგები...

თითქოს ვხედავდით ერთმანეთს გუშინ,
თითქოს ვოლგასთან ვდგავართ ისევე...
ყველაფერს, რაიც ელვარებს გულში,
ვიხსენებ, მაგრამ რა გაიხსენებს!

## კარი მესამე

## ძმადნაფიცები და წიკლაური

ყველა, ვინც იყო ვოლგაზე ჩვენთან,
თანდათანობით აქ დაბანაკდა,
და მხოლოდ გაბრომ ვერ სძლია სევდა
კლდეთა, ღრუბელთა, ცათა, ქარაფთა.

ვისაც უხილავს რიჟრაჟი მთაში,
სხივებს რომ იკრებს ანდამატივით,

კლდეზე შველივით მფრინავი ვაჟი,
რომკის ჩანჩქერი ანდა შატილი, —

იგრძნობს იგი და გაბროს გაუგებს,
როგორც მოძღვარი წმინდა ბუნების,
რად მიუბრუნდა ნაცნობ ჭაუხებს
შთამომავალი წიკლაურების;

იგრძნობს, გაუგებს და არ დაძრახავს
რადღა უარყო რკინის ხელობა,
როდის და რატომ ვერ გადალახა
მთათა მაღალთა მიმზიდველობა!

ლექსად გვიგზავნის ჩვეულ ბარათებს
და ძმადნაფიცებს გვარწმუნებს ბარში:
„როცა ხევსური მთებს უღალატებს,
მოეწყინებათ ირმებსაც მაშინ!

არ მესმის, თუმცა გულდიად ვნანობ,
ჩვენები ქალაქს რად აწყდებიან?
მთები უხალხო, უიავნანო,
განა მთებია? რაღა მთებია!

ხუთასი სახლი რომ ალვაშენო,
რკინა-ბეტონზე მდგარი და.., მყარი,
მერე განაგრძოს ბორგვა გარშემო,
რაღას დაგვაკლებს ტიალი ქარი!

ხუთასი სახლი... ხევსურთა ნატვრა
და ჩემი ნატვრა მხოლოდ ეს არი!
ფიქრით კლდეებზე ამ სახლებს ვხატავ
თქვენი ძმობილი და ნათესავი!“

გაბრო წიკლაურს ეთანხმებიან
კოლხეთს გაზრდილი კაცის ფიქრებიც:
— თუკი ხევსურნი ვერ დადგებიან,
ხევსურეთი ხომ აღარ იქნების?

არა ღრუბლებს და არა ქარწვიმებს,
ხევსურს ეკუთვნის მთების ნათელი,
საკუთარ სულსაც გაუნაწილებს
მის აღზევებას ყველა ქართველი!

დედა-თბილისს და თანამგზავრს მისას
რამ დაავიწყოს არწივთა ბუდე,
რომელსაც ლოცავს მშობელი მიწა,
რომელსაც მკერდში ფოლადი უდევს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეჰ, გაბრო, გაბრო! როგორ მახარებს
მისი სახელის ხშირი ხსენება!
ჩვენი ბიჭები როცა მნახავენ,
მასზე ვსაუბრობთ და გვეჩვენება,

რომ უმისობა დაღივით აზის
ვოლგისპირეთში ნაწრთობ გვარდიას.
გულში ბინადრობს ნაღველი ნაზი
და ყველა ჩვენგანს გაბროს დარდი აქვს...

### კარი მეოთხე

## მაშა — მარიკა... და დედაჩემი

ბებია! მისი ძალა, სიმხნევე,
როგორც ყრმობისას დღესაც მაოცებს
და ვეფერები ნაზად იმ ხელებს,
მის გამხდარ ხელებს, თმებს და ნაოჭებს.

როდესაც მაშას ფოტოსურათი
ვაჩუქე ერთხელ საფიცარ გამზრდელს,
მისმა წარწერამ შესძრა გულამდის,
გადამეხვია და მითხრა ასე:

— სასაყვედურო, რა უნდა მქონდეს, —
გოგოს კი არა, ხატსა ჰგავს უფრო!
მაგრამ როდესაც ეწვევა კოლხეთს,
როგორ გსურს, მასთან გამასაუბრო?

რძალი მყავდეს და ვიჯდე მუნჯივით?
რძალი მყავდეს და ვიდგე ხესავით?
ჩემს თავსა ვჩივი, ისევ, თუ ვჩივი,
ჩემს დარდსა ვდარდობ... მხოლოდ ეს არი.

მე გამეცინა: — ბებო, ვასწავლი,
ოღონდაც სხვამხრივ არ დაიწუნო!
— ღმერთო, მის ხილვას მეც მომასწარი...
რაო, ისწავლის? მართლა ვირწმუნო?

კვლავ დავამშვიდე: ისწავლის-მეთქი,
თანდათანობით, განა ორ დღეში...
— როცა შევხვდები პაპაშენს ბექირს
სადმე ზეცაში ან სამოთხეში?

არ დამიჯერა, ჩანდა, ბებიამ
და მომაწოდა ლელვის კალათა.
— შეხე, რა მწიფე და კარგებია, —
მე დაგიკრიფე ადრიანადა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაბადებიდან ამ ლეღვის ტოტებს
მთელი სოფელი ჰყავს მისეული.
...საწყალ დედაშენს (ეს იყო როდის?)
უყვარდა ბაღი პაპისეული.

მახსოვს, ქორწილის მეორე დილით
როგორ დავკარგეთ ჩვენ პატარძალი!
გადამერია კინაღამ შვილი
და... ვნახე გოგო ხეზე ამძვრალი.

ლეღვს მიირთმევდა და არხეინად
იმზირებოდა ღიმილის ფრქვევით.
— ნეტავ, ეს ტოტი დამარხევინა,
რომ ჩამოუშვას ძირს თავისმტვრევით! —

გავიფიქრე და ვინანე სწრაფად:
— თუმცა უხდება დედოფლის კაბა,

ჯერ ხომ ჩვიდმეტი წლისაც არ არი,
მას ვენაცვალე, ბავშვია ჯერაც,
გულუბრყვილოა, წმინდა, ალალი.
გამილამაზებს მადლიან კერას!

ჩამოსრიალდა, მკერდში ჩამიკრა
და შინ წავედით სიცილ-ხარხარით...
ის კი... რას მეტყვის შენი მარიკა,
შენი ვოლგელი მზეთუნახავი?

შორი მდინარის პირას შობილი
მომეფერება დედაშენივით?
მოეწონება ჩვენი სოფელი,
სადაც შენს დარდად მე ვარ შთენილი?

მოეწონება. ჰო, შვილო ვანო,
რაკი უყვარხარ, ასე იქნება!
წელან რომ გითხარ, იმასღა ვნანობ,
მე უენობის არ მეფიქრება.

რა ღირს, ბიჭო, წინასწარ ჯვარცმა!
წყალს წაუღია დარდიც და კვნესაც!
თვალებით ვიმცნობ, სათქმელი რაც მაქვს,
ხელებით ვიმცნობ ხვაშიადს ჩემსას.

ალერსით ვეტყვი, სიჩუმით ვეტყვი,
ღიმილით ვეტყვი და ვაგრძნობინებ,
ამ სიყვარულით და გულისფეთქვით.
რა სიხარულის ტალღა მომფინე! —

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასე, ამგვარად მითხრა დიდედამ
და მერამდენედ გადამეხვია.
ჯავრი გატეხას ვით გამიბედავს,
როცა მოხუციც არ გამტეხია.

## კარი მეხუთე

## თემურ ხეთელი

ერთხელ, როდესაც მარტენთან მდგარი
ვფიქრობდი გაბროს ახალ წერილზე,
— ვანო, ეს შენი შეგირდი არი! —
მითხრა სოლომონ შარაძენიძემ.

მითხრა და მხარზე დამადო ხელი,
ვით მეგობარმა, განა უფროსმა,
შემომაფრქვია ღიმილი წრფელი
და ახალბედის გზა დაულოცა.

თუმცა მანამდეც ვზრდიდი შეგირდებს
და არ მიკვირდა ოსტატის როლი,
მეწყინა კიდეც, ღმერთო, შემინდე, —
სადა მაქვს თავი ამდენის მოვლის!

— საღამოს ჩემთან თუ ამოივლი,
მე წაგაკითხებ ამ ბიჭის ბარათს! —
შარაძენიძემ ყურში ტოლივით
მიჩურჩულა და წავიდა ჩქარა.

ვაჰმე, ვინ არის ეს დალოცვილი!
რამსიმაღლეა... რას უგავს თმები...
— გნახეს ყველაზე მეტად მოცლილი! —
ჩემს თავს დავცინი და გულზე ვსკდები.

სად რუსთავი და სად ეს ბოკვერი,
რომ აბრიალებს თვალებს ლომივით!
თუ გამოჩნდება სადმე ოხერი,
თუ გამოჩნდება სადმე ლტოლვილი,

მე მიგზავნიან გასაჩარხავად.
არა მაქვს მათგან ძალა და ძილი...
— რა გქვია, ვეჟო?
— თემო გახლავართ,
ზურაბ ხეთელის მეოთხე შვილი!

— მშობლები გყავანან?
— მამაც და დედაც.
მამა სოფელში ბრიგადირია

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ცხრა შვილი ჰყავს... განახათ, ნეტავ,
პატარები რომ ერთად ტირიან!

გაგიხარია, პასუხს მაძლევდა,
ვითარცა წერო კისერაწვდილი,
მაინც შევძელი თავის დაძლევა:
— შენ გონიერი ჩანხარ ყმაწვილი...

ეს უნდა მეთქვა, არ დამაცალა:
— ნახავთ, ბატონო, ვინც ვარ, რაცა ვარ!

გამოგიტყდებით, ჭკუით და სიბრძნით
მაინც და მაინც არა ვბრწყინავდი,
ამიერიდან კი აღარ ვიცი...
— პური თუ ჭამე ან დაბინავდი?

— ქარხნის დირექტორს ვეახელ დილით
და მტკვრის ნაპირას გავტეხეთ პური.
ისე მიმიღო, ვითარცა შვილი
და საუბარიც გამიბა ძმური.

თუმცა მგონია ზამთრის ზღაპარი
და სოფლელებიც ხვალ მიმელიან,
აქ უკვე მომცეს თავშესაფარი,
ჩემი ოსტატი არის... თელია!

მთლად გადამრია და დამანელა,
ახმახი ბიჭის ხმამ და მანერამ.

რომ გავიხსენებ იმ დღის დიალოგს,
ვდგავარ მარტო და ჩემთვის ვხარხარებ.
იმ დღეს, მერწმუნე, ადამიანო,
სიცილში ოფლი მეტი დავღვარე.

— არ გეშინია ვერანი ცეცხლის?
— მე ჯიუტი ვარ მეფისწულივით,
ვერაფერი და ვერავინ შეცვლის,
რაიც გადაწყდა ჩემი სურვილით!

— ღმერთი გიშველის,
— ღმერთი კი არა,
თქვენი სიკეთე და ჩემი მკლავი! —
მიპასუხა და იმ ცინგლიანმა
რომ მომაწონა კიდევაც თავი.

...და განვაგრძობდი მარტენთან ბრძოლას,
და იდგა ბიჭი მშვიდად, მარტოკა.
ხან ჩაჰყურებდა მდუღარე ფოლადს,
ხან მე მიმზერდა, ვითარ ჯადოქარს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კარი მეექვსე

### ჩემი ქალაქის ფუძემდებლები

მაინც რა ჩუმად იწყება ხშირად
პატარა საქმე თუ დიდი საქმე,
რისთვისაც მერე ჩაგთვლიან გმირად,
რისთვისაც მერე ქვეყანა გაქებს!

მაინც რა თრთოლვით იწყება მუდამ
მცირე არის თუ დიდი ოცნება,
რომელსაც დიდხანს უმზერენ მრუდად,
რომელსაც მერე ვთვლით საოცრებად!

როგორ ცხოვრობენ, რა მოკრძალებით
კეთილი საქმის ფუძემდებლები,
რომ არ გაურბით ცისკენ თვალები,
რომ არ უმშვენებთ გულმკერდს მედლები!

იგებენ ტაძრებს, გიგანტებს ჰქმნიან,
სასახლეები აჰყავთ ცათამდი.
იღვწიან, ვიდრე — ადრე თუ გვიან —
დაიკვნესებენ: — ვკვდები, გავთავდი...

თავიანთ გმირულ ღვაწლსა და ამაგს
არ ამაღლიან ქვეყნად არავის.
უკვდავი საქმის შემოქმედს თამამს
თავისთვის არც კი რჩება კარავი.

საშვიც არა აქვთ ტაძრის თუ ქარხნის,
რაიც ააგეს მათმა ხელებმა,
როგორც მშობელი ქართველი ხალხის
სიამაყე და საკვირველება.

ზოგჯერ მათ გარჯას სხვას მიაწერენ
და მაინც სდუმან, ვითარ მუნჯები.
არ გააჩნიათ რა ხელწერილი,
ხმაც ამოიღონ, ვინ დაუჯერებს!

მათ ხელწერილი არ უთხოვიათ,
არცა დიდება, არც ჯილდოები,
და უცხოვრიათ, რაც უცხოვრიათ,
ქვეყნის მაღალი საჭიროებით.

თვალში გეცემა ამაგი ზოგის,
რაგინდ დაბრმავდეს მეხსიერება,
ხვალისკაცებსაც სიამეს მოჰგვრის
მათი სიკეთის მშვენიერება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზოგისაც მეტად მცირეა ღვაწლი,
მცირე, ალალი და უანგარო,
ჩირაღდანივით იწვოდა კაცი,
ვერ გააკვირვა მაინც სამყარო.

მაგრამ ეკუთვნის ყველას უკლებლივ
არდავიწყების კეთილი სიტყვა!
როცა მომავალს ვესაუბრებით,
ეს უნდა ითქვას, მთელი ხმით ითქვას.

ამას დღეს ვამბობ, როცა მწადია
ვახსენო იგი — რუსთავის ჯავრი,
ვინც ვერ გაუძლო შფოთვას დარდიანს
და კალკუტაში დაეცა მკვდარი;

ნატვრა რომ გაჰყვა ქართული ცისა...
მწამს, მიმიხვდები, ვგულისხმობ ვისაც!

შარაძენიძე ქარხანას ენდო,
ვით ენდობოდა მთელი ქარხანა.
დედა-თბილისმა წაგვართვა ერთ დროს,
მაინც დაბრუნდა და გაგვახარა.

რაც უნდა დიდი საქმე მიენდოთ,
მხოლოდ ფოლადით სუნთქავდა მარად.
და ურუსთავოდ, ვით უიმედოდ,
ვერ იცოცხლებდა... და ჩაჰქრა ჩქარა!

ვის გაუგია განსჯა ამგვარი?
არც კი აუხსნეს, რად მოინდომეს, —
არც ახალგაზრდა, არც ჯანმაგარი,
რომ გაამგზავრეს, ძმაო, ინდოეთს!

ირვინ იფიქროს, რომ შეეჩვია
მუდამ წინ ყოფნას, მუდამ სარდლობას.
ვერ შეურიგდა — რაღა ეჭვია —
უმადურ კაცთა უსამართლობას.

უხმოდ, უსიტყვოდ წავიდა ჩვენგან,
ვერც კი მოასწრო გამოთხოვება
იმ ხალხთან, ვისაც გუშაგად ედგა
და შეალია მთელი ცხოვრება.

წასვლის წინ იხმო რძალი და ვაჟი:
„მე ბედნიერი ვიქნები მაშინ,

როცა გავიგებ, მეტალურგები
რომ არ იქნებით მხოლოდ წოდებით,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსთავისაკენ მხნედ გაუდგებით
და ძველ თაობას არ დაშორდებით“.

ამას დღეს ვამბობ, ვით უკვდავება,
როცა თავს მადგას წმინდა აჩრდილი!
...მაშინ კი დამხვდა თავის კარებთან
თავაზიანი და მხრებგაშლილი.

წინ ედგა ჩაი, დიდი ხნის წინათ
გაცივებული... ნატეხი პურის...
დამიდგა სკამი და ქუჩის გრგვინვას
სარკმლიდან წამით მიუგდო ყური.

მიმოდიოდა ოთახში იგი,
დარდი რომ სწვავდა უშველებელი,
კაცი კი არა, ფოლადის წიგნი —
რუსთავის ერთი ფუძემდებელი.

ჩანდა, ებრძოდა იდუმალ ტკივილს,
არ ასვენებდა მარადი იჭვი...
მერე გაალო კარადა რკინის
და მომაწოდა ბარათი ბიჭის.

1/466

ᲙᲐᲠᲘ ᲛᲔᲨᲕᲘᲓᲔ

## ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲙᲝᲚᲮᲔᲗᲘᲓᲐᲜ

ძია სოლომონ! ექვსი თვე გახდა,
მე საშუალო რაც დავამთავრე.
ავიტუზები მეზობლის ბაღთან
და უსაქმობით მამას ვაჯავრებ.

თვითონ მაშვრალი კაცია მამა,
ყანაში შრომობს, ვენახსაც წამლავს.

არც დასვენება მისთვის, არც ძილი!
რა დააძინებს ცხრა შვილის პატრონს!
ისე ჩუმია და სიტყვაძვირი,
რომ გამირისხდეს, იმასაც ვნატრობ.

დედა აკვნების რწევას უნდება,
წამით არ ძალუძს თავის აწევა.
ზოგჯერ მტრედივით აღუღუნდება
და... გულზე მძიმე დარდი მაწვება.

სოფელს ჩემებრი არ ჰყავს უქნარა,
ვარცხვენ მშობლიურ ზეცას და კერას.



კ. მარქსის სახ. საქ. სსრ სახელმწიფო რესპუბლიკ. ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველარ მოქმედებს ძმათა მუქარა,
ვერ მომარჯულებს, ვერა და ვერა!

თოხნა ვიცი და არ ვთოხნი ყანას,
ბარვა ვიცი და მივაგდე ბარი,
არ წავიდოდი ნახირში განა,
მაგრამ არ მიყვარს წვიმა და ქარი!

დედას წყალზე რომ არ ეგზავნება,
ისეთი შვილი რაღა შვილია!
შეშის დაპობაც რად მეზარება,
თვითონ არ ვიცი და... მეშინია.

ჩვეულებრივი მე არ მიტაცებს,
უჩვეულოსთვის ვერ მიმიგნია.
ზოგი მარწმუნებს, დედამიწაზე
რომ საოცრება მხოლოდ წიგნია...

დავეხეტები ტყეებში, მინდვრად,
თან დამაქვს ჩემი კეთილი „რიგა".
მუსიკას ჩავრთავ, როდესაც მინდა,
მოვისურვებ და იქცევა წიგნად.

წუხელ გადმოსცეს (და იქნებ ადრეც!)
ვანო თელიას ძველი ამბავი, —
როგორ ასწავლა ფროლოვმა ქართველს
ფოლადისა და ცეცხლის ანბანი!

გამატეხინეს ღამე ფიქრებმა
და გადავწყვიტე წამოსვლა მანდედ.
ეს ფანტაზია თუ არ იქნება,
მსურს თელიასთან შეგირდად დავდგე.

ვინ იცის, იქნებ გამეხსნას ტვინი,
გამომაფხიზლოს მარტენის ხმამა,
და დედაჩემის ეშველოს ტკივილს,
და გავახარო საბრალო მამა!

თუ ეს ბარათი მოაღწევს თქვენთან,
ვფიქრობ, გამიგებთ, რაც უნდა მეთქვა.

მგონი თელიაც არ იტყვის უარს,
თუ ჩემზე ცოტას შეეხვეწებით.
მე კი მანამდე მოვიკრებ ჭკუას
და ახალი წლის დამდეგს გეწვევით!

ძია სოლომონ! დამნაშავე ვარ,
რომ შეგაწუხეთ, ჟამი წაგართვით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გწერთ თითქოს ვიყო ვაჟა-ფშაველა,
მაგრამ არ მქონდა სხვა მისამართი...

### კარი მერვე

### ვოლგისპირეთში

ვისაც უხილავს ბრძოლა ნამდვილი
და უშრომია ნამუსიანად,
ვაგლახ, როდია მისთვის ადვილი
დაემშვიდობოს წარსულს მთლიანად.

უარი სტყორცნოს წარსულს შფოთიანს,
ვინ გამოჩნდება ჩვენში, რომელი?
რაღაც სიმძიმე ანუ ლოდია
ეს უცხო სიტყვა: — პენსიონერი!

როცა საყვარელ საქმეს შორდება
და შინ ტაატით მიდის მაშვრალი,
თითქოს შორეულ გზას ელოდება,
ვით ჯარისკაცი, ისე მარშალი.

თითქოს შორეულ გზას ელოდება,
თითქოს ცხოვრება ახლა თავდება!
ახალგაზრდობა არ მეორდება,
მაგრამ ხომ არი სხვა თავდადება?

სხვა თავდადება და გატაცება,
სხვა გატაცება და ქრუანტელი.
ხვალის თაობის დავაჟკაცებას
ხომ შეამელოს სიბრძნის ნათელი.

ო, გაუძნელდა ფროლოვსაც ძალუმ
დრო დასვენების როცა დაუდგა!
რაც ემსახურა ერთგულად მამულს,
არ ეყო თითქოს... დაღლილს რა უგავს?

სხვა მეთაურობს საამქროს ახლა
ფროლოვისეულ თავგამეტებით,
ივანე მაინც დატოვა ხალხმა,
როგორც მოძღვარი ახალბედების!

კვლავ უთენია დგება ოსტატი,
სძულს ნებიერა და ძილისგუდა.
მზის ამოსვლამდის, მზის ამოსვლამდის,
მზის ამოსვლამდის ხედავენ მუდამ —

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვოლგის ქალაქის მწვანე ქუჩები,
ვოლგისპირეთის თეთრი დღეები,
ნავსაყუდართა მკვიდრი ბურჯები,
მრისხანე ჟამთა მემკვიდრეები...

ივანე ფროლოვს ვესტუმრე შარშან,
მიიჩქაროდა ქარხნისკენ დილით.
ვერ მოვასწარი ხელების გაშლა,
მკერდში ჩამიკრა, ვითარცა შვილი.

გამიყოლია მეც ქარხანაში,
(მიჰქროდა თავის ჭკვიან ბიჭებთან!),
კვლავინდებურად მხნე და ხალასი
გოლიათივით მიაბიჯებდა.

საგუშაგოსთან შევჩერდით წამით.
საშვი ამიღო თავისი ხელით.
დამწყდა გული და ვიტირე ლამის,
რომ ვერ ვიხილე დარაჯი ძველი.

— აქ, ამ კარებთან, დაეცა თითქმის,
ვით მეომარი ღონემიხდილი.
ყველა სიკვდილზე ავუგი ითქმის,
ლამაზი იყო მისი სიკვდილი!

ბაღში დავმარხეთ დიდი პატივით,
ომში დაღუპულ ვაჟკაცთა გვერდით.
წასულ მეგობრებს ფიქრში დავტირით
და მათ სახელებს ვატარებთ მკერდით.

ვატარებთ, ვიდრე ჩვენც სული გვიდგას
და მოგონების ჯანღში არ ვცურავთ.
გადარჩენილნი უამრავ გრიგალს
რომ დავეცემით ჯარისკაცურად,

იტყვიან: იყვნენ, იბრძოდნენ, თრთოდნენ,
გულები ბრძოლით ვერ მოიოხეს!
ჯერი წასვლისა მომივა ოდეს,
მჯერა, სულ ერთხელ ამოვიოხრებ.

დამენანება მყის უთქვენობა,
ეს ცა, ეს მიწა, ბრძოლის ჰანგები,
მაგრამ მომავლის მზიურ შენობას
მე მხოლოდ ჩემთვის როდი ვაგებდი!

მეც ხვალისდღეზე მიოცნებია,
ახლაც... სიბერე ვერ კი მაჩუმებს.
ჩვენს გმირულ დღეებს ვინც მოსწრებია,
სიცოცხლის იმედს შეინარჩუნებს! —

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანა ფროლოვმა და გაეღიმა.
ხელი მომკიდა და ამაჩქარა.
რაღაც შევიგრძენი, რაღაც ემძიმა,
თუმცა მიზეზი არა ჩანდა რა.

ნაცნობ ქარხანას თვალი მოვკარი,
ოდეს ნაომარს, ნაბარიკადალს...
ასე მეგონა, ვით მეგობარი,
ფოლადის მკერდში მაგრა მიკრავდა.

ᲙᲐᲠᲘ ᲛᲔᲪᲮᲠᲔ

## ᲠᲝᲪᲐ ᲬᲐᲛᲝᲓᲒᲐ ᲝᲡᲢᲐᲢᲘ ᲔᲠᲗᲘ

დღეები ზოგჯერ ინისლებიან
ან მიილტვიან ვარსკვლავებს ზემოთ.
მშვიდი ცხოვრება ვის ღირსებია,
მე რომ მქონოდა, ძმობილო ჩემო!

სიმშვიდისათვის არ გავჩენილვარ,
არ მიძებნია მაღალთა კალთა.
რაც შემიქმნია, მარად ჩემია,
არ უჩუქნიათ სხვათა და სხვათა.

როგორც შემოქმედს, მეგობარს, მოძმეს,
ვით აღსარებას გეტყვი გულდიად,
შენს მონა-მორჩილს (ხალხია მოწმე!)
ოფლი სიმწრისაც ბევრი უღვრია;

მე სხვებზე მეტი, მე სამჯერ მეტი,
მე შვიდჯერ მეტი უნდა ავწიო,
და კიდევ მქონდეს წიქარას ქედი,
ბედმა მთლიანად რომ არ გამწიროს.

მე რომ პოეტი ვყოფილიყავი
(გთხოვ მაპატიო ძმობის იგავი!),

ვით უცნობ მთიელს, შემეთხზა რაღაც
ვეფხვის და მოყმის ბალადის მსგავსი,
წინასწარ ვიცი და ვიცი ნაღდად:
არ ექნებოდა შაურის ფასი...

სწორედ ამიტომ დავიბენ, შევკრთი
(თქვენთანაც მიჭირს ამის გამხელა!),
როცა წამოდგა ოსტატი ერთი
და დეპუტატად დამასახელა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მე დავიძახე უმალვე: — სხვა ჯობს...
უხერხულობა არ მომასვენებს...
ის ავირჩიოთ, უმაღლეს საბჭოს
ვინც დალაგებულ აზრს მოახსენებს...

მე კი მუშა ვარ და მეფოლადე....
ვაშლი ხომ ვაშლის ხეზე მწიფდება...
ხალხო, ისეთი საქმე მომანდე,
რაც მეფოლადეს ხელეწიფება!

დარბაზში ატყდა ხმაური, დავა,
როგორც იტყვიან, მკვდრის ფერი მედო,
როცა წამოდგა დაუკითხავად
და ტრიბუნისკენ გაიჭრა თედო:

„არა, არ სცდება ჩვენი ძმობილი,
როცა ამ წუთში განიცდის, ღელავს.
ამ ნდობის ტვირთი კეთილშობილი
რარიგ მძიმეა, არ იცის ყველამ.

რომ იყო მართლა ხალხის რჩეული,
მოგეხსენებათ მიწყივ ძნელია.
მისებრ მაშვრალი და ღირსეული
აქ რომ ბევრი ზის, იცის თელიამ.

რაც შეეხება მის განცხადებას,
თითქოს სხვა სჯობდეს, არ ვეთანხმებით,
ვემხრობი პირველ წინადადებას
ვოლგელების და ჩემი სახელით".

როცა ჭაბუკმა სიტყვა აილო,
გაჩნდა ჩურჩული შეუწყვეტელი.
„რად გელიმებათ, ძმებო, რა იყო?
მე ვარ მდნობელი თემურ ხეთელი.

ვანო თელია მყავდა ოსტატად.
მომთხოვნი იყო და არა მკაცრი.
მან მიწინამძღვრა, მან გამომცადა,
როგორც იტყვიან, გამხადა კაცი.

ჰოდა ვგრძნობ, ძმანო დარბაისელნო,
რა თავდადებით შესტრფის ქარხანას...
სხვა რომ არ იყოს, განა ციცერონს,
ჩვენ ვასახელებთ კეთილ ამხანაგს.

ამჯერად ყველამ ვანო ინება,
მაგრამ ვამბობ და მარად ახსოვდეს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ გულგრილობის გამოვლინებას
არ ვაპატიებთ მას არასოდეს!“

ვხედავდი: ხალხმა დაუკრა ტაში
და მოიწონა სიტყვა ამგვარი.
ასე ავმაღლდი საკუთარ თვალშიც
ფოლადის ერთი მსახურთაგანი.

რა მეთქვა? გულში, ვით სიმძიმილი,
შეიჭრა უცებ ქარი მკვნესარი
და რაიკომის მდივნის ღიმილი
ამიკიაფდა თვალწინ მზესავით.

კარი მეათე

## სიკვდილი ზღვასთან

ერთხელ ზღვის პირას ვიხილე იგი,
ვინც სტალინგრადის მომცა საგზური,
ხელში ეჭირა ლენინის წიგნი,
ვით საოცრება და საგანძური.

რა ნაადრევი თეთრი ერია!
მიცნო და სითბო არ დაიშურა.
— მაშ, ეს შენა ხარ, ვანო თელია? —
გადამეხვია მამაშვილურად...

ყოველ განთიადს ვხვდებოდით ერთად,
საღამოს ბინდსაც ერთად ვხვდებოდით,
მხიბლავდა ზღვაზე ლივლივი ფერთა
და ტალღასავით მეც ვმაღლდებოდი.

როგორ უყვარდა ამოსვლა მზისა!
როგორ უყვარდა ზვირთების რბოლა!
(იმ ბობოქრობას და სუნთქვას ზღვისას
მე ვადარებდი მდუღარე ფოლადს).

არ მიმალავდა ქვეყნად არაფერს,
გამიხსნა გულის ყველა კუნჭული!
როგორც შეჭფერის მოაგარაკეს,
ქვიშაზე იწვა მკერდგარუჯული.

როგორც კეთილი თანამზრახველი,
ვუსმენდი ნდობით და მოკრძალებით...
ნუ დამიჯერებ: არ ვარ მნახველი
იმ თვალებივით ჯადო თვალების!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სიწმინდე, სითბო, სიმშვიდე, სიბრძნე
ერთად ეხატა გიშრის თვალებში.
ვინ იცის, ძმაო, რამდენჯერ ვიგრძენ
მალამოსავით მისი ალერსი!

რაღაც ღვთიური ჰქონდა თილისმა,
სხვისთვის სიცოცხლეს არ იშურებდა,
მხოლოდ და მხოლოდ ქმნა კეთილისა
იყო იმ კაცის დანიშნულება.

თითქოს იწყებდა ბრძოლას ხელახლა
და ჭაბუკური სწვავდა ოცნება,
წერდა ჯიუტად, წერდა დღედაღამ,
მარუხის გმირთა გასაცოცხლებლად.

მოუსვენარი, ძილგატეხილი,
ეძებდა ფსხუსთან დაღუპულ მოძმეთ
და იმას, რაიც თვალით ეხილა,
თვით უდგებოდა პირუთვნელ მოწმედ,

რა გავაგრძელო, ერთი კეთილი
და ღირსი შვილი ქართველი ხალხის;
ელდადქცეული, გულდაწყვეტილი,
ვერ გაქცეოდა ავბედით ძახილს;

ვერ გაქცეოდა ცილისწამებას,
ზოგჯერ ბრძენსაც რომ თავგზას უბნევდა,
გადაიტანა დიდი წამება
და კელასურთან მზე დაუბნელდა.

რამ გამახსენა ეს დღე და წუთი!
მე ზღვაზე გასვლა დამაგვიანდა,
ის კი... ეხურა ჰილოფის ქუდი
და მიჰყვებოდა წყნარად ლიანდაგს.

გაფითრებული და ფიქრიანი,
თითქოს ამქვეყნად არ იყო მაშინ.
ოფლს დაეცვარა შუბლი ჭკვიანი
და უელავდა ჭაღარა თმაში.

რატომღაც ასე მგონია დღემდე,
იმ წუთში პასუხს აძლევდა სტალინს:
— იცოდე, გწამდეს, გჯეროდეს, მენდე, —
არ დამვიწყნია მეომრის ვალი.

მეც ვემსახურე წმინდად პარტიას,
გთვლიდი სამშობლოს მამად, იმედად.
ჯერ არასოდეს მიკამათნია
და დღეს პირველად კამათს გიბედავ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასე მგონია, თუმცა ვინ იცის:
ელანდებოდა ცხრაწყარო იქნებ,
ან საყვარელი ქუჩა თბილისის
და გაეტაცა სამო ფიქრებს...

ამ დროს ორთქლმავლის ატყდა კივილი
და მემანქანემ რომ იღრიალა,
ვიგრძენ იმგვარი გულისტკივილი,
ლოდად მაქცია ორგზის ტიალმა:

ლიანდაგს იქით ბალახში მწოლი
ეთხოვებოდა სამშობლო მხარეს,
იღებებოდა სისხლისფრად მოლი
და ზღვისპირეთი ტიროდა მწარედ.

მესმოდა მთათა გმინვა, გუგუნი,
და ხეთა შორი შეშრიალება.
ეს რა უაზრო და უგუნური
სიკვდილი ნახეს ჩემმა თვალებმა.

— მია მიხეილ... შევყვირე უცებ
და დავიჩოქე მის წინ შვილივით.
ჩურჩული დასცდათ დახეთქილ ტუჩებს,
ჩურჩული? — იქნებ სიმწრის ჩივილი.

ასე კვდებიან ალბათ გმირები,
ასე უსიტყვოდ, დარბაისლურად,
თითქოს ღიმილით და გაკვირვებით
მშვიდობა გვითხრა თვალდანისლულმა.

თვალდანისლულმა გვითხრა ბოდიშიც,
რომ გაგვიჩინა დარდი ანაზდად.
რომ, ჩვეულებრივ, მზის ამოსვლის წინ,
ვერ მივა ზღვასთან, ვით ამხანაგთან;

რომ თან წარიღო სიტყვა რჩეული,
რაც უსათუოდ მას უნდა ეთქვა
და ბრმა შემთხვევის წერად ქცეული
ასე უბრალოდ წავიდა ჩვენგან...

ვინღა ელოდა დიდების გვირგვინს,
მაგრამ სიკვდილი ასე მაცდური?
— მკერდზე ეფინა ლენინის წიგნი,
ვით საოცრება და საგანძური.

(დასასრული იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი სანადირაძე

# ოქტომბრის პირმშო

„მოდით, ამხანაგებო, ისე ვიმუშაოთ, რომ შთამომავალთა სამსჯავროზე ჩვენი სინდისი სუფთა იყოს, რომ გვქონდეს შესრულებული მოვალეობის გრძნობა“.

ლეონიდ ბრეჟნევი.

## არც თუ ისე ძველი რვეულიდან

ჭაერში თოვლის ფანტელი ირევა. ხალვათ კაბინეტში ბუხარი ღუღუნებს. სოფელი ვახშმის თადარიგს შესდგომია. ეს წუთია წითელწყაროს რაიონის სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობის თავკაცი ნიკო ყოჩიაშვილი თბილისიდან დაბრუნდა. კმაყოფილია. სოფლის მეურნეობის მუშაკთა რესპუბლიკურ აქტივზე მეცხოველეობის შემდგომი განვითარების საკითხებზე მრავალი საყურადღებო რეკომენდაცია მოვისმინეო. მის ვეება ტანს თითქოს არც არ ჰყოფნის ოთახში. ხან ტელეფონს უტრიალებს, ხან ხმელ ნაპობს არჩევს ცეცხლისათვის, ხანაც — ხარკმლის კიდეს მიყრდნობილი გაჰყურებს დაბურულ სივრცეს.

— კარგი ზამთარია. კეთილგუნებიანი. ასე თუ ითოვა, გაზაფხულზე იცით როგორ ალაღანდება ჯეჯილი? — წამით ჩუმდება. ცეცხლს ეფიცხება და ხელებს იფშვნეტს. — თუმცა, იმედი მაქვს ჩამოხვალთ და თავად ნახავთ, ხომ ჩამოხვალთ?

— რა თქმა უნდა, — ვპირდები, — ოღონდ ჯერ რამდენიმე კითხვაზე უნდა მიპასუხოთ.

— თქვენ ხელში არა ვარ? — იცინის იგი, — სად გაგექცევით ამ თოვლში!

— მაშინ განვლილი ხუთწლედიდან დავიწყოთ...

ცეცხლის ტკაცუნში მისი ხმა ყრუდ, მაგრამ გამოკვეთილად ისმის.

— იგი მართლაც ბევრი რამის განმსაზღვრელი იყო. დიახ, ბევრი რამის. ჯერ ერთი, ჩვენ შესაძლებლობა მოგვეცა დაგვენახა და კრიტიკულად შეგვეფასებინა ჩვენი სულიერი საგანძური. იგი, სამწუხაროდ, მრავალი ყალბი თვალით აბრჭყვიალებულიყო. იმდენად აბრჭყვიალებულიყო, რომ წლების მანძილზე ვერ ვამჩნევდით უყაირათო მეურნეთა თავდაუდგმელ საქმეს. ამის შესახებ საკმაოდ ითქვა. მაგრამ ხომ აღინიშნა ის დიდი ძვრებიც, ასე ხელშესახებად რომ დაეტყო ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროს? ას ოცი მილიონი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია! — აი, რით დავამთავრეთ სოფლის მეურნეობის მუშაკებმა გასული ხუთწლედი. ეს კი იმის საწინდარია, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობის შესაძლებლობებს საკმაოდ კარგი პირი უჩანს... ოღონდ... დიახ, აქ არის ერთი „ოღონდ“... რას ნიშნავს ეს? ახლავე მოგახსენებთ. თვითკმაყოფილების ჭია ხანდახან ისე შეუჩნდება კაცს, საკუთარი თავის იქით ვერაფერს ხედავს. ასეთი მეთოდით მუშაობამ რა შედეგი მოგვცა, ამაზე, ვგონებ, გითხარით უკვედღევანდელი დღე კი გვავალებს არ დავჯერდეთ მიღწეულს, გულდასმით გავაანალიზოთ გასულ წელთა შედეგები, ვეძებოთ გზები ქვეყნისა და ხალხის კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად.

— როგორი იყო გასული ხუთწლედი ჯაფარიძელებისათვის?

— თქვენ გეგმები გაინტერესებთ, თუ ცხოვრების დონე?

— ერთიცა და მეორეც.

— შეიძლება ცოტა შორიდან დავიწყო?

— ბრძანეთ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ციფრები დაგვჭირდება. აგერ, ათი წლის წინათ კოლმეურნეობის ფულადი შემოსავალი 1. 610 ათას მანეთს თუ შეადგენდა, დღეისათვის ეს ციფრი ორმაგადაა გაზრდილი. როგორც ხედავთ, ჯაფარიძელებს მიღწევები არ აკლიათ. ეს კი თავისით როდი მოდის. და კიდევ ერთი, — ჩაიარეთ ჩვენს სოფელში. კოლმეურნეთა უმრავლესობამ ორსართულიანი სახლები წამოჭიმა. ქალაქურად, კომფორტით ცხოვრობენ. ჩვენი სოფელი ხომ თითქმის საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში შეიქმნა. ის ოქტომბრის პირმშოა. კოლმეურნეობის ბიოგრაფია კი 1926 წლის ათი მაისიდან იწყება. შვიდი ჰექტარი ვენახი, ერთი საძროხე, ხის გუთნები, ზოლტკავები და საყევრები... აი, სულ რაც მის პირველ წევრებს შაქრო ბენაშვილს, სოლომონ ბოსტოლანაშვილს, ილია ტოკლიკიშვილს, სტეფანე ნატროშვილს, გიორგი ბენაშვილს, ზაალ ბენაშვილს, ფორე კიკილაშვილსა და ისაკო ბენაშვილს გააჩნდათ. დღეს კი საერთო შემოსავალმა სამ მილიონ მანეთს გადააჭარბა. ეს მგონი ვთქვი. მაგრამ ის არ მითქვამს, შრომადღის ანაზღაურება რა ღირს-მეთქი. 8 მანეთი და 52 კაპიკი. რამდენი კოლმეურნეობა გეგულებათ საქართველოში, ასეთი ანაზღაურება რომ გააჩნია? ბევრს ვერ დამისახელებთ. მარტო ჩვენს საძოვრებზე — მილარსა და ალაზანზე ორიათასზე მეტი პირუტყვი დაბალახობს. დამაცათ დავაზუსტო. დიახ, 2. 158 სული მსხვილფეხა პირუტყვი. ხოლო ცხვარი რვა ათასამდე. ცხვარს რვა ბრიგადა უვლის. ეს ხომ მთელი სიმდიდრეა. თეთრი მდინარე, თუ თეთრი ქარავანი... რაც გინდათ ის უწოდეთ, მაგრამ მე ბალანსზე მატყლს, ყველსა და ხორცს ვხედავ... ხოლო ყოველივე ამას ორი ათას 260 ღორი რომ დავუმატოთ? დასკვნის გაკეთება თქვენთვის მომინდვია. ეს, რაც მეცხოველეობას ეხება... ბელელში შევახედოთ? კეთილი, აგერ, რა შორს წავიდე. შარშანდელი მონაცემები მოვიშველიოთ. ყოველ ჰექტარზე საშუალოდ 87,1 ცენტნერი მარცვლეული მივიღეთ. ეს მაშინ, როცა რაიონის საშუალო საჰექტარო მოსავალი გაცილებით ნაკლებია... წელში გაიმართა მშრომელი კაცი. ისიც ხომ გახსოვთ, რა გითხარით, — ახალი, თანადროული მოთხოვნილებებით გათვალისწინებული სახლი უნდა მეთქი. გაზი, ტელეფონი, ცხელი წყალი და რა ვიცი კიდევ რა... ამის უფლება მან უძილო ღამეებითა და საკუთარი ოფლით მოიპოვა. მოდით ერთი ზაფხულში! ნახეთ, როგორ მუშაობს იგი. სიცხე აწუხებს, მტვერი. ლუკმის გასატეხადაც ვერ იცლის — პურეულია ასაღები! ხანდახან დღეღამეს გადააბამს. წუთითაც არ მილულავს თვალს. შეხედავ — ერთიანად გაუშავებია მტვერს — მხოლოდ კბილები აქვს თეთრი. არ უნდა დაფასდეს ასეთი კაცის შრომა? მას გალეწილი ხორბლის მიხედვით ვუხდით გასამრჯელოს. ადრე აღებული ჰექტრების მიხედვით ვუსწორებდით ანგარიშს. ბუნებრივია, კომბაინერი ცდილობდა, რაც შეიძლება მეტი ფართობი ჰქონოდა გალეწილი. იგი არც თავთავზე აგებდა პასუხს და არც ნამჯაზე. ზარალობდა სახალხო ბეღელი. მაგრამ იყო მეორე გარემოებაც: უხვმოსავლიანობისას კომბაინერი იძულებული იყო ნელა ემუშავა, რაც მხოლოდ კოლმეურნეობას აძლევდა ხელს... გავიხედ-გამოვიხედეთ, გავიკითხ-გამოვიკითხეთ და აღმოვაჩინეთ, რომ აზოვში, კოლმეურნეობა „როსიაში" საქვეყნოდ ცნობილ მექანიზატორ კლეპიკოვთან უკვე კარგა ხანია მოგვარებულია ეს საკითხი. ახლა ჩვენთანაც ასეა. როგორც გითხარით, კომბაინერი გალეწილი ხორბლის მიხედვით იღებს გასამრჯელოს. მუშაობს გულდაგულ. ყურადღებით, ცდილობს არცერთი თავთავი არ დაიკარგოს... ხოლო ანაზღაურება... ეს უკვე მთელი მეცნიერებაა. ვთქვათ, ჩვენს კოლმეურნეობაში მექანიზატორმა ჰექტარზე გეგმით ოცი ტონა ხორბალი უნდა გალეწოს. ვალდებულებით კი 28 ტონას ლეწავს. გადააჭარბა ვალდებულებას, აიღო ოცდაათი (პირობითია), ჰოდა, რაც ვალდებულების ზევით აიღო, იმის ოთხმოცი პროცენტი მექანიზატორს შინ უსასყიდლოდ შეუძლია წაიღოს ეს მისია. მისია ის თანხაც, ოცდარვა ტონისათვის რომ ერგება, ხოლო ყოველი შემდგომი ცენტნერისათვის რვა კაპიკი ემატება. ასე გვკარნახობს დრო ახალ კანონებს.

ისევ თოვს.

ისევ მხიარულად ღუღუნებს ბუხარი.

„მართლაც კარგ დროს ამოვედი. — ვფიქრობ ჩემთვის. — ახლა, ამ თოვლში თუ ვიჯერებ მასთან საუბრით გულს, თორემ მერე... ამოდენა სოფლის თავკაცის ნახვა ასე ადვილია განა? არ არის ადვილი".

ამგვარ ფიქრში რომ ვარ, მოულოდნელად ტელეფონის წკრიალი მესმის.

— კოლმეურნეობაა? — კითხულობს ბოხი, მაგრამ საოცრად გამოკვეთილი ხმა.

— კოლმეურნეობაა. — პასუხობს ნიკო ყოჩიაშვილი.

— თავმჯდომარე მინდოდა.

— თავმჯდომარე ვარ.

მერე ყურმილი ხრიალებს, ბუბუნებს, უცნაურ შეუცნობ ხმებს გამოსცემს. თავმჯდომარე იცდის, როდის მინავლდება ეს ბუბუნ-ხრიალი. ვხედავ — ჯერ ღიმილი უქრება სახიდან. მერე ყურმილს უბერავს სულს, თითქოს ამით აბეზარ ბგერებს ეშველებოდეს რამე და შეცვლილი, თითქმის დაჟეჟილი ხმით ამბობს:

— შენ ხომ მანდა ხარ, კაცო!?

პასუხი არ ისმის.

ნიკო უხალისოდ დებს ყურმილს.

— ბოლოში უნდა მოვიხადო, ცოტახნით მომიწევს თქვენი დატოვება. მილარზე უნდა ჩავიდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ამ თოვლში?

— რას იზამ. საქმემ თოვლი არ იცის.

— მოხდა რამე?

— ფერმებში სინათლე გამორთულა. დილის აქეთ საქონელი მშიერი გვყოლია.

...და წავიდა.

ორ დღეს იგი თვალით არ მინახავს.

## შირაქი

აპრილიდან მოყოლებული წვიმს — გული დაილბო ნაგვალევმა მიწამ, გაძღა. წითელწყაროელებმა იმედის თვალით გაიხედეს შირაქისაკენ — როგორც იქნა, ყანებმა სული მოითქვესო. — წელს კარგი მოსავალი გვექნება. — დაასკვნეს ჯაფარიძელმა კოლმეურნეებმა. მაგრამ ერთ დღეს შირაქიდან დაბრუნებულმა მწყემსმა კოლმეურნეობის კანტორაში ამბავი მოიტანა: მინდვრსა და ქოჩებში ღვარი მოვარდაო.

— ღვარიო?! — არ დაიჯერეს ჯაფარიძელებმა.

— ჩატბორილი ყანებიც ვნახე, — განაგრძო მწყემსმა.

— შირაქში, კაცო?!

— შირაქში, — იყო ბეჭედდასმული პასუხი.

ახეთი რამ ხანში შესულთაც არ ახსოვდათ. კოლმეურნეობის კანტორის ხალვათ აივანზე თავშეყრილმა კოლმეურნეებმა საავდროდ აჭიჭულ ცას გახედეს — ისევ ცრიდა, წვრილად და მომაბეზრებლად.

— რამდენი ხანია ასე რომ წვიმს? — დაინტერესდა ვიღაცა. დასხდნენ და გამოთვალეს: — მეხამე თვეაო.

— აბა, ყელში ამოსვლია მიწას და ეგ არის! უცებ გამოიტანეს განაჩენი.

ხალხი ამბობს: შირაქს წყალი რომ მისცე, ისეთი სასწაულმოქმედია, გამხმარი ჩხირი რომ ჩაურგო, კვირტს გამოალებინებსო.

მაგრამ არც მეტისმეტი წყალი ყოფილა საჭირო.

წვიმიანობის შემდეგ მზეს არ გამოეხედა, შირაქს ველარ მიუდგებოდი — აფუებულ და ალოხებულ გზებზე ტრაქტორსაც ვერ დაენდობოდი.

დააცხუნა, მაგრამ რა დააცხუნა მზემ!

ცოტაც და გარემო ჩვეულ კალაპოტს დაუბრუნდებოდა — ცისკენ დაძრული ფრინველის ჩრდილიც სანატრელი გახდა. მიწიდან ასული ოხშივარი გამჭვირვალე სივრცეს ზოლებად აჩნდებოდა. სწორედ. აქ, წვიმისაგან გათანგულ და მზისაგან გავარვარებულ მიწაზე გავიგონე ერთი უაღრესად საინტერესო სიტყვა — „შირაქი მუშაობს.“ დიახ, კაცის ჭაჭანება არ იყო თვალსაწიერზე და ჩემმა თანამგზავრმა, ამ კუთხის მკვიდრმა და მიწის მეთარგემ ზაქრო ყოჩიაშვილმა სწორედ ამ სიტყვით განსაზღვრა მზისა და მიწის უჩინარი საქმიანობა; დაფრინავდნენ მწყერჩიტები, წინ გვისწრებდნენ კუტკალიები, მზე საოცარი სიფაქიზით ეფერებოდა ვაზებს, და გრძნობდი, ღმერთმანი გრძნობდი, როგორ ღონიერდებოდა პურეული, რა ხარბად ისრუტავდა სხივებს...

„შირაქი მუშაობს!“ — გავიმეორე მეც.

შირაქში უცნაური ნიადაგია. დიახ, სასწაულმოქმედად უცნაურია, თუ საერთოდ შეიძლება ასეთი გამოთქმა; გეოლოგების მონაცემებს თუ დავეყრდნობით, იგი სინკლინური (ზევიდან ქვევით ამობურცული ქანების ნაოჭი) წარმოშობის ვაკე- ტაფობია, რომლის ნაპირები შემაღლებული ანტიკლინური ადგილებითაა შემოფარგლული, ამ ტალღოვან-დაბორცვილი რელიეფის გამო ქარული ეროზიაა გაბატონებული. ეროზიას კი დიდი ზიანი მოაქვს სახნავი ნაკვეთებისათვის. ასე ხდება მირზაანის, ჩანკაანის, ქოჩებისა, დიდნაურის, ქედების, კასრიწყლისა და სხვათა შემაღლებებზე. უმოწყალოდ აცხუნებს მზე. დაუღალავად ჰქრის ქარი. ერთ ადგილს აიხვეტს, ხორკლიანი ზურგით აჩიჩქნის; პირწმინდად გადალოკავს და უმისამართოდ მიახოხიალებს... მაგრამ ველის ნაპირებზე გადარაჯებული ბორცვები ამ მასის გატანას, ხევში ჩახერგვას უშლის... ზოგან ქარული ეროზიის შედეგად ნიადაგი ისე გათხელებულია, მისი დედოქანი — კონგლომერატი გამოაშკარავებულია. რაში გამოიყენება ასეთი ნიადაგი, რომლის ძირი ქვაღორღებიანია და გუთნისათვის მიუდგომელი?

შირაქის ველი ახალ, უაღრესად პრაქტიკულ ცხოვრებას დაიწყებს, თუ საძოვარ-სახნავების ერთგვარი შენაცვლება მოხდება. რას ნიშნავს ეს? მოვიშველიებ ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის არ. კაკულიას სიტყვებს, იგი ამბობს: — კარგი იქნება, რომ რაიონში (შირაქი იგულისხმება) გულდასმით შემოწმდეს ზოგიერთი ეროზიული სახნავი ნაკვეთი. თუ ასეთი ნაკვეთი დაბალი ხარისხისაა და მოსავალს არ იძლევა, იგი საძოვრად უნდა გამოვიყენოთ, ხოლო კარგი ხარისხის საძოვრები მოიხნას და კულტურული მცენარეულით დაიტვირთოსო...

აი ასეთი მარტივი, მაგრამ მრავლისმთქმელია ყოველი ჭეშმარიტება.

შირაქის ველი მართლაც დიდ და სერიოზულ ყურადღებას მოითხოვს.

უზარმაზარი, ყვითელი მზე დასჩერებია მაღლიდან. უჩვეულო შრომის, შემართების მოწმეა იგი — დიდი ოქტომბრის რევოლუციის მესამოცე წელს, წითელწყაროელები აქამდე გაუგონარ ზღუდეებს ლაშქრავენ. ამას დაუმატეთ სოფლის მეურნეობის სამუშაოთა სრული მექანიზაცია, მიწათმოქმედების კულტურის ამაღლება და, რაც მთავარია მეურნეობის გონივრული მართვა, საბოლოო ჯამში, წარმოების ეფექტიანობის ბედს რომ სწყვეტს.

„შირაქი მუშაობს!“ — გახსენდება ისევ.

რაღაც უცნაური სურვილი გეუფლება — ხედავ ამობრუნებულ მიწას, შავად აზიმზიმებულს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადამიანის მარჩენალს... გესმის, როგორ სუნთქავს იგი, — ძალუმად, დამათრობლად.

გზები კი...

საით მიდიან ეს დატკეპნილი, ასფალტივით სავულდავულოდ გადასწორებული გზები?

კარგი სიტყვაა — ორბორძალი, სამბორძალი, ოთხბორძალი...

გააჩნია, რამდენი გზა გარბის შენს წინ...

მაგრამ რომელსაც არ უნდა გაჰყვე, უსათუოდ შირაქში მიგიყვანს..

იქ კი... იქ ადამიანები ახლებურად, დროის მოთხოვნის მიხედვით წარმართავენ თავიანთ საქმეს...

## ცხოვრება კაცისა

რამდენი საზრუნავი გასჩენია აქაურ კაცს!... ვენახი, პურეული, მზესუმზირა, საქონელი... ეს დღეც ისე პატარაა, მიბრუნ-მობრუნებას ვერ მოასწრებ შეუმჩნევლად ჩაგელევა ხელში.

ახლა წარმოიდგინეთ დაღლილ-დაქანცული კაცი საკუთარ ოჯახში — ოჯახსაც ხომ უნდა მიხედვა?!

უნდა!

ასეა ყველა ქართულ სოფელში.

დღეს ჩვენ ამაყად ვამბობთ — სოფელი შეძლებულად ცხოვრობსო.

ეს შეძლებულობა ჯადოსნური კვერთხის მოქნევით რომ არ ხდება, ამას ჯაფარიძეელთა მაგალითზეც მიხვდებით. აგერ, ბატონო, ჩათავდა რთველი...

გარეშე კაცი კეთილი შურით მოიფშვნეტს ხელებს: თუ იშრომეს, ღირსეულადაც დაისვენებენო...

დაისვენებენ, ვითომ?

გახურდება ქორწილები... კახურ მრავალჟამიერს ნოემბრის სუსხი გაანელებს და როცა თეთრად შეფუმფულდება გარემო, აი, აქედან იწყება მევენახის საზრუნავიც!

ასეა — რთველის დამთავრებიდან მეორე რთველამდე ვაზს განუწყვეტლივ სჭირდება მზრუნველი ხელი...

ყველა საზრუნავის ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს.

მაგრამ ხდება ხოლმე — ამ დადგენილ, პრაქტიკით მომაგრებულ აგროქიმიურ კომპლექსს ზოგჯერ გაუთვალისწინებელი სამუშაოებიც ემატება. ეს სტიქიური უბედურების დროს ხდება.

ვფიქრობ, რესპუბლიკაში იშვიათად მოიძებნება ადამიანი, რომელსაც 1975-76 წლებში მკაცრი ყინვების შედეგად ზვრებში დატრიალებულ ტრაგედიას არ აეფორიაქებინოს. მაშინ ასობით ჰექტარი მსხმოიარე ვენახი განადგურდა.

ყურძნის მოსავლის მიღებაზე ლაპარაკიც ზედმეტი იყო — ვაზის გადარჩენა, ამ უმძიმესი მდგომარეობიდან გამოყვანა გახდა უპირველესი საფიქრალი და საზრუნავი.

ბევრგან ვაზი შტამბზე გადაჭრეს, რათა მოყინული ზედა ნაწილი მოეცილებინათ ძირისათვის, მე მიამბეს, როგორ იტირა აქაურმა ხანშიშესულმა მევენახემ, როცა ამგვარად „გაკრეჭილი“ ვენახი იხილა... ეს იმიტომ, რომ ქართველ კაცს ვაზის საზრუნავი შვილის საზრუნავისაგან არასოდეს დაუშორიშორებია.

ასე ყოფილა.

ასე არის.

ასე იქნება...

საუკუნეთა სიღრმიდან მარგალიტივით მოდღუღს: ვაზო, შვილივით ნაზარდოო... ვაზისადმი ზრუნვა-სიყვარულს ქართველი გლეხი შესაშური გულმოდგინეობით ამჟღავნებდა მუდამ. მის ყოველ სატკივარს ინაწილებდა. თუმცა ეს წადიერება ხშირად ამაო და უძლური იყო. ათასგვარი მტერი და მავნებელ-დაავადებანი უდარაჯებდა ვენახს. მუყაითი კაცი კი მაინც ჩვეული ენერგიით უვლიდა თითოეულ ძირს. ქმნიდა და გამოჰყავდა ახალი ჯიშები.

ჰოდა, ეს შვილივით ნაზარდ-ნალოლიავები ვაზი ამ შავ დღეში რომ ნახა, სული კინაღამ ამოუბრუნდა აბრამა ბოსტოღანაშვილს.

მე სწორედ მასზე მინდა გიამბოთ.

ოქტომბრის თანატოლია! — ასე წარმომიდგინეს იგი თანასოფლელებმა. მაგრამ ვიდრე მის შუქთბილ კერასთან დავსხდებოდით, ერთი რამ მინდა ვკითხო:

— ძია აბრამ, თქვენი გვარი ხომ ძირითადად ზემო მაჩხაანიდანაა?

— ეგრეა. — კვერს მიკრავს იგი. — საბჭოთა ხელისუფლება რომ დამყარდა, მამაჩემს, — ვასილს უთქვამს, სადაც პურის კალო გვაქვს, ჩვენც იქ უნდა დავსახლდეთო. კალო კი ჯაფარიძეში გვქონდა. რა დიდი აბარგება ჩვენ გვინდოდა — ერთ ურემზე დავეტიეთ და მას შემდეგ აქა ვართ...

ვასილ ბოსტოღანაშვილს ყოჩიაშვილები მიჰყვნენ, ყოჩიაშვილებს — ბენაშვილები, ბენაშვილებს — ლეკაშვილები, ლეკაშვილებს — იაკობაშვილები.

რა იყო ეს სოფელი მაშინ, როცა ზემომაჩხაანელი გაჭირვებული გლეხები აქ დასახლდნენ? ატალახებული, ვიწრო გზები... ერთმანეთზე ახირხლული ქოხმახები... უწყლობა... სიდატაკე... მძიმე, აუტანელი შრომა...

ოქტომბრის თანატოლიო, — მითხრეს აბრამ ბოსტოღანაშვილზე. სინამდვილეში ხომ ახალდაბადებული ქართული სოფლის — ჯაფარიძის თანატოლიცაა? მისი ცხოვრების გზა არაფრით არ განსხვავდება ამ კუთხის მკვიდრთა ცხოვრებისაგან. მისი ამბავიც იმიტომ გამოვყავი ასე განცალკევებით. ვიცი, არავის ეწყინება და, არც შეშურდება.

ერთი ჩვეულებრივი კოლმეურნეა, გულღიმილა და მიწის მეთარგე.

ახსოვს — პირველ საკოლმეურნეო არტელში გაერთიანებულ ვასილს პატარა აბრამიც დაჰ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვებოდა თან, აბა, რა შეეძლო მის სუსტ ხელებს! მაგრამ შესაფერისი საქმე მალე გამოუნახეს — მინდვრად გასულ მშრომელებს ხახმელი წყალი რომ არ მოკლებოდა, საზიდარში შებმული ხარები ანდეს...

— ეგრე, შვილო, ეგრე, თავი არ დაზოგო, — ამხნევებდა მამა მტვერში ამოგანგლულ ბიჭს, — ოღონდ თქვენ კარგად მყავდეთ და მთელ შირაქს ბაღნარად ვაქცევ...

მაგრამ ნათქვამია, კაცი ბჭობდა, ღმერთს — ეცინებოდაო!

აღარ დასცალდა ვახილს ბაღნარადქცეული შირაქის ნახვა — პაწაწკინტელა ჩალური ქოხი, იმედი და სიღარიბე დაუტოვა ობლებს.

აბრამი ყველაზე უფროსი იყო ოჯახში. უკაცოდ დარჩენილ ოჯახის უფროსობა მას უნდა ეტვირთა...

ხალხის სიყვარულისა და პატივისცემის მოსაპოვებლად რაღაც განსაკუთრებული თავის გამოჩენა და გმირობა როდია საჭირო. ამის მაგალითად აბრამ ბოსტოღანაშვილის ჩუმი, უხმაურო ცხოვრებაც გამოდგება. თუმცა მის განვლილ წლებს რომ გადახედოთ, მისი გაკეთებული საქმე რომ დაიანგარიშოთ, არ შეიძლება ჩვენი დროის ჭეშმარიტ გმირად არ შერაცხოთ.

მის მშვენიერ, თანამედროვე ტიპის კოხტა სახლში სტუმარი არ ილევა!

— ეჰ, ომს რომ არ გავეტეხე, უფრო ჯეელად ვიქნებოდი, — მითხრა მასპინძელმა.

— ომშიც იყავით? — გავკოცდი.

— აბა, სახლში რა გამაჩერებდა! — უტოკავს შუბლზე ამობურცული ძარღვი.

რამდენიმეჯერ დაიჭრა. ორდენებითა და საბრძოლო მედლებით მკერდდამშვენებული დაბრუნდა სოფელში... უვლიდა ვენახს. მეცხოველეობაში პირველობას არავის უთმობდა. მერე ძველმა ჭრილობებმა გაახსენეს თავი...

— კაცო, ინვალიდი თუ იყავი, რას გვიმალავდი! — ეწყინათ თანასოფლელებს, — ამდენი ჭრილობის გადამტანს როგორღა გიდგას სული, — გაკვირვებიათ თანაც.

აბრამი კი უხერხულად იშმუშნებოდა.

— აბა, საქვეყნო საქმეში გამომწყვიტოთ გინდათ? — უთქვამს ბოლოს. — რაც გინდათ ისა თქვით, მე კი უშრომლად ვერ გავჩერდები. — და ხელოსნობა დაუწყია.

...იმ დღეს შეპირებისამებრ, იგი შინ დამხვდა. ვიჯექით მისი ლამაზი სახლის წინ, ტრადიციულ ალბომს ვათვალიერებდით („ვიდრე ქალები სამზარეულოში მოიფიქრებდნენ რამეს") და ათას რამეზე ვსაუბრობდით.

უცებ რაღაცნაირი მოუსვენრობა დაეტყო.

სქელ ღრუბლებს შორის მოულოდნელად მზემ გამოიხედა და ვიფიქრე, მისმა მცხუნვარებამ ხომ არ შეაწუხა მეთქი.

— იქნებ ჩემი ვენახი დაგეთვალიერებინა, :ა?

— მომაჩერდა თბილი, მომნუსხველი ღიმილით. მაშინვე წამოვდექი.

და იცით რატომ დავეთანხმე მაშინვე? ქართველ კაცს საუკუნეთა მანძილზე გამოუმუშავებია ეს ჩვევა — თუ ვენახი აქვს და მოსავლის მიღება უნდა, დღენიადაგ უნდა იტრიალოს შიგ, დღენიადაგ დაჰფოფინოს თავს...

აბრამას კი მეორე დღე იყო არ დაეხედა ვაზისათვის.

ფართო, აუჩქარებელი ნაბიჯით კეცავდა მანძილს.

ძლივს ვეწეოდი.

„ძველ გვარდიას მაინც სხვანაირი პეწი და ფხა აქვს," — გამახსენდა მისი ნათქვამი.

შუადღის მოჩვენებით მყუდროებას ნიავის შარი-შურიც არ არღვევდა. წლებით დამძიმებული, მაგრამ მხნე კაცი — აბრამ ბოსტოღანაშვილი ვაზებს შორის იდგა. მტევნებით დაყურული მწკრივი ავ თვალს არ ენახვებოდა. ჰაერში მოახლოებული შემოდგომის სუნი ტრიალებდა...

უცებ მისი მზერა ვიგრძენი.

როგორ ფიქრობ, — მითხრა, — ამ სილამაზისათვის, ამ ქვეყნისათვის არ ღირდა ბრძოლა?

— ღირდა.

ქუდი მოიხადა. უზარმაზარი ჭრელი ცხვირსახოცით შუბლი მოიწმინდა და ისევ განაგრძო გზა. ჯიბიდან კი, ყოველი შემთხვევისათვის წამოღებული მაკრატელი და ქეჩეჩი უჩანდა.

## მხარე „კამბეჩოვანი"

ცხელა. ალაზნის სიახლოვეც ვერ ანელებს ჩახუთულ ჰაერს. იმატა ტბორებმა და... კამეჩებმა უკვე ვიცი, საითაც მივყავარ მოუსვენარ ნიკო ყოჩიაშვილს. ამ სანახებში ჯაფარიძის კოლმეურნეებს მეკამეჩეობის ფერმა უნდა ჰქონდეთ. თუმცა რა მარჩიელობა უნდა ამას — აგერ ფერმაც.

წინა დღეს ნიკომ რუსულ ენაზე შედგენილ-გამოცემული ბუკლეტი მიჩვენა. ოცი წლის წინანდელი ბუკლეტი იყო და კოლმეურნეობის თავმჯდომარე მაინც საოცარი მოწიწებით დაჰყურებდა —მამინ, სოფლის მეურნეობის მიღწევათა საკავშირო გამოფენაზე სწორედ ამ ფერმით წარსდგა ჩვენი რესპუბლიკა. (რა ბიჭი ვიყავი, არა? — გამიღიმა ნიკომ. დარჩა ვითომ რამე იმ ახალგაზრდობიდან?)

ახლა ნიკო ჩაფიქრებული ზის ჩემს გვერდით...

— თუ იცი რა ერქვა ამ მხარეს წინათ, — მეკითხება მოულოდნელად.

— „არამედ საქუაბე-ასანურამდე არს ადგილი ქისიყისა, რომელი მოხუევია მთასა, ცივი მთიდან ჩამოსულსა. ამას ეწოდება პირველ კამბეჩოვანი".

ეს ნიკოს აღტაცებას იწვევს.

— შენ თურმე მომზადებული წამოსულხარ, ძმაო, — გაიცინა გულიანად, — ვახუშტის წიგნ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში ამოიკითხავდი. მეცა მაქვს მისი საქართველოს ალწერა: — წამით იყუჩა. სახეზე ჩრდილმა გადაურბინა. — რა უცნაურია, — მომიბრუნდა რაღაცნაირი დაეეეილი ხმით, — ადამიანი აღარ არის, აღარ არსებობს ფიზიკურად... საქმე კი დარჩა... იქნებ ადამიანის სიცოცხლის აზრიც ეგ არის, აჳ იცხოვროს... კეთილი კვალი დასტოვოს და გაქრეს? — უცებ მოცოცხლდა. მძღოლს მხრებში წაავლო ხელი. — აქ, ცოტა მარჯვნივ აილე ჩემო დათო, თორემ მერე ვერავითარი ფილოსოფია ვეღარ გვიშველის...

რა იყო ეს — ნახევარი საუკუნის ზღურბლს გადაბიჯებული დაბრძენებული კაცის ხმამაღალი ნაფიქრი?

ასე იყო თუ ისე — ჩემთვის ერთ ჭეშმარიტებას მივაგენი — როცა ამა თუ იმ ადამიანზე ვწერთ რამეს, ციფრების ისეთ კორიანტელს დავაყენებთ ხოლმე, მათ უკან თითქმის არაფრის გარჩევა აღარ შეიძლება... იქნებ იმიტომ არის, რომ „თხზულებიდან“ „თხზულებაში“ მოგზაურობს ე. წ. ბოდიშისმომხდელი, ვითომ ფრთიანი გამოთქმა — „ამ ციფრების უკან ადამიანები დგანან.“ ეს კეკლუცობით კი არა, მოუცლელობით მოგდის. ასე წერა უფრო ადვილია და პასუხისმგებლობაც— ნაკლები.

ყოველივე ეს გამახსენა ნიკო ყოჩიაშვილის არქივმა. ღამით, როცა დაღლილ სოფელს ეძინა, მე ჯაფარიძეელთა თავკაცზე და მის სოფელზე დაწერილ წერილებსა და ნარკვევებს ვათვალიერებდი: ნიკო სათუთად ინახავს ყოველ გაზეთს, ჟურნალსა თუ წიგნს.... (ყოჩიაშვილი: ეს ხომ ისტორიაა!) დიახ, ისტორიაა, მაგრამ ნაუცბათევად, თვალის ერთი გადავლებით დაწერილი.

საქართველოში დღეისათვის ოთხასზე მეტი კოლმეურნეობა უნდა იყოს. ყველაზე სრულყოფილი გამომთვლელი მანქანისათვისაც ძნელი იქნება ამ უზარმაზარი არმიის გახსენება, საკოლმეურნეო არტელის თავმჯდომარის რწმუნებანი რომ ჰქონია მინდობილი. მინდა დავასახელო საუკეთესოთა შორის ყველაზე საუკეთესოთა გვარები:

კობა ჩოხელი...

ანთიმოზ როგავა...

ნიკო მამაიაშვილი...

მიხაკო ორაგველიძე...

ვასო ჯაბუა...

ჩვენი საკოლმეურნეო მშენებლობის ბერმუხებს ომისშემდგომ მოსულმა თაობამ გაუმაგრა ზურგი. აი, ისინიც: არსენ კობაიძე, გივი წითლიძე, ალექსანდრე კუტალია, ნიკო ყოჩიაშვილი...

ოდესმე, რომელიმე დაინტერესებული კაცი, ალბათ, უფრო სრულად წარმოგვიდგენს საკოლმეურნეო მოძრაობის შეუცვლელ თავკაცთა კორპუსს. მე კი დღეს იმ ადამიანზე მინდა გესაუბროთ, რომლის სტუმარიც გახლავართ და რომლის სურვილითაც ეს წუთია ალაზნის ბარას განლაგებულ ფერმას მივადექით.

— მერწმუნე, ამ სიცხეში კამეჩის მაწონს არაფერი სჯობია. — მეუბნება იგი.

— აბა, აბა! — კვერს უკრავს მძღოლიც.

... მერე ჩვენ ჩრდილში ვზივართ.

— ჰე, რა დრო იყო, როცა კამეჩი გამწევ ძალად გამოიყენებოდა?!. ჩემს შვილიშვილებს რომ ვუთხრა ეს, სიცილით გაიგუდებიან — მაშინ ტრაქტორი რაღა საჭიროაო, გეტყვიან. მაგრამ მე ხომ მახსოვს, როდის გამოჩნდა პირველი ტრაქტორი ჩვენს სოფელში?! დღეს კამეჩს სხვა დანიშნულება აქვს. არანაკლებ მნიშვნელოვანი.

სათ გაიხედა ნიკო ყოჩიაშვილმა?

რა დაუდო ქვეტექსტად თავის ნათქვამს?

კამეჩი დიდი სიმდიდრეა. ამიტომ მისდევდა მის მოშენებას ჩვენებური გლეხკაცი. ახლა, როცა სკკპ ოცდამეხუთე ყრილობის მიერ შემუშავებული აგრარული პოლიტიკა ხორციელდება, არ შეიძლება არ მოვიკითხოთ ეს ფრიად უმნიშვნელოვანესი რეზერვი. ამ რეზერვზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეთვრამეტე პლენუმმაც გაამახვილა ყურადღება. ხოლო მაღალხარისხოვანი, იაფი ხორცისა და რძის წარმოების ყველაზე უმოკლესი გზა მეკამეჩეობის ფერმისაკენ მიემართება. დიახ, მეკამეჩეობის, ამ უმნიშვნელოვანესი, არ გადავაჭარბებ თუ ვიტყვი, სტრატეგიული დანიშნულების დარგის განვითარება გადაუდებელ ღონისძიებებს მოითხოვს. რახან სიტყვამ მოიტანა, არ შეიძლება გულისტკივილით არ გაიხსენო დასავლეთ საქართველოს მთელი რიგი რაიონები, სადაც მეკამეჩეობის შესაშური ტრადიცია აქვთ და დღეს რატომღაც ეს ტრადიცია დანაშაულებრივი გულგრილობითაა უგულვებელყოფილი.

კამეჩი წყლისა და სითბოს მოყვარული ცხოველია. მას ბევრი ღირსება აქვს. კარგად იტანს სიცხეს: გრძელი და ბალიშა ჩლიქის წყალობით ადვილად იკიდებს ფეხს ჭაობში, სადაც სხვა ცხოველისათვის გამოუსადეგარ ბალახს შეექცევა. არც უხარისხო თივას და სხვა ნარჩენებს იწუნებს. და რაც მთავარია, მწირ საძოვარზე, სადაც ძროხა წონაში ვერ იმატებს, კამეჩი კარგად სუქდება.

ახლა რძეს არ იკითხავთ? ხარისხით და თვისებებით მის რძეს ბადალი არ მოეძებნება. ხოლო მაწონი?

— კიდევ ხომ არ მოგართვათ? — დიდი ქილით თავს დამდგომია მეკამეჩეობის ფერმის მუშაკი.

— გმადლობთ, — შორს ვიჭერ თავს. ცხიმმა გული მომიმსუყა.

— არ მოგეწონათ?

— საუცხოო იყო...

აქაური კაცი მეორეჯერ არ შეგეპატიჟება.

ბიბლიოთეკა

ერთხანს გაოცებით მიყურებს. მერე ქილას გაფოთლილ ტოტს აფარებს, მაგრამ არ ინახავს.

— რამდენი სული კამეჩი გყავთ? — ვეკითხები ნიკოს.

— ოთხასი. მაგრამ ამაზე არ შევჩერდებით. მომავალში ფურკამეჩის რაოდენობა საგრძნობლად უნდა გავზარდოთ...

ჯაფარიძელ მეკამეჩეთა მიღწევები მართლაც რომ საქვეყნოდაა ცნობილი. მერამდენე წელიწადია ფერმა საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე ფართოდ არის წარმოდგენილი. თითოეული კამეჩის საშუალო წველადობა წელიწადში 1.500 კილოგრამია. მაგრამ ცალკეული ფურ-კამეჩები ორიათას კილოგრამსაც იძლევიან.

საგულისხმოა ასეთი ფაქტი — გასულ წელს ჯაფარიძელთა ფერმებიდან სახელმწიფოს მიეყიდა 1.272 ტონა რძე. მაგრამ რადგან მასში დიდი რაოდენობით იყო კამეჩის რძე — 1.359 ტონად ჩაეთვალათ. ეს ზედმეტი 87 ტონა კამეჩის რძის მაღალცხიმიანობის საფასური გახლდათ და კოლმეურნეობის სალარო 21.750 მანეთით დამძიმდა.

— კამეჩი ხომ სამხრეთის ცხოველია, არ უჭირს აქაური ზამთარი? — ვიკითხე.

— რად უნდა გაუჭირდეს? — უკვირს თავმჯდომარეს, — კაპიტალურ სადგომებში გვყავს მოთავსებული, იქ კი ზამთრობით ტემპერატურა მაღალია.

მე დამათვალიერებინეს ეს სადგომები. საკვები დაკუწული და წინასწარ შემზადებული, ქიმიური ნაერთებით გამდიდრებული ეძლევა პირუტყვს. საკვებს ტექნიკა ანაწილებს.

— ამას წინათ ერთი ექსპერიმენტიც ჩავატარეთ, — ღიმილით მიყურებს ნიკო, — კამეჩი ელექტროაპარატით მოვწველეთ. იცოცხლე, იუცხოვეს პირველად. მაგრამ სხვა რა გზა აქვთ — უნდა შეეგუონ.

— შედეგი თუ მოჰყვა რამე?

— ხომ გითხარით, უნდა შეეგუონ-მეთქი. ჰოდა — ეგუებიან.

— მეკამეჩეობის ფერმები სხვა კოლმეურნეობებსაც აქვთ?

— თითქმის ყველას.

— იქაც ავტომატებით წველიან?

— არა მარტო ჩვენთან.

— სხვა კოლმეურნეობებში როგორაა საქმე?

— ყველგან მომგებიანია. ამასთან მოსახლეობას პირად სარგებლობაში ჰყავს ბევრი კამეჩი. მოიხედა, ძმაო, ხალხმა. ჩვენც რა ხელი გვეშლება — იყოს კერძო სექტორში საქონელი! სად წაიღებს სოფლელი კაცი ნამატ პროდუქტს? ისევ სახელმწიფოს, ისევ ჩვენს ბაზარს შემატებს... ჰოდა წელს, ზაქების ნაწილს სანაშენოდ შევინახავთ, ნაწილს მეზობელ კოლმეურნეობებს მივყიდით, ნაწილსაც — მოსახლეობას.

— მაგრამ მე ვიცი, რომ მოსახლეობას უჭირს საქონლის შენახვა.

— ეგეც გავითვალისწინეთ. — განაგრძობს ნიკო. — ჩვენ საგანგებო ღონისძიება შევიმუშავეთ გამგეობაზე. დიახ, სოფლის მოსახლეობას პირად სარგებლობაში არსებული პირუტყვის შესანახად დიდი რაოდენობით მიეცემა ყოველგვარი საკვები.

— ეს ჯერჯერობით გეგმაა მხოლოდ?

გაიცინა.

— ვითომ ასეთი კაცი ვარ მე? — მომაჩერდა გაბრწყინებული თვალებით.

## „ძნელი ობიექტი“

ზის ჩემს წინ. ხელები მაგიდის კიდეზე დაუწყვია და ჩაფიქრებული დაჰყურებს. კითხვას ვუმეორებ. მაინც რით იყო მნიშვნელოვანი განვლილი წელი-მეთქი. ისევ დუმს. მაგრამ ვატყობ, გონების თვალით სწონის განვლილს. სიმპატიური ქალია...

— რაო, მაია, — აგულიანებს თავმჯდომარე, — ენა ბრიგადაში დაგრჩა?

— თანა მაქვს. — სახე უნათდება მაია არაბულს. — ჯერ არ დავუმძიმებივარ.

— რა ვიცი, დამუნჯებულივით კი ზიხარ და...

— ეჰ, ძია ნიკო, განა ყველაფერი მნიშვნელოვანი არ იყო?

— ვერ გაიგე, — ყველაზე განსაკუთრებული.

— ყველაზე განსაკუთრებული გეგმა იყო ჩემთვის. — მოჰრა მაიამ.

— აგაშენა ღმერთმა! — გაიცინა ყოჩიაშვილმა. გაიცინა და ყოველგვარი უხერხულობაც გაქრა. მაიამ თვალი დაატანა მაგიდაზე გაშლილ უბის წიგნაკს, რომელშიაც მისი გვარი ჩაეწერე.

— ჩემზე უნდა დასწეროთ? — გამოცოცხლდა უცებ.

— ალბათ. — არ დამიფარავს.

— არ იქნება საინტერესო. ვცხოვრობ, ვმუშაობ. დილიდან საღამომდე ფერმაში ვარ... — იუჟრა. ისევ დაიხედა ხელებზე. შეიშმუშნა და მუხლებზე დაიკრიფა.

არა, არც ისე სიტყვაძუნწი აღმოჩნდა, როგორც თავიდან მომეჩვენა!

არ გჯერათ? თავად მოუსმინეთ.

— თუკი აუცილებლად უნდა დასწეროთ რამე, ჩემს თანასოფლელზე — ზაირაზე დასწერეთ. — დაიწყო შორიდან, — ისიც ჩემსავით მწველავია.

— ჰოო, — უცებ მივუხვდი გულის წადილს, — ზაირას ვიცნობ.

— მით უმეტეს. — თვალებში ეშმაკური ნაპერწკლები აუკიაფდა. — საქვეყნოდ განთქმული ქალია. მისი დიდების ამონაშუქს ხელი რომ ჩაჰკიდო და გაჰყვე, კრემლში მიგიყვანს. აბა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქ გადაწყდა მისი გმირობის ამბავიც. დიდებას კი ოდნავადაც არ უმოქმედნია მის ხასიათზე — დარჩა ადრინდელი თავმდაბალი და ჩუმი, მორიდებული და უბრალო. გზაზე თუ შეგხვდებათ, სალამს ვერ დაასწრებთ, ხოლო უცხოს ისე მოკრძალებით გაუღიმებს, ვერც მიხვდებით, თუ ჩვენი დროის ჭეშმარიტ გმირთან გაქვს საქმე. ფური პირველად ომალოს ფერმაში მოწველა — (ხომ გაგიგონიათ ომალო?) მაშინ ათი წლისა იყო. ათი წლის ბალღს რა უნდოდა ფერმაში! ცხადია, კარგ ცხოვრებას არ მოუყვანია იგი იქ. შვიდი და-ძმა იყვნენ ოჯახში. უჭირდათ. ბავშვები ადრიდანვე შეეჩვივნენ შრომას. მერე ჯოყოლოს კოლმეურნეობაში გაგრძელდა მისი შრომითი გზა, და აგერ უკვე მეთვრამეტე წელი დადგა, ჯაფარიძის კოლმეურნეობის წევრია. პირველად ცამეტი ფური ჩააბარეს. მაშინ ხელით ვწველიდით. ნაწველიც შედარებით ნაკლები იყო. სხვა შრომატევად სამუშაოებსაც ხელით ვასრულებდით. საოცრად მოწადინებული ჩანდა. ერთ წუთსაც არ ისვენებდა და სასურველ შედეგსაც მიაღწია — წლის ბოლოს ყოველ ფურზე საშუალოდ 2.700 კილოგრამი რძე მიიღო. მომდევნო წელს 2.800! მერე მახსოვს, ახალთახალი ჭერი დავულოცეთ მარტოხელა ქალს. შევუქეთ შრომისმოყვარეობა, ტკბილი სიტყვით წავახალისეთ, მოვეფერეთ და უცებ — არ აუჩვილდა გული?! არ ვიცოდი, თუ უცხო სოფლიდან მოსულ ქალს ასე ღვიძლივით მიმიღებდით! რა სისულელეა. უსაქმური და მეთავისე რომ ყოფილიყო, რომელი ჯაფარიძელი უჩვენებდა ღიმილს- ჩვენს სოფელში შრომა უყვართ. შრომით ფასდება და შრომით იწონება ადამიანი. ჯერ ლენინის ორდენით აღინიშნა ომალოს მთიან სოფელში დაბადებული ქალის საქმიანობა. მერე შრომის წითელი დროშის ორდენით... საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე არაერთხელ ახსენეს მისი სახელი.

ვითომ მეტოქეა იგი ჩემი? ცხადია. მაგრამ მეტოქეობაც არის და მეტოქეობაც! ერთმანეთს ვასწავლით, ვეხმარებით, მივუთითებთ, გამოცდილებას ვუზიარებთ, აგერ, სულ ახლახან, პირდაპირ ჯარიდან მოვიდა ფერმაში იოსებ ჭილლაშვილის ბიჭი, ოთარი. მომვლელად მივიღეთ. სოფელში ზოგმა ახალგაზრდამ ეკალი უჩხვლიტა — როგორ გუავს ძროხებიო... „კარგადო, — უპასუხნია იმას. — ეს არის ოლონდ, რომელიდაცა ოქროს იწველება, და იძულებული ვარ, ვიდრე მივაგნებდე, ყველას ერთნაირად მოვუარო...“ „ეს როგორ, — გაკვირვებიათ მეტიჩარა თანატოლებს, — როდის მერე იწყეს ძროხებმა ოქროს წველა?“. ჩემი თუ არ გჯერათ, შეგიძლიათ ზაირას ჰკითხოთო, — იყო ოთარის პასუხი. სწორია, ვითომ ეს? დასკვნის გამოტანა თქვენთვის მომინდვია, მაგრამ ჩემი მხრივ ერთს დავუმატებდი — ეს ხანუკვარი ოქრო, რომლისგანაც გმირის ვარსკვლავებს სჭედენ [illegible] თქმის ყველგან იპოვება. ოლონდ ამისთვის დიდი ჯაფა და საქმის უსაზღვრო სიყვარულია საჭირო. ფაქტი გნებავთ? ახლავე. ისევ ზაირას მაგალითს მოვიშველიებ. როგორ გგონიათ, საქმისადმი სიყვარული მარტო ფერმით შემოისაზღვრება? არავითარ შემთხვევაში. იგი კომუნისტია. ეს კი ბევრ რამეს ავალებს. იცით, რა ცეცხლი დაანთო მან პარტიის რაიკომის პლენუმზე? ეს გახლდათ პრინციპული გამოსვლა, რომელიც ფაქტებით იყო განმტკიცებული. რას ეხებოდა მისი გამოსვლა? მიწის გონივრულ გამოყენებას, მეცხოველეობის პროდუქტების უყაირათოდ ხარჯვას, იმ სიძნელეებს, ელექტროენერგიის ხშირი გამორთვით რომ ექმნება მექანიზებულ ფერმას... ახლა მე დაწვრილებით არ შევჩერდები ზაირას მიერ წამოჭრილ საკითხებზე. მე სხვა რამ მინდა ვთქვა. ადამიანი ხშირად ხედავს, რომ მის გარშემო ნაკლია, რაღაც ხარვეზია, მაგრამ დამშვიდებით ჩაუვლის გვერდს. ჰგონია, ეს ვიღაც სხვამ უნდა გააკეთოს... აი, ყველამ რომ ზაირასავით დაანთოს ცეცხლი!...

შეჩერდა. სული მოითქვა.

— და ამის შემდეგ თქვენ მაინც გინდათ დაწეროთ ჩემზე?

— ასეა. — არ დავყარე ფარხმალი.

— აი, მე რომ ძია ნიკოს ვგავდე, ოდნავ მაინც ვგავდე მუყაითობით, მაშინ, იცოცხლეთ, მოვხსნიდი გუდას... ძია ნიკო ჩვენი თავმჯდომარეა. იცით, მას მერამდენედ ასახელებენ თავმჯდომარედ?

— ვიცი...

— მაშინ ისიც გეცოდინებათ, რამ განაპირობა ეს... — შემხედა, თითქოს შეამოწმა, ვუსმენდი თუ არა, და განაგრძო. — იმ სოფელმა, იმ საქმემ, რომელსაც იგი უდგას სათავეში. განა სხვები არ შრომობენ? განა სხვები ნაკლებ უძლვებიან საქმეს? მაგრამ ძია ნიკოს ხელში სოფელი სულ სხვანაირად სუნთქავს... როცა ფერმაში პირველად მივედი სამუშაოდ, კოლმეურნეობას სამი საძროხე და ერთი შეკოწიწებული ფიცრული ჰქონდა მწყემსებისათვის... ახლა? თუმცა თავადაც არ ნახეთ?

კი, ვნახე — ენამთასა და მილარის სახაზღვროდ მეცხოველეთა მთელი ქალაქია გაშენებული. სუფთა, ქათქათა ფერმები. ერთმანეთის მასწორ ჩაწკაპული საცხოვრებელი ბინები. საკვები კულტურებისათვის განკუთვნილი ორმოცდაათი ჰექტარი. ოციც — საძოვარი. იქვეა საფურაჟე საწყობი, საკვების საამქრო, უხეში საკვების შესანახი ფარდული, მოზარდის საზაფხულო სადგომი...

მეცხოველეთა ამ პატარა ქალაქს საკუთარი რადიოკვანძიც გააჩნია.

თვით ფერმებში თითქმის ყველა პროცესი მექანიზებულია. კომპლექსურმა მექანიზაციამ —

ეროვნული ბიბლიოთეკა

(საკვების დარიგება, დარწყულება, წველა) საგრძნობლად შეამცირა დასაქმებულ მუშაკთა რაოდენობა.

— არ უნდა ყველაფერ ამას გულიანი მოვლა? — მკითხა მაიამ.

— ცხადია. — დავეთანხმე უნებურად.

— აი, ნიკო ძიას საიდუმლოც აქ არი. გამიგეთ?

— ვერა, — ვუთხარი გულწრფელად.

— მაშინ უფრო გასაგებად აგიხსნით. აი, მე კოლმეურნეობაში ვმუშაობ. ადრეც გითხარით, მწველავი ვარ-მეთქი. მე საკუთარი სინდისით ვაგებ პასუხს ჩემი საქმიანობის გამო. მაგრამ აქ რა გამოდის, ნახეთ — თუკი ცუდად ვმუშაობ ვთქვათ, ვერ გავართვი თავი, რაიონის, რესპუბლიკის წინაშე ვინ უნდა აგოს პასუხი? დაუძახებენ ძია ნიკოს და ეტყვიან: „ამხანაგო, ეს როგორ მოხდა, რომ ჩაგივარდათ საქმე?“ ძია ნიკო კი თავის მაგივრად და ჩემს მაგივრადაც უნდა გაწითლდეს, სიმწრის ოფლმა უნდა დაჰინჯროს... ნიკოს უკან მთელი კოლმეურნეობა დგას. კოლმეურნეობა კი ჩვენა ვართ... ამიტომ, როცა რაიმე საქმეს ჰკიდებ ხელს, ამ საქმეს მთლიანად უნდა მიუძღვნა თავი... ისევ ვერა ვთქვი მისახვედრად? — მომაჩერდა თვალებში.

მე თავი დავუქნიე.

მერე მე მთელი დღე დავეძებდი ზაირა ალხანიშვილს.

ათასი საქმითა და საზრუნავით დაყურსულს ერთი წუთი მოცლა არ ჰქონდა — ბოლოს, შეღამებისას, როგორც იქნა, თავად დარეკა კანტორაში.

მაგრამ რაზე უნდა ელაპარაკო ადამიანს, რომელიც მთელი დღე ფერმაში ტრიალებს, დაღლილი ბრუნდება შინ და ვახშამი აქვს მოსამზადებელი?

თავისდაუნებურად ჩნდება ფრაზა:

— მე მგონი, თქვენ მაინც ბედნიერ ვარსკვლავზე ხართ დაბადებული...

— ბატონო?!.. — ისმის მისი ხმა ყრუდ.

— ბედი გწყალობთ-მეთქი...

— ბედი... იღბლიანი... არ მომწონს ასე რომ ამბობენ ხოლმე. ცხოვრებაში ყველაფერი გაცილებით მარტივადაა. ადამიანს აქვს თავი და ორი ხელი. ამ ხელებით იგი აკეთებს იმას, რაც ჩაიფიქრა. ხოლო ბედნიერება, ის, რასაც თქვენ იღბალს ეძახით, ამ ხორცშესხმული ჩანაფიქრის შედეგია.

— მაშასადამე, ყველაფერი თვით ადამიანზეა დამოკიდებული?

— რა თქმა უნდა. — ზაწზალაკები წკრიალებენ მის ხმაში.

— ხოლო გარემოება? — ვიკითხე მე.

— თუ ხელსაყრელი არ არის, მისი გარდაქმნა უნდა შესძლო...

— ეს უკვე ყოვლისშემძლე ადამიანის თვისებაა. — ვამბობ მე.

იგი დუმს, დუმს და მერე იცინის.

— კარგი, ბატონო, დასწერეთ: ზაირა ალხანიშვილი — ბედნიერ ვარსკვლავზეა დაბადებული.

... რამდენი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც საგულდაგულოდ შეკრული ფუთებითა და პაწია ბალღებით სოფელ ჯაფარიძეში ჩამოვიდა?

თითქმის ცხრამეტი...

მაგრამ წლების დასათვლელად რას მოიცლი, როცა ცხოვრება თავიდან გაქვს შესაქმნელი.

დღედალამე გასწორებული ჰქონდა. მაშინ ფერმაში სად იყო ახლანდელი პირობები! ყველაფერს ხელით აკეთებდნენ.

გულში შეპარული შიში, — ვაითუ ცხოვრებამ არ გამიმართლოსო. — თანდათან გაუქრა.

სამი წლის მერე საკუთარი ჭერი იზეიმა. მაგრამ ეს მარტო მისი ზეიმი როდი იყო: მთელმა სოფელმა მოითქვა სული. მთელმა სოფელმა გულით დალოცა ალალი შრომით შექმნილი კერა...

...1974 წელს საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებით ჯაფარიძის კოლმეურნეობის მწველავს ზაირა ალხანიშვილს სოციალისტური შრომის გმირობა მიენიჭა...

— კმაყოფილი ხართ განვლილი წლის ნამუშევარით? — დავუსვი ტრადიციული კითხვა.

— ვარ და არცა ვარ.

— რატომ?

— შეგვეძლო უფრო მეტი გაგვეკეთებინა...

— ჯერ ხომ ყველაფერი წინაა?

— ცხადია. მაგრამ ამას წინათ რაიონის პარტიული და სამეურნეო აქტივის კრებაზე მარტო წარმატებებზე როდი იყო ლაპარაკი... როგორც ჩანს, ხელის ერთი დაკვრით არ შეიძლება ნეგატიურ მოვლენათა აღმოფხვრა... დღეს, როგორც არასდროს, პირუთვნელი, მებრძოლი სიფხიზლეა საჭირო... სხვანაირად ვერ დავადგამთ თავს რესპუბლიკის მშრომელთა წინაშე დაყენებულ ამოცანებს...

როცა დავემშვიდობე, ვლადიმერ ილიასძე ლენინის ცნობილი სიტყვები გამახსენდა სახელმწიფოს მართვის შესახებ...

უბრალო, რიგითი მწველავი დიდ სახელმწიფოებრივ სიმაღლიდან ზომავდა რესპუბლიკის ხვალინდელ დღეს...

## „ძეგლი ავიგე“.

მე, ალბათ, დიდხანს მემახსოვრება ეს ზღაპრული ადგილი მზისაგან გათანგულ შირაქში. „კაკლებს“ ეძახიან ვიდრე „კაკლებს“ მიაღწევდეთ, ქოჩების თავზე უნდა შეჩერდეთ წამით შეჩერდეთ და თქვენს წინ ნებივრად გაწოლილი შირაქის მსუყე ფერებით დატკბეთ... მერე სანგლებს მოიტოვებთ უკან და როცა გულშირაქის სანახებს მიაწევთ, „კაკლების“ საიდუმლოებასაც ამოხსნით. თუმცა რა საიდუმლოებაა — დიდმა და პატარამ იცის, რომ ეს კარგა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრძელ მანძილზე გადაჭიმული ჩრდილიანი ხეივანი ნიკო ყოჩიაშვილის სახელთანაა დაკავშირებული.

მისი გაშენება 1949 წელს განუზრახავს ჯაფარიძელთა თავკაცს.

გამგეობაზე ამის გამო ერთი ამბავი ამტყდარა.

— ეს რა წამოგიწყია, — გაუქნევია სატევარი უმრავლესობას, — შირაქში აბა, სად, როდის გინახავს გახარებული ხეო.

— ახლა გავახარებთო, — მოკლედ მოუჭრია ნიკოს. ბევრი წილაბოდილა არ უყვარდა. თქმა და შესრულება ერთი იყო.

მაგრამ ზაქათალიდან ამოტანილ პაწია ბაყილოებს ძალზე გაუჭირდათ შირაქის გავარვარებული ჰაერის სუნთქვა, ერთბაშად მოიწყინეს.

— ამაოდ დავიხარჯენით, ნიკო! — გაიძახოდნენ თანასოფლელები. — ამდენი ნერგის დაღუპვა იქნებოდა?!.

— არ დავიხარჯენით. — გაღიზიანება ეტყობოდა თავმჯდომარეს.

— ვნახოთ, — იყო დამცინავი ღიმილი.

და ნახეს: რამდენიმე დღის შემდეგ ნერგებს ოთხი ათასი საგანგებოდ მოწნული გოდორი რომ გადააფარეს თავზე — მზემ არ შეაწუხოსო.

დიდი დრო გავიდა მას შემდეგ. ახლა შირაქში ბარე ორ კილომეტრზე აღმართულა კაკლების კორომი. ძალუმად აუქნევიათ ტანი, გაბარჯღულულ და ჩარკინულ ტოტებში გვრიტები მოკალათებულან — მოფარებიან მცხუნვარე მზეს... აქ კი სიგრილეა. ბორიო ნელა არხევს ცისკენ აწეულ წვეროკინებს.

მერე მე გავიგე, რა დრო, რა შრომა დაიხარჯა თითოეული ნერგის გასახარად. საგანგებო ზედამხედველიც კი ჰყავდა კოლმეურნეობას გამოყოფილი. ხოლო შვიდი ურემი კვირაში ერთხელ წყლით დატვირთული ჩამოიჭრიალებდა ჯაფარიძედან.

...ნიკო მანქანიდან გადმოვიდა. მაღალი ბალახი („კაცო, ამდენხანს რატომ არ გათიბეთ?!") ფეხით მისწი-მოსწია. დაიხარა, მიწიდან რაღაც აიღო.

— დამწიფდა უკვე. ნახე, რა ლებანი აქვს — ცარიელი ზეთია. — და ჯერ კიდევ ჩენჩოშეუმძვრალი კაკალი გამომიწოდა.

ახლა ეს ორი კაკალი ჩემს საწერ მაგიდაზე დევს. რისთვის წამოვიღე? ნარკვევში ამ მაღალი, მკერდგანიერი ხეივნის მოხსენიება არ დამავიწყდეს მეთქი. მაგრამ უიმვიათეს, მართლაც რომ „ხელთუქმნელ ძეგლს" რა დაგავიწყებს?! საუკუნეთა მანძილზე დარჩება.

მახსენდება ნიკოს ნათქვამი: „იქნებ ამისთვის მოვედით ქვეყანაზე?".

ამისთვისაც და კიდევ — ბევრი სხვა რამისთვისაც.... ეს შესანიშნავად იცის ნიკო ყოჩიაშვილმა. ამ მიწის მკვიდრია იგი. ამ მიწის შვილი. და ყველაფერი, რაც მის ცხოვრებასთან არის დაკავშირებული, ამ კუთხე-კუნჭულიდან იღებს სათავეს.

ხანდახან წამოცდება:

— არა, ძმაო, თუ ნამუსიანი, გულიანი შრომით არ ამშვენებ შენს ადგილს, არაფერი გამოვა...

მე გადავხედე მის ბიოგრაფიას: ექვსი წლისა დაობლდა. იყო მეხრე, მეურმე, კოლმეურნეობის საწყობის დამხმარე მუშა. სკოლა რომ დაამთავრა, მეკამეჩეობის ფერმის აღმრიცხველად გაამწესეს... იყო შრომის ორგანიზატორი, სოფლის საბჭოს თავმჯდომარე.

ურთულესი დრო დაემთხვა მის ახალგაზრდობას.

ომი იყო. ფრონტზე, თანატოლთა გვერდით მიუწევდა გული. არ გაუშვეს. არ გაუშვეს, რადგან აქ, ზურგში, არანაკლებ საპასუხისმგებლო უბანი ებარა. ჰოდა, ახსოვს ნიკოს: ფრონტიდან ჩამოსული ავის მაუწყებელი ფარატინა ქაღალდს პირველად სასოფლო საბჭოს თავმჯდომარის ხელში უნდა გაევლო....

სოფლის სარკე მისი ეკონომიკაა. ოცდათერთმეტი წელია ამ ეკონომიკის სადავეს ნიკოს ანდობს სოფელი. როგორც ვთქვი, უმძიმესი დრო იყო. მხოლოდ მუყაითი და საკოლმეურნეო საქმის გულისგულში ჩახედული კაცი თუ გაბედავდა თავმჯდომარის კაბინეტში შესვლას. პირველად შორს დაიჭირა თავი. არ გაუვიდა. „მოგეხმარებით", — უთხრეს პარტიის რაიკომში. ქვეყანას აკლდა პური. მანქანა-იარაღები, და, რაც მთავარია, მუშახელი. სურსათი არ გააჩნდათ.

იმ ორმოცდაექვსი წლის თოვლიან თებერვალში ჯაფარიძელთა მთელი შემოსავალი 108 (ძველი კურსით) ათასი მანეთი იყო. ხორბლის საშუალო საჰექტარო მოსავალი 11,9 ცენტნერი. მზესუმზირისა — 8,1 ცენტნერი. თითოეულ ფურზე — 424 კილოგრამი რძე იწველებოდა წლიურად. სახელმწიფოს მიეყიდა ასი ცენტნერი ხორბალი, ოცდაჩვიდმეტი ცენტნერი ყურძენი, რძე — ოცდათორმეტი ტონა, ხორცი — ოცდათხუთმეტი ტონა...

დღეს, შორეულ წელთა გადასახედიდან, ნიკოს სახეზე თბილი ღიმილი გადაირბენს მხოლოდ.

— ბეღელში რომ შევიხედე — ელდა მეცა, შიგ ერთი გრამი მარცვალიც არ იყოო...

მაგრამ მხოლოდ ჯაფარიძელებმა იციან, რა დაჯდა ეს თბილი ღიმილი. ახსოვთ, საერთო კრებიდან ახალარჩეულმა თავმჯდომარემ მეზობელი კოლმეურნეობისაკენ გასწია — სოფლის გამოსაკვებ მარცვლის სათხოვნელად.

ორი ტონა ისესხა. ძლივს მიიტანეს სული მოსავლამდე...

— ჩემი თავმჯდომარეობის არჩევისას რომ ხორბალი ვიხეხხე, იმდენ ხორბალს ახლა ჩვენი

მეცხოველეობის ფერმები ხარჯავენ პირუტყვის საკვებად... ერთი დღის მანძილზეო, — ამბობს ნიკო.

ასე შეიცვალა დრო.

მერე და ვინ ქმნის ამ დოვლათს?

ნანა არაბული, მიტო ყოჩიაშვილი, ნიკო ლეკაშვილი, ალექსანდრე ქავთარაძე, სოსო პავლიაშვილი, ნათელა ქურციკაშვილი, ვასილ ხატიაშვილი, შენგელი პაპაშვილი, ნადია შარმაზანაშვილი, გოგია ლაპიაშვილი, ვასო თეთვაძე, ივანე გოგილაშვილი... მთელი კოლმეურნეობა — 710 წევრი...

არის ხოლმე, სოფელი კარგი მაჩვენებლებით იწონებს თავს. ჰყავს შრომის გმირები. მაგრამ როცა მათ „საშინაო საქმეებში" ჩაიხედავ, გული დაგწყდება: გხვდებიან სპეკულიანტები, იოლი ცხოვრების მოტრფიალე ელემენტები, ზოგჯერ მეზობელთა მყუდროებას აყალ-მაყალი არღვევს... ჯაფარიძე ამ მხრივაც სამაგალითო სოფელია.

და ცხოვრობს სოფელი წითელწყაროს მეზობლად. ამ სოფელში მოხვედრილ უცხო კაცს შეიძლება იგი რაიონული ცენტრის გაგრძელება ეგონოს — თანამედროვე კოხტა სახლები, უზარმაზარი კულტურის სასახლე, სავაჭრო ობიექტები, მზეს შელიმებული სკოლები, სწორი, მოასფალტებული ქუჩები...

ანბანური ჭეშმარიტებაა: როცა კაცს ოჯახში კარგად გაქვს საქმე, სტუმარი გიხარია. ჯაფარიძელებიც სიამოვნებით გიჩვენებენ თავიანთ მინდვრებს, ზვრებს, ფერმებს...

რა არის ამ წარმატების საფუძველი?

ცხადია, ეკონომიკა... და შემოქმედება. დიახ, სწორედ რომ ავრეა, ეკონომიკა და შემოქმედება. შესაძლოა, ეს უხერხული გამოთქმაა. რადგან ეკონომიკა შერაცხულია ზუსტ, მშრალ და ფანტაზიას მოკლებულ დისციპლინად. შემოქმედება კი სულ სხვაა. მარადი აღმაფრენაა. უფრო მეტად ინტუიციაზე დაფუძნებული ძიებაა. ჯაფარიძელებმა ამ ორი მცნების შეპირაპირება სცადეს. დიახ, როცა მეურნეობას შემოქმედი და ამასთანავე უაირათიანი ადამიანები უძღვებიან, საქმესაც წარმატება ებედება. ეს ადამიანები თავიანთ ყოველ წარმატებას საწარმოო გეგმის სასწორზე სწონიან — გამარჯვების საწყისიც ეს არის სწორედ.

ამ ადამიანებმა იციან, რისთვის მოვიდნენ ქვეყანაზე...

## ცისარტყელები

ნიკო დიდი, გულუბრყვილო თვალებით მისჩერებია სივრცეს. ეს-ესაა ალიონმა ძლივს მოიკიდა ფეხი უკიდეგანო ველზე. გაცბუნებული ვდგავარ — ასეთი სილამაზე არასოდეს მინახავს. გაუჩულა ალაზანი. გაუჩულა გარემო ბ ლაიი რომ ბალახია, ისიც არ იძვრის... აქ მხოლოდ სუნთქვაშეკრულმა უნდა უთვალთვალო დღისა და ღამის ჯადოსნურ მონაცვლეობას. და უცებ — ცა იხსნება. მე ვერ აგიწერთ ამ ფერებს. ვერ აგიწერთ, როგორ ითქვიფება ერთმანეთში ღამისა და დღის ფერები... ასეთი მხატვარი ჭერჭერობით არ დაბადებულა, ალბათ...

ცოტაც და ვგრძნობ, ცის გაქვავებულ ბროლზე, როგორ მოწკარუნებს მზის ოქროსფერი წვიმა...

აი, ამის სანახავად ამაყენა ნიკო ყოჩიაშვილმა ღამის სამ საათზე.

... განათდა ყველაფერი და ამოძრავდა გარემოც: ტოროლა ამომავალი მზის შესახვედრად დაიძრა.

საიდან მოდიან ეს ჯადოსნური, შეუცნობელი ხმები?

იქნებ ეს გალაღებული, შრომით გულგაჭერებული მიწის სიმღერაა?

ნიკოს სახეს ღიმილი ეფინება. ეს ღიმილი კი არა, უფრო შინაგანი შუქია, სულის უხილავი სათავსოებიდან გამოჟონილი. გჯერა მისი. გჯერა, რომ ამ თავმდაბალ, მუდამ მოუცლელ ქალარა მამაკაცს სისხლსა და ხორცში აქვს გამჯდარი თავისი ვალი. ეს არც არის გასაკვირი. მისი ცხოვრების ყოველი წუთი დიდი სახალხო საქმისთვისაა გახარჯული.

მახსენდება ლეონიდ ილიასძე ბრეჟნევის ნათქვამი: როცა ადამიანს ირჩევენ, როცა ნდობას უცხადებენ, იმ მომენტიდან იგი თითქმის არ ეკუთვნის თავისთავს. მან მთლიანად უნდა მიუძღვნას თავისთავი პარტიასა და ხალხის საქმეს...

ნიკო ყოჩიაშვილისთანა ადამიანებს გულისხმობდა ჩვენი ქვეყნის თავკაცი.

ერთი წუთი მოცლა არა აქვს.

ახლაც, ამ ადრეულ განთიადიდან თითქმის შუადღემდე უნაწილოდ დავქროდით შირაქში.

ვენახი, სახნავი, საქონელი, სიმინდი... რამდენი რამ უნდა მოიკითხოს, რამდენ რამეს უნდა გაწვდეს...

შირაქი კი წევს ჩვენს წინ — ათასი გზებითა და ბილიკებით დაცხავებული. გუგუნებენ მანქანები, კომბაინები, ტრაქტორები... გადაიქროლებს ვერტმფრენი... ეს არ გაკვირვებს. ადაპტაციის კანონს თავისი გაუკეთებია. მაგრამ უცებ: „კაჭკაში" შებმულ სახედარს ხედავ და ეს გულწრფელად გაოცებს და აღტაცებას იწვევს.

უზარმაზარი, ყვითელი მზე ჲასჩერებია შირაქს.

მის შემომქმედს — ნიკო ყოჩიაშვილს ქუდი მოუხდია და ისე დგას მზეში. უხმოდ დგას. მაგრამ ზოგჯერ დუმილი უფრო მეტს გამცნობს, ვიდრე სიტყვა.

კაკლეთის ხეივანს ზემოდ ქოჩებიდან ენამთამდე ცისარტყელა გადებულიყო ხიდად...

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვენი სტუმარია ლიტვური ჟურნალი „პიარგალე“

## ორიოდე სიტყვა ჩვენს ჟურნალზე

**იუოზას მაციავიჩიუსი**

ჟურნალ „პიარგალეს“ მთავარი რედაქტორი

1942 წლის გაზაფხულზე, ვოლგის სანაპიროზე, სადაც იმ დროს. საბჭოთა არმიის ლიტვური შენაერთები იქმნებოდა, გამოჩნდა საბრძოლო გაზეთის ლიტერატურული დამატება „პიარგალე“. ეს იყო არც თუ ისე დიდი მოცულობის გამოცემა, რომელმაც თავის ირგვლივ შემოიკრიბა მაშინდელი საბჭოთა ლიტვის ყველაზე თვალსაჩინო ლიტერატურული ძალები.

ამ გამოცემის, მისი დანიშნულების შესახებ შეგვიძლია ვიმსჯელოთ მის პირველ ნომერში დაბეჭდილი ს. ნერისის, პ. ცვირკას, ლ. გირის, ი. მარცინკიავიჩიუსის, კ. კორსაკის ნაწარმოებების მიხედვით, რომლებიც ჩვენი ლიტერატურის საუნჯეში შევიდნენ და რომლებისთვისაც დამახასიათებელი იყო ერთი საერთო ნიშანი — ბრძოლა ჰიტლერელ დამპყრობლებთან. შემთხვევითი არ იყო, რომ ჩვენმა მწერლებმა, შორს მყოფებმა მშობლიური ლიტვიდან, შემაზრზენი ომის პირობებში თავიანთ გამოცემას, ყველა საბჭოთა ადამიანისათვის სათაყვანო სიტყვა „გამარჯვება“. უწოდეს.

შემდგომში „გამარჯვება“ გადაიზარდა, გადაიქცა მსხვილ ლიტერატურულ და კრიტიკულ ალმანახად, რომლის პირველი წიგნი გამოვიდა მოსკოვში 1943 წელს, ხოლო მეორე, გამზადებული 1944 წლის გაზაფხულზე, გამოჩნდა უკვე განთავისუფლებულ საბჭოთა ლიტვაში.

1945 წლის მაისის თვეში „გამარჯვება“ ჟურნალად გადაკეთდა. ჩვენი ჟურნალის ოცდაათი წლის იუბილე დაემთხვა საბჭოთა ადამიანების დიდ დღესასწაულს — გამარჯვების ოცდაათი წლისთავს.

იმ ამოცანებზე, რომელთა გადაჭრაც ახლად დაბადებულ ჟურნალს მოუხდებოდა, ნათელ წარმოდგენას გვაძლევს შესავალი წერილი, დაბეჭდილი მის პირველ ნომერში. იქ ნათქვამი იყო: „გამარჯვება“ უნდა გახდეს იმ კერად, რომელიც თავის გარშემო შემოიკრებს საბჭოთა ლიტვის ლიტერატურის ყველაზე საუკეთესო ძალებს. მისი მიზანია გააერთიანოს და დარაზმოს ეს ძალები, რათა რაც შეიძლება ნაყოფიერი იყოს ჩვენი ლიტერატურის განვითარება. მის ფურცლებზე უნდა გაშუქდეს მნიშვნელოვანი ლიტერატურული მოვლენები, წარმატებანი“.

ჟურნალი „გამარჯვება“ განუხრელად მიდიოდა ამ გზით; ძნელ ომისშემდგომ წლებში, როცა ლიტვაში მწვავე კლასობრივი ბრძოლა მიმდინარეობდა, იგი

სოციალისტური რეალიზმის დამკვიდრებისათვის იბრძოდა. ჟურნალმა შესძლო ერთ მთლიან ძალად შეემჭიდროვებინა ლიტვური ლიტერატურის ძირითადი კადრები. პ. ცვირკას, ს. ნერისის, ლ. გიროს, ა. ვენცლოვას, კ. კორსაკის, ი. მარცინკიავიჩიუსის, ე. მეჟელაიტისის, ი. ბალტუშის, ვ. მოზურიუნასისა და სხვა მწერლების გვერდით, ჯერ კიდევ ომის წლებში ჟურნალი თავის ფურცლებზე ბეჭდავდა ა. ვიენუოლის, ბ. სრუოგას, თ. ტილვიტის, ვ. მიკოლაიტის-პუტინას, ი. გრუშას და სხვა ნიჭიერ ჩვენს მწერლებს. ზოგიერთი მათგანი მაშინვე ჩადგა საბჭოთა ლიტერატურის რიგებში, სხვების გზა უფრო რთული გამოდგა. რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების გონივრული პოლიტიკის წყალობით ლიტვურმა ლიტერატურამ შესძლო მინიმალურად შეემცირებინა ეს დანაკლისი, რომელიც გარდაუვალი იყო კლასობრივი ბრძოლის პირობებში, როცა საფუძველი ეყრებოდა სოციალიზმს.

„გამარჯვებამ“ დიდი დახმარება გაუწია ახალი ლიტერატურული თაობების აღზრდის საქმეს. აქ თავიანთ პირველ ნაწარმოებებს ბეჭდავდნენ ი. მარცინკიავიჩიუსი, ვ. გრიბასი, კ. კუბილინსკასი, მ. სლუცკისი, ა. იონინასი, ი. მაციავიჩიუსი, რ. ლანკაუსკასი, ა. მალდონისი, ი. დეგუტიტე, კ. საია და სხვა — დღეს ფართოდ ცნობილი პოეტები, პროზაიკოსები, დრამატურგები.

ჟურნალი „გამარჯვება“, გაზეთ „ლიტერატურისა და ხელოვნების“ გვერდით იყო და არის ლიტერატურული კრიტიკის ძირითადი ტრიბუნა. არც თუ ისე ცოტა ყურადღებას უთმობს ჟურნალი ხელოვნების, კერძოდ, თეატრის, კინოს საკითხებს, პუბლიცისტიკას.

ჟურნალი თავის მკითხველს აცნობს სხვა რესპუბლიკის ლიტერატურულ ცხოვრებას, საზღვარგარეთის ლიტერატურის საუკეთესო ნაწარმოებთა თარგმანებს.

ძნელია, მოკლე სტატიაში ჟურნალის მთელი მუშაობის დაწვრილებით აღნუსხვა. კმაყოფილებით აღვნიშნავ, რომ „გამარჯვება“ თავის ძირითად ამოცანად ყოველთვის ისახავდა და ისახავს ჩვენი ლიტერატურის განვითარების საქმეს.

„გამარჯვების“ ყოფილი რედაქტორების, ცნობილი მწერლების — კ. კორსაკის, პ. ცვირკას, ი. ბალტუშის, ი. შიმკუსის, ვ. მოზურიუნასის კარგი ტრადიცია გადაეცა ჟურნალის დღევანდელ კოლექტივს. იგი ზრუნავს არა მწერალთა რომელიმე ჯგუფზე, არამედ მთელ ჩვენს ლიტერატურაზე. ჩვენს ჟურნალში იბეჭდება სხვადასხვა თაობის, განსხვავებული სტილისტური მიმართულების ნაწარმოებები, რომელთაც ერთი საბჭოთა საფუძველი აქვთ — სოციალისტური რეალიზმი. გადაჭარბებული არ იქნება, თუ მოვიხსენიებ, რომ ლიტვური საბჭოთა ლიტერატურის თითქმის ყველა მნიშვნელოვანმა ნაწარმოებმა დღის სინათლე პირველად ჟურნალ „გამარჯვების“ ფურცლებზე იხილა. აქვე დაიბეჭდა სადაო ნაწარმოებებიც, რადგანაც როგორც რვაწლიანი პრაქტიკა გვიჩვენებს, ექსპერიმენტის, გამბედაობის გარეშე, შეუძლებელია ხელოვნების წინსვლა. ისიც უდავოა, რომ უმრავლესობა „გამარჯვებაში“ დაბეჭდილი ნაწარმოებებისა, თავის დროზე კამათისა და მსჯელობის საგნად რომ იქცნენ, დღეს მტკიცედ შევიდნენ ჩვენი ლიტერატურის აქტიურ ბალანსში, მათ დადებითი შეფასება მისცა საკავშირო კრიტიკამ.

თავისთავად ცხადია, ჟურნალ „გამარჯვების“ რედაქციის საქმიანობაში იყო და არის ხარვეზები, არც თუ ისე ცოტა საზრუნავს გვიჩენს ლიტერატურული კრიტიკის სფერო. ჯერ კიდევ მოწყურებულნი ვართ ნაშრომებს, რომლებშიაც სრულყოფილად გადაჭრილი იქნებოდა ლიტერატურისა და ცხოვრების საკითხები. სიძნელეებს ვაწყდებით პუბლიცისტური მასალის გამოქვეყნების დროსაც.

იყო დრო, როცა მოძმე რესპუბლიკების ლიტერატურის გასაცნობად

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვკმაყოფილდებოდით ცალკეული პუბლიკაციებით. რამდენიმე წლის წინათ დაიბადა ახალი ტრადიცია — მივიწვიოთ სტუმრად სხვა რესპუბლიკის ლიტერატურული ჟურნალი, რაც საშუალებას აძლევს ჩვენს მკითხველს უფრო ღრმად გაეცნოს ამა თუ იმ ცოცხალ ლიტერატურულ პროცესს. ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე უკვე სტუმრად იყვნენ ლატვიის ჟურნალი „კაროგსი“, ესტონეთის „ლოომინგი“, ბელორუსიის „პოლიმია“. არც თუ ისე დიდი ხნის წინათ, ჩვენს ჟურნალს ესტუმრა თქვენი „მნათობი“ — ჟურნალი, მქონე ძველი და ლამაზი ტრადიციებისა. ჩვენთვის სასიამოვნო იყო გავცნობოდით ქართველ პოეტთა და პროზაიკოსთა საინტერესო ნაწარმოებებს, გვეგრძნო რით სუნთქავს დღევანდელი ქართული ლიტერატურა. კიდევ ერთი რამ: საქართველოსთან ლიტვური ლიტერატურის ნაცნობობა დაიწყო ჯერ კიდევ პირველი მსოფლიო ომის წინ. ლიტვური ლიტერატურის კლასიკოსმა ა. ვიენუოლისმა, რომელიც დიდხანს ცხოვრობდა თქვენს მხარეში, თავის „კავკასიურ ლეგენდაში“ აღწერა საქართველოს შესანიშნავი ბუნება, მისი ადამიანები, გამოიყენა ქართული ხალხური სიტყვიერების ელემენტები. ქართული (სვანური) ლეგენდის მოტივები გამოიყენა ასევე ბ. სრუოგამ თავის პოემაში „ქალღმერთი ტბასთან“ (1919), ხოლო ნამდვილი გაცნობა ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვან კულტურასთან დაიწყო მხოლოდ ლიტვაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. უკვე 1940-1941 წლებში, ლიტველი მკითხველი ეცნობა ა. წერეთლის, ტ. ტაბიძის. ლ. ქიაჩელის, გ. ლეონიძის და სხვა ქართველი მწერლების ნაწარმოებებს. მაშინ გამოჩნდა ნაწყვეტიც რუსთაველის პოემა „ვეფხისტყაოსნიდან“. ბევრი რამ გაკეთდა ქართული ლიტერატურის გასაცნობად ომის შემდგომ წლებში. დღევანდლამდე ლიტვურ ენაზე გამოცემულია 34 ქართული წიგნი. განსაკუთრებით სასიხარულოა, რომ ბოლოსდაბოლოს ჩვენს მშობლიურ ენაზე შეგვიძლია წავიკითხოთ თქვენი გენიოსის რუსთაველის უკვდავი „ვეფხისტყაოსანი“, რომელიც თარგმნა პოეტმა გრაიჩიუნასმა (დაბადებულია თბილისში).

ამ საპატიო და საჭირო საქმეს, ლიტერატურული ურთიერთობის განმტკიცებას დაეხმარა ჩვენი ჟურნალიც. ეჭვს გარეშეა, ამ კავშირს ჟურნალი განამტკიცებს და გააღრმავებს შემდგომში.

ჩვენი მხრით, გვინდა მადლობა გადავუხადოთ ჟურნალ „მნათობს“, სტუმართმოყვრულად რომ გაუხსნა კარი ლიტველ მწერალთა ნაწარმოებებს, რომლებიც თავის დროზე „პიარგალეს“ ფურცლებზე გამოქვეყნდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ედუარდას მეჟელაიტისი

### უძილობა

როგორ შემცირდა ჩვენი მწკრივები,
გზებზე დაეცა ხალხი ურიცხვი,
რაც წლები გადის, ჩემო მიწურო,
რა მახლობელი ხდები გულისთვის!
ხსოვნაში ისევ ბჟუტავ კვარივით,
სიმღერაც მესმის ჯარისკაცული,
შენ იყავ ჩემი პურიც, მარილიც,
შენს გრილ კედლებზე ვიყავ გაკრული.
მახსოვს ეგ ჭერი ჩამოქცეული,
აწ შენზე სიზმრებს ვარ შერჩენილი,
შენ ბევრჯერ მოგხვდა ტყვია წყეული,
ჩემი გულისკენ გამოფრენილი...
სისხლით დამბალი და გაჟღენთილი.
კვლავ მელანდება კალთა მაზარის,
საძმო საფლავებს ისევ ანათებს
ჩაუქრობელი ხსოვნის ხანძარი...
ჩემო მიწურო,
სახლო იმედის —
აწ სხვა მიმწუხრის რეკენ ზარები,
მცირდება ჩვენი გრძელი მწკრივები!
მაგრამ შენ ვეღარ შეგეფარებით

თარგმნა თედო ბექიშვილმა

## ალგიმანტას ბალტაკისი

### მოპატიჟება

რობერტ როჟდენსტვენსკის

რობერტ,
რა ხშირად მნახავდი ხოლმე,
სტუმარი არცკი გეთქმოდა მაშინ,
შევუყვებოდით პალანგის გორებს,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ხან დრო გაგყავდა მეგობრულ სმაში.
მეც მუდამ მანდეთ მეჭირა თვალი,
არ ჭირდებოდა ჩვენს ძმობას ძღვენი.
ვოროვსკის ქუჩა...
სარდაფის კარი...
და უზაკველი ღიმილი შენი.
მერე მეშვიდე სართულზე ახველ,
მეც ზე ავყევი ცხოვრების კიბეს,
რატომღაც ერთურთს ვერ ვხვდებით ახლა
თუმც შედარებით დამძიმდა ჯიბე...
თუმც თითო ეტლიც ვიშოვეთ უკვე,
უცხო ქვეყნებშიც დავდივართ ხშირად,
შეუსვენებლად წინა თუ უკან —
დაგეგმილია საღამოც, დილაც...
და მაინც ძმაო, ჩამოდი ერთხელ,
ჩამოდი როგორც ოდესმე წინათ,
კვლავ იმ უბრალო საუბარს შევყვეთ,
კვლავ ჩემს კედლებში დაიდე ბინა.
ისევ წავიდეთ ანკესით ტბაზე,
ანდა ტყეებში დავკრიფოთ ჟოლო,
თუ გინდა გარეთ ნუ გავყოფთ თავსაც —
ძმობის ტრაპეზი გავშალოთ მხოლოდ...
ნუღარ დაუწყებ მიზეზებს ძებნას,
ჩამოდი, როგორც მოსულხარ წინათ
კვლავ ერთმანეთი ვიხილოთ ძმებმა —
მოგელის ჩემი გულიც და ბინაც!

თარგმნა თედო ბაქიშვილმა

## იუოზას მაციავიჩიუსი

## ცეცხლმოკიდებულ მიწაზე

ვიტალი კოროტიჩს

პატარა ბიჭი კიევში მიდის
ალმოდებული გზით,
დღისით და ღამით
მიდის და მიდის —
ბნელში დანთქმული გზით.
ყელს მიბჯენია
მწველი სიმღერა,
მაგრამ მან განა იცის,
მან არაფერი, სულ არაფერი
არაფერი არ იცის!
ცეცხლმოდებული, კვამლში დანთქმული
გზით კიევისკენ მიდის.
ჯერ შორი არის გზა კიევამდე
უფრო შორს — უცხო ზღვები;
ნიუ-იორკები, მონრეალები
გაიგონებენ მალე
იმ ბიჭის მიერ

ნათქვამს სიმღერას
იქ, ცეცხლმოდებულ გზაზე.
პატარა ბიჭი კიევში მიდის
ცეცხლმოდებული გზით,
ყელს მიბჯენია მწველი სიმღერა
ბოლში დანთქმული მზის.

თარგმნა ბესიკ ხარანაულმა

## იუსტინას მარცინკიავიჩიუსი

* * *

ჩემო დაო, ჩემო წყნარო
შემოდგომის ბალახო,
იქ, ტყის იქით ჩაძირულა
ტანდაბალი სახლები,
რომელთაც მე ვეფერები
ჩემი მოგონებებით.
დამიტოვე ღიად კარი
მიწავ შემოდგომისა,
დარჩენილო კრავის კვალში
მოჭიატე ცის თვალო,
რატომ სიტყვა არ მითხარით
როცა მუხლი გიყარეთ.
დაო, წყნარო, ვარსკვლავ-დაო
დამაბრუნე აღვსილი,
ყველაფერი, რაც არსებობს
შემიკრიბე ყოველი,
ჩემი თავი, სახე, სული
სული უბერებელი,
რომ დავბრუნდე
ისეთივე,
როგორიც ვარ
წასული.

თარგმნა ბესიკ ხარანაულმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ალგირდას პოციუსი**

# ციცინათელა

მოთხრობა

ისინი ახალგაზრდულ ბაღში, ამომშრალ შადრევანთან უნდა შეხვედროდნენ ერთმანეთს. ეს შადრევანი სპილოებს ალყაში მოექციათ და ზეალმართული ხორთუმებით მოთმინებით ელოდნენ ჭავლის ამოსროლას.

რასას დაგვიანება არ უყვარდა.

ახლაც, ზუსტად რვა საათზე გამოჩნდა.

მანტასმა შორიდანვე დაინახა იგი, მაგრამ ისეთი გამომეტყველება მიიღო, თითქოს ვერ შენიშნა და ხვინჭით მოფენილ შადრევანს კიდევ ერთხელ შემოუარა გარშემო.

გოგო წინ გადაუდგა.

ბიჭმა ნაძალადევი გაკვირვებით ასწია თავი!

— აჰ! მოხვედი უკვე?

— ალბათ. — სიცილით გამოეპასუხა გოგო.

თითქმის ერთი წუთი ხელიხელჩაკიდებულნი იდგნენ. ერთმანეთს მისჩერებოდნენ. გოგოს იმ უჩვეულო შუქით გაბრწყინებოდა სახე, რაიც პირველი და მოუთმენელი შეხვედრისას შეიმჩნევა ხოლმე. ეს შინაგანი, სულის უხილავი კუნჭულებიდან გამონაჟონი ღელვა მანტასსაც გადაედო, შეუმჩნევლად გადაედო, და ახლა, როცა გოგოს თხელ, ხათცარ ნაზ თითებს უჭერდა თითებს, დამუნჯებულივით იდგა და ილიმებოდა. „რა მომხიბლავია, — ფიქრობდა იგი, — წყლის წვეთივით გამჭვირვალეა და სუფთა“.

ასე, ხელიხელჩაკიდებულნი ბაღის სიღრმისაკენ გაემართნენ.

დღის მხურვალება ჯერ კიდევ არ მინავლებულიყო. ვილნიალის გასწვრივ გატოტილი ალვებისა და ტირიფების ჩრდილში თუ მოითქვამდი სულს — იქ გრილოდა. ნიავი, რომ ნიავია, ისიც არ აშფოთებდა ფოთლებს. ამ გასაოცარ სიჩუმეში წყლის დახშული ჩხრიალი და ხის წვეროკინზე შეყუყული ჩიტის უნიათო ქავქავი ისმოდა მხოლოდ.

ისინი დიდხანს დაბორიალობდნენ ჩრდილნაკრავი ბილიკებით. მიმწუხრზე ვილნიალეზე გადებული ხიდი გადაიარეს და წყაროს პირას ციცაბო კლდეზე დააპირეს აძვრომა. გოგოს გაუჭირდა. ფეხსაცმელები უცურდებოდა. დროდადრო შეიძახებდა კიდეც და წონასწორობადაკარგული ისეთნაირად აიქნევდა ხელებს, გეგონებოდა, გაჭიმულ თოკზე დგასო. ბოლოს, მაინც ვერ შეიკავა თავი. დაცურდა და უკან მდგომ მანტასს კისერზე ჩამოეკიდა. საოცრად ჰაეროვანი და გაზაფხულის ყვავილივით სურნელოვანი იყო იგი. ბიჭმა ხელში ატატებული აიყვანა ბორცვზე. აკაციის ბუჩქებთან რასამ პირველად აკოცა.

მერე დიდხანს გაჰყურებდნენ გაბრ-

დღვიალებულ ქალაქს, ბინდ-ბუნდში გარინდულ ტაძართა გუმბათებს.

ქვემოდან ქალაქის ხმაურთან შეზავებული მდინარის შხუილი აღწევდა.

თბილი, მყუდრო ღამე იდგა. ნეტარებისაგან გადამთვრალებს ცა ქუდად არ მიაჩნდათ და დედამიწა — ქალამნად. ფიქრში წასულნი ქუჩებს, სახლებსა და მოედნებს დასტრიალებდნენ თავს.

შეუმჩნევლად გაიპარა დრო, და ახლა, ვაკეზურგიან ბორცვზე დარჩენილთ, ფერხთით გართხმული ქალაქი მიტოვებულ კოცონად მოეჩვენათ — თანდათან რომ ქრებოდა და კარგავდა ძალას.

აკაციის სურნელებითა და გოგოს ნორჩი სხეულით გაბრუებული მანტასი სულ უფრო და უფრო ეძალებოდა რასას ტუჩებს. სისხლი ხმაურით დაჰქროდა ძარღვებში. მას ესმოდა ეს ხმაური, გულისცემაც ესმოდა — მძლავრი და აზობოქრებული. ხელი თავის თავად მიცოცავდა გოგონას წელისკენ, თრთოლვით ეხებოდა გლუვ, შიშველ მუხლისთავებს.

— მოდი ჩემთან... მოდი... — წაიჩურჩულა მან და სახე გოგონას თმებში ჩარგო.

რასამ მისი ცხელი სუნთქვა იგრძნო, იგრძნო კი არა, მთელს კისერზე ჭიანჭველებმა გადაურბინეს. დაიწმაწნა — იფიქრა, ბიჭის მკლავებისაგან თავს გავითავისუფლებო, ვერა გააწყო-რა და ხვეწნად იქცა:

— ნუ,. შენი ჭირიმე... არ გინდა, გესმის?!... ნუ...

მანტასს არაფერი ესმოდა.

ვნებაატანილსა და აფორიაქებულს, მთელი სახე ეწვოდა. თვალებიც დაებინდა. ასეთი რამ ადრე არასოდეს დამართნია. ამან შეაცბუნა.

ეს ცვლილება არ გამოპარვია გოგოსაც. ახლა იგი გააფთრებით ეწინააღმდეგებოდა, ხელებს უჭერდა, სახეს არიდებდა და ჩურჩულებდა:

— არ გინდა... გესმის... არა-მეთქი!

მოულოდნელად მანტასი მოეშვა. თავი ასწია, გოგონას თვალებში ჩახედა.

— არ გინდა-მეთქი... ნუ, შენი ჭირიმე... — ახლა რასამ დაუპირა კოცნა, მაგრამ ვაჟმა ცივად მოარიდა სახე.

— ვისთვის ინახავ თავს? — მიახალა უცებ. დახშული და უსიამოვნო ხმა ჰქონდა. ამ ხმამაც შეაშინა რასა. მას უყვარდა ეს ბიჭი და მოეჩვენა, ამ ხმას სიბრაზისა და რაღაც გაუმხელელი ტანჯვის სუსხი დაჰკრავდა. იგი გაიტრუნა. თვალები დახუჭა და იგრძნო, როგორ გაეყინა სისხლი.

— მანტასი მის სახეს დააჩერდა.

გოგოს თითოეულ ნაკვთზე შიში და წუხილი აღიბეჭდა. ბაგემოკუმული და თვალდახუჭული იწვა. თეთრი, ქათქათა ხელები ბალახზე ესვენა. ამ ხელებს აღარ სურდათ წინააღმდეგობის გაწევა.

„რას ჩავდივარ?! — გაუელვა მანტასს. — მიყვარს კი?“

სხეულში რაღაცნაირი სიმჩატე იგრძნო — დამშვიდდა და გავარვარებული სახე ბალახში ჩარგო.

— კარგი, იყოს, როგორც შენ გინდა... თქვა ბოლოს. — ჯერ ხომ არც მიყვარხარ...

რასამ თვალი გაახილა.

ერთბაშად არ გამორკვეულა.

მანტასის ნათქვამი ბუნდოვნად ჩაესმა. მაგრამ აღიქვა კია — ხმა დაწმენდოდა უსიამო და გამაღიზიანებელი ქლერადობისაგან.

ამან დაამშვიდა. შინაგანი დაძაბულობა გაუქრა. სახე მოუსინათლდა, ბედნიერი იყო, რომ ყველაფერი ასე დასრულდა. უკან გამობრუნებისას, შველივით დახტოდა და გულიანად იცინოდა. ხელისგულით ვაჟის ხელისგულს ეხებოდა და — ეს სიახლოვე საოცარი სითბოთი ავსებდა.

მდინარეს რომ გაუსწორდნენ. რასამ პირველმა შენიშნა ბალახებში მოციმციმე წერტილები.

— შეხე, ციცინათელები! — დაიძახა მან და ერთი დაიჭირა. ხელისგულზე დაიდო და ნათურასავით ასწია მაღლა. — გზა უნდა გაგინათო, —

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარმოსთქვა გახალისებულმა. — მომყევი!

მანტასი ხედავდა, როგორ მინარნარებდა იგი, ხედავდა მაღლა აწვდილ ხელს. ფოსფორის წერტილს, არილივით რომ დადგომოდა მის სიწმინდეს. მანტასი უკან მოჰყვებოდა, მოჰყვებოდა უხმოდ, ნაჯაფი ადამიანის მსგავსად. უცებ რასა შედგა. დაელოდა.

— რატომ არაფერს იტყვი, გაწყენინე, ხომ?

— არა... ფიქრმა გამიტაცა.

— ასე მგონია, უკმაყოფილო ხარ...

— კარგი ერთი!.. — გაიღიმა მანტასმა. მხარში ჩაავლო ხელი, შეაბრუნა და ფრთხილად უბიძგა წინ. — ნათურა არ დაგვეკარგოს, თორემ გზას ველარ გავიგნებთ...

ისევ უხმოდ განაგრძეს გზა. გოგო წინ მიდიოდა. ბიჭი — უკან. რასა ხშირ-ხშირად შეჰყურებდა ციცინათელას, ანათებს თუ არაო. ნაღვლობდა — ლამპიონების შუქზე ფოსფორის პაწაწინა თვალს ძალა ეკარგებაო. მაგრამ ხელი მაინც არ დაუშვია ქვევით.

ხანდახან მრავალმნიშვნელოვნად მიხედავდა მანტასს. დაჟინებით შეაჩერდებოდა თვალებში, გუნებაში ნაწყვეტნაწყვეტ, ბუნდად ამოტივტივდებოდნენ ხორცვზე გაგონილი სიტყვები, ბოლოს, ერთ მწკრივად განლაგდნენ და მტკივნეულად აზუზუნდნენ ყურებში.

ითმინა რასამ, ითმინა და ციხე-სიმაგრესთან შედგა. თბილ მუჭში ციცინათელა ჰყავდა გამომწყვდეული.

— რა მითხარი მაშინ, მთაზე?

გოგოს სერიოზული გამომეტყველება ჰქონდა. იგი თვალს არ აცილებდა ბიჭის ჩაფიქრებულ სახეს.

— აბა, რა მახსოვს, — თქვა ბიჭმა.

— სამაგიეროდ, მე მახსოვს. შენ თქვი, არ მიყვარხარო...

— ტყუილია. — თავი იმართლა ბიჭმა. — ეგრე არ მითქვამს.

— შენ თქვი, რომ არ გიყვარვარ... — შეჰყვირა გოგომ.

ხმა აუთრთოლდა, თვალები აუწყლიანდა. ახლა, ამ წუთს მას ძალიან უნდოდა, ბიჭს უარეყო თავისი ნათქვამი, მოხვეოდა, მოფერებოდა, დაემშვიდებინა. მაგრამ მანტასი დუმდა. დუმდა და თვალს არიდებდა.

რასას წამწამებზე ციცინათელებივით გაიბრწყინეს ცრემლებმა. ყელში ბოლმის ბურთი მოებჯინა. ერთბაშად შემობრუნდა, გაიქცა და ქვის მაღალი კედლის ჩრდილში გაუჩინარდა. მისი ქუსლების კაკუნი ლურსმნებივით ჩაიჭედა უკაცრიელ ქუჩაში.

— მოიცა, რასა! — დაადევნა მანტასმა. ჭაბნეული იდგა — არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო. ირგვლივ სიცარიელე და სიჩუმე გამეფდა. ვიდრე რასა აქ, მის გვერდით იყო ხელისგულზე მოციმციმე პაწია ნათურათი, ყველაფერი სხვანაირად გამოიყურებოდა: კრამიტის იმიბი სახურავებიდან მთვარის სხივები ეშვებოდნენ; ძველისძველ, დამსკდარ კედლებზე იეროგლიფებს შეამჩნევდი; ცნობისმოყვარეობით იჭყიტებოდნენ მრუმე ფანჯრები... მაგრამ რასა წავიდა და ერთაშად ყველაფერი ჩაკვდა, სიბნელეში ჩაიძირა და სიცივით გაიჟღინთა.

მანტასი გაუბედავად წალასლასდა ბნელი კედლისაკენ. მერე ნაბიჯს უმატა.

ძალზე ახლოს გაიხათქუნა ეზოს ჭიშკარმა. იქვე შეწყდა ქუსლების კაკუნიც.

აი, ეზოც — მაღალ სახლებს შორის ძლივს ითქვამს სულს.

მეორე სართულს გრძელი აივანი აკრავს. იქ ხის განიერი კიბით შეიძლება ასვლა.

რასა მესამე საფეხურზე იჯდა. თავით მუხლებს დაყრდნობოდა.

მანტასი უხმოდ მიუჯდა გვერდით. ერთხანს გაუნძრევლად, გაქვავებულივით იჯდა. მერე მისი ხელი ფრთხილად დაეშვა გოგოს მხარზე. გოგო გაუბედავად შეიშმუშნა. ხელის მოცილება დააპირა, მაგრამ მანტასმა მკლავებში მოიქცია იგი და მაგრად მიიკრა მკერდზე.

— ნუ ბრაზობ. მიყვარხარ. — ჩასჩურჩულა. — ეს საოცარი ღამეა. ახლა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიცი, რომ მიყვარხარ. ასჯერ, ათასჯერ ვიტყვი ამას — მიყვარხარ.

გოგო ერთბაშად გამოცოცხლდა. თვალებში შორეული ვარსკვლავები აუკიაფდა.

— ათასმეერთჯერაც გაიმეორე, — შეეხვეწა იგი.

— ათასმეორეჯერაც ვიტყვი — მიყვარხარ... მე მიყვარს რასა, პატარა, გამჭვირვალე წვეთი...

— კიდევ გაიმეორე, — ისევ ემუდარებოდა რასა.

ეს სიტყვები აფორიაქებდა, ტკბილ ბურანში ხვევდა, სიხარულითავსებდა. თრთოდა და მთელი ტანით ეკვროდა ჭაბუკს.

— იქნებ მთაზე დავბრუნდეთ? — მოუთმენლად შესთავაზა მანტასმა.

— არა... ახლა არა. სხვა დროს. ახლა აქაც კარგად ვგრძნობ თავს.

ხის შავ კიბეზე ერთ არსებად ქცეულნი ისხდნენ. ისხდნენ განთიადამდე, ვიდრე ძველი სახლის კედელს აყოლილი ვაზის ფოთლებში ბელურები არ აჟღურტულდნენ.

წასვლისას რასას არ გახსენებია ციცინათელა. რომ გახსენებოდა, ეზოს სიპ ქვაზე აცოცებულს დაინახავდა.

ციცინათელა ბალახსა და თავშესაფარს ეძებდა.

თარგმანი დალი გოგეშვილი-იოდიშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვიტაუტას რიმკიავიჩუსი

# ოციდან ორმოცამდე

მოთხრობა

## ოცი წლის რომ იყო, მეუბნებოდა:

კაცმა რომ მკითხოს, შენისთანა წიგნის ჭია და ცხოვრების არიფი, სტადიონ-სტადიონ უნდა დარბოდეს და დოლს უბრახუნებდეს. რატომ? ახლავე მოგახსენებ: იმიტომ, რომ ყოველნაირი ყურმოკრული სისულელისათვის გიყვარს კუდის გამობმა. ჰო, ასეა. ხანდახან ბუზს სპილოდ აქცევ ხოლმე და პირიქით. სიხალისე გაკლია. ფანტაზია! მაგრამ, წარმოიდგინე, მაინც მიყვარხარ. ამას წინათ მატარებლით ვიმგზავრე. გადავხედე ვაგონს, გადავხედე თავიანთი ფიქრებითა და საქმეებით გართულ მგზავრებს და ყველანი შემიყვარდნენ. ვუყურებდი პურით გატენილ ტომარაზე გადამჯდარ ბერიკაცს და მიხაროდა, რომ სიცოცხლით ვიყავი სავსე. ჰოდა, იმ მატარებელში ტროფობის ალმაც მიწია. გესმის? ჩამოვა. უსათუოდ გაგაცნობ. იქნებ მაშინ მაინც იხილო ნაღდი ქალი! მზემოკიდებული, შუბლზე — ჯიუტი კულული; უსათუთესი ხელები, ტუჩს ზემოთ ძლივს შესამჩნევი ვნებიანი ღინღლი; წელი კი... ო, წელს მუჭში ჩაიტევ. ღვთაებაა! დავინახე თუ არა, მაშინვე ვეცი მის ჩემოდანს — მოვეხმარე. ას კილომეტრს კი არა მილიონს გავივლი მასთან ერთად. მთელი ვაგონი შურით მიყურებდა. თუმცა ჩამოვა და თავადაც ნახავ.

ახლა ლაურასთან მივდივარ. არ იფიქრო, რომელიმე წიგნში ამოვიკითხე ეს სახელი. ესეც ნაღდი გოგოა! ალბათ, ერთი სული გაქვს გაიგო, საიდან ვიცნობ: ამასაც გეტყვი. ოღონდ ყურადღებით მისმინე და ისწავლე, როგორ უნდა გამოეცნაურო და მოხიბლო! შენი წამოკოსებული სათვალე, ალბათ, სასაცილოდ არ ჰყოფნით ქალებს! გიყურებენ და ფიქრობენ, კოცნის დროს ვაითუ ჩამოსრიალდეს და ყოველგვარი სურვილი გაგვიცამტვეროსო. ასეა. მეგობრულად გირჩევ, უსათვალეოდ იარე და ყველა გოგო ლამაზი მოგეჩვენება. როგორ გავიცანი? ქუჩაში მივდივარ მესმის — ჩემს საყვარელ ფირფიტას უკრავენ. ზარს ვრეკავ, შევდივარ და ვეუბნები: ნება მომეცით მეც მოვუსმინო-მეთქი. შენ გაბედავდი განა? ვერ გაბედავდი! ჰოდა, რას ვხედავ — ფირფიტაზე მარტო მუსიკაა ჩაწერილი. ლაურა კი, ჩემი ლაურა მღერის... რამდენი ფირფიტა არ შევცვალეთ, ყველას აჰყვა. ახლაც იქ მივდივარ. ამ ანგელოზს მთელი ცხოვრება შემიძლია ვუსმინო. მაგრამ აქ ერთი უცნაურობაა — ვერა და ვერ მომიხერხებია ხელის მოხვევა. არ მიწევს გული. ყოფილან თურმე ასეთი გოგოებიც: ჭკუითა და სმენით დაჯილდოებულნი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავისებური მომხიბვლელობაც კი აქვთ. მაგრამ მოსახვევად მაინც არ გიწევს გული... იქნებ დღეს შევძლო, ა? წავალ, მოვუსმენ...

არის კიდევ ერთი, რომელმაც მოსვენება წამართვა. თუმცა არა მგონია, რომელიმე მამაკაცი დატოვოს გულგრილად! დიდი ვერაფერი შვილია. მაგრამ ტუჩები და ბიუსტი — მთელს სიცოცხლედა ღირს. ასეთი გოგო უნდა შეიყვარო, ძმაო. ჭკვიანი — გამოგალაყებს, ეს კი — არასოდეს. შემოგხედავს და ცეცხლს წაგიკიდებს. სად გავიცანი? ცეკვებზე. საოცრად გამიჭირდა მისი ხელში მოგდება — ყველა ეცეკვებოდა. ისიც ვიცოდი, მისი გულისთვის რად ამტვრევდნენ ბიჭები ერთმანეთს ცხვირპირს.

სული აფორიაქებული მაქვს — მატარებელში გაცნობილი გოგო გამახსენდა. აქეთ კიდევ ლაურა მიდგას თვალწინ, ჩემი ჯადოქარი მოცეკვავე მეძახის შორიდან... რა წყალს მივცე თავი! სამივეზე ვფიქრობ და ცივი ოფლი მასხამს, — ვაითუ, რომელიმე მათგანს მონუსხვასუპირებს ვინმე... არა, ძმაო, უნდა დავაბოლოო ეს საქმე... მომავალ თვეში ხომ არ აპირებ სადმე წასვლას? არა? ქორწილში უნდა დაგპატიჟო. ჯერ არ ვიცი, რომელზე შევაჩერებ არჩევანს, მაგრამ ქორწილს რომ გადავიხდი, ნაღდია.

ოცდაათისა რომ იყო, მეუბნებოდა:

ისევ ზიხარ? არიფი იყავი და არიფად დარჩი. რაო? სათვალეებმ ცხვირი გაგიხეხა? საუკუნეთა მანძილზე ვინ მოსთვლის რამდენი იყო შენს დღეში! ჰოდა, იჯექი შენთვის... ახალს მაინც ვერაფერს აღმოაჩენ. ყველაფერი აღმოჩენილია. ჩვენ გატკეპნილ ბილიკებს მივყვებით მხოლოდ. ასეა სიყვარულშიც, ჩვენამდე მილიონებს და მილიარდებს უთქვამთ. — მიყვარხარო... დუმხარ? ეტყობა, სიმართლე ვთქვი. ჰოდა, ვიფიქრე ყველაფერ ამაზე და გული გამიტყდა. ცხადია სიყვარულზედაც. ვერ წარმოიდგენ, რა ბედნიერად ვთვლი თავს, რომ ცოლი არ შევირთე და თმა ჯერჯერობით არ გამცვენია. ამას წინათ ლაურა ვნახე. სცენაზე მღეროდა. ხმა ისევ წკრიალა აქვს და მშვენიერი. მაგრამ რად გინდა, ისიც სხვებს ბაძავს მხოლოდ...

მატარებელში შემთხვევით ჯადოქარ მოცეკვავეს შევხვდი. სადღაა მისი მოქნილი ტანი და ვნების აღმძვრელი ღიღლი! ისე ჩასუქებულ-ჩამრგვალებულა, ძალოსანი გეგონება, სიმძიმეთა აწევაში დაოსტატებული! ანდა სადღაა შუბლზე ჩამოშლილი ის ჯიუტი კულული!? ამისათვის ვიკლავდი თავს!? მობრძანდნენ ახლა მისი კავალრები და ეცეკვონ რამდენიც უნდათ... ხმას არ დავძრავ... არა... რაც მართალია, მართალია, უზომოდ ბედნიერი ვარ, რომ ცოლი არ შევირთე. თუმცა ამის გამო ბევრი უსიამოვნებაც მხვდება. რატომ? ოცდაათი წლის კაცი უქალოდ ვერ გაჩერდება, ხომ იცი?!. არავისზე არ ვეჭვიანობ. მაგრამ ეს ქალები!... დაელაპარაკები თუ არა, მაშინვე საქმროდ შეგრაცხავენ... მე ოცდაათი წლისა ვარ, ძმაო, ოცის რომ ვიყო, კიდევ სხვა ამბავია! ათასი დაბრკოლების გადალახვა მიწევს. ბოლოსდაბოლოს, მაინც დგება ჟამი, როცა რომელიმე მათგანი კატეგორიულად მეკითხება: „როდის მოვაწერთ ხელს?" ო, მაშინ უნდა ნახო ჩემი გაქცევა! მაგრამ არც ურიგო კაცის სახელის დატოვება მინდა — ვერ ვიტან ცრემლებს! ერთი ეს მითხარი, რატომაა რომ მამაკაცებს ასე გვეშინია დაოჯახების? ქალებს — აბა, ისე უჭირავთ თავი, თითქოს ამისთვის არიან შექმნილნი...

ერთხელ, თავის საშველად, კურორტს მივაშურე. მეყოფა, იქ თავისუფლად დავისვენებ-მეთქი. გაგიგონია?! კურორტის ჰავა ყველაფერს ძირფესვიანად ცვლის. მორალის სიმძიმისაგან ზღვა გათავისუფლებს. ხოლო ცოლიანი ხარ თუ უცოლო, — ამას არავინ გეკითხება. ამას რომ მივხვდი, ცხოვრების არსზე დავიწყე ფიქრი და ორი კვირა განსჯაში გავატარე. გგონია, რაიმე ახალი აღმოვაჩი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნე? ნურას უკაცრავად. ამასობაში სიყვარულის ბაცილას თავისი ექნა და თავით-ფეხებამდე ტრფიალით აღგზნებული აღმოვჩნდი... დიდხანს ვარჩიე... დიდხანს ვწონე — დადებითიცა და უარყოფითიც, იგი ზუსტად ისეთი გამოდგა, როგორზედაც ვოცნებობდი: ქმარს განაცილები. ასე ვთქვათ, ნაკლებპრეტენზიული. ბოშას ჩამოგავდა. ქალი კი არა, ცეცხლი იყო, ჯერ ბაღში ვისეირნეთ, ციყვებს კამფეტებით გავუმასპინძლდით, პური დავუფჩხვენით გედებს, სირსველში ქარვა ვძებნეთ, ვიყავით კინოში, ცეკვებზე, ღამის ბარში... ერთი სიტყვით, როცა „მოსამზადებელი სამუშაოები“ დამთავრებულად მივიჩნიე და ნაძვის ხესთან დავიმარტოხელე, ყურის ძირში ისეთი სილა მივიღე, აქამდე მეწვის... აბაა! რას ველოდი და რა მივიღე! საშინლად გავბრაზდი. ერთი დღის შემდეგ ისევ დავიწყე ცხოვრების არსზე ფიქრი. და იცი მერე გახარებულიც დავრჩი, რომ ყურის ძირში მივიღე. ყოფილან, ძმაო, ქვეყნად პატიოსანი ქალები! თურმე კურორტზეც შეიძლება ისეთი ქალის ნახვა, ყურებს რომ აგიწითლებს! ამის შემდეგ, როგორ ფიქრობთ, არ არის ცხოვრება საინტერესო? რას მეტყვი, ის ქალი რომ შევირთო?

## როცა ორმოცისა იყო, მითხრა:

ეს მაინც გამაგებინე, რას გასწავლის ის წიგნი! არ სჯობია, ყური მიგდო და ჭკვიანური აზრი შეუშვა მაგ გოგრაში!? ასე მგონია, უკვე ყველაფერი ვნახე და ყველაფერი ვიცი. ჰოდა, უცებ ვიგრძენი, რომ ვბერდები... ოცი წლის ასაკში საუკუნეების იქით იყურები — იმდენხანს ვიცოცხლებო. ოცდაათისას — გიხარია, რომ ჯერ კიდევ არ მოგრევია ასაკი. ორმოცისა კი... ჰე, ხანდახან ქუჩაში ნაცნობს მოკრავ თვალს. მისალმებას აპირებ... ის ნაცნობი კი რახანია გარდაცვლილი ყოფილა და სხვას მიამსგავსე თურმე... ასეთი რამ ხშირად მემართება. ჰოდა, ამან მაგრძნობინა, რომ სიბერე წამომპარვია.

იქნებ ნაცნობი ექიმი გყავს ვილნიუსში? მარჯვენა ფეხის თითი მიშეშდება. სადაცაა რადიკულიტიც მომიჭერს მარწუხებს... არ მიყვარს პოლიკლინიკაში სიარული, იქ რომ ზიხარ, ყველა შენს მომავალ სნეულებას ხედავ... არც გული გაქვს მაინცდამაინც კარგად. არ გიგრძნია, უცებ შეჩერდება, გგონია მორჩა, სამუდამოდ დაისვენა, ის კი მოულოდნელად საშინელი ხმაურით იწყებს ბაგუნს... პიატსის გასვენებაში იყავი? საშინლად განვიცადე. ჩემი ხნის არ იყო?! ღირსეულად გაასვენეს. კუბო ჩემც მომქონდა. მძიმე იყო... რაღა მაინცდამაინც სიკვდილზე ჩამოაგდეთ სიტყვა?

იცი, „ზაპოროჟეცის“ ყიდვა გადავიფიქრე! მთელი ორი წელი ამ სურვილით ვცხოვრობდი — ვიკლებდი საჭმელს, ჩასაცმელს, სასმელზე კი, თუ ვინმე დამპატიჟებდა, არ ვამბობდი უარს. მერე ვიფიქრე, რა ჯანდაბად მინდა „ზაპოროჟეცი“? ავიღე და ჩემს გარდერობში სამი ახალი პიჯაკი დავკიდე. ჭამას ვუმატე. დაგპატიჟებ და ნახავ ბატის რა წვნიანს ვამზადებ! ქსოვაც ვისწავლე. გასაოცარი რამ ყოფილა ნერვების დასამშვიდებლად. გავსუქდი ხომ? ნუ გგონია, რომ დონდლო ვარ. აბა, მოსინჯე კუნთები — რკინაა! გულს აღარ მივაქცევ ყურადღებას — ბებიაჩემმა ას წელზე მეტი იცოცხლა!

სიყვარული მოჩვენება ყოფილა თურმე, მირაჟი! ახალგაზრდებს გაიოლებული აქვთ ყველაფერი შეხვდებიან ერთმანეთს სრულიად უცნობნი, მოისურვებენ და უყვართ უკვე! ცხოვრებას სადად უნდა შეხედო, ძმაო! რამდენ სისულელეს ჩაიდენს კაცი, ვიდრე ჭკუაზე მოვა! ანდა, ის დროებითი წარმატებებიც რა პედენაა! ერთ-ორჯერ კალიასავით წაიხ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტუნავებ და ორმოციც მოგიკაკუნებს... ამას წინათ ვალაკამპაში ვიყავი. ჩინებული ამინდი დამხვდა და მეც ჩინებულ გუნებაზე დავდექი. ჩავხტი მდინარეში და ერთი გოგო გავწუწე. არავითარი მიზანი არ მქონია, ისე გავწუწე. ნაპირზე რომ ავიდა, თავის ამხანაგს სიცილით უთხრა: „ნახე, რა მხიარული მოხუცია!"

ჰო, მართლა — მგონი, შენ მეუბნებოდი, რომ თანაკლასელები გყავს კაუნასში პალანგასა და შილუეტეში... იქნებ რომელიმე გამომადგეს! შენი გემოვნებით ამირჩიე. დაქორწინება გადავწყვიტე. საბოლოოდ, გესმის? ცოლი მაინცდამაინც ექიმი მინდა მყავდეს. თანაც ნაქმრევი და უბავშვო. არ მიყვარს ბავშვი. ანდა, რა გამაჩერებს ისეთ სახლში, სადაც ღამღამობით ბავშვის ჩხავილი შეგაწუხებს? თანაც ის კითხვები! რამდენი შეკითხვის მიცემა იციან ამ ღლაპებმა! სავალდებულო არაა საცოლე ახალგაზრდა იყოს, ზედმეტი ჯაფა შემხვდება, არც მთლად მოხუცი მინდა. ქონებას დახარბებული არა ვარ, ექიმი უნდა იყოს, გესმის? თუმცა, კაცმა რომ თქვას, კარგ ექთანზეც არ ვიტყვი უარს...

თარგმანი დალი გოგეშვილი-იოდიშვილისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კოლაუ ნადირაძე

# „ვეფხისტყაოსანი" და „ნ. ბარათაშვილის ლექსები"

*ვლადიმერ ჯიბუტს.*

დევს ორი წიგნი ჩემს მაგიდაზე —
მშობლიურ ერის გულის მპყრობელი,
ცის გახსნა ორი, ორი მზე ცაზე,
ორი მწვერვალი მიუწვდომელი.

რა დრო გასულა თქვენს შორის დიდი!
არ შეხვედრილხართ შვიდასი წელი...
ჩემს მაგიდაზე, როს ჩნდება ბინდი,
თითქოს ერთმანეთს ეხვევით ხელით.

და როგორც მონა, მონა ერთგული.
ვდგავარ თქვენს ახლოს მე მოკრძალებით —
ერთი ქართველი, ერთი ბედკრული
დახრილი თავით, დახრილ თვალებით.

ვარ გარინდული, როს მთვარის სხივი
გვირგვინებს აფენს თქვენს მეზობლობას,
მე ქრუანტელი ნეტარი მივლის
და აღარა ვგრძნობ ჩემსა ობლობას!..

როს დაწყნარდება,
როს შენელდება,
როცა დაცხრება
ქუჩის ხმაური,

და ჟამი დგება, ჟამი გვიანი,
როს მოისვენებს
და დადუმდება
მარად მშფოთვარე ადამიანი,
როცა სიცოცხლეს უზენაესი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მყუდროებას და ძილს მიანიჭებს, —
ორი წიგნიდან ორი მგოსანი,
ორი დიდება გადმოაბიჯებს!..
იწყება მაშინ მათი ბაასი,
ბაასი ნელი, ბაასი მწველი,
გულს სასოება ჩუმათ აავსებს:
ქართულ ლექსს ორი უკვდავი მცველი
უდგას დარაჯად, მრისხანედ იცავს,
რათა არ იქნეს გადაკარგული,
ჩვენს ბაღნარს შერჩეს ჩვენი ბულბული,
კვლავ უღიმოდეს ჩვენს მამულს ბედი,
ჰფენდეს ციურ მადლს მშობლიურ მიწას,
რომ სიბრძნით ჟღერდეს ლექსი ქართული,
გახდეს ის ღრმა და ფიქრგამართული,
მკვეთრი, ვით ხმალი, ერის მსახური,
და განადიდოს მან საქართველო
,,ღვთისმშობლის ხვედრი დიდჭირნახული!“

დევს ორი წიგნი ჩემს მაგიდაზე —
მშობელი ერის გულის მპყრობელი,
ცისგახსნა ორი, ორი მზე ცაზე,
ორი მწვერვალი მიუწვდომელი!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ოთარ ჭელიძე

### ჩემი ნათლის სვეტი

ტრამალეთში შობილ
მერნებს გავეშებულს
ვაფრენ ელვის შოლტი,
ერთ სახელში შებმულს
ათას კეთილ ძალად,
განა სიძულვილით
ვარსკვლავებში წავალ,
გადახიზნულივით.
წყურვილმორეული
ვიფრენ ციდან ცამდე,
ეგებ ორეული
ჩემი ვპოვო სადმე.

იავარყოფილი
ვშთანთქავ განთიადებს,
ეგებ გაყოფილი
სული გამთლიანდეს.
და სინათლის ერთი
წელიწადის მიღმა
დაბრუნებულს ვინღა
დამხვდეს მე შენს მეტი?
რადგან სწორედ ის ხარ,
ვინც მითმინე დიდხანს:
ჩემი ნათლის სვეტი
და ლოდინის ღმერთი.

### სტუმარი

კაკუნი კარის!..
— შენ მოხველ? თვალებს ვახელ მაშინვე,
მთვლემარე აზრი ამოძრავდება.
ხმა ისმის ქარის.
იღება კარი და შემაშინებს
ოთახში ბავშვის გამოცხადება.
მღვიძარს თუ მძინარს
არ მახსოვს — როგორ, რა გზით მესტუმრა.
ჩუმად მოსული, როგორც ბალახი...
ხნის წინათ
მე დ[illegible] ერთი გვყავდა მეგზურად
აჩრდილი შიშის და სივაგლახის.
— მოდი... აქ მოდი...
თუ არ ხარ ლანდი ან მოჩვენება,
შევეხო შუბლზე ნაცნობ ჭრილობას.
მომიახლოვდი.
ჩემს ჭერქვეშ შენი აღმოცენება
მახსენებს ყრმობის ტანმორჩილებას.
წაბლისთვალება,
წაბლისფერთმება იდგა ბიჭუნა—
თავის ოთახში გამოკეტილი,
ჩქარი, თავნება,
სიკეთის ნიჭით ვინც აღიჭურვა
და სიბერემდე დარჩა კეთილი.
იდგა ბიჭუნა —
სიზმარეული გამოცხადება
გაუღიმარი ჩემი ბალღობის,
ვინც გაიჭორა,
ვინც მედროვეთა გამო ცხარდება –
აბორგებული წლების ნაყოფი.
მინავლდა ქარი
და მოჩვენება გაქრა მაშინვე,
ორმოც საფეხურს ჩაჰყვა კიბისას;
გავდიე გარეთ
ჩემსავ ბავშვობას. როგორც ნაშვილებს
და დაემგვანა კიბე რკინიგზას.

## არ დამამშვიდო

ჰოი, რამდენი
ზამთარი თავზე გადამფრენია,
როგორ გამდნარა ჩემი საწუთრო —
ოხრად ნადენი...
შენ მაინც ამბობ: — არაფერია...
არაფერი გაქვს სხვა სასაუბრო?
შენ მაინც ამბობ:
— ყოფნა არყოფნის გზებით გვივლია;
ნუ გეშინია, დიდ გზას გავივლით.
მზე ისევ გვათბობს
და მთვარეც ისევ ფერმიხდილია,
ისევ ჰკიდია ცაზე ვალივით.
როგორ გგონია;
თუ აღარ იწვი, ისევ ცეცხლი ხარ?
ისევ ცინცხალი, ათქვირებული,
ის გოგონია?
ისევ ისა ხარ? სულ არ შეცვლილხარ?
რას ფიქრობ აგრე გაფითრებული?
— არაფერია! —
მეტყვი და მხრები ჩამოგეშვება,
მომესალტები ტანზე ქვითინით.
— არაფერია! —
მეც ვიმეორებ სანუგეშებლად
და ცრემლი მებმის თვალზე კვირტივით
არაფერია!..
მაგრამ როდისმე
თუ წამით ვინმემ წყარო დაგვიშრო,
ჩემზე ნუ იტყვი: — გადამერია!
აღარ მოგისმენ...
არა, არაფრით არ დამამშვიდო,
არ გამაგონო „არაფერია“.

## თვალის ახელა

ჯერ ღამე იყო,
მერე — ჩამქრალი სამი სარკმელი
და ქუჩა — ღრმა ხევს დამსგავსებული,
ბოლოს დაიწყო
გზა უსასრულო, ძნელგასაკვლევი,
სიზმრულ ღვარცოფად დაქანებული.
და შეეხამა
ადევნებული ბინდი შენს ნათქვამს,
შენს თვალებს, შენს თმებს, ჩემს ბედს—
სიშავით.
პირლია ხრამმა
შთანთქა ღმუილით და დაგვეკარგა
მკრთალი იმედის მცირე ნიშანიც.
მაშინ მე და შენ
ვგავდით მამა-შვილს — ასაკთ სხვაობით:
იმ უგზოობის, იმ გაურკვეველ
ჟამის წინაშე
ვიდოდით ჩუმად და არ ვდაობდით,
ერთმანეთს პირი გამოვუკერეთ.
და სადღაც უცებ
ბზარად გამოკრთა შუქი ცისკარის —
მოშუშებული კვალი ჭრილობის;
მშვენიერ შუბლზე
დაღად დაგვაჩნდა ღარი სიმწარის,
ნაცვლად უღრუბლო ქალიშვილობის.
ახლა რად გვინდა
მოთქმა გარდასულ დღეთა ვარამზე...
განვლილ გზას განა სხვა გზა გადაშლის?
ამიერიდან
ორი სიცოცხლის გზაგასაყარზე
ვდგავართ და აღარ ვგავართ მამა-შვილს.
ორნი ორ ბილიკს
მივყვებით, რომ არ შევხვდეთ აროდეს,
მაგრამ გასწვრივი სწორი ხაზებით
როდემდე ვივლით?
საწუთრო ყველა სავალს ამრუდებს;
ორივეს გრილი
ორმო მოგველის ამოსავსები.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ
ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

**ოთარ შალამბერიძე**

## „მივალ, გურიაში, მარა"

გურიაში მივალ, მარა,
სული წინ-წინ გაიპარა.
გოგო ჭილისქუდიანი
წინ შემომხვდა ყელყარყარა.
„მე უშენო სრა-სასახლეს,
შენთან წნელის ფაცხა მჯობს,
არ წამოხვალ, ცა, თბილისში?
„დეიღუპე საცხა, ბიჭო!"

გოგოა და გოგნი გოგო,
ტანად ალვის სწორფერია,
სულ ერთ წამში შემაყვარა
დაბაა თუ სოფელია,
ცისკარი და მისი სახე
ჩემთვის განუყოფელია...
აბა, დელი ოვდელია,
რაფერ გითხრათ ყორფელია?!.

მეგზურივით ამედევნა
ერთი ფიქრი ფრთაფარფარა:
ამ მხარეში დამასახლა,
ამ მთებს შორის მახარხარა.
მარცხნივ — ჩაი,
მარჯვნივ — ჩაი,
და ღიღინი შარა-შარა:
„გურიაში მივალ, მარა,
სული წინ-წინ გაიპარა".

ეხო-ეხო,
ბაღჩა-ბაღჩა
რა სიტურფეც იმალება,
შენმა მადლმა აჩახჩახა
შრომავ, თქვენო ბრწყინვალებავ!

ე მაგ გამრჯე მარჯვენაზე
მართლა ვერ იმჯობინება,
ბარაქალა, გლეხო, თქვენო
მაღალ —
კეთილ —
შობილებავ!

მოძახილის ტალღა ურტყამს
აქ თვითეულ ჭურს და მარანს,
საყვარულის ფირალი ვარ,
უღრან ტყეში გავშლი კარავს,
რომ ისმოდეს წარამარა
ეს სიმღერა თავანკარა:
„გურიაში მივალ, მარა,
სული წინ-წინ გაიპარა".

ნასაკირალს ვკიდე თვალი,
ფერი ფარავს ფარსაგი რამ,
ნისლია თუ ფილთას კვამლი,
დაჰფენია ნასაკირალს;
წინაპართა ძვლებზე გაზრდილს
რას დააკლებს ასაკი რას?
წუთისოფელს უდგას მხარში
უკვდავების გასაკვირად.

„სამნი ძმანი გურულები"
ცეცხლს აფრქვევენ ყანა-ყანა,
ცხრა ლინგვისტი დასჭირდება
კრიმანჭულის ანბანას...
ბარაქალა, გლეხის გოგოვ,
გლეხის ბიჭო, ბარაქალა;
ფერი-ფერსო
მადლი ღმერთსო, —

ეროვნული ბიბლიოთეკა

მივბუტბუტებ კარდაკარა,
აქაური ცაც და ეზოც
შემიცვნია ამდაგვარად;

მოდის ლექსი,
მოალერსობს,
ზეპირ-ზეპირ,
ჰაიჰარად:
გურიაში მივალ, მარა,
სული წინ-წინ გაიპარა!

სიყვარულის ფირალი ვარ,
უღრან ტყეში გავშლი კარავს,
ძილ-ფხიზლობის წამის წამი
წამომაგდებს წარამარა;
ასე გდება და წანწალი
გამომიყვანს წირვას ჩქარა;
გურიაში მივალ, მარა,
სული წინ-წინ გაიპარა.

სულო, ნუ ხარ სულწასული,
მოესწრები ფრენას მერეც,
ჯერ ცეცხლოვან ამ სიმღერებს,
გულს რომ უცებ აგიძგერებს,
ამ დალოცვილ მთებს და ველებს,
უბერებელ მზეს და ფერებს,
უკანასკნელ სუნთქვასავით
შემადნე და შემაბერე.

## ჯერ კიდევ

შენ ჩემს სამერცხლულს კვლავაც
დაშვენდი,
როგორც ასკილი გზის პირს დაშვენდა;
ალბათ, ჯერ კიდევ არ გადავშენდით
და სიყვარულიც არ გადაშენდა!..

მხარში ვუდგევართ დროს მოთმინებით,
ხან გვიხარია, ხანაც ვბრაზდებით;
ალბათ, ჯერ კიდევ ცოცხლობს იმედი,
ჯერ კიდევ გვქვია ახალგაზრდები!..

## ეგ ფაეტონი დააყე, უტა

აბაშა...
ნოსირი...
სენაკი...
ნუ გააჩქარებ, უტა, ფაეტონს,
სულმა გაიძრო თეთრი პერანგი
და ახლა ცისფერს უნდა გაენდოს!..
აბაშა...
ნოსირი...
სენაკი...
ევკალიპტები ნათელმოსილი...
ცაში ფლოქვების ექო შელაგდა,
ცა ძირს მოფრინავს ანგელოსივით.
აბაშა...
ნოსირი...
სენაკი...

დაფნარში ციკანს მტდენის ხვიჩა,
არ ემუქრება მას ფათერაკი
და მაინც ხის თოფს ხშირ-ხშირად
სინჯავს...
აბაშა...
ნოსირი...
სენაკი...
მზიანი დარის მაუწყებლად
ამგზავრებული გზად ფურცელაკი —
ეგება ფიქრის არის პეპელა?!.
აბაშა...
ნოსირი...
სენაკი...
აქ სისხლი სხვაფრივ ხმაურობს მუდამ,
აქ არის ჩემი არქიპელაგი,
ეგ ფაეტონი დააყე, უტა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დილის პროლოგი

მადლობელი ვარ შენი, ბუნებავ,
ეს რანაირი დილა გათენდა!..
თეთრი დაშვენდა ქალი აივანს,
როგორც ოჯახის ცისფერ კათედრას.

და როს ერთგული ალღოს წყალობით
მწყურვალი მზერა იგრძნო ზემოდან,
ქალმა იტაცა ხელი უბეზე,
რათა ჩიტები არ გაფრენოდა...

## მტკვარი

ჰაუ, რამდენი უწანწალია
სული მოითქვა მტკვარმა მეტეხთან:
დავიღალეო, თუმცა ძალიან,
საწუთრო მაინც არ მემეტება.
სულ არაფერი რომ არ ვიცოდე,
ერთი რამ მუდამ მეცოდინება:
ვიდრემდის ჰქვია ბრძოლა სიცოცხლეს,
არ მომბეზრდება მეცო, დინება!..

ციალა არდაშელია

# სინანული

მოთხრობა

იწვა. ყრუ კვნესითღა ეხმაურებოდა ტკივილებს.

ამ გზაზე შემოაღამდა შარშანაც. მაშინაც მარტო იყო, ფეხით მიუყვებოდა აღმართს...

„თოვდა. ნაშუადღევს დაიწყო და საღამოსთვის უკვე თეთრად ქათქათებდა ირგვლივ ყველაფერი. თოვდა ხვავრიელად, ბარაქიანად. მსხვილ-მსხვილი ფანტელები ფრიალ-ფრიალით ცვიოდა ძირს. თითქოს გაერთმთლიანდა ცა და დედამიწა, შეერწყა, შეენივთა ურთიერთს.

არაამქვეყნიური სიჩუმე იდგა. სიჩუმე და მყუდროება. თოვლის ფანტელების შარიშური თუ არღვევდა ამ ღვთიურ გარინდებას და სულში იღვრებოდა უცნაური, ზეაღმტაცი, სევდანარევი სიხარული. სხეული თითქოს განიძარცვა ხორციელი სამოსისაგან და ახლა ამ პირველყოფილი სიჩუმის წიაღში, ამ პირველყოფილი სიმშვიდისა და გარინდების წიაღში დაფარფატებდა თოვლის ფანტელივით უწონო და გამჭვირვალე, დაფარფატებდა მარტო, სრულიად მარტო ამ რძისფერ ბურუსში, თეთრი მარადისობის წინაშე. მაგრამ ეს მარტოობა არ იყო დამთრგუნველი, მტანჯავი, იგი როგორღაც ამაღლებული და დიდებული ჩანდა. იგი მარტივილი სულის ზეაღსვლა იყო, მისი სწრაფვა უსასრულობისკენ, მარადისობისკენ.

გრძნობდა, მთელი არსებით გრძნობდა, რომ პატარა და უსუსური იყო ამ უსასრულობის წინაშე და მაღალი და დიდიც ამავე დროს. ეს იყო სულის აღვსების ჟამი, მისი დღესასწაული.

ხოშორა თოვლი ჭრაჭუნობდა ფეხქვეშ. თავშიშველა, ტყაპუჭზე საკინძეჩახსნილი დააბოტებდა ამ უსაზღვრო სითეთრეში და ხარბად ისუნთქავდა გამჭვირვალე, წმინდა ჰაერს და თოვლის ფანტელებით ევსებოდა თმა და ელუმპებოდა სახე.

სადღაც ქვემოდან, პატარა ბორცვზე შეფენილი სოფლიდან ყრუდ მოისმოდა ძაღლების ღავღავი. თითქოს ერთბაშად დაუბრუნდა ბავშვობის დროინდელი, მივიწყებული განცდა, რასაც პირველი თოვლის ფანტელები იწვევდნენ ხოლმე. ღამე ვერ იძინებდა, რამდენჯერმე დგებოდა, ფანჯარასთან მიდიოდა, ფრთხილად გადასწევდა ფარდას და ეზოში გაიხედავდა, დადო თოვლი თუ არაო.

ბარდნიდა ხვავრიელად, ბარაქიანად.

მარტოდმარტო დახეტიალობს ისიც ალბათ დიდი ქალაქის ქუჩებში. ან არადა ზის სავარძელში ჩვეულებისამებრ ფეხმოკეცილი და ფიქრობს, ფიქრობს“...

ეროვნული ბიბლიოთეკა

წამოწევა სცადა. უსაშველო ტკივილმა სახე დაუმანჭა. გმინვა აღმოხდა და ისევ ძირს დაეშვა.

„აი თურმე როგორია აღსასრული!“ — უეცრად საოცარი სიმშვიდე დაეუფლა.

„რა მარტივად ხოხდა ყოველივე“.— სუსტმა ღიმილმა შეუტოკა ტუჩები.

„ალბათ დილამდე ვეგდები ასე, დილით კი შეიძლება ვინმემ შემთხვევით შეამჩნიოს მანქანის ჩონჩხი და...“

„ნეტა რა დროა?... რამდენი დარჩა გათენებამდე?“

„ოხ, ერთი გამათბო ახლა, ოღონდაც ერთხელ გავთბე და..“

* * *

...აგუზგუზებულ ბუხარს ეტანება მთელი ტანით, ცეცხლის ენები ულოკავენ ხელებს, მთელ სხეულს, მაგრამ...

უძალოა ცეცხლი. უღონოა ცეცხლის ალი.

იქნებ მზემ გაუთბოს გათოშილ-გაყინული სხეული!

ცაზე დიდი, ბდღვრიალა მზე ჩახჩახებს. ირგვლივ ჰყვავიან ვაშლის, ტყემლის და ალუბლის ხეები. თეთრად გადაპენტილა არემარე, მიწაზე უხვად ჰყრია თოვლი კი არა, თეთრი ყვავილები.

მიტოპავს ამ ყვავილების გროვაში ძალაგამოლეული და ევედრება მზეს გაწვდილი ხელებით:

„ჰოი მზეო, ბარჩხალა მზეო“...

მაგრამ სადღაა ბარჩხალა მზე? კვერცხის გული ათქვეფილა თოვლის გუნდასთან და მიტყეპებია ყინულივით მოსარკულ ცას.

უძალო, უსხივო მზე.

თეთრად გაბარდნილ ვაშლის და ალუბლის ხეივანში მობარბაცებს სასოწარკვეთილი, გაწამებული.

წინ დიდი, თეთრი შენობა აესვეტა ერთბაშად, უზარმაზარგუმბათიანი. შიგ შელასლასდა. ხალხითაა გაჭედილი აქაურობა. ყველანი სასოებით შესცქერიან ამბიონზე შემდგარ, თეთრთმიან, თეთრწვერა მოხუცს.

უცნაური სიჩუმე დგას ირგვლივ. ქრჟოლისმომგვრელი, ცივი სიჩუმე. ამაოდ ცდილობს დაძაბოს მზერა. ვეღარ აღწევს ბერიკაცის ხმა მის ყურამდე. საოცარია, რატომ არ ესმის არაფერი (მერედა, როგორ ჰგავს ეს მოხუცი ბაბუას).

რას ნიშნავს ეს სამარისებური სიჩუმე? და რატომ ცივა ამ გაბდღვრიალებულ საყდარში ასე უსაშველოდ? რად დგას სისხლის სუნი საკმევლის ნაცვლად!

გარშემო მიმოავლო თვალი. ვეებერთელა ჭაღი თვალისმომჭრელად ბრჭყვიალებს და უამრავი თაფლის სანთელი ლიცლიცებს ნიშებში. კედლებზე ლურჯი, ოქროს, ყავის და ცისფერები ირევა ერთმანეთში. ამ ფერთა ჭავლში იძირებიან წმინდანთა ფრესკები.

გუმბათიდან ცისფერი. ღვთისმშობელი გადმოსცქერის დარბაზს. ღვთისმშობლის კი არა, დედის თვალები უყურებენ ნაღვლიანად. და სადღაც შორიდან, თითქოს უსასრულო შორეთიდან მოესმის „დიდოუ ნანა, მებდინაო ჩქიმი ცოდა“ — „ვაიმე დედა, ნუთუ დავიკარგები, ჩემი ცოდვა?“

„რა ხდება აქ?... ვერაფერი გამიგია...“

„შვილო, ჩემო საბრალო შვილო, მიცვალებულთა სულებია აქ. თავმოყრილი. ის მოხუცი ბაბუაშენია, მიცვალებულთა სულებს მოძღვრავს. შენი დაღუპული ბიძებიც აქ არიან. შვილო. მხოლოდ მამაშენი არ ჩანს. მამაშენის სულს ვერ მიაკვლიეს. სადღაც შორს, უსასრულოდ შორს დახეტიალობს გზააკვალარეული. ვერ მოუგნია აქაურობისთვის“.

ქრიალით უვლის ძრწოლა. საწყალი მამა, ომში უგზო-უკვლოდ დაკარგული მამა.

„დაკარგულო სულებო... უგზო-უკვლოდ დაკარგულო სულებო! მოძებნეთ თქვენი სულთსაყუდარი!“

გუმბათისაკენ აღაპყრო ისევ მზერა, მაგრამ საყდრის გუმბათი ახლა ურიცხვ ვარსკვლავს მოუჭედავს, ვილაცის უჩი-

ეროვნული

ლავ ხელს ერთბაშად ამოუქარგავს გუმბათის ზედაპირზე თვალებბრიალა; ცინცხალი ვარსკვლავები. ხოლო ღვთისმშობლის ნაცვლად ქალწულის დიდრონი, ნაღვლიანი თვალები უღიმიან კამარიდან. ესოდენ ნაცნობი, მიუწვდომელი თვალები!

შორიდან, თითქოს უსასრულობიდან კვლავ მოისმა ნაცნობი წელიწდია ყრუდ აღწევდა იგი. სიტყვებსაც ძლივს არჩევდა: „დიდოუ ნანა, მებდინაო ჩქიმი ცოდა?"

ბავშვების ორმა წყვილმა თვალმა გამოანათა მერე გუმბათიდან: „მამიკო.. მამიკო"...

გუმბათი შექანდა უცებ, ზღვის ტალღასავით იწყო რწევა.

სიმღერაც თითქოს შეძაგძაგდა, შეთრთოლდა... მერე მიილია, ჩინავლდა და...

ერთბაშად ბზრიალ-ტრიალით წამოვიდნენ ძირს ვარსკვლავები, არა, ვარსკვლავები კი არა, ბროწეულის ყვავილებმა იწყეს ცვენა.

შანდლებში სანთლები ჩაქრა.

ჩქარა უნდა გაიქცეს აქედან.

ჩქარა!..

...მთელი ძალით იქნევს მუშტებს. ცდილობს როგორმე გააღწიოს გასახვლელისკენ.

ამაოდ.

ისევ ისე მდუმარე რკალშია მომწყვდეული. ჭირის ოფლი ასკდება შუბლზე. ჰაერი აღარ ჰყოფნის, სული ეხუთება.

შეძრწუნებულმა კვლავ მაღლა აიხედა მავედრებელი თვალებით. გუმბათი ერთხელ კიდევ შექანდა და...

დაუკუნეთდა".

ქალიშვილმა უხმაუროდ, მსუბუქად აირბინა კიბე. კართან წამით შედგა და სული ღრმად მოითქვა. მერე თითქოს ეპარებაო, ისე ფრთხილად დააჭირა თითი ზარის ღილაკს.

კარი შუახნის, სათვალიანმა ქალმა გამოაღო.

— ო, მარიკა...

— როგორ არის? — ჩურჩულით იკითხა ქალიშვილმა და კარს ზურგით აეკრა.

— ისევ ისე!

მოსულს წამით თვალები გაუშტერდა.

— უკვე მესამე დღეა ასეა. ვაიმე, შვილო, მოგიკვდეს დედა... — ჭაღარა ქალს ცრემლი ჩამოუგორდა ლოყაზე. ხალათის ჯიბიდან სასწრაფოდ ამოიღო დიდი ცხვირსახოცი და პირზე აიფარა.

— კარგით, დეიდა ნინო, დაწყნარდით. იქნება დავიყოლიოთ როგორმე.

— ჰო, შვილო, შედი, შედი შემოგევლე. ისევ შენ თუ მოახერხებ რამეს...

ქალს სიტყვა გაუწყდა. ისეთი ტანჯვა ეხატა სახეზე, ისე საცოდავად ცდილობდა ტუჩისა და ნიკაპის კანკალის შეკავებას, რომ მარიკას გული მტკივნეულად შეეკუმშა, ორივე ხელი მოხვია ქალს მხრებზე.

— დაწყნარდით, დეიდა ნინო, თქვენი ჭირიმე... არ შეიძლება... არ შეიძლება ასე...

— შედი, შედი შემოგევლე. იმასთან ვერ ვტირი... ხმის ამოღებისაც მეშინია... ვაიმე შვილო... — ბუტბუტებდა ქალი და თან სტუმარს შიდა ოთახის კარისაკენ ნელ-ნელა უბიძგებდა: — არის ისე, როგორც შენ დატოვე წეღან. გარინდებული მიშტერებია ჭერს ერთთავად და... ვერ მამჩნევს, თითქოს ვერაფერს ხედავს ირგვლივ...

ქალიშვილმა პალტო გაიძრო, ჭაღარა ქალს მოხედა წამით, ტუჩებზე ხელი მიიდო და შემდეგ შიდა ოთახის კარი შეაღო.

ოთახში ნახევრად ბნელოდა. ერთადერთ ფანჯარასთან სქელი ფარდა რომ ეფარა, ტახტი იდგა და მასზე გულაღმა იწვა შავ სვიტრსა და ქვედაკაბაში ჩაცმული ახალგაზრდა ქალი; თავქვეშ ხელები ამოედო და ჭერს შესცქეროდა. ფეხის ხმაზე არც განძრეულა, თვალებიც არ დაუხამხამებია. მარიკას გული მოეწურა, მაგრამ შეეცადა თამამად დაეჭირა თავი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რას ჰგავს ეს ბოლოს და ბოლოს? როდემდე უნდა იყო ასე? — მარიკა ფანჯრასთან მივიდა, ფარდას ხელი ჰკრა და გადასწია.

ანაზდად შემოღვრილმა დღის შუქმა გაანათა მწოლიარეს გაცრეცილი სახე მას ქუთუთოები აუთრთოლდა. თითქოს ვეღარ გაუძლო მკვეთრ სინათლეს, თვალები მოხუჭა წამით, მერე ისევ გაახილა, ზანტად, მძიმედ მიმოატარა გარშემო და მერე ახალმოსულზე შეაჩერა მზერა. დიდხანს მისჩერებოდა, დაქინებით. უცებ ამ უსიცოცხლო, ჩამქრალ თვალებში რაღაც სხივი გაკრთა. სახეზე ძარღვი შეუტოკდა. ერთბაშად წამოჯდა.

— მარიკა... მარიკა... ეს კაბა... გახსოვს, ეს კაბა... — უცებ ტირილი წასკდა და ყურთბალიშებში ჩაემხო თავით.

„კაბაო? რა კაბა? რას ლაპარაკობს ნეტა?.. მაგრამ იტიროს... კარგია.. იტიროს!“ — გაუელვა მარიკას და ათახთახებულ მხრებზე ხელი მოხვია.

— ჰო, გენაცვალე. ასე. იტირე. იტირე ჭირიმე, ასე სჯობია.... — პატარა ბავშვივით უყვავებდა, ეფერებოდა.

— ვაიმე შვილო, მოგიკვდეს დედა... — ოთახში შემოპარული ჭაღარა ქალი ჩუმად იმდუღრებოდა.

მარიკამ თვალით ანიშნა, დაგვტოვეო და თან გაღიმება სცადა. ეს ღიმილი პატიებასაც თხოვდა თითქოს მოხუც ქალს და ამავე დროს იმედიანიც იყო.

როცა დამფრთხალი ქალი უხმოდ, უსიტყვოდ გაიძურწა ოთახიდან, მარიკა კვლავ დაიხარა მეგობრისკენ:

— ჰო, გენაცვალე, ნანიკო... იტირე... მოიოხე გული...

იგი ნელ-ნელა გაყუჩდა. მერე ერთხანს იწვა ასე ბალიშებში თავჩარგული, მერე თავი ასწია, ცრემლით მორწყული სახე მარიკასკენ მოაქცია:

— გახსოვს... გახსოვს ახალწლის ღამე... ღვინო... ღვინო რომ გადაგასხა ამ კაბაზე... — ნაწყვეტ-ნაწყვეტად. სლუკუნით ამოთქვა ბოლოს და კვლა თქრიალით წამოუვიდა ცრემლი თვალებიდან.

მარიკამ ნოკლესახელოებიან, ნაცრისფერ შალის კაბაზე დაიხედა, მერე მკრთალი ღიმილი მოეფინა ტუჩებზე:

— ჰო, მახსოვს. როგორ არა! როგორ შეწუხდა... არ იცოდა, რა ექნა, რითი ეშველა...

— ვაიმე! — დაიგმინა ნანიმ ისე, თითქოს ამ ამოოხვრას მთელი გულღვიძლი ამოაყოლაო. — სულ ერთი თვის წინ იყო ეს. სულ ერთი თვის წინ! — და კვლავ ბალიშებში ჩაემხო:

— ღმერთო, რა უბედური ვარ!

თავჩაქინდრული მარიკა უკვე აღარ ცდილობდა მეგობრის დაწყნარებას, ვეღარც საკუთარ თავს ერეოდა...

ნანი უცებ წამოხტა, ოთახში სიარულს მოჰყვა. დადიოდა, თითებს იმტვრევდა და უხმოდ, უსიტყვოდ იცრემლებოდა. მერე ფანჯარასთან მივიდა და გაქვავდა.

ერთხანს იდგა ასე. შავი სვიტრი მჭიდროდ შემოტმასნოდა სხეულზე, ოქროსფერი ხშირი თმა მხრებსა და ზურგზე ჩამოღვროდა. მწუხარებისაგან დალეულ სახეზე მხოლოდ თვალები უციმციმებდა — მოგონებებს ჩაეღვარა ახლა ნათში სიცოცხლის შუქი. იდგა დარდისაგან გათავებული და მაინც კოხტა, მიმზიდველი, ისეთი, თავად რომ ვერასოდეს მიხვდებოდა, რა მომხიბვლელი და ქალური იყო ამ წუთს მთელი მისი არსება...

მარიკა ნაღველნარევი სიყვარულით შესცქეროდა მეგობარს და უნებურად ეკუმშებოდა გული. ეკუმშებოდა მტკივნეულად, მწარედ.

ნანი იდგა ისევ ისე შეურხევლად და მის ფართოდ გახელილ თვალებში ახალწლის ის ღამე ჩამდგარიყო ხელშესახები სიცხადით, ნათლად და გამოკვეთილად. უმცირეს ნაწილებად დანაწევრებული...

* * *

მანქანის ხმამ ფიქრიდან გამოარკვია, გუჯი, „მოსკვიჩის“ კარი გამოუღო:

— დაჯექი!

ვიდრე რამეს მოისაზრებდა, ნანი უკვე მანქანაში იჯდა. გუჯის თითქოს შეეშინდა, ქალმა არ გადაიფიქროსო, და მანქანა უცებ დაძრა. ნანი უნებურად კუთხეში მიიყუჟა და გატვრინდა.

— როგორა ხარ? — დაარღვია დუმილი კაცმა და ირიბად შეათვალიერა გაყუჩებული ქალი.

— აქ საიდან გაჩნდი? — თითქოს თავის ფიქრებს გაეხმიანა ქალი.

— ორი საათია გელოდები.

— ესე იგი, შენ დარეკე წეღან?

— მინდოდა გამეგო, იყავი თუ არა საპროექტოში. რატომ დაგაგვიანდა ასე?

— უამრავი საქმე გამომიჩნდა. — წამით იყუჩა. მერე ფრთხილი ხმით იკითხა:

— რა მოხდა?

— არაფერი ისეთი.

— მაინც? — ქალმა წარბები აწკიპა.

— ამ ახალწლის წინა დღეს მინდოდა ცოტა ხანს ერთად ვყოფილიყავით. — უჩვეულოდ ჩქარა და დაძაბული ხმით თქვა კაცმა.

ქალი გაჩუმდა. კაცმა გამოხედა. თითქოს არ მოელოდა, რომ ქალი დათმობდა და ახლა ქურდულად ამოწმებდა მისი სახის გამომეტყველებას.

ქალი წინ იყურებოდა. მუხლებზე ჩანთა დაედო და ზედ მოწყვეტით დაესვენებინა ორივე ხელი.

კაცმა ჯიბე მოიჩხრიკა. ასანთი ამოიღო.

— მომეცი. მე მოგიკიდებ! — თქვა უცებ ქალმა და მისკენ ჩიიწია. ქალმა ასანთი გაჰკრა და სცადა ანთებული ღერო მიემარჯვებინა სიგარეტისთვის. გაეღიმა კაცს ქალის მოუხერხებლობაზე, დაიხარა, მოუკიდა პაპიროსს, მერე თითქოს უნებლიეთ ხელი შეავლო მის თითებს და ოდნავ, სულ ოდნავ მოუჰკირა.

ქალმა კაცის დახრილ თავს თვალი სწრაფად მოავლო და მერე მზერა თავის ხელებზე გადაიტანა. კაცი წელში გაიმართა.

— გმადლობ, — ჩაიბუტბუტა ქალმა და ღრმა ნაფაზი დაარტყა.

ისევ დადუმდნენ; ქალი კვლავ მიიკუნჭა კუთხეში და გაირინდა.

წვიმდა. ნაცრისფერი ედო ყველაფერს. წვიმის წვეთებსაც თითქოს ნაცრისფერი დაჰკრავდა. ქუჩები ატალახებულიყო.

— რა საზიზღარი ამინდია. — თქვა ქალმა ისე, რომ არც შერხეულა. კვლავ თვალგაშტერებით იყურებოდა წინ.

— ახალწელს თოვლი უხდება, — დინჯად თქვა კაცმა — და საერთოდ ვერ ვიტან ამ სადღესასწაულო რია-რიას. ეს მოფუსფუსე, ზომაზე მეტად აფორიაქებული ხალხი ნერვებს მიშლის.

— მეც.

— ასეთ დროს უნდა უჯდე მამა-პაპურ ბუხარს, თბებოდე აღუღუნებულ ცეცხლზე. გარეთ კი თოვლი მოდიოდეს. ბარდნიდეს დაუსრულებლივ. და იყოს მყუდროება... — წამით გაჩუმდა. — ეჰ, კარგია კარგი ცხოვრება! — დასძინა კაცმა და ჩაიცინა.

— რამხელა გაიზარდა შენი ბიჭი, გუჯი. და... სულ შენი ალიკვალია...

— ჰო, უკვე დიდი ბიჭია. ამის წინეებზე მეუბნება, მამიკო, მეც წამიყვანე ზაფხულობით გეოლოგიურ პარტიებშიო! — კაცმა შეკავებული ღიმილით თვალი შეავლო მინაზე გაკრულ ქალვაჟის სურათს.

— რომელ კლასშია?

— მესამეში.

— გოგო რა ხნისაა? გოგო, მე მგონი, დედას უფრო ჰგავს, არა?

— მეც მგავს. უკვე ხუთის ხდება.

— გადასარევი ბავშვებია ორივე. კი. გოგოს შენი ღიმილი აქვს, ტუჩებიც... — ქალი გაჩუმდა. მოიწყინა. თუმცა ინსტინქტურად, უანგარიშოდ შეეცადა კაცისათვის დაეფარა გუნებაგანწყობილების შეცვლა. კაცი მიუხვდა. თვალი აარიდა.

— როგორ დაფრატუნებს ეს უბედური დედაბერი... კინაღამ მანქანას არ ჩაუვარდა? თვითონ ძლივს დაჩოჩიალობს

ეროვნული ბიბლიოთეკა

და რამხელა ჩანთები დაუჭერია ხელში.

— რა ქნას. მთელი ოჯახი მის კისერზეა ალბათ... შენი მანქანა უცებ ვერ ვიცანი. ისევ გადაღებე?

— კი. გადავღებე.

— ფერს კი უცვლი წარამარა...

— ნაგრამ მკვდარს რა გააცოცხლებს, არა?

— ჩემი ქურქის არ იყოს.. — ქალს გაეცინა.

კაცმა სწრაფად შეავლო თვალი.

— სიმპათიურად კი გამოიყურება. რაც მთავარია, შენ გიხდება და ვინ რა იცის, რა ხნისაა.

— იცი მართლა, რა ხნისაა?

— ვიცი, სამსახური რომ დაიწყე, იმ წელს შეიძინე!

— გხსომებია. — გაუკვირდა ქალს. — ეჰ, კაი რვა წელი გავიდა მას შემდეგ.

— შენ რომ მაგ თავსაფარს მოიძრობდე, კარგი გოგო იქნები! — თქვა უცებ კაცმა.

ქალმა თავსაფარი ნოიძრო და თავი გაიქნია, სქელი, ტალღოვანი თმა მხრებზე გადმოეღვარა ერთბაშად.

— ასე. — კმაყოფილებით ჩაილაპარაკა კაცმა.

— ვიცი, რომ არ მიხდება, სიცივის გამო ვატარებ.

— არა, არ გიხდება კი არა, ასე უფრო სჯობია. შესანიშნავი თმა გაქვს, ცოდვაა მისი დაფარვა.

— აბა, აბა.

— ისე, შენ რომ მცივანა ხარ, ტყუილია. ახლაც ხომ არ გცივა, ჰა? გამოტყდი, ნუ გრცხვენია.

— არა, არა, პირიქით, დამცხა კიდეც.

— მადლობა უფალს. ისე, შენთვის სულ ზაფხული უნდა იყოს განოწერილი.

ისევ დადუმდნენ.

— რამდენ ხანს უნდა ვიაროთ ასე?

— მოგეწყინა? — კაცს სახე შეეცვალა.

— არა. კი არ მომეწყინა... — ქალმა სიტყვებს დაუწყო ძებნა: — მე შენს გვერდით ჯდომა არასოდეს მომწყინდება, გუჯი, მაგრამ...

— მე არაფერი მჯერა უკვე, ნანი, არაფერი, გენაცვალე. — როგორდაც მძაფრად, ბოლმაგარეული გულისტკივილით ამოთქვა კაცმა.

— თუ ასეა...

— უკვე მიზეზს ეძებ, ნანი?

— არა, არა, დედას გეფიცები, ნე უბრალოდ...

— აბა გეჩქარება სადმე?

ქალი წამით შეყოყმანდა, მერე სიმართლის თქმა ამჯობინა:

— არა, არსად არ მეჩქარება. დედას დაკუბარე, შეიძლება შემაგვიანდეს-მეთქი. თაზოსთან წავიდოდა. რაც მამა გარდაიცვალა, სახლში ვერ ჩერდება. სულ თაზოს ბავშვებთან არის. ამაღამაც იქ შეხვდება ახალ წელს.

— შენ?

— მე? არ ვიცი. ვნახოთ.

— მე და შენ ერთად შევხვდებით ამაღამ ახალ წელს.

— რა თქვი?

— არ გინდა ჩემთან ერთად შეხვდე ახალ წელს?

— კი მაგრამ... რანაირად, როგორ? შენ ხომ შინ უნდა იყო ამაღამ, გუჯი!

— მე ამაღამ შენთან ერთად ვხვდები ახალ წელს. მორჩა და გათავდა. — კაცმა საჭეს ხელი დაჰკრა, წარბები მოიქუფრა.

— გუჯი, შენი ბავშვები...

— სულ იმათთან ვარ. არა უშავს. ერთ ღამეს გაძლებენ უჩემოდ.

— ეგ შეუძლებელია, ახალ წელს შენს ბავშვებთან უნდა იყო და [illegible] არც ისე ხშირად ხარ მათთან. შენ რომ გუდაუ-ნაბადს აიკრავ და თბილისიდან გადაიკარგები...

— მოდი, ნუ ნედავები, კარგი? შენ ეს მითხარი, გინდა თუ არა ჩემთან ერთად შეხვდე ახალ წელს?

ქალი ისევ შეყოყმანდა, მერე ისევ სიმართლის თქმა ამჯობინა:

— მინდა. — და სწრაფად დაუმატა, — მაგრამ...

[illegible]

— არავითარი მაგრამ. ჩვენ ამაღამ ერთად შევხვდებით ახალ წელს, ნანიკო.

— სად, გუჯი? სად უნდა შევხვდეთ?

— თუნდაც აქ. ამ მანქანაში! ჰო, კარგი, ნუ შეშინდი. მოიძებნება ადგილი.

გუჯომ შუბლი შეიჭმუხნა. ჩაფიქრდა.

— მარიკას დავურეკოთ! — უცებ შეებით ამოთქვა და საფეთქელზე ხელი მოისვა...

— უხერხულია, გუჯი. იქნება სხვაგან მიდის ის ქალი, ან იქნებ...

— მოიცადე. ახლავე მოვალ. — კაცმა მანქანა ტროტუარის კიდესთან მიაყენა, მერე კარი გამოაღო და გადავიდა.

ბეჭების თავისებური რხევით გაალაჯა ტელეფონის ჯიხურისკენ. ქალმა თვალი გააყოლა.

„ოჰ, რამხელაა... ღმერთო ჩემო!..“

ქალი მზერას არ აცილებდა და თბილად, ნაღველნარევი სინაზით ეღიმებოდა.

„ჯიხურიდან აპირებს დარეკვას? რას დარეკავს! თუმცა... მგონი, დარეკა. სასწაულია!“

კაცი ძლივს შეტოეტია მანქანაში. თვალები უჩვეულოდ უბრწყინავდა. სახე გაბადროდა.

— დღეს ბედი მწყალობს, ნანიკო, ჯერ ერთი, შენ გნახე. ახლაც ისე უცებ დავრეკე, შემეშინდა კიდეც.

— რაო, შინ იყო მარიკა?

— ყველაფერი რიგზეა, ჩვენ დაგველოდება.

— კი მაგრამ...

— ხომ გითხარი, არავითარი მაგრამმეთქი. მე და შენ ამაღამ ერთად ვხვდებით ახალ წელს. — მერე წამით იყუჩა. — ჩვენ ხომ არასოდეს შევხვედრივართ ერთად ახალ წელს, ნანიკო... ვინ იცის, იქნებ უკანასკნელად ვხვდებით ამ ახალ წელს... რას გაფითრდი? გეხუმრები. მარიკა გენიალური გოგოა. გამგებიანი. ვაჟკაცური. ძალიან ნიყვარს მარიკა.

— სხვათა შორის, შენც ძალიან უყვარხარ. შენი გულისთვის, ცეცხლში ჩავარდება.

— ვენაცვალე. ოქროს გულისაა.

— ეჰ, უიღბლო კია ყველაფერში.

— ყველა კარგი ადამიანი უიღბლოა. შენ ეგ არ იცი, ნანიკო?

ქალმა მხრები აიწურა, გაჩუმდა. სიამოვნებდა და თანაც ცოტა არ იყოს, უკვირდა კიდეც კაცის ასეთი სილაღე; რაღაცნაირი ჯიქური, შემტევი სითამამე. დიდი ხანია, ძალიან დიდი ხანია არ ყოფილა იგი ასეთი თვითდაჯერებული და ასეთი ხალისიანი.

„ნასვამი ხომ არ არის?“ — გაიფიქრა ერთი პირობა, მაგრამ თითქოს ნაფიქრალს მიხუვდაო, კაცმა ერთბაშად თქვა:

— დღეს ლუკმა არ ჩასვლია პირში. შენც გშიება. სამსახურიდან მოდიხარ. მოდი, სადმე წავიხემსოთ, სანამ მარიკას სუფრას მივუსხდებოდეთ.

— როგორც გინდა. — უკვირდა თავისი თავიც. თვითონაც ადრე არასოდეს ყოფილა ასეთი თვინიერი, დამჯერე. ადრე, მასთან ყოფნის ყოველი წამი ჩამწარებული ჰქონდა, მარიკას თქმის არ იყოს, ქართველი ქალისათვის დამახასიათებელი იეზუიტური თვითგვემითა და ჩხრეკა-კირკიტით. ახლა უნებურად მასაც გადაედო კაცის სიხალისე.

— აი ხედავ რა ბედნიერი დღეა დღეს ჩემთვის. რასაც მოვიწადინებ, ყველაფერი მისრულდება. ნამდვილად კარგ ფეხზე ავდექი ამ დილით. ფუი, ფუი, ეშმაკს, არ გავთვალო ჩემი თავი.

— შენ... შენ გწამს ეგეთი რამეები? — ქალმა ახლა ხმამაღლა გაიცინა, მერე თავი სავარძლის საზურგეს მიასვენა და ეშმაკური ღიმილით გამოხედა კაცს. კაციც იცინოდა, იცინოდა როგორღაც ბავშვური უშუალობით, გულიად. მიამიტად.

— არ იცი განა, რა საშინელი ცრუმორწმუნე ვარ? სხვათა შორის, თითქმის ყოველი სპორტსმენი ბეტნაკლებად ცრუმორწმუნეა. დღეს სულ იმას

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვცდილობ, არაფერი ვაწყენინო ღმერთს და.. შენ წარმოიდგინე, ღმერთიც მოწყალე თვალით მიყურებს... ჯერჯერობით! — კაცმა სწრაფად გადაისახა პირჯვარი. ქალმა ისევ გაიცინა, მერე ერთბაშად ახლოს მოიწია და საფეთქელზე ფრთხილად მოუსვა თითი.

— რამდენი ჭაღარა გამოგრევია, გუჯი!

კაცმა თვალები მოხუჭა, ერთბაშად გადაფითრდა. ქალმა წამსვე უკან წაიღო ხელი.

— ჰო, დავბერდი. შენ ახლაღა შეამჩნიე? — მერე, კარგა ხნის მერე ყრუ, დაბეჟილი ხმით ამოთქვა როგორღაც:

— ხორბლისფერი თმა რომ გაქვს, არ გეტყობა. ისე, შენ გინდოდა გეთქვა, დავბერდით-თქო? არა? — იღიმებოდა ქალი ისევ ისე თბილად, ალერსიანად.

— შენ არა. — კაცმა სწრაფად შეხედა. და იმოდენა სინაზე იყო ამ მზერაში, ქალს გული გადაუქანდა. ჟრუანტელმა დაუარა სხეულში. კაცის ეს უჩვეულო, ნაზი ღიმილი ყოველთვის საოცრად მოქმედებდა მასზე. ასეთ წუთს მზად იყო მიჰყოლოდა მის ყოველ ნებასურვილს, და... მორჩილი და უმწეო ხდებოდა.

— შენ არასოდეს დაბერდები, შენ სულ ასეთი ბავშვური იქნები.

— მასე გეგონოს!

— მასე გეგონოს კი არა, ეგრეა და ნუ მედავები. ხომ იცი, არ მიყვარს, როცა მედავებიან.

— ოჰო.

— არ მითხრა ახლა დესპოტი ხარო.

— დესპოტი ხარ!

— კიდევ?

— კიდევ? თვითმპყრობელი მონარქი.

გუჯიმ თავი უკან გადააგდო და ახარხარდა.

— ეგ მაგარი იყო, ნანიკო, მე და ჩემმა ღმერთმა! — თქვა კაცმა და მოჭუტული თვალით ალერსიანად ჰკითხა:

— კიდევ? კიდევ რა ვარ?

— კიდევ? მეტი არ ვიცი, — ქალმა ტუჩები გაბუტა.

— ჰოდა, როცა არ იცი, უნდა გაჩუმდე. — და გუჯიმ უცებ მხარზე გადახვია ხელი, თავისკენ მოიზიდა.

— ფრთხილად, ხომ არ გავიწყდება საჭეს რომ უზიხარ?

— მაგას რა დამავიწყებს, თანაც გვერდით შენ მყავხარ. სულ ორჯერ არ მჯდარხარ ჩემს მანქანაში. გინდა რადიო ჩავრთო?

— ჩართე.

ქალმა ისევ სავარძელს მიასვენა თავი. წინანდელი დაძაბულობა, თუ რაღაცნაირი უხერხულობის გრძნობა ახლა სრულებით გაქრობოდა. თავისთვის, ჩუმად ეღიმებოდა.

რადიოში ქართულ ხალხურ სიმღერებს გადმოსცემდნენ.

— კარგია! — ჩაილაპარაკა ქალმა და თვალები მოხუჭა. მოსასმენად მოემზადა.

— ახალწლის წინა საღამოს რასაც ჩაითქვამ, ყველაფერი აგისრულდებაო, ამბობენ.

— ნუთუ მართლა? მაშინ გაბედნიერებულა სუყველა და ეგაა.

„მრავალჟამიერი“ „მუმლი მუხასამ“ შეცვალა. „მუმლი მუხას“-ას „ჩაკრულო“ და „არხალალო“ მოჰყვა, მერე „ბერი კაცი ვარ“, „წინწყარო“.

ქალის წარმოსახვაში ბარაქიან კახურ ზვრებს ქართლის პურის შრიალა ყანები ცვლიდა. მერე პურის ყანები ერთბაშად წალეკა ზღვის მოლივლივე ტალღებმა. ზღვის ტალღების დუდუნს ლელიანის შრიალი და ფოთლების შარიშური აედევნა.

ქალმა წარბებსქვემოდან გახედა კაცს, ესეც შენი სიმღერაო, თქვა ჩურჩულით და თვალით ანიშნა რადიოზე. მან ღიმილით, უხმოდ დაუქნია თავი.

„დიდოუ ნანა“... სევდიანად ღუღუნებდა ჩონგური და... გულის სიღრმიდან ნელ-ნელა დაიძრა რაღაც თბილი, უსაზღვროდ თბილი...

ქალი თითქოს ცხადად, გარკვევით ხედავდა უსაშველოდ მაღალი და ლურჯი ზეცის თავანს, თითისწვერებზე შემდგარი, ცისფერნაბდიანი გოლიათი

მთების როკვას, ხედავდა მოლალანე ზღვის სილურჯეს, შერწყმულს ხასხასა მწვანე ფერების ნიაღვართან... გარკვევით ჩაესმოდა ოდესღაც, შორეულ ბავშვობაში მოსმენილი მდინარის ნელი, გაუთავებელი შხუილი და ღამეული ჩურჩული ალვის ფოთოლთა...

..იჯდა მდუმარე და ეღიმებოდა თავისთვის ჩუმად, სევდიანად. და ასე ეგონა, დიდი ხნის წინ, უსაშველოდ დიდი ხნის წინათ გაჩენის დღიდან ასე ისხდნენ გვერდიგვერდ და ჰაერში ასევე იდგა ის უსაშველო, უნაპირო სევდა, ამ სულისშემძვრელ მელოდიას რომ ახლავს თან.

თითით ფარულად შეიწმინდა ლოყაზე უნებურად დაცურებული ცრემლი.

— იცი, ბაბუა მომაგონდა ახლა... — თქვა უცებ გუჯიმ შეგუბებული ხმით და სიგარეტი გააბოლა ისევ. ეტყობოდა, რომ მოძალებულ მოგონებას თავს ვერ ართმევდა. — ძალიან უყვარდა ეს სიმღერა — რადიო გამოთიშა. საფეთქელზე მოისვა ხელი ნერვიულად.

— სულ ბაბუაზე მელაპარაკებოდი, გახსოვს, გუჯი? ბაბუას მაწსგავსებენო, გეამაყებოდა.

— ჰო, გარეგნულად გვამსგავსებდნენ. ოღონდ ბაბუა ჩემზე თხელი იყო და სახეც უფრო დახვეწილი, ნატიფი ჰქონდა, და არაჩვეულებრივად ლამაზი, ცისფერი თვალები...

ისევ გაჩუმდა. მდუმარედვე ეწეოდა სიგარეტს. მერე ისევ წამოიწყო:

— საოცარი კაცი იყო ბაბუაჩემი.. სიმღერისათვის სულს ლევდა, მაგრამ თვითონ ვერ მღეროდა, ხმა არ ჰქონდა. ბებიაჩემი კი მღეროდა დიდებულად — გიტარაზეც, ჩონგურზეც. ხმა ჰქონდა ისეთი, რომ გამახსენდება, ახლაც ჟრუანტელი მივლის, მოტაცებული ჰყავდა ცოლი ბაბუას, დიდგვაროვანი ქალი იყო და არ ატანდნენ. ადგა და მოიტაცა თურმე, — ქალის ხელშეწყობით, რასაკვირველია. ესეც არ იყო მაშინ უჩვეულო ამბავი. მერე აჯავრებდა ბებიას, ფანჯარა რომ ღიად დატოვე-განგებ, ის როგორ იყოო. საოცრად უყვარდათ ერთმანეთი... ჰოდა, როცა ბაბუას სიმღერა მოუნდებოდა, დასვამდა თურმე თავის ლამაზ ცოლს, ოღონდ უეჭველად მარტონი უნდა ყოფილიყვნენ. იმ დროს შვილებსაც არ ჰქონდათ უფლება ოთახში შესულიყვნენ... მარტო უნდოდა ამ სიმღერის მოსმენა, „დიდოუ ნანა, მებდინაო ჩქიმი ცოდადიდოუ ნანა, ნუთუ დავიკარგები, ჩემი ცოდვა“... მერე მთელი დღე თავის ფიქრებსა და ოცნებებში ჩაფლული. დადიოდა და ხმას არ იღებდა — რომანტიკული ბუნების კაცი იყო, მეოცნებე. სხვათა შორის, პირველი ცხენოსანი და განთქმული მონადირე იყო ჩვენს კუთხეში.

ოთხი ვაჟის დაღუპვის ამბავი რომ მიიღო ზედიზედ, ცოლს არ უმხელდა თურმე. თავად უჩუმრად დაატარებდა დარდს. მერე დედაჩემის სიკვდილიც დაემატა... დაილია. გათავდა კიდეც ზეზეურად. სიკვდილის წინ უთხოვია ბებიასთვის, „დიდოუნანა“ მიმღერეო. რაც შვილები დაეღუპა, ერთხელაც არ მოსურვებია სიმღერა.

...თითქოს გულმა მიგრძნო, იმ შემოდგომას რამდენიმე დღით ჩავედი სოფელში. ეზოში ვიყავი, ბებიას შეცხადება რომ მომესმა... ბაბუას კარისკენ ეჭირა თვალი, თითქოს ჩემს შემოსვლას ელოდებაო ....დამინახა, ღიმილის მსგავსი გაუკრთა თვალებში და გათავდა...

გუჯიმ კვლავ იყუჩა, მერე ისევ, თითქოს ფიქრშიაო, განაგრძო: — მიცვალებული ბაბუას სახეს რომ დავცქეროდი, საოცრად მშვიდი და თან საოცრად მოტეხილი, ბებერი ჩანდა იგი. თმა წამოზრდოდა ნიკაპთან, ყელზეც ჭაღარა, უხეში თმა... თუმცა არ იმჩნევდა, გაუმხელელი, უჩინარი დარდი ჰკლავდა, ნიადაგ ღრღნიდა მის გულს და მიუღო კიდეც ბოლო — არც ისე მოხუცებულს... იწვა და გულზე თუთუნის გამხმარი და გაყვითლებული ფოთლებივით ეყარა ოდესღაც ძლიერი და ღონიერი ხელები, ისინი მე მამის ხელების მაგივრობას მიწევდნენ, როცა მამა ომ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში დაიკარგა უგზო-უკვლოდ... — გუჯი გაჩუმდა ისევ. ნანიც ხმას არ იღებდა .კარგა ხანს გაგრძელდა ეს დუმილი.

— თუმცა, რა დროს ეს არის... რამდენს ვლაპარაკობ, არა? თავი შეგაწყინე ალბათ! — გუჯიმ დარცხვენილი ღიმილით გამოხედა გალურსულ ქალს.

— შენ კარგად ლაპარაკობ, გუჯი. პირიქით. საოცრად კარგად ლაპარაკობ!

კაცმა ქალის მუხლებზე დადებულ პატარა ხელს თავისი ფართო, დიდი ხელი დააფარა წამით და უჩუმრად, წყნარად ჩაიღიმა.

* * *

მანქანა კოჯრის გზაზე მიჰქროდა. მერე რომელიღაც სასადილოს წინ გააჩერა კაცმა და ქალს მიუბრუნდა:

— ნანი, ერთი წუთით...

ქალმა კაცის სახეზე ისევ ის მოკრძალებული, მორცხვი ღიმილი დაინახა, თვალებში კი თითქოს შიში ჩასდგომოდა. ქალს ყოველთვის უნებლიეთ იმორჩილებდა კაცის ასეთი გამომეტყველება, თან სიამით შეუტოკდებოდა ხოლმე გული. ახლაც გრძნობდა, კაცი უჩვეულო რაღაცის გაკეთებას თუ თქმას აპირებდა და თან ფრთხილობდა, ქალი როგორ მიიღებსო ამ ამბავს.

გუჯიმ ჯუბის ჯიბიდან ანაზდეულად კოლოფი ამოიღო.

— ნახე ნანი... — უთხრა და როგორღაც მოუხეშავად შეაჩეჩა ქალს ხელში ისე, რომ თვალებში არ შეუხედავს. მერე ვითომ უდარდელი იერით სტვენა წამოიწყო, მანქანის უჯრებში ხელის ფათურს მოყვა.

ნანიმ კოლოფი გახსნა. არაჩვეულებრივად ფაქიზად ნაკეთებმა, ვერცხლის ჰედურმა სამაჯურმა თვალ ი მოსტაცა ერთბაშად.

ნანიმ ხელები შეავლო სამაჯურს და იგრძნო, ყელში რაღაც მოაწვა. სუნთქვა შეუწყდა.

— მოგწონს? — ელვასავით სწრაფი მზერა ესროლა კაცმა და სტვენა შეწყვიტა.

— დიდებულია, გუჯი, ბრწყინვალე! — ძლივს ამოთქვა და თვალები მოხუჭა.

— ჰოდა, თუ მოგწონს, შენია.

— რაო?

მაგრამ კაცმა არ აცალა ქალს სიტყვის თქმა, სეტყვასავით სწრაფად მიაყარა: — დღეს ჩემთვის იღბლიანი დღეა, ნანი. ძალიან გთხოვ, ნუ გამიფუჭებ ახლა გუნებას... ატარე, გქონდეს... ნე რომ უცებ რამე მომივიდეს, ჩემი ნახელავი ხომ უნდა გქონდეს, ისე... უბრალოდ, იმის მოსაგონებლად, რომ ამ ქვეყნად არსებობდა ვინმე გუჯი გოგინავა — ერთი გაუბედურებული, ღვთის პირიდან გადავარდნილი კაცი, რომელსაც ერთადერთი სიხარული გააჩნდა ამ ქვეყანაზე, რომ არსებობდა ერთი პატარა გოგოს ღიმილი და... მეტი არაფერი. თუ არ გესიამოვნება, არ ატარო, ოღონდ... ახლა ნუ მეტყვი უარს.

ნანის კაცის სიტყვებზე ნელ-ნელა ერეოდა ღიმილი. უფრო კი მისი სახის დამფრთხალი და თან შემტევი გამომეტყველება ჰგვრიდა ღიმილს. უცებ ვეღარ მოითმინა და გადაიკისკისა. კაცი გაჩუმდა. გაოცებულმა შეხედა ქალს. ქალმა ცხვირსახოცი აიფარა სახეზე რომ სიცილი შეეკავებინა.

— რა გაცინებს? — პირქუშად დაეკითხა კაცი და უცებ ჩაუმუქდა ლურჯი თვალები.

„ოჰო, დაიბოლმა!“ გაუელვა და სიცილი შეწყვიტა.

— მოიწიე ცოტა. — უთხრა ნანიმ, — უფრო ახლოს. ასე. — და ერთბაშად, მოულოდნელად ლოყაზე აკოცა.

— შენ ისე დამფრთხალი ჩანდი პატარა ბიჭივით, და თან ისე ცდილობდი ამის დაფარვას, რომ... მაპატიე, გუჯი. თავი ვერ შევიკავე. უნებურად გამეცინა. — ქალმა წამით იყუჩა, მერე ხმამაღლა, მღელვარებისაგან შეცვლილი ხმით წარმოთქვა: — მადლობელი ვარ, გუჯი. სიკვდილამდე ვატარებ ამ სამაჯურს.

* * *

მერე ისხდნენ თითქმის ცარიელ სასადილოში კოჯრის გზაზე. ასე და ამ-

დენხანს არასდროს ყოფილან უწინ ერთად და ეშინოდა, მალე არ დასრულებულიყო ეს ბედნიერება .

ამჩნევდა, კაციც უსაზღვროდ კმაყოფილი იყო. იგი საოცარი მონდომებითა და ხალისით აძლევდა შეკვეთას მომტანს — ლოყებღაჟღაჟა, სქელ-სქელ ხნიერ კაცს.

— იცი, აქ ქართულ კერძებს ამზადებენ კარგად. — თითქოს ბოდიშს უხდისო, ისე უთხრა სახეგაბადრულ, გაჩუმებულ ქალს. ქალმა თვალებით გაუღიმა, მესმისო.

— რას დალევ, ნანიკო?

— სულ ერთია ჩემთვის.

— მოიცა...

— იმის თქმა მინდოდა, არ ვარჩევმეთქი ღვინოს. ცოტა ტკბილი იყოს ოღონდ და...

კაცმა გაიცინა და ლოყაზე ხელი მოუთათუნა. მერე სხარტად წამოხტა, მომტანს შეეშველა, შამპანური, ლიმონათი და ბორჯომი დადგა მაგიდაზე.

— ლიმონათი ტკბილია და, მე მგონია, ამაზე უარს არ იტყვი, არა ნანიკო?

— არავითარ შემთხვევაში. ლიმონათი უზომოდ მიყვარს.

კაცმა მაგიდაზე ჩამოსდო მკლავები, ქალს შეაცქერდა:

— კიდევ რა გიყვარს უზომოდ? — ბოლო სიტყვა განგებ გააჭიანურა, თითქმის დამარცვლა.

ქალმა მხრები აიჩეჩა:

— ტორტი და კაკლის მურაბა.

— აფსუს, აქ არ ექნებათ ეგეთი რამეები.

— მე შინ გამომცხვარ ტორტზე მოგახსენებდით, ბატონო!

— ოჰ, უკაცრავად, ამდენი ვერ მოვისაზრე. ისე, ხომ მოგიყვანე პირველი კლასის რესტორანში, ჰა? რას იტყვი, ნანიკო?

— მე აქაურობა მომწონს.

— როგორ გიბრწყინავს თვალები! სულ პატარა გოგოსავით ხარ ახლა...

— ასე ნუ მიყურებ.

— მე ასე მინდა!

— გთხოვ...

— ნუ დახრი თვალებს. მეც გთხოვ.

წამით ორივე უცნაურად გაფითრებული შეჰყურებდა ერთმანეთს. მომტანმა გამოარკვია გუჯი და მოგონილი ხალისით წამოიძახა ანაზდად:

— ოჰ, ოჰ, რა ხარჩოა, მე ისე მშია, ლამის სუფრიანად გადავსანსლო ყველაფერი.

თუმცა ნანი მთელი დღის უჭმელი იყო, ლუკმა არ გადასდიოდა პირში. გუჯი კი მადიანად ილუკმებოდა და თან რაღაც სასაცილო ამბავს ყვებოდა, ნანი თითქოს ყურადღებით უსმენდა, დროდადრო იღიმებოდა კიდეც. სინამდვილეში კი — არაფერი ესმოდა. მხოლოდ გუჯის ხმას აღიქვამდა. ამ ხმას განიცდიდა მთელი არსებით და აღელვებისაგან თითქმის სუნთქვაშემწყდარი, პირგამშრალი ქალი ცივ ლიმონათს ეტანებოდა მართლა უზომოდ და თან ცდილობდა ცოტათი აზრიანი გამომეტყველება მიეცა თავის სახისათვის.

„გუჯი ალბათ ვერც წარმოიდგენს, რომ არ ვუსმენ ახლა. რა საოცარია.. მინდა ილაპარაკოს, ილაპარაკოს და მე ვუსმინო ამ ხმას. მეტი არაფერი. რა გულუბრყვილო ღიმილი აქვს ზოგჯერ... ვაიმე, შეიძლება ასეთი ტუჩკბილი ჰქონდეს ვინმეს? ან ასეთი სიცილი იცოდეს სხვამ? მინდა სულ ასე ვუცქირო... ოჰ, როგორ გაიცინა. რაღაც სასაცილო თქვა ალბათ. ვითომ დიდი გულისყურით კი ვუსმენ და... საოცარია. თითქოს მსახიობი სულ არა ვარ და... არ მინდა შემატყოს, რომ ასე მოქმედებს ჩემზე მისი ხმა, მისი სიახლოვე. თითქოს ვითვრები. მაგრამ რა სასიამოვნოა ეს თრობა... თავბრუ მეხვევა და თვალები მებლიტება...

ისე, კაცმა რომ თქვას, სად ვარ, ვისთან... ვერავინ წარმოიდგენს ამას. დედაჩემს ჰგონია, ჰო, დედას უნდა დავურეკო... თაზოსთან მელოდება. მარიკას ბინიდან დავრეკავ.. .მარიკა გაოცებული და გახარებული იქნება... მარიკასთან საჭირო არაა ახსნა-განმარტება. მარიკას ისედაც ესმის, ისედაც ყველაფერს გაიგებს უსიტყვოდ... მაგრამ იქ-

ნებ სჯობია?.. .არა, არა. ისე ბედნიერი და კმაყოფილი ჩანს ამ საღამოს გუჯი, ვერ ჩავამწარებ. ჯანდაბას ყველაფერი. არაფერს დავეძებ. მომკლა აწ ანგარიშის გაწევამ ყველას მიმართ... მე მიწევენ ანგარიშს?

იყოს ასე. ასე იყოს. არაფრის შეცვლა არ მინდა. არ მსურს. მეც მინდა ათასში ერთხელ თავი ბედნიერად ვიგრძნო. მერე თუნდაც ვინანო, არ დავეძებ, მეყოფა, მეყოფა"...

— ნანი, შენ თითქმის არაფრისთვის დაგიკარებია პირი. არ მოგწონს კერძი?

— კი, როგორ არა, — შეკრთა ქალი. — მაგრამ იცი, არ მშია მაინცდამაინც... — თითქოს ქურდობაში დაიჭირესო, ისედაც ალანძულ სახეზე ცეცხლი წაეკიდა ქალს.

— მწვადს მოიტანენ ახლავე. მე კიდევ ისე შევყევი ჭამას და ლაპარაკს, სადღეგრძელოს თქმა დამავიწყდა. — გუჯიმ სავსე ჭიქას წამოავლო ხელი.

— ეს შენ გაგიმარჯოს, ნანი.

— შენ უკვე თქვი ეს სადღეგრძელო.

— კიდევ ვიტყვი. მრავალ ახალ წელს დაესწარი. ბედნიერად. ჯანმრთელად... — კაცი ერთბაშად გაჩუმდა. მზერა დახარა. რაღაც ჩრდილმა გადაურბინა სახეზე. თავის თეფშს დააცქერდა ერთხანს მდუმარედ, მერე აიხედა. რაღაცნაირად საწყლად გაუღიმა.

გული მოეწურა ნანის. უნდოდა მივარდნოდა, მკერდში ჩაეკრა მისი თავი. მოფერებოდა, მოფერებოდა პატარა ბავშვივით. ისე უმწეო ჩანდა ახლა ამოდენა ვაჟკაცი, უმწეო და შესაბრალისი.

ყელში რაღაც მოაწვა, თვალები დაუნისლიანდა. სცადა, გამოეყვანა კაცი სევდიანი ფიქრებიდან, რითაც ახლა უნებურად დაბურვოდა გონება.

— გუჯი, ლენინგრადი გამახსენდა ახლა. ჩვენი პირველი შეხვედრა... გახსოვს, მაშინაც წვიმდა, ასეთი მოჟამული ამინდი იდგა, თუმცა აპრილი კი იყო, გახსოვს?

— როგორ არ მახსოვს ნანი...—კაცმა გვერდულად ჩაიღიმა. — როგორ არ მახსოვს... — გაიმეორა წყნარი ხმით და ჩანგალს წვალება დაუწყო.

— გახსოვს, კინაღამ რომ დაგვეჯახე მე და ნარიკას.

უცებ გამოცოცხლდა, თვალები ისევ აენთო გუჯის:

— ჰო, გიჟივით ჩამოვრბოდი ერმიტაჟის კიბეზე, ვარჯიშზე მაგვიანდებოდა. ის იყო ბოდიში უნდა მომეხადა და... ამ დროს ერთმა მათგანმა, მაღალკანჭება გოგონამ, თმა რომ ჩამოშლოდა მხრებზე, მოიხედა და ღიმილით შემომხედა. არა, მე არ მეკუთვნოდა ის ღიმილი, სხვა რაღაცის გამო იღიმებოდა და შემთხვევით მოიხედა ჩემსკენ..

— ჰო, მარიკა რაღაც სასაცილო ამბავს მიყვებოდა, — ნანიმ თვალები დახარა, გრძელი თითები მოუჭირა ღვინის ჭიქას.

მაგრამ გუჯი მას აღარ უსმენდა უკვე, იგი თვალგაშტერებული შესცქეროდა ქალიშვილს, მაგრამ არა იმას, პირდაპირ რომ ეჯდა ახლა, არამედ იმას, მაშინ რომ შემოეფეთა ანაზდად.

— ჰოდა, შემომხედა გაცინებული სახით. მე არც ვუნახივარ იმ წამს, არ შევუმჩნევივარ, რაღაცაზე იღიმებოდა თავისთვის და ისე მოიხედა, სხვათა შორის. „და უცებ ვიგრძენი, თითქოს რაღაც თეთრი, საოცარი თეთრი და სუფთა შუქი შემეფრქვა სახეზე. თითქოს ირგვლივაც უცებ განათდა. ნაცრისფერი, მოქუფრული ლენინგრადის დღე მზის სინათლით გაივსო... მერე ვიდექი და ვუყურებდი, როგორ მიდიოდნენ გოგონები". კიდევ წამი და თვალს მიეფარებოდნენ, მოზიმზიმე ხალხში გაითქვიფებოდნენ.

„რაღაცამ დამკრა თავში. ერთი ნახტომით დავეწიე გოგონებს

— извините девушка მოწყდა ენას ის სიტყვები, რაც პირველად მომადგა. გოგონები შედგნენ. იმან ამომხედა, გაოცება ედგა თვალებში. უკვე არ იღიმებოდა. და ისეთი პატარა, ციცქნა ჩანდა ჩემს გვერდით! ენა ჩამივარდა. დაბნეული დავცქეროდი ამ კოსერალურილ

გოგონას, გაოცებული, დიდრონი თვალებით რომ ამომყურებდა. ჩქარა, ჩქარა, რაღაც უნდა ვუთხრა, რაღაც უნდა მოვისაზრო. „მე თქვენი გაცნობა მინდა, ქალიშვილო“, „მე თქვენ მომეწონეთ“, ის სიტყვები მადგებოდა ენაზე, რასაც ჩვეულებრივ ვამბობთ ხოლმე ასეთ შემთხვევაში, მაგრამ ამ გოგონას... ასე ვერ ვეტყოდი. ვერ ვეტყოდი იმ სიტყვებს, რაც შეიძლებოდა სხვებისთვის მეთქვა. არა და იკარგებოდა დრო. ღმერთო, შენ მიშველე-მეთქი, შევევედრე გუნებაში ღმერთს და თან ირონიულად გამიელვა, როდის მერე გავხდი ასეთი დოყლაპია, ასეთი ლაყემეთქი. და ამ დროს მიშველა ვედრებამ: მეორე გოგონამ მკლავზე ხელი მოჰკიდა „იმას“ და სიცილით უთხრა: — წამოდი, ნანი, ვერ ხედავ, დააბნიე ბიჭი, ცოდვაა“.

— ქართველები ხართო, რომ გვკითხე, გახსოვს. ნეც გამიხარდა და თან გამიკვირდა, რომ შენ ქართველი აღმოჩნდი. ერთი შეხედვით, უცებ, თითქოს ჩრდილოელს მიგამსგავსე. — ჩაილაპარაკა ნანიმ და თავი ჩაღუნა. — მერე მიკვირდა, ჩრდილოელს როგორ მივამსგავსე-მეთქი. არადა, სწორედ ჩვენებური, დასავლური გარეგნობა გაქვს... — ნანი ერთხანს ცარიელ ჭიქას ათვალიერებდა ერთობ გულმოდგინედ, მერე წარბებსქვემოდან ამოხედა კაცს ეშმაკური ღიმილით:

— გახსოვს, შეჯიბრზე რომ დაგაგვიანდა კინაღამ ჩვენი გადამკიდე?

— რა გაცოფებულ იყო ციცკა. მატჩზე არ მიშვებდა, იცი! და ჩემს სიცოცხლეში პირველად მაშინ ვთხოვე, ოღონდ ამ საღამოს დამიშვით და მერე თუ გნებავთ, საერთოდ აღარ ვითამაშებ-მეთქი კალათბურთს. მახსოვს, როგორ გაუკვირდა ციცკას. აქამდე სულ თითონ მთხოვდა, მეხვეწებოდა, სხვას ჩემს ადგილზე ათასჯერ გააგდებდა, მე რატომღაც მელოლიავებოდა, შენ რომ ზარმაცი და დაუდევარი არ იყო, პირველი კლასის კალათბურთელი გამოვაშუნგანო, სულ მეჩიჩინებოდა... იქნება სჯობდა, დამეჯერებინა მისთვის... იმ დღეს კი ძალიან გაბრაზდა... თქმით არაფერი უკადრებია, მაგრამ ვატყობდი, როგორ უჭირდა თავშეკავება... მე თითქმის მატჩის დაწყების წინ გამოვცხადდი, მაგრამ სამაგიეროდ, იმ საღამოს ისე ვითამაშე, როგორც არასდროს.

— მართალია, ისეთი შთაბეჭდილება იყო, თითქოს მთელ მოედანზე მარტო შენ იყავი, მარტო შენი სახელიღა ისმოდა დარბაზში. იმ საღამოს ფაქტიურად შენ მოაგებინე გუნდს. მე, სიმართლე გითხრა, მანამდე კალათბურთის დიდი მოტრფიალე არ ვიყავი, მაგრამ იმ საღამოს... — ქალი გაჩუმდა, ჩანგალს აწვალებდა ხელში და თავდახრილი, ნელა, თავისთვის იღიმებოდა.

კაციც დუმდა. ტუჩებზე ნაღვლიანი ღიმილი გასწოლოდა. თვალებშიც ნაღველი ედგა ისევ ისე. ისხდნენ ასე გაჩუმებულნი, დიდხანს ისხდნენ. მერმე ქალმა თავი ასწია. კაცს შეხედა:

— ათი სრულდება, გუჯი... თუ მივდივართ მარიკასთან...

— ჰო, წავიდეთ! — ნოსჭრა კაცმა და წამოდგა.

ნანი შინაურულად დაემშვიდობა მომტან კაცს და მებუფეტეს. ჵომავალი ახალი წელი მიულოცა. მათაც გადაუხადეს მადლობა, თავადაც მიულოცეს კარს მომდგარი ახალი წელი, ბედნიერება და სიხარული უსურვეს.

მანქანაში რომ სხდებოდნენ, ნანიმ ვერ მოითმინა და ჩაილაპარაკა:

— ამ კეთილმა ადამიანებმა რომ იცოდნენ... („რომ ბავშვებს, მართალია, ერთი ღამით, მაგრამ მაინც წავართვი მამა“... — დაასრულა აზრი გონებაში).

— რა, რა იცოდნენ? — უცებ გაღიზიანებული, ავი ხმით იკითხა გუჯიმ და სახეში ჩახედა ქალს.

— არაფერი.

— ის, რომ შენ, შენის აზრით, დანაშაულს სჩადიხარ, არა? ეს გინდოდა ხომ გეთქვა?

— გუჯი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ხომ ეს გინდოდა გეთქვა?

ნანიმ უფრო ინსტინქტური მოძრაობით გუჯის ხელს თავისი ხელი დააფარა. კაცი გაიტვრინა წამით. მეორე წამს კი ხელი სტაცა ქალის ხელს, პირთან მიიტანა, ხარბად დაუწყო კოცნა.

მერე ქალის ხელის მტევანი ლოყაზე მიიკრა, მერე თვალებზე, მერე ისევ ტუჩებთან მიიტანა...

ისე გამოიარეს მთელი გზა, ხმა არ ამოუღიათ. საზეიმოდ მორთულ რუსთაველზე რომ გავიდნენ, ქალმა სარკმელში გაიხედა.

— ხელცარიელი მივიდეთ მარიკასთან?

— დაწყნარდი. მე უკვე ვიფიქრე ამაზე. — გაუღიმა გუჯიმ.

* * *

გუჯიმ ლოყაზე აკოცა მარიკას და შოკოლადის უზარმაზარი კოლოფი და მიხაკები მიართვა.

სანამ ნანი შინ დარეკავდა, გუჯი და მარიკა უკვე გაცხარებულ საუბარში იყვნენ ჩართული. მარიკას ისეთი სუფრა გაეშალა, თითქოს ორ კაცს კი არა, მთელ ლაშქარს ელოდებოდა.

გუჯი ისევ ისე გამხიარულდა. ენამოსწრებული იყო, უცნაურ და სასაცილო სადღეგრძელოებს იგონებდა და აცინებდა ქალებს, სმით ცოტას სვამდა. მეო მოლხენა მინდა თქვენთან, სმას სხვა დროსაც მოვასწრებო, განაცხადა.

თორმეტი რომ შესრულდა, ორთავეს ლოყაზე აკოცა და ჭიქა ბოლომდე გამოცალა. მერე ის და მარიკა ენად გაიკრიფნენ, ერთმანეთს არ აცლიდნენ ლაპარაკს, ანეგდოტებს. ისეთი ხმაური და რიარია იდგა, რომ თავადაც გამხიარულებულ, მაგრამ სიტყვაძვირ ნანის ჩარევა უხდებოდა ხოლმე, წესრიგისაკენ მოუწოდებდა მეტისმეტად გალაღებულთ.

— მარიკას ვენაცვალე, ეს ტელევიზორი პატარა შევასვენოთ ან ყოველშემთხვევაში ხმას ისე დავუწიოთ, რომ შენი მაგნიტოფონის ჩართვა შეიძლებოდეს. მე ისე მახსოვს, შესანიშნავი ბლიუზების ჩანაწერები გქონდა. მე ახლა ისე მინდა ვიცეკვო, როგორც არასდროს.

მერე ორივე დატრიალდა, სწრაფად მოძებნეს ჩანაწერი და მაგნიტოფონი ჩართეს. მარიკამ ელექტროშუქი ჩააქრო და შანდლები აანთო.

— ხომ სჯობია ასე?

— დიდებულია. გენიალური გოგო ხარ, მარიკა! მოდი გაკოცო. მე ამაღამ ძალიან ბედნიერი ვარ, მარიკა. შენ ხომ იცი, რატომ ვარ ასე ბედნიერი, ჰო, შენი ჭირიმე. შენ ყველაფერი იცი. ყველაფერი გესმის. ამაღამ შენ შეიძლება სხვაგან უკეთ მოგელხინა, მაგრამ... ერთი სიტყვით, შენი უსაზღვრო მადლიერი ვარ, მარიკა და ჩემს სიცოცხლეში არ დამავიწყდება შენი სიკეთე. მოიცა, მოიცა ნუ მაწყვეტინებ. მართალია, ენად გავიკრიფე, მაგრამ ნასვამი არ გეგონო. მე სიხარულით ვარ მთვრალი, როგორც იტყვიან ხოლმე. თუკი ოდესმე რამეში დაგჭირდეს ჩემი გაუბედურებული თავი, შენ გენაცვალოს გუჯი გოგინავა. შენი ჭირიმე, შენი. მოიცა, სად გარბიხარ? უნდა ვიცეკვოთ! ამაღამ გათენებამდე უნდა გაცეკვოთ შენ და ნანიკო.

— გუჯი, ახლა არ შემიძლია, სამზარეულოში პატარა საქმე მაქვს, მანამდე ნანის ეცეკვე.

მარიკა სამზარეულოში გასხლტა. გუჯიმ მაგიდასთან უხმოდ მიმჯდარ მომღიმარე ნანის შეავლო ანთებული მზერა, მერე დინჯად წამოდგა, ასევე დინჯად, მოზომილი ნაბიჯებით მივიდა და ცერემონიულად დაუკრა თავი:

— შეიძლება?

ნანი წამოდგა. კაცმა ისე ფრთხილად, ისე უჩუმრად შეავლო წელზე ხელი, უნებურად შეკრთა, უნებურადვე დაიხია უკან, მაგრამ გუჯიმ დაჟინებით, ძალოვნად მოიზიდა თავისკენ და ქალიც მიჰყვა მის ხელებს.

და უცნაური, საოცარი რამ ემართება ნანის: თითქოს მობრუნდა გაზაფხული, მობრუნდა სიყმაწვილე...

ტკბილ ბურანში ეხვევა და აღარავინ

არსებობს ირგვლივ. არავინ და არაფერი — გარდა ამ დიდი, ფართო მკერდისა, ამ ცხელი, ღონიერი ხელებისა, ნაზად რომ ეხვევა წელზე.

კაცს თავი მიადო მკერდზე. გაილურსა.

— შენი ჭირიმე... შენი...

ყურის ბიბილოს უწვავს კაცის ცხელი სუნთქვა.

დამძიმებული ქუთუთოები ასწია. გაფართოებული თვალები მიაპყრო.

„რა არის ეს? რა ხდება? რატომ ვარ ასე ბედნიერი?"

კაცი ჩუმად, სათუთად ჰკოცნიდა ყელზე, სახეზე, თვალებზე, ყურის ძირში, მერე ისევ სახეს უკოცნიდა... თმას.

სანთლები ლიცლიცებდნენ ნახევრად ბნელ ოთახში და საცეკვაო მუსიკის საამო ჰანგი ავსებდა სიჩუმეს.

ნანიმ ახლა ორივე ხელი მოხვია კისერზე კაცს და თავი მკერდზე მიასვენა.

ეს სიზმარია, ტკბილი სიზმარი. ზღაპრული უფლისწული ეხვევა და ჰკოცნის, მერე ხელში აიყვანს და ასე ხელში აყვანილს ატარებს უსასრულოდ, ქვეყნის კიდემდე.

კაცმა გულში ჩაიკრა ქალი, ტუჩებს დაეწაფა ხარბად. ნანი დაუსხლტა, მერე მთვარეულივით, ბარბაცით მივიდა მაგიდამდე.

სკამზე დაეშვა და სახეზე ხელები აიფარა. კაცი შეურხევლად იდგა შუა ოთახში, მერე გაუბედავი ნაბიჯებით მიუახლოვდა. დახრილ თავზე ფრთხილად შეეხო ხელით.

— ნანი...

ხელები ჩამოსწია ქალმა. თვალები ცრემლით გავსებოდა. ბაგე უთრთოდა და ისეთი უწწეო იერი ჰქონდა, კაცს ერთბაშად გული მოეწურა...

— ნანი... — შეძრული ხმით წარმოთქვა და ხელებში წვდა, მოუჭირა. — გაწყენინე, ნანი? მაპატიე... ძვირფასო.

ქალმა თავი გააქნია. გაღიმება სცადა. ტუჩები ისევ ისე უთრთოდა.

სულ ახლოს იყო გუჯის სახე. თვალები მორღვეოდა, ღაწვები წამოგზნებოდა. ქალს ცრემლი შეაშრა. იგი წამით შიშით თუ დაბნევით შეჰყურებდა კაცის ვნებისგან შეცვლილ სახეს, ტანჯვის ღიმილს ტუჩებზე.

— მაკოცე... — თხოვა კაცმა და თვალები დახუჭა.

ქალი უანგარიშოდ დაჰყვა კაცის ნებას. ტუჩები ოდნავ შეახო მის ტუჩებს. კაცმა სწრაფად, მხურვალედ დაუბრუნა კოცნა და წელში გაიმართა. ქალს საჩქაროდ გაეცალა და ოთახში გაიარ-გამოიარა, მერე სამზარეულოში გასძახა მარიკას.

— მარიკა, რას შვრები მანდ?

— ახლავე, ახლავე, გუჯი.

— გინდა, მოგეხმარები?...

მერე... სამზარეულოში შავი ღვინო გადაასხა კაბაზე მარიკას, მერე ბავშვივით ეხვეწებოდა, ხომ არ გეწყინა კაბის გაფუჭება, ერთი საკაბე ჩემზე იყოსო. მანამ არ მოეშვა, სანამ ტვისტი არ აცეკვა. მერე გიტარა გამოატანინა და სამთავემ ხმაშეწყობილად იმღერა... გამთენიისას დაიჩემა. ლოჯიაში უნდა დავწვეო და ლოჯიაში გაუშალა მარიკამ ლოგინი.

— გოგოებო, ამაღამ მე ბედნიერი ვარ და ყველაფერი უნდა მაპატიოთ, ამაღამ უნდა მაპატიოთ ყოველნაირი ახირება.

* * *

— და სულ ერთი თვის წინ იყო ეს. ერთი თვის წინ!

ნანი კვლავ საწოლზე დაეშვა, თითები ერთმანეთს გადააჭდო და ორად მოიხარა.

სიჩუმე მარიკამ დაარღვია.

— ზღვა ხალხი მოდის... ამისთანა არაფერი მინახავს... — ფრთხილი ხმით წამოიწყო. გუმანით გრძნობდა, რომ სამი დღის მდუმარების ყინული უკვე გალხვა და ახლა საჭირო იყო ელაპარაკა და ელაპარაკა და ნანიც აეყოლებინა.

— ვაიმე გუჯი... — დაიჩურჩულა ნანიმ და უფრო მოიკუნტა, ლოყით მუხლებს შეეხო.

— თავისმა სიჯიუტემ დაღუპაო, ამბობენ... — მარიკამ სიმწრით გააქნია

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი, ადგა, ოთახში გაიარ-გამოიარა, მერე ისევ სავარძელში ჩაეშვა, სიგარეტს მოუკიდა.

— თურმე აფრთხილებდნენ, საშინლად მოყინულიაო გზები, ნუ მიდიხარო, ამაზე უარეს ამინდში მივლიაო. იქ მუშები მელოდებიან, შევპირდი, ამოვალ და წაგიყვან-მეთქი და უნდა ავიდე უსიკვდილოდო... არავინ გაუყოლებია, თვითონ მარტო მისჯდომია საჭეს. მერე... მანქანა რომ მოცურებულა, დამუხრუჭება უცდია, ეტყობა... მეორე დილასღა უპოვიათ...

— ვაიმე გუჯი!

მარიკამ იყუჩა. მერე ისევ წამოიწყო:

— ბიჭი სულ გუჯის ჰგავს. კინაღამ გავგიჟდი რომ ვნახე... ის ქალი კი.. — შეყოვნდა წამით, მერე სწრაფად, ბოღმიანად დაუმატა: — ვერ ვიტან მაგ ქალს, მთელი არსებით ვერ ვიტან!

ნანიმ თავი ასწია. გაოცებით შეანათა თვალები.

— რას მიყურებ? არ თქვა ახლა „ის ქალი გუჯის ცოლია“, „მასაც უყვარდაო“, — გამოაჯავრა მეგობარს მარიკამ, ავად დააკვესა თვალები, ისევ წამოიჭრა, ოთახში ბოლთის ცემას მოჰყვა, მერე ისევ დაჯდა, ფეხი ფეხზე გადაიდო, ჩამქრალი სიგარეტი მოჭმუჭნა, ნანის შეაცქერდა კუშტად.

ნანი ამ მზერისაგან აიწურა, დამნაშავე ბავშვივით აუხამხამდა თვალები, უმწეო და საოცრად მორიდებულმა ღიმილმა შეუთრთოლა ტუჩები. მარიკამ ენაზე მომდგარი მწარე სიტყვები ისევ გულში ჩაიბრუნა, ხელი ჩაიქნია მოწყვეტით. სახეზე საშინელი დაღლილობა გამოეხატა:

— თუმცა... მართლა რას ვერჩი? ქალმა ჭკუა იხმარა, სათავისოდ გამოიყენა მომენტი... გალეშილმა ბიჭმა თავისთან მიგიწვია ბინაში? უნდა წაჰყვე. მერე მთავარია მაგრად იდგე. მთავარია, აგრეთვე მომავალი დედობა, ბიჭის თავმოყვარეობასა და კეთილშობილებაზე თამაში... მით უმეტეს თუ ზურგს გიმაგრებს ნათესავების მთელი ლეგიონი. მერე შეიძლება ყველაფერი სიყვარულით მოინათლოს. უმთავრესი კი, ცხადია, მეტოქის უნიათობა გახლავთ. ერთმანეთში შერწყმული ყოვლისმომცველი სიკეთე და სიამაყე. როცა თავისი საქციელით თვითონვე უბიძგებს ბიჭს გადადგას ნაბიჯი, რომელიც შეიძლება მერე საბედისწერო აღმოჩნდეს ორივესთვის... — მარიკა გაჩუმდა. მერე თავდახრილმა ბოღმიანად ჩაიდუდუნა:

— არ მინდოდა და მაინც...

ნანი შეურხევლად იჯდა და თავის ხელებს დასცქეროდა, მუხლებზე რომ დაესვენებინა მოწყვეტილი ყურძნის მტევნებივით.

— მარიკა, შენ ერთი რამ გავიწყდება: რომ გუჯი არავის და არაფერს გაუწევდა ანგარიშს, თავად რომ არ სდომებოდა ასე. არავის და არაფერს!

მარიკამ სწრაფად შეავლო მზერა. ნანი წელში გამართული იჯდა ახლა და თვალები უჩვეულოდ უბზინავდა.

— მთავარია, გუჯიმ გადაწყვიტა ასე. მან არ მაპატია ორჭოფობა და სისუსტე.

„ჩემი დასჯა განიზრახა... ან იქნებ მასაც ჩემსავით ეგონა, ადვილად დამივიწყებდა... ორივემ შეცდომა დავუშვით მაშინ, მარიკა. ალბათ ძალიან ახალგაზრდები ვიყავით და იმიტომ. და ძალიან თავმოყვარენი“.

— შენ ერთ რამეში ალბათ სწორი ხარ: გუჯიმ არ იცოდა ლაჩრობის პატიება. ვერ იტანდა გაურკვევლობას, ბუნდოვანებას, მიხვეულ-მოხვეულ ურთიერთობებს. საოცრად პირდაპირი და ჯიქური იყო.. .და ,რაც ყოველთვის მაკვირვებდა მასში: თითქოს ძალიან თანამედროვე ბიჭი იყო და მაინც, მასში ძალიან ბევრი იყო ტრადიციული, ძველებური...

— „იყო“. ვაიმე გუჯი... — ნანიმ ერთბაშად სახე ხელებში ჩამალა, ისევ მოიხარა, მოიკუნტა.

მარიკაც დადუმდა.

მძიმე სიჩუმე ჩამოწვა.

ამ საუბარმა ნანის ისევ აატკივა ძველი ჭრილობა, ჭრილობა, რომლის და-

ვიწყებასაც იგი გულმოდგინედ ცდილობდა ამ ხნის მანძილზე და ვერ ახერხებდა. ისევ ისე მტკივნეული სიცხადით ელანდებოდა წარსულის სურათები, რომლისთვისაც ამაოდ ცდილობდა მიეყარა დავიწყების ფერფლი. ახლა კვლავ წამოტივტივდნენ ის სურათები, კვლავ წამოიშალნენ აფრენილი ჩიტების გუნდივით და...

კვლავ თითქოს ნიშნისგებით, ქირქილით აჩურჩულდა ყურის ძირში უხილავი ხმა, გულში ნელ-ნელა რომ აწვეთებდა შხამს და სანსალას, აწვეთებდა დაჟინებით, ჯიუტად, ჯიბრით:

* * *

„იმ საღამოს სახლამდე მიაცილა გუჯიმ. უკვე თითქმის წელიწადი სრულდებოდა ლენინგრადში პირველი შეხვედრიდან და ამ ერთი წლის განმავლობაში ფარულად, ჩუმად ხვდებოდნენ ერთმანეთს. უფრო ზუსტად, ნანი უმალავდა თავისიანებს ამ შეხვედრებს. მამის მკაცრი ხასიათით დაშინებული, ვეღარ ბედავდა სააშკარაოზე გამოეტანა თავისი გრძნობა.

იმ საღამოს კი გუჯიმ აიჩემა, სახლამდე უნდა მიგაცილოო. ცოტა ნასვამი იყო და ასეთ დროს თავისნება, ჯიუტი ხდებოდა.

სახლის შესასვლელთან იდგნენ. ნანი ეხვეწებოდა, წადი, შინამდე ხომ მომაცილე, მეტი რა გინდაო. რას ჰქვია რა მინდა, მინდა გიყუროო. შეიძლება ვინმე ჩვენიანმა დამინახოსო, შიშით გული უსკდებოდა ნანის. დაგვინახონ მერე, რა გვაქვს დასამალი, რამეს ხომ არ ვაშავებთო.

ან ლაპარაკში ნანის მამა წაადგათ თავზე. რევიზია ჰქონოდა და გვიანობამდე შერჩენოდა სამუშაოს. ისედაც პირქუში, ახლა უარესად მოიქუფრა, შუაღამისას შემოსასვლელში დგომა რა წესიაო, მკვახედ მიახალა ქალიშვილს. ნანი ისე დაიბნა, რომ... გუჯი წარუდგინა მამას, გაიცანი, ჩემი მეგობარიაო. თუ მეგობარია, შინ შემოიყვანე, ქუჩაში რას დაგიყენებიაო, დაუბღვირა მამამ ისევ. ნანიმ თვალით ანიშნა გუჯს, წადიო. მაგრამ იგი თითქოს წერამ აიტანაო, ერთხელ, როცა იქნება ხომ უნდა გავიცნო შენებიო, — უთხრა ნანის ხმადაბლა, მერე როგორღაც თავისებური მზერით შეხედა შიშისაგან მოკუნტულ ნანის, გაუცინა და კიბეს შეუყვა.

ეროვნული

გული უკანკალებდა ნანის. გრძნობდა, სასიკეთო არ იყო ეს შეხვედრა. თავიდან თითქოს არაფერი. დარბაზში ისხდნენ გუჯი, ნანის დედა, მამა და ნანი. ნანის უფროსი ძმა თამაზი შინ არ იყო. მერე... არ ახსოვს ზუსტად, რაზე აუხირდნენ ერთმანეთს გუჯი და ნანის მამა. ჰო, მამამ თანამედროვე ახალგაზრდები უდიერად მოიხსენია, ვერ ნოზომა, ისე თქვა. გუჯიმ კი დათმობა არ იცოდა, როცა რამე არ მოეწონებოდა. თუმცა ახლა ითმენდა. თავს ძალას ატანდა, იჯდა და ითმენდა. მამა არ ცხრებოდა. და მაშინ... უცებ წამოხტა გუჯი. მუშტი მაგიდას დაარტყა, არ არის ეს სწორიო, არ ბრძანდებით თქვენ მართალი, ბატონო ბესარიონო (ბატონი ბესარიონი დამარცვლით, ირონიულად გამოსცრა კბილებში). სახე მიტკალივით გადაფითრებული ჰქონდა, თვალები კი ავად უკვესავდა. მამასაც ფერი ეცვალა. თუმცა თავზარდაცემული იყო, მაინც მკაფიოდ აღიბეჭდა ნანის მეხსიერებაში ორივეს გამომეტყველება: გუჯის ჯიუტი, ურჩი, მამის — კუშტი, მრისხანე.

უანგარიშოდ მამისკენ გაიწია, მკლავში ორივე ხელით ჩააფრინდა. — მამა! — დაუძახა ჩუმად, თითქოს დასაშოშმინებლად, მაგრამ მის ხმაში უფრო შიში და სასოწარკვეთა ისმოდა. ნამამ გამანადგურებელი მზერით გაზომა ქალიშვილი თავით ფეხებამდე, მერე მკლავი გამოგლიჯა და უხმოდ, უსიტყვოდ საწოლი ოთახისკენ გაემართა.

გონსმოსული გუჯი თავდახრილი იდგა და ტუჩებს იკვნეტდა უჩუმრად, იგი თვალებს ვერ უსწორებდა აკანკალებულ, ფერწასულ ნანის, სახტად ქცეულ ნანის დედას. მერე თავადაც უხმოდ, უსიტყვოდ გაალაჯა გასასვლე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლისკენ. ახსოვს, გაკიდება უნდოდა და.. ადგილიდან ვერ დაიძრა, თითქოს იატაკს მიეყინაო. საშინელებამ გონება დაუფანტა. მოსაზრების უნარი დაეკარგა.

მერე... მერე მამამ უბრძანა, მაგ ვაჟბატონის ფეხი არ ვნახო ჩემს ოჯახში შემოდგმულიო და ნანიმ მორჩილად მოიხარა ქედი. მამის სიტყვა ყოველთვის კანონი იყო ოჯახის წევრებისათვის, მით უმეტეს ნანისთვის. მერე ნანის ძმამაც უფრო შეუკეთა ცეცხლი. გამიგია მე გუჯი გოგინავა, ჩვენს ინსტიტუტში კალათბურთს თამაშობს, ერთი თავზეხელაღებული, ლოთი ბიჭიაო. ნაბიჯს არ ადგმევინებდნენ ნანის მარტო. თამაზი დაჰყვებოდა ყველგან. მიაცილებდა ინსტიტუტამდე და მოაცილებდა შინამდე. ტელეფონიც კი გამოთიშეს ერთი ხნობით. მერე... მერე იყო ის შეხვედრა.

საღამოს, ინსტიტუტიდან მომავალ და-ძმას ზემელზე გუჯი გადაუდგა. ნანისთან ცოტა ხანს სალაპარაკო მაქვსო, ხაზგასმული თავაზიანობით და მოგონილი სიმშვიდით სთხოვა მან თამაზს. თქვენთან ლაპარაკი ჩემს დას არ სურსო, ცივად მოუჭრა თამაზმა და დას ხელი ჩასჭიდა მკლავში. მაგრამ გუჯიმ ერთბაშად ხელი გააშვებინა თამაზს და ნანის ჯიქურ ჩახედა თვალებში: მართლა არ გინდა ჩემთან ლაპარაკიო, ჩაჰკითხა გამომწვევი ხმით. ჯურდღელივით დამფრთხალმა ნანიმ რამდენიმე საეჭვო მზერა დაიჭირა გამვლელთა... მერე გუჯის ალეწილ სახეს, ამღვრეულ თვალებს რომ წააწყდა, აიმრიზა. „მთვრალია!“ — გაუელვა. „როგორ მიბედავს.. ისიც ძმასთან!“

სიანჩხლემ, შეურაცხყოფისა თუ დამცირების გრძნობამ გონება აუმღვრია, თვალთ დაუბნელდა. თავი დამანებე, შენი დანახვაც არ მინდაო, მიახალა მკვახედ, მკლავი განოგლიჯა და შუბლზე მომსკდარი ჭირის ოფლი ხელის გულით შეიწმინდა.

გუჯი გაფითრდა.

— მასე ხომ, ქალბატონო? — დამარცვლა ჩახრინწული ხმით და ნაბიჯით უკან დაიხია. თავით ფეხამდის აათვალიერ-ჩაათვალიერა ქალიშვილი დამცინავად მოწკურული თვალებით: — ვნახოთ, ბოლოს ვინ ინანებს! — დაატანა ნათქვამს ქადილით და გატრიალდა.

არასოდეს დაავიწყდება ნანის მისი სახის გამომეტყველება, ამ სიტყვებს რომ წარმოსთქვამდა. არასოდეს. არც ის დაავიწყდება არასოდეს, როგორ მიარხევდა განიერ ბეჭებს. ბეჭებზევე რომ ეტყობოდა გაცოფება!

ხანდახან თითქოს რაღაც უხილავი ძალა გიბიძგებს და გათქმევინებს საბედისწერო სიტყვებს, რომელიც შეიძლება მერე მთელი სიცოცხლე ინანო...

ნანიმ კი მაშინვე ინანა. გუჯის საქციელიც მაშინვე გაამართლა გულის სიღრმეში, თუმცა აშკარად ამაზე ვერასოდეს ვერ ამოიღებდა ხმას. გუჯის სხვა გამოსავალი არ ჰქონდა: იმ ხანებში ძმა გვერდიდან არ სცილდებოდა ნანის. და გუჯიმაც უკიდურეს საშუალებას მიმართა. ნანიმ კი... ნანიმ საჯაროდ ხელი ჰკრა. საჯაროდ ზურგი შეაქცია— ფუჭ თავმოყვარეობას აყოლილმა. შეურაცხყო და დაამცირა ბიჭის წრფელი გრძნობა.

თავდაპირველად ეგონა, გუჯის გადაუვლის გაბრაზება, არად ჩააგდებს თავის ქადილს, მოვა, მომიბრუნდება. მაპატიებსო.

არ მოვიდა. არ მოუბრუნდა. არ აპატია.

ერთ მშვენიერ საღამოს კი, ზემელზე შეხვედრის ხუთი თვის შემდეგ, ძმამ ფრიად კმაყოფილი სახით აუწყა დას, გუჯი გოგინავას ცოლი შეურთავსო. და უფრორე კმაყოფილი კილოთი დასძინა: — ეტყობა, ამჯერად არ შერჩა „პადლეცობა“, აიძულეს, ორსული ქალი მოეყვანა ცოლადო.

* * *

ისევ ისე ტანჯვანარევი სიამით აღადგენდა ნანი განცდილს და გადატანილს.

...შემოდგომის საღამო იყო, გუჯის

რომ შეხვდა პირველად იმ ამბის მერე. გუჯის სამი წლის ბიჭი ჰყავდა უკვე და მისი შფოთიანი ოჯახური ცხოვრება, როგორც ამბობდნენ თურმე ახლობლები, ვერა და ვერ დგებოდა კალაპოტში. გარეგნულად კი ყველაფერი რიგიანად გამოიყურებოდა. რიგიანად და რესპექტაბელურად.

„გასვენებიდან ვბრუნდებოდით მე და მარიკა. გზაში წვიმამ მოგვისწრო. არც ერთმა მანქანამ არ გაგვიჩერა. უარესად დავიბოლმეთ. უეცრად ჩვენს გვერდით „მოსკვიჩი“ შედგა. გუჯი იყო. უხმოდ გაგვიღო კარი. ჩვენც როგორღაც უხმოდვე ჩავსხედით. უფრო ინსტინქტურად, ანგარიშმიუცემლად. ვიჯექი და ვგრძნობდი, მუხლები მიკანკალებდა. ხელებიც. ვერაფრით ვერ შევიკავე კანკალი. თითქმის მთელი გზა უსიტყვოდ ვიმგზავრეთ. მარიკამ ვითომ სცადა საუბრის წამოწყება. არაფერი რომ არ გამოუვიდა, ისიც გაჩუმდა. ასე მუნჯებივით გავიარეთ იმხელა გზა.

ახლა ვფიქრობ, ხომ არ გაიგო ჩემი და დათოს ამბავი და... ხომ არ დაგვიდარაჯდა განგებ. მაშინ კი, მაშინ შემთხვევითობას დავაბრალე ის შეხვედრა. და მაინც... ეს შეხვედრა საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ თითქმის უკვე გადაწყვეტილი საქმე დათოსთან ჩამეშალა!

უბრალოდ, ძალიან ნათლად ვიგრძენი მაშინ, რომ ვერასოდეს ვერ შევძლებდი სხვის ცოლობას. ვერასოდეს. არ მინდოდა არც ჩემი თავი მომეტყუებინა, არც სხვა. თვითგვემისა და თვითწამების გზა ვარჩიე. იქნებ ამიტომაც დამსაჯა ღმერთმა... თუ განგებამ?

მაგრამ შენ... შენ რას გერჩოდა?

ვაიმე, გუჯი!“

* * *

მზე აცხუნებდა. სასაფლაოზე იასამნები ჰყვაოდნენ. კვირტი დასკდომოდათ ვარდებსაც. გაუთავებლად ჟივჟივებდნენ გაზაფხულით გალაღებული მერცხლები, გაზაფხულის სუნი მძლავრობდა სასაფლაოზეც და ლამობდა დაეძლია ცრემლი და მწუხარება.

ქვემოთკენ მიმავალ ვიწრო ბილიკს ნელა დაუყვა და... მოულოდნელად, თითქოს უცებ წააწყდა გუჯის ღიმილს. მეხდაცემულივით შედგა.

„ნუთუ... ნუთუ ეს შენა ხარ, ბიჭო?“

იდგა შეურხევლად და შესცქეროდა მარმარილოს ფილაში ჩაჭრილ გუჯის სურათს. შესცქეროდა დაჟინებით, დაძაბულად და ასე ეჩვენებოდა, საპყრობილის პატარა სარკმლიდან უღიმოდა მას გუჯი ეშმაკურად, თავისებური, ირონიული ღიმილით. პერანგის საკინძე ღრმად ჩახსნოდა. მაღალი, ძლიერი კისერი გამოეჩინა. თვალები სიცილისგან მოჭუტვოდა.

„ნუთუ ეს შენა ხარ, გუჯი?“ — გაიმეორა ისევ ჩურჩულით და მუხლმოკვეთილი, ნელ-ნელა დაეშვა მიწაზე. მიხაკების კონაში ჩამალა სახე.

კვლავ რომ ახედა სურათს, თავადაც ღიმილი შეაგება ანაზდად გუჯის ღიმილს.

„დღეს ოცი აპრილია, გუჯი! ხომ გახსოვს ეს დღე? ამ დღეს შევხვდით პირველად ერთმანეთს... თითქოს საუკუნე გავიდა მას შემდეგ და მაინც, გუშინდელივით მახსოვს ყველაფერი, ყოველი წვრილმანი... საყვავილეს რომ ჩავუარეთ, უცაბედად შენ ჩემი მზერა დაიჭირე, საყვავილეში შეხვედი და საუკეთესო მიხაკები შეარჩევინე სანდომიან, ხანშიშესულ გამყიდველ ქალს და როგორღაც მოუხერხებლად, პატარა ბავშვივით, დარცხვენილი ღიმილით შემაჩეჩე ხელში. ო, რა საყვარელი იყავი იმ წუთს, რა საყვარელი იყო ეს ღიმილიც — მორცხვი და მოკრძალებული... შენ ხომ ასე იშვიათად იღიმებოდი, გუჯი!..

აი მეც მოგიტანე დღეს მიხაკები, დღეს პირველად მოვედი აქ, გუჯი. ხომ არ გაიფიქრე, რომ თუნდაც ერთი წამით დაგივიწყე? ვერა და ვერ მოვერიე ვერც ავადმყოფობას და...

ახლაც ჩუმად ამოვედი შენთან, გუჯი, ქურდულად. განა ჩემს სახელს ვუ-

ფრთხილდები, გენაცვალე? ვის რა ჭირად უნდა ჩემი სახელი? ეს ადრე ვიყავი მშიშარა და მფრთხალი. ადრე იყო რომ რაღაც სიამაყის თუ თავმოყვარეობის ჭია მღრღნიდა.

ნე შენს სახელს ვუფრთხილდები მხოლოდ, მხოლოდ შენს სახელს, თორემ რა სახსენებელია ჩემი თავი? რა მნიშვნელობა აქვს, შენს შემდეგ როგორ გავლევ ჩემს უმაქნის, უსარგებლო სიცოცხლეს?

შენი ცოლი ბედნიერი ქალია. მას შენი შვილები დარჩა. მე რაღა მრჩება? მხოლოდ სინანული და ჰო, ეს სამაჯური რამე ხომ უნდა დაგრჩეს ჩემგან სახსოვრადო, მე რომ უცებ მოვკვდეო".

— რა ხდება აქ? რა ამბავია?

ნანიმ მძიმედ, ზანტად ასწია ქუთუთოები. თავს ორი შაოსანი ქალი წამოსდგომოდა.

„გუჯის ცოლი და ცოლისდა!"

უცებ თითქოს წყვდიადში ჩაიძირა ყველაფერი — მარტო საკუთარი გულის ყრუ, შეყოვნებულ ხმაურს შეიგრძნობდა. საფეთქლებში ჭრიალი გაჰქონდა რაღაცას.

— მოდიან აქ ვიღაც-ვიღაცეები და ჭირისუფლობენ. რა უფლების ძალით?

„მართლაც, რა უფლების ძალით?"

ერთბაშად თითქოს განათდა... ნანის თვალებმა მოძებნეს ამ სიტყვების მთქმელი.

მშვილდივით დაჭიმულ და შემართულ შავოსან ქალს სიტყვა შეეყინა ბაგეზე. მზერა დახარა...

ახსოვს, რომ ალმართი წელგამართულმა აათავა. მერე იწყებოდა კვიპაროსებისა და იასამნების ხეივანი. იქამდე, თუ მიაღწია!

„რა უფლების ძალით! ოღონდაც. გლოვაც შეიძლება იყოს კანონიერი და უკანონო. რა უფლების ძალით?"

კვიპაროსის ხეს ხელი შემოხვია. თითქოს ერთბაშად მოერღვა მთელი სხეული, მოიღვენთა. გონებას ბინდი გადაეფარა.

— „კანონიერი... უკანონო"... — კაკუნობდა რაღაც საფეთქლებთან. ტუჩებზე მკრთალი, ღიმილი აუფართხალდა. თავი ჩაჰკიდა.

ირგვლივ კი სიჩუმე იდგა, სასაფლაოს წყნარი, მყუდრო სიჩუმე. ბერცხლების ჟივჟივილა არღვევდა ამ მდუმარებას: მერცხლები კვლავინდებურად ლაღად, ხალისიანად სერავდნენ ცის იისფერ კამარას.

და ჰაერში ტრიალებდა იასამნისა და საკმევლის სუნი — შეზავებული გაფუებული, მაძღარი მიწის ოხშივართან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამაზ კობიძე

# გვიმრის ფოთლები

## რომანი

### თავი VI

მიტუშა კაიმამიშვილი არც ისე უბრალო და ზერელე კაცი იყო, როგორც ერთი შეხედვით მოგეჩვენებოდათ. უბანზე საქმეები ისე მოხერხებულად და ეშმაკურად ჰქონდა ჩახლართულ-ჩალაგებული, რომ გამოუცდელი კაცი თავსა და ბოლოს ვერ გაუგებდა და და ხელს ჩაიქნევდა, — ამ გორგალის გახსნაზე დროს ფუჭად დავკარგავ და მილწევით კი ვერაფერს მივაღწევო.

უბანზე მას ოცდახუთიოდე მხარდამჭერი და დამქაში ჰყავდა, — სწორედ ისინი, ვისაც იგი სწყალობდა და სხვისი ნამუშევრის ხარჯზე მოწინავეებად, დამკვრელებად და რეკორდსმენებად გამოჰყავდა. ეს ოცდახუთი — ყველა მკლავღონიერი ბიჭი და საჭიროების ჟამს ჩექმის ყელიდან არც ბებუთის დაძრობას მოერიდებოდნენ. შიგ ორი თუ სამი ნაციხარიც ერია. შოთა წიფურიშვილმა პატიმრობის ვადა სულ ოთხიოდე თვის წინათ მოიხადა, ქალის გაუპატიურებისათვის იჯდა. ციხიდან გამოსული პირველსავე ხანებში სხვაგან ვერსად მოეწყო და იძულებული გახდა, დროებით შახტში ჩამქვრალიყო. მან კაიმამიშვილთან მალე გამონახა საერთო ენა. შეუთანხმდა, შენს ხაზს უბანზე ურყევად გავატარებ, სამაგიეროდ შენ მოწინავეებში გამიყვანე და ერთი ექვსიოდე თვის შემდეგ კარგი დახასიათებაც გამომიცხვე, რომ ამ ჯურღმულებს გავშორდე და სადმე უკეთეს ადგილას, გამყიდველად თუ არა, შოფრად მაინც მიმიღონო. შოფრობის კურსები მას კოლონიაში დაემთავრებინა.

კაიმამიშვილმა დანაპირევი შეუსრულა. ორი თვეც არ გასულა, რომ შახტის საპატიო დაფაზე წიფურიშვილის ურცხვად მომღიმარე ფიზიონომია გამოჩნდა. ქვევით კი არშიიანი ასოებით ეწერა, — ეს საამაყო ადამიანი დღიურ დავალებას 250-280 პროცენტით ანაღდებსო. ისინი, ვინც საქმის ვითარება იცოდნენ, თავებს აქნევდნენ და ხვნეშოდნენ, მაგრამ ჩარევით ამ საქმეში არავინ ჩარეულა. ყველამ კარგად იცოდა, კაიმამიშვილს ჩექმის ყელში რამსიგრძე ბებუთი ჰქონდა ჩარჭობილი.

ისიც უნდა ითქვას, რომ მიტუშა კაიმამიშვილი წიფურიშვილისა და მისთანებისათვის შრომით მაჩვენებლების გაზრდისას მეტად მოხერხებულად მოქმედებდა. ამათ გარდა უბანზე, კიდევ სამასამდე კაცი მუშაობდა და ყო-

გაგრძელება. იხ. „მნათობი", № 9.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველდღე ყოველი ამ სამასთაგანიდან სამი-ოთხი პროცენტის წაგლეჯა თუ მოპარვა არც ისე დიდი ამბავი იყო. ამას ყველა ითმენდა. საქმე მხოლოდ მაშინ მწვავდებოდა ხოლმე, როცა კაიმამიშვილს რაღაც გაუგონარი რეკორდის შესათხზავად სხვის ჯიბეში ხელის უფრო ღრმად ჩაყოფა დასჭირდებოდა. პატიოსანი მეშახტეები მაშინ კი აყაყანდებოდნენ ხოლმე. მაგრამ საქმე ჩვეულებრივ ამ აყაყანებითვე მთავრდებოდა.

შახტის უფროსი, სნეული და უხასიათო კაცრიელ არჩაიძე კაიმამიშვილის მუშაობით კმაყოფილი იყო, — უბნის საერთო გეგმასაც ასრულებს და რეკორდსმენებიც ბლომად ჰყავსო. მეშახტეების საჩივრები არჩაიძემდე იშვიათად აღწევდნენ. — იმ ოცდახუთისა ყველას ეშინოდა, — და როცა მიაღწევდნენ, მაშინაც უპასუხოდ რჩებოდნენ, — „უბნის შინაურ საქმეებს თვითონვე მოუარონო“.

გარდა ამისა, კაიმამიშვილს ერთი ნაცადი ხერხიცა ჰქონდა: უბნის საერთო კრებების ჩატარების დიდი ოსტატი იყო. ყოველ კრებას წინდაწინვე გულდასმით ამზადებდა და მუდამ ისე წარმართავდა ხოლმე, როგორც მისთვის საჭირო და ხელსაყრელი იყო. თავის ხალხს წინდაწინვე დაგეშავდა და დარბაზში ყოველ მათგანს საკუთარ ადგილს მიუჩენდა. ყოველმა მათგანმა წინდაწინვე იცოდა, კაიმამიშვილის მოხსენების რომელ ადგილას ტაში უნდა აეტეხათ, როდის „სწორია“ თუ „ვაშა“ ებღავლათ, ან როდის ეს სიტყვებიც წამოეყვირნათ, — „ეგეც სწორია, ამხანაგებო. სიმართლეს ლაპარაკობენ. მაგრამ ნაკლი ვის არა აქვს, მიგვითითეთ და მალე მტერი დაგველიოთ, მალე ჩვენ ეგ ყველაფერი გამოვასწორეთო“.

კაიმამიშვილი მოხსენებებსაც მოხერხებულად აგებდა. მიღწევებსა და საამაყო საქმეებს რომ ჩამოთვლიდა, მერე უთუოდ ნაკლსა და ხარვეზზე გადავიდოდა, საკუთარ მუშაობასაც უთუოდ თვითკრიტიკულად შეაფასებდა. ასე რომ, მოწინააღმდეგეებს სათქმელი ჩვეულებრივ აღარაფერი რჩებოდათ, კაიმამიშვილი ისევ გამარჯვებული გამოდიოდა, მოწინააღმდეგენი კი — სწორედ ისინი, ვისი შრომითა და ოფლით უბანი სულდგმულობდა და კეთილდღეობდა, — კრებიდან ნირწამხდარნი, გაწბილებულნი მიიძურწებოდნენ. უბანზე ბურთი და მოედანი ისევ იმ ოცდახუთიოდე სალახანას რჩებოდა და მომდევნო კვირეებში უბანზე ქვანახშირის გამოღებისა თუ მოსამზადებელი სამუშაოების არნახული, გაუგონარი და ძნელად დასაჯერებელი „რეკორდები“ მყარდებოდა.

კაიმამიშვილის დამქაშებმა ძალიან მალე იგრძნეს, რომ ჯიბრაილის სახით უბანზე მათთვის მეტად არახელსაყრელი პიროვნება მოვიდა. მათი ეჭვი კაიმამიშვილმაც დაადასტურა. იმათ ჯერ მიტუშა გაამტყუნეს, უბანზე არ უნდა გაეჭაჭანებიაო, მერე კი აღარ დააყოვნეს და მეშახტეებში ხმების გავრცელებას შეუდგნენ, ხელთუფლიშვილი თანამდებობის დაკარგვით გაბოროტებულია და ახლა მოუნდომებია, ჩვენს მიტუშას წყალი შეუყენოსო. ამ ხმებმა ბევრი პატიოსანი მეშახტეც კი ჩააფიქრა, იქნებ ეს მართალი იყოს, მოდი მოვიცდი, მომავალი რას მიჩვენებს, ის სამი თუ ოთხი პროცენტი, კაიმამიშვილი რომ ყოველდღე მცინცლავს, ჯანდაბასო. ისიც უნდა ითქვას, რომ კაიმამიშვილი და მისი მომხრეები დიდად არც იმას დაგიდევდნენ, მათი ნალაპარაკევი უბნის ხალხს სჯეროდა, თუ არა. მთავარი ის იყო, რომ მათ ჯიბრაილზე სათქმელი გამონახეს. ვინც არ დაიჯერებდა, კარგი ბიჭი იყო და კრინტის დაძვრას გაბედავდა.

კაიმამიშვილს უბნის საერთო კრების მოწვევის მიზეზი მალე მიეცა. კვარტალი მთავრდებოდა და მუშაობის შედეგები უნდა შეჯამებულიყო. კაიმამიშვილმა თავისი ხალხი კარგად დაგეშა

და საერთო კრება პარასკევს, ნაშუადღევის ოთხი საათისათვის დანიშნა.

პარასკევს შახტის მომცრო კლუბში ტევა არ იყო. ზოგ სკამზე ორნი ისხდნენ. ფანჯრების რაფები ახალგაზრდებს დაეკავებინათ. ვიღაც ახალგაზრდა ქალს, — ალბათ, იმ „რეკორდსმენთაგანის“ ცოლს, ძუძუთა ბავშვიც თან მოეყვანა და ამ გაბმულ ზრიალ-გუგუნსა და შეძახილებში — „ნანა, ნანა, შე გასაზრდელო დაიძინეო“, — ჩასძახოდა. ვიღაც თორმეტიოდე წლის დიდყურა ბიჭი, რიგებს შორის დაძვრებოდა და რაღაც ამბები მიმოჰქონდა.

პრეზიდიუმში მიტუშა კაიმამიშვილის გამოჩენას დარბაზი ტაშით შეეგება, ხოლო როცა მიტუშას შემდეგ პრეზიდიუმში უფერული, სახეშეშუპებული და თვალებჩაღრმავებული კაცრიელ არჩაიძეც გამოჩნდა, ტაში ოვაციად გადაიქცა. არჩაიძემ ხალხს თავი უგულოდ დაუკრა, დაჯდა, სახე იბრუნა და რაღაც თეთრი აბი ნაჩქარევად გადაყლაპა.

მოხსენება თვითონ კაიმამიშვილმა გააკეთა. ეს საქმე მას მუდამ ეხერხებოდა და თავი არც ახლა შეურცხვენია. მით უმეტეს, რომ უბანი გეგმებს გადაჭარბებით ასრულებდა და კარგი მაჩვენებლებიც ჰქონდა.

— ჩვენი მუშაობის, მთელი ჩვენი კოლექტივის, მე ვიტყოდი, თავდადებული, ყოველდღიური, გმირული შრომის შედეგებით, — თქვა კაიმამიშვილმა მოხსენების დასასრულს, — ნამდვილად შეგვიძლია კმაყოფილნი ვიყოთ. ის ციფრები, ის, რა თქმა უნდა, მაჩვენებლები, რომლებიც მე მოვიყვანე, უტყუარად მეტყველებენ ჩვენს წარმატებებზე. პირდაპირ ვიტყვი, ამხანაგებო, რომ ასეთი მაჩვენებლებით შეიძლება დღესდღეობით ბევრმა უბანმა ვერ დაიტრაბახოს, ამას ყველანი აღიარებენ, მაგრამ მიღწეულით დაკმაყოფილება, თვითკმაყოფილება, ყოყოჩობა და სხვა ამგვარები. — ასეთი რამ ჩვენ არ გვჩვევია, ამხანაგებო. თვითკმაყოფილება და მიღწეულით დამშვიდება, მოგეხსენებათ, წინსვლისა და წარმატების მტერია. ჩვენ კი სწორედ წინსვლა, სწორედ ახალ-ახალი, რა თქმა უნდა, მწვერვალების, ჩვენს მუშაობაში დაპყრობა გვწადია და ამიტომ ჩვენი ყურადღება მუდამ ნაკლოვანებებზეც უნდა გავამახვილოთ.

კაიმამიშვილმა რაღაც ქაღალდები მოიმარჯვა და ჩამოთვალა, რომელ ცვლაში რამდენჯერ, როდის და რა მიზეზებით დაირღვა შრომის დისციპლინა, რამდენჯერ და რა მიზეზით არ შესრულებულა სადღეღამისო დავალება, როგორ უხარისხოდ შესრულდა ზოგი სამუშაო, ზოგ ბრიგადაში როგორი აარადამაკმაყოფილებელი ტემპით იზრდებოდა შრომის ნაყოფიერება, უმნიშვნელოდ, ან სულაც არ მცირდებოდა ქვანახშირის თვითღირებულება და კიდევ რამდენი იყო გასაკეთებელი პროდუქციის ხარისხის ასამაღლებლად. და დაასკვნა, უბნის წარმატებები გაცილებით უფრო თვალსაჩინო იქნებოდა, ეს ხარვეზები რომ არ გვქონოდაო.

ჯიბრაილ ხელთუბნიშვილი მეშვიდე რიგში, ვიღაც უცნობ მეშახტეებს შორის იჯდა და მოხსენებას ყურადღებით უსმენდა. კაიმამიშვილის მოხსენება მას კიდეც მოეწონა, — ნამდვილად საქმის ცოდნით ლაპარაკობს, მე თვითონ უბნის უფროსობისას ასეთი კარგი მოხსენება არასოდეს გამიკეთებიაო. და ეერთხელ ისიც კი გაიფიქრა, იქნებ ის რამდენიმე კაცი კაიმამიშვილს სულ ტყუილ-უბრალოდ უხირდება და მიტუშა მათ წინაშეც ისევე მართალია, როგორც ჩემს წინაშეო. ჯიბრაილმა ჯერ კიდევ არ იცოდა, თუ ამ კრებაზე თვითონ მას რა დღე მოელოდა.

—ერთხელ კიდევ ვიმეორებ, — კაიმამიშვილმა ჭიქიდან წყალი მოსვა და დარბაზს ქორული მზერა მოავლო — ერთხელ კიდევ ხაზს ვუსვამ, და იმედია, ამხანაგები სწორად გამიგებენ, რომ ჩვენ მოვალენი ვართ, უნაკ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოდ ვიმუშაოთ. ჩვენ ეს შეგვიძლია და კიდეც უნდა გავაკეთოთ. ჩვენ დღეს აქვე უნდა დავპირდეთ ჩვენი შახტის უფროსს, პატივცემულ ბატონ კაცრიელს, რომ ხსენებული ნაკლოვანებანი უმოკლეს ვადაში აღმოფხვრილი იქნება.

მიტუშა კაცრიელისკენ მიბრუნდა და ტაში დაუკრა. მას მთელი დარბაზი აჰყვა.

ტაშს ჯიბრაილიც უკრავდა. ან რატომ არ უნდა დაეკრა? როცა საქმეები კარგად მიდის, ამაში წვლილი შახტის უფროსსაც მიუძღვის, რაგინდ უხასიათო კაციც არ უნდა იყოს. ასე რომ, ტაში კაცრიელს, ალბათ, ეკუთვნოდა. ჯიბრაილმა ტაში დამშვიდებული სინდისით დაუკრა და მერე ისევ უწინდებურად გულხელი დაიკრიფა.

მომხსენებელს სათქმელი აღარაფერი დარჩა. მიღწევებზეც ილაპარაკა და ხარვეზებზეც. ჯიბრაილს ეგონა, კაიმამიშვილი ახლა მოხსენებას მოამრგვალებს და ტრიბუნიდან ჩამოვაო. მაგრამ მოტყუვდა.

კაიმამიშვილმა დაიცადა, სანამ ტაში დაცხრებოდა. მერე მადლობის ნიშნად თავი რამდენჯერმე ჩაიქნია და ტრიბუნას ორივე ხელით დაეყრდნო. არა, ტრიბუნიდან ჩამოსვლას იგი ჯერჯერობით არ აპირებდა.

— მაგრამ საქმე ხომ მარტო ქვანახშირსა და შრომის ნაყოფიერებაში არ არის, ამხანაგებო, — კაიმამიშვილი ეხლა უფრო დაბალი, შინაურული ხმით ალაპარაკდა. მან მრავალმეტყველი პაუზა გააკეთა და დარბაზს განმსჭვალავი მზერა მოავლო.—საქმე მარტო რიცხობრივ მაჩვენებლებსა და, თუ გნებავთ, იმავე ქვანახშირის ხარისხში როდია. საანგარიშო პერიოდში შესამჩნევად გაიზარდა ურთიერთგაგება, კოლექტივიზმის გრძნობა ჩვენი უბნის ცალკეულ მუშაკებს შორის. ეს კი მცირე მონაპოვარი როდია. სოლიდარობა, ურთიერთგაგება, ამხანაგობა — ეს ყველაფერი შეშახტისათვის ისევე აუცილებელია, როგორც წყალი და ჰაერი: და ჩვენ აქაც, ამ სფეროშიც შეგვიძლია ვიამაყოთ ჩვენი ხალხით, ჩვენი, თუ გნებავთ, მაჩვენებლებით და ვამაყობთ კიდეც, მაგრამ, ჩვენდა სავაგლახოდ, ისევე, როგორც სხვა სფეროებში, ზოგი ნაკლი და ხარვეზიც აქაც მოგვეძებნება. — მიტუშამ წყალი ერთხელაც მოსვა და ჭიქა ლამბაქზე ფრთხილად დადგა. — აი, ამხანაგებო, ამის ერთი სამწუხარო, მე ვიტყოდი, მეტად გულდასაწყვეტი მაგალითი. მოგეხსენებათ, თითო-ოროლა უკმაყოფილო ყველგან არის და მუდამ ყველგან იქნება. უამისობა არ შეიძლება. ადამიანს, რაგინდ კაჟივით ჯანმრთელი სხეული ჰქონდეს, მაინც ხან ნეკი წამოტკივდება, ხან სურდო შეეყრება, ხან თვალში რაღაცა ჩაუვარდება. ასეთ დროს საჭიროა — რა? სიმშვიდე და დროული ჩარევა, მე ვიტყოდი, მკურნალობა, არა? დიახ!.. ასეთივე ჯანსაღი, სწორედ კაჟივით ჯანსაღი ორგანიზმია ჩვენი უბანიც. და თუ აქ ზოგ ჩვენთაგანს რაღაცა მოეჩვენება, რაღაცაში შეცდება, რაღაცას გაიფიქრებს — ეს არ უნდა გავაზვიადოთ და ამ ჩვენი ცალკეული ამხანაგების შეცდომით ბოროტად არ უნდა ვისარგებლოთ. სწორი ვარ, თუ არა, ამხანაგებო?

— სწორია! მართალია! ოქროს სიტყვებია! — გაისმა დარბაზის ყოველი კუთხიდან.

ჯიბრაილს გულმა რეჩხი უყო.

— სამწუხაროდ... დიახ, მე ვიმეორებ ამ სიტყვებს, სამწუხაროდ, ერთმა ჩვენმა შედარებით ახალმა ამხანაგმა, ზოგი ჩვენივე ამხანაგის უნებლიე შეცდომის სწორედ ბოროტად გამოყენება სცადა.

— დაგვისახელე, დაგვისახელე! — ისევ გაისმა აქეთ-იქიდან.

— საჭირო არ არის...

— არა, ახლავე დაგვისახელე! ხელი დაადევი! ყველას გაგვაგებინე.

— ასეთი საჩქარო არაფერია, ამხანაგებო... ისეთი ჯერ არაფერი მომხდარა.

— არა! არა და არა, დაგვისახელე! ხელი დაადევი! უნდა ვიცოდეთ, ხალხმა ყველაფერი უნდა იცოდეს. დაგვისახელე!

— ამხანაგებო...

— არა! დიდი ბოდიში! — დარბაზის შუაგულში წამოდგა შუახნის უსაშველოდ ბეჭებგანიერი, სქელულვაშა და დიდთვალება ანგია შარიქაძე — ერთი იმ „სახელოვან რეკორდსმენთაგანი“, — დიდი ბოდიშს ვიხდი! შენ, მიტუშა, ჩვენი წინამძღოლი ხარ. აქ ბევრისაგან ჭკუა არ გესწავლება, მაგრამ... არა, ასე არ შეიძლება. ხეს რომ მატლი გაუჩნდება, ის დროზე უნდა მოისპოს, თორემ შეიძლება... ერთი სიტყვით, ჩვენი უბანი, უნდა ვთქვა, სწორედ წელმაგარი ძელქვაა და მატლები... არა, მატლები ჩვენ არ გვესაჭიროება. ამხანაგებო, მართალს ვლაპარაკობ თუ არა?

— სწორია!

— მართალია.

— ძირს შემოპარული მატლები!

— ოქროს სიტყვებია!

— მიტუშა, ისე არ დაგვემართოს: კაცმა ჭირი მალა და მალა და ჭირმა კი თავი არა დამალაო.

— ძირს შემომძვრალი თხუნელები!

— კარგი... — მიტუშამ დიდი სინანულისა და სიმძიმილის ნიშნად, თავი მძიმედ გადააქნია. — იყოს ნება თქვენი... არა, მე იმ კაცს პირადად მაინც არ დავასახელებ. ამის უფლებას მე საკუთარი ვაჟკაცობა არ მომცემს, მაგრამ... ისე კი, რა გაეწყობა, იცოდეთ: ის კაცი ჩვენთან სულ ცოტა ხნის წინათ მოვიდა. მანამდე, ცოტა არ იყოს, უსიამოვნო ამბავი შეხვდა... ერთი სიტყვით, ასე დაწვრილებით რა საჭიროა, მაგრამ...

— სირცხვილი ჯიბრაილ ხელთუფლიშვილს! — დაიქუხა ვიღაცამ დარბაზის კუთხიდან.

— ვიცით, ვინც არის!

— გვენიშნა, მაგისი საქციელი გვენიშნა.

— მაგისი საქმე ასეა: ობოლო, ვის დაჰკრავო და — ვინც გამზარდაო.

— ნამდვილია!

კაიმამიშვილი არჩაიძეს მიუბრუნდა და მხრები აიჩეჩა, ვითომდა, არ მინდოდა მაგისი დასახელება, მაგრამ ხალხმა თვითონვე გამოიცნოო. არჩაიძემ ტუჩები უხმოდ გააცმაცუნა და აზმაურებულ დარბაზს გულგრილი მზერა მოავლო.

ჯიბრაილი ფერწასული იჯდა. თავის სიცოცხლეში პირველად შეეშინდა, გული არ გამისკდესო. საკუთარ ხელებსა და ფეხებს ვეღარც კი გრძნობდა. მარტო გულის ბაგა-ბუგი ესმოდა.

— დაეწყნარდეთ, ამხანაგებო! — კაიმამიშვილი ახლა უკვე კრების თავმჯდომარესავით იქცეოდა. — გულისთქმას ნუ ავყვებით. ეს კარგს არაფერს მოგვიტანს. ისე კი... უნდა განვაცხადო, რომ... არ მოველოდით ამას თქვენგან, ამხანაგო ჯიბრაილ, ნამდვილად არ მოველოდით.

— დაწვრილებით მოგვახსენე. — მიაყვირა ანგია შარიქაძემ. — ყველაფერი გვითხარით.

— თქვენი ნებაა... მართლაც ჯერ საქმის ვითარება მოვისმინოთ და საბოლოო დასკვნა მერე გავაკეთოთ. ალბათ, მართლაც აჯობებს, თუ ხალხს ყველაფერი ეცოდინება.

არც ისე დიდი ხნის, სულ რამდენიმე დღის წინათ, ზოგ ჩვენს ამხანაგს მოეჩვენა, თითქოს... ერთი სიტყვით, იფიქრეს, რომ მათი შრომის შეფასება არასწორად ხდებოდა. დიახ! რა ვუყოთ, ამაში საძრახისი არაფერია, კაცმა თავის საქმეზე უნდა იფიქროს და ამ ფიქრის დროს შეცდა, რას იზამ! ნათქვამია, მარტო ის არ ცდება, ვინც არაფერს აკეთებსო. მაგრამ... მე გთხოვთ, სწორად გამიგოთ, ამხანაგებო! მე ამისი თქმა მიჭირს, და ძალიანაც მიჭირს, მაგრამ, რაკი კრება თხოულობს... დიახ! სამწუხაროდ, ამხანაგმა ხელთუფლიშვილმა იმ ამხანაგის უნებლიე შეცდომა იმისათვის გამოიყენა, — მე ძალიან გული მტკივა, ამას რომ ვამბობ, — იმისათვის გამოიყენა, რომ უბნის ხელმძღვანელობის ავტორიტეტი შელახა. სამწუხაროდ, ასე იყო! უკაცრავად, ნუ ავღელდებით, ამხანაგებო! ეს ჩემთვის ნამდვილად მოულოდნელი ამბავია. თქვენ ყველამ კარგად იცით, რომ ამხანაგმა ხელთუფლიშვილმა ამ ცოტა ხნის წინათ დაჰკარგა მდგომარეობა, იგი მოხსნეს... დიახ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახლა ამაზე ყურადღებას ნუღარ გავამახვილებთ, მაგრამ ის კი უსათუოდ უნდა ითქვას, რომ ჩვენმა უბანმა ფართოდ და გულითადად გაუღო ხელთუფლიშვილს თავისი კარები, გაუწოდა ამხანაგური დახმარების ხელი, მისცა სამუშაო, მხარში ამოუდგა... და ყველაფერი ამის სამაგიეროდ... არა, ამხანაგებო, მე ერთუფლიშვილისა. და ჩვენ ყველანი ხელთუფლიშვილისა. და ჩვენ ყველანი ადამიანები ვართ. რა თქმა უნდა, ძალიან ძნელია ასეთი დამცირებისა და შეურაცხყოფის გადატანა. გუშინ ეს კაცი, რომ იტყვიან, ცაში დანავარდობდა, დღეს კი... დიახ!... ასეთ დროს ყოველი ადამიანი ასე ფიქრობს, რომ იგი უდანაშაულოდ დაისაჯა, რომ უსამართლოდ მოექცნენ.. .ეს ასეა. მაგრამ ჩვენი გაბოროტება სხვაზე კი არ უნდა გავავრცელოთ. ეს არასწორი იქნება. ჯიბრაილ ხელთუფლიშვილი აგერ გვესწრება და აი, ამ ტრიბუნიდან მე მას პირდაპირ ვეუბნები: ჯიბრაილ, ჩემო ძმაო, ჩემო მეგობარო, შენ — სიტყვაზე — თუ ჩემი თანამდებობა გინდა, ვინ მამაძაღლი! მოდი, ძმაო და დაჯექი. მე კრინტსაც არ დავძრავ. ოღონდ წინდაწინ ხალხს, უბანს კი შევეკითხოთ. იქნება, მათ ეს მიტუშა კაიმამიშვილი არც კი ემეტებათ, იქნება, მათ ეს გლახა მიტუშა კარგ და გადასარევ ჯიბრაილს ურჩევნიათ. ჰოდა, მაშინ — კი — ნურას უკაცრავად! ხალხის ნებას მე ვერ გადავალ. ეს არ იქნება! მაგრამ საკითხი ასე არც კი დგას. საქმე ახლა ისეა, რომ ამხანაგ ჯიბრაილს, მისი ერთდაგვარად, გაუნათლებლობის გამო, უბნის უფროსად აღარც კი დააყენებენ. რაც იყო, იყო და გათავდა, ის აღარ განმეორდება. ჰოდა, რაკი ასეა, ტყუილად გაბოროტებას ის არ სჯობია, ამხანაგურად გვერდში ამოგვიდგე, შენი დიდი, მე ვიტყოდი, გამოცდილება დაგვახმარო, და ჩვენთან ერთად წინ გაეშურო? მე მგონი, ეს უფრო ვაჟკაცური საქციელი იქნება და უფრო, რასაკვირველია, სასახელო და სასარგებლოც. დაუკვირდი, ძმაო ჯიბრაილ, შენს საქციელს, თითონვე დაუკვირდი და როგორც საკუთარმა სინდისმა გიკარნახოს, ისე მოიქეცი. მე კი, თუ მართლაც აღარაფრად ვვარგივარ...

— ხმა, კრინტი, მიტუშა! — მოისმა დარბაზიდან შეძახილები.

— ვარგიხარ კი არა, შენისთანა ლომი ჩემს სიცოცხლეში არ შემხვედრია.

— შეგერგოს, მიტუშა, დედის ძუძუ შეგერგოს!

— თუ ვართ, შენითა და ბატონი კაცრიელითა ვართ.

— სირცხვილი ხელთუფლიშვილს!

— ინტრიგანებს ჩვენში არ გაუხარიათ და ვერც გაიხარებენ.

თავმჯდომარემ ზარი ააწკარუნა. კაიმამიშვილმა ხელი ასწია და აბობოქრებული დარბაზი, როგორც იქნა, დაწყნარდა.

— მე არ ვიცი, ამხანაგებო, — განაგრძო კაიმამიშვილმა, — ამხანაგ ჯიბრაილს გულში რა აქვს, მაგრამ ამჯერად ულამაზოდ რომ მოიქცა, ეს ფაქტია. და მე მინდა მთელი ჩვენი კრების სახელით მივმართო მას: გადაივიწყე, ამხანაგო ჯიბრაილ, შენი წარსული. ნათქვამია, თანამდებობა კი არ უხდება ადამიანს, ადამიანი ამშვენებს თანამდებობასო. მოდი ჩვენთან წრფელი გულით, გაიზიარე ჩვენი ჭირიცა და ლხინიც, ჩვენ კი შენ ვალში არ დაგრჩებით.

კაიმამიშვილმა ქაღალდები აკრიფა და ტრიბუნიდან ერთსულოვანი ტაშის გრიალში ჩამოვიდა.

თავმჯდომარემ კაცრიელ არჩაიძეს რაღაც გადაუჩურჩულა. კაცრიელმა ოდნავ შესამჩნევად თავი დაუქნია. თავმჯდომარემ ზარი ერთხელაც დააწკარუნა და იკითხა, კამათში გამოსვლა ვის სურსო. სიტყვა ტარიელ გოგისვანიძემ ითხოვა.

— მობრძანდი!

ტარიელი ტრიბუნაზე არც კი ასულა, პირველი რიგის წინ გაჩერდა.

— ამხანაგებო! მე გახლავართ ის ადამიანი, რომელმაც... ერთი სიტყვით, ფაქტი ყოველთვის ფაქტად რჩება. ამხანაგი ჯიბრაილი კი არაფერ შუაშია.

ტარიელი შურდულივით მოწყდა ად-

ბიბლიოთეკა

გილიდან და თავის სკამს დაუბრუნდა.

— ო, რა სიტყვა გვითხრა! — გაისმა აქეთ-იქიდან.

— პირდაპირ გაგვანათლა.

— აბა, აბა!

— ჩასაწერია!...

— თვითონ ხელთუფლიშვილი რას გვეტყვის?

ხმაური, ზრიალი და შეძახილები უეცრად მოისხიპა. ჩაწოვარდნილ სიჩუმეში ყველანი ფერდაკარგულ ჯიბრაილს მიაჩერდნენ.

შემდეგ, როცა ამ წუთებს იხსენებდა, ჯიბრაილს ძალიან უჭირდა მეხსიერებაში მისი აღდგენა, თუ ფეხზე როდის და როგორ წამოდგა. ახსოვდა მხოლოდ ის, რომ უკვე ფეხზე იდგა, ხოლო თითქმის ყოველი მხრიდან რისხვით, ბრაზით, ზიზღით და დაცინვით სავსე თვალებით მისჩერებოდნენ. დიახ, სწორედ ასე ახსოვდა. თანაგრძნობითა და მეგობრულად მომზირალი ერთი წყვილი თვალიც კი არსად შეუნიშნავს.

—ტრიბუნაზე ამობრძანდი! — თავაზიანად, მეტისმეტად თავაზიანადაც კი შესთავაზა თავმჯდომარემ.

ჯიბრაილი კი არც განძრეულა, გახევებული ხელი კისერზე მოისვა.

პრეზიდიუმში კაცრიელ არჩაიძე დაიხარა და მის გვერდით მჯდომ კაიმამიშვილს რაღაცა ჰკითხა. კაიმამიშვილმა მოკლედ უპასუხა და თავიც დაუქნია. არჩაიძემ წარბები ისე შეიჭმუხნა, თითქოს რაღაც ცუდი სუნი ეცაო, ნელა წელში გასწორდა და ისევ რაღაც თეთრი აბი გადაყლაპა. სახეზე უკმაყოფილების და ზიზღის გამომეტყველება კი მაინც არ შეცვლია — მობრძანდი, ამხანაგო ხელთუფლიშვილო! — გაიმეორა თავმჯდომარემ და ჯიბრაილს რატომღაც ღიმილით გამოხედა.

სხვა რაღა გზა იყო? ჯიბრაილმა სკამების ზურგებსა და ვიღაცეების მუხლებს შორის გზა გაიკვლია და ტრიბუნისაკენ წავიდა.

მერე, როცა ამ წუთებს იგონებდა, ჯიბრაილს ასე ეჩვენებოდა, სანამ ჩემი სკამიდან ტრიბუნამდე მივიდოდი, ძალიან დიდმა ხანმა გაიარაო. ამ ხნის განმავლობაში ჯიბრაილმა ბევრი რამის გაფიქრება მოასწრო, წარმოიდგინა ისიც, თუ რას იფიქრებდნენ მისი ძველი ამხანაგები, იგი რომ ასეთ ყოფაში ენახათ; გაიფიქრა ,რას იზამდა ირინე, ამ ამბავს რომ შესწრებოდა; რას იფიქრებდნენ სარდიონი, კახაბერ გურასაშვილი, გერასიმე ცნობილაძე... ჯიბრაილმა ეს ყველაფერი წარმოიდგინა, და, ამავე დროს, ერთი წამითაც კი არ დაფიქრებულა იმაზე, თუ რა უნდა ეთქვა, როცა ტრიბუნაზე ავიდოდა. ამიტომაც იყო, რომ როცა ტრიბუნას მიუახლოვდა, გაჩერდა და ხალხით სავსე დარბაზისაკენ მოტრიალდა, კარგა ხანს ჩუმად იდგა და ხმის ამოღებას თითქოს არც კი აპირებდა.

— გისმენთ, ამხანაგო ხელთუფლიშვილო! — გაისმა დარბაზიდან ვიღაცის ბოხი, თავდაჯერებული ხმა.

ჯიბრაილმა იმ ხმისაკენ მიიხედა, მაგრამ მისკენ მიჩერებული უამრავი წყვილი თვალი დაინახა. ხელი შუბლზე მოისვა. თითებქვეშ ოფლის წვეთები იგრძნო. თავში გაუელვა, ეს ამბავი ირინემ რომ გაიგოს, ერთი წუთითაც აღარ გამიჩერდებაო. ამ ფიქრმა თავზარი დასცა და შეეცადა, თავიდან მოეშორებინა, ახლა ერთი-ღა რჩებოდა, რაც შეიძლებოდა, სწრაფად, სულ ორიოდე სიტყვით დაემტკიცებინა, რომ არავის წინაშე არავითარი ბრალი არ მიუძღოდა. „თუ ეს ვერ მოვახერხე, — გამუდმებით უელავდა თავში, — ამ ტრიბუნიდან სტვენა-ღრიალით ჩამომაგდებენ და იქნება ხელითაც კი შემეხონ“ მაგრამ წუთი წუთს მისდევდა, ჯიბრაილი კი სათქმელს თავს ვერ აბამდა. ბოლოს, როდის-როდის იყო, ესღა მოახერხა, რომ მხრები აიჩეჩა და ძლივს, ოდნავ გასაგონად წაილაპარაკა, ეს სრული გაუგებრობააო.

— რაო! — გაისმა აქეთ-იქიდან.

— გაგვაგონე.

— სრული გაუგებრობააო.

— ჰოო!

— აბა, მით უკეთესი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ეგ ჯერ ვნახოთ.

უეცრად პრეზიდიუმში ზარმა გაიწკრიალა, ჯიბრაილმა მიიხედა. კაიმამიშვილი წამომდგარიყო, თავმჯდომარისთვის ზარი გამოერთმია და თვითონვე აწკარუნებდა.

დარბაზი სმენად გადაიქცა.

— ამხანაგ ჯიბრაილს ნამეტანსაც ნუ მოვთხოვთ, ამხანაგებო, — თქვა კაიმამიშვილმა, — ყველანი ადამიანის შვილები ვართ. ვინ არ შემცდარა და გულისთქმას ერთი წუთით მაინც ვინ არ აჰყოლია. რა ვუყოთ... მე პირადად მჯერა, რომ ამ მწარე გაკვეთილიდან ამხანაგი ჯიბრაილი სათანადო დასკვნებს გააკეთებს და ამას იქით ჩვენ აღარ მოგვიხდება მის საქციელზე ასე საჯაროდ მსჯელობა.

— კაცი ხარ, მიტუშა, და თავზეც ქუდი გახურავს!

— ვინც შენთვის გლახა ინდომოს, იმის...

— სიწყნარე! — კაიმამიშვილმა ზარი გააწკარუნა. — ახლა მოვუსმინოთ ჩვენი შახტის უფროსს პატივცემულ ბატონს კაცრიელ არჩაიძეს.

კაცრიელი წამოდგა.

— მეგობრებო! ამხანაგებო! — იგი ძალიან დაბალი, ორიოდე კაცის წრეში სამასლაათო ხმით ლაპარაკობდა და ოდნავადაც არ ზრუნავდა იმაზე, რომ მისი ნათქვამი ბოლო კი არა, თუნდაც შუა რიგებში მსხდომებს გაეგონათ, მთელმა დარბაზმა კისრები წაიგრძელა. — ჩვენ ყველამ დიდი ინტერესით მოვისმინეთ ამხანაგ კაიმამიშვილის საინტერესო მოხსენება. ყველანი კმაყოფილნი ვართ უბნის მუშაობით, ამ მუშაობის შედეგებით, ძალიან სასიხარულოა, ჩვენი ადამიანების მძიმე შრომას უშედეგოდ არ ჩაუვლია და მან თავისი შედეგები მოგვცა. ამავე დროს ამხანაგ კაიმამიშვილის მოხსენება იყო თვითკრიტიკულიც. უბნის უფროსმა ილაპარაკა იმ ნაკლსა და ხარვეზებზეც, რომლებიც უახლოეს ხანში უნდა გამოსწორდეს და, ეჭვი არ არის, გამოსწორდება კიდეც. ახლა რამდენიმე სიტყვა ამხანაგ... ე... ხელთუფლიშვილის შესახებ. უბანზე, იქნებ, მართლაც ჰქონდა ადგილი ცალკეულ შეცდომებს, გაუგებრობებსა და სხვა. ამას არც თვითონ ამხანაგი კაიმამიშვილი უარჰყოფს. მაგრამ თვითონ ის ფაქტი, რომ ამ ამხანაგებმა, შესჩივლეს არა უბნის უფროსს, ამხანაგ კაიმამიშვილს, არამედ ხელთუფლიშვილს, თვითონ ეს ფაქტი, მე ვიტყოდი, ცოტა არ იყოს, უსიამოვნო შთაბეჭდილებას სტოვებს. განა ჩვენ ამხანაგ კაიმამიშვილს არ ვიცნობთ! განა ამხანაგი კაიმამიშვილი თვითონ არ ზრუნავდა იმ გაუგებრობათა აღმოფხვრისათვის? რა თქმა უნდა, იზრუნებდა, ამხანაგებო. ეს ყოველგვარ ეჭვს გარეშეა და მე ვისურვებდი, ასეთი გაუგებრობა აღარ განმეორებულიყოს, ხოლო ამხანაგ... ამხანაგ ხელთუფლიშვილს გამოენახოს საერთო ენა უბნის მთელ კოლექტივთან და არა, ვთქვათ, ცალკეულ მეშახტეებთან, რომელნიც ამ გაუგებრობის მსხვერპლნი შეიქმნენ. აი, ყველაფერი, რისი თქმაც მე მინდოდა.

არჩაიძე დაჯდა და შეოფლილი სახე ცხვირსახოცით შეიწმინდა.

* * *

სახლში მიმავალი ჯიბრაილი, ტარიელ გოგისვანიძემ და კიდევ, რამდენიმე მეშახტემ, ავტობუსის გაჩერებამდე გააცილეს, — ასე რამ დაგამუნჯა კაცო!. — უყვიროდა გზადაგზა ტარიელი, — ერთი სიტყვის დაძვრა მაინც რ. ვორ ვერ მოახერხე?!

— თავის მართლებას მიუჩვეველი ვარ, ჩემო ტარიელ! — მიუგო ჯიბრაილმა, პაპიროსი მოისროლა და ავტობუსში ავიდა. იმ წუთში მან მხოლოდ ერთი რამ იცოდა: ქვეყანა რომ დაქცეულიყო, ეს ამბავი არამც და არამც ირინეს არ უნდა გაეგო. ერთიორჯერ ისიც გაიფიქრა,. მაგ შახტზე ნამდვილად აღარ დამედგომებაო. მაგრამ ჯერჯერობით წასასვლელი არსად ჰქონდა და კიდეც რომ ჰქონოდა, ახლა წასვლა გაქცევას დაემსგავსებოდა. ამიტომ ჯიბრაილმა ეს ფიქრიც თავიდან

მოიშორა და შეეცადა, სახლში დამშვიდებული სახით შესულიყო.

* * *

კაიმამიშვილმა მომდევნო კვირეებშიც დიდი ეშმაკობა და გამჭრიახობა გამოიჩინა: უბანზე აღიკვეთა ყოველგვარი ყალთაბანდობა. ჩივილის საბაბი ერთ მეშახტესაც აღარ გასჩენია. თვის ბოლოს ყოველმა მეშახტემ იმდენი მიიღო, რამდენიც ეკუთვნოდა. ტარიელ გოგისვანიძე და მისი ამხანაგები თავს იჭვნეულად აქნევდნენ, ეს დროებითი ამბავია, როგორც ღორი ნაგვის ქექვას ვერ მოიშლის, ისე ეგენი ყალთაბანდობას ვერ მოიშლიანო. ასევე ფიქრობდა, თვითონ ჯიბრაილიც. ახლა მასაც სჯეროდა, კაიმამიშვილის სამართლიანობა და მიუდგომლობა მოგონილი ამბავია და მალე საპნის ბუშტივით გაჰქრებაო. მაგრამ ჯერჯერობით ფაქტი ის იყო, რომ არც ერთი მეშახტისათვის მისხალი არ დაუკლიათ და უკმაყოფილების მიზეზიც აღარავისა ჰქონია: უბნის საერთო გეგმაც გადაჭარბებით შესრულდა და ყოველ მეშახტეს — მებიგეებიდან დაწყებული და ვაგონეტების დამცლელებით გათავებული — კარგა მოზრდილი პრემია ერგო და ყველა კარგ ხასიათზე დადგა.

ხელფასის დღეს, კიბეზე ჩამომავალ ჯიბრაილს. ვიღაც ახალგაზრდა მეშახტე დაეწია და ქოშინით უთხრა, მიტუშა კაიმამიშვილმა შემოგითვალა, აგერ, რამდენიმე კაცი რესტორანში მივდივართ, გვინდა, უბნის კარგი მუშაობა აღვნიშნოთ და, თუ გვიკადრებ, შენც შემოგვიერთდიო. ჯიბრაილმა გადაჭრილი უარი შეუთვალა და გზა განაგრძო.

## თავი VII

ერთ საღამოს, ირინემ გოგუტუნა ჩვეულებისამებრ, საღამოს ათ საათზე დააძინა. მერე ჯიბრაილთან შემოვიდა, გვერდით დაუჯდა, ხელი იდაყვზე დაადო და თვალებში ქვევიდან ეშმაკურად შეჰხედა.

— რა სხვანაირად მომჩერებიხარ? — ჯიბრაილმა ნაძალადევად გაუღიმა .იმ უკუღმართი კრების შემდეგ ერთთავად უგუნებოდ იყო. პირდაპირ დანა კრიჭას არ უხსნიდა, მაგრამ ირინეს ყველაფერს მონდომებით უმალავდა.

— კვირას წვეულება გვაქვს. — ირინემ კიდევ უფრო ეშმაკურად გაუღიმა.

— წვეულება?

— რა გიკვირს?! რამდენი ხანია, ჩვენთან აღარავინ მოსულა. ბოლოსდაბოლოს, სამგლოვიარო ხომ არაფერი გვჭირს!

— მეც სულ მაგას არ გეუბნები! — ჯიბრაილმა ირინეს ხელები მოხვია და მიიზიდა. — სულ მაგას ჩაგჩიჩინებ, სამგლოვიარო არაფერი გვაქვს-მეთქი და ვერ გაგაგებინე. მაინც ვის ეპატიჟები?

— კარგ ხალხს. ძალიან საჭირო და პატივსაცემ ხალხს.

ჯიბრაილი მიხვდა, რომ ირინე ამ წვეულებას ტყუილად არ აწყობდა და რაღაცას უკავშირებდა.

ასეც გამოდგა. ირინე ჯიბრაილს მუხლებზე დაუჯდა და მარცხენა ხელი კისერზე მოჰხვია:

— შენ ვინც გინდა, მოიყვანე. მე კი დაპატიჟებული მყავს: ფილიპე გობრონიძე. — ირინემ მარჯვენა ხელის ნეკი მოკეცა — ეს ერთი. ვარლამ ქორქოლიანი. — ირინემ მარჯვენა ხელის უსახელო თითი მოკეცა. — ეს ორი. მინადორა შუბლაძე. — ირინემ მარჯვენა ხელის შუათითი მოკეცა. — ეს სამი და კიდევ ვიღაც-ვიღაცეები. მიხვდი?

ჯიბრაილი მართლაც რაღაცას მიხვდა ფილიპე გობრონიძე ქალაქის განათლების განყოფილების უფროსი იყო, ვარლამ ქორქოლიანი — მეორე საშუალო სკოლის დირექტორი. მინადორა შუბლაძე კი...

— ე, მინადორა შუბლაძე ვინღაა?

— განათლების განყოფილების ინსპექტორია. ძალიან კარგი ქალია. ამ ხალხის დაპატიჟება სულ მაგან მომიხერხა. აბა, ეგენი ყველგან კი არ დადიან. სულ დიდი თანამდებობის პირებია.

ჯიბრაილი ყველაფერს მიხვდა, მაგრამ რაღას იზამდა, დათანხმდა. ამ ცის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქვეშეთში ეს ერთადერთი ადამიანი — ირინე შემორჩა და ამასაც ხომ ვერ მოიმდურებდა ოღონდ ეს კი უთხრა, შენ ვინც გინდა, ის მოიყვანე, მაგრამ მე ჩემის მხრივ ვერავის დავპატიჟებ, უბანზე ახალი კაცი ვარ და არ მინდა, ვინმე გამოვარჩიოო.

— შენი ნებაა. ოღონდ...

— რა?

— კაიმამიშვილი? არც მაგას ეტყვი?

— არა.

— რატომ?

— ისე. არ მინდა.

— შენ ხომ იცი, რომ მთელი ტრესტი მაგაზე ლაპარაკობს.

— მაინც რაო, რა გვინდაო?

— რა გვინდა კი არა .მაგისთანა უბნის უფროსი მეორე არა გვყავსო.

— ილაპარაკონ.

— მაინც არ დაუძახებ?

— არა.

— შენი ნებაა.

* * *

კვირას ირინემ სანაქებო სუფრა გააწყო. მაინც სად იშოვნა ამდენი თევზეული, ეს წითელი თუ შავი ხიზილალა... როდის შეწვა და გამოაცხო ამდენი წიწილები, გოჭები და ხაჭაპურები? სუფრა იზნიქებოდა ხორაგისაგან, ჯიბრაილი საგანგებოდ გამოეწყო, მწარე სინანულით გაიხსენა ის დრო, როცა ირინე ასეთ სუფრას ჯიბრაილის ძველ ამხანაგებს უწყობდა ხოლმე, და სტუმრების ლოდინს შეუდგა.

რაკი კვირა დღე იყო, ირინეს სტუმრები სამი საათისათვის ჰყავდა დაპატიჟებული. მაგრამ, როგორც ჩვენში იციან, ამ დროისთვის მოსვლა ფიქრადაც კი არავის მოსვლია. პირველი სტუმარი — ვიღაც ოქროს პენსნეიანი მელოტი, დამჭკნარი მოხუცი ხუთ საათზე მოვიდა. ირინეს დიდის ამბით ხელზე აკოცა და გრძლად მოუბოდიშა შორეული მოყვრის ორმოცზე ვიყავი, აღარ მომეშვნენ, გინდა თუ არა, სახლშიც წამოდი, თამამად გვინდიხარო, არ მინდოდა, ბატონო მომბეზრდა ამ ჭირის სუფრაზე თამადობა, მაგრამ — საქმეში ხარ! გაგონილა, ბატონო, ენა გიჭრის, განვითარებული ლიტერატორი ხარ და ამიტომ, გინდა თუ არა, ამ ახლო-მახლო ყველა მიცვალებული შენ უნდა დაიტიროო. შვილებს გეფიცებიო, თამადობა ძლივს ავიცდინე და, რა თქმა უნდა, თქვენკენ გამოვეშურე.

პენსნეიანმა ირინეს ხელზე ერთხელაც აკოცა და ტახტზე ჩამოჯდა. ჯიბრაილმა შეატყო, რომ ირინემ სტუმრის სახელიც კი არ იცოდა. პენსნეიანმაც ნამდვილად აღარ იცოდა, ახლა რაღა ექნა, ან რაზე ელაპარაკა. თავის სიცოცხლეში, ირინესაც პირველად ჰხედავდა და ჯიბრაილსაც. ირინემ მოიბოდიშა და სამზარეულოში გავიდა. უცხო ხალხის გართობა მაინცადამაინც არც ჯიბრაილს ეხერხებოდა და ასე ისხდნენ ერთი მეორის პირდაპირ — იქით სტუმარი და აქეთ მასპინძელი — გაუნძრევლად და ხმაამოუღებლად. ბოლოს ისევ პენსნეიანმა მოისაზრა, სანამ სხვები მოვიდოდნენ, იქნება კამათელი გაგვეგორებინაო. ჯიბრაილმა მაშინვე ნარდი გამოიტანა და თამაშს შეუდგნენ.

მეორე სტუმარი — ესეც მელოტი და ხანდაზმული, რქის სათვალეებით, ძალიან მაღალი, გამხდარი, ცარიელი ძვალი და კანი, ვიწრობეჭებიანი, — ექვსის ნახევარზე მობრძანდა. ჯიბრაილს პენსნეიანთან უკვე ხუთიოდე ხელი ჰქონდა წაგებული, — მოულოდნელად სტუმრები სწვევიან.

— შევატოვე, შენ ხარ ჩემი ბატონი, ის დაუპატიჟებელი სტუმრები ხელში ჩემს კნეინას და აქეთ გამოვეშურე. აბა, ასეთ დიასახლისს ხომ არ ვაწყენინებდი!

ესეც დაიხარა და ირინეს ხელზე აკოცა.

მესამე სტუმარს, — დაბალს, მსუქანს, თვალებჩასისხლიანებულს, — დაგვიანების მიზეზი არა ჰქონია. ისე, უბრალოდ დააგვიანა და შვიდის თხუთმეტ წუთზე გამოცხადდა. ირინეს თავი მოკლედ დაუკრა, ჯიბრაილისათვის მისალმება კი საჭიროდ აღარ სცნო, ჩახ-

ლეჩილი ხმით რაღაც წაილაპარაკა და მონარდეებს შეუერთდა, და როცა პენსნეიანმა მასპინძლების გულის მოსაგებად დაგვიანება უსაყვედურა, უგემურად ჩაიხლიჩინა: „დამჯდარიყავით და დაგეწყოთ, ჩემი სამყოფი კი დაგრჩებოდათო“. მიიხედ-მოიხედა და რა დაინახა, ჩემს ხუმრობაზე არავინ იცინისო, ჩასისხლიანებული თვალები ავად დაახრიალა..

ყველაზე ბოლოს, — შვიდს უკვე აღარაფერი აკლდა, კარგად ნაპატივები, ბრილიანტის საყურეებიანი და თევზივით თვალებგადმოკარკლული მინადორა შუბლაძე, სქელი ლოყებლაჟღაჟა და ცისფერთვალება ფილიმონ გობრონიძე — განათლების განყოფილების გამგე და მეორე სკოლის დირექტორი — მკვახე ზღმარტლივით უფერული, უხასიათო, ერთთავად გესლიანად მომღიმარე ვარლამ ჟორჟოლიანი შემოლაგდნენ. ესენი ყველა თანამდებობის პირნი ბრძანდებოდნენ და დაგვიანება არც კი გაემტყუნებოდათ. სქელმუცელა ფილიმონი ხეირიანად ირინესაც კი არ მისალმებია. პირდაპირ სუფრის თავში გამოიჭიმა — წინდაწინვე იცოდა, რომ თავკაცობა და თამადობა არ ასცდებოდა, — და „ბორჯომი“ ისურვა. ირინემ მყისვე ბოთლი გახსნა და მაღალ ბროლის ჭიქაში დაუსხა. ფილიმონმა ყვითელი აბრეშუმის ხელსახოცით ჯერ შეოფლილი თავ-კისერი შეიწმინდა და ბორჯომი მერე-ღა იგემა.

— კარგია... — ამოხვნეშით თქვა მან — იფ! რაც კარგია, კარგია, — ჭიქა ერთი წრუპუნ-წრუპუნით დასცალა და მაგიდაზე დადგა — გალოდინეთ, ხომ? რას იზამ?! ჩვენი ხალხი წამხედვარია, ყველა იმას ფიქრობს, ჯერ არავინ იქნება მისული და მე რა მეჩქარებაო. ერთი არავინ გამოჩნდა, რომ გაზეთში ამაზე ერთი მარილიანი რამ დაწეროს. აბა, თქვენ! მაგ ნარდს აღარ შეეშვებით? ეს დიდებული მასპინძლები ისედაც ვანერვიულეთ და აღარ ვაკმაროთ?

მენარდეები მყისვე წამოიშალნენ. შეიქმნა ბოდიშობია, შეპატიჟება და სკამების ხრიგინი. გობრონიძემ ნახევარი ხაჭაპური აიღო, მადიანად ჩაკბიჩა და პირგამოტენილი ირინეს მიუბრუნდა.

— თქვენს მეუღლეს აღარ გამაცნობ, — ასე ლაპარაკობდა, ფრაზას „თქვენობით“ იწყებდა „შენობით“ ამთავრებდა. — არა, მიხვედრილი კი ვარ, შენი ქმარი ეს დიდებული ვაჟკაცი იქნება, მაგრამ მაინც... ძალიან სასიამოვნოა. — არც კი წამომდგარა, ჯიბრაილს ხელი ისე ჩამოართვა. — გვსმენია, ბატონო, თქვენზე ნამდვილად ბევრი გვსმენია. შენისთანა ვაჟკაცი ყველას გვეამაყება.

და ხაჭაპური ერთხელაც გემრიელად ჩაკბიჩა.

— მიირთვით, — ირინემ მინადორა შუბლაძის თეფში გაასწორა და სუფრას გადაჰხედა. — ასე მცირედზე ნუ დამძრახავთ. მიირთვით!

— მცირედიო?!

— მეფური სუფრაა.

— როგორ გეკადრებათ!..

სტუმრებმა ეს საბოდიშო სიტყვები წაილუღლუღეს და — მეტი თხოვნა აღარ დასჭირვებრათ: ხორაგეულს გამგელებულნი მიესივნენ. ბარე ნახევარი საათი ხმა აღარავის ამოუღია. ისმოდა მხოლოდ ხვნეშა, პირის წკლაპუნი, დანა-ჩანგლის წკრიალი, მოკლე, მოგუდული გადალაპარაკება... ყველა და ყოველგვარ საჭმელს — შემწვარ წიწილებსაც და ქინძმარში ჩაწყობილ კალმახებსაც, ხახვწაჭრილ ლობიოსაც და ისპანახსაც, ხაჭაპურებსაც და ქათმის კუჭმაჭსაც ისე გამალებით სჭამდნენ, თითქოს აღარა აქვთ ამისი იმედი, რომ ასეთი საჭმელების ჭამა როდესმე კიდევ ეღირსებათო.

ყოველმა სტუმარმა — გობრონიძით დაწყებული და პენსნეიანი ბერიკაცით დამთავრებული, მშვენივრად უწყოდა, თუ ოჯახის დიასახლისმა ეს სუფრა რატომ გააწყო და აქ დაწყებული საქმე როგორ და როდის უნდა დამთავრებულიყო. სტუმრებისათვის — განათლების განყოფილების თანამშრომლებისათვის ირინეცა და ჯიბრაილიც გარეშე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემთხვევითი ადამიანები იყვნენ. მათთან საერთო სრულიად არაფერი ჰქონდათ და როცა „ის საქმე“ მოთავდებოდა — ჯიბრაილი საშუალო სკოლის ატესტატს მიიღებდა ,— იმის შემდეგ ერთმანეთს, შეიძლება, მთელი ცხოვრების მანძილზე ერთხელაც აღარ შეხვედროდნენ. ეს სტუმრები აქ იმიტომ მოვიდნენ, რომ მინადორა შუბლაძემ აგრძნობინა (ხოლო ზოგ მათგანს პირდაპირ უთხრა), ამ ადამიანებს ჩემგან დახმარება ესაჭიროებათ და უმადურნიც არ დაგვრჩებიანო. როგორც იტყვიან, ანგარიშის სუფრა იყო: მასპინძლებს ეს ხალხი ჭირდებოდათ და იმიტომ დაპატიჟეს. დაპატიჟებულნი „იმ საქმისათვის“ სამაგიეროდ „პატივისცემას“ მოელოდნენ და სხვაგან წასვლას იმ დღეს ამ ოჯახში მოსვლა ამჯობინეს და სწორედ ისე იქცეოდნენ, როგორც ასეთი სუფრის სტუმრები იქცევიან: გამგელებულნი სჭამდნენ, კრიალა ღვინით სავსე გრაფინებს თვალებით ელერსებოდნენ და ოდნავადაც კი არ დაგიდევდნენ არც იმას, მათი ქცევა და თავდაჭერა სამაგალითო იყო, თუ არა, და არც იმას, თუ მასპინძლები მათზე რას ფიქრობდნენ. ყველაფრიდან ჩანდა, რომ ირინე-ჯიბრაილისთანა „პატივისმცემელნი“ ცხოვრებაში ყოველ მათგანს ძალიან ხშირად შეხვედრია. ამ სუფრაზე დიდხანს ჯდომას კი არც ერთი მათგანი არ აპირებდა — იმავე დღეს კიდევ არაერთი საქმე ჰქონდათ მოსაგვარებელი.

ფილიპე გობრონიძემ ორი ხაჭაპური შეჭამა, ერთი წიწილა მიაყოლა, კალმახი, შემწვარი სულგუნი და ნიგვზიანი ისპანახიც გასინჯა, ტუჩები ხელსახოცით შეიწმინდა და ბროლის ჭიქა „ტიბაანით“ შეივსო. ყველამ თავი ასწია. პენსნეიანმა ჩანგალი დასდო. ჯიბრაილმა მერე გაიგო „პენსნეიანს განათლების განყოფილებაში სრულიად უმნიშვნელო თანამდებობა ეჭირა და ატესტატებთან საერთო არაფერი ჰქონდა.

— ხალხო , თამადა არ გვინდა? — გობრონიძემ თვალები თანამეინახეებს მოავლო, — მე მგონია, ჩვენს დღევანდელ მასპინძელზე, ბატონ ჯიბრაილზე უკეთეს თამადას... ა? უარზეა? საერთოდ არ ეხერხება? ოჰ.. თამადობას რაღა ცოდნა და მოხერხება უნდა? ა? ჩვენ კარგად ვიცით, რომ ბატონ ჯიბრაილს ამაზე გაცილებით უფრო ძნელი საქმეები დიდებულად ეხერხება. ა? თამადობა არ უყვარს? ო, რას იზამ! კარგი, თამადას როგორმე გამოვძებნით, ა? მე თვითონ ვითამადო? ჰმ! ქალბატონი ირინეცა მთხოვს? ოო, ეს უკვე სხვა საქმეა. რაკი დიასახლისი მთხოვს... ა? ო, აქ უარი აღარ ეგება, კი, ბატონო! თქვენი ნება იყოს. გემორჩილებით. აბა, ამ პირველი ჭიქით ჩვენ კარგ დიასახლისს, ჭეშმარიტად ქართველ ქალს, საამაყო და სასიქადულო მანდილოსანს, რომელსაც სერიოზული თანამდებობის გაძღოლაც ხელეწიფება და აი, ასეთი სუფრის გაშლაც, ჩვენ ირინეს გაუმარჯოს!

სიტყვა „ხელეწიფება“ გობრონიძემ ხაზგასმით წარმოთქვა და კმაყოფილად მიმოიხედა.

ირინეს სადღეგრძელო ყველამ დალია პენსნეიანი ფეხზეც კი წამოდგა. იმან იცოდა, რომ ამ სუფრაზე სამადლოდ იყო წამოყვანილი და ჩვეულებრივზე ორჯერ მეტ თავაზიანობას იჩენდა.

ამის შემდეგ თამადამ ჯიბრაილს მოუბოდიშა, წესით ახლა თქვენი სადღეგრძელო უნდა დაილიოსო, მაგრამ...

— მაგრამ მე ერთგვარ უმადურობას გამოვიჩენდი, ახლა რომ ჩვენი მინადორა შუბლაძე, ყველა ჩვენთაგანისათვის საყვარელი და პატივსაცემი მანდილოსანი, არ მედღეგრძელებინა. სწორედ მინადორაა ის ადამიანი, რომელმაც ჩვენ ამ მშრომელ, ამ მუყაით, ამ უნარიან, ამ, მე ვიტყოდი, სახელოვან ოჯახთან დაგვაკავშირა, სწორედ ჩვენმა მინადორამ გაუწოდა ჯიბრაილსა და ირინეს დახმარების ხელი, აგრძნობინა მათ კეთილისმოსურნე გულის ძგერა. ჩვენი მინადორა რომ არა, დღესდღეობით ამ ოჯახში ჩვენ შეიძლება არც კი ვყოფილიყავით, ამიტომ ეს მანდილოსანი გან-

ეროვნული

საკუთრებული ყურადღების და პატივისცემის ღირსია.

მინადორას სადღეგრძელო დიდი ხმაურით დაილია. პენსნეიანი ჯერ კიდევ მაშინ წამოდგა ფეხზე, როცა გობრონიძემ ეს სადღეგრძელო წამოიწყო და მაშინ-ღა დაჯდა, როცა თავისი სათქმელი ყველამ მოათავა, და მინადორას ჯანმრთელობა და ბედნიერება თვითონ მანაც უსურვა.

მინადორა გაბადრული იჯდა და „ტიბაანით" სავსე ჭიქას თეთრი, ბრილიანტის ბეჭდებიანი თითებით ელერსებოდა.

შემდეგ გობრონიძემ ჯიბრაილს ერთხელაც მოუბოდიშა, მე არ დამვიწყნია რომ ახლა შენი სადღეგრძელო უნდა დაილიოს. მაგრამ...

— ჩვენს შორის, მეგობრებო, — თქვა გობრონიძემ, — იმყოფება ჩვენი პატარა ქალაქის ცნობილი და საამაყო ადამიანი, რომლის დახმარებითაც, შესაძლოა, ერთი ახალი ფურცელი გადაიშალოს ამ ოჯახის ისტორიაში. ჩვენი პატივცემული ვარლამი მთელს თავის ენერგიას, რა თქმა უნდა, მოსწავლე ახალგაზრდობის აღზრდას ახმარს, მაგრამ თუ ცხოვრებამ უკარნახა, იგი თავის მადლიან ხელს, ზოგჯერ უფრო მოზარდებსაც კი გაუწვდის ხოლმე. ეს უკვე არაერთხელ მომხდარა და იმედია, ამას იქითაც არაერთხელ მოხდება. ძმაო ვარლამ! ყოველი ჩვენთაგანი სამართლიანად ამაყობს შენით. შენ ჩვენი ქალაქის სასახელო ადამიანი ხარ. იცოცხლე და გაგიმარჯოს!

ვარლამის სადღეგრძელოც ერთსულოვნად დაილია. ალბათ, უკვე ყველამ იცოდა, რომ ჯიბრაილის ატესტატის საქმე ამ კაცის ხელით უნდა გაკეთებულიყო.

„ტიბაანმა" თავისი გაიტანა. სუფრაზე ხმაურმა იმატა. სტუმრებს ჯიბრაილიცა და ირინეც გადაავიწყდათ და თავიანთ საქმეებზე ალაპარაკდნენ. გობრონიძე თამადობით კი თამადობდა, მაგრამ ჭიქას სანახევროდაც კი არ სცლიდა და მალი-მალ მაჯის საათზე იცქირებოდა. სახეზე აშკარად ეტყობოდა, გეყოფათ, რაც ჩემი აქ ყოფნით პატივი გეცით, ახლა უნდა მალე წავიდე და სხვა ჩემს საქმეებს მივხედოო. დანარჩენი სტუმრები თან საკუთარ საქმეებზე — „განაკვეთებზე", სემესტრებზე, მოსწრებაზე და ასეთებზე ლაპარაკობდნენ, თან კი ცალი თვალი უფროსებისაკენ ეჭირათ, როდის წამოდგებიანო. მინადორას ღვინო მოეკიდა. სახე, შუბლი, ყელი, შიშველი მკლავები — ყველაფერი გაუწითლდა და თვალებს ძლივს-ღა ბლიტავდა.

ჯიბრაილი გამწარებული ფიქრობდა, როცა სტუმრები შენს სუფრაზე ასე უდიერად იქცევიან, ამაზე უარესი რაღა უნდა იყოსო! ამ ვირებისა და მუტრუკების, არც ატესტატი უნდოდა და არც სხვა რამ. მაგრამ რა უნდა ექნა? ირინეს ხომ ვერ აწყენინებდა, ან სტუმრებს გარეთ ხომ არ გაჰყრიდა. ან, კაცმა რომ თქვას, ამ ხალხს ჯიბრაილთან რაზე უნდა ელაპარაკა? განათლების საქმეებისა ჯიბრაილს არაფერი ესმოდა, შახტებისა და ქვანახშირისა კი — იმათ. ჰოდა, ჯიბრაილიც მასპინძლის მოვალეობას მაინც ერთგულად ასრულებდა. საჭმელსა თუ ღვინოს ხან ერთ სტუმარს შესთავაზებდა, ხან მეორეს და იმაზეღა ფიქრობდა, ნეტავი ეს განათლებული პირები რას იზამენ, ისე აიშლებიან და წავლენ, თუ წესისამებრ ერთ სიმღერას მაინც შემოსძახებენო.

მაგრამ არა, სიმღერის შემოძახება ფიქრადაც კი არავის მოსვლია. ფილიპე გობრონიძემ თავის ოქროს საათს ერთხელაც დაჰხედა, ისედაც ნახევრად სავსე ჭიქა ბოლომდე შეივსო, დალოცა ეს ოჯახი, ეს ჭერი, ფუძის ანგელოზი, ჯანმრთელობა უსურვა ირინესაც, ჯიბრაილსაც („ხომ გითხარი, უდღეგრძელოს არ დაგტოვებ-მეთქი"), გოგუტუნასაც („რომლის ერთი დანახვაც ადამიანს გამოუთქმელ სიხარულსა ჰგვრის"), ჭიქა დასცალა და წამოდგა. დანარჩენებიც უმალვე წამოიშალნენ.

სტუმრების ქცევით ირინეც შეურაცხყოფილი იყო. ასეთ უდიერ მოქცევას

ეროვნული ბიბლიოთეკა

მათგან არ მოელოდა. მაგრამ არაფერს იმჩნევდა. ჯიბრაილს მზერას არიდებდა. სტუმრებს წესისამებრ თხოვდა, დარჩენილიყავით და ცოტა კიდევ გესიამოვნათო. მაგრამ „რაკი ვერაფერი გაწყო, ბედს დამორჩილდა“. მან და ჯიბრაილმა სტუმრები ქუჩამდე ჩააცილეს, დაემშვიდობნენ და უკანვე ამობრუნდნენ.

ჯიბრაილი თავის ოთახში შევიდა. ტახტზე წამოწოლილს ესმოდა, ირინე სამზარეულოში თეფშებს რეცხვისას, როგორ გამეტებით ახმაურებდა. მიხვედრილი იყო, ძალიან გულმოსულიაო. ელოდა, როდის შემოვა, რომ მივუალერსო და დავამშვიდოო. ირინეს აგვიანდებოდა. ჭურჭელი მართლაც ძალიან ბევრი ჰქონდა ასალაგებელი და გასარეცხი. ჯიბრაილმა ლოგინი გაშალა და ჩაწვა. ფხიზლობდა. პაპიროსს პაპიროსზე ეწეოდა, არ დამეძინოსო, და ცოლს ელოდებოდა. მაგრამ იმ ღამეს ირინე ჯიბრაილთან აღარ შესულა.

## თავი VIII

როცა ნათიამ დედას გაუმჟღავნა, ვთხოვდებიო,ნინოს ეს დიდად არ გაჰკვირვებია. ნათიას უწლოვანი ნამდვილად აღარ ეთქმოდა. გარდა ამისა, ნინო კარგად ჰხედავდა, რომ ნათიას სულ უფრო და უფრო უმძიმდა ანდრო მთვრალაშვილთან ერთ ჭერქვეშ ცხოვრება. რაც უფრო გულისხმიერად და ტაქტიანად ექცეოდა ანდრო ნათიას, მით უფრო მეტად უკმეხობდა და მიზეზიანობდა ნინოს ერთადერთი ქალიშვილი. ნინოს ხშირად შეშფოთებით გაუფიქრნია, არ დამღუპოს და ცოლად პირველსავე შემხვედრს დაუფიქრებლად არ გაჰყვესო. როგორც ჩანდა, ეს ნომალი დიხამინჯია ნათიამ თავის შესაფერ საქმროდ მიიჩნია. მაგრამ ნინოს თავისმა მეგობრებმა ხომ არც ისე დიდი ხნის წინათ გააგონეს, შენი ქალიშვილი ერთ ახალგაზრდა და სიმპათიური ინჟინრისადმი მთლად გულგრილი არ უნდა იყოსო? იმ ინჟინერს რაღაც ძნელი გვარი ჰქონდა, ნინოს ახლა აღარც კი აგონდება; მაგრამ ნომალი დიხამინჯიამ იმ ინჟინრის ადგილი როდის-ღა დაიჭირა?

— მაგ... ნომალი დიხამინჯიას შენ დიდი ხანია იცნობ?

— რამდენიმე თვეა.

— უკვე ასე კარგად გაიცანი?

— საკმაოდ.

„არ უყვარს“, — გაიფიქრა ნინომ. ქალიშვილის ეს მოკლე, ცივი პასუხი, მას გულზე ეკლად დაესო, ნინომ კარგად იცოდა, რომ თავის ქალიშვილზე ყოველგვარი გავლენა დიდი ხნის წინათ დაჰკარგა. მაგრამ თავისი ლამაზი და თავნება ქალიშვილი ნინოს, მაინც მთელ ქვეყანას ერჩია. და როგორ შეეძლო, ასეთ დროს განზე გამდგარიყო, გულხელი დაეკრიფა და ნათია — ეს სულ გამოუცდელი, ცხოვრების უმეცარი ბავშვი თავის ნებაზე მიეშვა?

— მე ვიცი, რომ ახლა ქალიშვილები საქმროებს თვითონვე ირჩევენ, ნათი. უფროსებს აღარავინ არაფერს ეკითხება. მე ეს კარგად ვიცი.

— ჰოდა, მეც ავირჩიე.

— მესმის.

— დროა.

— ალბათ, მაგრამ... როგორ ფიქრობ, მე შენთან განშორება არ გამიძნელდება?

პასუხად ნათიამ მხოლოდ მხრები აიჩეჩა და ამ უკანასკნელი წლების მანძილზე, ნინომ მეათასეჯერ დაინახა, რომ ქალიშვილი იმ საქციელს მას სიკვდილამდე არ აპატიებდა.

— გამიძნელდება... — ნინოს ნიკაპი აუთრთოლდა. თვალებში ცრემლი ჩაუდგა. მაგრამ მთელი ძალ-ღონე მოიკრიფა და თავი შეიკავა. — ამაზე რატომ მალაპარაკებ?

ნათიამ კვლავ არაფერი უპასუხა. მხოლოდ ოდნავ თავი დახარა. ტუჩები ძლივს შესამჩნევად შეუკრთა. რა ლამაზი, როგორი მომხიბლავი იყო ნინოს ერთა ამ წუთში! იჯდა შველივით კისერმოდრეკილი, იატაკის ერთ წერ-

ტილს მიჩერებული. შავი, ცეცხლოვანი თვალები კი რაღაც შეუპოვარი ძალით, თან ოდნავი, სულ ოდნავ შესამჩნევი ტკივილით და იმავე დროს უჯიათი სიამაყით უელავდნენ.

— კარგი, შვილო. ეგრე იყოს... მაგრამ მე მირჩევნია, რომ შენ ჩემს გვერდით იყო. ამ ბინაში ყველანი დავეტევით.

— ეგ არ მოხერხდება.

— ნამდვილად?

— ნამდვილად!

— ნომალი დიხამინჯია უკვე ასე გიყვარს?

— ნომალი დიხამინჯიას გულწრფელ პატივსა ვცემ.

— მე ერთი სხვა სახელიც გამიგონია.

— რაც ნომალი გამოჩნდა, ის სხვა სახელი ერთხელაც აღარ გამხსენებია.

— ჰო... თუკი ეგრეა, მაშინ... მე შენი გულწრფელობა მომწონს მაგრამ...

—მაგრამ რა?

— არა, არაფერი.

ნინო დადუმდა, ჟაკეტის სახელოდან ცხვირსახოცი გამოიღო, მაგრამ არ უხმარია. ხელიდან ხელში უაზროდ გადაიტანა. ქალიშვილს მზერას არიდებდა და კაეშნიანი თვალები მოპირდაპირე კედელზე ერთი წერტილისათვის გაეშტერებინა.

მაშინ ნათიამ ისა ჰქნა, რაც უკვე ძალიან დიდი ხანი იყო, აღარ უქნია. წამოდგა. დედას გვერდით მიუჯდა, მარჯვენა ხელი ნაზად მოხვია წელზე, მარცხენათი მაჯა დაუჭირა, დაიხარა და ყურის ძირში აკოცა.

ნინო არ განძრეულა.

—ეს გადაწყვეტილია, დედა. — ნაღვლიანი კილოთი თქვა ნათიამ. ნინოსთვის არ შეუხედავს.

— ვხედავ, შვილო!

— ჰოდა... — ნათია წამით შეჩქვიფდა. თავი დახარა და იყუჩა. მერე დედას პირდაპირ თვალებში შეხედა.
— დამლოცე!

— დამილოცნიხარ... — ნინომ თავი ვეღარ შეიკავა და აქვითინდა. — ღმერთმა... ბედნიერი გამყოფოს.

დედა-შვილი დიდხანს ისხდნენ ასე მდუმარედ, მჭიდროდ ჩაკონილები.

## თავი IX

ნინოს თავისი ქალიშვილის გათხოვება მაინც ნაუცბათევ საქმედ მიაჩნდა. ნამდვილად კი ასე სულაც არ იყო. ნომალი დიხამინჯია თანატოლ ჭაბუკებში ნათიამ უკვე მაშინ გამოარჩია, როცა პირადად არც კი იცნობდა. შესახედაობითაც მოსწონდა და ისედაც ბევრისაგან სმენია. ეგ სულაც არა ჰგავს იმ გონებაშეზღუდულ და გაუთლელ ჩემპიონებს, ორი-სამი ილეთის მეტი რომ არაფერი იციან, ნომალი გონებაგახსნილი და ნაკითხი ბიჭია და არც ვაჟკაცობით დაიწუნება. ნომალი უნივერსიტეტის ასპირანტურაშიც სერიოზულად, მთელი მონდომებით სწავლობდა და არასოდეს არც ერთი ლექტორისათვის არ უთხოვია, ამ ზაფხულს საასპარეზოდ კალიფორნიაში ვიყავი, ჩემი მშობლიური ქვეყნის სპორტულ დიდებას ვიცავდი, ამ მეტად საპატიო მიზეზის გამო საგნის მომზადება ვერ მოვასწარი და გთხოვთ, ნიშანი ავანსად დამიწეროთო. პირიქით, როგორც ამბობდნენ, ნომალის არც კი სიამოვნებდა, როცა რომელიმე დოცენტი თუ პროფესორი მის სპორტულ სახელს ანგარიშს გაუწევდა და მაღალი ნიშნის დაწერას სულაც გამოუცდელად დაუპირებდა. არა. საასპარეზოდ ნომალი იტალიაშიც დადიოდა, იაპონიაშიც და სხვაგანაც, მაგრამ ჩასაბარებელი საგნების მომზადებას მაინც ყოველთვის ასწრებდა. ლექტორებს თავაზიანად, მაგრამ დაბეჯითებით თხოვდა, კეთილი ინებეთ და მკაცრად გამომცადეთ, მე თვითონვე მაინტერესებს, რამე ვიცი თუ არაო, და არ ყოფილა შემთხვევა, რომ „ხუთზე“ ნაკლები ნიშანი მიეღოს. კათედრის მესვეურნი უკვე ზრუნავდ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნენ, როგორც კი ასპირანტურაში სწავლის ვადა გაუთავდება მაშინვე საშტატო ერთეული უნდა გამოვუნახოთო.

ამხანაგებთან ურთიერთობაში ნომალი გამტანი, უბრალო, უპრეტენზიო და გულისხმიერი იყო. ამაზეც მთელი თბილისი ლაპარაკობდა, და ნათიამ ესეც მშვენივრად იცოდა.

როცა ნომალი პირადად გაიცნო და იგრძნო, ამ ბიჭს ნამდვილად უნდა ვუყვარდეო, ნათიამ მაშინვე მტკიცედ გადაწყვიტა, ცოლად გავყვებიო. და გაჰყვა კიდეც. ყველაფერი ისე მოხდა, როგორც უნდა მომხდარიყო. თითოოროლა შურიანი ენაჭარტალას გარდა, თბილისში ეს ამბავი არავის გაჰკვირვებია. პირიქით, ყველა ამბობდა ნამდვილად ღირსეული წყვილიაო. თაყვანისმცემლებმა კი — როგორც ნათიასი, ისე ნომალისამ, — ხელი ჩაიქნიეს და ბედს შეურიგდნენ. ყოველ შემთხვევაში, თავი დიდად არავის გამოუდვია. მარტო ეს იყო რომ, ვიღაც უცნობმა ქალიშვილებმა ერთი-ორჯერ ნომალის დაურეკეს და „მეგობრულად ურჩიეს“, ბესარიონ მაგრაქველიძეს ერიდე, ნამდვილად დაუქადნია, სადაც კი შემხვდება, მაშინვე დანის წვერზე ავაგებო. ნომალიმ იმ ქალიშვილებს რაღაც ძალიან დაბალი ხმით უპასუხა, რომ ნათიას არ გაეგონა, და ყურმილი მიაგდო.

ახალგაზრდა ცოლ-ქმარმა მოსკოვი მოიარა. მერე უკან დარჩა ხალხმრავალი, ხმაურიანი ქორწილის დღეებიც. დაიწყო მშვიდობიანი, ერთმანეთის ალერსით აღსავსე დღეები. ნომალის მტკიცე მკლავებში განაბულ ნათიას თეიმურაზ არჯევანიძე ერთხელაც არ გახსენებია. ის სიტყვაძვირი, მშვიდი, წაბლისფერთმიანი ჭაბუკი, როგორდაც სრულიად უმტკივნეულოდ, შეუმჩნევლად გაჰქრა ნათიას თვალსაწიერიდან. არავითარი გულისტკივილი, ან სინდისის ქენჯნა ნათიას ამ ამბისა გამო არ უგრძვნია. დღედამე ნომალიზე ფიქრობდა, — მაშინაც, როცა მის გვერდით იყო, და მაშინაც, როცა — სამსახურში, ან რაიმე საქმეზე გარეთ გასული — დროებით დაშორდებოდა ხოლმე. ამ მშვიდმა, ძლიერმა და გულისხმიერმა ვაჟკაცმა ნათიას მთელი არსება დაიპყრო. ნომალის გარდა ნათიასთვის ახლა აღარავინ არსებობდა და მუდამაც ასე უნდა ყოფილიყო.

და მოწმენდილ ცაზე მხოლოდ ერთი შავი ღრუბელი მოჩანდა — ანზორ კუპატაძის მკვლელობის ამბავი, რამაც ნათია სულის სიღრმემდე შესძრა. რა თქმა უნდა, თავდაპირველად ნათიას ფიქრადაც კი არ მოსვლია, რომ მკვლელები ბესარიონ მაგრაქველიძე და მისი ამფსონები იყვნენ. მაგრამ შემდეგ მოისაზრა, მაგათ დანამდვილებით თუ არა, გუმანით მაინც ეცოდინებათ მკვლელობა ვინ და რატომ ჩაიდინაო. ამის გაფიქრებაზე ნათიას შიშისა და სირცხვილის გრძნობა იპყრობდა. სულ უფრო და უფრო ხშირად ეწვეოდა ხოლმე მტანჯველი ფიქრი, — ნომალის მხოლოდ იმიტომ კი არ გავყევი, რომ მომწონდა, არამედ იმიტომ, რომ მის განიერ ბეჭებს ამოვფარებოდი და ბესარიონ მაგრაქველიძისაგან თავი დამეხსნაო. რაც უფრო მეტი დრო გადიოდა, ნათია მით უფრო რწმუნდებოდა, ეს აზრი რაღაც სიმართლეს ნამდვილად შეიცავდა. თავის ურთიერთობას ბესარიონთან და მის ამფსონებთან ნათია ახლა უკვე შეძრწუნებით იგონებდა და ღმერთს მადლობას სწირავდა, კიდევ კარგი, რომ საკუთარი ფიქრებისა და განცდების დამალვის უნარი მომანიჭა, თორემ ვინ იცის, ნომალი ჩემზე რას იფიქრებდაო.

სხვა მხრივ ნათია ბედს ვერ დაემდურებოდა. დიხამინჯიებს მდიდარი, კარგად მოწყობილი, სტუმარმრავალი, ნათესავ-მეგობრების მოყვარული ოჯახი ჰქონდათ. იმ ნათესავთა და მეგობართა უმრავლესობა ნათიას — მთელს თბილისში გამორჩეული ქალიშვილის

ამ ოჯახში შესვლას, გულწრფელი ალტაცებით შეეგება. ბოლო არ უჩანდა ძვირფასი საჩუქრების მორთმევას, დაპატიჟებებსა და გადაპატიჟებებს. მართალია, თავის დედამთილში, გონებაჩლუნგ პროვინციელ კესარიაში, ნათიამ თავიდანვე ჩუმი, უთქმელი არაკეთილმოსურნე იგრძნო. რძალსა და დედამთილს შორის ეს თითქმის მტრული გრძნობა კიდევ უფრო გაღრმავდა მას შემდეგ, რაც ერთ კვირა დილას კესარიამ ნათია ბაზარში წაიყვანა და თავისდა გულის გასახეთქად დაინახა, თუ როგორ განუკითხავად აბნევდა ნათია მარჯვნივ და მარცხნივ მანეთიანებსაც, სამმანეთიანებსაც, ხუთიანებსაც და თუმნიანებსაც. გამყიდველებს ერთხელაც კი არაფერში შევაჭრებია. თვითონ კესარია კი ყოველ გამყიდველს ნახევარ საათს მაინც ეჯიჯლინებოდა და მანამდე არ მოეშვებოდა, სანამ ერთ აბაზს მაინც არ დაააკლებინებდა. ყველაფერი იმით გათავდა, რომ კესარიამ ნათიას ნახევრად ხუმრობით და ნახევრად სერიოზულად უთხრა, დიდი მადლობელი ვარ, ბაზარში რომ წამომყევი და მომეხმარე, მაგრამ ასეთ დახმარებას ის მირჩევნია, ამას იქით წელი მარტო მე მოვიწყვიტოო. ნათიამ არაფერი უპასუხა და მხოლოდ გულში გაიფიქრა, არა სწორედ შენ აგყვები და ყოველ კაპიკზე ვივაჭრებო.

მაგრამ კესარიას არც შვილი და არც ქმარი დიდად არაფრად აგდებდნენ. ორივემ იცოდა, რომ ეს ქალი გონებაჩლუნგიც იყო და საკმაოდ ხელმოჭერილიც, კესარიას რომ გაებედა და ნათიასადმი მტრობა აშკარად გაემჟღავნებინა, ქმარ-შვილის რისხვას ვერ გადაურჩებოდა. ამიტომაც ვერაფერს ბედავდა, თითქმის ყოველდღე თხუთმეტიოდე კაცის საკმარის სადილს ამზადებდა და მხოლოდ სამზარეულოში თუ წაიბუზღუნებდა ხოლმე, პლატონ დიხამინჯია მთელი სიცოცხლე ასე აკვირვებს თავის ნათესავ-მეგობრებს, მაგრამ დიდად გაოცებული [illegible] რავინ ვნახეო.

სამაგიეროდ მამამთილი — მუდამ ფუსფუსა, ხმაურიანი, ხალხში ტრიალსა და დროსტარების მოყვარული პლატონ დიხამინჯია, პირდაპირ დნებოდა ნათიას სიყვარულით. შემთხვევას არ გაუშვებდა, რომ ნათიასათვის ან რაიმე საჩუქარი არ მიერთმია, ან ტკბილი და ხალისიანი სიტყვით მაინც არ ესიამოვნებინა. ამასთან ეს კაცი — რომელიღაც პატარა ქარხნის დირექტორი, — რომელიც ვერც დიდი ცოდნა-განათლებით დაიკვეხნიდა და ვერც განსაკუთრებით ნატიფი აღზრდითა და ოჯახიშვილობით, მუდამ ახერხებდა, რომ ნათიასა და ნომალის ურთიერთობაში იოტისოდენადაც არ ჩარეულიყო; ისიც შესამჩნევი იყო, რომ მამა-შვილს ერთმანეთი ძალიან უყვარდათ და პლატონი თავისი ნომალით დაუფარავად ამაყობდა.

ერთხელ სადილობისას — ერთი იმ იშვიათი სადილთაგანი იყო, როცა გარეშე არავინ ესწრებოდა, — ნათიამ როგორღაც გაიხსენა, სამსახურში დროებითა ვარ მოწყობილი და მალე, ალბათ, თავს დამიკრავენო. კესარიამ თვალები დაჭყეტა და პლატონს ნამალავი მზერა ესროლა. პლატონს კი ნათიას ნათქვამი თითქოს კიდევაც გაეხარდა:

— მერე და მაგას რამე სჯობია?!

— უსამსახუროდ დავრჩები.

— საკუთარ ოჯახზე მეტი სამსახური რაღა იქნება? ნეტავი, კიდევ უფრო მალე გაგანთავისუფლებდნენ. აბა! ეს ქვეყანა, ჩემო ნათიავ, მაშინ წახდა, ქალებმა რომ სამსახური დაიწყეს.

ნათიამ გაიცინა. ნომალიც თავის თეფშს დასცქეროდა, ჩანგალს ათამაშებდა და უხმოდ იღიმებოდა. ამას ვერც კი შეატყობდით, ნათიას უსამსახუროდ დარჩენა სწყინდა თუ უხაროდა.

— თქვენ იცინით და მე სერიოზულად გელაპარაკებით. ჩემს ცოლს

ეროვნული ბიბლიოთეკა

აგერ ერთი დღეც კი არ უმსახურია. ასე არ იყო, კესარია? და მე თუ ერთი ოჯახი ასე შევინახე, ნომალი კიდევ უფრო კარგად არ შეინახავს? მაგის ასაკში მე ერთი უპატრონო სოფლელი ბიჭი ვიყავი და მაგას კი ახლა მთელი ქვეყანა იცნობს. ა? ნომალი! შენ მთლად ბედნიერი კაცი ყოფილხარ, ძმაო! მალე ცოლი სულ სახლში გეყოლება და შენ რომ სამსახურიდან დაღლილ-დაქანცული მოხვალ,, ეს კარს გაგიღებს, მოგივლის, გასადილებს, შენ ხარ ჩემი ბატონი... კაცმა ამის უკეთესი რაღა უნდა ინატროს? აბა, კარგია ქმარი სამსახურიდან ცოლზე ადრე რომ მოდის და თავისი ხელით ერბო-კვერცხს იკეთებს? არა, შენი ჭირიმე! იმ დღეს გაუმარჯოს, ჩემო ნათია, შენ რომ სამსახურიდან გაგათავისუფლებენ. ა? ნომალი! ეს არ დავლიოთ?

— დავლიოთ.

პლატონს ასეთი ლაპარაკი სჩვეოდა. მისი კილოს მიხედვით ვერც კი მიხვდებოდით, ეს კაცი ხუმრობდა, თუ სერიოზულად ლაპარაკობდა. ოღონდ ეს იყო, რომ ამ დროს ცისფერი თვალები სიკეთითა და ხალისით უციმციმებდნენ. და მხოლოდ ამითი თუ მიხვდებოდით, ეს კაცი ხუმრობის გუნებაზე იყო.

— შენი ცოლი თუ სახლში იყო, მაგით შენ იმისი თქმა გინდა, რომ მას მუშაობა და სამსახური არ შეეძლო? — კესარიამ ეს ქმარს ჰკითხა, მაგრამ ნახშირივით შავი თვალები ნომალის მიაშტერა, აქაოდა, ოღონდ კი შენს ცოლს ასიამოვნონ და ჩემს შეურაცხყოფასაც კი არ ერიდებიანო. — სხვაზე ნაკლებად შემეძლო მუშაობა და სამსახური?!

— არა, არა! — ნომალიმ დედას ხელი დამამშვიდებლად მხარზე მოუთათუნა.

— აბა, მამაშენმა ახლა მაგი არ თქვა?!

— არა, არა, ეგ არ უთქვამს.

— ოჰ, კესარია! — პლატონი თავისი ადგილიდან წამოდგა და კესარიას გვერდით მიუჯდა. — მაგას ახლა შენ რასაა, მე რომ მაბრალებ? მე იმას ვიტყვი, რომ კესარიას რამე არ შეუძლია-მეთქი? ჩემს კესარიას მე მაგას ვეტყვი? ოო!.. ეს რა გაიგონა ჩემმა ყურებმა! აჰ! პირიქით! სულ ის მითქვამს და ახლაც ვიმეორებ, რომ ეს ოჯახი უშენოდ სულ არაფერი იქნებოდა. ახლა ხომ ხედავ, სახლში როგორი რძალი შემოგვიყვანეთ და — შენ რომ არა, ნათია იქნება ამ სახლში აღარც კი შემოსულიყო. ღმერთს გეფიცები! ოჯახის ფუძე — ქალია. ამ ოჯახის ფუძე კიდევ შენა ხარ. ნომალი, აბა, მაგ ჭიქა შეივსე. რატომაა, ჭიქა რომ ცარიელი გიდგას? აბა, ამ ოჯახის ფუძეს, საძირკველს, ჩვენს კესარიას გაუმარჯოს! იცოცხლე, კესარია, და სულ კარგად იყავი!

— გაუმარჯოს! იცოცხლე, დედა!

— გაგიმარჯოთ, ქალბატონო კესარია! — ნათიამ ღვინო მოსვა.

— გმადლობთ, თქვენი ჭირიმე, გმადლობთ! — ღვინო კესარიამაც მოსვა და ჭიქა ისევ დადგა.

— ეჰ, ჩემო კესარია... პლატონი ისევ თავის ადგილს დაუბრუნდა — მე და შენ ამ ქვეყანაზე რაღა დაგვრჩენია. ცოტა კიდევ და ა, ჩვენი ნომალი რომ დისერტაციას დაიცავს, გავალ პენსიაზე, წავიდეთ იმ ჩვენს საოჩიგაოში და მოვისვენოთ, მე და შენ სულ ჩრდილში უნდა ვიჯდეთ და ელარჯი ვჭამოთ. მაშინ ეს ოჯახი სულ ნათიას კისერზე იქნება. რა, ვერ გაუძლებს?

— რატომ ვერ გაუძლებოდეს იქნება? ყველაფერი მონდომებაზე არ არის?

— მონდომებაზეა, ნამდვილად. სწორი ბრძანებაა.

სიჩუმე ჩამოვარდა.

პირველ ხანებში, დედამთილ-მამამთილის ასეთი წაპაექრების დროს, ნათია თავს უხერხულად გრძნობდა და ცოტათი კიდეც იბნეოდა ხოლმე.

მაგრამ მერე ალღო აუღო, დაინახა, მამამთილს მართლაც ვუყვარვარ და ვეამაყებიო, და ხუმრობაში ზოგჯერ კიდეც აჰყვებოდა ხოლმე. ახლაც ასე მოიქცა.

— ამოდენა ოჯახს მე ნუ მანდობთ, — ღიმილით უთხრა მან პლატონს, — მიუჩვეველი ვარ. სახლში ჯდომას სამსახური მირჩევნია.

— აგაშენა ღმერთმა! ქვეყანაში პატივცემულ ქალს რაღა სჯობია. გეხუმრე... თქვენ.... ამ ახალგაზრდებმა გაიხარეთ და საოჩიგაოსკენ სულაც აღარ გავიხედავ, სიბერემდე აქ ვიქნები და ყველაფერ საქმეს ჩვენ გაგიკეთებთ. ოღონდ თქვენ გაიხარეთ, ჩემო ნათია!

— იმ საოჩიგაოში რომ აღარაფერი გაქვს, ვისთან მიდიხარ, — კესარიამ საინი გასწია.

— ეჰ... მოინახება, ჩემო კესარია, საქმე ნუ გაჭირდება, თორემ ერთი პატიოსანი კაცისთვის, ამ ცის ქვეშ ადგილი, ყოველთვის მოინახება. დარდი ნუ გაქვს... აბა, ნომალი, საბოლოოდ არ დავლიოთ? არ გამაგონო ახლა, რეჟიმი და ვარჯიშიო! რა დროს რეჟიმი და ვარჯიშია, თამარ დედოფალივით ქალი ოჯახში შემოგიყვანია. მაგ რეჟიმმა და ვარჯიშმა შენ ეს მარგალიტივით ცოლი არ დაგაკარგვინოს. ა? ხა-ხახა-ხა!... აბა, ჩემო კარგებო, ძვირფასებო, ამ ოჯახს გამარჯვება, კარგად ყოფნა და ბედნიერება!

ნასადილევს ნათია და ნომალი თავიანთ ოთახებში გადიოდნენ; ნომალის აღარც რეჟიმი ახსენდებოდა, აღარც ვარჯიშები და აღარც აღარაფერი ამ ქვეყანაზე. შებინდებამდე, გვიან ვახშმობამდე, ოჯახში სრული სიჩუმე სუფევდა და სამზარეულოში მოტრიალე კესარიაც კი იმას ცდილობდა, რომ საქმე უხმაუროდ ეკეთებინა.

ასე გადიოდა დღეები.

ერთ კვირა დილას, შემოსასვლელი კარის ზარი დაირეკა, როგორღაც ისე მოხდა, რომ კარი ნათიამ გააღო. კიბეზე თორმეტიოდე წლის ბიჭუნა იდგა, ხელში რაღაც ქაღალდში შეკრული ეჭირა. ის შეხვეული, ხმაამოუღებლად ნათიას გამოუწოდა!

— დედამ გამოგიგზავნათ. აღარ გვინდაო.

— რა აღარ გვინდაო? — ნათიამ ვერაფერი გაიგო.

— აი, ეგ.

— ეს რა არის? — ნათიამ შეკვრა გახსნა, ქაღალდში მუქი წითელი ფერის მამაკაცის პერანგი იყო. ეტყობოდა, უცხოური უნდა ყოფილიყო. სანამ ნათია რამეს მოისაზრებდა, კარებთან ნომალიც მოვიდა.

— შენა ხარ, კოწო? რაო?

— დედამ გამომგზავნა, აღარ გვინდაო. — და კოწომ თვალებით წითელ პერანგზე უჩვენა.

— ჰმ! — ნომალიმ ნათიას პერანგი გამოართვა, შეათვალიერა და ისევ ქაღალდში შეახვია. — კარგი, წადი. — უთხრა მან ბიჭუნას და კარები ცხვირწინ მიუხურა. გატრიალდა და თავისი ოთახისაკენ წავიდა. ნათია წამით შეჩერდა და მერე ქმარს უკან დაედევნა.

„ეს რაღაა? — ფიქრობდა თავში ნათიას, — ნომალიც სპეკულიანტობს?"

თავის ოთახში ნომალიმ შეკრულა მაგიდაზე დააგდო. ნათია კედელთან გაჩერდა და ხმაამოუღებლად გულხელი დაიკრიფა. ნომალიმ ნათიას მზერა აარიდა და ტახტზე ჩამოჯდა.

ნათიამ კარგად იცოდა, რომ საზღვარგარეთ მოარულ ხალხს — სპორტსმენებსაც და სხვებსაც — იქიდან ათასგვარი ფალას-ფულასი ჩამოჰქონდა და მერე თბილისში მამასისხლად ჰყიდდა. ეს სენი ისე იყო მოდებული, რომ სირცხვილად აღარც კი ითვლებოდა. ნათიამ არა ერთი თუ ორი ცნობილი ოჯახი იცოდა, სადაც, თუ დიდი ფული გაგემეტებოდათ, მუდამ იშოვნიდით იმპორტულ ფეხსაცმელსაც, პერანგებსაც, საკოსტუმეებსაც, ლაბადებსაც, ნელსაცხებლებსაც, სუნამოებსაც და ყველაფერსაც, რისი საზღვარგარეთიდან შემოტანაც კი ხე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რხდებოდა. და ეს თითქოს აღარავის უკვირდა. ფრაზა — „ეს საკოსტუმე პროფესორ ბუაძის (ან დოცენტი ჩირაძის, ან ამა და ამ ტრესტის მმართველის) ოჯახში ვიყიდეო“, — ისევ უბრალოდ და ძალდაუტანებლად ჟღერდა, როგორც — „პროფესორმა მირჩია, ბავშვი სუფთა ჰაერზე უფრო ხშირად ამყოფეთ და მეტი არაფერი უნდაო“. და ამ საქციელში — წმინდა წყლის სპეკულაციაში ბევრი ვერაფერს უჩვეულოს და, მით უმეტეს, სამარცხვინოს, ვერაფერს ჰხედავდა.

ნათიამ მშვენივრად იცოდა, რომ ნომალი საზღვარგარეთ ხშირად დადიოდა და უამრავი საშუალება ჰქონდა, ის დეფიციტური რაღაც-რაღაცეები ჩამოეტანა ხოლმე. მაგრამ ვერც კი წარმოედგინა, რომ ნომალი — მისი ქმარი — ამას იკადრებდა. და ახლა მოულოდნელობისაგან ენაჩავარდნილი მისჩერებოდა ქმარს, ტახტზე თავჩაქინდრული რომ იჯდა და სიგარეტს სიგარეტზე ეწეოდა.

— ეს რა არის, ნომალი? — კარგა ხანი გავიდა, სანამ ნათია ქმარს ამას შეეკითხებოდა.

— პერანგია.

— ვხედავ, რომ პერანგია.

— მერე.

— რა — მერე?

— ხომ იცი, სადაც მიხვიდე, იქაური ქუდი...

— არა, მე ეგ არ ვიცი!

— მაშინ ასე ვეღარ ვიცხოვრებთ.

— როგორ ასე?

— როგორც ახლა ვცხოვრობთ!

ნათიამ ამაზე არაფერი უპასუხა.

უეცრად ნომალიმ სიგარეტი საფერფლეში ჩააგდო, წამოდგა, წითელ პერანგს ხელი დაავლო და ნაკუწ-ნაკუწად აქცია.

— ახლა?

— რა — ახლა? შენ გგონია, დიდი გმირობა ჩაიდინე?

— არა, არ მგონია.

— ჰოდა... ისიც გვეყოფა, რასაც მამაშენი...

— საიდან იცი, მამაჩემი რასაც აკეთებს?

— ვიცი. ვხვდები. და როგორც კი შენ დისერტაციას დაიცავ, ჩვენ მაშინვე... გესმის?

— მესმის.

— ეს ვარიანტი გაწყობს?

— მაწყობს.

— ჰოდა, მორჩა. და ეს იცოდე: თუ აქ ვინმე კიდევ მოვიდა... ასე... იცოდე კიბიდანვე გადავუშვებ, ან თვითონ წავალ. გაიგე?

— გავიგე.

ნომალი ჭარხალივით იყო აწითლებული: ნათია მიხვდა, გულწრფელად წუხსო. მივიდა, გვერდით მიუჯდა და თვალებში ჩახედა:

— საძაგელო!..

— კარგი, ნათია, მეყოფა... — და უხერხულად მომღიმარე ნომალიმ ნათიას თავისი რკინის მკლავები შემოაჭდო.

ეს ამბავი უფროსებისთვის არ გაუმხელიათ. ნათიამ კი ნომალის ეს საქციელი მხოლოდ იმიტომ აპატია, რომ იცოდა, იმ ხანებში სპეკულიანტობა სირცხვილად რომ აღარც კი ითვლებოდა. „შეცდა, დარწმუნებული ვარ, აღარ გაიმეორებსო“. ფიქრობდა ნათია.

და ისევ ერთმანეთს წაეწყო ალერსითა და ნეტარებით სავსე დღეები. ისევ სტუმრიანობა, ისევ მდიდრული საჩუქრები. ისევ პლატონის ხმაურიანი ფუსფუსი და სიცილ-ხარხარი...

ასე იყო იმ დღემდე, როცა სამსახურიდან ადრე დაბრუნებული პლატონი, თვალებდაკუსულმა კესარიამ, ნამალავად სამზარეულოში არ შეიხმო. აქ მან კარი ჩაჰკეტა, წინსაფრის ჯიბიდან რაღაც ოთხკუთხედი, მოგრძო ქაღალდი ამოიღო და ქმარს გაუწოდა:

— ნახე.

— ეს რა არის?

— ნახე.

პლატონმა ქაღალდი ჩაიკითხა და

ეროვნული

წარბები შეიკრა. მის რძალს — ნათია ავალიშვილს, მეორე დილის ათი საათისათვის ქალაქის პროკურატურაში იბარებდნენ. პლატონმა ქაღალდი უაზროდ შეატრიალა ხელში.

— პროკურატურას ნათიასთან რა ხელი აქვს?

კესარიას ხმა არ ამოუღია.

— ეს ვინ მოიტანა.

— ფოსტალიონმა და ხელიც მომაწერინა, უსიკვდილოდ გამოცხადდეს, თორემ მე დამსჯიანო.

— ჰმ!

— ამ დილას შენ გახვედი თუ არა, ეგ ქაღალდიც მოიტანეს.

— ნომალი სადაა?

— სადაცაა, მოვა.

— ეს ჯერ ნათიას არ აჩვენო.

პლატონს ყურმოკრული ჰქონდა, სანამ ნომალი შეირთავდა ნათიას, ვიღაც სალახანებთან მეგობრობდაო. მაშინ პლატონს ამ ხმებისთვის ყურადღებაც არ მიუქცევია. თბილისში ყოველ გამორჩეულ გოგოს, ხომ მუდამ ათასი ვიგინდარა აეტორღიალება, მაგრამ — პროკურატურა? ისეთი რა უნდა მომხდარიყო.

— ახლა, გენაცვალე, პროკურატურაში ტყუილ-უბრალოდ არავის დაუძახებენ, — თქვა კესარიამ.

— კარგი. ნათიამ იცის?

— არა.

— ჰოდა, ნომალის მოვუცადოთ.

პლატონმა უწყება გულის ჯიბეში შეინახა. მერე იფიქრა, ნომალის მოსვლამდე, ნათიამ არაფერი შემატყოსო და მოიმიზეზა, კარგა ხანია, ნამდვილი ელარჯი არ მიჭამია და მოდი, ერთად გავაკეთოთო.

კესარია ქმარს მიუხვდა, გაზქურაზე წყლით სავსე ქვაბი შედგა და ღერღილის გარჩევას შეუდგა. ამასობაში ნომალიც მოვიდა. პლატონმა შვილი სამზარეულოში შეიხმო, — ნათია თავის ოთახში რაღაცას წერდა, — და უწყება აჩვენა. ნომალი გაფითრდა.

— რა უნდა იყოს? — პლატონი ხან შვილს მიაჩერდებოდა, ხან [illegible]

— არ ვიცი. — მოკლედ მიუგო ნომალიმ.

მაგრამ იმ წუთში იგი მთლად გულწრფელი არ იყო.

ნომალიმ მშვენივრად იცოდა ნათიას ყოფილი ამხანაგების ამბავიცა და ისიც, რომ ერთი იმ ამხანაგთაგანი, ანზორ კუპატაძე ცოტა ხნის წინათ, მოკლული იპოვნეს უნივერსიტეტის ბაღში. ძიებამ ჯერჯერობით ვერავითარი შედეგი ვერ გამოიღო. ბესარიონ მაგრაქველიძეს და მის ამფსონებს ქალაქიდან გასვლა აუკრძალეს და დაკითხვაზე ხან ერთს იბარებდნენ და ხან მეორეს. ჯერჯერობით ეს იყო და ეს. ყველა მათგანი გადაჭრით უარყოფდა მკვლელობაში მონაწილეობას, და ძიება წინ ერთი ნაბიჯითაც კი ვერ მიდიოდა. ნომალის გულმა უგრძნო, ნათიას იმ საქმეზე იბარებენო. მაგრამ ამას თავის მშობლებს ხომ არ ეტყოდა.

— ნათიამ იცის?

— არა.

— ნურც ეტყვით. პროკურატურაში ხვალ მე წავალ.

— მაგითი რა გაკეთდება?

— ვნახოთ. გავიგე მაინც... იქნება, სულაც რაიმე გაუგებრობაა!

— ღმერთმა გისმინოს! მაგრამ...

— ა?

— არაფერი.. მეც წამოგყვები. თბილისში დაწესებულება არაა, თითო ნაცნობი მაინც რომ არა მყავდეს. პროკურატურაში რაღა ღმერთი გამიწყრება?

— არ გვინდა. ნაცნობი თუ დაგვჭირდა მერეც გამოვნახავთ.

—ბატონი ბრძანდებით — მოიცა... ესე იგი, — ნათიას ჯერ არაფერი ხომ?

— ნათიას ჯერ არაფერი.

სადილმა ჩვეულებრივად ჩაიარა. რაღაც იღბლად, პლატონის ქარხნის მთავარი ინჟინერი შემოესწროთ და მასპინძელმა, რაც შეეძლო, თავი მოიმხიარულა. ნომალიც ორიოდე ახალ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანეგდოტს მოჰყვა და ნათიას მართლაც არაფერი უგრძვნია.

მეორე დღეს, ნომალი პროკურატურაში ზუსტად დილის ათ საათზე მივიდა. აქ მას სახელგანთქმულ სპორტსმენს ბევრი იცნობდა და დიდი თავაზითაც მიიღეს. მაგრამ საქმეს ამით არაფერი ეშველა. ვიღაც უწვერულო ლეიტენანტი დახმარებას დაჰპირდა და თავი დიდადაც გამოიდო. ჯერ ერთ ოთახში შევიდა, მერე — მეორეში, მერე — მესამეში... ბოლო ოთახიდან აშკარად საქციელწამხდარი გამოვიდა, ნომალი ფანჯარასთან მიიყვანა და ხმადაბლა უთხრა, თქვენს ცოლს ანზორ კუპატაძის მკვლელობის საქმეზე იბარებენ და უსათუოდ თვითონ უნდა გამოცხადდესო.

— საქმე ვის ხელშია?

— არის აქ ერთი... ვალერიან მექვაბიშვილი. ცოტა თავის გამოდება კი უყვარს, მაგრამ...

—მაგრამ რა?

— ისე ძალიან გულისხმიერი და სამართლიანი ბიჭია.

— საქმე ისეა, რომ უკვე გულისხმიერება გვჭირდება? — მწარე ღიმილით ჰკითხა ნომალიმ.

— რას იზამ!.. — ლეიტენანტმა გაუღიმა და თავის დაკვრით დაემშვიდობა. ხელი აღარც კი გამოუწვდია.

ნომალი სახლში დაძმარებული დაბრუნდა.

— რაო?

— არაფერი. ხვალ, უსათუოდ თვითონ გამოცხადდესო.

— ჰმ! შეხედე შენ! — პლატონი ტახტზე დაეშვა და გულხელი დაიკრიფა.

დიხამინჯიებს არც იმდენი მსახიობობა და თვალთმაქცობა შეეძლოთ. როგორც კი სამსახურიდან მობრუნებული ნათია ოთახში შევიდა და დამხვდურებს მზერა შეავლო, მაშინვე მიხვდა, რაღაც უბედურება დატრიალებულაო. მივიდა, ნომალის გვერდით მიუჯდა და თვალებში კითხვით ჩაჰხედა.

— რა იყო?

— არაფერი.

— მითხარი.

— არაფერი-მეთქი!

— აღარ მეტყვით? —, ნათიამ მიმოიხედა.

— გეტყვით, შვილო,. დასამალავი რა გვაქვს. — პლატონი წამოდგა და ოთახში გაიარ-გამოიარა. — აგერ, ნომალი გეტყვის. ნომალი. გადით, შვილო და ყველაფერი უთხარი. მანდ უბრალო გაუგებრობაა და მეტი არაფერი.

ნომალი და ნათია თავიანთ ოთახში გავიდნენ. ნომალიმ დაბალი ხმით ყველაფერი უთხრა. ნათია გაფითრდა. ამოიკვნესა და თვალებზე ხელი აიფარა.

## თავი X

პროკურატურის გამომძიებელი ვალერიან მექვაბიშვილი ჯერ ოცდაათი წლისაც არ იქნებოდა. განათლებით ისტორიკოსი იყო, უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, სამუშაოდ გაგზავნეს მილიციაში, იქ რამდენჯერმე თავი გამოიჩინა, ალღოიანი და უშიშარი გამომძიებლის სახელი მოიხვეჭა და ბოლოს ქალაქის პროკურატურაში გადმოიყვანეს. თავშეკავებული, თავაზიანი და სიტყვაძვირი ახალგაზრდა იყო, ყოველგვარი ამორალური საქციელი ორგანიულად ეზიზღებოდა და, ალბათ, საგამომძიებლო საქმიანობას ესეც უადვილებდა. ასე იყო თუ ისე, მილიციასა და პროკურატურაში ბარე რვა წლის მუშაობის მანძილზე, ერთი სერიოზული შეცდომაც კი არ მოსვლია და ხმებიც დადიოდა, მალე, ალბათ, საგანგებო საქმეთა გამომძიებლადაც დანიშნავენო. თვითონ სამსახურში დაწინაურებისათვის თავს მაინცდამაინც არ იკლავდა, სამუშაოდან თავისუფალ დროს, ისევ ისტორიულ ფოლიანტურას ჩაკირკიტებდა და რამდენიმე პატარა გამოკვლევა დასაბეჭდადაც ჰქონდა მომზადებული. ოღონდ ეს იყო, რომ მათი გამოქვეყნება საბოლოოდ მაინც ვერ გადაეწყვიტა, — რას იტ-

ყვიან, სად პროკურატურის გამომძიებელი და სად მე-16-17 საუკუნეების ქართულ-ირანული ურთიერთობანიო.

როგორც ყოველ თბილისელს, ნომალი დიხამინჯიას სახელი ვალერიანსაც სმენოდა, არაერთხელ უნახავს კიდეც და არც გაჰკვირვებია, როცა დილის ათ საათზე ნათია ავალიშვილთან ერთად მის კაბინეტში სახელგანთქმული წყალბურთელიც შევიდა. ვალერიან მექვაბიშვილმა იცოდა, რომ ნათია და ნომალი ცოლ-ქმარნი იყვნენ. ისიც იცოდა, ხელი როდის მოაწერეს და ქორწილი როდის გადაიხადეს. მას შემდეგ, რაც ანზორ კუპატაძის მკვლელობის გამოძიება დაევალა და საქმის გარემოებანი წინასწარ შეისწავლა, ვალერიანს არაერთხელ სწვევია უსიამოვნო აზრი, ასე ნაჩქარევად ნათია ავალიშვილი ნომალი დიხამინჯიას იმიტომ ხომ არ გაჰყვა, რომ ხალხის, საზოგადოების თვალში ხაზი გაესვა, ბესარიონ მაგრაქველიძესა და მის ამფსონებთან ნამდვილი მეგობრობა არასოდეს მქონია და რაც მათ შორის მოხდა, იმაზე პასუხს ვერავინ მომთხოვსო. მაგრამ ამ უსიამო ფიქრს ვალერიანი მალე იშორებდა ხოლმე თავიდან. მას არ სჩვეოდა ადამიანების მიმართ მხოლოდ ცუდისა და ავის ვარაუდი , მათი წინასწარ დამცირება და, მით უმეტეს, დამნაშავეთა რიგში ჩარიცხვა.

კაბინეტში შემოსულ ცოლ-ქმარს ვალერიანი ფეხზე წამოდგომითა და თავაზით შეეგება. დაკითხვაზე მესამე პირის დასწრება, კანონით აკრძალულია. ამ შემთხვევაში, ის მესამე და გარეშე პირი ნომალი დიხამინჯია იყო. მაგრამ ვალერიანმა მის სახელსა და თავმოყვარეობას პატივი სცა, სკამი თვითონვე მიუწია და თხოვა. შეგიძლიათ, დაბრძანდეთ, სანამ მე ქალბატონ ნათიას რამდენიმე კითხვას მივცემდე, თქვენთან დასამალავი ჩვენ არაფერი გვაქვსო.

ნათია და ნომალი სკამებზე ერთიმეორის გვერდით ჩამოსხდნენ.

— ალბათ, ხვდებით, რატომაც გამოგიძახეთ, ხომ?

ამ კითხვაზე ნათიამ მექვაბიშვილს არაფერი უპასუხა. სდუმდა ნომალიც. მას ხომ არც რამეს ეკითხებოდნენ.

— ქალაქ თბილისის პროკურატურა, — თავაზიანი, მაგრამ მაინც უკვე ოფიციალური ტონით წარმოსთქვა მექვაბიშვილმა, — აწარმოებს მოქალაქე ანზორ კუპატაძის მკვლელობის საქმის გამოძიებას. მე ძალიან გთხოვთ, ქალბატონო ნათია ,რომ სწორად გამიგოთ. ლაპარაკიც კი ზედმეტია იმაზე, რომ თქვენ ამ... საქმესთან საერთო არაფერი გაქვთ. ეს პროკურატურის არც ერთ თანამშრომელს ერთი წამითაც არ უფიქრია. ჩვენ გიცნობთ თქვენ, თქვენს ოჯახსაც, თქვენ ახალ ოჯახსაც... დიახ! მაგრამ მაინც ვფიქრობთ, რომ მცირეოდენი დახმარების აღმოჩენა ძიებისთვის ნამდვილად შეგიძლიათ და ეჭვი არ გვეპარება, რომ თქვენ უარს არ იტყვით საკუთარი მოქალაქეობრივი ვალის შესრულებაზე. — მექვაბიშვილს თვითონვე გაეღიმა თავის ოფიციალურ კილოზე. იგი წამით შეყოყმანდა, — ახლა... რამდენიმე ფორმალობა უნდა შესრულდეს.

მექვაბიშვილმა უჯრიდან რაღაც ბლანკი ამოიღო, შუაზე გაჰკეცა, წინ დაიდო და ავტოკალამი მოიმარჯვა. მეტად მშვიდად და საკუთარ თავში დარწმუნებულად იქცეოდა.

— თქვენი სახელი, გვარი და მამის სახელი?

— ავალიშვილი ნათია ჯამბაკურის ასული.

— გათხოვების შემდეგაც ავალიშვილად დარჩით?

— დიახ.

— მესმის. დაბადების წელი, თვე, რიცხვი., ადგილი.

ნათიამ ესეც უთხრა.

მექვაბიშვილი თავაუღებლად სწერდა.

ოთახი მეტად პატარა იყო. მაგრამ მექვაბიშვილს შეეძლო კედელთან მსხდომნი ნათია და ნომალი თავიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფეხებამდე თავისუფლად ეთვალიერებინა. ნათიამ ღრმად ამოისუნთქა და ხელჩანთა მუხლებზე დაიდო. ნომალის ამისათვის არავითარი ყურადღება არ მიუქცევია. ჩაფიქრებული იჯდა და მექვაბიშვილს ხელზე მისჩერებოდა.

მექვაბიშვილმა წერა ჩაათავა, კალამი დასდო და წელში გაიმართა. ნათიას გამამხნევებლად გაუღიმა.

— თქვენ მაინც ღელავთ?

— არა... სრულიადაც არა, — ნათიამ ისევ ღრმად ამოისუნთქა.

— დამშვიდდით. მე ვიცი, საქმე ვისთანაცა მაქვს. ერთი ფორმალობაც შევასრულოთ, ესეც არაფერია.

მექვაბიშვილმა უჯრიდან პატარა, წვრილი შრიფტით დაბეჭდილი ქაღალდი ამოიღო და ნათიას გაუწოდა.

— თუ შეიძლება, გაეცანით. გარწმუნებთ, ესეც უბრალო ფორმალობაა და მეტი არაფერი. ძალიან მკაცრი უფროსი რომ არ მყავდეს, ამ ფორმალობას არც კი შევასრულებდი.

ის პატარა ქაღალდი ნათიამ და ნომალიმ ერთად ჩაიკითხეს. შიგ ეწერა, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის ამა და ამ მუხლის ძალით თქვენ ვალდებული ხართ, გამოძიებას სრული სიმართლე უთხრათ ყველაფერზე, რასაც კი შეგეკითხებიან, ყალბი ჩვენების მიცემისათვის კი დაისჯებით ამა და ამ მუხლის ძალითო.

ნათიამ ჩაიკითხა და ნომალის შეხედა. ნომალიმ მექვაბიშვილს შეხედა. მექვაბიშვილმა გაიღიმა.

— ხელი მოაწერეთ. — და თავისი კალამი გამოუწოდა.

ნათიამ აკანკალებული ხელით თავისი გვარი ძლივს გამოიყვანა. კალამი ხელიდან ნომალიმ გამოართვა და მექვაბიშვილს წინ დაუდო. ნათია მძიმედ სუნთქავდა.

— წყალი გნებავთ?

—არა, გმადლობთ.

— დამშვიდდით, ქალბატონო ნათია, დამშვიდდით. ერთადერთი, რაც თქვენ გევალებათ, ის გახლავთ, რომ დაგვეხმაროთ მკვლელის მოძებნაში. მეტი არაფერი. ახლა... შემიძლია, რამდენიმე შეკითხვა მოგცეთ?

— ბრძანეთ.

— ჩვენ უკვე ვიცით. ვისთან ამხანაგობდა ანზორ კუპატაძე და, საერთოდ, როგორი ურთიერთობანი იყო მაგ წრეში. ვიცით, რომ კუპატაძე ერთი უფული და უნებისყოფო ბიჭი იყო და მაგათ სამადლოდ ჰყავდათ შეკედლებული. არავინ არავითარ ანგარიშს არ უწევდა, ხომ?

— დიახ!

— დიახ, ჩვენ ასეთი ცნობები გვაქვს. ძალიან კარგია, რომ ამ ცნობებს თქვენც ადასტურებთ. ახლა, თქვენი ნებართვით, ცოტა წინ გავიქცევი და ერთ შეკითხვას მოგცემთ: კუპატაძის მკვლელობის შემდეგ, ხომ არ მიგიღიათ რომელიმე მათგანისაგან, — ან მაგრაქველიძისაგან, ან ჯაველიძისაგან, ან, ბულესკირიასგან რაიმე გაფრთხილება! რომელიმე მათგანს ხომ არ დაურეკია? ან, იქნებ, ანონიმური წერილი მიიღეთ?

— არა. არაფერი.

— მესმის. — მექვაბიშვილმა ნათიას პასუხი ოქმში შეიტანა. კუპატაძის სიკვდილის ამბავი როგორ გაიგეთ?

— თამაზ ჯაველიძისაგან.

— სად?

— ქუჩაში.

— გაზეთში არ წაგიკითხავთ?

— არა.

— გასვენებაზე, ან პანაშვიდზე თუ იყავით?

— არა.

— რატომ?

— როცა გავიგე, უკვე გასვენებული იყო.

— მესმის. გასაგებია. — მექვაბიშვილმა ეს პასუხიც ოქმში შეიტანა.

— თამაზ ჯაველიძემ მაშინ არაფერი გითხრათ?

— არაფერი.

— გასაგებია. — მექვაბიშვილმა კალამი ააწრიპინა. ამჯერად, რატომღაც

კარგა დიდხანს წერდა. შემდეგ თავი ასწია, ნომალის გაუღიმა და მზერა ნათიაზე გადაიტანა.

— კუპატაძეს რამდენ ხანს იცნობდით?

— ორი, თუ სამი წელიწადი.

— როგორი ყმაწვილი იყო?

— უწყინარი.

— აბა, რატომ უნდა მოეკლათ? — მექვაბიშვილმა ნათიას პირდაპირ თვალებში შეხედა.

— რა... მოგახსენოთ...

მექვაბიშვილი ნათიას პირდაპირ თვალებში მისჩერებოდა.

— მე...

— კეთილი. ამაზე შემდეგ. იმ საღამოს თქვენ მათთან რომელ საათამდე იყავით?

— რომელ საღამოს?

— როცა მკვლელობა მოხდა.

— მე... არ ვიცი, მკვლელობა როდის მოხდა?

— არ იცით? — მექვაბიშვილმა წარბები ასწია.

— არა.

— ჯაველიძეს არ უთქვამს?

— არა. იმან მითხრა...

— ბატონო?

— მითხრა, ანზორი მკვდარი იპოვნესო.

მექვაბიშვილმა სწრაფი მზერა ნომალის შეავლო, მერე კალამი აიღო და დაკითხვის ბლანკზე რამდენიმე ფრაზა დასწერა. შემდეგ თავი ასწია. ის იყო, ნათიასთვის კიდევ რაღაც უნდა ეკითხა, რომ უეცრად სიტყვა გაუწყდა. მზერა გაუშეშდა. ნომალიმ პირველ წამში ვერც კი მოისაზრა, რა მოხდა. გვერდზე მიიხედა და დაინახა, რომ ნათიას თავი უღონოდ, მოწყვეტილი ყვავილივით ჩამოჰკიდებოდა. ხელჩანთა მუხლებიდან დაუცურდა და იატაკზე დაეცა. ნომალიმ ფეხზე წამოვარდნა ძლივს მოასწრო და გულშემოყრილ ცოლს მკლავები შეაშველა. ის რომ არა, ნათია იატაკზე გაიშხლართებოდა.

სანამ ნათიას სასწრაფო დახმარების მანქანაში ჩააწვენდნენ და მანქანა ადგილიდან დაიძვრებოდა, მექვაბიშვილი და პროკურატურის კიდევ რამდენიმე თანამშრომელი იქვე ტრიალებდნენ. ნირწამხდარი მექვაბიშვილი ნომალის მესამეჯერ უბოდიშებდა, ალბათ, უნებლიეთ თუ რაიმე უტაქტობა მომივიდა, თორემ ღმერთი და რჯული, თქვენ თვითონვე მოწამე ბრძანდებით, ისეთი არაფერი მიკადრებიაო. კრიჭაშეკრული ნომალი ნათიას დასტრიალებდა და მექვაბიშვილს არავითარ ყურადღებას აღარ აქცევდა. ექიმი ქალი შოფრის გვერდით დაჯდა და კარი მიიჯახუნა. ნომალი ძლივს შეძვრა დაბალ მანქანაში. „ვოლგა“ დაიძრა და ნირწამხდარი მექვაბიშვილი შუა ქუჩაში დასტოვა.

## თავი XI

სარდიონ რაჭველიშვილის ბრძანებამ — ჩახუნაშვილი განთავისუფლდეს და მის ადგილზე უშანგი ნოსელიძე დაინიშნოსო, მესამე უბანზე ენით აუწერელი სიხარული გამოიწვია. უბნის მეშახტეები იორამ ნოსელიძის დალუპვით ბევრნი გულგატეხილნი იყვნენ და უბნის მომავალს უკვე ხელჩაქნეულად უყურებდნენ, რომ ამ ცვლილებაში ყველამ რაღაც მეტად სასიხარულო და საიმედო დაინახა. თეიმურაზ არჯევანიძე მოსახსნელად აქ აღარავის ემეტებოდა — ახალგაზრდა ინჟინერი უკვე უყვარდათ და პატივს სცემდნენ. ანთიმოზ ჩახუნაშვილიც არავის ენანებოდა — ეგ უსაქმური და გამლლეტი ან აქამდე რა გასაჩერებელი იყოო. უშანგი ნოსელიძეს კი ბევრნი იცნობდნენ და კარგი აზრისანი იყვნენ — ნამდვილი ვაჟკაციო — უბრალო, საქმის მცოდნე და ამხანაგებისთვის თავდადებულიო.

ერთი სიტყვით, შექმნილი მდგომარეობიდან ამაზე უკეთეს გამოსავალს მესამე უბნის მეშახტეები ვერც კი ინატრებდნენ და ზოგი სარდიონს ამტყუნებდა კიდეც, — თუ ამის გაკეთება

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეეძლო, აქამდე რაღას უყურებდა, იქნება, ის უბედური იორამი ახლა ცოცხალი ყოფილიყოო. მასზე სხვები პასუხობდნენ, — იორამის დაღუპვა არც სარდიონის ბრალია და არც არჯევანიძის და, საერთოდ, რაც იყო, იყო, იმას აღარაფერი ეშველება და ნუღარც ვილაპარაკებთო. მთავარი ახლა ის იყო, რომ უბნის საქმეები ისევ გამოსწორდებოდა. „ახლა, ძმაო, ეს ჩვენი თეიმურაზიც ამოისუნთქავს, — მერამდენეჯერ იმეორებდა არქიფო ცალუღლიშვილი, — მარტო ის რად ღირდა, შახტის უფროსი და მთავარი ინჟინერი დღენიადაგ თავზე ადგნენ და ამოწმებდნენ. ახლა თეიმურაზს სანდო მოადგილე ეყოლება, საქმეს გაინაწილებენ და ჩვენი ჩარხიც წაღმა დატრიალდებაო“.

ეს საერთო განწყობილება, ასე გასინჯეთ, მემონტაჟეებსაც კი გადაედოთ, და გრიშა ოდიბაშევმა ყველას გასაგონად განაცხადა, — „ჩვენ ამ უბანს საკუთარი სახლივით ვართ მიჩვეული და აქედან წასვლა ჩვენდა თავად, ვინ ოხერსა და მამაძაღლს მოუნდებაო. თავის სიხარულს რატომღაც ვერც გოგოლა სიხარულიძე მალავდა, მიუხედავად იმისა, რომ ის მიწისქვეშა რკინიგზას ემსახურებოდა და ამიტომ მისთვის სულერთი უნდა ყოფილიყო, ვინ უბნის უფროსი იქნებოდა, ვინ მისი მოადგილე, ან უბანზე გეგმები შესრულდებოდა, თუ არა. რამდენიმე მეშახტე ხუმრობით ჩააჯინდა კიდეც გოგოლას, ერთი გაგვაგებინე შენ რა გიხარიაო. ერთი სიტყვით, სამორიგეოში ერთი გნიასი და ღრიანცელი იდგა. და მარტო გერასიმე ცნობილაძე იქნევდა თავს იჭვნეულად. ხოლო როცა ეკითხებოდნენ, რა დაგემართა, კაცო, ეს როგორ არ გიხარია, ან რა ეჭვის ჭია შეგიჯდაო, ხელს იქნევდა და გაურკვეველ პასუხს იძლეოდა. — „არაფერი, ბატონო, ღმერთმა კარგი ჰქნას, უბნის საქმეები რაც უფრო უკეთ წავა, მეც ის უფრო გამეხარდებაო“.

მეორე დღეს, პირველი ცვლის დაწყებისას, თეიმურაზი და უშანგი ნოსელიძე ერთად შემოვიდნენ სამორიგეოში. იმ უთენია ერთმანეთს სად შეხვდნენ და როგორ დაწყვილდნენ ამას ვერავინ მიხვდა, ეს კი იყო, რომ კარი ჯერ თეიმურაზმა შემოაღო, უშანგი წინ გამოატარა, მერე თვითონაც შემოყვა და ოთახში შეგროვილ მეშახტეებს მხიარულად უთხრა; ალბათ, იცნობთ, ეს უშანგი ნოსელიძეა, ჩემი ახალი მოადგილეო.

— ვიცნობთ, ვიცნობთ. — გაისმა აქეთ-იქიდან.

— ვიცნობთ და პატივსაც ვცემთ. — დაუმოწმა გრიშა ოდიბაშევმაც და ორივეს — თეიმურაზსაც და უშანგისაც ხელი მაგრად ჩამოართვა.

უშანგი ახლაც ისევე სახეაწითლებული იყო, როგორც გუშინ, სარდიონის კაბინეტში, და ახლაც ისევე დაბნეულად, უხერხულად იღიმებოდა.

— სარდიონს ეს ოპერაცია აქამდე უნდა ჩაეტარებინა, — მოისმა ვიღაცის ხმა.

— სჯობს გვიან, ვიდრე არასოდესო, არ გაგიგონია?

— არც ისე დაგვიანებულია.

— ეგ ნოსელიძეს ჰკითხე.

— აბა, აბა! გესმით? შენ...

— მობრძანდი, უშანგი, დაბრძანდი.

— კეთილი იყოს შენი ფეხი ამ სამორიგეოში!

თეიმურაზმა და უშანგიმ ფუნქციები უკამათოდ და უმტკივნეულოდ გაინაწილეს. ამ ერთი თვის განმავლობაში პირველ და მეორე ცვლას თეიმურაზი უხელმძღვანელებდა, მესამეს — მონასელიძე. მომავალ თვეში შეიცვლებოდნენ — დღისით უშანგი იქნებოდა, ღამით — თეიმურაზი (ეს თვითონ თეიმურაზმა გადაჭრით მოითხოვა). შახტის ადმინისტრაციასთან კი ყოველგვარი საკითხების მოწესრიგება მთლიანად თეიმურაზს ეკისრებოდა და

ამ საკითხებში არავინ არ უნდა ჩარეულიყო.

— თანახმა ბრძანდებით?

— თანახმა ვარ.

— ახლა მეტი სალაპარაკო რაღა გვაქვს?

— ახლა ჯერ არარაფერი.

— აბა, დანარჩენი — შახტში!

ორივენი სპეცტანსაცმელში გამოეწყვნენ და თეიმურაზმა თავისი ახალი მოადგილე სანგრევების დასათვალიერებლად წაიყვანა.

## თავი XII

ანთიმოზ ჩახუნაშვილის განცხადება, თანამდებობიდან უდანაშაულოდ და უკანონოდ გამანთავისუფლესო, ადგილკომის თავმჯდომარემ საკონფლიქტო კომისიას გადასცა. ამ კომისიის თავმჯდომარედ ახლა პარტორგანიზაციის ყოფილი მდივანი მინაგო ჩარქვიანი იყო. მინაგო ანთიმოზსაც კარგად იცნობდა, საქმის ვითარებასაც და იმ მეშახტეებსაც, რომლებმაც სარდიონ რაჭველიშვილი აიძულეს ეს ბრძანება დაეწერა. მან ანთიმოზი გამოიძახა და კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარებას შეეცადა.

— განცხადება შემოგიტანია, ჩემო ანთიმოზ!

— გაახელით, ჩემო ბატონო! გარემოებამ მაიძულა.

— დაბრძანდი, რატომ დგეხარ?.. აი, სკამი.

— გმადლობ!

— ბრძანება როდის დაიწერა?

— რა ბრძანება?

— სარდიონმა შენი განთავისუფლების ბრძანება როდის დაწერა-მეთქი!

— ოთხი დღის წინათ. ჩემს ადგილზე, ალბათ, მოგეხსენება, უკვე უშანგი მონასელიძე „მოღვაწეობს“. განცხადება მე იმ დღესვე დავწერე, შენთან კი ახლა მოსულა. არ ჩქარობენ. თუმცა, არც ის დაგვიწყდეს, კანონით ბრძანების გასაჩივრებისათვის ერთი კვირის ვადა მეძლევა.

— ეგ ეგრეა.

— ბატონო?

—სწორია-მეთქი!

— რასაც მე ვაკეთებ, ყველაფერი სწორია, ჩემო მინაგო!

— მაინც რაო? რას გაბრალებენ?

— რა უნდა დამაბრალონ?!

— აბა?

— არაფერი, უბანზე, შენც კარგად იცი, ადამიანი, იორამ ნოსელიძე დაიღუპა. რაიკომმა დაადგინა, უბნის ხელმძღვანელობა გაძლიერდესო. ჰოდა, სარდიონმა მეც დაბალი ღობე მნახა. აი, რას მაბრალებენ!

— ეგრე როგორ იქნება, შე კაცო!

— სარდიონისათვის ყველაფერი შეიძლება, დიდი კაცი ბრძანდება, კანონები მაგისათვის არ არსებობს.

— ანთიმოზ, ასე ლაპარაკი რა საჭიროა?

— აბა, როგორ ვილაპარაკო?! შენც კარგად იცი... პირველად მეჯაჯგურებიან, მეორედ თუ მესამედ? აღარ უნდა ჩამომეხსნან? კაცი რომ თანამდებობიდან გაათავისუფლო, არანაკლებ სამი საყვედური უნდა ჰქონდეს გამოცხადებული. ეს — მარტო ერთი წლის განმავლობაში. მე კი სამი საყვედური ერთ წელიწადში კი არა, მთელს ჩემს სიცოცხლეში არ მიმიღია. აგერ, ჩემი პირადი საქმე. შიგ თუ მადლობების და პრემიების მეტი რაიმე ნახო, სახეში შემაფურთხე! კაცი დავბერდი, გავჭაღარავდი... მშრომელი ადამიანის პატივისცემა ეს არის? პარტია და ხელისუფლება ჩვენ ამას გვასწავლის? არა, ჩემო მინაგო! ულუკმაპუროდ დავრჩები და ჩემს მუშურ პატიოსნებას მე არავის შევაბღალვინებ. რას მიქვია, ღმერთო კი მომკალი...

— დაწყნარდი, ანთიმოზ... სამაგიეროდ რას გპირდებიან?

— რა ვიცი, ჩაგუნავამ რაღაცეები იბოდიალა. შახტის ვენტილაციაო, თანაშემწეო... თვეში ოცი თუ ოცდახუ-

თი მანეთი რა სალაპარაკოაო... ჭკუაში მატყუილებენ. აქ საქმე ოცი თუ ოცდახუთი მანეთი კი არ არის, საქმე აქ, ჩემო ძმაო, სულ სხვა რამეა... შენც კარგად იცი... ის საწყალი ბიჭი ჯერ არ გაციებულა სამარეში და იმის ახალგაზრდა, გაუბედურებულმა ქვრივმა მე უნდა მომაწყევლოს, რაკი შენ მოგხსნეს, იორამის დაღუპვაც შენი ბრალი ყოფილა, შენ არ გაიხარე და ჩემი დღე შენ მოგეწიოსო? არა, ჩემო ძინაგო! მე ჩემი მუშური სული აქამდეც პატიოსნად მიტარებია და ამას იქითაც...

— იორამი და მისი ქვრივი აქ რა შუაშია?

— შუაშია. შუაგულ შუაშია.

— დაწყნარდი, ანთიმოზ, გულისთქმას ნუ აჰყვები. რას მიქვია, მოგაწყევლოს და ამისთანები. ქვეყანამ იცის, ის ბიჭი რატომ და როგორაც დაიღუპა. ესე იგი, მაგათ რომ სამაგიერო თანამდებობა შემოგთავაზებს, ის შენ არ მოგწონს ხომ?

— მომწონს რომელია! თექვსმეტი წელიწადია, საექსპლუატაციო უბანზე ვმუშაობ, სამშობლოს ქვანახშირს ვაწვდი და ახლა ვენტილაციაში გადავიდე? და სხვების დანაშაულიც მევე შემახოცონ? არა, ჩემო მინაგო! სამაგისო კბილები მე დიდი ხანია, მოვიცვალე. თქვენ ჯერ ჩემი პირადი საქმე გასინჯეთ, თუმცა...

— რა — თუმცა?

— რა და — ამ თქვენი კომისიებისა და ადგილკომის ვაჟკაცობის ამბავი მე ძალიან კარგად ვიცი. აქ ბევრი იწილო-ბიწილო რა საჭიროა? სარდიონის ნებას თქვენ მაინც არ გადალახავთ. თავზე ზეცა რომ...

— ოო! ოო! ეგ რანაირი ლაპარაკია!

— მაცალე!

— ანთიმოზ ჩემო...

— მაცალე-მეთქი! სუყველას კარგად გიცნობთ. სარდიონის ნებას თქვენ მაინც არ გადახვალთ, თავზე ზეცა რომ ჩამოგემხოთ! ვიცი! ჰოდა, მე თქვენ არც არაფერსა გთხოვთ. განცხადება თქვენთან იმიტომ შემოვრბივარ, რომ წესი ასეა. წესსა და კანონებს მე ვერავინ მასწავლის. თქვენ, ძამია, რაც გინდოდეთ, ის დაადგინეთ. მერე კი მე ვიცოდე და თქვენმა დადგენილებამ. ახლა! აღარ მომეშვებით?

—ანთიმოზ, ასე წინდაწინვე ლაპარაკი...

— კარგი ერთი! ვიცი! ყველაფერი ვიცი. ყველას კარგად გიცნობთ. ყველას. ოღონდ... მოიხედე! ოღონდ ერთი საქმე გამიკეთე. შენ მაინც ღვთისნიერი ადამიანი ხართ. ერთი გამიკეთე: მაგ თქვენი კომისიის ოქმს ნუ დამიგვიანებ, რომ სასამართლოში შეტანა არ დამაგვიანდეს. გეყურება? აი, ეს გამიკეთე. თორემ თქვენი კომისია რასაც დაადგენს მე ის ახლავე ვიცი.

— ანთიმოზ, ახლა, აგრე ლაპარაკი...

— რასაც მე ახლა ვლაპარაკობ, იმაზე ყველგან პასუხს ვაგებ. ახლა? აღარ მომეშვები? ოღონდ ოქმი კი არ დამიგვიანო. აი, ამას ნამდვილად გთხოვ.

— ან რა უფლება მაქვს, რომ დაგიგვიანო.

— უფლებებს და კანონებს თქვენ ძალიან არ უყურებთ! აბა, ახლა კარგად მეყოლე! ჰო, კომისიას როდის მოიწვევ?

— ხვალ, ალბათ. ასევე ექვსი საათისთვის.

— ჰოდა, ძალიან კარგი. უწყებას გამომიგზავნი?

— რაღა უწყება გინდა, აგერ არ გეუბნები. ხვალ, ზუსტად ექვს საათზე.

— ჰო-ჰო, რა კანონების დამცველები ხართ! მეუბნება! იქნებ, მერე მე გითხრა, არ გამიგონია-მეთქი. იქნება უარი გტკიცო?

— ანთიოზ...

— კარგი! მოვრჩეთ. ნუ გეშინია. სამაგისო მე არაფერი მიჭირს. თქვენმა კომისიამ იკითხოს. აბა, ხვალამდე!

* * *

საკონფლიქტო კომისია მეორე დღეს, მართლაც ზუსტად ექვს საათზე

შეიკრიბა. შახტის ადმინისტრაციის ინტერესებს, ესე იგი, სარდიონის ბრძანებას — კახაბერ გურასაშვილი იცავდა; დაზარალებულის — ანთიმოზ ჩახუნაშვილისას კი — კომისიის მეორე წევრი, შახტის მთავარი ბუღალტრის მოადგილე ზეინაბ ოცხელი. ეს ორმოციოდე წლის, უქმარშვილო, საკმაოდ ლამაზი და მუდამ კარგად ჩაცმული მანდილოსანი, ცნობილი იყო იმით, რომ საკონფლიქტო კომისიის სხდომებზე მუდამ შეუპოვრად იცავდა დაზარალებული მშრომელების ინტერესებს და თან როგორღაც იმასაც ახერხებდა, რომ შახტის ადმინისტრაციასთანაც საუცხოო ურთიერთობანი შეენარჩუნებინა. ყოველ შემთხვევაში, სარდიონ რაჭველიშვილი ამ ქალს დიდ ანგარიშს უწევდა და როცა ვინმე სადმე ასარჩევი, ან სადმე გასაგზავნი იყო, უთუოდ ზეინაბის კანდიდატურას წამოაყენებდა ხოლმე. ერთ ხანს შახტზე, სარდიონისა და ზეინაბის ურთიერთობის შესახებ, ცოტა უკუღმართი ხმებიც კი დადიოდა, მაგრამ მალე ყველა დარწმუნდა, რომ ის ხმები მტკნარი სიცრუე იყო და უკვე რამდენიმე წელიწადი გავიდა, რაც არავის გაუმეორებია.

კომისიის სხდომას მინაგო ჩარკვიანი თავმჯდომარეობდა. საქმის ვითარება ყველამ კარგად იცოდა. ამიტომ მინაგოს ბევრი აღარ ულაპარიკნია, სხდომა გახსნილად გამოაცხადა თუ არა, მაშინვე იკითხა, რა ვქნათო.

ცოტა ხნით სიჩუმე ჩამოვარდა: მერე კახაბერ გურასაშვილმა მხრები აიჩეჩა:

— რა ვქნათო... ეგ კიდევ საკითხავია?

მინაგომ თავი გადააქნია.

— კახაბერ ჩემო, საკონფლიქტო კომისია... — მინაგო რატომღაც ანერვიულდა, — საკონფლიქტო კომისიას თავისი დანიშნულება აქვს და კიდეც უნდა შეასრულოს. აბა? თუ ეს კომისია ზედმეტია და საქმეც არაფერი აქვს, მაშინ გააუქმეთ და... თქვენც მოისვენებთ და ჩვენც.

— ეგრე ლაპარაკი რაღა საჭიროა?!

— როგორც ჩანს, საჭიროა.

უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა.

სულის სიღრმეში კომისიის ყოველი წევრი სარდიონის მხარეზე იყო. მესამე უბანზე შექმნილმა მდგომარეობამ უკვე შეიწირა ერთი კაცის სიცოცხლე, და არავინ იყო დარწმუნებული, რომ ხვალ თუ ზეგ უბანზე რაიმე უარესიც არ მოხდებოდა. უსაქმური ჩახუნაშვილის მონასელიძით შეცვლა ნამდვილად გონივრული ნაბიჯი იყო. უშანგი მონასელიძეს ყველა იცნობდა, როგორც პატიოსან და გამოცდილ მეშახტეს. ახალგაზრდა ინჟინერს, თეიმურაზ არჯევანიძეს, მონასელიძისთანა მოადგილე სწორედ წამალივით წაადგებოდა. მაგრამ საკონფლიქტო კომისიას, უპირველეს ყოვლისა, შრომითი კანონმდებლობის დაცვა ევალება. კანონის მიხედვით, ადამიანის თანამდებობიდან განთავისუფლება და უფრო დაბალხელფასიან სამუშაოზე გადაყვანა აკრძალულია. ჩახუნაშვილს პირადი საქმე სუფთა ჰქონდა. ერთი უბრალო მითითებაც კი არასოდეს არავის ჩაუწერია, ასე რომ...

— თვითონ ჩახუნაშვილი სად არის? — იკითხა ზეინაბ ოცხელმა და თეთრი ოქროსბეჭდიანი ხელით ყურს უკან თმა შეისწორა.

— დერეფანში იცდის.

— შემოვიდეს.

— დაუძახეთ!

ანთიმოზი შემოვიდა. კომისიის წევრებს უხმოდ თავი დაუკრა და განცალკევებით, კუთხეში მდგარ სკამზე ჩამოჯდა. ცდილობდა, თავი მშვიდად დაეჭირა, მაგრამ თვალებს მაინც ბრაზიანად კვესავდა.

ამ კაცისადმი თვითონ ზეინაბ ოცხელიც არავითარ სიმპათიას არ განიცდიდა. სხვა ყველასთან ერთად, შახტის მთავარი ბუღალტრის მოადგილემ ისიც იცოდა, თუ ანთიმოზი რა წვრილმანი და უძლომელი იყო ფულის საქმეში. საანგარიშო ჯგუფის წევრებს

თავისი ჩაციებით პირდაპირ სულს უწ-ვრილებდა და რაღაც მანეთების გუ-ლისთვის ზოგჯერ მთელი კვირეები დაობდა ხოლმე. ბუღალტერიაში რამ-დენჯერ სახალხოდ უთქვამთ მისთვის, ადამიანო, მოგვეშვი, შენი უბნის საქ-მეებს მიხედე, აქ კი ჩვენ უშენოდ გავარკვევთ, ნუ გეშინია, არაფერში არ დაგჩაგრავთ და შენს კუთვნილ კა-პიკსაც კი არ დაგაკლებთო. მაგრამ — თქვენც არ მომიკვდეთ! ასეთი შეგო-ნებები ანთიმოზზე სულაც არ მოქმე-დებდა. ბუღალტერიაში მანამდე იტ-რიალებდა ხოლმე, სანამდე საბოლოოდ არ დარწმუნდებოდა, რომ არაფერში მოუტყუებიათ და ანგარიში უკანასკ-ნელ კაპიკამდე ზუსტად გაუსწორეს.

— სულ რომ აქ ტრიალებს, უბან-ზე მაგის საქმეებს ვინღა აკეთებს? — ჰკვირობდნენ ბუღალტერიის თანამშ-რომლები.

— უბნის დარდი მაგას სულაც არ აწუხებს. — არაერთხელ უპასუხნია თვითონ ქალბატონ ზეინაბს იმ თანამ-შრომლებისათვის.

და აი, ახლა ეს ჩახუნაშვილი საკონ-ფლიქტო კომისიის წინაშე იჯდა, შახ-ტის უფროსს უჩიოდა, უდანაშაულოდ მომხსნესო, და თვითონ ზეინაბს უნდა გადაეწყვიტა, სარდიონი ამ საქმეში მართალი იყო, თუ მტყუანი. ზეინაბს ეჭვი ერთი წამითაც არ ეპარებოდა იმაში, რომ სარდიონი მართალი იყო. შახტის უფროსს მხოლოდ საერთო ინ-ტერესები ამოქმედებდა, ჩახუნაშვილის განთავისუფლება ყველასათვის სასარ-გებლო იყო და — ყველაზე ადრე — თვითონ მესამე უბნის მეშახტეებისა-თვის. მაგრამ — კანონი? ტყუილად ხომ არც კანონები იწერება. კანონი — ცხოვრების ნაწილია, ცხოვრებას ასახავს... ჰოდა, აი, ასეა ხოლმე: ჩა-ხუნაშვილისთანებს წლობით არ აქცე-ვენ არავითარ ყურადღებას, ყველა-ფერს უთმენენ — უსაქმურობასაც, ყალთაბანდობასაც, მომხვეჭელობას-აც... იმისათვისაც კი არავინ მოიც-ლის, რომ ერთი საყვედური მაინც გა-მოუტანოს. ხელების გასვრა არავის უნდა. მერე კი, როცა სხვა გზა აღარ არის და ჩახუნაშვილის მოთმენა აღარ შეიძლება, მაშინ კი ბრძანებებს წერენ — მოიხსნას და განთავისუფლდესო. ამის უფლებას კი, ასე განუკითხავად ადამიანის მოხსნის უფლებას, კანონი არ იძლევა. აი, პატივცემულ სარდიონს არ ავიწყდება და ზეინაბმა რაღა ქნას? არა, ზეინაბ ოცხელი საკონფლიქ-ტო კომისიის წევრად უკვე მეხუ-თეჯერ აირჩიეს. მუდამ კანონის ერთგული იყო და ახლაც ასევე მოიქ-ცევა. რა თქმა უნდა, ჩახუნაშვილი მო-ხსნილია. მაგრამ კეთილი ინებონ და ისე მოხსნან, როგორც კანონი მოით-ხოვს.

კარგა ხანს ხმას არავინ იღებდა. იფი-ქრებდით, სხვაზე ადრე ალაპარაკება და საკუთარი პოზიციის გამჟღავნება არავის უნდაო. ჩარკვიანიც ხმაამო-უღებლად იჯდა და რაღაც თავის ფიქრს მისცემოდა. ბოლოს ისევ კახა-ბერ გურასაშვილი შეინძრა:

— რაჰქვიანა... შეიძლება? ჰო... მე მგონია, ამხანაგებო, რომ დიდად სა-დაო და თავსატეხი აქ არაფერია. ამა-ზე ნათელი სურათი, აბა, რა ვიცი. ვინმე რომ მართლა იჩაგრებოდეს, კი-დევ — ჰო! მაგრამ... ამხანაგი ჩახუ-ნაშვილი ადმინისტრაციას გადაჰყავს ისეთსავე საჭირო და პასუხსაგებ თა-ნამდებობაზე. ვენტილაციის საჭირო-ებაზე მე არც კი მინდა, რომ ვილაპა-რაკო. ეგ ყველამ კარგად ვიცით. ჰო-და... აი, პირდაპირ გაუგებარია, რატომ არა თანხმდება ამხანაგი ჩახუნაშვი-ლი? ხომ ვიცნობთ, ჩვენი ამხანაგია, ამდენი ხანია, ერთადა ვმუშაობთ. ის თხუთმეტი თუ ოცი მანეთი რა სალა-პარაკოა? და ამხანაგი ანთიმოზი მაგა-ზე, დარწმუნებული ვარ, არც ილაპა-რაკებს. მაშ, რაღა დარჩა? აი, პირდა-პირ ვერ გამიგია. ამიხსენით, ამიხსე-ნით, ბატონო, და გავჩუმდები. ოღონდ ის კი არავინ მითხრას, სარდიონს ან-

თიმოზის ადგილზე ვინმე თავისი ახლობლის ან ნათესავის მიღება უნდა და ამას ამიტომა ხსნისო.

— მაგას შენ არავინ გეტყვის. — ღიმილით უთხრა ზეინაბმა გურასაშვილს.

კახაბერმა ხელები გაშალა და მხრები აიჩეჩა.

— ამხანაგი გურასაშვილი, როგორც ეტყობა, ხუმრობის ხასიათზეა, — წამოიღრინა თავისი კუთხიდან ჩახუნაშვილმა.

— სიწყნარე, ამხანაგებო, სიწყნარე. ნერვებს ნუ ავყვებით, — მინაგო ჩარკვიანმა მაგიდაზე დააკაკუნა. — ერთი სიტყვით, ამხანაგი გურასაშვილი მხარს უჭერს ადმინისტრაციის ბრძანებას, ხომ?

— მთლიანად და სავსებით. ადმინისტრაცია მოვალეა, მთელი შახტის კეთილდღეობაზე იზრუნოს. ამხანაგი სარდიონის ბრძანებაში მე სხვას ვერაფერს ვხედავ.

— პატიოსანი მშრომელის ხარჯზე, ხომ? — ჩახუნაშვილი წამოხტა და სკამი გადააყირავა. — მიწისქვეშეთში გაჭაღარავებულ ადამიანის ხარჯზე, ხომ? კარგი, ბატონო! იზრუნეთ, იზრუნეთ. — ჩახუნაშვილმა თავისი წაქცეული სკამი თვითონვე წამოაყენა და კომისიისაკენ გვერდშექცევით დაჯდა.

— კახაბერ, თქვენ გაათავეთ? — ჰკითხა მინაგომ გურასაშვილს.

— გავათავე. რაც ვთქვი, ისიც ზედმეტი იყო. ყველაფერი ისედაც ნათელია.

— გურასაშვილო, ნუ გამამწარებ!

— მე შენ არ გამწარებ!

— გურასაშვილო, მე შენ გელაპარაკები...

— დაწყნარდით, დაწყნარდით!... — მინაგომ მაგიდას ისევ ხელი დაუკაკუნა. — რა ამბავია! ვისაც რამდენი გინდათ, იმდენი ილაპარაკეთ, ოღონდ... ეს ხმის აწევა და მუქარა რაღა ამბავია? შენ რაღა გინდა, კახაბერ?

— კიდევ ორიოდე სიტყვის თქმაც მინდა.

— აკი გავათავეო?

— შენ ხომ თქვი. რამდენიც გინდათ, იმდენი ილაპარაკეთო?

— ბრძანე!

— ბრძანოს! — დართო თავისი კუთხიდან ნება ჩახუნაშვილმაც. — ბრძანოს! მაგისთვის კანონები არ სწერია.

— კანონები აქ არაფერ შუაშია, ოღონდ... უნდა გავიგოთ, ამხანაგებო. საერთოდ, ეგრეთწოდებული პრაქტიკოსების შეცვლა დიპლომიანი ინჟინრებითა, მე ვიტყვი, მტკივნეული პროცესია. აი, სად არის ძაღლის თავი დამარხული. ამაზე რატომ არაფერს ვამბობთ? უბანზე არჯევანიძე მოვიდა, იძულებული გავხდით, ჯიბრაილს დავმშვიდობებოდით... მაშ, რა, ტექნიკურ პროგრესზე უარი ვთქვათ? ტექნიკური პროგრესი კი ვის ხელშია? რა თქმა უნდა, ინჟინრების ხელში, და არა პრაქტიკოსებისა: ვისაც უნდა, ეწყინოს, სიმართლე ეს არის.

— აბა, ეს ქვეყანა შენი და არჯევანიძის ყოფილა, — მიაყვირა ჩახუნაშვილმა, — დიპლომიანი ინჟინრები თქვენა ბრძანდებით — კომისიას ვთხოვ, საკითხს ნუ გადაუხვევს, — კატეგორიული ტონით მოითხოვა მან.

— მართლაც... — მინაგო წამით შეყოყმანდა, — არჯევანიძე და ტექნიკური პროგრესი აქ არაფერ შუაშია. ბოლოსდაბოლოს, არა, ამას არ უნდა ვამბობდე, მაგრამ მაინც... ბოლოსდაბოლოს, თუ ის არჯევანიძე ასეთი ვაჟკაცია, მისთვის უკეთეს მოადგილეს რატომღა ეძებთ? არა, არა, კახაბერ! ნუ განაწყენდები. ეგ შენი ბოლო არგუმენტი აქ არაფერ შუაშია. ახლა ქალბატონ ზეინაბს მოვუსმინოთ.

□ გაგრძელება იქნება □

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალი ისაევ-ავარსკი

## ჩემი დაღესტანი

გადაჭიმვია ცა აულებს,
როგორც მუშამბა.
მზის სხივს სარკმელთა უპეები
ამოუშამბავს.
კლდის ჩარჩოებში ჩაუხატავთ
თითქოს სახლები...
შორს არწივები ვეება ფრთებს
ძლივს მოარხევენ
და მძლავრ სიმღერად ქედებს შორის
ისმის ნარხევი...
დაღესტანია მშვენიერი
მისი სახელი!..

მე აქ პირველად მწვერვალების
სუნთქვა შევიგრძენ,
მარად და მარად რომ ილტვიან
უკვდავებისკენ.
გზა არ თავდება.. არ თავდება
თვალსაწიერი,
ამ სიშორეში სხვაგვარი აქვს
მთასაც იერი...
გრიგალი ჰკოცნის კლდეთა ქიმებს
ნისლში აღერილს,
დაღესტანია — მშვენიერი
მისი სახელი!..

მე აქ პირველად ყვავილივით
მოვწყდი დედის მკერდს,
სასწორი ჩემი დაიზნიქა
მოწყინებისკენ...
მაგრამ მთის წყარომ მაგრძნობინა
ძალზე მზრუნველი,

მე სხვა სიამის, სხვა სიკეთის
არ ვარ მსურველი.
აქვე მომესმა სიტყვა იგი
ცისკრის გამხსნელი, —
დაღესტანია მშვენიერი
მისი სახელი.

მამაცურ საქმეს მამაცური
შებმა სჭირდება.
იქ უნდა გაჩნდე, სადაც მოძმეს
გაუჭირდება.
თუკი შენს სოფელს არწივების
საბუდარს ხმობენ,
შენც არწივული შემართებით
დაუდექ სოფელს.
აქ ვეზიარე ამ სიბრძნესაც
კვირტში გამხელილს,
დაღესტანია — ხმამაღალი
მისი სახელი!..

დიახ, ამ სიბრძნემ გამოაწრთო
მთაც და მთიელნიც
და იმ დროს, როცა კარს მოგვადგა
გადამთიელი,
მამულის ძახილს შეუერთდნენ
ჩვენი მოყმენიც,
რომ სამუდამოდ აღგვილიყო
მტერი ოხერი.
ვინ იყო იგი — სხვებთან ერთად
რისხვის მწარღვნელი? —
დაღესტანია ვაჟკაცური
მისი სახელი!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთებს იმ მრისხანე დღეთა ხსოვნას
რა დაავიწყებს:
აგერ, ჭაბუკი იფიცება
მამა-პაპის ძვლებს,
რომ დაიმშვენებს ჯარისკაცის
მაღალ ღირსებას
და მტერს ამ მთების დანახვაც კი
არ ეღირსება...
მერე წარმოსთქვა ერთი სიტყვა,
სისხლის ამმღვრევი, —
დაღესტანია, სათაყვანო
მისი სახელი!

თუ დავეცეო, — უჩურჩულებს
ვაჟი მთიელ ქალს,
ეს ჩემი სულიც ჩემს ამაყ მთებს
მაშინ, მიერთვას,
როგორც სინათლე შენი ხსოვნით
გაბრწყინებული...
ამაზე წმინდა სახსოვარი
არც კი მეგულვის,
თუ ჩემს სიტყვაში იდუმალი
ისმის ნაღველიც, —
დაღესტანია მშვენიერი
მისი სახელი!..

მაგრამ, ძვირფასო, ვიდრე გული
ჩაქრება მკერდში,
იმ წყაროს წყალი მომიტანე
პაწია პეშვით,
გამშრალ ბაგეზე დამასხურე..
და იმავ წამში
მე წამოვდგები, არწივივით
ფრთებს ისევ გავშლი,
რომ თვალი მოვკრა ჩემს აულებს
ნისლში აღერილთ, —
დაღესტანია მშვენიერი
მისი სახელი.

მე აქ პირველად მწვერვალების
სუნთქვა შევიგრძენ,
მარად და მარად რომ ილტვიან
უკვდავებისკენ;
აქ შევითვისე მთიელების
მკაცრი ბუნება, —
ნაღდი მთიელი არც ტყდება და
არც ილუნება!..
აქ ვეზიარე ჩემს სიყვარულს
კვირტში გახელილს, —
დაღესტანია ხმამაღალი
მისი სახელი!..

ავარიულიდან თარგმნა
ოთარ შალამბერიძემ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვალერიან კანდელაკი

# გრძელი დღე

მოქმედი პირები:

ლაშა ლოლაძე
ნინო ლოლაძე
თენგიზ ლოლაძე
ჯანგიძე
ჯაბნიძე
ევგენი კიკილოვიჩი
ქსენია ექთანი
მთავარი ექიმი
ლეიტენანტი
ზაქარია ციცაგი
ლოლაჯიშვილი
კიკაბიძე

## პირველი მოქმედება

### სურათი პირველი

ბინა მაღალსართულიან სახლში. ღია ფანჯარაში ამწე ოკანის გიდელზე ლაშა გამოჩნდება. ჩემოდანი და ზურგჩანთა ოთახში შემოჰყარა. ფანჯარაზე გადმოაბიჯა და რაფაზე ჩამოჯდა. ღიღინებს.

ლაშა. სხვებს ფანჯრიდან მიაქვთ, მე მომაქვს.. .დედიკო და მამიკო, აბაჟური შეგიძენიათ, სკამები გიყიდიათ. ერთი სიტყვით, ჩაწოლილი საქონელი გაგისაღებიათ.

(ტელეფონის ზარის ხმა. ყურმილს დაწვდება).

თენგიზის ხმა. ჩამოვიდა?

ლაშა. (ხმას შეიცვლის) დედა ენაცვალოს, მერე როგორ ჩამოვიდა: დაკაცებული, დამშვენებული, ქილვაშებით, ბაკი-ბუკებით. (ლაშას არც ქილვაშები აქვს და არც რაღაც ბაკი-ბუკები).

თენგიზის ხმა. რომელი ხარ?

ლაშა. ლაშიკოს დედიკო ნინიკო ვარ.

თენგიზის ხმა. ბიჭო!..

ლაშა. მამიკო!..

თენგიზის ხმა. ყოჩაღ ბიჭო, დედაშენს დამსგავსებიხარ, რა ჩამოიტანე?

ლაშა. მაისურები, ტრუსები, გადასაყრელი წიგნები — ყველა საგანი ჩავაბარე.

თენგიზის ხმა. ჩინებულია.

ლაშა. ნაღდი საქმეა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თენგიზის ხმა. დედაშენს სთხოვე.

ლაშა. არ დამხვედრია.

თენგიზის ხმა. კარი ვინ გაგიღო?

ლაშა. მონტიორებმა ამწე ონკანით ამომიყვანეს, შენს მხარეზეა მუშათა კლასი. მიცნეს, მიცნეს!..

თენგიზის ხმა. კიდევ რა იცი?

ლაშა. მოყვარული შოფერი ვარ, წიგნაკი ჩემოდანში მაქვს. მოტორი — ხუთიანი, მოძრაობის წესებში — ოთხი!

თენგიზის ხმა. მოძრაობის წესებში ჯობდა ხუთიანი. დამელოდე.

ლაშა. გელოდები. (ყურმილი დასდო, სუფრას გახედა) ესეც საუზმე... ჯერ თავს მივხედო.

(ხალათს იხდის ჰაერში კრივის რამდენიმე ილეთი გაითამაშა. გადის. სადარბაზოს მხრიდან ნინო გამოჩნდა, სანოვაგის ჩანთით ხელში. ბარგს თვალი მოჰკრა).

ნინო. დედა გენაცვალოს, ბიჭო, ლაშა, ლაშიკო!... (გადის)

ლაშას ხმა. ჰო, ჰო, ორი თვით ჩამოვედი, კოცნას მოასწრებ. (ტელეფონის ზარის ხმა, 3-ჯერ. გამოჩნდა ლაშა, პირსახოცით, ყურმილი დაწვდა, სასულე ორკესტრის ხმა ისმის).

ნინო. ღმერთო ჩემო, ალბათ, თენგიზი რეკავდა.

ლაშა. ჩუ, იცის... მიყვარს სასულე ორკესტრი. (ბოლომდე მოუსმინა) ალბათ, ცისია რეკავდა.

ნინო. ვინ ცისია, ბიჭო?

ლაშა. ჩემი საცოლე. მოგეწონება, ნაზი, წერწეტი. სამი დღეა აქ მელოდება, დეიდამისთან.

ნინო. შეატყობინე.

ლაშა. ტელეფონი არა აქვთ, კირის ქარხანასთან ცხოვრობენ. ჩემი დაიკო? (გასძახებს) მანანა!..

ნინო. გუშინ გავამგზავრეთ არტეკში.

ლაშა. დიდებულია, მეზობლის პიანინოსაც დაუსვენია. (ჩემოდანს გახსნის) ეს სუნამო, ჩემგან საჩუქრად.

ნინო. მადლობთ.

ლაშა. ხილაბანდი მანანას, გეოგრაფიასაც ზედვე ისწავლის. ესეც სავარცხელი, მამიკოს ჩემგან საჩუქრად, მამასთან ახლა ბევრი საქმე მაქვს.

(ქუჩიდან მანქანის დამუხრუჭების ძლიერი ხმა შემოვარდა) ავარიააა!..

ნინო. არა, მწვანედან პირდაპირ წითელზე მუხრუჭდებიან.

ლაშა. რამ ათქმევინა — ცხვრებმა შეჭამეს ადამიანებიო.

ნინო. ვინ თქვა?

ლაშა. თომას მორმა თქვა. მანქანები ნთქავენ ქვეყანას, აი ნახავ, სულ მალე ქუჩაში ცხვირს ვერ გამოჰყოფ. შენმა შვილმა მოყვარული მძღოლის წიგნაკი აიღო. (წიგნაკი გადააწოდა) შოფერი ვარ! ესეც მატრიკული — შვიდი ჩათვლა, ოთხი ფრიადი და ერთიც სამიანი.

ნინო. (მატრიკულში ეძებს) სამიანი რა საგანში, ბიჭო?

ლაშა. პოლიტეკონომიაში. „როდის დაემხობა ძირმომპალი კაპიტალიზმიო", მკითხა ლექტორმა. წითელ პარასკევს! — ვუპასუხე მე. გადი კარში, — ბრძანა ლექტორმა. მატრიკული მესროლა. გადავშალე, ჩავხედე. კარგად დააკვირდი, ხუთიანის თავი წინ გადმოუგრეხია და გადმოუსამებია. დამთხვეული, ჯერ ნიშანი დამიწერა, ბოლოს მომცა ის კითხვა... ის კრეტინი...

ნინო. ვინ ბიჭო?

ლაშა. ჩემს სტიპენდიას ახლა კითხვის ნიშანი უზის. იმ.. კარგი არ ვიტყვი. (წაუმღერებს. მანქანის ხმა).

ნინო. მამაშენი!

ლაშა. (ნინოს ჰაერში აიტაცებს) ყველა დედას გაუმარჯოს!... ახლა კი ფრთხილად, ბატონო თენგიზ, მე არც თუ ისეთი ლირიკოსი ვარ. (წიგნის კარადიდან ორი წყვილი კრივის ხელთათმანი გამოიღო, ერთი წყვილი თვალსაჩინო ადგილას დასდო, მეორე წყვილი ხელებზე სწრაფად გაიკეთა, მიიმალა). შენ არაფერი ანიშნო, თვითონ მიხვდება. (ნინო გადის).

ეროვნული ბიბლიოთეკა

### შემოდის თენგიზი

თენგიზი. მესამე კურსელო, ჰაუ!..

ლაშა. მეოთხეზე გადავედი!..

თენგიზი. აბა უფრო მაგრად მოგხვდება. (პიჯაკი გაიხადა) ვნახოთ, ამ სამ თვეში რა შეგემატა. (ხელთათმანს მოირგებს) გამოდი!..

ლაშა. გამოვედი, ოსტატო...

თენგიზი. არის... (ორჯერ ზედიზედ მოუქნევს).

ლაშა. პასუხი...

თენგიზი. პირი დამუწე... მკლავი გამართე.

ლაშა. მოგხვდა...

თენგიზი. ესეც, ერთი... ორი!..

ნინო. (თეფშებით ხელში) ფრთხილად აბაყური!... სუფრა, სკამი. წინ, უკან, გეყოფათ!

ლაშა. ჰო, ჰო...

თენგიზი. კარგია, ყოჩაღ...

ლაშა. შენც არა გიშავს...

(ხელებს მაღლა ასწევენ, ერთმანეთს გადაეხვევიან, ხელთათმანებს კუთხეში მიჰყრიან) შენთან საქმე მაქვს.

თენგიზი. რამდენიც გენებოს.

ლაშა. პირველი. ჩამოწერილი მანქანა უნდა მიშოვო.

თენგიზი. ჩამოწერილი?...

ლაშა. სულ იაფია, ოღონდ ძარა ჰქონდეს, ბორბლები, მოტორი, საჭე, ღერძი. დანარჩენს მე ავაწყობ, დავაწყობ.

თენგიზი. შენ შეაკეთებ?

ლაშა. შოფერი ვარ.

თენგიზი. თანაც მოყვარული.

ლაშა. ცისია შეღებავს.

თენგიზი. ვინ ცისია?

ნინო. საცოლე.

ლაშა. ჩემი საცოლე.

თენგიზი. ჰო, ჰო, საცოლე, მომილოცავს.

ლაშა. ქუ.... პპი!.. საქართველოს გზებზე! (ქართული საგზაო სიმღერის რამდენიმე ფრაზა იმღერა) სომხეთის გზებზე!... (სომხური საესტრადო წაუმღერა) აზერბაიჯანი! (აზერბაიჯანული კლასიკური ბაიათი წაუმღერა) დიდი რუსეთი!.. „ეი, უხნემ“ (მამა შვილებთან ერთად მღერიან) გერმანია!.. (გავრცელებულ მსუბუქ სიმღერას წამოიწყებს).

თენგიზი. ნუ ახალტურებ. (ერთად მღერიან. ნინომ, ლანგარით ხილი შემოიტანა). ასე, ამგვარად, ჩამოწერილ მანქანით ევროპა შემოვიარეთ. დაჯექი.

(სუფრას მიუსხდნენ)

ლაშა. ჩამოწერილ მანქანაზე — უარი, ინსტიტუტის დამთავრებამდე მაინც.

თენგიზი. გაგიმარჯოს.

ლაშა. გმადლობთ. ახლა ერთი უცაბედი საქმეა, შენი მანქანა უნდა მათხოვო, სულ ერთი საათით.

თენგიზი. ჰამე.

ლაშა. გმადლობთ. სულ ერთი საათით, ცისია მელოდება, გავასეირნებ.

თენგიზი. რას გააჭიანურეთ, შეირთე.

ლაშა. სტუდენტები ვართ.

თენგიზი. ძალიან კი თავი შემაცოდე, ჩვენც სტუდენტები ვიყავით, როცა დავქორწინდით.

ლაშა. ჰოდა, შევირთავ.

თენგიზი. გაგიმარჯოს!

ლაშა. გმადლობთ.

თენგიზი. დედაშენს ვეუბნები.

ლაშა. ჰო, დედაჩემო!.. ჩქარა მანქანა, სული მელევა.

თენგიზი. სხვისი მანქანით მოვედი, მძღოლი არა მყავს. ეს ერთი...

ლაშა. მძღოლი რად მინდა, შოფერი ვარ! აჰა, წიგნაკი.

თენგიზი. მეორე, ჯერ ის მძღოლი არა ხარ, რომელსაც საჭეს ენდობიან. ტაქსის ფულს მოგცემ, ორი მანეთი გეყოფა, პატარა ქალაქია, ცხრამეტ კილომეტრზე მეტს ვერ გაივლით.

ლაშა. თქვენთან ტაქსი გაიაფებულა.

თენგიზი. ნამდვილად, ექვსი ტაქსისტი მოვხსენით, იმ წინა კვირას, და მათი უფროსიც...

ლაშა. და ამით „ტაქსომოტორის“ პარკში წესრიგი დამყარდა?

თენგიზი. და ასე თანდათანობით.

ლაშა. ახალი ცოცხი ხარ.

თენგიზი. კაცი თუ ცოცხსა ჰგავს, ახალიც უვარგისია.

ლაშა. ვაშა, მამაჩემმა ანდაზა შეთხზა. შოფერი ვარ!..

(ტელეფონის ზარის ხმა).

ნინო. გისმენთ. დიახ... ლაშა, შენ გეძახიან.

ლაშა. ლაშა ვარ, ლოლაძე. ოო, ბატონო გაიოზ, სწორედ სულზე მომისწარით, მანქანა მჭირდება, სულ ერთი საათით. საცოლე მელოდება, სულ ერთი საათით, არხეინად ბრძანდებოდეთ. შოფერი ვარ!..

გაიოზის ხმა. ჩემი თხოვნა თუ გადაეცით?

ლაშა. ეს წუთია, რომ სახლში შემოვიდა, ვეტყვი. მალე მოხვალთ?

გაიოზის ხმა. მალე. (ლაშა ყურმილს ფრთხილად დადებს).

ნინო. ვინ ბატონი გაიოზია?

ლაშა. ძალიან კარგი ბიჭია. ბიჭი კი არა — ექიმი, ახლა დაამთავრა. კინალამ წითელი დიპლომი მიიღო. წინა კვირას სადილზე დამპატიჟა. ერთი სიტყვით, თბილისიდან პირდაპირ მანქანით ჩამოვედით.

ნინო. მანქანით, გესმის თენგიზ?

თენგიზი. როგორ არ მესმის, მანქანით.

ლაშა. გაიოზის მანქანით, იცით რა ზრდილობიანი ბიჭია, წესიერი. როგორ არ იცით, მამამისი „წ-კ"-ა.

თენგიზი. რა „წ-კ" ბიჭო?

ლაშა. წევრ-კორესპონდენტი, მგონი, სოფლის მეურნეობის დარგში. სახლში ღვინის და კონიაკის კოლექცია აქვთ. ერთი სიტყვით, პროტექტორი ვარ. მეძნელება, მაგრამ სიტყვა მივეცი.

თენგიზი. ვის მაგიერ შეპირდი?

ლაშა. ცხადია, მამიკოს მაგიერ, მოკლედ რომ გითხრა, გაიოზი რაიონში გაანაწილეს, აქედან შორორს, ოცდაათ კილომეტრზე, ერთ მიყრუებულ სოფელში.

თენგიზი. მიყრუებულ სოფელში?

ლაშა. თბილისელი კაცისათვის ეს რა ქალაქია და, მერე აქედან სოფელი.

თენგიზი. რაო, როგორ ამბობ, თბილისელი კაცისთვისაო, ეს რა ქალაქიაო, მერე აქედანაო, კიდევაო, სადღაცაო სოფელიაო. რომელი ამბობს ამას, შენ თუ ის?..

ლაშა. ეს კი მეტისმეტია, შენ, მგონი, წინასწარ უარს მეუბნები, სიტყვას გამოეკიდე?!..

თენგიზი. სისულელეს!..

ლაშა. ბოდიშს ვიხდი, სწორი ხარ, მაგრამ ცხოვრების პრაქტიკა სხვას გვკარნახობს.

თენგიზი. მაინც რას? არამზადებს მიწაზე ფეხის დადგმა ეზარებათ კიდევ რას გვიკარნახებთ?

ლაშა. თეორიებს მოეშვი, რადგან შევპირდი აქ უნდა დარჩეს — ქალაქის საავადმყოფოში, ორდინატორად. შენ, ოღონდ ერთი წკრ, წკრ-დარეკე, თვითონ გადააჯგუფებენ, გადმოაჯგუფებენ, უბრძანებ?

თენგიზი. — შენ კარგად იცი, რომ მე იმ დაწესებულებაში არ ვმუშაობ, სადაც ბრძანებებს სწერენ.

ლაშა. მაგრამ შენ თუ დარეკავ!

თენგიზი. უფრო მეტსაც იზამენ. ვინმეს საპენსიო ასაკზე ორი თვე რომ აკლდეს, იმასაც არ დაინდობენ — გააგდებენ, და იმ შენს „წ-კ"-ს შვილს მიიღებენ.

ლაშა. ჰოდა ამიტომ გთხოვთ, მე და გაიოზის ოჯახი — დედა, მამა, დები, ძმები.

თენგიზი. რომ ვიღაც გააგდონ, გაამწარონ?!..

ლაშა. არა, უამისოდ.

თენგიზი. უამისოდ რაღა პროტექციაა, გესმის?

ლაშა. ჰოდა, ამ პროტექციაზე ტრიალებს მთელი...

თენგიზი. რა? რესპუბლიკაო, იტყვის, კი!..

ლაშა. ცხოვრება.

ბიბლიოთეკა

**თენგიზი.** კისერს მოუგრეხენ ამგვარ „ცხოვრებას“.

**ლაშა.** ეჰე, შენ ასე ფიქრობ, ალბათ, გადასწყვიტეთ კიდეც — მოისპოს პროტექციაო.

**თენგიზი.** რომელი დაპირება დაგვრჩა შეუსრულებელი, დამისახელე.

**ლაშა.** მე შენი რეფერენტი არა ვარ, რაც შევპირდი, ის გამინაღდე.

**თენგიზი.** (ნინოს მიუბრუნდება) ბე აღებული აქვს, მატარებლის მაგიერ გაითზის „ვოლგით“ იმგზავრა.

**ლაშა.** „ჟიგულით“.

**თენგიზი.** მე რატომ უნდა შემეძლოს საგზურის შეცვლა?

**ლაშა.** იმიტომ, რომ საგზურები უკანონოდ იწერება.

**თენგიზი.** რატომ ხდება ასე! (ნინოს) იქნებ შენ იცი?

**ნინო.** მე რას მერჩი.

**ლაშა.** მე ვიტყვი: უმოძრაოდ ზის, ბიუროკრატი სავარძელში ზის, მანქანაში ზის, ოჯახში ზის, ტელევიზორთან ზის, დალპა! აბა დამისახელე ერთი კაცი მაინც, თანამდებობის პირი, რომ ჩოგბურთის კორტზე ჩოგანს იქნევდეს, ჰიპოდრომზე ცხენს აჭენებდეს, ბოლოს და ბოლოს, ველოსიპედზე გადამჯდარი მიიჩქაროდეს, ჰოდა, დალპა!

**თენგიზი.** ვიღას არ ვაკრიტიკებთ.

**ლაშა.** ვის აკრიტიკებთ? — პენსიონერებსა და მიცვალებულებს. არა, მიპასუხე, ამ ქალაქში ჯერ ვინმეს გაუკრიტიკებიხარ?

**თენგიზი.** ბიჭო, ლაშა...

**ლაშა.** რა, ხელქვეითებს აკრიტიკებ — ეს ვიცი. შენ ვინ გაკრიტიკებს? არავინ. მერე, იმ ერთი სინდისით გინდა იარსებო? უმოძრაობით სინდისიც ცვდება, ქონი ედება, შენც ის დღე მოგელის, რაც ყველა ბიუროკრატს.

**თენგიზი.** გამაკრიტიკეთ, მე პასუხები მაქვს, გნებავთ დილამდე მეკამათეთ, არ მეშინია.

**ლაშა.** სპილოს დაემსგავსები, გახსოვს, თერძმა ხორთუმზე რომ ნემსი უჩხვლიტა.

**თენგიზი.** (პიჯაკს იცვამს) ბარემ ისიც გაიხსენე, რატომ უჩხვლიტა: ვილაცაზე გაბრაზებულმა თერძმა უდანაშაულო სპილოზე იყარა ჯავრი. სპილო ჭკვიანია, შენ წარმოიდგინე, სამართლიანიც.

**ლაშა.** გაუმარჯოს სპილოს! არ გეწყინოს, მამა.

**თენგიზი.** არც შენ გეწყინოს.

**ლაშა.** მე რა უნდა მეწყინოს?

**თენგიზი.** უარით რომ გაგისტუმრე შენ და შენი „წ-კ“.

**ლაშა.** ვნახოთ.

**თენგიზი.** წავედი. წესრიგის მუშაკებთან თათბირი მელოდება.

(ქუჩიდან მანქანის დამუხრუჭების ხმა შემოვარდება).

**ლაშა.** აი შენი წესრიგი, დედაჩემს ნერვები მოუშალეს.

**თენგიზი.** ყველა შუქნიშანი ხვალ გასწორდება. ჰა, ტაქსის ფული...

**ლაშა.** არა, გმადლობთ.

**თენგიზი.** ნუ გრცხვენია.

**ლაშა.** თუმანი ჩამომყვა, მეყოფა.

**თენგიზი.** დაამატე. საცოლე ბიჭი ხარ, გამოგადგება. (ორი მანეთი მისცა).

**ლაშა.** გმადლობთ. ცოტა მეტი ჭაღარა რომ გქონდეს, ქალაქის მამად გამოდგებოდი.

**თენგიზი.** ჭაღარა — ტრადიციაა. ინფორმაციების საუკუნეში ნიჭი, ცოდნა და ზრდილობა კმარა.

**ლაშა.** ზრდილობაო?

**თენგიზი.** ზნეობა!..

**ლაშა.** ოოო, ზნეობა! ჯერ უნდა მოიხნას ის ზნეობრივი მინდორი, მერე უნდა დაითესოს, მერე გაიმარგლოს და ამოჟუჟუნდეს; მანამდე ,იმ ზნეობრივი მოსავლის აღებამდე, შენი ტკბილი ხმით ბრძანე: „წ-კს“ შვილი დაინიშნოს ორდინატორად.

(თენგიზმა ნინოს გადახედა).

**ნინო.** იქნებ უმტკივნეულოდ შეიძლებოდა.

**თენგიზი.** ჩემო ძვირფასებო, თავის დროზე გამოგიცხადეთ, — ნუ გიხარიათ, რომ... როგორც არის...

**ლაშა.** რომ ქალაქის პირველი კა-

ცი ხარ, და ჩვენ, შვილები, ნათესავები და მეგობრები ვერაფერს ვისარგებლებთ.

თ ე ნ გ ი ზ ი. დიახ, მაგრამ როცა თქვენ გძინავთ, ეზოებში ნაგავს დავეძებ, რომ დილით ბუზმა არ შეგაწუხოთ.

ლ ა შ ა. შენს საქმიან კილოს ბუზების პოეზია აბუნდოვანებს.

თ ე ნ გ ი ზ ი. ის შენი „წ-კს“ შვილი დარწმუნებული ბრძანდებოდეს, რომ, როცა შენ, ჩემო კარგო, საგზურით ხელში, ცხრა მთას იქით, „გადაყრუებულ“ სოფელში გაგანაწილებენ, ჩიმართულება არ შეიცვლება. დიახ, ასე იქნება. (გადის).

ლ ა შ ა. (ოთახიდან გასულს მიაძახებს) ამ სისულელეს ის ჩემი „წ-კს“ შვილი არ დაიჯერებს, რადგან შენი რანგის არც ერთი შვილი გადაყრუებულ სოფელში არ მუშაობს!

ნ ი ნ ო. კარგი, გეყოფა. ხშირად ღამე არ სძინავს. გეგონება პოემას სწერსო. მამაშენი უფრო რთული პიროვნებაა, ვიდრე შენ ფიქრობ.

ლ ა შ ა. პიროვნება არ მიხსენო.

ნ ი ნ ო. ვითომ და, რატომ?!...

(მანქანის სირენის ხმა).

ლ ა შ ა. (სულ სხვა კილოზე) მოვიდა ის იდიოტი!..

ნ ი ნ ო. ვის ბიჭო?

ლ ა შ ა. „წ-კს“ შვილი. აბა რა ვუთხრა, რომ სინდისი საუკუნეების წინათ დაძრული ბორბალი გახლავს, და მამაჩემის ხელმძღვანელიც ის არის მეთქი, სიცილით მოკვდება!

(მანქანის სირენის ხმა) ჰა, მოვდივარ. დედა, იმ გაიოზას მანქანიდან გადმოვაგდებ და ცისიასთან მივფრინავ. (გადის).

ნ ი ნ ო. ფრთხილად ლაშა, ცისია აქ მოიყვანე და, ის გაიოზი თავის საჭესთან დასვი.

ლ ა შ ა ს ხმა. არხეინად იყავი.

(მანქანის დამუხრუჭების ძლიერი ხმა).

ნ ი ნ ო. ბარემ დაგვხოცეთ!

(სინათლე ქრება).

## ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐ

### ᲡᲣᲠᲐᲗᲘ ᲛᲔᲝᲠᲔ

თენგიზ ლოლაძის სამუშაო კაბინეტი. სკამები უწესრიგოდ დგას, თათბირი დამთავრებულა. საწერ მაგიდასთან სატელეფონო კომუტატორი „დ-კ 36“ მოჩანს. თენგიზი მიკროფონთან საუბრობს.

თ ე ნ გ ი ზ ი. ხუთები, სამიანი და შოფრის წიგნაკი ჩამომიტანა, ნაღდი ბიჭია. სრულ ოთხ საათზე შენთან ვარ. მეცხრე ელევატორი თუ ამუშავდა?

ხ მ ა ტ ე ლ ე ფ ო ნ ი დ ა ნ. გუშინ საღამოს.

თ ე ნ გ ი ზ ი. კარგია!

ხ მ ა ტ ე ლ ე ფ ო ნ ი დ ა ნ. მე მაინც ვფიქრობ, ტექნოლოგიური სპეციფიკა წინასწარ გაგაცნო.

თ ე ნ გ ი ზ ი. ძვირფასო ლევან, დღეს ცხოვრების მუშურ ყაიდაზე გარდაქმნის საკითხი დგას...

ხ მ ა ტ ე ლ ე ფ ო ნ ი დ ა ნ. ამასაც ახლავს ზოგი რამ, რაც წინასწარ უნდა იცოდე.

თ ე ნ გ ი ზ ი. კოლექტივთან ერთად, ხმამაღლა, ხმამაღლა!... არ იფიქრო, წინასწარ საუბარს უარვყოფდე. (სხვა ტონით) სწორედ ახლა მელოდებიან ისინი, რომლებსაც ყურში ვეტყვი, ჩუმად. გინდა დაგასწრებ?..

ხ მ ა ტ ე ლ ე ფ ო ნ ი დ ა ნ. მადლობთ.

თ ე ნ გ ი ზ ი. როგორც მუშათა წარმომადგენელს.

ხ მ ა ტ ე ლ ე ფ ო ნ ი დ ა ნ. არა, ყველამ თავისი ზიდოს.

თ ე ნ გ ი ზ ი. ოთხ საათზე შენთან ვარ. (ტელეფონი გადართო) თხოვეთ.

ქ ა ლ ი ს ხ მ ა. ახლავე...

(თენგიზმა სამი ტომი აკინძული. საქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეებისა კარადიდან მაგიდაზე გადმოაწყო.

შემოდიან ლაღლაჟა ჯანგიძე და უფერული ჯაბნიძე)

ჯ ა ნ გ ი ძ ე. კლავდიუს ჯანგიძე და მესამე კლასის იურისტი ელეფთერ ჯაბნიძე.

თ ე ნ გ ი ზ ი. ჯანგიძე და ჯაბნიძე, დაბრძანდით!

ჯ ა ნ გ ი ძ ე. (უარის ნიშნად, შინაურ კილოზე) გმადლობთ, ამხანაგო თენგიზ. გაოფლიანებულ ცხენს ცოტასაც გაატარ-გამოატარებენ. გვაჭენებენ, ბატონო, გვაშენებენ.

(ჯაბნიძე თუ ერთ ადგილას დაერჭო, სამაგიეროდ ჯანგიძემ ბოლთას გაჰკრა).

თ ე ნ გ ი ზ ი. რატომ, ამხანაგო ჯანგიძე, მგონი კარგა ხანია მოსაცდელში მელოდებით, სული მოგვეთქვათ.

ჯ ა ნ გ ი ძ ე. სკამიდან უცებ წამოვიჭერით, ამხანაგო თენგიზ, ცხელა.

თ ე ნ გ ი ზ ი. (ფანჯარას გახედა) ოცდახუთი გრადუსია, ცელსიუსით. თქვენც გცხელათ?

ჯ ა ბ ნ ი ძ ე. პირიქით!

ჯ ა ნ გ ი ძ ე. ბედნიერი ვართ, ამხანაგო თენგიზ, ჩვენ უკვე ვგრძნობთ, რომ მოისპობა ყველა გადახრა. საკავშირო დაქვემდებარების ქარხნის დირექტორი რომ მოხსენით...

თ ე ნ გ ი ზ ი. (სიტყვა შეუსწორა) გავათავისუფლეთ.

ჯ ა ნ გ ი ძ ე. დიახ, შესძრა ქალაქი. პირდაპირ საოცარია, არავის საქმეში არ ერევით და ყველა საქმეს მეთაურობთ. (ჯაბნიძეს) რა ჰქვია, ბიჭო, ამისთანა წესებს?

ჯ ა ბ ნ ი ძ ე. კადრებთან დამოკიდებულების მეცნიერული საფუძვლები.

ჯ ა ნ გ ი ძ ე. (ერთხელ არჩეულ კილოზე) ეს ჰქნაო — ის ჰქნაო. თქვენს მხარეზეა ქალაქის მუშათა კლასი და ინტელიგენცია.

თ ე ნ გ ი ზ ი. ფორმა რატომ არ გაცვიათ?

ჯ ა ნ გ ი ძ ე. რა დაგიმალოთ, და უფორმოთაც მურვან ყრუს შეძახიან.

თ ე ნ გ ი ზ ი. ვინ მურვან ყრუა?

ჯ ა ნ გ ი ძ ე. ვინ და ის, დავითი და კონსტანტინე რომ აწამა, ვიღაც მამაძაღლი არაბის სახელი შემარქვეს. ბატონო, ჩემი რა ბრალია, კანონი და სამართალი თვითონ შეუბრალებელია და რა ვქნა, ვარ შეუბრალებელი!

თ ე ნ გ ი ზ ი. თქვენ, ამხანაგო ჯაბნიძე?

ჯ ა ბ ნ ი ძ ე. ეს რომ საქმეს გახსნის, მე იმ დამნაშავეს გველივით შემოვეხვევი, ვერსად გამიძვრება.

თ ე ნ გ ი ზ ი. არ შეიძლება ადამიანი ადამიანზე ასე ლაპარაკობდეს... ეს ტომები სულ გაუხსნელი საქმეებია.

ჯ ა ნ გ ი ძ ე. არც იმდენი, ბატონო თენგიზ.

თ ე ნ გ ი ზ ი. „არც იმდენი“, რა ციფრია?

ჯ ა ნ გ ი ძ ე. რა გიპასუხოთ, ბატონო ქალაქის ძველი უფროსობა...

თ ე ნ გ ი ზ ი. (შეაწყვეტინებს) მოეშვით ძველს, იგივე კანონები გვაქვს.

ჯ ა ნ გ ი ძ ე. მაგრამ ადამიანები?..

ჯ ა ბ ნ ი ძ ე. საკუთარ მე-ს კანონზე მაღლა აყენებენ!

თ ე ნ გ ი ზ ი. მერე, თქვენ ხომ პროკურორი ხართ?

ჯ ა ბ ნ ი ძ ე. მე ერთი ვარ! კანონს მთელი ქალაქი უნდა ზედამხედველობდეს, ყველა ტრიბუნა! დიახ, თავის დროზე ქალაქმა პირში წყალი ჩაიგუბა და, მე ერთს დამელო პირი — ნაცარტუტად მაქცევდნენ, ადვოკატთა კოლეგიაში ვიქნებოდი.. .გაგდებული.

თ ე ნ გ ი ზ ი. გაგდების რა მოგახსენოთ, მაგრამ ადვოკატად კი გადაგიყვანთ. ჩვენც ამას ვფიქრობთ.

ჯ ა ბ ნ ი ძ ე. მე წარმოშობით პროკურორი ვარ.

თ ე ნ გ ი ზ ი. როგორ თუ წარმოშობით?

ჯ ა ბ ნ ი ძ ე. ჯერ კიდევ სკოლის მერხზე, „სურამის ციხეში“ ვარდუას ბრალმდებლად გამოვდიოდი, ის დღე იყო და სულ მუდამ ბრალმდებელი ვარ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თენგიზი. დიახ, ამ ტომებშიაც ჩანს. გასულ წელს ერთი მოქალაქე უსაფუძვლო ბრალდებით დაგიპატიმრებიათ და მერე ის კაცი ზემდგომმა პროკურატურამ ძლივს გამოგლიჯა ხელიდან. ერთი სიტყვით, გადაგიყვანთ. ბრალდებულის ინტერესებს დაიცავთ, მის ტკივილებს მიხვდებით, ადამიანის სიყვარული გაგიჩნდებათ და მხოლოდ ამის შემდეგ დაუბრუნდით პროკურატურას.

ჯანგიძე. სწორია.

თენგიზი. თქვენ კი ამხანაგო „მურვან ყრუ"... (გაეღიმება, იცინის, ჯანგიძემ ხმამაღალი სიცილი აიტეხა) პენსიაზე.

ჯანგიძე. პენსიაზეო?!

თენგიზი. საუკეთესო ვარიანტია. უჰ, რა კარგი მუსიკა ისმის... (რადიო ჩართო. „აპასიონატას" მეორე ნაწილი რადიოს ჩართვამდე არავითარი მუსიკა არ ისმოდა). მოგწონთ?

ჯაბნიძე. ჩემი შვილი ფორტეპიანოს ფაკულტეტზე სწავლობს.

თენგიზი. დედამისს ალბათ მუსიკალური სმენა აქვს.

ჯაბნიძე. დიახ, როგორ მიხვდით?

თენგიზი. მე შეგეკითხეთ „აპასიონატა" თუ მოგწონთ-მეთქი.

ჯაბნიძე. დი-ახ.

ჯანგიძე. პენსიაზე?!.. .ასაკი ნებას არ მაძლევს.

თენგიზი. შევეცადოთ. ეს ერთი ტომიც საკმარისია. ავარიები!...

ჯანგიძე. ასე იცის მსუყე ცხოვრებამ, მთელი ქალაქი მანქანაზე ზის, მერე როგორ ზის, ის რაღაც ავტომოყვარულთა სკოლაა, იმის მომგონი რა ვთქვი, სულ დაგვღუპა, სტადიონის ბილეთივით არიგებენ ნებართვას.

თენგიზი. ბოროტმოქმედთა მეოთხედი კვლავ საჭეს მართავს.

ჯანგიძე. კი ბატონო, დაამტვრია, დაამსხვრია, გაიტანა და გაჰქუსლა.

თენგიზი. სად არის ავტოინსპექციის უფროსი?

ჯანგიძე. სამწვერა ნერვის ანთება აქვს.

თენგიზი. მწოლიარეა?

ჯანგიძე. ავაყენე და ახლა ქალაქში შუქნიშნების დადგმას ხელმძღვანელობს.

თენგიზი. ერთი სიტყვით, ასეთია ჩვენი აზრი, პენსია და ადვოკატურა. ხვალამდე დრო გაქვთ, მოიფიქრეთ. ნახვამდის. (ჯანგიძეს ხელი გაუწოდა, ჩამოართვა კიდეც, რომ ტელეფონის ზარი აჰმიანდა).

ქალის ხმა. (შეცბუნებული) ელაპარაკეთ.

კაცის ხმა. ამხანაგი თენგიზ ლოლაძე?...

თენგიზი. დიახ.

კაცის ხმა. თქვენ ბრძანდებით?

თენგიზი. დიახ, გისმენთ.

კაცის ხმა. ქალაქის მორიგე ავტოინსპექტორი ვახტანგ აბესაძე გელაპარაკებათ. ახლა, 14 საათსა და 23 წუთზე ბამბისა და უსახელო ქუჩების ჯვარედინზე სამწუხარო ავარია მოხდა.

თენგიზი. ავარია.

კაცის ხმა. ახალი მარკის „ჟიგულმა" გადასჭრა წითელი ხაზი და ფეხით მოსიარულე მოქალაქეს დაეჯახა.

თენგიზი. სამწუხაროა, მაგრამ მე რა შემიძლია?

კაცის ხმა. მანქანის საჭეს თქვენი ვაჟი მართავდა.

თენგიზი. ჩემი შვილი?!..

კაცის ხმა. დიახ.

თენგიზი. ხომ ცოცხალია?

კაცის ხმა. სრულიად უვნებელია, მხოლოდ დაზარალებული კვდება.

თენგიზი. დაზარალებული?!... რა ზომები მიიღეთ?

კაცის ხმა. პირველ საავადმყოფოში გავაგზავნეთ, ნიაშვილი სიმონ, სამოცდაექვსი წლისა.

თენგიზი. დამნაშავეს რა უყავით?

კაცის ხმა. მანქანაში ზის.

თენგიზი. მანქანაში?!.. მანქანაში...

კაცის ხმა. როგორ მოვიქცეთ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

თენგიზი. როგორ ექცევიან დამნაშავეს?..

კაცის ხმა. ჩვეულებრივად, აპატიმრებენ.

თენგიზი. ყველაფერი გცოდნიათ და, მე რაღას მეკითხებით, ადამიანის გული არა გაქვთ?!..

კაცის ხმა. ვფიქრობთ, ადამიანობამ მიკარნახა..

თენგიზი. რომ მამის ნებართვით დააპატიმროთ?!... დააპატიმრეთ!.. ხედავთ, ციხეშიაც პროტექციით გზავნიან, უნამუსობა ამაზე შორს გზას ვერ იპოვის.

ჯანგიძე. უკაცრავად. (მიკროფონს დაეპატრონება). ბიჭო, აბესაძე, მე ვარ...

კაცის ხმა. გისმენთ ამხანაგო უფროსო!

ჯანგიძე. (ვითომ საიდუმლო ტონით) მანქანას ნომრები ახსენი, სწრაფად. ხალხის თვალში ნომრები მოსპე. (თენგიზს) ვისი მანქანაა?

თენგიზი. არ ვიცი, ვიღაც „წ-კს“ შვილიაო, გაიოზი...

ჯანგიძე. (კვლავ მიკროფონთან) მეორე: მანქანა ეზოში ჩაკეტეთ და, მანქანის პატრონი საერთოდ არ მოიკითხოთ, პატიმარი ჩემს კაბინეტში მოათავსეთ, არავითარი დაკითხვა, ტელეფონი გამოუთიშეთ. სწრაფად.

კაცის ხმა. მესმის...

თენგიზი. ეს რა მანიპულაციებია?

ჯანგიძე. წინასწარ ხომ არ ვიცით რა ვარიანტს ავირჩევთ.

თენგიზი. ვარიანტები, ვარიანტები, ალბათ, ეს ტომი სულ ვარიანტებია. მას ახლა დაზარალებულის სიცოცხლე იხსნის. (ტელეფონი ჩართო) პირველ საავადმყოფოს დამაკავშირეთ.

ქალის ხმა. სახელდობრ, ვინ?

თენგიზი. მთავარი ექიმი, ქირურგი, თერაპევტი, ყველანი!..

ჯაბნიძე. (თითქოს თავისთვის, კოდექსიდან) „თუ ამას მოჰყვა დაზარალებულის სიკვდილი, ან მიიღო სხეულის მძიმე დაზიანება, ისჯება თავისუფლების აღკვეთის ვადით ორიდან ათ წლამდე“.. მაგრამ თუ ამის შედეგად დაზარალებულმა მიიღო სხეულის ნაკლებად მძიმე ან მსუბუქი დაზიანება... ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე ან გამასწორებელი...“

ჯანგიძე. გაჩუმდი!..

მამაკაცის ხმა. გისმენთ პირველი საავადმყოფოს მთავარი ექიმი.

თენგიზი. როგორ არის დაზარალებული?

მამაკაცის ხმა. ვინ დაზარალებული ბატონო თენგიზ?

თენგიზი. თქვენთან მოიყვანეს მოქალაქე ნიაშვილი, სამოცდაექვსი წლის, ავტოავარიის მსხვერპლი.

მამაკაცის ხმა. დიახ, ვიღაც მოიყვანეს, მანქანა დაეჯახაო.

თენგიზი. ჩემი შვილი მართავდა საჭეს.

ჯანგიძე. აუ, ეს რა თქვა...

თენგიზი. თქვენ, ახლა ჩემი ექიმებიცა ხართ და მსაჯულებიც, უნდა მიშველოთ.

მამაკაცის ხმა. ყველა ღონეს ვიხმართ, ბატონო თენგიზ, სიკვდილს გამოვგლეჯთ, სიცოცხლეს შევუნარჩუნებთ. მანამდე მკურნალ ექიმს მოუსმინეთ.

თენგიზი. ოღონდაც.

ევგენი კიკილოვიჩის ხმა. ბატონო თენგიზ, თქვენ გელაპარაკებათ პირველი საავადმყოფოს მთავარი თერაპევტი, განყოფილების გამგე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ევგენი კიკილოვიჩ ზონდიშვილი, უპირველესად ქალაქის მეცნიერთა სახელით მოგესალმებით. ვაშა! ჩვენ ბევრს მოველით თქვენგან.

თენგიზი. ავადმყოფი გადარჩება?

ევგენი კიკილოვიჩის ხმა. ვითარდება სისხლის ჩაქცევა ტვინში, ავადმყოფი ხანდაზმულია, ტრაგიკული მდგომარეობაა.

თენგიზი. საშუალებები?

ევგენი კიკილოვიჩის ხმა. სიმშვიდე, მყუდრო სავანე და მუსიკა!..

თენგიზი. სიმშვიდე, მყუდრო სავანე, მუსიკა... ახლა, კრიზისულ მომენტში?

ევგენი კ. მუდამ ჟამს.

ჯანგიძე. უკაცრავად. (მიკროფონთან) გენოია პროფესორო, მოვალ მანდ, გაგზაწრავ და, ასე შეკოჰილს ჩაგაგდებ მყუდრო სავანეში. იმისთანა მუსიკას დაგიკრავ, დილამდე სულ „ოვ დელიას" გაყვირებ, წესიერი პასუხები, ბიჭო!

ევგენი კიკილოვიჩის ხმა. ბატონო კლავდიუს..

ჯანგიძე. გაჩუმდი! საშუალება თუ იცი რამე?

ევგენი კ. „ტამაგონი—60".

ჯანგიძე. რაო, რაო?

ევგენის ხმა. „პრეპარატი ტამაგონი 60", იქნებ უშველოს, მაგრამ მე ფსიქოთერაპიის მომხრე ვარ.

ჯანგიძე. როდის ბიჭო?.. კაცს ტვინში სისხლი ჩაქცევია, რა დროს ფსიქოთერაპიაა, შე უბედურო. სადაური წამალია „ტამაგონი 60"?

ევგენი კ.
ამომავალი მზის ქვეყნისა.

ჯანგიძე. გენოია, ბიჭო, გენოია, მზე საიდან ამოდის, ეს ვიანგარიშო?! ახლა, ამ მდგომარეში, ბიჭო, მთავარ ექიმს გადაეცი ყურმილი. გესმის, მაგ გიჟი რაებს ბჟუტურობს?!..

მთ. ექიმის ხმა. რა ვქნა, ბატონო. ჩვენს ქალაქს რაც ჩინ-მედალი და ხარისხი გამოუყვეს, ყველა გენოიას ჩამოკიდეს.

ჯანგიძე. რა წამალია „ტამაგონი 60".

მთ. ექიმის ხმა. უებარი საშუალებაა.

ჯანგიძე. ქირურგს თხოვეთ.

ქირურგის ხმა. გისმენთ.

ჯანგიძე. თქვენ რას იტყვით?

ქირურგის ხმა. ოღონდ აქ არ იშოვება.

ჯანგიძე. თბილისში?

ქირურგის ხმა. ძნელად. (თენგიზმა ტელეფონი გადართო).

ქალის ხმა. გისმენთ.

თენგიზი. დაუკავშირდით თბილისს. მეოთხე სამმართველო — ორი ნომრით, მთავარი სააფთიაქო სამმართველო სამივე ნომრით. დავალება: თენგიზ ლოლაძეს „ტამაგონი—60".

ქალის ხმა. ახლავე.

თენგიზი. ამ შემთხვევაში თბილისი შორს არის, იქნებ კერძოდ გვეშოვა?

ჯანგიძე. სპეკულიანტთან?

თენგიზი. რაც გნებავთ ის დაარქვით, ოღონდ გვიშველოს.

ჯანგიძე. ახლავე. (ნომერს აკრეფს) მე ვარ. ნუსხა 071, ყველა კარტოთეკას გადახედე. სწრაფად.

მამაკაცის ხმა. ახლავე, ამხანაგო უფროსო.

თენგიზი. (ჯანგიძეს) მოსკოვში რომ გავფრინდე?

ჯანგიძე. თბილისამდე მატარებლით, მერე მოსკოვში, იქ შეყოვნდებით, უნაყოფოა.

ქალის ხმა. ამხანაგო თენგიზ, „ტამაგონი 60" თბილისს არა აქვს.

თენგიზი. სამწუხაროა...

მამაკაცის ხმა. ამხანაგო უფროსო, ნუსხა 071-ზე არავინ ირიცხება.

ჯანგიძე. მადლობთ, ტელეფონს ნუ მოშორდე. (თენგიზს) ქალაქში არც ერთი სპეკულიანტი არა გვყავს.

თენგიზი. მაშასადამე, იდეალურ ქალაქში ვცხოვრობთ. გჯერათ?

ჯანგიძე. არა, ერთხელ, ჩემმა ძველმა ნაცნობმა უებარი წამალი მიშოვა. (ყურში რაღაც ჩასჩურჩულა. იცინის) „ტამაგონიც" იმას ექნება. (ტელეფონთან) მისმენთ?

მამაკაცის ხმა. დიახ..

ჯანგიძე. ზაქარია ციცაგი გაგიგონია?

მამაკაცის ხმა. ფარმაცევტი.

ჯანგიძე. მე მალე დავბრუნდები, მანამდე ზაქარია ციცაგი დამახვედრე, მთელი თავისი წამლებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მამაკაცის ხმა. მესმის, ამხანაგო უფროსო!

ჯანგიძე. (ჯაბნიძეს) წადი, ის ზაქარია ციცაგი ცოტა ფრთხილად მოიყვანეთ, შარიანი კაცია.

ჯაბნიძე. ახლავე (გადის).

თენგიზი. პროკურორს ისე უბრძანებთ, თითქოს თქვენი ხელქვეითი იყოს.

ჯანგიძე. მე მოვაწყვე.

თენგიზი. პროკურორად?

ჯანგიძე. პროკურორად.

თენგიზი. საინტერესოა. საავადმყოფოში წავიდეთ, მთავარია დაზარალებული...

ჯანგიძე. სისულელეა.

თენგიზი. რა?

ჯანგიძე. რომ შეიძლება ყველა ზომები მივიღოთ, „ტამაგონი 60" ყლაპოს და მაინც მოკვდეს...

თენგიზი. მერე?

ჯანგიძე. თქვენი შვილი მკვლელი იქნება. მკვლელს ვერაფერი იპატიებს.. (თითქოს თავისთვის ანგარიშობს) შვილი ციხეში, თქვენ მკვლელის მამა... ამით არ მთავრდება, იმ ბავშვს...

თენგიზი. ის ბავშვი მეოთხე კურსის სტუდენტია...

ჯანგიძე. დედა ჰყავს, და!

თენგიზი. საცოლე...

ჯანგიძე. ყველას უნდა გამოემშვიდობოს, მერე იწყება ციხე, კოლონია:.. პატიმრის მამა, ჯერ ოჯახს მიხედეო, გეტყვიან... არა! სულ სხვა ცხოვრება იწყება.

თენგიზი. „ტამაგონი" ვიშოვოთ.

ჯანგიძე. (სხვა ტონით) მე, ჩემო კარგო, შემიძლია ჩემი სამსახური შემოგთავაზოთ.

თენგიზი. რა?

ჯანგიძე. სულ უბრალო სიუჟეტია. მანქანის საჭეს სხვა მართავდა!

თენგიზი. ჩემი შვილი გვერდით ეჯდა?

ჯანგიძე. არა, საერთოდ მანქანაში არ მჯდარა.

თენგიზი. გეგმა გამიშიფრეთ.

ჯანგიძე. თქვენ არაფერი არ იცით, ავტოინსპექტორმა რომ გაცნობათ, არც ის გაგიგონიათ, საავადმყოფოს ექიმებთან არ გისაუბრიათ. თქვენ არაფერი არ იცით.

თენგიზი. არა, მე დაწვრილებით უნდა ვიცოდე, მე მამა ვარ.

ჯანგიძე. ნება მომეცი შვილი გაჩუქოთ.

თენგიზი. შვილი?!..

ჯანგიძე. ყველა მანიპულაცია დღესვე უნდა დამთავრდეს.

თენგიზი. გეგმა...

ჯანგიძე. ვიყოთ გულახდილი, რადგან თქვენი ოჯახის ბედი წყდება: მე, პოდპოლკოვნიკობას ველოდები, თქვენ პოლკოვნიკის ჩინზე წარმადგენთ. სულ ეს არის.

თენგიზი. ვინ არის ის არამზადა ჩემი შვილის მაგიერ, რომ კისრულობს ამ მძიმე საქმეს?

ჯანგიძე. თქვენი დაზარალებული რომ მოკვდეს კიდევაც, ის არამზადა მაინც იოლად მოიხდის სასჯელს, მან ორი მოკლა.

თენგიზი. დიახ, მესამე ტომში დევს ერთი გაუხსნელი ავარია, სწორედ ორი ადამიანი იმსხვერპლეს იმ დღეს.

ჯანგიძე. მომეცით ხელი, ჩვენ სამუდამოდ მეგობრები ვართ. (ხელს გაუწოდებს).

თენგიზი. გაეთრიეთ!.. გაეთრიეთ!..

(ადგილიდან წამოიჭრა და გაქცეულს, რომ ველარ დაეწია, მაგიდაზე ერთ-ერთ ტომს წამოავლო ხელი და ჯანგიძეს ესროლა) თურმე რით გასძლო თხუთმეტ წელიწადს ერთ ქალაქში, ერთ ადგილას...

(მაგიდასთან დაჯდა. სახეზე ხელები აიფარა). შვილო ლაშა, რა ბევრი თავსატეხია, ბიჭო. რისთვის მინდოდა, ბიჭო, ეს ავარია...

(კედელზე მცირე ეკრანი. შავ ფონზე მაგნიტოფონის ბობინები ტრიალებს, თენგიზმა კნოპს თითი დააჭირა).

ქალის ხმა. გისმენთ.

თენგიზი. თბილისთან დამაკავშირეთ.

ქ ა ლ ი ს  ხ მ ა. ნომერი?

თ ე ნ გ ი ზ ი. შვიდციფრიანი. მესამე ფურცელზე ზემოდან პირველი... 99. 1... შემდეგ რა სწერია?... დიახ... (მბრუნავი ბობინები გამოიკვეთა. ისმის ხიმღერა, რომელსაც პირველ სურათში ლაშა და თენგიზი ასრულებდნენ.

მუსიკალურმა ცივმა ფრაზამ, სიმღერა შეწყვიტა. ბობინები შავ ფონზე ბრუნავს).

ქ ა ლ ი ს  ხ მ ა. ელაპარაკეთ.

თ ე ნ გ ი ზ ი. გმადლობთ. (სიბნელეში. ჯანგიძის სიტყვები ისმის);

— სულ უბრალო სიუჟეტია. მანქანის საჭეს სხვა მართავდა... თქვენ არაფერი არ იცით, ავტოინსპექტორმა რომ გაცნობათ, არც ის გაგიგონიათ, თქვენ არაფერი არ იცით... ნება მომეცით შვილი გაჩუქოთ. ყველა მანიპულაცია დღესვე უნდა დამთავრდეს. თქვენ პოლკოვნიკის ჩინზე წარმადგენთ. სულ ეს არის.

ხ მ ა  ტ ე ლ ე ფ ო ნ ი დ ა ნ. თენგიზ, როგორ ფიქრობ, გვაჯობებენ?

თ ე ნ გ ი ზ ი. არასოდეს!.. არასოდეს! (ოთახი ჩვეულებრივ სინათლით აივსო).

ქ ა ლ ი ს  ხ მ ა. ამხანაგო თენგიზ, ელაპარაკეთ მეუღლეს.

თ ე ნ გ ი ზ ი. ჩუ... გადაეცით, უკანა კარით გასულათქო.

ქ ა ლ ი ს  ხ მ ა. თქვენს ოთახს უკანა კარი არა აქვს.

თ ე ნ გ ი ზ ი. რაღაც მოიფიქრეთ, არ იცის რამდენი კარი აქვს. (კომუტატორი გამორთო) რა მალე შეატყობინეს. (მიკროფონს მიუბრუნდა) შოფერი გააფრთხილეთ, საავადმყოფოში მივდივარ.

ქ ა ლ ი ს  ხ მ ა. თქვენ ელექტრომექანიკურ ქარხანაში გელოდებიან. ოთხი საათი სრულდება.

თ ე ნ გ ი ზ ი. ჰო, დიახ, ქარხანაში!.. არა, მანამდე მოვასწრებთ, სულ რაღაც ხუთი წუთით. ოთხი, სამი წუთით მაინც.

(სინათლე ქრება).

## პირველი მოქმედება

### სურათი მესამე

„პალატა 7". კედელზე სურათი: თეთრ ცხენზე გადამჯდარი მუქსათვალიანი ამორძალი სიკვდილს ამარცხებს, ვითარცა წმიდა გიორგი დიოკლეტიანეს. ამორძალს კოკეტურად გახსნილი თეთრი ხალათი წამოუსხამს, შიშველი ტანი და ძუძუები მოუჩანს. თეთრი ნაზი თითებით ლახვარი უჭირავს, ესკულაპთა ემბლემა ზედ გვირგვინად აზის. გვერდით კედელზე, შავ ფონზე პლაკატი: „ჩვენი პალატა სიკვდილს დაამარცხებს". თეთრ ფონზე: „გაუმარჯოს სიცოცხლეს!".

შუა პალატაში ავადმყოფის საწოლი დევს. ავადმყოფს სახე არ უჩანს. არც ფეხი და არცა ხელი. მრავალი ზონდი უერთდება მის საწოლს. შვიდი ფერის კოლბა თუხთუხებს და ბუყბუყებს.

ცისფერი კოსმოსური ხომალდის მსგავსი ილუმინატორებიანი კორპუსი დაჰყურებს საწოლს, შვიდი ფერის ნაზი სინათლე იფრქვევა ირგვლივ.

ხმის დამჭერი ლოკატორების მსგავსი აპარატურა ბრუნავს საწოლის თავსა და ბოლოში. შოპენისა და ფალიაშვილის მუსიკის უნაზესი მელოდიებით გაივსო სივრცე. მერე ხორალი ჩაერთო.

შემოდის ევგენი კიკილოვიჩი, რუხი ფერის კრაველის ქუდი ახურავს, ცხვირზე სათვალე. გვიან გაზაფხულზე შილიფად, თეთრი ხალათი აცვა.

— ადექი, ადექი!.. — მღერის ქალთა გუნდი.

— გეყოფა ძილი, გეყოფა ძილი!.. — საყვედურობს ვაჟთა გუნდი.

— გეყოფა!.. გეყოფა!.. — დაასკვნა გაერთიანებულმა გუნდმა. ევგენი კიკილოვიჩი დირიჟორის მსგავსად რომ ხელებს შლიდა — მოიკუნტა, მუჭში მოაქცია მთელი ხორალი. კარდიოგრამის ფირი შეჩერდა, ნახაზი დასრულდა. გულის ფეთქვის ხმა ისმის მხოლოდ. მყუდრო სავანედ გარდაიქმნა პალატა.

(მთავარმა ექიმმა პალატაში თავი შემოჰყო).

მთ. ექიმი. (სიფრთხილით) გაინძრა?

ევგენი კ. მეორე სეანსს ვატარებ.

მთ. ექიმი. რა სეანსია?

ევგენი კ. მყუდრო სავანე! ჩ.. ჩ.. ჩ.. ჩ.. (ფეხაკრეფით ბოლთას სცემს) შენც, ...ჩ... შენც... სად არის ქსენია ექთანი?

მთ. ექიმი. შენს ექთანს მე მეკითხები?

ევგენი კ. მოვხსნი!

მთ. ექიმი. შენს ტყავში ჩაეტიე!..

ევგენი კ.. მთავრობის ავადმყოფია! ჩ-ჩ-ჩ... მთავრობის!... სანამ ვიძახო ჩ, ჩ, ჩ,?!

(სხვა ტონით) არასოდეს!... მეცნიერება საკუთარ ტყავში ვერ ჩაეტევა. აი ვინ არის „საკუთარ ტყავში".

მთ. ექიმი. კრიჭა გაუხსენი?

ევგენი კ. რომ მოკვდეს, შენ დაგაბრალებ.

მთ. ექიმი. რას დამაბრალებ?! მთელი ტექნიკა აქ შემოვზიდე, პალატა კი არა მუზეუმია, ლუვრი!... ერმიტაჟი!..

ევგენი კ. ქსენია ექთანი!!!

მთ. ექიმი. ჰო, კარგი, დამშვიდდი (გადის).

ევგენი კ. ექთანი!..

(ევგენი კიკილოვიჩმა ხელები გაასავსავა. პალატაში ყუმბარის აფეთქების ხმა გაისმა რამდენჯერმე. მერე, „კატუშას ცეცხლი" დატრიალდა, მეორე მსოფლიო ომის ეპიზოდი ჩართო მკურნალმა).

— დედუუუ!

(იყვირა ახალშემოსულმა ქსენია ექთანმა, სქელმა, სანდომიანმა და ენერგიულმა დედაკაცმა. ქსენია ექთანის ყვირილზე კანონადა შეწყდა).

— გადაირიე ბიჭო?!..

ევგენი კ. რატომ დაიგვიანე? შენ გელოდებოდი!..

ქსენია. ბიჩა!..

ევგენი კ. რა ბიჩა, ყოველ წუთს ველოდები თენგიზ ლოლაძეს.

ქსენია. ვიცი, და... ნუ გეშინია!

(თეთრი პიჯაკი გაიხადა, კედელზე ხალათი ჩამოხსნა, იცვამს).

ევგენი. კ. ეს არა, ის ჩაიცვი, ახალთ-ახალი, ღილებზე კარგად შეიკარი.

ქსენია. შეკვრა-შეხსნას მე ნუ მასწავლი.

ევგენი კ. აქ ყველაფერი სანიმუშოა, ხომ იცი ვისი ავადმყოფი მყავს.

ქსენია. როგორ არ ვიცი. საკუთარი შვილი ჩაუსვამს.

ევგენი კ. სხვებს რაღას უზამს.

ქსენია. კაცი ყოფილა, ჭეშმარიტად კაცი! თუ დააშავა, პასუხი აგოს, ყველამ თანაბრად.

ევგენი კ. თანასწორად.

ქსენია. აბა რევოლუცია რისთვის ვითავეთ! გაიგებდი რა მომხდარა ამერიკაში, ვიცე-პრეზიდენტს გადასახადი არ შეუტანია, მგონი ათი ათასი მანეთი.

ევგენი კ. (შეუსწორებს) დოლარი.

ქსენია. ჰოდა, ათი ათასი მანეთისთვის ის უბედური სამსახურიდან მოუხსნიათ და პასუხისგებაშიც მიუციათ, აბა!... პროკოფიე დადლარქულის ბიჭი ათი ათას მანეთს ერთ ალებაზე იჯიბავდა, ეუთხარი კიდეც, — ამდენ ქრთამს რომ იღებ, სინდისი რავა დაკარგე, მაქედან პარტიული გადასახადი მაინც შეიტანე მეთქი. შენც არ მომიკვდე, ხვადაგივით აჭიხვინდა.

ევგენი კ. „კოკარბოკსილაზა" შეუშვებით. „სტროფანტინი" გახსენი. (ექთანმა კოლბა გამორთო, მეორე ჩართო) სხვებს რომ ასამართლებ, შენიც გაიხსენე. მეორე საავადმყოფოში კი აღარა ხარ — პირველი საავადმყოფოა! მეტი წესრიგი და მოქნილობა გმართებს.

ქსენია. მე თუ მოქნილობა მაკლია, ზღვას ქვიშა ჰკლებია, გენოია პროფესორო!

ევგენი კ. (შეუსწორებს) ევგენი კიკილოვიჩ!..

ქსენია. კაი ერთი.

ევგენი. კ. მე გადმოგიყვანე!

ქსენია. ბევრს თუ გაამჭირებ, ჩემით წავალ, მეორე საავადმყოფომდე ავტობუსი დანიშნეს.

ევგენი კ. ადამიანო საავადმყოფოს წინ ცხოვრობ და მაინც აგვიანებ. ნეტა, როგორ ასწრებდი იმ სიშორეზე?

ქსენია. აბა, ბიჭო, აბა! მეორე საავადმყოფო შორსაათ და, ალბათ, სახლიდან ადრე გამოვდიოდი, ასეც ხდება, გენოია... კიკილოვიჩ!

ევგენი კ. შეიღირსე, თორემ დაგაბრუნებ, აღარ მოგბეზრდა იმ გიჟებში!

ქსენია. მეტს აღარ ვიზამ, დედას გაფიცებ!

ევგენი კ. დედას არა — ბებიას...

ქსენია. დედუ, რა ქალი იყო ცხონებული! სტალინგრადში გამგზავრების წინ ის იყო ჩემი პატრონი. სანიტარულ ბატალიონიდან რომ მოვვარდი, აქეთ ვეცი, იქით ვეცი, ეზოში აღარავინ დამხვდა. მეზობლებო! სტალინგრადში მივდივარ! ხალხო, სტალინგრადის ფრონტზე მივდივარ-მეთქი, ვწივლე და ვწივლე. — დედუ, შე უბედუროო, — იყვირა საცოდავმა ბებიაშენმა, გამოვარდა ეზოში, მეცა, გადამეხვია და გამამხნევა, — ქსენია, გოგო, ნუ გეშინია, ახლა, ერთი შენც ჩაუჩაჩქუნე იმ ფაშისტებს სტალინგრადში და მერე წელს ველარ აითრევენო...

ევგენი კ. (დამშვიდებული) მე სად ვიყავი?

ქსენია. საღამო იყო, შვიდი საათი, სად იქნებოდი, იმ წელიწადს მოეწყვე საექიმოზე, გენოია, ბებიაშენმა,— არიქა, ქსენიას ვუშველოთო, იმ გაჭირვების დროს, ერთადერთ ქათამს, საახალწლოდ რომ ეფერებოდა, თავი წააძრო, გაბდღვნა, გამობდღვნა. პრასის წნილი, ნახევარი ყველი ჯარისკაცის ჩანთაში ჩამიწყო და სტალინგრადში გამისტუმრა. იმ ქათმის გემო ახლაც მახსოვს, დედუ, რა ქათამი იყო!..

ევგენი კ. კარგი, კარგი, რამდენჯერ მსმენია, ბოლოს და ბოლოს რა ქათამი იყო ასეთი!

ქსენია. ბიჭო, იმ ქათმის გემოს შენ რას გაუგებ, ბიჭო, გაჭირვება არ გინახავს და ღმერთმა ნურც განახოს... (ავადმყოფის ლოგინზე თვალი შეუჩერდა) დედუ ,ამ უბედურს ამდენი მილი და ზონდი სად შეუყარე?

მთ. ექიმი.. (გამოჩნდა) მოვიდა.

ევგენი კ. თენგიზ ლოლაძე?!..

მთ. ექიმი. დიახ, ლოლაძე...

(ევგენი კიკილოვიჩმა ხელი აიქნია პათეტიკურად, „დაისის“ უვერტიურიდან ყველაზე მაღალი აკორდები გაისმა).

ევგენი კ. ხალათი!... არა, ხალათი მაცვია, ჩაჩი!..

(გამოჩნდა თენგიზი, მის უკან მთავარი ექიმი).

თენგიზი. (შეცბა, კედელს თვალი მოავლო).

მუსიკას ჩაუწიეთ. თქვენი ექსპერიმენტებია?..

ევგენი კ. დიახ. მე გახლავართ მედიცინის მეცნიერებათა...

თენგიზი. დიახ, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, თერაპიული განყოფილების გამგე ევგენი კიკილოვიჩ, და ასე შემდეგ...

ევგენი კ. რასაც ხედავთ, ეს ყველაფერი ჩემი სადოქტორო დისერტაციის პრაქტიკული ღირებულება გახლავთ.

თენგიზი. როგორ არის ავადმყოფი?

ევგენი კ. სუნთქავს, მაშასადამე, ცოცხლობს. არიტმია რიტმში დგება, ჟანგბადი — ლოკალში, ჟანგბადი — ჰაერში, ალბათ თქვენცა გრძნობთ და ლაღად სუნთქავთ. მთელი ტექნიკა მზად არის.. .პულტთან ქსენია ექთანი დგას: სტალინგრადის გმირული ბრძოლების მონაწილე კავალერი.

ქსენია. დედუ...

თენგიზი. (ქსენიას ხელს ჩამოართმევს, მთავარ ექიმს მიუბრუნდება) ქირურგმა რა თქვა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

მ თ. ე ქ ი მ ი. ქირურგი გაკვირვებულია. ავარიის შედეგად მან ვერც ერთი დაქექილობა ვერ აღმოაჩინა, რა თქმა უნდა, თუ არ ავღნიშნავთ მოშუშებულ განაკაწრებს, რომელიც მას თავის არეში აღმოაჩნდა და მომხდარ ავარიასთან, ცხადია, საერთო არა აქვს. დაზარალებულს აღმოაჩნდა, აგრეთვე, მიმქრალი სილურჯეები, რომელიც იმ დროინდელი უნდა იყოს, როცა მას თავის არე გაეკაწრა.

თ ე ნ გ ი ზ ი. მაშასადამე, მას მანამდეც განუცდია ავარია.

მ თ. ე ქ ი მ ი. სავსებით შესაძლებელია.

თ ე ნ გ ი ზ ი. მაგრამ საქმეს რა შველის?

ე ვ გ ე ნ ი კ. ყველაფერი რასაც მე ვაკეთებ.

თ ე ნ გ ი ზ ი. პლიუს „ტამაგონი 60"

ე ვ გ ე ნ ი კ. „ტამაგონ 60-ს" ვიშოვით, ბატონო თენგიზ.

თ ე ნ გ ი ზ ი. როგორ, რა გზით?

ე ვ გ ე ნ ი კ. (პათეტიკურად) ამ ცოტა ხნის წინათ, მილიციის მუშაკმა პროკურორის თანხლებით ჩვენი საავადმყოფოს ფარმაცევტი გაჩხრიკა. გული მიგრძნობს, რომ მას „ტამაგონი 60" აღმოაჩნდება.

თ ე ნ გ ი ზ ი. გაჩხრიკეს?!..

ე ვ გ ე ნ ი კ. მიაბრძანეს კიდეც.

თ ე ნ გ ი ზ ი. და ყოველივეს საზეიმო ტონით მეუბნებით, ეს ხომ მეორე ავარიაა?!... ადამიანის ღირსების შეურაცხყოფა უფრო მძიმეა, ვიდრე მანქანის ბორბლები გულზე!.. ო, ეს დათვები... ცირკის არენაზე გაწვრთნილი მლიქვნელი დათვი...

(საჩქაროდ გადის. (მცირე პაუზა).

ე ვ გ ე ნ ი კ. კაცის დაჭერამ შეაშფოთა?!

მ თ. ე ქ ი მ ი. (ყვირილით) გაჩუმდით მაინც!.. პროფესორო... (გადის).

ე ვ გ ე ნ ი კ. „ცე" ჩართე!... ლობელინი გამორთე. (გადის).

ქ ს ე ნ ი ა. (მანიპულაცია შეასრულა, მერე საწოლზე მიკრული კარტოთეკა ჩაიკითხა. ავადმყოფს დახედა სასწრაფოდ)

დედუუ!.. ეს ვინ მოუყვანიათ!..

(სინათლე ქრება)

## მეორე მოქმედება

### სურათი მეოთხე

სიღრმეში მუხის კარზე „უფროსი" იკითხება. სხვა სიტყვები არა ჩანს კარებს მიღმა ულტრათანამედროვე სიმღერას გიტარის, დოლისა და თეფშების ხმები ერწყმის.

— დაამტვრია, დაამსხვრია იქაურობა !— თქვა ლეიტენანტმა, იგი კარებთან მარჯვნივ მაგიდასთან ზის, წიგნს ჩაჰკირკიტებს. მარცხნივ. ძველ დივანზე სათვალიანი კაცი, ზაქარია ციცაგი ზის, სივრცეში იყურება, მუხლებზე საკვოიაჟი უძევს. რამდენიმე მილიციელი სიმღერის რიტმზე ირწევა. სიმღერა, ჩამთავრდა. წამიერი სიჩუმეა.

ლ ე ი ტ ე ნ ა ნ ტ ი. (თავაუღებლად). გასკდა ცალკე თავი, ცალკე ყურის აპკი.

I მ ი ლ ი ც ი ე ლ ი. ჰოუ, ბიჭო!...

II მ ი ლ ი ც ი ე ლ ი. არტისტია?

I მ ი ლ ი ც ი ე ლ ი. ჩუ... (ყურში ჩასჩურჩულებს).

#### ზარის ხმა

ლ ე ი ტ ე ნ ა ნ ტ ი. (თავაუღებლად) შედი!.. (მილიციელებმა ერთად მოინდომეს კარებში შესვლა) შენ, ერთმა!.. (ლეიტენანტი ციცაგს მიუბრუნდა) განათლება — საშუალო? უმაღლესი?

ც ი ც ა გ ი. ორივე (ლეიტენანტმა ჩაწერა, წიგნს მიუბრუნდა).

მ ი ლ ი ც ი ე ლ ი. არიქა, „ბორჯომი", „ბორჯომი" ჩქარა!..

ლ ე ი ტ ე ნ ა ნ ტ ი. (წიგნს თვალს არ აცილებს, მაგიდის ქვედა უჯრიდან ბოთლი გამოიღო) აჰა... მიართვი.

მ ი ლ ი ც ი ე ლ ი. ძველი ბიჭია (გადის).

ლ ე ი ტ ე ნ ა ნ ტ ი. დაბადების წელი?

ეროვნული

ციცაგი. საბჭოთა ხელისუფლების ხნისა ვარ.

ლეიტენანტი. ეს დადებითმა პირებმა უნდა თქვან.

ციცაგი. ჭაბუკო, რა ვქნათ უარყოფითებმა, თუ ჩვენც მაშინ დავიბადეთ.

ლეიტენანტი. უნდა გამოსწორდეთ.

ციცაგი. ჭაბუკო, ზომაზე მეტად დაგვიანებული პროცედურაა.

ლეიტენანტი. თქვენ, დეფიციტური წამლის გამო ხართ ეჭვმიტანილი.

ციცაგი. (სხვა ტონით) ეჭვი არის ზნე სკლეროზიანთა, აღუზრდელთა და მისთანათა.

ლეიტენანტი. (ნიშნის მოგებით) ოტელომ ეჭვით შეპყრობილმა მოახრჩო მშვენიერი დეზდემონა.

ციცაგი. კეთილშობილმა მავრმა თავი მოიკლა. შენი უფროსი, ცხადია, ამას არ იზამს.

ლეიტენანტი. არავითარ სიტუაციაში.

მილიციელი. (გამოჩნდა) ბიჭებო, რიგითებს გთხოვენ და ზედ ორი ბოთლი „ქინძმარაული" მოაყოლეთ.

(ღია კარებში სიმღერა მოისმა „ბოშათა ბარონიდან", მომღერალმა ფეხი მაგიდაზე შედგა).

ლეიტენანტი. შედით. ჰა, „მუკუზანი".

მილიციელი. „ქინძმარაული!" ო, რა ბიჭია!

ლეიტენანტი. „მუკუზანი". ეს ძეხვი, ესეც დაუმატე, დღევანდელი ულუფა მორჩა.

(გახარებული მილიციელები შედიან. კარი მიიხურა) პროფესია?

ციცაგი. ჯერ სამკურნალო ფაკულტეტზე ვსწავლობდი...

ლეიტენანტი. ექიმად მუშაობდით...

ციცაგი. ვსწავლობდი მეთქი. ჭაბუკო, სამედიცინო იურიდიული ფაკულტეტი ხომ არ გგონიათ, ჯერ რომ იურისტად მუშაობენ და მერე სწავლობენ. მე ფარმაცევტული ფაკულტეტი დავამთავრე.

ლეიტენანტი. ფარმაცევტი. (ჩასწერა) რატომ გამოიცვალეთ ფაკულტეტი? (წიგნს მიუბრუნდა).

ციცაგი. ადრე დავრწმუნდი, რომ მეცნიერებასა და ავადმყოფს შორის ექიმი უბრალო შუამავალია.

ლეიტენანტი. მაშასადამე, არ ისურვეთ შუამავლობა და, ამიტომ დაგიგროვდათ ბევრი წამალი?

ციცაგი. ჭაბუკო, ჩვენ გაცილებით სერიოზულ პრობლემაზე ვმსჯელობდით, ვიდრე წამლები ამ საკვოიაჟში. რას ჩაჰკირკიტებთ?

ლეიტენანტი. ურჯუმელაშვილის რომანი „ფერიცვალობა", წაკითხული გაქვთ?

ციცაგი. არა.

ლეიტენანტი. (ნიშნის მოგებით) გათახსირებულ ექიმებზე სწერს.

ციცაგი. ჭაბუკო, მანდ ერთი ექიმია, ის რასაც თქვენ ამბობთ, შეუსაბამობაა!

ლეიტენანტი. არ წამიკითხავსო, ახლა არა თქვით?

ციცაგი. ამას რა წაკითხვა უნდა, ყველა წესიერმა კაცმა იცის, რომ გათახსირებული ექიმები არ არსებობენ. მაგრამ ერთი ყველგან მოიძევა, ალბათ, თქვენთანაც, მილიციაში.

ლეიტენანტი. (ნდობით) ნამდვილად.

ციცაგი. ჰოდა, თქვენც იმ ერთ კურდღლის ტყავს მთელ რესპუბლიკაზე ნუ გადაჭიმავთ. მხოლოდ გლახაკებს სჩვევიათ რაღაც ფსიქოლოგიური განზოგადება, როცა ერთ მათხოვარს დაუცაცხანებენ, ცხადია, ეკლესიის ეზოში, ყველა მათხოვარი კრთის და ბუზღუნებს. ადამიანი გარე სამყაროზე რთული სამყაროა, ეს კარიერისტებმაც კი იციან, — მიმიღეთ უფროსად, — სწერენ ისინი. ხალხის ხელმძღვანელობა ეადვილებათ, ადამიანთან შეხვედრა კი ძმარავთ.

ლეიტენანტი. ვინაიდან საავადმყოფოში მომაკვდავი გველოდება,

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადავიდეთ საქმეზე. რატომ არ აღმოგაჩნდათ „ტამაგონი 60“?

ციცაგი. ჭაბუკო, აბსურდული შეკითხვაა. რატომ უნდა აღმომჩენოდა?

ლეიტენანტი. ჩვენი უფროსი თუ გვავალებს?

ციცაგი. ნათელი შუბლის კაცს არ გეკადრებათ სულელური დავალების შესრულება.

ლეიტენანტი. თქვენ ამაში დარწმუნებული ხართ?

ციცაგი. ისევე, როგორც თქვენ.

ლეიტენანტი. ბატონო ციცაგ, თქვენს დაკითხვას თქვენთან მეგობრობა სჯობს. მაპატიეთ. (საქაღალდე დახურა.

მუხის კარს მიღმა მგზავრულ კილოზე გუნდი ამღერდა)

აბლი ბაბლი, ოქროს ტახტი
მზით ავიდე, მთვარით დავდგი...
მოვიდა შავი მოზვერი,
წაიქცა მთელი სოფელი,
აბლი ბაბლი, ოქროს ტახტი...
მოვიდა თეთრი მოზვერი,
გააგდო შავი მოზვერი...
აბლი ბაბლი, აბლი ბაბლი...

(უფროსის ოთახიდან გახარებული მილიციელები გამოდიან) — გაჩუმდით!... (იყვირა ქორივით შემოჭრილმა ჯანგიძემ. მილიციელები ადგილზე გაქვავდნენ. ლეიტენანტი წამოდგა).

მილიციელები. გაუმარჯოს ამხანაგ პოდპოლკოვნიკს!...

— მაიორი ვარ!.. (ჯანგიძემ მხარზე ხელი დაირტყა)

მარცხნისაკენ, ნაბიჯით, იარ!..

(მილიციელები გადიან. ჯანგიძის გაქონილ სამხრეზე ნიშანი ძლივს ჰოჩანს).

ლეიტენანტი. საკუთარ კაბინეტში იჭვრიტებით?..

ჯანგიძე. ვინ გეკითხებათ, სადაც მინდა იქ შევიჭვრიტავ! როგორ არის?

ლეიტენანტი. ჭამს, სვამს, მღერის.

ჯანგიძე. (ორაზროვნად) ჭამოს, სვას და იმღეროს... სანამდე!.. ზაქარია ციცაგი?!. ა, ჰო — ზაქარია, კი!.. ამას რა უნდა აქ?! ვინ მოიყვანა!.. შენ გეკითხები.

ლეიტენანტი. როგორ?..

ჯანგიძე. სხვა ველარავინ მოსძებნეთ?! გამარჯობა ზაქარია, გახსოვს, ჩვენ სკოლის ამხანაგები ვართ.

ციცაგი. (მდგომარეობის შეუცვლელად) შენ ბოლო მერხზე იჯექი, როგორც ხნიერი.

ჯანგიძე. რას გაბრალებენ, ბიჭო?

ციცაგი. მაშასადამე, შენ ახლაც ის გაიძვერა ხარ, რაც იყავი იმ ბოლო მერხზე, როცა ორიანებით გავსებული საკლასო ჟურნალი ზღვაში გაუძახე და, — მე კი არა, იმან მოიპარაო, — სხვას გადააბრალე.

ჯანგიძე. შე კაცო, რამ გაგახსენა...

ციცაგი. მას შემდეგ არაფერი შეცვლილა, მერე იყო, კაცობაში ფეხი შედგი და, ბიძაშენს საკარმიდამო ნაკვეთი გაუყიდე...

ჯანგიძე. ნამეტანს ნუ შეტოპავ.

ციცაგი. კუდი ისე აგიწვეს, რომ აქედან გაქცეულმა ომში შეასწარ და ცეცხლში თავი გადაირჩინე. მაინც არაფერი შეცვლილა. საწყალი მამაშენი რა გამრჯე იყო — მიწის მუშა, ადრე მეცხვარე. გახსოვს მამაშენი?

ჯანგიძე. როგორ არ მახსოვს.

ციცაგი. შენს გამდიდრებას ვერ მოესწრო. ბიძაშენის საკარმიდამო... მერე სახლი გადააკეთე, მერე სულ გამოცვალე, მოჭედე. წლები გავიდა. ტიპიური განგსტერი ხარ. (ლეიტენანტს) ჭაბუკო, ამიტომ გეუბნებით, ხასიათები დიფერენცირებულია, ტიპი — თავისთავის რეაქციაა. (ჯანგიძეს) ხაზი უცვლელია უხსოვარ დროიდან, როცა საკლასო ჟურნალი მოიპარე. (ლეიტენანტს) ამიტომ გეუბნებოდით, ჭაბუკო, — ხალხი გარდაიქმნა, (ჯანგიძის მისამართით) ეს უცვლია, დიახ, ადამიანი რთული სიკეთეა .ერთი სიტყვით, „ტამაგონი—60“ არა მაქვს.

ჯანგიძე. მიბრძანდით!

ციცაგი. სად?

ჯანგიძე. სახლში!... სახლში!..

ეროვნული ...

ციცაგი. წვიმს. არც ლაბადა, არც ქუდი. პიჯაკი დამისველდება.

ჯანგიძე. სანამდე ფიქრობთ აქ ჯდომას?

ციცაგი. მანამ, სანამ წვიმს. მოგეხსენებათ, ჩვენს ქალაქში გაავდრება და გამოდარება ერთბაშად ხდება. ქალაქის სახურავზე რაღაც ფსიქოპათური შეიმჩნევა.

შემოდის თენგიზი

ჯანგიძე. მობრძანდით, ბატონო თენგიზ... (ყვირილით) კარები გააღეთ!..

თენგიზი. არა, ვაჟიშვილთან მე არ მოვსულვარ. პროკურორი გამოიძახეთ.

ლეიტენანტი. ახლავე. (მანიპულაციები ტელეფონის აპარატთან).

თენგიზი. სად არის ის მოქალაქე, „ტამაგონი—60“-თვის რომ გაგიჩხრეკიათ?

(მოქმედების მანძილზე ციცაგი პირველად ადგა).

ჯანგიძე. იცნობდეთ.

თენგიზი. ლოლაძე.

ციცაგი. ზაქარია ციცაგი.

თენგიზი. უფრო მყუდრო ადგილი შეგვირჩიეთ.

ლეიტენანტი. მობრძანდით.

(სინათლე იცვლება. კარებზე „უფროსი“ აღარ იკითხება. ჯანგიძე გაუჩინარდება).

თენგიზი. (ლეიტენანტს) კარჭაული, იუზა სიმონის-ძე, მგონი თქვენ ხართ. მილიციაში საიდან მოხვედით?

ლეიტენანტი. უნივერსიტეტის საგზურით.

თენგიზი. აქაურობას მიხედეთ. (ციცაგს მიუბრუნდა) დაბრძანდით.

ციცაგი. დიდი ხანია ვზივარ. ნება მომეცით, მუხლი გავმართო.

თენგიზი. ნება მომეცით მუხლი მოვკეცო. (დაჯდება) ელექტრომექანიკური ქარხნის საამქროებში ვიყავით, იქედან ავურის ქარხანაში, დღის პროგრამა გრძელდება...

ციცაგი. ის ერთი მიზეზიც კმარა.

თენგიზი. დიახ, ჩემს შვილს უცნაური შეემთხვა.

ციცაგი. მეც დამამწუხრა.

თენგიზი, ვიცი შეგაწუხეს, მგონი მოურიდებლადაც.

ციცაგი. თქვენ წარმოიდგინეთ, საკმაოდ გულგრილად.

თენგიზი. ახლა მთავარია დაზარალებული ვიხსნათ, „ტამაგონი—60“ სისხლის ჩაქცევას ამუხრუჭებსო.

ციცაგი. ვერ გეტყვით, სულ ერთი კურსი მაქვს. შემთხვევით პირზე მას ვერ გამოვცდი.

თენგიზი. ის თუ გადარჩა, ჩემი შვილიც გადარჩება.

ციცაგი. თქვენი შვილი იმითაც გადარჩება, რომ თქვენი შვილია.

თენგიზი. პატიმარია. დაზარალებულს თუ არ ვუშველე, ჩემი შვილი უნებლიე მკვლელი იქნება.

ციცაგი. უნებლიე მკვლელს სასამართლო აპატიებს.

თენგიზი. ცუდათ ვთქვი, საჭეს მართავდა.

ციცაგი. ეს სხვაა, მაგრამ ღირსია კი გადაარჩინოთ?

თენგიზი. შვილია.

ციცაგი. უბრძანეთ პროკურორს, გაუშვებს.

თენგიზი. ჩემი პროტექციით ჩასვეს.

ციცაგი. უამისოდაც შეიძლებოდა.

თენგიზი. ცხადია. ყოველ წამს მნიშვნელობა აქვს.

ციცაგი. მაგრამ ჩემგან წამალს ვერ მიიღებთ.

თენგიზი. (ადგება) ადამიანის სიცოცხლე გადავარჩინოთ.

ციცაგი. თვალთმაქცობაა. ადამიანის სიცოცხლეზე რომ გეზრუნათ, ქალაქის აფთიაქის ვიტრინებში „ტამაგონი—60“ ბლომად გვექნებოდა. მგონი არ ვცდები. (მცირე პაუზა) მაშასადამე, საკუთარ თავზე ფიქრობთ.

თენგიზი. მე მამა ვარ.

ციცაგი. რთული საკითხია. მამაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

გინდათ იყოთ და, ამავე დროს, მსაჯულიც.

თენგიზი. რატომ არ გეცოდებათ ადამიანი?

ციცაგი. რომელი?

თენგიზი. მომაკვდავი!..

ციცაგი. თქვენ ყველა მომაკვდავის მიმართ, რომ ასეთი ენერგიული იყოთ, ქვეყანაზე აღარავის გაუჭირდებოდა. (სავარძელში ჩაეშვა).

თენგიზი. ნამდვილად. მოეშვით ფილოსოფიას.

ციცაგი. (გამომწვევი ტონით) როგორ მოვეშვა, როცა ამ ფილოსოფიაზე ვდგევართ ორივე. ადამიანზე ზრუნვის ჭეშმარიტი აზრი თქვენ უნდა იგრძნოთ.

თენგიზი. დავუშვათ, მე ერთი საწყალი კაცი ვარ...

ციცაგი. (შეაწყვეტინებს) რატომ „დავუშვათ", როცა ეს ასეა. შვილი დააპატიმრეთ და ახლა მის გათავისუფლებაზე ზრუნავთ. ზნეობრივ მარყუჟში შეყავით თავი. (მცირე პაუზა). მაგრამ იცოდეთ „ტამაგონი—60"-ზე თქვენ გაზვიადებული წარმოდგენა გაქვთ, ტრამვულ ჩაქცევებს ის ვერ უშველის.

თენგიზი. მომეცით, მე ყველა ღონე უნდა ვიხმარო.

ციცაგი. არა.

თენგიზი. გემუდარებით.

ციცაგი. ამ პრეპარატის ღირსება სწორედ ეს არის, რომ მისი გჯერათ და არა გაქვთ, თქვენ გგონიათ „ტამაგონი-60" იხსნის მომაკვდავს, თქვენს შვილს და მთელ თქვენს ოჯახს და, არა გაქვთ. ნანატრი შემთხვევაა!

თენგიზი, მერე ამას რა სჯობს, რომ მჯერა. მომეცით, ხომ შეიძლება რწმენამ ნაყოფი გამოიღოს.

შემოდის ჯაბნიძე

ჯაბნიძე. გისმენთ, ამხანაგო თენგიზ!

თენგიზი. მოქალაქე ციცაგის ბინის ჩხრეკვის ნებართვა თქვენ გაეცით?

ჯაბნიძე. დიახ.

თენგიზი. რას ეძებდით?

ჯაბნიძე. „ტამაგონი-60".

თენგიზი. რა საბაბით?

ჯაბნიძე. მგონი, განმარტება უადგილოა.

თენგიზი. ჩემი შვილისთვის ზრუნავთ?

ჯაბნიძე. დიახ!

თენგიზი. სიამაყით ზრუნავთ?..

ჯაბნიძე. დიახ. დიახ.

თენგიზი. (ირონიით, მაგრამ მოთმინებით) მაშასადამე, ქალაქის ხელმძღვანელობისთვის ზრუნავთ?...

ჯაბნიძე. დიახ, დიახ.

თენგიზი. მერე, ადამიანი თუ მოგაგონდა, მისი ღირსება, მისი სინდისი! (მკვეთრად შემობრუნდება) წამოკითხეთ 141 მუხლი.

ჯაბნიძე. (ზეპირად და სხაპა-სხუპით).

„უკანონო ჩხრეკვა... რომელიც არღვევს მოქალაქეთა ბინის ხელშეუხებლობას, — ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით იმავე ვადით ან თანამდებობიდან დათხოვნით".

თენგიზი. ამ მუხლის მიხედვით, თქვენი სინდისით, თქვენს დასასჯელად შეადგინეთ პროექტი და სადამომდე წარმომიდგინეთ.

ჯაბნიძე. ამხანაგო თენგიზ, მე მექრთამე არა ვარ.

თენგიზი. გესმით, მექრთამე არა ვარო, იქნებ დაწინაურებასაც თხოულობთ?.. გესმით, მექრთამე არა ვარო!.. ბარემაც თავი მოგვაწონე, რომ ყურები გაბიათ. მიბრძანდით!

(ჯაბნიძე გადის).

ციცაგი. სულგრძელად ვაპატიებდი.

თენგიზი. განა, მე მაპატიეთ, რომ ქალაქის აფთიაქში „ტამაგონი-60" არ იშოვება, რომ შვილის სიყვარულით შევძარი ყველა, რომ ყველა ავარია აქამდე ჩემთვის მშრალი ციფრი იყო, სხვა არაფერი, ამას რატომ ვაპატიოთ?

ციცაგი. პირუტყვია და იმიტომ?

თენგიზი. ვერ დამარწმუნეთ: დი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

პლომი აქვს, ცოლშვილის პატრონია, ყველა კოდექსი ზეპირად იცის.

ლეიტენანტი. ამხანაგო თენგიზ, თბილისიდან ჩვენი მინისტრი გთხოვს.

თენგიზი. თქვენი მინისტრი? (ტელეფონთან) გისმენთ...

მამაკაცის ხმა. თენგიზ, კიდევ გაგიმარჯოს. „ტამაგონი-60" მოსკოვიდან მოფრინავს. ახლა ჩვიდმეტი საათია, თვრამეტი დაიწყო. 19 საათზე თბილისის აეროპორტში იქნება. 20, 21.. 22 საათზე თქვენი ქალაქის გარეუბანში, სამების ველზე სანიტარული ვერტმფრინავი დაეშვება და, „ტამაგონი-60" მოიკითხეთ. ნახვამდის.

თენგიზი. გმადლობთ ყურადღებისათვის, გმადლობთ. (ყურმილი ფრთხილად დადო) ღამის თერთმეტ საათზე ავადმყოფს წამალი ექნება. ახლა კი მასესხეთ „ტამაგონი-60".

ციცაგი. არა. ამ პრეპარატის მთავარი ღირსება სწორედ ეს არის — გჯერათ და არა გაქვთ.

თენგიზი. მასესხეთ-მეთქი.

ციცაგი. პროკურორის დასჯა საქმეს არ შველის, თქვენ უნდა იგრძნოთ.

თენგიზი. სექტანტი ხართ, ურჩხული!... (სხვა ტონით) რა ფაკულტეტი დაამთავრეთ?

ციცაგი. კოსტუმი ხომ არ გიჭერთ?

თენგიზი. არა, რატომ მეკითხებით?

ციცაგი. თითქოს თავს უხერხულად გრძნობთ.

თენგიზი. წარმოიდგინეთ, მეც ხშირად მომდის ეს აზრი, პოზიორს ხომ არა ვგევარ?

ციცაგი. მიზეზს ვერ ხვდებით?..

თენგიზი. რა ვიცი.

ციცაგი. ყველაფერს თქვენ გეკითხებიან და ყველაფერზე პასუხობთ.

ლეიტენანტი. პირადი მდივანი შეგახსენებს, — მომთუთიებელ ქარხანაში გელოდებიან.

თენგიზი. გადაეცით, რომ მოვდივარ. (ციცაგს) თავადაც ხედავთ, ჩემი ერთი სისულელე გამოცდილი სპეციალისტის აზრს ურჩევნიათ. ვაჟიშვილს ვფიცავ, ბრძენი არა ვარ.

ციცაგი. ინფორმაციების საუკუნეში ნურც განიზრახავთ. ნახვამდის.

თენგიზი. ერთად წავიდეთ, მანქანა მელოდება, სახლში მიგიყვანთ.

ციცაგი. დაგიმადლებდით. ერთი სიცრუე კი მაპატიეთ, მე „ტამაგონი-60" არა მაქვს და არც არასოდეს არა მქონია.

თენგიზი. შეცდით, არ უნდა გეთქვათ, რომ უკეთ მეგორძნო სინანული.

ციცაგი. ვიცი.

თენგიზი. წამობრძანდით.

ციცაგი. თქვენ აქ შვილი გყავთ ჩამწყვდეული, არ ინახულებთ?

თენგიზი. რა ვუთხრა? წავიდეთ. ამხანაგო კარჭაული, (ლეიტენანტი გამოჩნდა) თქვენ გამოიძიეთ ჩემი შვილის საქმე.. იქ ზის?

კარჭაული. არა, აქეთ...

თენგიზი. რაო, რას ამბობს?

კარჭაული. მღერის.

თენგიზი. მღერის?

კარჭაული. ახლა სძინავს.

თენგიზი. ნახვამდის.

(თენგიზი და ციცაგი გადიან. ლეიტენანტი სხვა მიმართულებით მიდის).

გამოჩნდა ჯანგიძე.

ჯანგიძე. (ტელეფონს წამოეპარა, ყურმილს დაწვდა) თენგიზ ლოლაძის ბინაა?

ნინოს ხმა. დიახ.

ჯანგიძე. ლოლაძის ოჯახობა ბრძანდებით?

ნინოს ხმა. დიახ.

ჯანგიძე ლაშას დედა?

ნინოს ხმა. დიახ, ლაშას დედა ვარ.

ჯანგიძე. მე ქალბატონო, ჯანგიძე ვარ.

ნინოს ხმა. კლავდიუს ჯანგიძე?

ჯანგიძე. დიახ, დიახ, მე ვარ ქალბატონო. დამშვიდდით, ჩემს კაბინეტში მყავს. არაფერს მოვაკლებ. დიახ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თქვენი მდგომარეობით ვიწვი, ქალბატონო!

ნინოს ხმა. როგორ არის, რას ამბობს?

ჯანგიძე. არაფერს არ ამბობს, ქალბატონო, ვინაიდან არაფერს არ ვეკითხებით. მხოლოდ, ტელეფონი გამოვუთიშე, მოგეხსენებათ ახალგაზრდაა, გამოუცდელი, მთელ ქალაქს მოსდებს, მეკი, სხვა ვარიანტი მაქვს. ქალბატონო, არ გამცეთ, მამამისი დაღუპავს... დაღუპავს, ქალბატონო. ბავშვს შველა უნდა. მე მოვალ, ქალბატონო, ოღონდ თენგიზი არ წამომესწროს, ჩემზე ისედაც აღრენილია, რა დავიმალოთ, მომხსნის, მოხსნას რას ვჩივი. მომსპობს თქვენც მიხვდებით, ახლავე, ქალბატონო, მე ერთი უბრალო მექოთნე ვარ.

ნინოს ხმა. მექოთნე?

ჯანგიძე. დიახ, ქალბატონო, მექოთნე!.. როგორც მეტყვიან... დიახ, მოვდივარ.

(სინათლე ქრება)

## ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐ ᲛᲔᲝᲠᲔ

### ᲡᲣᲠᲐᲗᲘ ᲛᲔᲮᲣᲗᲔ

თენგიზ ლოლაძის ბინა პირველი სურათის განლაგება ჯანგიძე და ჯაბნიძე სხედან ნინო ბოლთას სცემს. პაუზა.

ჯანგიძე. ამხანაგმა თენგიზმა არაფერი არ იცის.

ნინო. მაგრამ შეთქმულების ზნეობრივი მონაწილეა.

ჯანგიძე. როგორ გეკადრებათ, ქალბატონო, რა შეთქმულებას ბრძანებთ, ან რა ზნეობას. სიტუაციას თავისი გზა და ხიდი აქვს. დაზარალებული თუ მოკვდა, და ეს სავსებით დასაშვებია, გულის პულსაცია თითქმის გაუქრა, თქვენს შვილს სასჯელი ელოდება.

ჯაბნიძე. (კოდექსის კრებულიდან კითხულობს)... „თუ ამას მოჰყვა დაზარალებულის სიკვდილი, ან მიიღო სხეულის მძიმე დაზიანება ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ათ წლამდე...

ნინო. (შეაწყვეტინებს) დიახ, ვიცი.

ჯანგიძე. მაშასადამე, ზნეობაზე ლაპარაკი უნაყოფოა.

ნინო. ღმერთო ჩემო...

ჯანგიძე. თენგიზი, უპირველესად, მამაა, ქმარი, ადამიანი! იმ ზნეობას ,თქვენ რომ ბრძანებთ, თენგიზის წინააღმდეგ შეაბრუნებენ. მკვლელის მამა! ეს ორი სიტყვა საკმარისია. ოდესღაც იყო, მეც ზნეობით დავიწყე, მაგრამ ბევრჯერ ზედ ცხვირი მიმამტვრევინეს. ვის არ უყვარს თავისი შვილი, კატას — კნუტი, მგელს — ლეკვი. პინგვინებსაც კი, იმ სულელებს უყვართ თავიანთი შვილები. ახლა მთავარია, ადამიანებმა ადამიანური სიყვარული შევიგნოთ, დავდგეთ პირუტყვზე მაღლა.

ნინო. ვის ხარჯზე ფიქრობთ ამ სიყვარულს, იქ კაცი კვდება.

ჯანგიძე. მომაკვდავისთვის სულერთია ვინ მოკლა იგი.

ნინო. რატომ ხართ ასე ძლიერ მოწადინებული, ვერ ამიხსნია, მანამდე თენგიზს არც კი იცნობდით.

ჯანგიძე. (ადგება) შევცდი!.. გამოცდილებას ვენდე. რას ვიფიქრებდი, რომ შვილისთვის არ გასწირავდა იმ რაღაც უხილავ გრძნობას, რომელსაც ზნეობას ეძახით. ახლა, უკან დასახევი გზა აღარა მაქვს. სასაცილო ამბავი მჭირს, ქალბატონო, ისე მეპყრობით თითქოს ქრთამს გაძლევდეთ, შვილია თქვენი! მშვიდობით ბრძანდებოდეთ.

ნინო. მოითმინეთ!.. კარგი, ვიფიქრებთ.

ჯანგიძე. ფიქრსაც საზღვარი აქვს. ნახვამდის ქალბატონო.

(ჯანგიძემ თავი დაუკრა. გადიან. ფანჯარაში წითელი ღრუბელი გამოჩნდა, სიჩუმეა. ნინომ მხრებზე მსუბუქი შალი შემოიხვია. ჩაფიქრდა).

ნინო. ბიჭო, ლაშა... (ნომერი აკრიფა) პირველი საავადმყოფოა?

ქალის ხმა. მორიგე ექიმი გისმენთ.

ნინო. როგორ არის ავადმყოფი ნიაშვილი?

ქალის ხმა. არავითარი ცვლილება, ქალბატონო!

ნინო. ცნობიერება?

ქალის ხმა. გნებავთ მკურნალ ექიმს დაგალაპარაკებთ.

ნინო. რას მეტყვის მკურნალი?

ქალის ხმა. იგივეს, ქალბატონო.

ნინო. ნახვამდის. (ყურმილი დადო) გაიოზი, ის გაიოზი, „წ-ქს“ შვილი, „წ-ქს“ შვილი გაიოზი, ექიმი. კინაღამ წითელი დიპლომი მიიღო... გვარი გვექითხა მაინც...

შემოდის თენგიზი

თენგიზი. რა გაცინებს?

ნინო. გალახულს ჰგავხარ.

თენგიზი. ო, რა გრძელი დღე იყო, უსაშველოდ გრძელი, მძიმე, დახუთული.

ნინო. ისადილებ თუ ივახშმებ?

თენგიზი. ჩინებულია, — ისადილებ თუ ივახშმებ, — ძილი მინდა, წამინება, სხვა არაფერი.

ნინო. ამბავს გეტყვი „ათას ერთი ღამიდან“, ათას მეორე დღისას.

თენგიზი. წამოვწვები.

ნინო. როგორც გენებოს, აგერ დივანზე.

თენგიზი. იქ წამოვწვები.

ნინო. არა, ახლოს სჯობს. ერთი სიტყვით, მეზობელ ქალაქში ერთ გარდაქეშანს, საქმე რომ შემოელია, ხან რა უფიქრია, ხან რა, ხალხი როგორმე გავაკვირვოო და, საკუთარი შვილი ციხეში გაუგზავნია.

თენგიზი. რა თანამდებობაზე?

ნინო. პატიმრად.

თენგიზი. დანაშაული?

ნინო. გეუბნები, მამის პროტექციით ჩასვეს ციხეში.

თენგიზი. მერე?

ნინო. ვაი, რა ვქენი! — მერე მოაგონდა მამაშვილობა.

თენგიზი. შენ ყველაფერი იცი?

ნინო. ისინი მზად არიან.

თენგიზი. (წამოჯდება) არამზადები!..

ნინო. ისინი უნაზესად განიცდიან მშობლიურ გრძნობებს.

თენგიზი. სასტიკად!..

ნინო. რას ფიქრობ?

თენგიზი. დაზარალებულის სიცოცხლე გვიხსნის.

ნინო. თუ ვერ გადარჩა?

თენგიზი. ჩვენ ვიქნებით პირისუფალი.

ნინო. ოო, ლაშა, ბიჭო, ჩვენი საამაყო ლაშა, ჩვენი კარგი ბიჭი, ჩვენი სიხარული, ო, ღმერთო, როგორ მოვიქცეთ?..

თენგიზი. დაზარალებული უნდა გადარჩეს.

ნინო. თურმე შენი თანხმობა კმარა.

თენგიზი. ვიცი.

ნინო. თურმე ყველაფერი მომზადებულია, ოღონდ დათანხმდე.

თენგიზი. ვიცი.

ნინო. თურმე ახლავე გაათავისუფლებენ.

თენგიზი. ვიცი.

ნინო. მაჩუქე შვილი.

თენგიზი. ჩემი შვილი გაჩუქო?..

ნინო. რაც გაგვაჩნია, სულ მას შევწიროთ!

თენგიზი. ის გაგვაჩნია, რაც არ შეიწირება.

ნინო. რა გაგვაჩნია საკუთარ პირმშოზე წმინდა და დიდი?!..

თენგიზი. სუფთა ხელები!..

ნინო. ზნეობას ბრალდებად წინ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაგიდებენ. სიტყვით კი არა — საქმით, გულში უთქმელად.

თ ე ნ გ ი ზ ი. ზნეობა უკვდავია!..

ნ ი ნ ო. (გამომწვევად) მეოცნებე, საცოდავი დონ კიხოტი ხარ!

თ ე ნ გ ი ზ ი. დიდება დონ კიხოტს!.. (ცოლ-ქმარი იცინის, იცინიან სიმწრით, ცრემლით) სამაგიეროდ, დიდი გაიძვერა და ჭკუის კოლოფი იყო სანჩო პანსა, მისი გუბერნატორობის ჟამს რომ მარი სანჩას ავარია შემთხვეოდა და კაცი შემოკვდომოდა კიდეც, ის ოინბაზი თავის ქალიშვილს ოსტატურად გამოაძვრენდა. ეს იყო წინათ, ახლა რასაც გონებით ვერ ასწრებენ, მანქანებით ითვლიან. ო, რა შორსა ვართ. მშობლიურ გრძნობათა უნაზეს სიმებს შეეხნენ, აგაფორიაქეს, ლაშა უნაზესი ყმაწვილიაო, გითხრეს. დიახ, ადამიანი უნაზესი არსებაა, მაგრამ ამასვე ამბობენ კაციჭამიები, როცა ადამიანის ხორცი ენატრებათ.

ნ ი ნ ო. ატკივებული თავი გაბია.

თ ე ნ გ ი ზ ი. არა, კანონზომიერების ბორბალი ბრუნავს, ზნეობაა იმისი ღერძი.

ნ ი ნ ო. მშობლების იმედს ზვარაკად ვწირავთ.

თ ე ნ გ ი ზ ი. იქ კაცი კვდება.

ნ ი ნ ო. მსაჯულის ენით ნუ მელაპარაკები... დედა ვარ, თენგიზ!

თ ე ნ გ ი ზ ი. მამა ვარ, ნინო. ჩემი საზრუნავი ლაშა იქნება! (ზარის ხმა) შემობრძანდით!.. (კვლავ ზარის ხმა) კარი გაუღე.

ნ ი ნ ო. ვინ გნებავთ?

ე ვ გ ე ნ ი კ. მე გახლავართ მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პირველი საავადმყოფოს თერაპიული განყოფილების გამგე...

თ ე ნ გ ი ზ ი. მობრძანდით.

ე ვ გ ე ნ ი კ. დაზარალებულ ნიაშვილის მთავარი მკურნალი...

თ ე ნ გ ი ზ ი. მობრძანდით.

ე ვ გ ე ნ ი კ. ევგენი კიკილოვიჩი. გამარჯობათ. თქვენ, ბატონი თენგიზის ოჯახობა ბრძანდებით?

ნ ი ნ ო. დიახ.

ე ვ გ ე ნ ი კ. კვლავ გაგიმარჯოთ!

თ ე ნ გ ი ზ ი. რით გაგვახარებთ?

ე ვ გ ე ნ ი კ. ბატონო თენგიზ და ქალბატონო ნინო, ცხადია, თქვენთვის ცნობილია, რომ კაპიტალიზმის კატასტროფას ავტოავარიები დააჩქარებს, მაგრამ სატრანსპორტო ინდუსტრიის განვითარებამ ჩვენშიაც გამოიწვია უეჭველი ავარიები.

თ ე ნ გ ი ზ ი. მოქალაქე ნიაშვილი თუ გადარჩება?

ე ვ გ ე ნ ი კ. სწორედ ამიტომ გეახელით, ჩემი სადოქტორო დისერტაცია, რომელმაც სამეცნიერო საბჭოს ყურადღება დაიმსახურა, ჰაერში და მიწაზე, მთელ სამყაროში, წინა პლანზე ფსიქოთერაპიას აყენებს.

თ ე ნ გ ი ზ ი. როგორ არის მოქალაქე ნიაშვილი?

ე ვ გ ე ნ ი კ. ფსიქოთერაპიის მთავარი აზრიც სწორედ ეს არის, ადამიანების ფსიქომომზადება. ჩვენ უარესზე უნდა ვიფიქროთ, რომ საშუალო გამოვიყვანოთ. ხომ შეიძლებოდა ასეც მომხდარიყო: მოქალაქე ნიაშვილი საჭეს მართავდა, ლაშა ლოლაძე თავისთვის ქუჩაში მიიმღეროდა და, ამ დროს, ნიაშვილი მანქანას აჯახებს ლაშას. აი, უბედურება მაშინ გეკითხათ. ამიტომ ღმერთს მადლობა შევწიროთ, რომ ლაშა ლოლაძე უვნებელია და მოქალაქე ნიაშვილი კვდება.

ნ ი ნ ო. კვდება?!

ე ვ გ ე ნ ი კ. მხედველობაში თუ მივიღებთ, რომ მამაკაცები საშუალოდ სამოცდაოთხ წელიწადს ცოცხლობენ, მოქალაქე ნიაშვილს სასაყვედურო არაფერი აქვს.

თ ე ნ გ ი ზ ი. სამწუხაროა. ერთი სიტყვით, ამ საღამოს „ტამაგონი-60“ გვექნება.

ე ვ გ ე ნ ი კ. ღმერთმა ჰქნას, მე შევცდე და, მოქალაქე ნიაშვილმა „ტამაგონს“ მოუსწროს.

ნ ი ნ ო. ამინ!..

ე ვ გ ე ნ ი კ. ბატონო თენგიზ, თავის მობეზრება მე არ მჩვევია, მხოლოდ ერთი თხოვნა მაქვს: ფსიქოთერაპიული

მიკრობალი გამიშენეთ ჩვენი საავადმყოფოს ბრტყელ სახურავზე.

თ ე ნ გ ი ზ ი. სახურავზე?!.

ე ვ გ ე ნ ი კ. ბრტყელ სახურავზე, პროექტი თან მაქვს.

თ ე ნ გ ი ზ ი. არ გაშალოთ. ჯანმრთელობის განყოფილებას წარუდგინეთ. მერე არქიტექტურის სამმართველოს გადაეცით, სამეცნიერო საბჭოს აზრიც დაურთეთ, იქიდან აღმასკომში, მერე ჯანდაცვის სამინისტროში და ასე შემდეგ, არავინ გამოგრჩეთ, ნახვამდის.

ე ვ გ ე ნ ი კ. დიდი მადლობა მზრუნველობისთვის.

თ ე ნ გ ი ზ ი. მანამდე მოქალაქე ნიაშვილს ყურადღება არ მოაკლოთ, მე მალე მოვალ.

ე ვ გ ე ნ ი კ. დიდი მადლობა... ბატონო თენგიზ და ქალბატონო ნინო, მწუხარების ჟამს მიკრობალის პროექტი ჭეშმარიტად ოპტიმიზმია, სიცოცხლე გრძელდება!..

(ევგენი კიკილოვიჩი გადის).

თ ე ნ გ ი ზ ი. ჩემო კარგო, არც თუ ისე უაზრო იყო... ამ შტერის მოსვლა. ლაშას ქვეშსაგები მოუმზადე.

გამოჩნდა ლაშა

ლ ა შ ა. გამარჯობათ!.. (ცისიას მიუბრუნდა) შემოდი.

ნ ი ნ ო. შვილო!

თ ე ნ გ ი ზ ი. ბიჭო!

ნ ი ნ ო. ლაშა!.. ლაშიკო!.. შვილო!

ლ ა შ ა. არ მომეკაროთ!... სულ ამოთხვრილები ვართ. ლოყა მოიწმინდე, ცისია!

თ ე ნ გ ი ზ ი. როდის გამოგიშვეს?!..

ლ ა შ ა. რაო?

თ ე ნ გ ი ზ ი. შენ გეკითხები.

ლ ა შ ა. (ნინოს) რაო, რას ამბობს?

ნ ი ნ ო. რა პირობით გამოგიშვესო.

ლ ა შ ა. როგორ თუ გამომიშვეს?

ნ ი ნ ო. ა?!..

ლ ა შ ა. რა?

თ ე ნ გ ი ზ ი. ხომ იქცე!..

ც ი ს ი ა. კი არ ვიჯექით, ვიწექით!..

ნ ი ნ ო. სად იწექით, სად?

ლ ა შ ა. მანქანის ქვეშ!..

თ ე ნ გ ი ზ ი. მანქანის ქვეშ?! რატომ იწექით?

ლ ა შ ა. ტყუილად კი არ ვიწექით, ვმუშაობდით.

ც ი ს ი ა. სამი საათის განმავლობაში ხან მე ვიწექი გულაღმა, ხან ლაშა.

თ ე ნ გ ი ზ ი. ეს ვინ არის?

ლ ა შ ა. ჩემი საცოლე.

თ ე ნ გ ი ზ ი. საცოლე?

ნ ი ნ ო. ცისია?!..

თ ე ნ გ ი ზ ი. ჰო, ცისია!..

ლ ა შ ა. დედაჩემო, მოგწონს თუ არა?

ნ ი ნ ო. მომწონს, ორივე ძლიერ მომწონხართ, ო, მერე როგორ, მოდით შვილებო!

ლ ა შ ა. მოვდივართ...

თ ე ნ გ ი ზ ი. შეჩერდით!.. ადამიანებო, სად იყავით?..

ლ ა შ ა. ქალაქ გარეთ!.. უკან რომ ვბრუნდებოდით, სამების მინდორზე გადავუხვიეთ. იქ ოღრო-ჩოღრო, საურმე გზაზე ბელტს წამოვედე, მანქანის წინა ხიდური იცი?

თ ე ნ გ ი ზ ი. მერე?

ლ ა შ ა. ზამბარა ჩამოვარდა. ვაი, იმ ზამბარას. კაციშვილმა არ გამოიარა არც ქვეითად არც მანქანით, კამეჩების მეტი არავინ იყო. ნაწვიმარზე ტბორები, ჭონჭყი. მანქანის ცხვირი საბურავს დააწვა, ამწეც არ გვქონდა, რიყის ქვები შევუდგით, აღარც ქვა იყო, აღარც დოზანა... ჩვენ დღე დაგვადგა, რომ ვიფიქრებდით, — ეს არის მოვრჩითო და დავამაგრეთო, სწორედ მაშინ, ლამბაქიდან ზამბარა გამოძვრებოდა...

ც ი ს ი ა. გამოძვრებოდა — დავამაგრებდით, სულ ასე იყო. ლაშას ბრალია. ტყეს დაუმიზნა.

თ ე ნ გ ი ზ ი. ესე იგი, პატიმრობაში არ ყოფილხარ?

ლ ა შ ა. სამების მინდორზე!.. მამაჩემო, მშიერ კაცს მასხარაობის თავი მაქვს?..

თ ე ნ გ ი ზ ი. ავარია?!

ლ ა შ ა. გვაჭამე რამე. პური, ყველი, ძეხვი, თითო ლუკმა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

თ ე ნ გ ი ზ ი. ადამიანებო...

.ც ი ს ი ა. სამი საათი გულაღმა იწვა.

ნ ი ნ ო. ჰო, წამოდით, ხელები დაიბანეთ.

ლ ა შ ა. ხელი, ფეხი, თავი სულ გასაბან-დასაბანია.

თ ე ნ გ ი ზ ი. მოითმინეთ. (ნომერი აკრიფა) რომელი ხარ?

ხ მ ა ტ ე ლ ე ფ ო ნ ი დ ა ნ. მორიგე გისმენ.

თ ე ნ გ ი ზ ი. კარჰაულს თხოვეთ.

ხ მ ა ტ ე ლ ე ფ ო ნ ი დ ა ნ. ახლავე.

ლ ა შ ა. (ნინოს) ხელპირს დაიბანს და ნახეთ რა გოგოა! (თენგიზის მისამართით) მგონი, არ მოვწონვართ.

თ ე ნ გ ი ზ ი. მაცალე ბიჭო..

ხ მ ა ტ ე ლ ე ფ ო ნ ი დ ა ნ. ლეიტენანტი კარჰაული გისმენთ.

თ ე ნ გ ი ზ ი. ლოლაძე ვარ, ჩემი შვილი სად არის?

ხ მ ა ტ ე ლ ე ფ ო ნ ი დ ა ნ. აქ არის, ამხანაგო თენგიზ!

თ ე ნ გ ი ზ ი. რას აკეთებს?

ხ მ ა ტ ე ლ ე ფ ო ნ ი დ ა ნ. ზის და აბოლებს.

თ ე ნ გ ი ზ ი. აბოლებს?

ხ მ ა ტ ე ლ ე ფ ო ნ ი დ ა ნ. დიახ, აბოლებს.

თ ე ნ გ ი ზ ი. (ლაშას) ეწევი?

ლ ა შ ა. არა, არ ვეწევი.

თ ე ნ გ ი ზ ი. ახლავე მოვალ. (მილს დადებს).

ლ ა შ ა. რაო, აბოლებსო, სად ვაბოლებ, გამაგებინეთ.

თ ე ნ გ ი ზ ი. ამათ მიხედე.

ნ ი ნ ო. სად მიდიხარ, თენგიზ?..

თ ე ნ გ ი ზ ი. ხომ გაიგონე, — შენი შვილი ზის და აბოლებსო.

ნ ი ნ ო. ლაშა სახლში გყავს, სადღა მიდიხარ?

თ ე ნ გ ი ზ ი. ჩანს, გადაიღალე ჩემო კარგი, (თითქოს ყრუს) იქ ერთი კვდება და, მეორე ზის!.. (შეჩერდება) ზაქარია ციცაგს თუ იცნობ?

ნ ი ნ ო. არავის არ ვიცნობ.

თ ე ნ გ ი ზ ი. უნდა იცნობდე!.. (გადის).

ნ ი ნ ო. (იცრემლება) ო, რა ბედნიერი ვარ...

ლ ა შ ა. რა ამბავია, რაო?

ნ ი ნ ო. შვილო, სახლში ხარ!..

ლ ა შ ა. იქ ვიღაც, სადღაც ჩემს მაგიერ ზის და აბოლებსო?

ნ ი ნ ო. (სხვა მნიშვნელობით) ჰოდა, ავარია გრძელდება!..

(სინათლე ქრება).

## მეორე მოქმედება

### სურათი მეექვსე

ოთახში კომუტატორი „დ-კ-36“ მოჩანს. მაუდგადაფარებულ მაგიდაზე ღვინისა და „ბორჯომის“ ბოთლები, თეფშები და ნამწვავით სავსე საფერფლე დევს. ზურაბ ლოლაჯიშვილს ფეხები მაგიდაზე აუწყვია, იდაყვით გიტარაზე ჩამოყრდნობილი, თამბაქოს კვამლს რგოლებად უშვებს. შემომსვლელს ყურადღება არც კი მიაქცია, ვიდრე ლეიტენანტი პირისპირ არ დაუჯდა და საქაღალდე გაშალა.

ლ ე ი ტ ე ნ ა ნ ტ ი. მამათქვენმა დარეკა.

ლ ო ლ ა ჯ ი შ ვ ი ლ ი. ტელეფონი დაუდგეს?

ლ ე ი ტ ე ნ ა ნ ტ ი. უბრაზდებით?

ლ ო ლ ა ჯ ი შ ვ ი ლ ი. შე კაცო...

ლ ე ი ტ ე ნ ა ნ ტ ი. რას იზამ, მართალი კაცის ბედიც ეს არის.

ლ ო ლ ა ჯ ი შ ვ ი ლ ი. ხშირად ხვდებით მამაჩემს?

ლ ე ი ტ ე ნ ა ნ ტ ი. დღეს ვნახე.

ლ ო ლ ა ჯ ი შ ვ ი ლ ი. ჰოდა, კიდევ თუ შეგხვდათ, უთხარით, მატრაბაზობას თავი დაანებოს, რამე ხელობას მოჰკიდოს ხელი.

ლ ე ი ტ ე ნ ა ნ ტ ი. ეს უკვე მეტისმეტია. ასეთი ნათელი გონების კაცი,

როგორიც მამათქვენია, ამბობენ, ჩვენს ქალაქს ჯერ არ ჰყოლიაო.

ლოლოჯიშვილი. მაშასადამე, ნათელი ადგას? ღმერთმა შეუნდოს. (ყვირილით) სადა მყავს მამა!..

ლეიტენანტი. (პათეტიკურად) „სადა მყავს ცოლი!..“ გამახსენდა კეთილშობილი მავრის სიტყვები. ო, რა დიდებული იყო ხორავა, ამბობენ ლონდონელებიც მოუხიბლავსო, თქვენ პატარა ხართ, არ გემახსოვრებათ.

ლოლაჯიშვილი. ძალიან პატარა ვარ, არ გეშინიათ, ნეკზე გიკბენ. ჰამ, ჰამ!.. ჰამ-ზე მომაგონდა, ალბათ „ჰამლეტიც“ მოგწონთ?

ლეიტენანტი. „დროთა კავშირი დაირღვა და წყეულმა ბედმა მე რად მარგუნა მისი შეკვრა...“

ლოლაჯიშვილი. ვაშა!.. ნაღდი საქმეა, ადამიანის სულის ლაბირინთებში რომ შეაღწიეთ, მაგრამ ძალიან ღრმად ნუ ჩაიჭვრეტთ, თორემ ველარავის დაიჭერთ.

ლეიტენანტი. თქვენი გვარი?

ლოლაჯიშვილი. ღმერთო ჩემო, ნუთუ ვერა მცნობთ?

ლეიტენანტი. მერე როგორ... ვიდრე ჩავწერდე უნდა შეგეკითხოთ, ამ წესს თავის აზრი აქვს. (წერს) ლოლაძე...

ლოლაჯიშვილი. (შეუსწორებს) ლოლაძიშვილი.

ლეიტენანტი. ვიცი. ლოლაძე.

ლოლაჯიშვილი. ლოლაძიშვილი!..

ლეიტენანტი. ვიცი. სახელი?

ლოლაჯიშვილი. ეს რა ცოდნაა, ლოლაძიშვილს გეუბნებით, თქვენ ლოლაძეს წერთ.

ლეიტენანტი. დიახ. ანკეტაში ლოლაძის შვილს ხომ არ ჩავწერ: ლოლაძე, შემდეგ თენგიზის ძე და, ასე ამრიგად ლოლაძის შვილი.

ლოლაჯიშვილი. ადამიანო, რა თენგიზი, ვისი თენგიზი? ლოლაძიშვილი ვარ.

ლეიტენანტი. გავიგე

ლოლაჯიშვილი. თუ გაიგეთ, ლოლაძძ.. ტფუ!.. ორხმოვანს შორის მე ვერ ვამბობ „ჯ“-ს, თქვენ ხომ გამოთქვამთ „ჯძ“-ს, აუ, სულ ავურიე.

ლეიტენანტი. მივატოვოთ მარტივი საქმე, გადავიდეთ რთულზე.

ლოლაჯიშვილი. გამოძიებისათვის თავი და თავი პიროვნებაა.

ლეიტენანტი. ყოჩაღ. ახლა კი მომწონხარ, ცნობთ თუ არა თავს დამნაშავედ?

ლოლაჯიშვილი. არა!..

ლეიტენანტი. თქვენ მართავდით „ჟიგულის“ მარკის საჰეს.

ლოლაჯიშვილი. სწორია.

ლეიტენანტი. გადასჭერით წითელი ხაზი.

ლოლაჯიშვილი. ესეც სწორია.

ლეიტენანტი. დააჯახეთ მოქალაქე ნიაშვილს.

ლოლაჯიშვილი. აი, ეს კი, არ არის სწორი.

ლეიტენანტი. მანქანის მარჯვენა ფრთა შეახეთ.

ლოლაჯიშვილი. პირიქით, თვითონ შეეხო ჩემი მანქანის მარჯვენა ფრთას.

ლეიტენანტი. მოქალაქე ნიაშვილი დაგჯახებიათ.

ლოლაჯიშვილი. არა, ამ ენით ყარტაყურტა მაყურებელს ელაპარაკებიან, რომ უეცარი სიცილი გამოიწვიონ, ჩვენ ერთმანეთს არ დავჯახებივართ. მე დავამუხრუჭე. ყველაფერი უმალ შევნიშნე — სანტიმეტრებში, მილიმეტრებში. ნიაშვილი უმიზეზოდ წაიქცა. იგი ჩემს მანქანას შეეხო, როცა დავდექი.

ლეიტენანტი. თქვენ ერთს ამბობთ, იქ კაცი კვდება, უგონოდ არის.

ლოლაჯიშვილი. მაშასადამე, თქვენ ფიქრობთ, ყველა ავადმყოფი ლოგინში კვდება. მას არ ექნება დაჟეჟილობა და არც ნაკაწრი. მოვრჩით? შეამოწმეთ ნიაშვილი. გამოძიება დამთავრდა!.. (გიტარა აახმიანა. წაუმღერა, ლეიტენანტი ჩაფიქრდა).

ლეიტენანტი. (თავისთვის თი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თქოს) სწორედ ეს არის ანი და ბანი.

ლოლაჯიშვილი. „ქინძმარაული“ შემოგითვალე, შენ „მუკუზანი“ გამომიგზავნე... ხალხო, სამი საათი გავიდა — კაზემატში ვარ. ნამუსი აღარა გაქვთ!..

ლეიტენანტი. ეს ჩვენი უფროსის კაბინეტია.

ლოლაჯიშვილი. როგორმე ვარჩევ კაზემატს კაბინეტისაგან, მაგრამ როცა უსამართლოდ კარს გადაკეტავთ და ტელეფონსაც გამოთიშავთ, ყველა კაბინეტი კაზემატია. არა, თქვენი უფროსი შესანიშნავი ტიპია. თეატრში ვითამაშებ, ნაღდად ვითამაშებ, კაცმა მილიცია შემაყვარა!.. ეს ვინ ყოფილა, თუმცა ღუხჭირი გონების პატრონსა ჰგავს, რამ შეაყვარა ასე თეატრი?

ლეიტენანტი. ვერაფერს გეტყვით.

ლოლაჯიშვილი. იქნებ არც უყვარს, მაგრამ არტისტს რომ უბატონოდ ხმას არავინ სცემს, კარგად სცოდნია.

ლეიტენანტი. თქვენ, მსახიობი ხართ?

ლოლაჯიშვილი. აბა, რა დამსვამდა ამ კაბინეტში. უფროსის დისშვილი ხომ არ გგონივარ?

ლეიტენანტი. რამდენი წლისა ხართ?

ლოლაჯიშვილი. ოცდაექვსის...

ლეიტენანტი. ბევრია. მამათქვენი ჭაბუკივით გამოიყურება.

ლოლაჯიშვილი. ოცი წლის წინათ, ორმოცის იყო. შევსვათ მამაჩემის მოსაგონარი.

(გიტარაზე სევდიანი მოტივი აჟღერდა).

ლეიტენანტი. (მაგიდაზე მუშტს დაჰკრავს) კრეტინობაა!

ლოლაჯიშვილი. მიცვალებული მამის მოსაგონარი?!

ლეიტენანტი. არა!.. ბოლოს და ბოლოს, სად არის თქვენი საბუთები?

ლოლაჯიშვილი. ვაი, სირცხვილო, მე, ლოლაძიშვილს საქართველოში საბუთებს მთხოვენ. მანქანაშია!

ლეიტენანტი. ახლა კი, შევსვათ მამაშენის მოსაგონარი.

(კარებში მილიციელმა შემოჰყო თავი).

მილიციელი. ზურიჯან, მამაშენი!

ლოლაჯიშვილი. გესმით, იწყება ფარსი.

ლეიტენანტი. ჰა, გასაღებები, ამის მანქანიდან საბუთები ამოიტანე. (მილიციელი გადის).

ლოლაჯიშვილი. (სიმებს აწვალებს) ვოდევილი!.. რას ჩაფიქრდით, ქრისტეს მოსვლას ჰგავს მამაჩემის გამოცხადება. შესვით!

ლეიტენანტი. არც ფარსი, არც ვოდევილი...

ლოლაჯიშვილი. ვნახოთ რა ბიჭი მოდის.

(გამოჩნდა თენგიზი, უკან ჯანგიძე).

თენგიზი. კომუტატორი ჩართეთ. სად არის ლაშა ლოლაძე?

ჯანგიძე. აგერ, ბატონო თენგიზ!

თენგიზი. ჩემი შვილი!..

ჯანგიძე. აგერ, გიტარით ხელში.

ლოლაჯიშვილი. მამიკო!.. (გიტარა ააჟღარუნა, უმალ შეწყვიტა).

თენგიზი. ნამეტანი დიდი ხარ, ბიჭიკო!.. გვარი?

ლოლაჯიშვილი. ლოლაძიშვილი.

თენგიზი. კარგად არ მესმის.

ლოლაჯიშვილი. აუ, თავიდან დაიწყო...

თენგიზი. დასწერეთ თქვენი გვარი.

(ლოლაჯიშვილი ქაღალდზე სწერს. მილიციელმა საბუთები შემოიტანა).

ლოლაჯიშვილი. ინებეთ.

თენგიზი. (კითხულობს) „ზურაბ ლოლაჯიშვილი“. (ლეიტენანტმა თენგიზს საბუთები გადააწოდა) აქაც ყველგან, ლოლაჯიშვილი. (წიგნაკში კითხულობს), „თანამდებობა — მსახიობი.“ მუსკომედიის თეატრიდან მახსოვხართ.

ლოლაჯიშვილი. დიახ, ორ თეატრს შორის ბადმინტონივით ჰაერში

ვფრინავ, ახლა ფილარმონიის ბრიგადაში ვარ.

თენგიზი. ვერ ამბოთ ბგერა „ჯ“-ს.

ლოლაჯიშვილი. მაგრამ მას თავისუფლად ცვლის ბგერა „ძ“.

თენგიზი. „იზარდე მწვანე ჯეჯილო“..

ლოლაჯიშვილი. „იზარდე მწვანე... (სიმღერით) ძეეძიიილოოო“. ხედავთ, სიმღერაში არა ჩანს მანკიერება, არბილებს კიდეც.

თენგიზი. (წამღერებით) „ჯუ, ჯუ, ჯუჯალარი...“

ლოლაჯიშვილი. (სიმღერით) „ძუ, ძუ, ძუძალარი“... არბილებს.

თენგიზი. როგორ მიგიღეს კონსერვატორიაში?

ლოლაჯიშვილი. (გამომწვევად) პროტექციით!..

ჯანგიძე. (ღრიალით) ჩააგდეთ სარდაფში!..

ლოლაჯიშვილი. ბატონო ჩემო, სამი საათის წინ კაბინეტში რესტორანი მომიწყვე, ახლა, რაო? ბოლოს და ბოლოს, სარდაფში ის ჩააგდეთ ვინც კონსერვატორიაში მიმიღო.

ჯანგიძე. ჩააგდეთ!...

თენგიზი. ამხანაგო ჯანგიძე, მოექეცით ისე, როგორც თენგიზ ლოლაძის შვილს. იმაზე ნაკლები რით არის, თუმცა, ჩემს ლაშას არ იცნობთ, ტოლს არაფრით უგდებს, რაღაცეებით სჯობია კიდეც...

ჯანგიძე. არა, ბოლომდე უნდა გამოვიძიოთ, როგორ მოვტყუვდით!.. (თავისიანებს) პირველად ვინ გვაცნობა, რომ ეს ვიღაცა, თბილისელი ქლესა, ლოლაძის შვილიაო?!

მილიციელი. (პატაკის წესზე) ავტოინსპექტორმა კიკაბიძემ, ამხანაგო პოდპოლკოვნიკო!

ჯანგიძე. (ყვირილით) მაიორი ვარ!.. აქ მომგვარეთ ის ყეყეჩი, კიკაბიძე ჩქარა!

ლოლაჯიშვილი. ბატონებო, რატომ ვარ თბილისელი ქლესა? მე ონტოფოში დავიბადე, დედის ოჯახში.

ჯანგიძე. (გაფთრებით) შენმა „ჯ“-მ შესძრა ქალაქი!..

ლოლაჯიშვილი. არაფერიც „ძ“-მ „ძ“-მ!.. ძილ, ჯან!.. ო, ეს ოცდამეთორმეტე ასო ახალ ქართულში, რატომ არ გვეყო ოცდათერთმეტი?!..

თენგიზი. ანბანს მოეშვით, ფონეტიკის კანონები ამას ვერ ახსნის. (ჯანგიძეს თვალი მიაპყრო) მლიქვნელობის ბაჭიები გამრავლდა ტვინში! (ლოლაჯიშვილს) თქვენ, ალბათ, მძიმე ბრალდება გამოგიცხადეს?

ლოლაჯიშვილი. სისულელეა.

თენგიზი. იქ ადამიანი კვდება. (გამოჩნდა ჯაბნიძე).

ლოლაჯიშვილი. ჩემი მანქანის გამოჩენამდე თუ მოქალაქე ნიაშვილი მოკლული იყო?..

თენგიზი. როგორ?

ლოლაჯიშვილი. უბრალოდ. მოქალაქე ნიაშვილი ვინმე მლიქვნელის, ბიუროკრატის მისაღებში იდგა, იდგა და ელოდა, ელოდა და იდგა, ბოლოს, როგორც იქნა კაბინეტში აღმოჩნდა. ნიაშვილი თავის გასაჭირს უამბობს, ხოლო ის დუხჭირი, ტაკიმასხარა, თითებში ფანქარს ატრიალებს, თვალებს აცეცებს, ხან ერთ ტელეფონს პასუხობს, ხან მეორეს. — ჰო, ჩქარა, იქ ხალხი მელოდება — გესმით, ხალხი და ხალხი!.. ხალხი შედის, კაბინეტიდან ხალხი გამოდის. ნიაშვილი სადღაც, ოცდამეთვრამეტე ოთახში ინსპექტორს მიუგდეს. — არა, ძმაო; ჩემთვის არაფერი გადმოუციათ, — ხალხი და ხალხი! ნიაშვილი ხელახლა მისაღებში დგას, ნიაშვილს წნევამ დაუწია, აუწია და, როცა ჩემი მანქანა დამუხრუჭდა, ფეთებას ველარ გაუძლო, სისხლი ჩაექცა. (სხვა ტონით) რამდენი ვიყბედე, არც ერთი „ჯ“ ამ საუბარში არ მიხმარია, ესე იგი, ნიაშვილი მოკლული იყო.

ჯანგიძე. არტისტი ხარ!..

ლოლაჯიშვილი. მადლობა ღმერთს, რომ მლიქვნელობამ დაგიხშოთ გონების კარი, თორემ ჰაუ — სარდაფშიო!.. ერთი სიტყვით, ჩემი „ჯ“ კარგადაც ატრიალე. (საათს დახედავს)

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეგობრებო, მალე სამუშაო დრო მთავრდება, საღამოს კონცერტზე გიწვევთ.

ჯაბნიძე. უკაცრავად, საავადმყოფოში რა მოხდება ჯერ არავინ იცის. თქვენ, პატიმარი ხართ. (კარჭაულს წინ ორდერი დაუდო).

თენგიზი. ჩემი დავალება თუ შეასრულეთ?

ჯაბნიძე. ვიდრე დამითხოვენ, უკანასკნელ წუთამდე კანონიერების სადარაჯოზე ვარ.

თენგიზი. (ორდერს დახედავს) დაპატიმრების ორდერი. რატომ ლაშა ლოლაძის გვარით არ ამოსწერეთ. კანონიერების სადარაჯოზე დანაშაულში თანამონაწილეობაც შემომთავაზეთ. კანონიერების სადარაჯოზე ბრალდებულს „გველივით შემოეხვევი“ და ზაქარია ციცაგს, ქალაქის სპეტაკ მოქალაქეს, გაჩხრეკ, შეურაცყოფ. რად გეჩქარება მსახიობის დაპატიმრება? რატომ არ გჯერათ ადამიანის?¡.. რარატომ არ გჯერათ,?!... და თუ არ გჯერათ, რატომ არა გაქვთ შუბლზე რქები, პირში ეშვები!

ჯანგიძე. (ჯაბნიძეს, შიშით) წადი აქედან.

თენგიზი. არა, აქ იდექით. ჯერ ხომ არ ვიცით რით დამთავრდება... (ტელეფონის კომუტატორთან გაბმული ხმა, მსგავსად სირენისა).

ჯანგიძე. ჯანგიძე გისმენთ.

ხმა ტელეფონიდან. ქსენია ვარ, ქსენია ექთანი! თენგიზ ლოლაძე თქვენთან არისო, შემაერთეთ!..

თენგიზი. გისმენთ.

ხმა ტელეფონიდან. ქსენია ვარ, ქსენია — ექთანი!.. ნიაშვილის მომვლელი. ქალაქგარეთ ვარ. მეორე საავადმყოფოდან გირეკავთ.

თენგიზი. ნიაშვილი ხომ ცოცხალია?..

ხმა ტელეფონიდან. რა მოკლავს მაგ შეჩვენებულს. ჩქარა მიმიღეთ.

თენგიზი. მე თვითონ მოვალ.

ხმა ტელეფონიდან. არა!.. „სასწრაფოთი“ მოვფრინავ.

(პაუზა. ლოლაჯიშვილი გიტარის სიმს აწვალებს, მსახიობმა ცდუნებას ველარ გაუძლო, ცრემლის მაგიერ სიმღერამ იფეთქა. მექსიკური სტილის სიმღერა, გაუგებარი სიტყვებით, შვილის ან სატრფოს დატირებას უნდა ნიშნავდეს. ყველანი გაუნძრევლად დგანან. მხოლოდ ჯანგიძემ საჩვენებელი თითით თვალი ამოიწმინდა).

შემოდის კიკაბიძე

კიკაბიძე. გამო-ვცხადდი ავტო, ავტო...

ჯანგიძე. (წაეშველა) ავტოინსპექტორი კიკაბიძე.

კიკაბიძე. ზუუ-სტად.

თენგიზი. (ლოლაჯიშვილს მიათითა) იცნობთ?

კიკაბიძე. რრ-ოგორ არა. მე დავაკავე.

თენგიზი. ვინ ვარო?

კიკაბიძე. ლოოლაძის შვილი ვარო. (ლოლაჯიშვილს) ხხ-ომ იყო ასე?

ლოლაჯიშვილი. მერე?

კიკაბიძე. ჩჩ-ვენი ლოოლაძის შვილი? ვკითხე მე. ხხ-ომ იყო ასე?

ლოლაჯიშვილი. ასე იყო.

თენგიზი. „ჩვენი“ რას ნიშნავს?

კიკაბიძე. ეე-სეიგი, თთ-ენგიზ ლოოლაძის შვილი, ხხ-ომ იყო ასე?

ლოლაჯიშვილი. დიახ.

კიკაბიძე. რრ-ატომ იყო ასე, თთქვას.

ლოლაჯიშვილი. დიახ, მე დავუდასტურე, რომ „ჩვენი“ ლოლაძიშვილი ვარ. ამბობენ: ჩვენი აკაკი ჩვენი ნატო, ჩვენი უშანგი, მაშასადამე, ნიჭიერ კაცს ჩვენში „ჩვენსას“ ეძახიან.

კიკაბიძე. სწორია. აა-მხანაგი თთენგიზი ჩჩ-ვენად მმ-იგვაჩნია, ცც-ნობა გადავეცი ჩჩ-ვენს ლოოლაძის შვილს ა-ვარია შშ-ეემთხვა მეთქი.

თენგიზი. ამხანაგო კიკაბიძე, რა სპეციალობისა ხართ?

კიკაბიძე. ავტო-ავტო ინჟინერი.

თენგიზი. მაგრამ, თქვენ იცით

თქვენი ნაკლი, რომლის გამო ინსპექტორად არ ღებულობენ.

კ ი კ ა ბ ი ძ ე. პრო-პროტ-პროტექციით მიმიღეს. სს-აექიმო კკ-ომისიის დასკვნაში მჭ-მჭ-მჭევრმეტყველი ვ-წერივარ, რრატომ?.. სს-აექიმო კკო-მისიის თავმჯდომარე ბიძა-ჩემს ემლი-ემლიქვნებოდა.

თ ე ნ გ ი ზ ი. ენათესავებოდა?

კ ი კ ა ბ ი ძ ე. ემლი — ემლიქვნელე ბოდა.

თ ე ნ გ ი ზ ი. საბუთები რატომ არ გაუსინჯეთ?

კ ი კ ა ბ ი ძ ე. ი-ის თთუ დდ-ავიჯერე, რრომ თქვენი შშვილია, სს-აბუთები რა საჭ-საჭირო იყო.

თ ე ნ გ ი ზ ი. გადახლართულია მლიქვნელობის ძაფი.

კ ი კ ა ბ ი ძ ე . კ-კიბოსავით. დ-დიდებული ს-აქმე გაკეთდა.

თ ე ნ გ ი ზ ი. დიდებული?!..

კ ი კ ა ბ ი ძ ე. მთელი სი-დდამპლე გვამოაშკარავდა.

თ ე ნ გ ი ზ ი. კიკაბიძე, თქვენ იმდენად გულახდილად პასუხობთ, რომ საქმეში ჩაუხედავს ხუმარა ეგონებოდით.

კ ი კ ა ბ ი ძ ე. ს-აქმეში ჩ-ახედული, რომ ბრძანდებით, ამიტომ ვარ გულ-ახდილი. ფ-აქტებს რეგვენი უარყოფს. მე ის ჩჩ-იტი არა ვარ, ფ-უნაში რომ ჭჭიკჭიკებს.

(შემოდის ქსენია ექთანი.

თეთრ ხალათში, თეთრი ჩაჩით, დაქექილი თეთრყდიანი რვეული მაგიდას დააბერტყა).

ქ ს ე ნ ი ა. ა, ბატონო ნიაშვილის „ავადმყოფობის ისტორია!“ (ფურცლავს) პირველ საავადმყოფოში რა უნდა ამ უბედურს, მეორე საავადმყოფოს მუდმივი პაციენტია: დაიკრუნჩხება, დაილმიჭება, გადასაგდებ ფეხსაცმელს დაემსგავსება. მერე გამოეთიშება, კრიჭა შეეკრება და ასე სამ-ოთხი საათის განმავლობაში უსულო და უგონო მიცვალებული ჰგონიათ, ჭეშმარიტად. სულ ქუჩიდან მოათრევენ მაგ უბედურს. ა, ბატონო, თხუთმეტი წლის მანძილზე ერთი და იგივე იწერება. (კითხულობს)..
წონა — 49 კილოგრამი. შფოთიანი ძილი, ნაწლავების მოშლილობა, ჰიპოხონდრია, გიპერესტეზია, ენის კანკალი, ქუთუთოების ცახცახი. დეფექაცია! ბავშვობაში დაავადებული — კონსტიტუციური ნევროზით. სამკურნალო დანიშნულება: ლობელინი, კარდიომინი, კოფეინი, სტროფანტინი, სიმშვიდე და სუფთა ჰაერი“. (გადაფურცლა) ორგანიული დაავადება: ტვინის სისხლძარღვთა არტერიოსკლეროზი, მარცხენა კიდურის დამბლა“. დამბლა!.. ამან შეაცდინა გენოიე პროფესორი, ძველი დამბლა ახალი ჩაქცევა ეგონა. (კითხულობს) „დიაგნოზი: ნევროსტენია!.. ბატონო, არც ერთი ახალი ნაკაწრი და დაჟეჟილობა არა აქვს. რა შუაშია ავარია!..

თ ე ნ გ ი ზ ი. (ნიშნის მოგებით) როგორ შეცდა დოქტორი კაცი“...

ქ ს ე ნ ი ა. დედუუ!.. (ხმას დაუწია და წაუმღერებს )ცოლი რომ გაუბოზდა, მერე გამოტვინდა მაგ უბედური! საშუალო ფრიადზე დაამთავრა. ბებია ჰყავდა გადასარევი. საპატიო წიგნში უნდა იყოს მისი სახელი... (ხელები ჯიბეებში ჩაიწყო, მრავალი ორდენის და მედლის ნიშანი გამოუჩნდა ხალათზე).

თ ე ნ გ ი ზ ი. მძიმე დღე იყო, მძიმე და, გრძელი. მკვდარი ღრუბელი იწვა ქალაქის ცაზე.

(კომუტატორიდან გაბმული ხმა).

ჯ ა ნ გ ი ძ ე. გისმენთ.

ე ვ გ ე ნ ი კ. ხმა. მომილოცეთ!.. მომილოცეთ!.. ნიაშვილი მომესალმა და „შუუ“ მომთხოვა.

ჯ ა ნ გ ი ძ ე. რაო, რაო?

ე ვ გ ე ნ ი. კ. „შუუ“, კრემით მოხარშული შუ მომთხოვა.

(ტელეფონი გამოთიშა. არავითარი შთაბეჭდილება).

თ ე ნ გ ი ზ ი. ჯანგიძე და ჯაბნიძე! იქ დამელოდეთ, იმ მოსაცდელში, სადაც ტომები აწყვია. რიგგარეშე სხდომა გვექნება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოლაჯიშვილი. რატომ არაფერს ეუბნებით, ერთი გათათხეთ მაინც.

თენგიზი. თქვენ კონცერტი გაქვთ, არ გეჩქარებათ?

ლოლაჯიშვილი. მეჩქარება, მაგრამ არ წავალ. ამ ტიპებსაც ნურსად გაუშვებთ, მე არტისტი ვარ, არ მიყვარს, როცა უარყოფითები რჩებიან, არც ის მომწონს ფინალში, რომ დადებითები თავს გვაწონებენ, ამიტომ, ერთი წუთით ყველანი დარჩით. მეც მაგვიანდება და მაინც შევჩერდი: ადამიანებო, რატომ გავუშინაურდით ერთმანეთს ასე ტლანქად, რა საბაბით, ვინ მოგვანიჭა ამის უფლება. ნუთუ მართლა ისეა, როგორც თენგიზმა ბრძანა,— მლიქვნელობით გამრავლებული ბაჭიები ვართ.

თენგიზი. უპასუხეთ!..

ლოლაჯიშვილი. არა, ამ კითხვაზე ასე ხელაღებით პასუხი არ ღირს, ბოდიშს ვიხდი. ჩემმა მანქანამ აგაფორიაქათ. (ხელში გიტარით გადის).

ქსენია. ბედნიერი დღეა, ჭეშმარიტად ბედნიერი.

თენგიზი. რომ ყველანი ცოცხლები ვართ, უსაშველოდ გრძელი დღის მანძილზე ვიღაცას გადავურჩით და ჩვენი სინდისი ვერ შეიწირეს, ამას ეძახით ბედნიერ დღეს?.. მოვაწესრიგოთ ბედნიერება! გესმით ადამიანებო, ბედნიერება ფრინავს, ზრუნვას თხოულობს.

(ოთახში ჩამავალი მზის მუქი წითელი სხივი შემოიჭრება).

დასასრული

ეროვნული ბიბლიოთეკა

სერგი ჭილაია

# ოქტომბერი და ქართული მწერლობა

დეკადენტურ ლიტერატურულ დაჯგუფებებს იმთავითვე დაუპირისპირდა ახალი საბჭოთა მწერლობისათვის მებრძოლი რეალისტური სკოლა. აქ უნდა მოვიხსენიოთ, ერთი მხრით, ქართული მწერლობის ახალგაზრდა ძალები და, მეორე მხრით, ძველი თაობიდან გამოსული მწერლები, რომელთაც კავშირი გაწყვიტეს ძველ ლიტერატურულ სკოლებთან და საბჭოთა მწერლობის გზას დაადგნენ.

საკმარისია გადავათვალიეროთ იმდროინდელი პროლეტარული მწერლობის სალიტერატურო ორგანოებში დაბეჭდილი მანიფესტები და დეკლარაციები და შევადაროთ ისინი სიმბოლისტების, „აკადემიური" ჯგუფის, ფუტურისტების მანიფესტებსა და დეკლარაციებს, რომ მათ შორის აღმოვაჩინოთ არსებითი, ძირეული განსხვავება. დეკადენტური ლიტერატურული სკოლებისაგან განსხვავებით, პროლეტარული მწერლები მოითხოვენ და იცავენ რეალიზმის პრინციპს მწერლობაში; ამ მწერლობის მოწინავე ფრთა ასევე იცავს ძველი ლიტერატურული მემკვიდრეობის კრიტიკული ათვისების საბჭოურ პრინციპს.

1921-1925 წლებში პროლეტარულ მწერალთა ჯგუფი რამდენიმე სამხატვრო-სალიტერატურო ჟურნალ-გაზეთს სცემდა. ეს ჟურნალები, მიუხედავად იმისა, რომ ისინი არ ყოფილან დაზღვეული „მემარცხენული" ხასიათის შეცდომებისაგან, ცდილობდნენ დაეცვათ საბჭოთა მწერლობის პრინციპები. 1922 წელს გამოცემულ ჟურნალ „ქურის" (პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის სამხატვრო-სალიტერატურო თვიური ჟურნალი) მოწინავე წერილში ხაზგასმით არის აღნიშნული ლიტერატურის კლასობრივი ხასიათი და ბუნება, წამოყენებულია მოთხოვნა, რომ თანამედროვე ჩვენი მწერლობა ემსახურებოდეს სოციალისტურ მშენებლობას, პროლეტარიატის დიქტატურას. ჟურნალის რედაქცია თავის ამოცანებს შემდეგნაირად განსაზღვრავს: „გადაისინჯოს და გაირჩეს წინა ეპოქების ქართული პოეზიის შინაარსი და ფორმები, რომ ეს ისტორიული განძეულობა ახალი ქართული პროლეტარული პოეზიის ახალი ფორმების შესაქმნელად იქნას გამოყენებული, რომ წარსულის ქართული პოეზიის იდეები, ახალი ახსნა-განმარტებით, ქართველი პროლეტარიატისათვის გამოსადეგი გახდეს. ერთი სიტყვით, „ქურა" იქნება პროლეტარული ლიტერატურული მხატვრული კრიტიკის და პოეზიის ქართული სამჭედლო" (იხ. „ქურა", № 1, 1922 წ.).

ჟურნალმა „ქურამ" მეორე ნომერში უფრო ფართო დეკლარაციის სახით ჩამოაყალიბა პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის პროგრამა. ამ დეკლარაციაში ვკითხულობთ:

„საქართველოში ჩვენამდისაც არსებობდა... პროლეტარული რევოლუციური ლიტერატურა იმდენად, რამდენადაც არსებობდა პროლეტარიატის რევოლუციური მაჯისცემა პოლიტიკურ და ეკონომიურ ბრძოლაში. მაგრამ პროლეტარიატის დიქტატურის აღიარების შემდეგ და საბჭოთა წესწყობილების დამკვიდრების დღიდან, ჩვენში — პროლეტარული ლიტერატურა ყალიბდება ორგანიზაციულად და ფრთებს შლის იდეურად ისე, როგორც პროლეტარული სხვა შემოქმედება საბჭოთა სისტემის სხვადასხვა სფეროში.

პროლეტარული ლიტერატურა ახალი და მასთან კლასიკური ხასიათის მოვლენა არის ჩვენს დროში. ის დაიბადა მუშათა კლასის

---

* გაგრძელება. იხ. „მნათობი", № 8, 9.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძოლის პროცესში, მისი ზრდა და შემდეგი განვითარება დამოკიდებულია ყველა იმ ისტორიული მსვლელობის აუცილებლობაზე, რომელსაც კაცობრიობა გიგანტური ნაბიჯით მიჰყავს უმაღლეს საზოგადოებრივ ფორმამდე — კომუნიზმამდე.

ჩვენ ვხედავთ, რომ საქართველოში ჯერ კიდევ სუსტია სამრეწველო პროლეტარიატი. იგი თითქმის დღეს იკიდებს ფეხს და ძლიერდება. რამდენად ეს უკანასკნელი ძლიერდება და შლის ფრთებს, სახელოსნოების და ამქრობის ადგილს იჭერს ფაბრიკა-ქარხნები თანამედროვე ტექნიკის მიღწევებით — იმდენად დიდია გავლენა ზემოჩამოთვლილისა პროლეტარულ პოეტებზე და მწერლებზე და პროლეტარული ლიტერატურაც ძლიერია.

ჩვენც ვცდილობთ, რომ მას არ ჩამოვრჩეთ, აღარ არის წარსულისაკენ ცქერის დრო, საქართველოს დღეს ახალი მზე უნათებს თავისი ცხოველმყოფელი სხივებით. დეე, სულით დაცემულებმა იტირონ თავიანთი სიუძლურე და სიბერავე. დღეს ორთქლისა და ელექტრონის ბატონობაა. მათი ძალით კაცობრიობა უნდა მისწვდეს ბუნების საიდუმლოებას; ხმელეთზე ეტლების მაგივრად მიქრიან ორთქლმავლები; ზღვა-ოკეანეებში მიმოცურავენ მთის ოდენა გემები, მთებში გაჰყავთ რკინიგზები, საქართველოც ელის ამ მეოცე საუკუნის კულტურის სხივებს.

დაკორძებული ხელები უცდიან ამუშავებას. ცხოვრების წინ გაქანება შობს ახალ იდეებს და აზრებს, ახალი აზრები კი ახალ დაჭედილ სიტყვებს, ეს უკანასკნელი კი ახალ სტილს და ფორმებს. და აი ამ პროცესშია დღეს პროლეტარული ლიტერატურა.

თანამედროვე საქართველოს მწერლობა თავისი დეკადანსით, რომლიდან ლოგიკურად გამომდინარეობს: ფუტურიზმი, სიმბოლიზმი (ჩვენებური „ყანწელები") და სხვა მიმართულებები, მაჩვენებელია უსათუოდ არსებული საზოგადოების დაშლის და ჩვენ ვუცქერით მას, როგორც მიუღებელ ფორმას მუშათა კლასისათვის. ამ მიმდინარეობათა იდეოლოგია დაფუძნებულია უკიდურეს ინდივიდუალიზმისა და საზოგადოებრივი იდეალის მიჩქმალვაზე და მტრულად განწყობილია პროლეტარიატის კოლექტიურ შემოქმედებისა და შეგნებისადმი.

ჩვენ ვთვლით, რომ ყველა ზემო ჩამოთვლილ ლიტერატურულ-მხატვრული მიმდინარეობანი არ შეიძლება საფუძვლად დაედვას პროლეტარულ-მხატვრულ შემოქმედებას, რადგან პროლეტარული ლიტერატურა, როგორც იდეოლოგიურ-კლასიკური მოვლენა, ისტორიულ მსვლელობაში ღებულობს საერთო საკაცობრიო ხასიათს, როგორც ფორმის, ისე შინაარსის მხრით.

ის მიდის ახალი ფორმების და მეთოდების შექმნის გზით და ცდილობს გამოიყენოს ყველა ის მიღწევანი, რომელიც კი არსებობენ თანამედროვე ბურჟუაზიულ ლიტერატურაში.

ბურჟუაზიულმა ლიტერატურამ, მწერლობამ რამდენიმე „სკოლა" განვლო, ხოლო პროლეტარული ლიტერატურა, მწერლობა თავის საკუთარ სკოლას ახლა ჰქმნის. იგი ძიებაშია.

საზოგადოებრივი ცხოვრება იწვევს ახალ ფორმებს მწერლობაში; მხატვრის მასალა: სიტყვა, ბგერა, სახეები, ფერები და მუსიკალობა ჩვენ ხოლოდ მხატვრული აზრის და იდეის გამოსახატავ საშუალებად მიგვაჩნია.

ჩვენ ერთხელ და სამუდამოდ უარვყოფთ მწერლობაში იმ აზრსაც, ვითომ შესაძლებელი იყოს და არსებობდეს „ხელოვნება ხელოვნებისათვის", ხელოვნება ცხოვრების გარეშე ფიქციაა და ვინც ამის საწინააღმდეგოს ამტკიცებს, ის ჰკუის გარეშე სდგას.

ყველა ჩვენს ამხანაგებს, პროლეტარულ პოეტებს და მწერლებს სრული თავისუფლებით შეუძლიათ შემოქმედების მეთოდები და ფორმები გამონახონ, რაც უსათუოდ მისაღები იქნება პროლეტარულ მოზარდ ლიტერატურისათვის.

## ჩვენი ლოზუნგებია:

1. გამოყენება იმ მიღწევათა, რომელიც კი არსებობდა წარსულსა და თანამედროვე ქართულ თუ უცხოელთა ლიტერატურაში.

2. ჩარევა და ჩაბმა ქართულ პროლეტარულ მწერლებთან ერთად პოეტურ შემოქმედებით პროცესში ქართველი მუშებისა, რომ კოლექტიური ძალღონით შეიქმნას პროლეტარული ლიტერატურისათვის ახალი მეთოდები, ფორმები და სტილი.

3. მიეცეს ქართველ მკითხველებს ნიმუშები მხატვრული ლიტერატურის ყველა დარგებიდან — ლირიკის, ბელეტრისტიკის და დრამის, როგორც ორიგინალური, ისე ნათარგმნი.

ჩვენ, პროლეტარული პოეტები და მწერლები დარწმუნებული ვართ და, ამავე დროს, საყოველთაოდ ვაცხადებთ, რომ პროლეტარული მხატვრული ლიტერატურა განსაკუთრებით ჩვენში ჯერ კიდევ ახალგაზრდაა, არც ფორმით და სტილით არ არის სრულქმნილი. მაგრამ ჩვენ ვამტკიცებთ მაინც ერთს: რომ ის არის მართლაც ნამდვილი მხატვრული ლიტერატურა, რომელიც დასაწყისს პოულობს გარდამავალ დროში და რომელსაც ძალუძს განვითარდეს და დაიპყროს სულიერი კულტურის მწვერვალები" (ჟურნალი „ქურა", 1922 წ. № 2).

1921 წლის 17 დეკემბერს შეიქმნა საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაცია. მას სათავეში ედგნენ რ. კალაძე, ს. თოდრია, ს. ეული, ი. ვაკელი, პ. სამსონიძე, ი. ლისაშვილი, ნ. ზომლეთელი. მართალია, ეს ჯგუფი მხატვრულად სუსტი იყო, მაგრამ თავის იდე-

ური პრინციპებით მტკიცედ იდგა საბჭოთა ხელისუფლების სადარაჯოზე და ეწეოდა აქტიურ ბრძოლას იმ დროის დეკადენტური ლიტერატურული სკოლების წინააღმდეგ. პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის მთავარი ჟურნალი, როგორც ვთქვით, იყო „ქურა" (რედაქტორები: ს. თოდრია, ს. ეული, რ. კალაძე). ამ ჟურნალს წინ უსწრებდა სატირული ორგანო ასოციაციისა „ყუმბარა". (1921 წლის პირველი აგვისტო).

„ქურას" სულ ორი ნომერი გამოვიდა (1922 წლის მარტი და აგვისტო); ჟურნალის ფურცლებზე, გარდა ზემოთ დასახელებული მწერლების ნაწარმოებებისა, უხვად იყო წარმოდგენილი ფაბრიკა-ქარხნების და მაღაროების მუშათა ლექსები და მოთხრობები. ამ მუშა-მწერლებიდან, შემდეგ თითო-ოროლა სახელი შერჩა ლიტერატურას, მაგრამ საინტერესოა თავისთავად ის ფაქტი, რომ მწერლობაში შემოვიდნენ მშრომელი ხალხის წარმომადგენლები, რომელთაც თავიანთ ხორკლიან, გაურანდავ სტრიქონებს იმდენი გულწრფელობა და უშუალობა ჩაატანეს, რომ ეს ლექსები სავსე იყო ახალი ცხოვრების რომანტიკით და რწმენით, ამ მუშა-პოეტების ლექსებს ეტყობა ირ. ევდოშვილის, ნ. ჩხიკვაძის, გ. ქუჩიშვილის პოეზიის დიდი და პირდაპირი გავლენა. ამას გარდა, ჟურნალში დაბეჭდილია რ. კალაძის, ა. ბოგდანოვის და სხვათა პოლიტიკური წერილები. აქვე ქვეყნდებოდა რუსი და სხვა მოძმე ხალხების მწერალთა ნაწარმოებების თარგმანები.

1923 წლიდან გამოსვლას იწყებს ჟურნალი „დროშა" — გაზეთ „კომუნისტის" ლიტერატურული დამატება. გაზეთ „კომუნისტთან" ერთად, ამ ჟურნალმა თავი მოუყარა მოწინავე ქართველ მწერლებს და დაიწყო ბრძოლა საბჭოთა ლიტერატურის პოზიციების განმტკიცებისათვის. „დროშას" ფურცლებზე გამოჩნდა პირველი საბჭოთა პოემები, მოთხრობები, აქ ალორძინდა რომანის ჟანრი, აქ დაიბეჭდა ჩვენი მაშინდელი მოწინავე საბჭოთა მწერლების ნაწარმოებები.

იმ დროს მოწინავე ჟურნალ-გაზეთებს შორის უნდა მოვიხსენიოთ საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის ყოველთვიური საპოლიტიკო, სალიტერატურო და სამეცნიერო ჟურნალი „მომავალი" და გაზეთი „სპარტაკი". პრესის ეს ორგანოები სისტემატურად აქვეყნებდნენ სპეციალურ ლიტერატურულ ფურცლებს, სადაც იბეჭდებოდა ახალგაზრდა პოეტების და პროზაიკოსების ნაწარმოებები. ჟურნალ „მომავლის" ლიტერატურული განყოფილება გაიხსნა ალიო მირცხულავა-მაშაშვილის ლექსით „25 თებერვალს", რომელშიც ვკითხულობთ:

დაიმსხვრა ცრემლის ვალალებად ავი
ზამთარი
და თებერვალიც შეიმოსა ოქტომბრის
კაბით.

ახალგაზრდობის ლიტერატურულ ჟურნალ-გაზეთებში უკვე სისტემატურად იბეჭდებოდა პროლეტარული მწერლობის ახალი თაობის წარმომადგენელთა (ა. მაშაშვილი, კ. კალაძე, კ. ლორთქიფანიძე, ე. ზედგინიძე, გ. მდივანი და სხვ.) ნაწარმოებები.

1923 წელს „სპარტაკში" (№ 63) დაიბეჭდა ჟურნალ „მომავლის" და გაზეთ „სპარტაკის" სპეციალური მიმართვა საქართველოს ლიტერატურული ახალგაზრდობისადმი, ამ მიმართვაში ვკითხულობთ: „ყველა პროვინციელ ახალგაზრდა პროლეტარულ ლიტერატორებს (პოეტებს და მწერლებს) საქართველოს ახალგაზრდა პროლეტარულ ლიტერატორთა გაერთიანების (ჟურნალ „მომავლის" ლიტერატურული ჯგუფი) გამგეობა ამით აცნობებთ, რათა ადგილობრივ ახალგაზრდა პროლეტარულ ლიტერატურული ძალები ორგანიზაციულად გაერთიანდეთ (ქალაქის, დაბის ფარგლებში) და გვაცნობოთ თქვენი ორგანიზაციის წევრთა რაოდენობა, ვინაობა. ვიმედოვნებთ, ჩვენს მოწოდებას ერთ კვირაზე გამოეხმაურებით და თქვენი პრაქტიკული, ესთეტიკური შემოქმედება იქნება მისი გამართლება".

ამ მიმართვას ხელს აწერდა პოეტი ალიო მაშაშვილი. უნდა ითქვას, რომ პროლეტარულ ლიტერატორთა გაერთიანების გამგეობამ ახალგაზრდა ლიტერატორთა ძალების გამოვლინების საქმეში გარკვეული როლი შეასრულა. სწორედ ზემოთ დასახელებული ჟურნალ-გაზეთების მეოხებით მოხერხდა ჩვენი ახალგაზრდა ლიტერატურული თაობის განმტკიცება, მისი გაზრდა და განვითარება.

საბჭოთა ლიტერატურის განვითარებას მტკიცე ნიადაგი შეუქმნა ამ ახალმა თაობამ, საბჭოთა ეპოქაში ჩამოყალიბებულმა პროლეტარული მწერლობის თაობამ.

ახალი თაობის შესანიშნავი პოეტი მირცხულავა-მაშაშვილი გაზეთ „სპარტაკის" ფურცლებზე დაბეჭდილ ლექსში ამბობდა:

ცხოვრების შვილნო, დღეს აბობოქრდა
ვარსკვლავთა კრა, დღემდის ჩამქრალი,
დღეს ჩვენი მკლავი წმენდს ბოროტებას,
ბრძოლის წიაღში ელვარებს ქნარი.

ახალგაზრდა პოეტი მთელი გატაცებით შესტრფის ახალ დროს, საბჭოთა ეპოქას, ოქტომბრის დროშას. მასში ხედავს ჩვენი ცხოვრების განახლების საწინდარს, მას უკავშირებს ჩვენი ქვეყნის მომავალს, ბედნიერ აწმყოს.

1923 წელს საქართველოს კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტთან შეიქმნა ახალგაზრდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მწერალთა გაერთიანება „მომავალი“. ამ ჯგუფს სათავეში ჩაუდგა ახალგაზრდა პოეტი ალიო მაშაშვილი. ჯგუფში შედიოდნენ. კარლო კალაძე, შალვა რადიანი, პ. ქიქოძე, ე. ზედგინიძე. ეს მწერლები სისტემატურად იბეჭდებოდნენ გაზ. „სპარტაკსა“ და ჟურნალ „მომავალში“. 1928 წლის ნოემბერში, აგრეთვე საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ქუთაისის საქალაქო განყოფილებაში გაერთიანდნენ ახალგაზრდა მწერლები: ბენიტო ბუაჩიძე, კონსტანტინე ლორთქიფანიძე, დავით რონდელი, გიორგი მდივანი, მათ გამოსცეს ალმანახი „დინამიტები“.

1924 წელს თბილისელ ახალგაზრდა მწერლების ჯგუფს უერთდება ქუთაისიდან გადმოსული „დინამიტის“ ჯგუფი და იქმნება კომკავშირულ-ახალგაზრდული მწერლების ძლიერი ბირთვი, რომელიც უკვე ძლიერ გავლენას ახდენდა ქართულ საბჭოთა მწერლობის განვითარების მთელს პროცესზე. პროლეტარულ მწერალთა უმრავლესობა კომუნისტური პარტიის წევრები და კომკავშირლები იყვნენ — სისხლხორცეულად დაკავშირებულნი საბჭოთა საქართველოსთან და თავდადებულნი მებრძოლნი მისი გამარჯვებისა და განმტკიცებისათვის. ახლა პროლეტარულ მწერალთა ასოციაცია ორ თაობას აერთიანებდა. პირველ თაობას ეკუთვნოდნენ — ს. თოდრია, ს. ეული, რ. კალაძე, ი. ლისაშვილი, ნ. ზომლეთელი, ი. ვაკელი და სხვ.; მეორეს — კომკავშირული ახალგაზრდობა — ალიო მაშაშვილი, კ. კალაძე, კ. ლორთქიფანიძე, პ. ჩხიკვაძე, ბ. ბუაჩიძე, პ. ქიქოძე, შ. რადიანი, შ. დუდუჩავა.

პროლეტარულ მწერლობაში, უკვე ოციანი წლების დასაწყისშივე დაიწყო ბრძოლა ფორმის სრულყოფისათვის, განსაკუთრებით ახალ თაობის მწერალთა შორის მწვავედ დადგა მხატვრული ფორმის, გამოსახულებათა საშუალებების ძიების პრობლემა.

ამ რთულ იდეოლოგიურ ვითარებაში იმ დროის დეკადენტური დაჯგუფებების წინააღმდეგ შეურიგებელ ბრძოლას ეწეოდა პროლეტარული მწერლობის ლიტერატურული ფრონტი, რომლის რიგებში იყვნენ ცნობილი მარქსისტი-ლიტერატორები — შ. დუდუჩავა, ბ. ბუაჩიძე, შ. რადიანი, გრ. მუშიშვილი, ვ. ბახტაძე, ა. სულავა და სხვანი; მიუხედავად მათ ნაწარმოებებში დაშვებული ზოგიერთი ვულგარიზატორული, რაპული შეცდომებისა, ეს ჯგუფი იბრძოდა პროლეტარული მწერლობის გამარჯვებისათვის.

1928 წლის აგვისტოში საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციამ გამოსცა ყოველკვირეული სამხატვრო-სალიტერატურო გაზეთი „ორიონი“. ამ გაზეთის მხოლოდ ორი ნომერი გამოვიდა. მის მეორე ნომერში დაიბეჭდა საქართველოს პროლეტარულ მწერალთა კავშირის წესდების პროექტი; მასში აღნიშნული იყო:

„კავშირის მიზანს შეადგენს პროლეტარიატის ლიტერატურულ-შემოქმედებითი ძალთა თავის მოყრით მათი კლასობრივი იდეოლოგიის ყოველმხრივი ჩამოყალიბება, პროლეტარული ლიტერატურის აღორძინება და დაცვა მათი ეკონომიკური და უფლებრივი ინტერესებისა. მთელი მუშაობა კავშირისა უნდა იყვეს შეფარდებული საქართველოს კომპარტიისა და მესამე კომინტერნის მოქმედებასთან“. ასე იწყებოდა წესდების პროექტი; შემდეგ დაწვრილებით ჩამოთვლილი იყო კავშირის წევრთა უფლება-მოვალეობანი და ამოცანები... ამავე ხანებში გამოვიდა „ქარხნის ჰანგები“ — ქართველ პროლეტარულ მწერალთა კოლექტივის კვირეული ლიტერატურული გაზეთი. პროგრამული წერილი — „ჩვენი სიტყვა“ — ეკუთვნის შ. დუდუჩავას. იგი წერს:

„პოეზიის მოტივებს სინამდვილე წარმოშობს. სინამდვილის კლასიური შეგნება ქმნის მხოლოდ კლასიური მოტივების შესაძლებლობას. კლასიური მოტივებით შემორკალულია თანამედროვე პოეზია — იყვეს ის მისტიკური თუ რაციონალისტურ-რეალისტური. ამ რკალის გახსნა იმ მოქმედებას შეუძლია, რომლის ჰანგები მთლიანი სინამდვილის ესთეტიკური ათვისებაა; ამიტომაც ქარხნის ჰანგები მხოლოდდამხოლოდ პროლეტარული პოეზიის საკუთრებაა; პროლეტარული პოეზია ახალი ქვეყნის და ახალი განთიადის საყვირია, მაგრამ ის, იმავე დროს, თანამედროვე ბურჟუაზიული წყობილების განადგურების მოციქულიცაა. „ქარხნის ჰანგები“ განახლებული პროლეტარული საქართველოს ესთეტიკური სამრეკლოა. ის იმიჯნება ფუტურიზმისაგან, რადგან მას შესაძლებლად და თან აუცილებლად საჭიროდ მიაჩნია ძველი ესთეტიკური ღირებულებათა გამოყენება. პროლეტარული პოეზია შორსაა სიმბოლისტური მიმართულებისაგანაც. „ქარხნის ჰანგებმა“ თავის გამართული ფრონტით უნდა გალეწოს და პრინციპიალურად წარსულის არქივში გადაისროლოს ბნელი მისტიციზმისა და შავი ბინძური პოლიტიკის „პოეზია“, რომელიც დასტირის პარლამენტალურ საქართველოს გაციებულ გვამს და რომლის ტრაური უკბილო პროტესტია განახლებული მუშური საქართველოს წინააღმდეგ“...

როგორც ხედავთ, აქ არის პარტიული პოზიციებიდან მოცემული შეფასება მოვლენებისა, საერთოდ, ლიტერატურული ცხოვრების, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ავტორი ალაგ-ალაგ რაღაც კასტური განკერძოების ტენდენციასაც ამჟღავნებს: ახალი თემატიკა — „მხოლოდ და მხოლოდ პროლეტარული პოეზიის საკუთრებააო“, აცხადებს. ეს მოწმობს, რომ

იგი თავისუფალი არ არის უხეში ვულგარულ-სოციოლოგიური იდეების გავლენისაგან.

1921 წელს საქართველოს სსრ განათლების კომისარიატთან შეიქმნა სპეციალური სახელოვნო კომიტეტი, რომელსაც დაევალა სახელმწიფოებრივი მზრუნველობა გაეწია ქართული კულტურის, ხელოვნების და მწერლობისადმი. ამ დარგების ოპერატიულად წარმართვის მიზნით დაარსდა ორკვირეული „სახელოვნო-საინფორმაციო ჟურნალი". ჟურნალი იხსნებოდა მოწოდებით — „განახლებისათვის"; მასში ვკითხულობთ:

„ამ სოციალურ გარდაქმნის ხანაში იწყება ყოველგვარი კატეგორიის ღირებულებათა გადაფასება. ახალი ცხოვრების გამოჭედვის გზა ცეცხლის ენერგიითაა გარშემორტყმული. საფუძვლებამდის ინგრევა ძველი შენობა და ახალის მიდგომით, ახალის გაგებით და მეთოდით უნდა აშენდეს უკვდავი სასახლე.

შეიძლება ამ საერთო გარდაქმნის ჟამს, ბევრი ისეთი რამ მოჰყვეს ნანგრევებს ქვეშ, რაც ძვირფასი იქნებოდა მომავალი კაცობრიობისათვის, მაგრამ ულმობელია კანონები რევოლუციისა და როცა მთელი სასახლე ზანზარებს, ლამაზ ჩუქურთმაზე აღარ ფიქრობენ... პროლეტარიატს დიდი სიფრთხილე და გამჭრიახობა მართებს... მან მთელი მემკვიდრეობა უნდა ჩაიგდოს ხელში, რომ შემდეგ, ვით ერთადერთმა პატრონმა, გადაახალისოს იგი და მოაშოროს, აღმოფხვრას რაც ზედმეტია, რაც გახრწნილია და უარსაყოფი... არ შეიძლება ახლავე არ ვიზრუნოთ ამ სიმდიდრეთა შენარჩუნება-გადარჩენაზე. ამიტომ ხელოვნებას შემთხვევითი ჯგუფის ხელში ვერ დავტოვებთ, მარტო სახელმწიფო მასშტაბით შეიძლება მასზე ზრუნვა, მისი დაცვა... ყველა, ვისაც უნდა მომავალი მდიდარი იყოს სულიერი კულტურით, მოვიდეს და დაეხმაროს სახელმწიფოს ამ დიდსა და ლამაზ საქმეში".

ქართველი ინტელიგენცია აქტიურად გამოეხმაურა ამ მოწოდებას. ასე დაიწყო საბჭოთა საქართველოში სახელმწიფოებრივი ზრუნვა და ხელმძღვანელობა სულიერი კულტურის ყოველი დარგისადმი. ამ საქმეში ქართული მწერლობა ფართოდ ჩაება. განათლების კომისარიატის ამ ოფიციოზში იბეჭდებოდა კ. გამსახურდიას, ი. გრიშაშვილის, შ. დადიანის, ვახ. კოტეტიშვილის, ნ. მიწიშვილის, მარიჯანის, ვ. რუხაძისა და სხვათა მხატვრული ნაწარმოებები და წერილები.

საბჭოთა მწერლობისა და ხელოვნების განვითარების საქმეში დიდი როლი შეასრულა ჟურნალმა „ხელოვნების დროშამ", რომლის პირველი ნომერი გამოვიდა 1924 წლის ივნისში. ჟურნალის პირველი ნომერი იხსნება მოკლე სარედაქციო წერილით, რომელშიც ნათქვამია: „ჟურნალის მიზანია ემსახუროს იმ საკითხების გარკვევას, რომელსაც უყენებს დღევანდელი დღე ქართულ ხელოვნებას, განურჩევლად დარგებისა და მიმართულებებისა"...

მეორე ნომერში დაბეჭდილია დეკლარაცია, რომელშიც უფრო ზუსტად არის განსაზღვრული ჟურნალის პოზიცია და მიმართულება: „ჩვენ არ გვწამს და ვერ ვიწამებთ „ხელოვნებას ხელოვნებისათვის..." ეს ბურჟუაზიული იდეოლოგიის ფანდია მშრომელი ხალხის თვალის ასახვევად... ჩვენ არ გვწამს და არც ვიწამებთ „ხელოვნების ზეკლასიურობას". ჩვენ ვცხოვრობთ პროლეტარული დიქტატურის ხანაში, პროლეტარიატს, როგორც კლასს, ხელში უპყრია დღეს სახელმწიფოს მმართველობის სადავე. ხელოვნებაც, როგორც ერთი საუკეთესო იარაღთაგანი, ახალი საზოგადოების ცხოვრების შესაქმნელად პროლეტარიატს ესაჭიროება"... ჟურნალში იბეჭდებოდა შ. დუდუჩავას, ივ. გომართელის, თ. ვახვახიშვილის, ტ. ტაბიძის, ა. ვასაძის, აკ. ფაღავას, დ. არაყიშვილის, ი. გედევანიშვილის წერილები, გ. ქუჩიშვილის, ს. ეულის, ი. ვაკელის, პ. სამსონაძის, ტ. გრანელის და სხვათა ლექსები.

ჟურნალის მესამე ნომრის გარეკანზე მოთავსებულია ეგნატე ნინოშვილის პორტრეტი, ხოლო ე. ნინოშვილისადმი მიძღვნილ წერილში ვკითხულობთ: „ე. ნინოშვილი იყო წინამორბედი მთელი ჩვენი მუშათა მოძრაობის, ის იყო „მესამე დასის" სულისჩამდგმელი, ინიციატორი, ორგანიზატორი, ნამდვილი ბელადი".

„ხელოვნების დროშის" მეოთხე ნომერში დაბეჭდილია გ. ქუჩიშვილის ლექსი „ოდა მშრომელ ხალხს", მეხუთეში — ლექსი „ჩვენი გულისთქმა". მასში აღნიშნულია:

> ჩვენ გვიყვარს
> შავი მუშათა ჯარი
> რევოლუციის დარაჯად
> მდგარი,
> მას უმღერს
> ჩვენი ფოლადის ქნარი,
> მისებრ შემდგარი,
> შეუპოვარი.

ნოემბრის ნომერში გამოქვეყნებულია ს. ეულის „ქტომბრის მარში" და იონა ვაკელის „25 ოქტომბერი". ჟურნალის მეექვსე ნომერში, ვანო სარაჯიშვილის გარდაცვალების გამო, დაბეჭდილია ი. გედევანიშვილის, დ. არაყიშვილის და ნ. ლორთქიფანიძის წერილები; აქვეა დაბეჭდილი ტ. გრანელის ლექსი „ვანო სარაჯიშვილს":

> დაეშვა ფარდა, დაბნელდა სცენა,
> შეწყდა შრიალი და მისტერია,
> ვანო! ასრულდა შენი სიმღერა:
> „თავო ჩემო, ბედი არ გიწერია".
> და ახლა ირგვლივ გლოვის წამია,

ეროვნული ბიბლიოთეკა

წამია გლოვის, ცრემლების გარდა.
ქართულ სცენაზე მძიმე ღამეა,
ქართული სცენა დამგლოვიარდა.
შენ გადაფრინდი სინათლის იქით,
რომ მხოლოდ ნისლი იყოს კარავი
და გვირგვინების მწუხარე რიგი
ახლა შენს მაღალ კუბოს ფარავენ...
დღეს აღარა ხარ, ძვირფასო, მაგრამ
ჩვენთან ელვარებს შენი ნათელი,
სამწუხაროა, რომ ასე გაქრა,
შენი ხმა: ცეცხლი და ქრუანტელი.
დაეშვა ფარდა, დაბნელდა სცენა,
თვალები მაინც შენ გიცქერიან.
ვანო! ასრულდა შენი სიმღერა:
„თავო ჩემო, ბედი არ გიწერია“.

• • •

1925 წლის მარტში „სახელგამმა“ გამოსცა ალმანახი — „პროლემაფი“ — (პროლეტარული მწერლობის ახალი ფრონტი). როგორც უკვე სახელწოდებიდან ჩანს, იგი იყო რაღაც სიახლის მაუწყებელი. ალმანახის წინასიტყვაობა ასე იწყებოდა:

„რევოლუციური თანადროულობის განსაკუთრებული პირობები, პროლეტარული მწერლობიდან ითხოვს განსაკუთრებულ მისვლას მიმდინარე ყოფასთან. დღემდის არსებულმა პროლეტარულმა მწერლობამ ვერ შესძლო რევოლუციური თანამედროვეობის ალლოს შენარჩუნება, გამოუვალად მოექცნენ მოპირდაპირე კლასების ფორმალურ სკოლათა უშუალო გავლენის ქვეშ, დაკარგეს ბრძოლის უნარი რევოლუციის იდეოლოგიური მონაპოვართა დასაცავად, რევოლუციის პოეზია გაიგეს როგორც ბუკის ტრაფარეტი... კოსმიურ საკითხებზე გაყინვით, რიტორიული პლაკატით, ყალბი პათოსით და კაბინეტური ხედვით პროლეტარულ პოეზიის რევოლუციური ღირებულება დასცეს. თუმცა რევოლუციის პირველ დღეებში მიუძღვით დამსახურება... ჭეშმარიტი და ძლიერი ხელოვნება უნდა განვითარდეს, ეს იქნება იდეოლოგიური ორგანიზატორი მასებისა... ხელოვნება მასებზე ზეგავლენის და აღზრდის საშუალებაა, ამიტომ საჭიროა გადასვლა რიტორიულ პლაკატის აგიტაციიდან (რომელიც ვერ აკმაყოფილებს მასებს) ღრმა ფსიქოლოგიურ პროპაგანდაზე“.

ამ სარედაქციო წერილს ხელს აწერდნენ კარლო კალაძე, კონსტანტინე ლორთქიფანიძე, კალე ფელდოსიშვილი, ბენიტო ბუაჩიძე, ვ. ბესოშვილი, ელიზბარ გუგუნავა, გ. მდივანი, თამარ ჩქარეული, დავით რონდელი, შალვა რადიანი, პლატონ ქიქოძე.

პროლემაფის“ მხატვრული განყოფილება საკმაოდ მდიდარი იყო; კრიტიკის განყოფილებაში გამოქვეყნებული იყო შ. რადიანის, დ. რონდელის, ბ. ბუაჩიძის წერილები; „პროლემაფის“ კრიტიკოსები ებრძოდნენ დეკადენტურ სკოლებს, დეკადენტურ განწყობილებებს, რომლებიც ჯერ ისევ ხშირად გვხვდებოდა იმ დროის მწერლობაში.

ამავე დროს, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ „პროლემაფს“ აშკარად ემჩნეოდა რაპული „მემარცხენეობის“ მავნე ტენდენციები. „პროლემაფიდან“ იწყება ქართული ხელოვნების ოქტომბერი, პროლეტარიატის ყოფა-ცხოვრებისა და აღმშენებლობის მხატვრული ასახვაო“, აღნიშნული იყო ამ ალმანახის ფურცლებზე; ალმანახის ავტორთა მემარცხენული შეცდომები მაშინვე იყო გაკრიტიკებული ჩვენს პარტიულ პრესაში (გაზ. „კომუნისტი“, ჟურნალი „დროშა“). ამ შეცდომების მიუხედავად, ახალგაზრდების ფრონტი, მათი თავდადებული ბრძოლა პროლეტარული მწერლობის მხატვრულ გამომსახველობათა გამდიდრებისათვის, სრულიად კანონზომიერი მოვლენა იყო და თვით მათ, ამ ახალგაზრდებმა (ა. მაშაშვილმა, კ. ლორთქიფანიძემ, კ. კალაძემ და სხვებმა) ბევრი რამ გააკეთეს ქართული საბჭოთა მწერლობის აღმავლობისათვის.

1925 წლის მიწურულში გამოვიდა საქართველოს პროლეტარული მწერალთა ასოციაციის ყოველთვიური სამხატვრო-სალიტერატურო ორგანო „მერცხალი“ (№ 1, 2; 1925 წლის დეკემბერი, 1926 წლის იანვარი); ჟურნალს ხელს აწერდა სარედაქციო კოლეგია: ალიო მაშაშვილი, ნოე ზომლეთელი, ბენიტო ბუაჩიძე, დავით რონდელი. პირველი ნომერი იხსნება წერილით „წინასიტყვაობა“, სადაც ჩამოყალიბებულია ჟურნალის პოზიცია და მიმართულება. ჟურნალი აღნიშნავს, რომ იგი მტკიცედ დაიცავს მწერლობის პარტიულობის, კლასობრივობის პრინციპს; ამ პოზიციებიდან აკრიტიკებს იგი ფუტურისტებსა და ყანწელებს.

ამ ჟურნალის სულ ოთხი ნომერი გამოვიდა. ეს იყო მებრძოლი ორგანო, პროლეტარული მწერლობის ახალგაზრდა კადრების ზრდისა და დაოსტატების მაჩვენებელი, ეს იყო წინ გადადგმული ნაბიჯი საბჭოთა მწერლობისათვის ბრძოლაში. აქ დაბეჭდილი ლექსები, მოთხრობები, კრიტიკული წერილები აქტიურად ეხმაურებოდნენ ჩვენს დროს. საბჭოთა ეპოქას. ამ ჟურნალის მესამე ნომერში დაბეჭდილი ბიბლიოგრაფიული წერილი მიძღვნილია „მნათობის“ მეოცე ნომრის გამოსვლისადმი. მასში ლაპარაკია როგორც „მნათობის“ როლზე მთლიანად, ასევე მასში დაბეჭდილ ცალკეულ ნაწარმოებებზე, კერძოდ, ხსენებულ წერილში ნათქვამია: „ჟურნალი „მნათობი“ განსაზღვრულ ლიტერატურულ დაჯგუფებას, ლიტერატურულ სკოლას არ ქმნის. მასში თავისუფლად თანამშრომლობენ სხვადასხვა მიმართულებანი. ეს არის რევოლუციის მიღების მიმართულება, რომელიც სხვადასხვა მხატვრული იდეების კოორდინაციას იძლევა.

გამარჯვებული რევოლუცია, სოციალურ-ეკო-

ნოვიურ კლასთა ურთიერთობაში მომხდარი გარდაქმნა მწერლობის ხვეულებშიც გახმაურდა. აქაც შეირყა დამკვიდრებული ტრადიცია. მწერლობა ცდილობს ასახოს მომხდარი ტკივილები და ცხოვრების დაუდეგარი დინება უძრავ პორტრეტებად გამოაქანდაკოს. ბევრმა ძველი იდეებით დატენილმა ლიტერატურულმა დაჯგუფებამ მიიღო რევოლუცია. რევოლუციის თანამგზავრთა რკალში მოექცა". ამის შემდეგ განხილულია „მნათობში" დაბეჭდილი გ. ტაბიძის, მ. ჯავახიშვილის, ალ. მაშაშვილის, კ. კალაძის და სხვათა ნაწარმოებები. კერძოდ, მიხ. ჯავახიშვილზე ნათქვამია: „ქართულ ორიგინალურ პროზაში საყურადღებოა მიხ. ჯავახიშვილის მოთხრობა „თეთრი საყელო"; მოთხრობის სიუჟეტი ჩვეულებრივია, მაგრამ აქ არის ორი პოლარული კულტურის მატარებელ პიროვნებათა დაპირისპირება. ქართველი ინტელიგენტის კვლავ გაცოცხლება შესაძლებელია, თუ ის არქაულ ყოფას — დაბალ მასას შეუერთდება. ალაგ-ალაგ მოთხრობაში არის „ჯაყოს ხიზნების" ურთიერთობის განმეორება" (ჟურ. „მერცხალი", № 3, მარტი, 1926 წელი).

ქართული საბჭოთა მწერლობის იდეური და მხატვრული აღმავლობისათვის თავდადებით იბრძოდა ჟურნალი „პროლეტარული მწერლობა" (1927-1932 წ.) ამ ჟურნალის 1927 წლის (№ 9-10) სარედაქციო წერილში „ოქტომბრის ათი წელი", ვკითხულობთ:

„პროლეტარული მწერლობის განვითარების გზები ორგანიულ კავშირში მიიმართებოდა ოქტომბრის რევოლუციის მსვლელობის საფეხურებთან...

პროლეტარული მწერლობის პირველი პერიოდი, საკავშირო მასშტაბით იხაზლვრებოდა ოქტომბრის გადატრიალების დღეების სტიქიურ მოვლენების პლანეტარული განყენებული ათვისებით, სააგიტაციო მოწოდებითი ლირიკის განსაკუთრებული თვისებით.

მეორე ხანა პროლეტარული მწერლობის განვითარებაში დაიწყო მშვიდობიანი სოციალისტურ აღმშენებლობაში გადასვლის შემდეგ. ეს პერიოდი ხასიათდება პროლეტარული მწერლობის განსაკუთრებული გაძლიერებით. რაოდენობრივი და თვისობრივი ზრდის ფაქტით. ამ პერიოდიდან შემოქმედებით მასალაში შევიდა ახალი ყოფის მშენებლობის მოვლენები. გაღრმავდა თანამედროვე მებრძოლი ადამიანის კონკრეტული და აქტიური ლირიკა და საერთოდ ახალი ყოფა-ცხოვრების ჩამოყალიბების და გმირული განწყობილების მხატვრული ჩვენება".

ეს ჟურნალი მართლაც იბრძოდა მაღალიდეურ და მაღალმხატვრულ მწერლობისათვის, მაგრამ მეტისმეტად ტენდენციურად ეკიდებოდა ძველი თაობის ცნობილ ოსტატებს, იმავე მიხეილ ჯავახიშვილსა და ლეო ქიაჩელს, ი. გრიშაშვილსა და ალ. აბაშელს... რასაკვირველია, რომანების — „ჯაყოს ხიზნებისა" და „თეთრი საყელოს" ავტორები „გაუსწორებელი რეაქციონერების" ეპითეტს არ იმსახურებდნენ; ჟურნალი „პროლეტარული მწერლობა" და თვით ასოციაციის ხელმძღვანელობა მთლიანად იზიარებდა რაპპის მცდარ ლოზუნგებს; ყოველივე ამან დიდი ზიანი მიაყენა პროლეტარული მწერლობის ასოციაციის მუშაობას და იგი შემაფერხებელ მოვლენად იქცა, ხელი შეუშალა ძველ თაობასთან თანამშრომლობის ლენინური პრინციპების განხორციელებას. ლენინიზმი გვასწავლის, რომ საჭიროა ძველ თაობასთან, სიტყვის გამოცდილ ოსტატებთან მეგობრული თანამშრომლობა, რათა ისინი ჩავაყენოთ პროლეტარიატის სამსახურში; რაპპელები კი, მეგობრული თანამშრომლობის ნაცვლად, უხეშად თავს ესხმოდნენ ამ ძველი თაობის საუკეთესო წარმომადგენლებს, რომელთაც გულით ეწადათ საბჭოთა მწერლობის პლატფორმაზე გადმოსვლა. რაპპული შეცდომების მიუხედავად, ჟურნალმა „პროლეტარულმა მწერლობამ" ერთგვარი როლი შეასრულა ქართული საბჭოთა მწერლობის აღმავლობისათვის ბრძოლაში. ჟურნალში სისტემატურად თანამშრომლობდნენ ა. მაშაშვილი, შ. რადიანი, ბ. ბუაჩიძე, კ. კალაძე, კ. ლორთქიფანიძე, ი. აბაშიძე, გ. კაჭახიძე, კ. ფოლდოსიშვილი, ფრ. ნაროუშვილი, ს. ეული, ი. ვაკელი, პ. ქიქოძე, შ. დუდუჩავა, ი. ხოშტარია, კ. ბობოხიძე, პ. ჩხიკვაძე, დ. რონდელი, ლ. ქიქინაძე და სხვ.

ოციან წლებში ბევრი ჟურნალ-გაზეთი გამოდიოდა, მათ შორის უმრავლესობა კერძო თაოსნობის შედეგად; აქ უნდა დავასახელოთ ჟურნალები: „თებერვალი" და „თოლაბელის სარტყელი" (რედაქტორ-გამომცემელი გრიგოლ ცეცხლაძე); ჟურნალი „აისი" (რედაქტორი ლადო მაჭავარიანი), ჟურნალი „ხელოვნება" (ქუთაისი, რედაქტორ-გამომცემელი სოსო ახლაწიშვილი), ჟურნალი „უქიმერიონი" (1922 წ. ქუთაისი), ჟურნალი „სმარაგდი" (რედაქტორ-გამომცემელი ვ. გოორგაძე), გაზეთი „ბახტრიონი" (რედაქტორ-გამომცემელი გიორგი ლეონიძე) და სხვა. ეს ჟურნალ-გაზეთები თავიანთი იდეური პოზიციით უფრო მოდერნიზმს ემხრობოდნენ, ვიდრე რეალიზმს, თუმცა თანამედროვე ჩვენი ცხოვრება მეტნაკლებად ასახვას პოულობდა პრესის ამ ორგანოების ფურცლებზე.

ოციანი წლების ლიტერატურული პერიოდისათვის, ზოგადად რომ ვთქვათ, დამახასიათებელია დაუცხრომელი ძიება ფორმის სრულყოფისათვის, მხატვრული გამომსახველობათა ფორმების მრავალფეროვნებისათვის, თვით ისეთი უაღრესად რეალისტური ჟურნალებისათვისაც კი, როგორიც იყო საქართველოს პროლეტარული მწერალთა ასოციაციის ბეჭდვითი ორგანოები, უაღრესად დამახასიათებელი იყო ფორმის დახვეწისათვის ბრძოლა. ამ ფონზე ლიტერატურული დაჯგუფებათა ურთიერთ ბრძოლა და შეჯიბრება უთუოდ ხელს უწყობდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთიანი, მაღალიდეური და მაღალმხატვრული საბჭოური მწერლობის განმტკიცების საქმეს. სამწუხაროდ, ოციანი წლების დასასრულისათვის ამ ბრძოლამ რაპპელების და ფუტურისტების მეოხებით, მეტად მახინჯი სახე მიიღო; ყოველივე ეს აფერხებდა მწერლობის კონსოლიდაციას და შემოკრებას საბჭოთა პლატფორმის გარშემო. სწორედ ამ გარემოებამ განაპირობა პროლეტარული მწერალთა გაერთიანების გაუქმება და ერთიანი კავშირის — საბჭოთა მწერლების კავშირის შექმნა.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პროლეტარული მწერლობა გვერდში ამოუდგა საბჭოთა საქართველოს და კომუნისტურ პარტიას. პარტია, გამოდიოდა რა ლენინის 1905 წელს დაწერილ სტატიაში — „პარტიული ორგანიზაცია და პარტიული ლიტერატურა“ — წამოყენებული დებულებებიდან, მოითხოვდა მწერლობის და ხელოვნების, ამ დიდი იდეოლოგიური იარაღის, გამოყენებას მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს განსამტკიცებლად. პარტიას უნდოდა ისე წარემართა შემოქმედებითი ორგანიზაციების მუშაობა, რომ იგი საერთო პარტიული მუშაობის ნაწილი გამხდარიყო. ლენინის ამ მითითებათა შესასრულებლად პარტია სათავეში ჩაუდგა ამ დიდი იდეოლოგიური ფრონტის — მწერლობისა და ხელოვნების წარმართვის საქმეს. პროლეტარული მწერლობის ძირითადი ბირთვი პარტიის სალიტერატურო პოლიტიკას წმინდად იცავდა და პირველ წლებში დიდი სამსახური გაუწია ოქტომბრის რევოლუციის მონაპოვართა დაცვას.

სამწუხაროდ, სულ მალე თვით პროლეტარულ მწერლობაშიაც თავი იჩინა „მემარცხენეობამ“; ცნობილმა კრიტიკოსმა ა. ვორონსკიმ, ჟურნალ „კრასნაია ნოვის“ რედაქტორმა, რომელიც ადრე ლიტერატურის პარტიულობის პრინციპს იცავდა, ახლა დაიწყო იმის მტკიცება, რომ პროლეტარული კულტურა არ არსებობს და არც არის საჭირო მისი შექმნა. ვორონსკის აზრით, მხატვრული შემოქმედება ქვეცნობიერის სფეროა, მხატვრული ნაწარმოები იქმნება „უშუალო შთაბეჭდილების“ საფუძველზე, იქმნება არაცნობიერად. ამიტომ, მისი აზრით, პარტიული ჩარევა უნაყოფოა, რადგან თვით შემოქმედების პროცესი არ ემორჩილება პარტიულობის პრინციპს. მწერალთა მეორე ჯგუფი, ე. წ. ნაპოსტოველები პირიქით ამტკიცებდნენ, რომ პროლეტარული კულტურა ფაქტია, პროლეტარული მწერლობა და პროლეტარული ხელოვნება დღითი-დღე იზრდება და პარტიამ უშუალო ხელმძღვანელობით უნდა წარმართოს პროლეტარული მწერლობისა და ხელოვნების განვითარება და აღმავლობა. პირველ წლებში ნაპოსტოველებმა მართლაც თვალსაჩინო მუშაობა გასწიეს პროლეტარული მწერლობისა და ხელოვნების განსამტკიცებლად. ოღონდ სულ მალე, ნაპოსტოველთა ხელმძღვანელობაში თავი იჩინა „კომუნისტურმა ყოყოჩობამ“ და ჯგუფობრიობამ. ცალკე უნდა მოვიხსენიოთ ვ. პერევერზევის ჯგუფი, რომელმაც 1928 წელს გამოსცა კრებული „ლიტერატურათმცოდნეობა“. ეს ჯგუფი ამტკიცებდა, რომ ლიტერატურა უშუალოდ არის დაკავშირებული საწარმოო ძალებთან, სინამდვილის ასახვა — პასიური მოვლენაა, ხელოვანის პირადი როლი აქ უმნიშვნელოა. ამიტომ აქ რაიმე პარტიულ ჩარევაზე ფიქრიც კი უნაყოფოა. „პროლეტკულტელები“ (1917-1920 წელი. ა. ბოგდანოვი, ვ. პლეტნევი) კლასიკურ მემკვიდრეობას ნიჰილისტურად უარყოფდნენ. ამ ნიადაგზედ პროლეტარულ მწერლობას კლასიკური მემკვიდრეობისაგან მექანიკურად წყვეტდნენ და ასეთ „დამოუკიდებლად განიხილავდნენ“. 1920 წელს ლენინმა დაგმო და უარჰყო ეს ვულგარული თეორია; თავის ისტორიულ გამოსვლაში კომკავშირის მე-3 ყრილობაზე 1920 წელს დიდმა ბელადმა პროლეტარული კულტურის საფუძვლად გამოაცხადა კაცობრიობის მიერ შექმნილი მთელი კლასიკური მემკვიდრეობა. პარტიამ ასევე სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა „პერევერზევჩინას“ და „ვორონჩინას“.

კომუნისტურმა პარტიამ, ლენინის ლიტერატურის პარტიულობის თეორიის საფუძველზე, 1925 წელს მიიღო ცნობილი დადგენილება: „პარტიის სალიტერატურო პოლიტიკის შესახებ მხატვრული ლიტერატურის დარგში“. აქ ნათლად იყო ჩამოყალიბებული პარტიის სალიტერატურო პოლიტიკა. მიუხედავად ამისა, პროლეტარული მწერლობის საკავშირო გაერთიანების ხელმძღვანელობაში კვლავ თავი იჩინა მემარცხენულმა შეცდომებმა. კერძოდ, რაპპელების აზრით პროლეტარულ კულტურას ქმნის მხოლოდ პარტიული მწერალი. რაპპმა წამოაყენეს ლოზუნგი: „მოკავშირე ან მტერი“. რაპპელებმა პროლეტარული მწერლობისაგან მექანიკურად მოწყვიტეს ძველი თაობა, ყველა ისინი, ვინც ცდილობდა დადგომოდა საბჭოთა მწერლობის გზას. რაპპელები ვერ ხედავდნენ ძველი თაობის მწერალთა გულწრფელ სწრაფვას საბჭოთა ხელისუფლებასთან თანამშრომლობისაკენ და ხელს ჰკრავდნენ ხოლმე ძველი თაობის საუკეთესო ოსტატებს. პარტია იძულებული გახდა ჩარეოდა ამ საქმეს და სრული წესრიგი დაემყარებია ხელოვნების და მწერლობის ფრონტზე. ამ მიზნით საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ 1932 წლის 23 აპრილს მიიღო დადგენილება: „სალიტერატურო-სამხატვრო ორგანიზაციათა გარდაქმნის შესახებ“ და ამის მიხედვით გააუქმეს პროლეტარულ მწერალთა ასოციაცია და

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვა ლიტერატურული დაჯგუფებანი. ამ დადგენილებამ უდიდესი ისტორიული როლი შეასრულა საბჭოთა მწერლობის აღმავლობის საქმეში.

* * *

ზემოაღნიშნულ პერიოდში ქართული საბჭოთა მწერლობის განმტკიცებას, გარდა პროლეტარული მწერლობის ძველი და ახალი თაობის მოწინავე წარმომადგენლებისა, ხელი შეუწყეს იმ მწერლებმა, რომლებიც ლიტერატურულ ასპარეზზე რევოლუციის წინა პერიოდში გამოვიდნენ, მაგრამ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველსავე წლებში გამარჯვებულ ქართველ საბჭოთა ხალხს ამოუდგნენ მხარში და მასთან თანამშრომლობის გზას დაადგნენ.

ამ თაობის მწერალთა შორის, უწინარეს ყოვლისა, უნდა მოვიხსენიოთ გალაკტიონ ტაბიძე. საქართველოში საბჭოთა რევოლუციის გამარჯვების პირველსავე წლებში სამშობლოს განახლების რწმენით შთაგონებული პოეტი მტკიცედ დგება რევოლუციური საქართველოს პლატფორმაზე. 1922 წელს გ. ტაბიძე აქვეყნებს ვრცელ წერილს, რომელშიაც საბჭოთა ხელისუფლებისა და საბჭოთა მწერლობის პოზიციების დამცველად გვევლინება. იგი წერს: „ჩვენ ყოველთვის ვყოფილვართ ხალხთან, მაგრამ მომავალში მეტი სითამამით უნდა ვტრიალებდეთ ხალხში. ჩვენ მივცემთ ხალხს ყველაფერ კეთილშობილურს, ახალ ეთიკას, ახალ წინასწარმეტყველურ განათლებას. ჩვენ იქ მოვნახავთ ახალ ადამიანებს, რომელთაც ეზიზღებათ ყოველივე არაესთეტიკური და მახინჯი, სწყურიათ თითონ გადაიქცნენ ხელოვნების ნაწარმოებად. ჩვენი დაახლოება ხალხთან გვაჩვენებს, როგორი სიხარბით ეწაფება იგი ყოველგვარ მხატვრულ სიტყვას. ხალხის სახელით ჩვენ უნდა უარვყოთ კაფე-შანტანების პოეზია, იგი დამახასიათებელია საშინლად დაცემის მდგომარეობის ხანის, დეკადანსის. აქ პოეზია გადაქცეულია „სკანდალების“ ხელოვნებად, ისეთი ხალხის გამართლებად, რომელთაც არავითარი მორალური იდეოლოგია არ ახასიათებთ. სრულიად უნდა გავათავისუფლოთ აგრეთვე იგი კონსერვატიზმისაგან, რომლითაც ნაწილობრივ შებოჭილია თანამედროვე შეგნება, ნამდვილი პოეტები იყვნენ ხალხში და იცოდნენ, წინასწარვე გაზომილი ჰქონდათ თავიანთი მიზნები; შედიოდნენ რა ახალ ტაძარში, არ ცდიდნენ მას, რაც დაცლილია; რასაც ამბობდნენ სიტყვით, ასრულებდნენ საქმითაც და ყველაფერი ნათლად ამტკიცებდა ასეთი გამოსვლის თანმიმდევრობას. საუკუნე მომწიფებულია მათთვის, ვინც მიდის ხალხში, საუკუნე გათენდა მათთან ერთად“ („ლომისი“, № 1, 1922 წ., გვ. 6).

ასე გამოდიოდა გ. ტაბიძე საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში ხელოვნების ცხოვრებასთან, საბჭოთა სინამდვილესთან დაკავშირების მოწოდებით, სასტიკად აკრიტიკებდა ის იმათ, ვინც საბჭოთა ცხოვრებისაგან იყო განდგომილი. გ. ტაბიძე მკვეთრად ილაშქრებდა ყოველგვარი კონსერვატულისა და რეაქციულის წინააღმდეგ. თუ მოვიგონებთ, რა ძლიერად უტევდნენ იმ წლებში დეკადენტური ლიტერატურული სკოლები საბჭოთა რეალისტურ მწერლობას, გასაგები გახდება გ. ტაბიძის ამ ლიტერატურული პოზიციის დიდი მნიშვნელობა საბჭოთა ლიტერატურის განვითარებისა და განმტკიცებისათვის. 1922 წელსვე ის გაზეთ „პოეზიის დღეში“ წერდა:

„ჩვენი სამშობლო სამშობლოა ლეგენდების, პოემების, ტრაგედიების, მაგრამ პოეტი გრძნობს, არ შეიძლება ცხოვრება მხოლოდ წარსულით: ცხოვრება მიდის წინ და პოეტი გრძნობს, არ შეიძლება ჩამორჩე მას... არავითარი უფლება თანამედროვე პოეტს არა აქვს უარყოს თავისი ღირსება და აღიაროს მხოლოდ წარსული... მეხუთე საუკუნის სტილი შვენის თვით მეხუთე საუკუნეს, მაგრამ ჩვენი საუკუნისათვის მარტოოდენ ძონძებია. ჩვენი პოეტისათვის ძვირფასია ძველი ღმერთები, მაგრამ ჩვენ გვყავს ახლებიც, ისეთებიც, რომლებიც შეეფერებიან ჩვენს დროს, ჩვენს ეპოქას, ჩვენს კულტურულ დონეს, ჩვენს ტექნიკურ საშუალებებს, ჩვენ განვიცადეთ მსოფლიო ომი, დიდი რევოლუცია; არავინ არ უარყოფს, რომ მოვიდა ახალი ცხოვრება, ახალ ცხოვრებას სჭირდება ახალი ფორმები, ახალ ფორმებს კი ახალი სიტყვა.“

გ. ტაბიძემ ამ წლებში დააარსა თავისი სალიტერატურო ორგანო „გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალი“, რომლის პირველი ნომერი დაიბეჭდა 1922 წლის 3 დეკემბერს. ამ ჟურნალში გ ტაბიძე გამოვიდა მოწოდებით:

„განახლება ან სიკვდილი. ძირს ყოველგვარი რუტინა, ძირს დრომოჭმული შემოქმედების უნაყოფო ელემენტი, გაუმარჯოს ახალ შემოქმედებას“.

გ. ტაბიძის ეს მგზნებარე პათოსით აღსავსე სიტყვები გაისმოდა როგორც მძლავრი მოწოდება; პოეტმა თავისი ჟურნალის გარშემო შემოიკრიბა იმდროინდელი მოწინავე ქართველი მწერლები. ამ ჟურნალში თანამშრომლობდნენ: ვ. ბარნოვი, დ. კლდიაშვილი, შიო არაგვისპირელი, გ. ქუჩიშვილი, ი. ნიკოლაიე, იპ. ვართაგავა, შიო მღვიმელი, დ. შენგელაია, ი. მოსაშვილი, ლ. ბუდიაშვილი, ია ეკალაძე და სხვ. თავისი ჟურნალის ფურც-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებზე პოეტი წერდა: „ორი მილიონი თვალით ვუცქერი ახალს, ათას ცხრაას ოცდა სამ წელს და ვამბობ, გაუმარჯოს მომავალს“. გ. ტაბიძე მთელი გატაცებით, სიტყვითა და საქმით დგება საბჭოთა მწერლობის სამსახურში. ის ამ წლებში არა მარტო მანიფესტებითა და დეკლარაციებით გამოდიოდა, არამედ ემსახურებოდა ახალ იდეებს როგორც პოეტი, როგორც მხატვრული სიტყვის პირველხარისხოვანი ოსტატი. 1924 წელს გალაკტიონმა გამოაქვეყნა ცნობილი ლექსი — „ჩვენ, პოეტები საქართველოსი“. აქ მან დიდებული ჰიმნი უმღერა აღორძინებულ და გამარჯვებულ საბჭოთა საქართველოს. გაბედულად და მტკიცედ გაისმა პოეტის მომწოდებელი ხმა ხელოვნებისა და ლიტერატურის მუშაკებისადმი:

დავდგეთ იქ, სადაც ქარიშხალია
და სისხლიანი სდგას ანგელოსი,
ახალ გრიგალებს ვსწირავთ სიცოცხლეს
ჩვენ, პოეტები საქართველოსი.

ამ წლებში გ. ტაბიძეს, რევოლუციის წინა პერიოდის სახელოვან ოსტატს, მხარში ამოუდგა ისეთი ცნობილი და ხალხისათვის საყვარელი პოეტი, როგორიც იყო გიორგი ქუჩიშვილი.

არა მარტო გ. ტაბიძე და გ. ქუჩიშვილი გამოეხმაურნენ ასეთი დიდი უშუალობითა და გულწრფელობით საბჭოთა სინამდვილეს, არამედ ბევრი სხვა ცნობილი მწერალიც, რომელთა ლიტერატურული აზროვნება ოქტომბრის რევოლუციის წინა პერიოდში ჩამოყალიბდა. საბჭოთა ეპოქამ ახალი შემოქმედებითი ძალა შთაბერა. ახალი მიმართულება მისცა ჩვენი მწერლობის ცნობილ კლასიკოსებს — დ. კლდიაშვილს, ვ. ბარნოვს, შ. არაგვისპირელს, ე. გაბაშვილს, ა. ერისთავ-ხოშტარიას. ეს მწერლები გულწრფელად მიესალმნენ საბჭოთა ხელისუფლებას. ბევრი მათგანი 1926 წელს საქართველოს მწერალთა კავშირის პირველ ყრილობაზე საგანგებო სიტყვით გამოვიდა საბჭოთა ხელისუფლებისა და ახალი დროის შესახებ, ხოლო ცოტა უფრო გვიან ე. გაბაშვილი წერდა:

„ყველაზე ბედნიერი მე ვარ, რადგან მე მოხუცებულობის ჟამს მოვესწარი ჩემი ხალხის მშვენიერ და თავისუფალ ცხოვრებას, რომელზედაც ოცნებაც არ შემეძლო ჩემს ახალგაზრდობაში. ჩემი სიკვდილი არავის სიკვდილს არ ემსგავსება, რადგან თან არ გამყვება დარდი და მწუხარება; შევყურებ ჩემი ხალხისა და ერის ცხოვრების განვითარებას და გული სიამაყით მევსება“.

ასეთი გულწრფელი სიტყვებით გამოხატა ღრმად მოხუცებულმა მწერალმა ქალმა თავისი დიდი აღფრთოვანება ახლად აღორძინებული და გამშვენიერებული საბჭოთა საქართველოს მიმართ. მართლაცდა ისეთ მწერალს, როგორიც ე. გაბაშვილი იყო, თავისი ღრმა მოხუცებულობის მიუხედავად, არ შეიძლებოდა არ ეგრძნო დიდი ცხოველმყოფელი ძალა საბჭოთა ეპოქისა. 1937 წელს, რუსთაველის იუბილეს გამო, უკვე ღრმად მოხუცებული მწერალი ქალი წერდა:

„ვკითხულობ და არ მჯერა: ნუთუ ეს ოცნება არ არის, ოცნება მიუწვდომელი, საზღაპრო, ზეშთაგონებული? ცრემლები მცვივა თვალთაგან, ღმობიერება მაოცებს, მზად ვარ დავიჩოქო და მუხლმოდრეკილი შევღაღადო: დიდ არს, დიდ არს ძლიერება იმ კაცისა, რომელმაც აღადგინა 750 წლის დამარხული დიდება ერისა“.

ეს ცნობილი კლასიკოსები არა მარტო დეკლარაციებითა და სიტყვებით აღიარებდნენ საბჭოთა ხელისუფლებას, არამედ შემოქმედებითადაც სწადდათ პასუხი გაეცათ ახალი დროისათვის. აი რამდენიმე მაგალითი: დ. კლდიაშვილმა, რომელსაც თვალით ნახა და გულით განიცადა განთავისუფლებული ქართველი ხალხის ზეიმი, მისთვის დამახასიათებელი გულწრფელობით მიესალმა ახალ დროს, საბჭოთა ხელისუფლებას და, მოხუცებულობის მიუხედავად, ახალი ენერგიით ჩაება შემოქმედებითს მუშაობაში. მან, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, კვლავ განაახლა 1914 წელს შეწყვეტილი ლიტერატურული მოღვაწეობა. 1924-25 წლებში დ. კლდიაშვილმა გამოაქვეყნა ორი მოთხრობა: „შუა ცეცხლის პირას“ და „ტიმოთე მეშველიძე“. ორივე მოთხრობაში მოცემულია ცდა ახალი, ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების შედეგად შექმნილი ვითარების მხატვრულად გამოსახვისა. ამავე წლებში დაიწყო დ. კლდიაშვილმა მუშაობა თავის „მემუარებზე“, რომლებშიც გადაშლილია ბევრი მნიშვნელოვანი ფურცელი ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორიიდან. აქ დახატულია ქართველ საზოგადო მოღვაწეთა მრავალი საინტერესო პორტრეტი.

ვ. ბარნოვის შემოქმედებაში, როგორც ცნობილია, მთელი სიძლიერით გადაიშალა ჩვენი ხალხის შორეული წარსული. უდიდესი სიყვარულით, მძაფრი რომანტიკული ფერებით გააცოცხალი ვ. ბარნოვმა საქართველოს მდიდარი ისტორიული წარსულის სურათები. მაგრამ მაინც არ იქნებოდა სამართლიანი ვ. ბარნოვი მთლიანად წარსულში გადასახლებულ მწერლად წარმოგვედგინა. ვ. ბარნოვი დიდი მხატვარია და ჭეშმარიტმა მხატვარმა არ შეიძლება პასუხი არ გასცეს თავისი ეპოქის, თავისი დროის საკითხებს. ვ. ბარნოვის შემოქმედებაშიაც აშკარად შეინიშნება დაინტერესება ეპოქის აქტუალური საკითხებით; დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ მან რამდენიმე რეალისტური ხასიათის მოთხრობა გამოაქვეყნა; მათ შორის უნდა დავასახე-

ლოთ: „ხარატი“, „ნაძვნარის დევი“, „წოდებული“, „არქეოლოგიური ნაშთი“, „სულთა კავშირი“ და სხვ. ვ. ბარნოვი ისტორიული მოვლენების ასახვისას დიდ ადგილს უთმობს ჩვენი ხალხის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სოციალური ცხოვრების გამომხატველი სურათების ჩვენებას. ამ მხრივ საყურადღებოა მისი რომანები: „ხაზართა ხასძლო“, „გიორგი სააკაძე“ „არმაზის მსხვრევა“, „ცოდვა სიჟაბუკისა“; ეს ისტორიული რომანები ყურადღებას იპყრობენ პირველ ყოვლისა იმით, რომ მწერალი აქ დაწვრილებით და დიდი გულისყურით არკვევს ფეოდალური სახელმწიფოს აშლილობისა, სამთავროთა შორის მოურიგებელი ჩხუბისა და უთანხმოების პოლიტიკურ, კლასობრივ და სოციალურ საფუძვლებს. ამაში ნათლად ვლინდება ვ. ბარნოვის რეალისტური ტენდენციები.

შ. არაგვისპირელმა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ცოტა ხანს იცოცხლა (გარდაიცვალა 1926 წელს) და მან ვერ მოასწრო თავისი მხატვრული სიტყვა ეთქვა ახალი ეპოქის შესახებ, მაგრამ მისი დამოკიდებულება საბჭოთა სინამდვილესთან უკვე გამომჟღავნებულია 1922 წელს დაწერილ ეტიუდში „ღვთის თვალი“. აქ მწერალს გამოჰყავს პოლიტიკური მოღვაწე, რომელსაც „უკანასკნელი ელვარე ათი წელი რუსეთში გაუტარებია“; იგი საქართველოში დაბრუნებული, გულმხურვალედ მიესალმება თავის მეგობარს და ასე მიმართავს მას: „და ახლა აქ, თავისუფალ სამშობლოში, შენ წინ ვდგევარ“. თავისუფალი სამშობლო, საბჭოთა საქართველო გულწრფელად მიიღო შიო არაგვისპირელმა და ეს აზრი ნათლად გამოხატა ამ ეტიუდში. კლასიკური რეალიზმის დიდი დამცველი შ. არაგვისპირელი 1924 წელს წერს „ეტიუდს“, სადაც იგი ფუტურიზმს „ველურობას“ უწოდებს. ამ მოთხრობაში ასეთი დიალოგი გვხვდება:

„— უთუოდ რამე ახალი ავადმყოფობა იქნება...

— ახლა კი არა, იქნებ ძველის ძველი ავადმყოფობაც არის.

— ცხოვრება ხშირად ხელში ველურობას გვაწვდის, ჩვენ კი ახლა უკანასკნელ სიტყვად გვეჩვენება.

— იქნებ ჩვენი ავადმყოფობა იგივე ფუტურიზმი იყვეს!“.

შ. არაგვისპირელის ეს ნაწარმოები ერთხელ კიდევ ადასტურებს, თუ როგორი ერთგული იყო შ. არაგვისპირელი ქართული რეალისტური მწერლობისა. ქართული კლასიკური რეალიზმის პრინციპების თანმიმდევარი დამცველი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში ებრძოდა ყოველგვარ „დეკადენტურ ავადმყოფობას“ და იცავდა საბჭოთა მწერლობის საფუძვლებს.

ჩვენს მიერ ზემოთ მოყვანილი ეს რამდენიმე მაგალითი ერთხელ კიდევ მიუთითებს იმ ცხოველმყოფელ გავლენაზე, რომელიც საბჭოთა ხელისუფლებამ, სოციალისტურმა მშენებლობამ მოახდინა ქართველი მწერლების შემოქმედებაზე, მათ რიცხვში ჩვენ მიერ ზემოთ ჩამოთვლილი სახელგანთქმული კლასიკოსების შემოქმედებაზეც.

* * *

1924 წლის თებერვლიდან დაიწყო გამოსვლა ჟურნალმა „მნათობმა“. ეს იყო პირველი სერიოზული საბჭოთა ჟურნალი, რომელმაც უდიდესი როლი შეასრულა ქართული საბჭოთა ლიტერატურის განვითარების საქმეში.

„მნათობის“ პირველ ნომერს წამძღვარებული აქვს სარედაქციო წერილი, სადაც ჟურნალის მიზნები და ამოცანები ასეა განსაზღვრული:

„დღემდის ქართულ ენაზე არ გამოდიოდა არც ერთი სერიოზული ჟურნალი, რომელსაც შემოეკრიბოს თავის გარშემო რევოლუციური ინტელიგენციის საუკეთესო ძალები. ჟურნალ „მნათობის“ მიზანია შეავსოს ეს მნიშვნელოვანი ნაკლი.

„მნათობი“, უპირველეს ყოვლისა, მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალია. ის ადგილს დაუთმობს თავის ფურცლებზე ყველა საუკეთესო მწერლების მხატვრულ ნაწარმოებს; ის მისცემს ფართო გასაქანს ჩვენს ლიტერატურულ ძალებს.

„მნათობი“ თავის მიზნად ისახავს აგრეთვე საშუალება მისცეს ჩვენს მეცნიერულ და მარქსისტულ ძალებს გააფორმონ თავიანთი მუშაობა და ქართულ ენაზე მიაწოდონ ქართველ მუშებს და გლეხებს მეცნიერული და მარქსისტული ცოდნა.

ამრიგად, ჩვენი ჟურნალის მიზანი ვიწრო ფარგლებით არ შემოიხაზება.

იმ მწერლებისათვის, რომელთაც კი აქვთ რაიმე მიღწევები ხელოვნებაში და მეცნიერებაში, ღია იქნება ჩვენი ჟურნალი „მნათობის“ კარები.“

უნდა ითქვას, რომ ჟურნალი „მნათობი“ პირნათლად ასრულებდა იმ დაპირებას, რომელიც მან მისცა საბჭოთა მკითხველს. ჟურნალმა გარს შემოიკრიბა იმდროინდელი ყველა პროგრესული სამწერლო ძალა და ჩააბა ჩვენი მოწინავე მწერლები საბჭოთა ლიტერატურის ფართო საქმიანობაში. „მნათობში“ დაიბეჭდა გალაკტიონ ტაბიძის, დემნა შენგელაიას, ალიო მირცხულავა-მაშაშვილის, რაჟდენ გვეტაძის, გიორგი ქუჩიშვილის, კ. გამსახურდიას, ლეო ქიაჩელის, პოლიკარპე კაკაბაძის, სიმონ ჩიქოვანის, ვიქტორ გაბესკირიას და სხვათა ლექსები, მოთხრობები და პოემები. ამავე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟურნალში (იგულისხმება 1924-1926 წ. წ.) დაიბეჭდა კრიტიკული სტატიები ფილიპე მახარაძისა, ბ. ბუაჩიძისა, შ. დუდუჩავასი, ვ. ქიქოძისა, ბ. ჟღენტისა და სხვ. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ჟურნალმა ფართოდ გაუღო კარი საბჭოთა რუსეთის მოწინავე მწერლების თარგმნილ თხზულებებს. მაშინ დაიბეჭდა მაქსიმ გორკის, ვ. მაიაკოვსკის, ილია ერენბურგის, ნ. ტიხონოვის და სხვათა ნაწარმოებების თარგმანები.

მარტო ეს ჩამოთვლაც ნათლად მოწმობს, თუ რა ფართოდ იყვნენ წარმოდგენილი „მნათობის" ფურცლებზე ჩვენი თანამედროვე მოწინავე მწერლები. და აქ მარტო სიაში როდია საქმე, არამედ, რაც მთავარია, აქ ჩამოთვლილ ავტორთა ნაწარმოებები მიზნად ისახავდა საბჭოთა სინამდვილის, ახალი საბჭოთა ქვეყნის ცხოვრების მხატვრულ ასახვას, ხელს უწყობდა საბჭოთა მწერლობის განვითარებისა და განმტკიცების საქმეს.

პირველი წლების „მნათობში" ხშირად იბეჭდებოდა სხვადასხვა ლიტერატურული მიმდინარეობის წარმომადგენელთა ნაწარმოებები, რომლებშიც ჯერ კიდევ არ იყო ასახული საბჭოთა ადამიანების განწყობილება, მაგრამ ჟურნალი მათ ბეჭდავდა ძველი ლიტერატურული თაობის წარმომადგენელთა მიზიდვისა და მათი იდეური გარდაქმნის მიზნით. ამის შესახებ 1925 წელს „მნათობი" (№1) სარედაქციო წერილში შენიშნავდა:

„რედაქციას საჭიროდ არ მიაჩნია ჯერჯერობით თავისი დაფასება მისცეს სხვადასხვა ლიტერატურულ მიმდინარეობებს და კერძო ნაწარმოებებს. ამიტომ ყველა ასეთი წერილები, რომელშიაც ფასდება ლიტერატურული მიმდინარეობანი, მწერალთა ცალკე ჯგუფები ან კერძო ნაწარმოებები, — გამოხატავენ აზრს და შეხედულებებს მხოლოდ თვით წერილების ავტორებისა და არა რედაქციისა".

დამახასიათებელია, რომ სწორედ ამ ჟურნალის საშუალებით მოხერხდა უფროსი თაობის მწერალთა ჯგუფში დიფერენციაციის მოხდენა და მისი ერთი ნაწილის გადმოყვანა საბჭოთა პოზიციაზე. ამ მხრივ აღსანიშნავია ჟურნალში 1925 წელს (იხ. №4) დაბეჭდილი ლექსი რაჟდენ გვეტაძისა სათაურით — „მერკვილაძის ტყვია". რ. გვეტაძე აქ წერს:

ჰე, პოეტებო,
თუ ხართ რაინდები,
და ჩემსავით გიყვართ
სსრ,
ჩამოიგლიჯეთ თვალზე ბინდები
და მზიანი სურვილი გქონდეთ ბილიკად,
თორემ თქვენს ლექსებს ხავსი მოედება.

თუ გავიხსენებთ რ. გვეტაძის ადრინდელ ლექსებს, როდესაც პოეტი „ცისფერყანწელების" ლიტერატურული ჯგუფის აქტიური წევრი იყო, ნათელი გახდება ზემოთ მოყვანილი ლექსის იდეური სიახლე და მისი ავტორის დამოკიდებულება საბჭოთა სინამდვილესთან. ამ წლებში ამგვარი იდეური გარდაქმნის გზას ბევრი მოწინავე პოეტი დაადგა და, როგორც ზემოთ აღინიშნა, ამ საქმეში უთუოდ დიდი როლი შეასრულა ამ ჟურნალმაც.

აქვე დაიბეჭდა ა. აბაშელის ლექსი, რომელშიც პოეტი აცხადებს:

არ მინდა გულში ჩაიბუდოს უიმედობამ,
მშვიდობით, ჩემო მელანქოლია,
უნდა ვსვა სიბრძნე საუკუნის ახალ თასიდან.

ამავე 1925 წელს, ახალი დეკლარაციებით გამოდიან ცალკეული ლიტერატურული დაჯგუფების სხვა ყოფილი წარმომადგენლები. მართალია, ეს დეკლარაციები ჯერ კიდევ ზოგად ხასიათს ატარებენ და მათი ავტორების იდეურ შემოქმედებაში კიდევ დიდხანს გვხვდება ძველი განწყობილების რეციდივები. მაგრამ ისინი ცხადყოფენ, რომ სწორედ ამ ხანებში იწყება ერთგვარი შემობრუნება. ეს გარემოება კი უთუოდ ღირსია საგანგებო აღნიშვნისა.

ქართველი საბჭოთა პოეტების შემოქმედებაში პირველხარისხოვანი ადგილი ეჭირა საბჭოთა სახელმწიფოს ფუძემდებლის, — დიდი ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის თემას. ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში ამ თემაზე 1924 წელს დაიბეჭდა მთელი რიგი ლექსები; ამ ლექსებში მოცემულია ცდა კაცობრიობის უდიდესი გენიოსის — ლენინის მხატვრული სახის გამოკვეთისა. კერძოდ, მირცხულავა-მაშაშვილის ლექსი „ლენინი" თავისი მხატვრული უშუალობით და იდეურობით გამოირჩეოდა, როგორც პოეტური სიტყვის ჭეშმარიტი ნიმუში.

მოგვყავს ეს ლექსი მთლიანად:

შენ ჩამოგვშორდი, ბელადო ლენინ,
და ქვეყანაზე ობლად დაგვტოვე,
გადაეფარა ტრაური ბნელი
კაცობრიობის სხვადასხვა ტომებს!
გლოვობს ტფილისი, მოსკოვი კრემლით,
დროშებმაც თავი დახარა დაბლა,
სიკვდილი, ნათელ სიცოცხლის ნგრევით,
ჩვენ აღმაფრენას დაეცა დამბლად.

მაგრამ, ო, არა! არ გვინდა ცრემლი,
შენ ჩვენთვის ეს არ გიკარნახია;
ვჯავრობთ საჯაროდ და სიკვდილს ვწყევლით,
რომ თავზე გვახვევს ფიქრებს ნაღვლიანს!
შენ მოკვდი, მაგრამ ჩვენთან იცხოვრებ,
ვფიცავ შენივე აზრებს, ანდერძებს,
ჩვენთან იშრომებ, ჩვენთან იბრძოლებ
მთებში, ქარხნებში, ბარიკადებზე!
ვფიცავთ: შენს დროშას ვატარებთ მაღლა,
დავეხმარებით შრომისგან დაღლილთ,
ლენინ, შენს თვალებს ჩვენ არ დავმარხავთ,

ლენინ, შენს შუბლზე მიწას არ დავყრით!
შენ თვალებიდან ცეცხლი გცვიოდა,
შენს თავზე გრგვინვას გადაუვლია:
დე, შეინახოს კაცობრიობამ
შენი სხეული, როგორც მუმია!
გაივლის ჟამი მტვრევით, ხმაურით,
სულ სხვანაირი მოვა ცხოვრება,
მოვა სხვა ხალხი და სიყვარულით
შენს უკვდავ სახეს ეამბორება!

* * *

1905 წლის რევოლუციის ქარბუქიან დღეებში თავის გენიალურ ნაშრომში — „პარტიული ორგანიზაცია და პარტიული ლიტერატურა“ ლენინი გადაჭრით მოითხოვდა: „ლიტერატურული საქმე უნდა გახდეს საერთო-პროლეტარული საქმის ნაწილი“; იგი „უნდა გახდეს შემადგენელი ნაწილი სოციალ-დემოკრატიული პარტიული მუშაობისა“. დიდი ლენინი იქვე მიუთითებდა: „უდავოა, ლიტერატურული საქმე ყველაზე ნაკლებ ემორჩილება მექანიკურ შეთანხმებას, ნიველირებას, უმცირესობაზე უმრავლესობის ბატონობას. უდავოა ამ საქმეში უეჭველად საჭიროა მეტი გასაქანი მიეცეს პირად ინიციატივას, ინდივიდუალურ მიდრეკილებებს, გასაქანი მიეცეს აზრსა და ფანტაზიას, ფორმასა და შინაარსს“. ლენინმა ამ ნაშრომში პირველად წამოაყენა და თეორიულად დაასაბუთა ლიტერატურის პარტიულობის პრინციპი; ამავე დროს, ჩვენს პარტიას დაუყენა დიდი ამოცანა — გაეწია იდეური ხელმძღვანელობა მხატვრული ლიტერატურისათვის, იდეოლოგიის ამ უმნიშვნელოვანესი დარგისათვის.

ვ. ი. ლენინი, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენდა საბჭოთა მწერლობის სწორი გზით წარმართვისათვის. როგორც ცნობილია პროლეტკულტელები, თხზავდნენ ყოვლად ვულგარიზატორულ თეორიებს, თავიანთ თავს უპირდაპირებდნენ პარტიას, მის სალიტერატურო პოლიტიკას. ჩვენმა პარტიამ, დიდმა ლენინმა სასტიკად გააკრიტიკა პროლეტკულტელების პოზიცია. ლენინის პროექტით ცენტრალური კომიტეტი ჯერ კიდევ 1920 წელს იღებს სპეციალურ გადაწყვეტილებას პოლიტკულტის შესახებ. ამ დოკუმენტში დასახულია ახალი კულტურის მშენებლობის სწორი გზა. ამას მოჰყვა ლენინის გენიალური სიტყვა კლასიკური მემკვიდრეობის შესახებ კომკავშირის მესამე ყრილობაზე (1920 წ.)

საბჭოთა ლიტერატურის საკითხი მუდამ იყო კომუნისტური პარტიის ყურადღების საგანი. საბჭოთა ლიტერატურის განვითარებას დიდად შეუწყო ხელი ჩვენი პარტიის ყრილობების, კონფერენციების, პლენუმების ისტორიულმა გადაწყვეტილებებმა და მითითებებმა. კომუნისტური პარტიის XI ყრილობამ (1922 წ.), XII ყრილობამ (1923 წ.), XIII ყრილობამ (1924 წ.), თავის დოკუმენტებსა და გადაწყვეტილებებში სათანადო ადგილი დაუთმეს მხატვრული ლიტერატურის საკითხებს; ამ დოკუმენტებში ხაზგასმულია მხატვრული ლიტერატურის დიდი როლი ადამიანების აღზრდის საქმეში, მის მოვალეობად აღიარებულია დაეხმაროს მუშებს და გლეხებს სოციალისტური საზოგადოების აშენების საქმეში. პარტია მოითხოვდა სათანადო დახმარების გაწევას ახალგაზრდა პროლეტარული მწერლობის, გლეხობისა და მუშებისაგან გამოსული მწერლების ახალგაზრდა კადრებისათვის. ამავე დროს, ამ დოკუმენტებში ხაზგასმული იყო, რომ საჭიროა მზრუნველობის გამოჩენა და ფრთხილი დამოკიდებულება მწერლობის ძველი თაობის კადრებისადმი, მათი ჩაბმა სოციალისტური მშენებლობის საქმეში, მათთან თანამშრომლობა.

1925 წელს ჩვენმა პარტიამ საგანგებო რეზოლუციაში — „პარტიის პოლიტიკის შესახებ მხატვრული ლიტერატურის დარგში“ — ნათლად ჩამოაყალიბა პარტიის დამკიდებულება საბჭოთა მწერლობისადმი. დოკუმენტში ხაზგასმული იყო ლიტერატურული ჯგუფების თავისუფალი შეჯიბრების მოთხოვნა. ამავე დროს, აქტუალურ ამოცანად იყო მიჩნეული პროლეტარული მწერლობის კადრების განმტკიცება და ძველი თაობის მწერლების, ე. წ. თანამგზავრების აქტიური ჩაბმა ჩვენს ლიტერატურულ ცხოვრებაში.

ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის ეს დადგენილება დაიბეჭდა 1925 წელს, ჟურნალ „დროშის“ მერვე ნომერში. იქვე გამოქვეყნდა სერგო ორჯონიკიძის სპეციალური წერილი, სადაც განხილულია ქართული ლიტერატურის იმდროინდელი ვითარება. ს. ორჯონიკიძე წერდა: „საქართველოს პირობებში პარტია უკვე მუშაობდა იმ პრინციპების მიხედვით, რომელიც საფუძვლად დაედო ამ დადგენილებას. მათ, ვინც გულწრფელად იდგა საბჭოთა სისტემის ნიადაგზე, ჩვენ ვაძლევდით ყოველგვარ საშუალებას გამოეჩინათ თავისი ნიჭი და შემოქმედება... ჩვენ გავუშლით ფართო გზას ქართულ მწერლობას, თეატრს, მუსიკას, მეცნიერებას მხატვრობას“; ამასთან ერთად, ს. ორჯონიკიძე, პარტიის სახელით, მოითხოვდა ქართველი მწერლებისაგან სიმართლით გამოეხატათ ჩვენს ქვეყანაში გაჩაღებული საბჭოთა მშენებლობა.

ამრიგად, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების პირველი წლები (1921-1925 წწ.) — სახალხო მეურნეობის აღდგენისა და სოციალისტური მშენებლობის დაწყების პერიოდი — ქართულ საბჭოთა, მწერლობაში მძაფრი კლასობრივი ბრძოლის ვითარებით აღინიშნებოდა; ამ პერიოდში, „ისე როგორც საერთოდ არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყდება ჩვენში კლასობრივი ბრძოლა, სწორედ ასევე არ წყდება ის ლიტერატურის ფრონტზედაც" (ცენტრალური კომიტეტის რეზოლუციიდან „პარტიის პოლიტიკის შესახებ მხატვრული ლიტერატურის დარგში").

იმ ხანებში მართლაც მწვავე კლასობრივი ბრძოლა წარმოებდა იდეოლოგიის ფრონტზე. ამ ბრძოლაში ერთ მხარეს იყო რეალისტური საბჭოთა მწერლობა და მეორე მხარეს ანტირეალისტური დეკადენტური ლიტერატურული სკოლები. ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური მშენებლობის ახალ-ახალი გამარჯვებების შედეგად მწერალთა ძველმა თაობამ ნათლად დაინახა თუ საით მიდიოდა ისტორიის გზა. მან დაინახა, რომ ისტორიის სიმართლე საბჭოთა ხალხის, კომუნისტური პარტიის მხარეზე იყო და ამ ნიადაგზე ძველი თაობის მწერალთა აზროვნებასა და შემოქმედებაში დაიწყო შემობრუნება ახლისაკენ. აღორძინებისა და განვითარების გზას დაადგა საბჭოთა მწერლობა.

მაგრამ უნდა ითქვას, რომ ამ წლებში ჯერ კიდევ სუსტი იყო საბჭოთა ლიტერატურის ხმა, სუსტი იყო პოეტების, პროზაიკოსების დრამატურგების, მხატვრების, ხელოვნების მუშაკების კავშირი საბჭოთა ცხოვრებასთან, საბჭოთა სინამდვილესთან.

პარტია და საბჭოთა მთავრობა მტკიცედ მოითხოვდნენ ჩვენი მწერლობისაგან საბჭოთა სინამდვილესთან დაახლოებას, მწერლობის შემდგომ იდეურ და მხატვრულ ზრდას. ამ სფეროში განუზომლად დიდი როლი შეასრულა რუსეთის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ზემოხსენებულმა რეზოლუციამ — „პარტიის პოლიტიკის შესახებ მხატვრული ლიტერატურის დარგში", რომელმაც დასახა წინსვლის ნათელი გზა.

იმავე ხანებში მოწვეული იქნა სრულიად საქართველოს მწერალთა პირველი ყრილობა; ყრილობამ მუშაობა დაიწყო საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ხუთი წლის თავზე (1926 წ. 21 თებერვალს). ამ გარემოებამ ერთგვარად განსაზღვრა ამ ყრილობის სულისკვეთება. ყრილობაზე წარმოდგენილი იყო ოთხი ლიტერატურული გაერთიანება:

1. სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირი (ძველი), 44 დელეგატით, მათ შორის: ალ. აბაშელი, ვ. ბარნოვი, კ. გამსახურდია, ი. გრიშაშვილი, ივ გომართელი, ი. ეკალაძე, ხ. ვარდოშვილი, პ. ინგოროყვა, ხ. თავაძე, პ. კაკაბაძე, დ. კასრაძე, დ. კლდიაშვილი, ვ. კოტეტიშვილი, კ. კაპანელი, ი. მარიჯანი, კ. მაყაშვილი, დუტუ მეგრელი, შ. მღვიმელი, ნ. ნაკაშიძე, ტ. რამიშვილი, ვ. რუხაძე, თ. სახოკია, გ. ტაბიძე, ი. ტატიშვილი, დ. უზნაძე, ს. ფაშალიშვილი, ლ. ქიაჩელი, ნ. შიუკაშვილი, გრ. ცეცხლაძე, ა. ჭუმბაძე, ა. ქუთათელი, ალ. წერეთელი და სხვ.

2. სრულიად საქართველოს ახალი მწერლების კორპორაცია, 25 დელეგატით. ეს კორპორაცია ძირითადად ყანწელებისაგან შედგებოდა: პ. იაშვილი, ტ. ტაბიძე, ნ. მიწიშვილი, რ. გვეტაძე, ს. კლდიაშვილი, ვ. გაფრინდაშვილი, გ. ლეონიძე, კ. ნადირაძე, შ. აფხაიძე, ალ. არსენიშვილი, ამავე კორპორაციის დელეგატები იყვნენ: გ. ქიქოძე, მ. ჯავახიშვილი, კ. ჭიჭინაძე, ს. შანშიაშვილი, პ. ქავთარაძე, ვ. გორგაძე, დ. სულიაშვილი და სხვ.

3. პროლეტარული მწერლობის ასოციაცია 25 დელეგატით, მათ შორის: ნ. ზომლეთელი, ს. თოდრია, რ. კალაძე, ს. ეული, ა. მაშაშვილი-მირცხულავა, ბ. ბუაჩიძე, კ. კალაძე, ალ. სულავა, დ. რონდელი, გ. მდივანი, ე. ზედგინიძე, შ. დუდუჩავა, ვ. ჟურული, ლ. ესაკია, კ. ფეოდოსიშვილი და სხვ.

4. ქართველი ფუტურისტების დელეგატები: ჟ. ღოღობერიძე, ბ. ჟღენტი, ნ. ჩაჩავა, ს. ჩიქოვანი, დ. შენგელაია.

ყრილობის დღის წესრიგი ასეთი იყო:

1. მიმდინარე მომენტი და ქართველი მწერლების ამოცანები.
2. სახელმწიფო გამომცემლობა.
3. ხელოვნების სახახლის შესახებ.
4. ხელოვნების საქმეთა მთავარ საბჭოს მუშაობა.
5. მწერალთა კავშირის საბჭოსა და ხელოვნების სახახლის საბჭოს არჩევნები.

მოხსენება თემაზე — „მიმდინარე მომენტი და ქართველი მწერლების ამოცანები" — წაიკითხა ფილიპე მახარაძემ. მომხსენებელმა ვრცლად დაახასიათა საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო და საშინაო მდგომარეობა და შეეხო ეროვნულ საკითხს. მან აღნიშნა:

„... ამიერკავკასიის სეიმი დაინგრა და დაარსდა საქართველოს ეგრეთწოდებული დემოკრატიული რესპუბლიკა. ყველამ ვიცით და დასაფარავი არ არის აქ, შეიძლებოდა თუ არა მაშინ და დღევანდელ პირობებში, რომ საქართველოს, ამ პატარა ერს, პატარა ხალხს შეენარჩუნებია დამოუკიდებლობა, ჩაეკეტა კარები და არც იქით და არც აქეთ, — „მე არავის ვცნობ, მე მინდა მარტო ჩემთვის ვიცხოვრო". ამხანაგებო, რისთვის უნდა მოვიტყუოთ თავი. განა ვინ მისცემდა ნებას, რომ ამ გზაზე, შარაგზაზე მყოფ ხალხს ასეთი პოლიტიკა დაეცვა. ეს იყო თავის თავის დატყუილება. შეუძლებელი იყო, რომ ასეთი პატარა ხალხი არ მისდგომოდა რომელიმე დიდ სახელმწიფოს, არ ყოფილიყო მის მფარველობის ქვეშ. და მართლაც ეს ასე იყო, სინამდვილეში ასე იყო, მხოლოდ და მხოლოდ დამოკიდებული ხან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანტანტისაგან, ხან გერმანიისა და ხან ინგლისისაგან. წაიკითხეთ ავალიშვილის წიგნი. მე მგონია, რომ იქ მხოლოდ ფაქტები ლაპარაკობენ იმის შესახებ, თუ რა იყო. რისთვის ვლაპარაკობ მე ამას? მე ვამბობ ამას იმისთვის, რომ პირდაპირ ვთქვა — შეიძლება თუ არა ლაპარაკი ისეთ საქართველოზე, როგორც ეს ოცნებაში აქვს წარმოდგენილი ზოგიერთს, შეიძლება თუ არა ასეთი საქართველოს არსებობა? — არ შეიძლება. გამოსავალი ერთი იყო. ჩვენ ან უნდა მივკედლებოდით საბჭოთა რუსეთს, ან და ბურჟუაზიულ, იმპერიალისტურ ქვეყნებს. მენშევიკებმა და სხვა პარტიებმა აარჩიეს იმპერიალისტები, ჩვენ ვარჩიეთ რუსეთის მშრომელი ხალხი. აი, ამხანაგებო, მთელი ისტორია. ჩვენ არავის არ ვატყუებთ, მაგრამ, ამავე, დროს ვამბობთ, რომ ნაციონალური საკითხი, ეროვნული საკითხი, რომელსაც მართლაც სოციალური საკითხის შემდეგ, მუშათა საკითხის შემდეგ, პირველი ადგილი უჭირავს, როგორ არის გადაჭრილი. უნდა თვალი დახუჭოს ადამიანმა და არ დაინახოს ის, რაც ხდება დღეს ყოფილი რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე“.

მომხსენებელმა, დაახასიათა რა საქართველოს ეკონომიკასა და კულტურაში მომხდარი გარდატეხანი, სკოლების, უმაღლესი სასწავლებლების, ქოხ-სამკითხველოების, მუზეუმების, საგამომცემლო საქმის ზრდა და განვითარება, ბოლოს დასძინა:

„ყოვლად შეუძლებელია მხატვრული ნაწარმოებები იყოს გარეშე ცხოვრებისა, ყოვლად შეუძლებელია, რომ მან არ განიცადოს ის, რაც ხდება ცხოვრებაში... აქ მთავარია ვლებულობთ თუ არა რევოლუციას, როგორიც არის, რომელსაც ხალხში გაიდგა ფესვები... ჩვენი მთავრობა მხარს უჭერს ყველა მიმდინარეობას მწერლობაში, ოღონდ კი რევოლუციის ნიადაგზე იდგნენ და მასთან არც ერთ მიმდინარეობას არ შეიძლება ჰქონდეს ჰეგემონია; რასაკვირველია, არის ჰეგემონია პროლეტარიატის, მუშათა კლასის ბატონობა, მაგრამ ლიტერატურაში, რომელიმე ჯგუფის ხელოვნურად ჰეგემონია შეუძლებელია. აქ არის ყველა მწერალი, რომელნიც კი ღებულობენ, მიიღებენ მომხდარ რევოლუციას. მთავარი საკითხი ამ ორ სიტყვაში გამოიხატება...

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ქართველი მწერლები ჩვენ მოგვიდგებიან გვერდში ხალხის საკეთილდღეოდ, ხალხის ბედნიერებისაკენ“...

ყრილობაზე პირველი სიტყვა წარმოსთქვა ვასილ ბარნოვმა. მოგვყავს ეს სიტყვა მთლიანად:

„გუშინ მთავრობის წარმომადგენელი თავის მჭევრმეტყველურ, ფართო მოხაზულ სიტყვაში შეეხო სხვათა შორის მწერლობას. [illegible] დიდმა რევოლუციამ ხალხის გულში შეიტანა დიდი გარდაქმნა. მისცა მას ახალი საფიქრებელი და ახალი გზა ცხოვრებისა, ახალი სახეები მომავლისა, და ყველა ეს ხალხისათვის დიდი საიმედოა. შეუძლებელია მხატვრისათვის შეუგრძნობელი დარჩეს ეს, რადგან მხატვრული სიტყვა ცხოვრებას ახასიათებს, მის სახეებს ჩამოასხამს. სრული ჭეშმარიტება არის ყველა ეს. როგორ შეიძლება არ შეიგრძნოს მხატვარმა-მწერალმა, როგორი დიდი გარდატეხა შეიტანა ამ ისტორიულმა დიდმა ამბავმა ხალხის გულში, ხალხის სულისკვეთებაში, ხალხის ცხოვრებაში?! როგორ შეიძლება, სხვანაირად წარმოიდგინოს იმან ეს მომავალი?! ეს არც იქნება! საქართველოს ლიტერატურა ყოველთვის სახოებით მთელოდა ამ დიდებულ ხანას. ის თვითონ ილვწოდა ამ ხანის დამყარებისათვის. მას თვითონ მძაფრად ჰქონდა განცდილი თვითმპყრობელობის ძალა მანადგურებელი და იბრძოდა ამ სარბიელზე. გმირებს ეძებდა და პოულობდა კიდეც, როგორც კალმის გმირებს, ისე სინამდვილეში მებრძოლთ. ეს მკვეთრად ამოჭდეულია, როგორც მხატვრულ მწერლობაში, ისე ისტორიაში. ლამაზათ მიუდგა ჩვენი მწერლობა ხალხის ცხოვრებას და დახატა კიდეც. დახატა მისი იმედები, დახატა ქართული სული, სომ არ შეიძლებოდა ქართული სული დაჰმონებოდა რაიმე ბნელ ძალას. ეს მეტადრე ნათლად არის გამოხატული იმ, 1905 წლის რევოლუციურ მწერლობაში, როდესაც ჩვენ ერთი წუთით გაგვიღიმა ბედმა. რასაკვირველია, ეხლანდელი მწერლობა ვერ აუქცევს ამას გზას და უსათუოდ დახატავს. ეხლა ერთი სიძნელეა: ჩვენ თითონ ვართ ამ დუღილში ჩართულნი, ჩვენ თითონ განვიცდით ამ გარდატეხის ხანას. ჩვენი საკუთარი პიროვნება ურევია აქ და ძნელია მწერლისათვის აზრთა არეში განაცალკევოს სურათები, ცხოვრებაში გამოიტანოს და გადმოხატოს ქაღალდზე. აი სიძნელე ეხლანდელი მწერლობისა. აქედან ის მეორე სიტყვაც ცხადია გუშინდელი მჭერმეტყველისა. ჩვენ უარს არ ვყოფთ ძველსა. როგორ შეიძლება მისი უარყოფა?! ჩვენ მივიღებთ მას და გამოვიყენებთ ახალ ცხოვრებაშიო. ესეც სრული ჭეშმარიტებაა. თუ წინა კაცი უკანა კაცის ხიდია, მაშინ წინა კაცის გაკეთებულის დაგმობა, დარღვევა იქნება ამ გზის. სასიამოვნოა ეს თქმა და აუცილებელიც: გუშინ დაგვისურათეს აქ, რომ განათლება ჩვენს საქართველოში ფართო გზით მიდის. ქართული განათლება, ქართულ ენაზე სწავლა! ღმერთო ჩემო, რამდენს ვნატრობდით ამაზე. ოცნებაშიაც კი გვეშინოდა იმაზე ფიქრი. ეხლა კი ჩვენი ხალხი ქართულად სწავლობს, ქართული სკოლა, დედა-ენა ჩვენი აღარ იგმობა. და ამ სწავლას სავარჯიშო მასა-

ეროვნული

ლა უნდა თუ არა? ჩვენ გვაქვს ჩვენი ჟურნალ-გაზეთები, სხვადასხვა გამოცემებში დიდებული მასალა გაფანტული, ჩვენგან დავიწყებული, ახალი თაობისაგან უცნობი; და თუ უნდოდეთ შესწავლა, ვერც მისწვდებიან. ეხლა რომ გამოცემული გვაქვს ქართული მრავალი წიგნები, ნიჭიერი კაცი ერთ თვეში აიღებს იერიშით ყველა ამ მასალას. მაგრამ უწინ არ იყო ესე: წინათ ჩვენ ბეჩავები ვიყავით. უკვე ეხლა ვხედავ ქართული წიგნით ბაზარი აღსავსეა. როგორ წაახალისებს ეს ახალგაზრდობას! მე ამას ლამაზი შურით ვუყურებ, ზეგარდამოცხებული ეხლა კი შესძლებს თავის ნიჭის ფართოდ გამოჩენას". (იხ. „ქართველ მწერალთა ყრილობა", სახელგამი, 1926 წ.)

ეს იყო მართლაც ისტორიული გამოსვლა, ქართული სიტყვის დიდოსტატისა და პატრიარქის, დიდი მხატვრის გულწრფელი სიტყვა. საბჭოთა ხელისუფლების სადიდებლად წარმოთქმული. ვ. ბარნოვს სრული უფლება ჰქონდა ელაპარაკნა საქართველოს ისტორიისა და აწმყოს სახელით, მთელი ქართული ინტელიგენციის სახელით; მისმა სიტყვამ ერთგვარად განსაზღვრა ძველი თაობის პლატფორმა, საბჭოთა საქართველოს აღიარება და ყრილობის მონაწილეთა დამოკიდებულება ოქტომბრის რევოლუციასთან. ვ. ბარნოვის გამოსვლის შემდეგ ყრილობაზე ბევრი სიტყვა ითქვა, ზოგი სადაო და საკამათო, მაგრამ ვ. ბარნოვის სიტყვის ის პათოსი, რომ ქართველ მწერლებს გადაწყვეტილი აქვთ ითანამშრომლონ და იბრძოლონ საბჭოთა საქართველოს განმტკიცებისათვის, სიტყვის ეს პათოსი აიტაცა ყრილობამ და გაიზიარა სიტყვაში გამოსულმა ყოველმა დელეგატმა.

ამ ყრილობაზე პარტიის სალიტერატურო პოლიტიკაზე ვრცლად შეჩერდა და ყრილობის მუშაობა ერთგვარად შეაფასა ვალია ბახტაძემ; ქვემოთ ჩვენ მოვიყვანთ ადგილებს მისი სიტყვის სტენოგრაფიული ჩანაწერიდან:

„აქ მოლაპარაკენი იწყებდნენ თავის სიტყვას პოლიტიკით და ათავებდნენ ლიტერატურით. მე მინდა ორიოდე სიტყვა ვთქვა ჯერ ლიტერატურის შესახებ და შემდეგ გადავიდე პოლიტიკაზე... ფუტურისტების წარმომადგენელნი აქ გასაგები ენით ლაპარაკობდნენ, ე. ი. მათი ენა ჩვენ გავიგეთ; საუბედუროდ, ისინი ასეთივე ენით არ სწერენ. (ჩიქოვანი: თქვენს ჟურნალში ვწერთ მაგ ენით). ჩვენი თხოვნაა: სწერონ ისე, როგორც ლაპარაკობენ (ბესო ჟღენტი: სიით დევდარიანის განმეორება არის მაგ). მხოლოდ სანამ ამხანაგები ჟღენტი, ჩიქოვანი, ჟანგო და სხვები განაგრძობენ წერას ისეთივე ენით, როგორც აქამდე, ჩვენ მათ ვერ მივიღებთ, მიუხედავად იმისა, რომ ისინი თავის თავს მემარცხენეებად და საბჭოთა ხელისუფლების და კომუნისტური პარტიის უდიდეს მეგობრებად აცხადებენ. ჩვენი უმთავრესი მოთხოვნილება არის ლიტერატურისადმი, რომ ის ენა, რომლითაც იწერება ლექსი, რომანი თუ სხვა რაიმე, იყოს გასაგები მათთვის, ვისთვისაც ის იწერება... თუ თქვენ, მემარცხენე ამხანაგებო, განაგრძობთ წერას ისე როგორც აქამდე, როგორც გინდათ ისე სწერთ, მხოლოდ მაშინ უმჯობესია თქვენი ნაწერები ერთი მემაშინ უკითხოთ! რაღას ბეჭდავთ?! მაგრამ მე დარწმუნებული ვარ მაშინაც ვერ გაუგებთ ერთი მეორეს (ტაში და სიცილი); ასე, რომ ჩვენი მოთხოვნილებაა — გასაგები ენით სწეროთ. სწეროთ ქართულ ენაზე, მხოლოდ თქვენი ქართული უნდა იყოს გასაგები მკითხველისათვის. როდესაც თქვენ სცემთ გაზეთებს ან სხვა გამოცემებს, რომელთა სახელწოდებაც გაუგებარი არის, ეს მიუღებელია ჩვენთვის, ვინაიდან ნაწერი უნდა გაიგოს მან, ვინც კითხვა იცის (ხმა ფუტურისტების ადგილიდან: და ვისაც შესწევს ძალა ნაწერი წაიკითხოს და გაიგოს). მე ქართული ენა ვიცი, მაგრამ უნდა გამოგიტყდეთ, რომ თქვენი ნაწერი ჩემთვის ხშირად გაუგებარია. (ხმა ფუტურისტების ადგილიდან: გულწრფელი არა ხართ, ამხანაგო ვალია); მე აქ ვლაპარაკობ იმ პარტიის სახელით, რომელსაც მიზნად დასახული აქვს მშრომელი ხალხის ინტერესების დაცვა და თუ თქვენი ნაწერი არ იქნება მისთვის გასაგები, თქვენ შეგიძლიათ, ამხანაგებო, პარტიული მანდატიც მიიღოთ, მაგრამ მიუხედავად ამისა თქვენი ნაწერი არ იქნება მშრომელი ხალხისათვის მისაღები, მაშასადამე ჩვენთვისაც, რადგან ჩვენს უბრალო საანბანო მოთხოვნილებას ვერ ასრულებთ. ვიმეორებთ: ეს მოთხოვნილება არის სწეროთ ისე, როგორც ლაპარაკობთ. შეიძლება თქვენი დამოკიდებულება ლიტერატურის სხვადასხვა საკითხებთან სხვა იყოს. შეიძლება ჩვენ ზოგიერთ რამეებში კიდევაც გავიზიაროთ თქვენი შეხედულება, მაგრამ სანამ თქვენი ნაწერი არ იქნება დაწერილი გასაგები ენით, მანამ თქვენ ჩვენთან საერთო არაფერი გექნებათ. კომპარტიის უპირველესი მოთხოვნილება არის — ლიტერატურული ნაწარმოები იქნეს დაწერილი ფართო მასებისათვის გასაგები ენით. (ბ. ჟღენტი: ზომლეთელი გასაგებ ენაზე სწერს?). იმდენად, რამდენადაც ის გასაგებათ და ნიჭიერად სწერს — ეს ჩვენთვის მისაღები იქნება. უნდა განვაცხადო, ზომლეთელს იმდენი დამსახურება აქვს ქართული ლიტერატურის წინაშე მარტო ერთს, რამდენიც მთლიანათ თქვენს ჯგუფს არა აქვს ჯერ კიდევ. (ლოლობერიძე: ჩვენს წინააღმდეგ გამოდიხართ, თუ მოხსენების ირგვლივ?). მე ორიოდე სიტყვა უნდა მეთქვა ფუტურისტების შესახებ და წარმედგინა მათთვის ის მოთხოვნილება, რომელსაც კომუნისტური

პარტია საერთოდ უყენებს ლიტერატურას და ეს გაიგოს ყველამ, ეს გაიგეთ კერძოთ თქვენც!

მე ეხლა მინდა ხაზი გაუსვა ამხანაგ გამსახურდიას გამოსვლას, რადგან ვფიქრობ, რომ კონსტანტინე გამსახურდიას გამოსვლა იყო ყველაზე უფრო, ასე ვთქვათ, გულახდილი... ის ამბობს, რომ როდესაც ზარბაზნები გრგვინავენ, მუზა სდუმსო. ამაში მე შეიძლება ვეთანხმები მას, მაგრამ ფაქტია, რომ ძნელია მოიძიოს ისეთი ერთიც ქართველი მწერალი, რომელიც პოლიტიკისადმი სრულიად ინდიფერენტული იყოს. არ არიან, ამხანაგებო, მართალი ის კალმის მუშაკები, რომლებიც მხოლოდ „მწერლობით" ფიქრობენ შემოფარგლონ თავისი მოქმედება. არ ხდება ეს ასე ქართული ლიტერატურის ისტორიამ არ იცის, თითქმის არც ერთი შემთხვევა, რომ ქართველი მწერალი შემოფარგლულიყოს მარტო უპოლიტიკო „მწერლობით" და ეს, თუ გინდათ, დადებითი მხარეც არის ქართველი მწერლისა; აქ გამსახურდია ამბობს, რომ მისი მუზა სდუმდა, როდესაც რევოლუციის ზარბაზნები გრგვინავდენო. მაგრამ როდესაც ზარბაზნების ქუხილის შემდეგაც სდუმდა გამსახურდია და ეს დუმილი იყო ერთგვარი სიმპატია სხვა რამეხი, ეს რას ნიშნავდა? რევოლუციის ინტერესების მიხედვით ეს, რასაკვირველია, ცუდია. (გამსახურდია: მე ამ ხუთ წელიწადში არ ვსდუმვარ); ჩვენ ვუთხრათ ერთმანეთს სიმართლე. თქვენ არ სდუმდით იმგვარად, როგორც არ სდუმდით ჟურნალ „ილიონში". და ეს „არდუმილი" რევოლუციისათვის უარესი იყო, ვიდრე თქვენი დუმილი. ყოველშემთხვევაში თქვენ ისე არ სდუმდით, როგორც ამას მოითხოვდა ჩვენი რევოლუცია. აქ ერთი ამხანაგი ამბობდა, ჩვენ ვამართლებთ საფრანგეთის რევოლუციას, რომელმაც თავი მოჰკვეთა ლავუაზიესო. რევოლუციას გამართლება არ სჭირდება, მაგრამ ლავუაზიეს თავიც ისეთი ძვირფასია, რომ არც ისე იოლად უნდა მოვეპყრათ ამ ფაქტს. ეს თავი რევოლუციასთან ერთად უნდა იყოს.

მე ვამბობ — თუ გინდათ წერა, ამისათვის საქართველოში დღეს საუკეთესო პირობები არის. არასოდეს არ ყოფილა ასეთი პირობები. არ ყოფილა ისეთი შესაძლებლობანი, რომ ქართველ მწერალს თავის შემოქმედება ქაღალდზე გადაეტანოს, როგორც ეს არის დღეს. იმ საყვედურს, რომ მწერალს საქართველოში წიგნის დაწერა არ შეუძლია — ჩვენ უკანვე ვუბრუნებთ ამის მთქმელთ, რადგან ეს მართალი არ არის.

ჩვენ ვფიქრობთ, პარტია ფიქრობს, ყოველ შემთხვევაში მას გულწრფელი სურვილი აქვს, რომ დღევანდელი ჩვენი ყრილობა რამოდენიმედ მაინც, მას სრულებით ამის მოსპობა არ შეუძლია, რამოდენიმეთ მაინც შეამციროს, დავარქვათ ამას ეხლა გაუგებრობა, იმ გაუგებრობის მოსპობას, რომელიც არსებობდა და არსებობს ქართულ მწერლობის ერთი ნაწილის და ხელისუფლების და პარტიის შორის. ჩვენ უდიდესი სურვილი გვაქვს ამის, მაგრამ რევოლუციის პოზიციებს ჩვენ ჰრავის არ დავუთმობთ. ეს ყველამ იცოდეს (გამსახურდია: არ გედავებით). ამ საკითხში ჩვენ არავითარ დათმობაზე არ წავალთ. სხვა საკითხებში კი უდიდეს დათმობაზე წავსულვართ. ჩვენ მზად ვართ ლიტერატურის ფარგალი, რომელიც არსებობს ჩვენში, არ შევავიწროვოთ ოდნავადაც. მხოლოდ არის ერთი უმთავრესი საკითხი, ამაში ნუ შემოგვედავებით. თქვენ შეგიძლიათ იფიქროთ, რომ ჩვენ ვცდებით, მაგრამ, როგორც გუშინ ამხანაგმა ფილიპემ მოგახსენათ — ჩვენი პარტია დარწმუნებულია, რომ სხვა გამოსავალი კაცობრიობას და, კერძოდ, საქართველოს არა აქვს ბრწყინვალე მომავლისათვის... მე ვუსურვებ ქართულ მწერლობას, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ აქ მწარე ბევრი რამ ვუთხარით ერთმანეთს, მაგრამ ეს საჭირო იყო. ვისურვებ, რომ 21 თებერვალი 1926 წლისა შევიდეს საქართველოს მწერლობაში, როგორც დღე საქართველოს საბჭოთა ხელისუფლებისა და ქართული მწერლობის გაერთიანებისა".

საქართველოს მწერალთა პირველი ყრილობა მიეძღვნა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ხუთი წლის თავს. ამ ყრილობაზე წარმოდგენილი იყო ყველა მიმდინარეობა, რომელიც კი ამ წლებში არსებობდა. ყრილობაზე ძველი და ახალი თაობის, სხვადასხვა ლიტერატურული სკოლებისა და ჯგუფების წარმომადგენლები გამოვიდნენ სიტყვებით, დეკლარაციებით, სცადეს თავიანთი ლიტერატური სკოლის პრინციპები დაეცვათ, მაგრამ მაინც ქართული მწერლობის კონსოლიდაციისა და სოციალისტურ მშენებლობასთან მწერლობის დაახლოვების საქმეში ყრილობა ერთსულოვანი იყო; სრულიად საქართველოს მწერალთა პირველი ყრილობის მიერ მიღებულ რეზოლუციაში ნათქვამია:

„დღეს საბჭოთა საქართველოს ხუთი წლის თავზე, როცა ჩვენში ბოლო ეღება ყოველგვარ პოლიტიკურ გაუგებრობას, როცა რესპუბლიკა დგება ნორმალური ცხოვრების მტკიცე კალაპოტში, და როცა ქვეყნის კულტურულ ეკონომიური ინტერესები დაბეჯითებით მოითხოვენ ერის ყველა აქტიურ ძალების ჩაბმას მშვიდობიანი შრომის საერთო ფერხულში, — ქართველი ინტელიგენციის მოვალეობაა მომავალშიაც ატაროს ქვეყნის სამსახურისათვის აღმართული დროშა, რომელიც დღეს ხელში აქვს პროლეტარიატს და გლეხკაცობას.

აღიარებს რა საბჭოთა ხელისუფლებას იმ

ეროვნული

უპირველეს ფაქტორად, რომელიც მრავალ საშუალებას იძლევა ერის წინსვლისა და კულტურულ განვითარებისათვის, ქართული მწერლობა, როგორც გამომხატველი ხალხის სურვილებისა და მისწრაფებების, დაკავშირებული ისტორიულად მშრომელი ხალხის საუკეთესო მომავლისათვის ბრძოლასთან, ამ შემთხვევაშიაც ვალდებულია სათავეში ჩაუდგეს საქმეს ერის ინტერესთა რეალურად გაგებისას და მოუწოდოს ქართველი ხალხის ყველა წრეებს, კერძოთ ქართველ ინტელიგენციას საბჭოთა ხელისუფლებასთან მჭიდროდ დაკავშირებისაკენ.

ყრილობა გამოთქვამს იმედს, რომ ის დიდი საქმიანი შეხვედრა, რომელიც მოხდა 21 თებერვალს საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების პასუხისმგებელ წარმომადგენლებთან და ქართველი მწერლების ორგანიზაციულად შეკავშირებული ძალთა შორის, თავდები იქნება იმისა, რომ მთლიანი ხაზი ქართული კულტურულ-პოლიტიკური საქმიანობისა, რომლის მტკიცე საფუძველი ჩაიყარა 21 თებერვალს, მომავალში არ იქნება გამრუდებული და, თავიდან იქნება აცილებული ის მომენტები, რომელნიც ხელს შეუშლიან საერთო საქმიან თანამშრომლობას".

1926 წლის 24 თებერვლის თბილისის საოპერო თეატრში მოეწყო საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ხუთი წლის თავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა, საზეიმო საღამოში მონაწილეობის მისაღებად ყრილობამ აირჩია დელეგაცია ს. თორდიას დ. კლდიაშვილის, ვ. ბარნოვის, ა. ჭუმბაძის, კ. მაყაშვილის და პ. იაშვილის შემადგენლობით.

ახლად არჩეულმა პირველმა სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობამ 1926 წლის 1 ივნისს გამოსცა ჟურნალი „ქართული მწერლობა". ჟურნალს რედაქტორობდა ნ. მიწიშვილი. ჟურნალის პირველი ნომერი იხსნება ნ. მიწიშვილის წერილით: „დღეს ქართული მწერლობა, — აცხადებს რედაქტორი, — იწყებს რეალიზაციას, რაც ლიტერატურის და პოლიტიკის მხრივ გამოთქმული იყო თებერვლის ყრილობაზე"...

შემდეგ წერილში აღნიშნულია, რომ ყრილობაზე მოხდა ერთსულოვანი შეთანხმება საბჭოთა მთავრობასა და მწერლობას შორის, რომ მწერლობა უფრო აქტიურად ჩაებმება საბჭოთა საზოგადოებრივ ცხოვრებაში და ხელს შეუწყობს რევოლუციის მონაპოვრის განმტკიცებას.

„ქართულმა მწერლობამ" დიდი როლი შეასრულა ქართული მწერლობის კონსოლიდაციის საქმეში. ჟურნალის რედაქციამ შემოიკრიბა ქართული მწერლობის ყველა მოქმედი ხასიცოცხლო ძალა და მთელი თავისი მუშაობა წარმართა მწერალთა ყრილობის გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად.

ამრიგად, პირველმა ყრილობამ ჭეშმარიტად ისტორიული როლი შეასრულა — ქართული ლიტერატურის წინსვლა-განვითარებას მან მისცა ნათელი გეზი და პერსპექტივა. ეს ნათლად ჩანს თუნდაც კ. გამსახურდიას შემოქმედების მაგალითზე. ქართული სიტყვის ამ დიდოსტატმა ამიერიდან მთელი თავისი ცხოვრება და შემოქმედება მჭიდროდ და სამუდამოდ დაუკავშირა აღორძინებულ საბჭოთა საქართველოს; და ეს გარდატეხა მარტო მისმა შემოქმედებამ როდი განიცადა. სოციალიზმის ნათელ იდეალებს ამიერიდან მთელი გულით უმღერიან ი. გრიშაშვილიც, ს. შანშიაშვილიც, ალ. აბაშელიც, ლ. ქიაჩელიც, ყველა მოქმედი და ხასიცოცხლო ძალა, რომელსაც წინ მიჰყავდა ქართული ლიტერატურა.

**◘ გაგრძელება იქნება ◘**

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავით ფანჩულიძე

# ოქტომბრის რევოლუცია და ფრანგული პროგრესული მწერლობა

დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ კეთილისმყოფელი გავლენა მოახდინა ფრანგული ლიტერატურის განვითარებაზე. უახლესი პერიოდის ფრანგი მწერლების უფროსი თაობის წარმომადგენლები: ანატოლ ფრანსი, რომენ როლანი, ანრი ბარბიუსი, რაიმონ ლეფევრი, პოლ ვაიან-კუტიურიე აღფრთოვანებით გამოეხმაურნენ ოქტომბრის რევოლუციას, რის შედეგადაც არსებითი ხასიათის გარდაქმნები მოხდა მათ მსოფლმხედველობასა და შემოქმედებაში.

ჯერ კიდევ რუსეთის 1905 წლის რევოლუციის დროს ანატოლ ფრანსი (1844 — 1924) როგორც „რუსი ხალხის მეგობართა საზოგადოების" თავმჯდომარე, აქტიურად გამოდიოდა თავისუფლების იდეების დასაცავად. ფრანსი ამბობდა: „ეს რევოლუცია — მსოფლიო რევოლუციაა, იგი მსოფლიო პროლეტარიატს უჩვენებს ბრძოლის საშუალებებს, მიზნებს, ძალას და დანიშნულებას. ნევის, ვისლასა და ვოლგის ნაპირებზე ახლა წყდება ახალი ევროპისა და მომავალი კაცობრიობის ბედი".

ანატოლ ფრანსს სწამდა მშრომელი ხალხის ნათელი მომავალი. მას სწამდა, რომ პროლეტარიატი აუცილებლად გაიმარჯვებდა. ოქტომბრის რევოლუციის შედეგებით აღფრთოვანებულ დიდ ფრანგ მწერალს კიდევ უფრო განუმტკიცდა სოციალისტური იდეებისადმი რწმენა. ანატოლ ფრანსი სიტყვით და საქმით იცავდა რუსეთში ახლად წარმოშობილ საბჭოთა სახელმწიფოს და კიცხავდა იმათ, ვინც ხმას იმაღლებდა საბჭოთა რესპუბლიკის წინააღმდეგ. ის ააშკარავებდა იმპერიალისტური ომის გამჩაღებელთა მზაკვრულ გეგმებს, ემხრობოდა და იცავდა საბჭოთა ხელისუფლების სამშვიდობო პოლიტიკას, მგზნებარედ ქადაგებდა სოციალიზმისა და კომუნიზმის იდეებს. საბჭოთა წყობილება ფრანსს მიაჩნდა მტკიცე და ხანგრძლივ წყობილებად.

ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ანატოლ ფრანსი თავის თავს კომუნისტს უწოდებდა. მოხუცმა მწერალმა იგრძნო და გაიგო, თუ რა დიდი სოციალური, პოლიტიკური, იდეოლოგიური გარდაქმნები ხდებოდა საბჭოთა ქვეყანაში და ჭეშმარიტი მწერლისათვის დამახასიათებელი გულწრფელობით და პატიოსნებით განაცხადა თავისი გადმოსვლა კომუნიზმის მხარეზე.

1919 წელს პარიზში შეიქმნა მსოფლიოს პროგრესულ მწერალთა გაერთიანება „კლარტე"; ანატოლ ფრანსი აღტაცებით გამოეხმაურა ამ ფრიად სასარგებლო და საჭირო წამოწყებას. მას მოწონდა „კლარტეს" ფუძემდებლების — ანრი ბარბიუსის, რაიმონ ლეფევრის, პოლ ვაიან-კუტიურიეს საქმიანობა, მათი პროგრამა.

ერთ საუბარში ანატოლ ფრანსმა ანრი ბარბიუსს უთხრა: „თქვენ მართალი ხართ, მე მოხუცებულობის გამო არ ძალმიძს თქვენ გამოგყვეთ, მაგრამ მე თქვენ გენდობით"... შემდეგ, გაზეთ „ლუმანიტეში" გამოქვეყნებულ თავის პირველ წერილში „კლარტეს" შესახებ ანრი ბარბიუსი სიამაყით წერდა: „ეს ჯგუფი ერთგულად მიყვება ფრანგული მხატვრული

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიტყვის ერთ-ერთი ყველაზე საყვარელი და ყველაზე საპატიო დიდოსტატის — ანატოლ ფრანსის რჩევას და მაგალითს“.

რომენ როლანი (1866 — 1944) აღფრთოვანებით გამოეხმაურა ოქტომბრის რევოლუციას. ის გულწრფელად მიესალმა ამ დიდ ისტორიულ მოვლენას და გადაჭრით ჩადგა რევოლუციის მეგობართა რიგებში. რომენ როლანი კმაყოფილებით აღნიშნავდა, რომ მან დიდი ოქტომბრის რევოლუციის მეოხებით შესძლო გაეწყვიტა კავშირი წარსულთან, რომელსაც ის აღარასოდეს დაუბრუნდება. მწერალი ამ „წარსულში“ გულისხმობდა თავის წვრილბურჟუაზიულ, პაციფისტურ შეცდომებს.

ოქტომბრის რევოლუციამ ახლებურად მომართა რომენ როლანის სამწერლო კალამი. ის ასე მიმართავდა საბჭოთა ხალხს: „მიმიღეთ მუდამ თქვენს მახლობელ მეგობრად და ვიაროთ ერთად ნათელი მომავლისაკენ“. სხვა ადგილს როლანი აღნიშნავდა: „ოქტომბრის დღესასწაული — ეს არის დღესასწაული მთელი ქვეყნის ყველა თავისუფალი ადამიანისა. ეს ჩვენი დღესასწაულია, სულით და გულით ვუერთდები მას“.

რომენ როლანს მშვენივრად აქვს ახსნილი, თუ როგორ მივიდა ის დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შედეგად კომუნიზმთან, რომელიც მწერლის აზრით ერთადერთი გზაა გონებისა და სამართლიანობისათვის.

საბჭოთა კავშირს რომენ როლანი უწოდებდა „მძლავრი ხინათლის კერას“. „ჩემო საბჭოთა ძმებო, — ამბობდა როლანი საბჭოთა ადამიანების მისამართით, — გმადლობთ, რომ ჩემი სიცოცხლის მწუხრის ჟამს ეს მზე მიძღვენით. როგორც ის, ვინც დანტეს „ჯოჯოხეთის“ უკანასკნელ სტრიქონებში ბნელი ხეობიდან გამოსვლისას კვლავ ხედავს ბრწყინვალე ვარსკვლავებს — „და გამოვედით იქიდან, რომ გვეხილა კვლავ ვარსკვლავებიო“ — მეც პესიმიზმით გამსჭვალული ახალგაზრდობისა და მკაცრი ბრძოლით აღსავსე ცხოვრების შემდეგ, კვლავ ვპოვე თავისუფალი არე, სიცოცხლის სიხარული, ეს „ახალი დღე“, რომელიც სიკვდილის წინ იგრძნო, მაგრამ ვერ დაინახა ჟან-კრისტოფმა და ჩემი მოხუცებულობა, თქვენი მეოხებით განთიადად იქცა“.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გავლენა ატყვია (მეტ-ნაკლებად) რომენ როლანის ყველა ნაწარმოებს, რომელიც მან ამ რევოლუციის შემდეგ დაწერა. ასეთებია: მოთხრობა „პიერი და ლუსი“ (1918), დრამა „ლილიული“ (1919), რომანი „კლერამბო“ (1920), „სიყვარულისა და სიკვდილის თამაში“ (1924), „ბზობა“ (1926), „ლეონიდები“ (1927), „რობესპიერი“ (1938) რომანი „მოხიბლული სული“ (1922—1933) და პუბლიცისტური წერილები.

რომენ როლანის „მოხიბლულ სულში“ მოცემულია მწერლის შემოქმედებითი გარდაქმნა-გადახალისება, მისი იდეური ევოლუცია — ვიწრო ინდივიდუალიზმიდან პროლეტარული რევოლუციისა და კომუნიზმისაკენ.

ამ მონუმენტურ ნაწარმოებში რომენ როლანმა სცადა ახლებურად დაეყენებია საკითხი და ახლებურადვე გადაეწყვიტა იგი. მას სურდა დაეხატა რევოლუციური სულისკვეთებით გამსჭვალული სახე თანამედროვე ქალისა. ასეთია „მოხიბლულ სულის“ მთავარი გმირი, მებრძოლი ქალი ანეტა რივიერი. ანეტას გვარი რივიერ, ქართულად მდინარე, შემთხვევითი არ არის. ავტორმა ამ ქალს ასეთი გვარი იმიტომ შეურჩია, რომ მისი ცხოვრება მდინარესავით ხანგრძლივია და მიხვეულ-მოხვეული, დაუდგრომელია, მუდამ მოძრავი და წინმსწრაფი. როდესაც ანეტას ვაჟი მარკ რივიერი ფაშისტური ტერორის მსხვერპლი ხდება და თავისი სისხლით შეღებილი დროშა ხელიდან უვარდება, ანეტა ამ ტრაგიკულ მომენტში არ მერყეობს, არ იბნევა, ის ხელში იღებს დროშას და მიდის წინ. ყოველივე ეს კი იმის სიმბოლური განსახიერებაა, რომ შვილის საქმეს აგრძელებს დედა, რომ „მდინარე“ შეერთვის სახალხო-განმათავისუფლებელი ბრძოლების მძლავრ ოკეანეს.

რომენ როლანი ხშირად იმყოფებოდა საბჭოთა კავშირში. ის წერდა: „ერთადერთი ნამდვილი მსოფლიო პროგრესი განუყრელად დაკავშირებულია საბჭოთა კავშირის ბედთან, საბჭოთა კავშირი წარმოადგენს პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დიდებულ კერას“.

დიდი ფრანგი მწერალი ახლოს იცნობდა საბჭოთა ქვეყანას. ის იყო საბჭოთა ხალხის ერთგული მეგობარი, მისი მიღწევებისა და წარმატებების მგზნებარე პროპაგანდისტი.

ხალხთა მასებში რევოლუციური შეგნებულობის ზრდა სიმართლით და ნიჭიერადაა გამოხატული ფრანგი კომუნისტი მწერლის ანრი ბარბიუსის შემოქმედებაში.

არა მხოლოდ ფრანგი მწერლებიდან, არამედ მთელი საზღვარგარეთელი მწერლებიდან ანრი ბარბიუსი (1873 — 1935) ერთ-ერთი პირველი იყო, რომელიც აღფრთოვანებით გამოეხმაურა დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციას.

მთელ პლანეტაზე გაისმოდა ანრი ბარბიუსის ძლიერი მოწოდება: დაიცავით წმიდათაწმიდა თავისუფლება, დაიცავით რუსეთის რევოლუცია. ანრი ბარბიუსი გულმხურვალედ ურჩევდა მსოფლიოს ყოველ მშრომელს დარაზმულიყო კაცობრიობის გამათავისუფ-

ლებელი ძლევამოსილი წითელი დროშის ქვეშ.

რომენ როლანი თავის სახელოვან თანამემამულეს — ანრი ბარბიუსს „რევოლუციის პრომეთეს“ უწოდებდა. ეს მარჯვე გამოთქმა სწორად გამოხატავს ანრი ბარბიუსის შეუდრეკელ, რევოლუციურ პიროვნებას. ის იყო ახალი ტიპის რევოლუციონერი მწერალი დასავლეთ ევროპის ლიტერატურაში. ანრი ბარბიუსმა, როგორც ჰუმანისტმა მწერალმა, როგორც იმპერიალისტური ომებისა და ფაშიზმის წინააღმდეგ თავგამოდებულმა მებრძოლმა, როგორც დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მონაპოვართა ერთგულმა დამცველმა, ფართო პოპულარობა მოიპოვა მსოფლიოს დემოკრატიულ მწერლებში, მსოფლიოს მშრომელ ხალხში.

როდესაც პირველი მსოფლიო ომი დაიწყო, დილით ადრე პარიზის სამხედრო კომისარიატში მივიდა მაღალი, გამხდარი, მხრებში მოხრილი კაცი და თავისი დოკუმენტები გადასცა სამობილიზაციო მაგიდის მოხელეს. ეს კაცი იყო ორმოცდაერთი წლის ანრი ბარბიუსი — ფრანგი ხალხის საყვარელი მწერალი. ბარბიუსი ფიზიკური მდგომარეობის გამო არ მიიღეს სამხედრო სამსახურში, მაგრამ მან მაინც უკან არ დაიხია და პირდაპირ მიაშურა ფრონტს.

1914 წლის 9 აგვისტოს გაზეთ „ლუმანიტეს“ რედაქტორს ანრი ბარბიუსი სწერდა: „მივდივარ ომში მოხალისედ, უბრალო ჯარისკაცად, მივდივარ იმიტომ კი არა, რომ უარი ვთქვა იდეებზე, რომლებსაც მუდამ უანგაროდ ვიცავდი, არა, ვიღებ რა იარაღს, ვფიქრობ ვემსახურო ამ იდეებს. ეს არის სოციალური ომი. ის შეიძლება გადამწყვეტი ნაბიჯი იყოს ჩვენი საერთო საქმის განხორციელების გზაზე“...

მაგრამ ბარბიუსმა სულ მალე გაიგო ამ ომის ნამდვილი ბუნება. ეს ის პერიოდია, როდესაც ვ. ი. ლენინის მძლავრი ლოზუნგი „ომი—ომს“ გზას იკაფავს ფრონტის გულისაკენ, იპყრობს მებრძოლთა სულსა და გონებას. ბარბიუსის „წერილებში ფრონტიდან“ უკვე მოჩანს მომავლის ნიჭიერი მხატვარი-რეალისტი, რომელსაც წილად ხვდა შეექმნა მაქსიმ გორკის სიტყვებით რომ ვთქვათ: „საშინელი და სასიხარულო წიგნი — „ცეცხლი“.

ომის ცეცხლსა და ქარიშხალში ბარბიუსმა იგრძნო, დაინახა და გაიგო, რომ კაპიტალისტური წყობილება ომების გაჩაღების წყაროა, რომ იმპერიალიზმის ეპოქაში შექმნილი წინააღმდეგობებიდან გამოსავალი მხოლოდ სოციალისტურ რევოლუციაშია, რომ ერთადერთი სამართლიანი პოლიტიკური წყობილება ეს სოციალიზმია. ბარბიუსი გადაჭრით დგება მუშათა კლასის მხარეზე. ის უკვე დარწმუნებულია, რომ სწორედ მუშათა კლასს ეკუთვნის ნათელი მომავალი.

1919 წელს ლენინი წერდა: „მასებში რევოლუციური შეგნების ზრდის ყველგან შემჩნეული, მასობრივი მოვლენის ერთ-ერთ განსაკუთრებით თვალსაჩინო დადასტურებად შეიძლება ჩაითვალოს ანრი ბარბიუსის რომანები „ცეცხლი“ და „სიცხადე“. პირველი უკვე გადათარგმნილია ყველა ენაზე და გავრცელებულია საფრანგეთში 230.000 ეგზემპლარის რაოდენობით. სრულიად უმეცარის, იდეებითა და ცრურწმენით მთლად დაბეჩავებული ობივატელისა და მასაში მომუშავე ადამიანის გადაქცევა რევოლუციონერად, სწორედ ომის ზეგავლენით, ნაჩვენებია არაჩვეულებრივი სიძლიერით, ნიჭიერად და მართლად“.

ხოლო სხვა შრომაში — „პასუხი ამერიკელი ჟურნალისტის კითხვებზე“ — ლენინი აღნიშნავს: „კაპიტალიზმის კრახი გარდუვალია. მასების რევოლუციური შეგნება იზრდება ყველგან. ამის დამადასტურებელია ათასობით ნიშანი. ერთ-ერთი არა დიდმნიშვნელოვანი, მაგრამ ფილისტერისათვის ძალიან თვალსაჩინოა რომანები ანრი ბარბიუსისა... რომელიც ომში წავიდა, როგორც ყოვლად მშვიდი, თავმდაბალი, კანონის მორჩილი წვრილი ბურჟუა, ფილისტერი, ობივატელი.“

ანატოლ ფრანსმა შესანიშნავ წიგნად მიიჩნია ბარბიუსის რომანი „ცეცხლი“. ის ამბობდა: „ცეცხლი“ ერთ-ერთი საუკეთესო წიგნია მთელს ფრანგულ ლიტერატურაში. ერთი სიტყვით, „ცეცხლის“ ბარომეტრი მშვენიერ ამინდს გვაუწყებს“. რომენ როლანმა ბარბიუსის „ცეცხლს“ უწოდა „ომის სწორი სარკე“, მაქსიმ გორკისათვის „ცეცხლი“ იყო „საოცრად უბრალო და შეუბრალებლად მართალი წიგნი“.

პოლ ელუარმა თავისი ლექსების პირველი კრებული მიართვა ანრი ბარბიუსს წარწერით: „ანრი ბარბიუსს, რომელმაც ყველაზე სასარგებლო წიგნი დაწერა ამ ქვეყნად“. არნოლდ ცვაიგის აზრით, ანრი ბარბიუსი არის მოთავე რევოლუციური, ანტიიმპერიალისტური ლიტერატურისა, მსოფლიო მასშტაბის მხატვარი-რეალისტი.

1919 წელს ანრი ბარბიუსმა ჩამოაყალიბა მწერალთა საერთაშორისო ჯგუფი („სიცხადე“). ამ ჯგუფში გაერთიანებული იყვნენ: ანატოლ ფრანსი, რომენ როლანი, ვაიან-კუტიურიე, ჰერბერტ უელსი, თომას ჰარდი, სტეფან ცვაიგი და სხვ. ამ ჯგუფმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში. ეს ჯგუფი უშვებდა ლიტერატურულ ჟურნალ „კლარტეს“, რომელიც გამოდიოდა 1919 წლიდან 1928

ეროვნული ბიბლიოთეკა

წლამდე. ჟურნალს 1919 წლიდან 1924 წლამდე რედაქტორობდა ანრი ბარბიუსი.

„კლარტეს“ მოღვაწეობის პერიოდში ბარბიუსმა შექმნა რევოლუციური პუბლიცისტიკის ნიმუშები: „მებრძოლის სიტყვები“ „სინათლე უფსკრულში“ (1920), „დანით კბილებში“ (1920), რომანი „რგოლები“ (1921).

1923 წელს ანრი ბარბიუსი საფრანგეთის კომუნისტური პარტიის წევრი გახდა. ბარბიუსი მუდამ წინ მიიწევდა, ყოველდღიურად იზრდებოდა, როგორც მწერალი-მოაზროვნე. მან ერთ-ერთმა პირველმა აღიმაღლა ხმა ფაშისტური ტერორის წინააღმდეგ. 1925 წელს ბარბიუსი გაემგზავრა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში — რუმინეთსა და ბულგარეთში, სადაც თავისი თვალით დაინახა როგორ მძვინვარებდა თეთრი ტერორი. ყოველივე ამის საფუძველზე ბარბიუსმა შექმნა წიგნი „ჯალათები“ (1926), რომელშიც მწერალი პროგრესულ ადამიანებს მოუწოდებს ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ.

ანრი ბარბიუსი იყო საბჭოთა კავშირის, საბჭოთა ხალხის არა უბრალო მეგობარი, არამედ მისი ინტერესებისათვის დაუცხრომელი მებრძოლი.

დიდ ფრანგ მწერალს მუდამ ახარებდა საბჭოთა კავშირში სოციალიზმის დიადი მშენებლობანი, შრომის ნაყოფიერების ზრდა, საბჭოთა ხალხის თავდადებული შრომა, საბჭოთა კულტურის გაფურჩქვნა-აყვავება, წითელი არმიის ძლევამოსილება... ყოველივე ეს ნათლადაა ასახული ბარბიუსის მშვენიერ წიგნში „რუსეთი“ (1930).

ანრი ბარბიუსმა მრავალჯერ იმოგზაურა საბჭოთა კავშირში. ის საბჭოთა კავშირს თავის მეორე სამშობლოდ თვლიდა. ბარბიუსს უყვარდა ხოლმე თქმა: „როცა აქ, მოსკოვში ჩამოვდივარ, უშუალოდ განვიცდი ყოველ ამბავს, ყოველ ფაქტს, რათა შემდეგ შინ, ჩემს ქვეყანაში რომ დავბრუნდები, სრულიად კონკრეტული ფაქტებით მოვუთხრო იქაურებს, თუ როგორ მძლავრად იზრდება საბჭოთა კავშირი“.

ანრი ბარბიუსს დიდი დამსახურება მიუძღვის ქართველი ხალხის წინაშე. პირველად ბარბიუსი საბჭოთა კავშირში ჩამოვიდა 1927 წელს და საგულისხმოა, რომ სწორედ ამ თავისი პირველი მოგზაურობის დროს ინახულა მან საქართველო და ამიერკავკასიის სხვა რესპუბლიკები.

ბარბიუსს მოეწონა ამიერკავკასიის ხალხთა ძმური, მეგობრული ურთიერთობა, თანამშრომლობა და ურთიერთდახმარება, მოეწონა, რომ საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი ხელიხელჩაკიდებულნი ეწევიან დიად მშენებლობებს და წარმოადგენენ დიდი საბჭოთა კავშირის მოწინავე რესპუბლიკებს.

ბარბიუსი ამბობდა: „საბჭოთა საქართველოს მიღწევები იმდენად დიდია, რომ მათი ჩამოთვლა ხანმოკლე საუბრის დროს შეუძლებელია. საქართველოს შესახებ მე გამოვცემ ცალკე წიგნს, სადაც შევეცდები დაწვრილებით აღვნუსხო საბჭოთა ხელისუფლების მიღწევები თქვენში“.

სახელოვანმა ფრანგმა მწერალმა პირნათლად შეასრულა თავისი დაპირება. 1929 წელს პარიზში გამოაქვეყნა მშვენიერი და საინტერესო წიგნი „აი რა უყვეს საქართველოს“. რომლის კარგი ქართული თარგმანი მწერალ არისტო ჭუმბაძის მიერ შესრულებული, დაიბეჭდა თბილისში 1930 წელს. წიგნი შედგება ხუთი თავისაგან: „კავკასიის საღამოები“, „დილა“, „ის, რაც მოხდა“, „მიღწევები“, „ეროვნება და თავისუფლება“. წიგნში ნაჩვენებია თუ საით მიექანებოდა საქართველო მენშევიკების დროს, რა უყვეს მენშევიკებმა საქართველოს, როგორ განთავისუფლდა და აყვავდა იგი საბჭოთა ხელისუფლების დროს. მწერალი აღწერს იმ დიდ მიღწევებს, რომლებიც მოიპოვა ქართველმა ხალხმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით.

ანრი ბარბიუსი დაუნდობლად ამხილებდა იმპერიალისტურ წრეებს, რომლებიც მეორე მსოფლიო ომის გაჩაღებას აპირებდნენ. ის იყო ინიციატორი 1932 წელს ომის საწინააღმდეგო კონგრესისა ამსტერდამში, 1933 წელს — ანტიფაშისტური კონგრესისა პარიზში, 1935 წელს — კულტურის დაცვის მსოფლიო კონგრესისა ისევ პარიზში. ამ კონგრესებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში.

რომენ როლანი ამბობდა: „ქვეყნის რომელ კუთხეშიც გამოჩნდებოდა ანრი ბარბიუსი მოხიარულე რაინდის მსგავსად, ყველგან „ჯვაროსნულ ომს“ აჩაღებდა სოციალური უსამართლობისა და იმპერიალისტური ყაჩაღობის წინააღმდეგ“.

მშვიდობისათვის ბრძოლა ბარბიუსისათვის განუყოფლად იყო დაკავშირებული საბჭოთა კავშირის დაცვასთან. დიდ ფრანგ მწერალს საბჭოთა კავშირი სავსებით სამართლიანად მიაჩნდა მსოფლიო მშვიდობის ბურჯად, მის მედროშედ. მას ღრმად სწამდა. რომ საბჭოთა კავშირი თავისი წარმოშობის პირველი დღეებიდანვე მუდამ და თანამიმდევრულად ატარებდა მშვიდობიან და კეთილმეზობლურ პოლიტიკას.

1932 წელს გამოქვეყნდა ანრი ბარბიუსის წიგნი „ზოლა“. ეს ნაშრომი იყო მნიშვნელოვანი ეტაპი ფრანგულ და შეიძლება ითქვას, მთელ საზღვარგარეთულ ლიტერატურაში, სოციალისტური რეალიზმის მეთოდის უფრო

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეტად განმტკიცებისა და გაღრმავების გზაზე. აქ ანრი ბარბიუსი კიდევ უფრო ფართოდ გამოთქვამს თავის ესთეტიკურ შეხედულებებს, თავის აზრებს ხელოვნებისა და ლიტერატურის უპირველესი მიზნებისა და ამოცანების შესახებ, ხელოვანის, მწერლის უპირველესი მოვალეობისა და დანიშნულების შესახებ. ანრი ბარბიუსი ახალი მეცნიერული, მხატვრული ანალიზით წარმოგვიდგენს ემილ ზოლას ცხოვრებას და შემოქმედებას. ბარბიუსი აღნიშნავს, რომ ზოლამ გადალახა თავის მხატვრულ ნაწარმოებებში ნატურალისტური შეზღუდულობანი, ის წარმოადგენს ფრანგული კრიტიკული რეალიზმის საუკეთესო ტრადიციების ღირსეულ განმგრძობს. ამავე დროს, ზოლა არის რეაქციული ძალების წინააღმდეგ დაუცხრომელი მებრძოლი, რომელმაც დრეიფუსის საქმის გამო გმირობა გამოიჩინა და დიდად გაითქვა სახელი მთელ მსოფლიოში, როგორც სიმართლისა და ჰეშმარიტების ბოლომდე ერთგულმა მწერალმა და მოქალაქემ. დრეიფუსის დასაცავად ემილ ზოლას გამოსვლები ალაფრთოვანებდა მთელ კაცობრიობას. ბარბიუსის რწმენით ზოლა „უკან კი არა, წინაა", ის მუდამ თანამედროვეა, როგორც სანიმუშო მაგალითი მებრძოლი და რეალისტი მწერალისა, რომელიც გამოხატავს მოწინავე იდეალებს და ურყევად დგას საზოგადოების პროგრესული ძალების მხარეზე.

ანრი ბარბიუსი თავის მდიდარ და ნაყოფიერ მოღვაწეობაში ხელმძღვანელობდა მარქსიზმ-ლენინიზმის იდეებით. მას უნდოდა დაეწერა წიგნი ლენინზე, დაიწყო კიდევაც, მაგრამ სიკვდილმა ხელი შეუშალა ბოლომდე განეხორციელებინა ეს კეთილშობილური ჩანაფიქრი. მწერალმა, ალფრედ კურელასთან ერთად, მოასწრო მხოლოდ ნარკვევის დაწერა „ლენინის შესახებ", რომელიც შესავალი წერილის სახით დაერთო წიგნს „ლენინის წერილები ნათესავებისადმი". იგი გამოვიდა საფრანგეთში 1936 წელს. ამ ნარკვევიდანაც ნათლად ჩანს ბარბიუსის გატაცება ლენინის დიადი პიროვნებით, რომელიც მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „იყო ადამიანი, რომელმაც თავის გონებაში გამოატარა რევოლუცია, მოამზადა, განახორციელა, გადაარჩინა იგი. ლენინი უდიდესი და ყოველმხრივ უსპეტაკესი შემოქმედთაგანია ისტორიისა, ადამიანი, რომელზე მეტი არავის გაუკეთებია ადამიანებისათვის".

ანრი ბარბიუსი მუდამ აღტაცებული იყო ლენინის მოღვაწეობით ბარბიუსმა ლენინს მიართვა თავისი წიგნი „სინათლე უფსკრულში" წარწერით: „ლენინს, რომელმაც პირველად დაწერა დიადი, მანამდე დაუწერელი კანონები, მხურვალე პატივისცემის გრძნობით ანრი ბარბიუსი".

ანრი ბარბიუსს ახლო, მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა სოციალისტური ლიტერატურის ფუძემდებელთან — მაქსიმ გორკისთან. ის დიდად დავალებულად თვლიდა თავს მაქსიმ გორკისაგან. ბარბიუსი მაქსიმ გორკის უწოდებდა მანათობელ შუქურას. ის ამბობდა, რომ მსოფლიოს ყველა მოწინავე მწერალმა უნდა მიბაძოს მაქსიმ გორკის, უნდა იაროს მისი გზით.

თავისი სიცოცხლის უკანასკნელ წლებში ბარბიუსმა დაწერა შესანიშნავი წიგნი ი. ბ. სტალინზე. მოვიტანთ მხოლოდ ერთ ადგილს წიგნიდან, რომელშიც ასეა დახასიათებული სტალინის პიროვნება: „სტალინი — ადამიანი მეცნიერის თავით, მუშის სახით, უბრალო ჯარისკაცის ტანსაცმლით".

ანრი ბარბიუსი გარდაიცვალა მოსკოვში, 1935 წლის 30 აგვისტოს. საბჭოთა ადამიანებმა ღრმა გულისტკივილით გააცილეს ანრი ბარბიუსის ცხედარი უკანასკნელ გზაზე — მოსკოვიდან პარიზამდე. პარიზში კი იგი მიაბარეს მიწას პერ-ლაშეზის სასაფლაოზე, კომუნარების საფლავის გვერდით. ჩვენი ქვეყნის მუშებმა მას აუგეს ძეგლი, რომლის კვარცხლბეკს ამშვენებს უბრალო წარწერა: „საფრანგეთის მუშათა კლასის მეგობარს, ფრანგი ხალხის ღვაწლმოსილ შვილს, ყველა ქვეყნის მშრომელთა მეგობარს, იმპერიალიზმისა და ფაშიზმის წინააღმდეგ მშრომელთა ერთიანი ფრონტის მებრძოლს ამხანაგ ანრი ბარბიუსს. ურალელი მუშები".

გიორგი დიმიტროვი ასე ახასიათებდა ანრი ბარბიუსის დაუცხრომელ პიროვნებას: „ჩემთვის რომ ეთხოვნათ დამესახელებინა კაპიტალისტური ქვეყნების ნამდვილი მოწინავე მწერალი, რომელშიაც შეერთებულია მაღალი მხატვრული ოსტატობა, მილიონების განთავისუფლების მოძრაობის აქტიურ მხარდაჭერასთან, მე უყოყმანოდ მივუთითებდი ანრი ბარბიუსზე".

პირველი მსოფლიო ომის ფრონტზე რამდენჯერმე დაჭრილმა, გაზით მოწამლულმა, ჭლექით დაავადებულმა ნიჭიერმა მწერალმა თავისი სიცოცხლის უკანასკნელი წლები ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ ბრძოლას შეალია.

ანრი ბარბიუსის გარდაცვალების შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა ფრანგი ხალხის ცხოვრებაში, მაგრამ არ შეცვლილა მისი ღრმა სიყვარული და პატივისცემა ანრი ბარბიუსისადმი; ხალხი მის სახით მუდამ ხედავდა თავისი საუკეთესო რევოლუციური ტრადიციების ერთგულ დამცველს და რევოლუციონერ იაკობინელთა სახელოვან შთამომავალს.

დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ თავისი გამოხატულება ჰპოვა აგრეთვე ანრი ბარბიუსის უმცროსი მეგობრების

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რაიმონ ლეფევრისა და პოლ ვაიან-კუტიურიეს შემოქმედებაში. მწერალი — რევოლუციონერი რაიმონ ლეფევრი (1891-1920) სამწერლო და საზოგადოებრივ მოღვაწეობის ასპარეზზე გამოვიდა რევოლუციური აღმავლობის პერიოდში. მან დაუვიწყარი სახეები შექმნა სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ მებრძოლი ადამიანებისა. ლეფევრს ჰქონდა ისტორიული და იურიდიული განათლება, ის თავიდანვე იყო გატაცებული რევოლუციური ჰუმანიზმის ძლევამოსილი იდეებით. ლეფევრი მონაწილეობდა პირველ მსოფლიო ომში, 1917 წელს ავადმყოფობის გამო დემობილიზებული იქნა.

როგორც ფრანგული ინტელიგენციის სხვა სახელოვანმა წარმომადგენლებმა, რაიმონ ლეფევრმაც სანგრებში, ომის ცეცხლსა და ქარიშხალში იგრძნო და დაინახა იმპერიალისტური ომის მთელი საშინელება, საბოლოოდ შეიძულა სოციალურ უბედურებათა წყარო — ბურჟუაზიული საზოგადოება და დაადგა რევოლუციური ბრძოლის გზას.

ფრონტზე გადატანილმა გაჭირვებამ და ვაი-ვაგლახმა ლეფევრის პიროვნება გარდაქმნა-გადაახალისა, მან ბევრი რამ შეიგნო და შეისისხლხორცა, ის მიემხრო რევოლუციურ ლოზუნგს — იმპერიალისტური ომის გადაქცევას სამოქალაქო ომად.

ლეფევრი მგზნებარე პატრიოტი იყო. მას აფიქრებდა და აღელვებდა თავისი სამშობლოს — საფრანგეთის აწმყო და მომავალი. ის მჭიდროდ უკავშირებდა თავის რევოლუციურ მოღვაწეობას თავისუფლებისმოყვარე ფრანგი ხალხის მისწრაფებებს.

საერთოდ, ლეფევრს სწამდა, რომ ხალხებზე ბევრია დამოკიდებული! მათ შეუძლიათ დაამხონ საძულველი წყობილება, მოიპოვონ თავისუფლება, დაამყარონ მშვიდობა.

ლეფევრის შრომა „რევოლუცია ან სიკვდილი“ (1920) ბურჟუაზიული საფრანგეთის წინააღმდეგაა მიმართული. ავტორის მართებული აზრით, საფრანგეთის ბურჟუაზიული მთავრობა ღუპავს ქვეყნის სულიერ და მატერიალურ სიმდიდრეს, ერთადერთი გამოსავალი შექმნილი მდგომარეობიდან — პროლეტარული რევოლუციაა, იგი ნათელ მომავალს დაუმკვიდრებს საფრანგეთს.

ლეფევრი განსაკუთრებული ყურადღებით ადევნებდა თვალყურს რუსეთში პოლიტიკური მოვლენების განვითარებას. 1917 წლის ზაფხულში ის წერდა: „ევროპის ბედი, მთელი ცივილიზებული მსოფლიოს ბედი რუსებზეა დამოკიდებული“. ლეფევრი აღტაცებით მიესალმა დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციას.

1920 წელს რაიმონ ლეფევრი მოსკოვში ჩამოვიდა კომინტერნის მეორე კონგრესზე დასასწრებად. კონგრესის სხდომებზე ის ხშირად ხვდებოდა დიდ ლენინს და ესაუბრებოდა მას. მან მოიარა რუსეთი და უკრაინა — იყო ხარკოვში, ოდესაში, პეტროგრადში. ყოველივე ამან ფრიად ნაყოფიერი გავლენა მოახდინა ფრანგ რევოლუციონერ მწერალზე.

რუსეთში ლეფევრი არალეგალურად ჩამოვიდა. უკან დაბრუნებისას ერთადერთი გზა მურმანსკზე გავლით იყო, და აი, 1920 წლის 1 ოქტომბერს სამშობლოში მიმავალი ლეფევრი დაიღუპა თავის ამხანაგებთან ერთად ბარენცის ზღვაში, ქარიშხლის დროს.

როდესაც ლეფევრი პირველ მსოფლიო ომში მიდიოდა, მას მოფიქრებული ჰქონდა დაეწერა ნაწარმოები სათაურით „პატრიოტული ტრილოგია“, ეს კეთილშობილური ჩანაფიქრი განუხორციელებელი დარჩა.

მოთხრობების კრებული „ჯარისკაცთა ომი“ (1919), ლეფევრმა დაწერა თავისი მეგობრის პოლ ვაიან-კუტიურიეს თანაავტორობით. მათ შესძლეს ამ მოთხრობებში რეალისტურად ეჩვენებინათ ფრონტელების ყოფა. ნაწარმოებთა გმირი — „სამხედრო პროლეტარიატია“. ანრი ბარბიუსმა მაღალი შეფასება მისცა ამ კრებულს.

ლეფევრის რომანი — „აბრაამის მსხვერპლად შეწირვა“ (1919) ეხება ომისდროინდელი ინტელიგენციის ცხოვრებას. ავტორი ასახავს იმ გარდაქმნებს, რაც ხდებოდა ომის გავლენის შედეგად მოწინავე ინტელიგენციაში. ლეფევრი ყურადღებას ამახვილებს მსოფლიო-ისტორიულ მოვლენაზე — ოქტომბრის რევოლუციაზე. მისი გმირები ლაპარაკობენ, რომ რუსეთში ოქტომბრის რევოლუციამ გაიმარჯვა, მეფის მთავრობა დამხობილია, ხელისუფლება მშრომელთა ხელშია, ისინი იმედით შეჰყურებენ ხალხთა ნათელ მომავალს.

თავის ავტობიოგრაფიულ ნაწარმოებში — „ძმრიანი ღრუბელი“ (1921), — ლეფევრი გადმოგვცემს ფრონტიდან დაბრუნებული ადამიანის ფიქრებსა და განწყობილებებს. ჯარისკაცის რევოლუციური შეგნება ომის გავლენის შედეგად დიდად გაიზარდა და გაფართოვდა, ის ოქტომბრის რევოლუციის იდეებითაა გამსჭვალული. იგი საგნებსა და მოვლენებს ახალი თვალსაზრისით უყურებს და აფასებს, კიცხავს მილიტარისტებს, დასცინის პროვინციულ ობივატელებს, რომლებიც ამცირებენ და აბუჩად იგდებენ ემილ ზოლას, ანატოლ ფრანსს, ჟან ჟორესს.

განსაკუთრებული ინტერესით იკითხება რომანის ის ადგილები, რომლებშიც ლაპარაკია რევოლუციის დიდ ბელადზე — ლენინზე, აგრეთვე გამოჩენილ გერმანელ რევოლუციონერზე — კარლ ლიბკნეხტზე.

ამ ნაწარმოების გმირის სახით, ჩვენს წინა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში დგას იდეურად ამაღლებული, პოლიტიკურად მომწიფებული რევოლუციონერი, რომელმაც უკვე იცის, რომ ერთადერთი გზა ეს ოქტომბრის რევოლუციის გზაა და გაბედულად მიჰყვება მას.

პოლ ვაიან-კუტიურიე (1892-1937) გამოჩენილი ფრანგი რევოლუციონერი მწერალი, პოეტი და პუბლიცისტი, საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ერთ-ერთი ორგანიზატორი იყო.

1926 წლიდან სიკვდილამდე პოლ ვაიან-კუტიურიე სათავეში ედგა გაზეთ „ლუმანიტეს".

როგორც ანრი ბარბიუსი და რაიმონ ლეფევრი, ასევე პოლ ვაიან-კუტიურიე გამსჭვალული იყო მშრომელი ადამიანების განთავისუფლების იდეებით, ოქტომბრის რევოლუციის იდეებით. ეს შესანიშნავი ფრანგი მწერლები წერდნენ ხალხზე, წერდნენ ხალხისათვის, წერდნენ რევოლუციური ჰუმანიზმის სულისკვეთებით.

როდესაც პირველი მსოფლიო ომი დაიწყო, პოლ ვაიან-კუტიურიემ, ანრი ბარბიუსის მსგავსად, ფრონტს მიაშურა. მას უნდოდა გაეგო და ეგრძნო ჯარისკაცის ცხოვრება და ფიქრები; კუტიურიე მამაცად იბრძოდა, ის რამდენჯერმე დაიჭრა. ომის შემაძრწუნებელმა სურათებმა დამწყებ პოეტში დიდი გარდატეხა მოახდინა — აქცია იგი რევოლუციონერ მწერლად.

პირველ მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ პოლ ვაიან-კუტიურიე, რაიმონ ლეფევრთან ერთად, აქტიურად ებმება პოლიტიკურ ბრძოლებში. გამოდის ანტიმილიტარისტულ სიტყვებით, მეთაურობს საპირველმაისო დღესასწაულებს და სხვ.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გავლენის შედეგად პოლ ვაიან-კუტიურიე, მოწინავე ფრანგ მწერლებთან ერთად, შედის მებრძოლ პოლიტიკურ ჯგუფში „კლარტეში" და თავდადებულად იცავს საბჭოთა რუსეთს უცხოეთის ბურჟუაზიული ინტერვენციისაგან.

1920 წლის 29 დეკემბერს, სოციალისტური პარტიის ტურის ყრილობაზე, შეიქმნა საფრანგეთის კომუნისტური პარტია. პოლ ვაიან-კუტიურიე იყო მისი ერთ-ერთი ფუძემდებელი და ორგანიზატორი.

1921 წელს პოლ ვაიან-კუტიურიე ჩამოვიდა მოსკოვში, ინტერნაციონალის მესამე კონგრესზე დასასწრებად, ნახა ლენინი, მოისმინა მისი სიტყვები. ლენინი და პოლ ვაიან-კუტიურიე ხშირად საუბრობდნენ. მათი საუბარი ეხებოდა საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ამოცანებს, ფრანგ მშრომელ ხალხს, პარიზის დიდ კომუნას, საფრანგეთის რევოლუციას. ლენინი ურჩევდა ფრანგ მწერალს კარგად შეესწავლა ჟან-პოლ მარატის ცხოვრება

ლენინის დიადი პიროვნებით აღფრთოვანებული პოლ ვაიან-კუტიურიე შემდეგ ხშირად ამბობდა, რომ ლენინი თავისი მხრებით ატარებს ახალ მსოფლიოს.

მოსკოვიდან სამშობლოში დაბრუნებულმა პოლ ვაიან-კუტიურიემ დაწერა მშვენიერი ნარკვევები საბჭოთა ქვეყნის ადამიანებზე (1921). ამ ნარკვევებში ფრანგი მწერალი აღწერს ოქტომბრის რევოლუციის შემდგომი პერიოდის რუსულ სოფელს და მიუთითებს, რომ ოქტომბრის რევოლუციამ გააბედნიერა მიწის მხვნელ-მთესველნი, უსასყიდლოდ გადასცა მათ სამუდამო სარგებლობაში მიწები და დაუმკვიდრა მშვიდობიანი ცხოვრება.

თუ როგორი იდეურ-პოლიტიკური გარდაქმნა მოახდინა პოლ ვაიან-კუტიურიეს ცხოვრებასა და შემოქმედებაში, ჯერ პირველმა მსოფლიო ომმა და შემდეგ ოქტომბრის რევოლუციამ, ნათლად ჩანს მის წიგნში „წერილები ჩემი მეგობრებისადმი" (1920).

პოლ ვაიან-კუტიურიეს პოეზია გაცისკროვნებულია ოქტომბრის რევოლუციის იდეებით. თავისი ლექსების კრებულში — „წითელი მატარებლები" (1922), პოეტი უმღერის რევოლუციით აღგზნებულ ხალხს, ის აღსავსეა ოქტომბრის საბოლოო გამარჯვების რწმენით.

საბჭოთა კავშირის, საბჭოთა ხალხის ცხოვრების თემას საპატიო ადგილი უჭირავს პოლ ვაიან-კუტიურიეს შემოქმედებაში. ამ მხრივ აღსანიშნავია მისი პუბლიცისტური ნაშრომი „ერთი თვე წითელ მოსკოვში" (1925). ავტორი კონკრეტული მაგალითების საფუძველზე დიდ უპირატესობას აძლევს საბჭოთა წყობილებას ბურჟუაზიულ წყობილებასთან შედარებით. ის გახარებული მოუთხრობს მკითხველს სოციალიზმის ქვეყნის მსოფლიო-ისტორიულ გამარჯვებათა შესახებ.

1927 წელს პოლ ვაიან-კუტიურიემ გამოაქვეყნა მოთხრობების კრებული „ბრმების მეჯლისი", რომელშიც ავტორი მწვავე სატირით ამხილებს ბურჟუაზიულ საფრანგეთს.

პოლ ვაიან-კუტიურიე ხშირად იმყოფებოდა საბჭოთა კავშირში. ის ახლოს იცნობდა საბჭოთა ადამიანებს, მათ გმირულ შრომას, მათ დიად გეგმებს. ახლოს იცნობდა სოციალისტური ლიტერატურის ფუძემდებელს — მაქსიმ გორკის და სხვა გამოჩენილ საბჭოთა მწერლებს.

ფრანგი მწერალი გულმოდგინეთ ეცნობოდა და სწავლობდა სოციალიზმის მშენებლობის სხვადასხვა დარგებს, რის შედეგადაც ჰქმნიდა დოკუმენტურ-პროზაულ ნარკვევებს. ასეთია მისი წიგნი „ახალი ცხოვრების მშენებელნი" (1932).

მარქსიზმ-ლენინიზმის იდეებზე აღზრდილი პოლ ვაიან-კუტიურიე დაუცხრომლად იბრძოდა ახალი ომის გამჩაღებელთა წინააღმ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დევ, ფაშიზმის წინააღმდეგ, ის იყო თანმიმდევარი მებრძოლი სახალხო ფრონტის საქმისათვის საფრანგეთში. მისი ნათელი სახე ასულდგმულებდა ფრანგ კომუნისტებს საფრანგეთის ოკუპაციის მძიმე წლებში. 1941 წლის 15 დეკემბერს, ღამით, დახვრეტის წინ გაბრიელ პერი წერდა: „ღამით დიდხანს ვფიქრობდი ჩემი ძვირფასი მეგობრის პოლ ვაიან-კუტიურიეს მართალ სიტყვებზე. ის ამბობდა, კომუნიზმი ქვეყნის სიჭაბუკე არისო, რომ კომუნიზმი ბრწყინვალე მომავალს ამზადებსო, და აი, მე მოვკვდები ამ ბრწყინვალე მომავლის მოსამზადებლად“.

საბჭოთა ხალხი, ფრანგ ხალხთან ერთად, დიდ პატივს სცემს პოლ ვაიან-კუტიურიეს, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე კაცობრიობის ნათელი მომავლის — კომუნიზმისათვის ბრძოლას შესწირა

ოქტომბრის რევოლუციის შედეგად გარკვეული გარდაქმნა მოხდა ცნობილი ფრანგი მწერლის ჟან-რიშარ ბლოკის ცხოვრებასა და შემოქმედებაში. ის დაუკავშირდა საბჭოთა სახელმწიფოს, საბჭოთა ხალხს, მის ნაწარმოებებში წამყვან თემად იქცა: ოქტომბრის რევოლუცია, საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომი, სახალხო ფრონტი საფრანგეთში, ფრანგული წინააღმდეგობის მოძრაობა, ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლა, მშვიდობის დაცვა და შენარჩუნება.

ჟან-რიშარ ბლოკი (1884-1947) სამწერლო ასპარეზზე პირველ მსოფლიო ომამდე გამოვიდა. ამ პერიოდის მისი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწარმოებია „...და კომპანია“ (დაიწერა 1914 წ. გამოიცა 1918 წ.). მასში მწერალი ასახავს კაპიტალიზმის შესვლას მონოპოლისტურ სტადიაში, რაც, მისი აზრით, იმის მომასწავებელია, რომ ბურჟუაზიული საზოგადოება მძაფრ კრიზისს განიცდის.

ჟან-რიშარ ბლოკი მონაწილეობდა პირველ მსოფლიო ომში, სადაც ის სამჯერ დაიჭრა. ფრონტზე მან ბევრი რამ გამოსცადა, რის შედეგადაც მტკიცედ დადგა ომის საწინააღმდეგო პოზიციებზე. ის დარწმუნდა, რომ ომი არის უგნურება და საშინელება. ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ჟან-რიშარ ბლოკი შევიდა ანრი ბარბიუსის მიერ დაარსებულ ჯგუფში „კლარტე“.

30-იან წლებში, როდესაც ანტიფაშისტურმა ძალებმა გაერთიანება იწყეს, ჟან-რიშარ ბლოკი აქტიურად მონაწილეობს სახალხო ფრონტის საქმიანობაში. ის აქვეყნებს რომანს „სიბილა“ (1932) ნაწარმოების გმირი ქალის შეგნებაში დიდ გარდატეხას ახდენს საბჭოთა ქვეყანაში მოგზაურობა და ლენინთან შეხვედრა. შემდეგ ის დიდი მწუხარების გრძნობით შეიტყობს ლენინის გარდაცვალების ამბავს, მაგრამ ღრმად დარწმუნებულია რომ ლენინის სახელი მარად უკვდავია, რომ მისი დიადი იდეები გაიმარჯვებენ.

1936 წელს ჟან-რიშარ ბლოკი ბეჭდავს პუბლიცისტურ წიგნს „ესპანეთო, ესპანეთო“, რომელშიც აღწერილია ესპანელი პატრიოტების ბრძოლა თავიანთი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. ამ წიგნმა დიდი პოპულარობა მოიპოვა მკითხველთა ფართო მასებში. ლუი არაგონმა მას მაღალი შეფასება მისცა.

დიდი სამამულო ომის პერიოდში (1941 წლის ზაფხულიდან 1944 წლის ზამთრამდე) ჟან-რიშარ ბლოკი საბჭოთა კავშირში იმყოფებოდა და ნაყოფიერ შემოქმედებით მუშაობას ეწეოდა. აქ კიდევ უფრო გამდიდრდა და გაძლიერდა მწერლის მებრძოლი, ანტიფაშისტური პუბლიცისტიკა. ამ მხრივ აღსანიშნავია მისი ნაწარმოები, „დამცირებული საფრანგეთიდან შეიარაღებული საფრანგეთისაკენ“. წიგნში შეკრებილია ავტორის სტატიები და ნარკვევები, რომლებსაც ის თვითონ გადასცემდა რადიოთი მოსკოვიდან საფრანგეთში 1941 წლის 9 ივლისიდან 1944 წლის 30 სექტემბრამდე.

პატრიოტ მწერალს კეთილშობილური მიზანი ჰქონდა დასახული — აღეგზნო თავისი ხალხი გადამწყვეტი ბრძოლისათვის ჰიტლერელი ოკუპანტების წინააღმდეგ. ის ფრანგ მშრომელებს აღაფრთოვანებდა საბჭოთა ხალხის გმირობის იშვიათი მაგალითებით. ნარკვევში „ლენინგრადმა თავი გაინთავისუფლა“, ის წერს: „ლენინგრადი განთავისუფლდა“ ეს არ არის ზუსტად ნათქვამი. უნდა ითქვას ასე: ლენინგრადმა თავი გაითავისუფლა .. ეს, ჩემო თანამემამულენო, წარმოადგენს დიდ გაკვეთილს, რომელიც ჩვენ ფრანგებმა, ჩვენ პარიზელებმა უნდა ავითვისოთ“.

ამ წიგნს მშვიდობის მომხრეთა მეორე მსოფლიო კონგრესის გადაწყვეტილებით მშვიდობის ოქროს მედალი მიეკუთვნა.

საბჭოთა კავშირიდან სამშობლოში დაბრუნებულმა ჟან-რიშარ ბლოკმა ნაყოფიერი მუშაობა გააჩაღა „საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის საზოგადოებაში“. 1947 წელს გამოქვეყნდა მისი ნარკვევების კრებული „პარიზი-მოსკოვი-პარიზი“, რომელშიც მწერალი სასტიკად კიცხავს ბურჟუაზიულ წყობილებას, მის დამცველებს და ნათელ მომავალს უწინასწარმეტყველებს საფრანგეთსა და ფრანგ ხალხს.

ოქტომბრის რევოლუციის გავლენა ატყვია შესანიშნავი ფრანგი მწერლის როჟე მარტენ დიუ გარის (1881-1958) დიდ ნაწარმოებს „ტიბოს ოჯახს“ (1922-1940).

„ტიბოს ოჯახის“ სოციალურ-პოლიტიკურ თემატიკაზე ძლიერი გავლენა იქონია სახალხო ფრონტმა, რომელიც მიმართული იყო ახა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ. საყურადღებოა, რომ „ტიბოს ოჯახის მეშვიდე ნაწილი „1914 წლის ზაფხული“ გამოქვეყნდა 1937 წელს, იმ დროს, როდესაც საფრანგეთში ფართოდ იყო გაშლილი სახალხო ფრონტის მოქმედება და ესპანეთში მიმდინარეობდა ანტიფაშისტური ომი. რომანების ამ ციკლის დასასრული გამოქვეყნდა 1940 წელს, მასში მოქმედება მთავრდება ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ. „ეპილოგში“ ნაწარმოების მთავარი გმირი, ოსკარ ტიბოს შვილი, ნიჭიერი ექიმი და მეცნიერი ანტუან ტიბო გადახედავს თავის წარსულს, თავის შეხედულებებს, ეთიშება კარიერისტულ ინდივიდუალიზმს, და ეზიარება რევოლუციურ იდეებს. ის რწმუნდება, რომ რევოლუცია აუცილებელია.

როჟე მარტენ დიუ გარი აქტიურად ემხრობოდა ანტიფაშისტურ მოძრაობას, ის, სხვა პროგრესულ მწერლებთან ერთად, გულთბილად მიესალმებოდა ომისსაწინააღმდეგო საერთაშორისო კონგრესებს. მწერალი უკავშირდებოდა თავისი სამშობლოს მოწინავე ძალებს, კიდევ უფრო მეტად იმსჭვალებოდა მშრომელი მასებისადმი ღრმა სიყვარულითა და პატივისცემით. ყოველივე ეს როჟე მარტენ დიუ გარის დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს, რაშიც გარკვეული როლი შეასრულა ოქტომბრის რევოლუციის კეთილნაყოფიერმა გავლენამ.

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მსოფლიო-ისტორიულმა გამარჯვებამ დიდი ზეგავლენა იქონია თანამედროვე გამოჩენილ ფრანგ მწერალზე — ლუი არაგონზე (1897). ის თანდათანობით ჩამოსცილდა სურრეალიზმს, ფორმალისტურ მიმდინარეობებს, დაუკავშირდა პროლეტარიატის რევოლუციურ ბრძოლებს და მტკიცედ დაადგა სოციალისტური რეალიზმის გზას.

1930 წელს ლუი არაგონი პირველად ჩამოვიდა საბჭოთა კავშირში. სოციალიზმის დიადი ქვეყნის გაცნობამ ფრანგ მწერალში დიდი გარდაქმნა-გადახალისება გამოიწვია.

ლუი არაგონის მდიდარი ამბებით აღავსე ცხოვრებიდან აღსანიშნავია მისი შეხვედრა ვლადიმერ მაიაკოვსკისთან პარიზში. 1928 წლის 5 ნოემბერს. არაგონი წერს: „შემოდგომის ერთ საღამოს მონპარნასის კაფეში შევედი. ბევრი ხალხი იყო. უცებ ვიღაცამ დამიძახა: პოეტი ვლადიმერ მაიაკოვსკი თავის მაგიდასთან გიწვევსო. მივიხედე, ის მართლაც იქ იყო და ხელს მიქნევდა“.

ეს იყო საინტერესო შეხვედრა ორი დიდი პოეტისა. ლუი არაგონი იქვე აღნიშნავს, რომ ამ მომენტიდან ბევრი რამ შეიცვალა მის ცხოვრებაში, რომ პოეტმა მაიაკოვსკიმ მას ბევრი რამ ასწავლა. ლუი არაგონის პოეზიას ატყვია მაიაკოვსკის რევოლუციური პოეტური სიტყვის კეთილმყოფელი გავლენა.

ლუი არაგონმა მიიღო და შეისწავლა საბჭოთა ლიტერატურის შემოქმედებითი მეთოდი — სოციალისტური რეალიზმი. ის თავიდანვე გახდა ამ მეთოდის დამცველი და მგზნებარე პროპაგანდისტი, არა მხოლოდ ფრანგულ, არამედ მთელ საზღვარგარეთულ ლიტერატურაში.

1935 წლის 25 ივნისს კულტურის დაცვის საერთაშორისო კონგრესზე თავის მგზნებარე სიტყვაში ლუი არაგონმა განაცხადა: „მე მოვითხოვ დავუბრუნდეთ რეალიზმს... ჩვენ არაფერი გვაქვს დასამალავი და ამიტომ ხალისით ვილებთ საბჭოთა ლიტერატურის ლოზუნგს — სოციალისტურ რეალიზმს“.

ლუი არაგონი მოუწოდებდა მსოფლიო პროგრესული კულტურის წარმომადგენლებს დაეცვათ სოციალისტური რეალიზმის ხელოვნება და ლიტერატურა სხვადასხვა სახის რეაქციონერებისაგან. მას სწამდა და სწამს შინაარსით სოციალისტური, ფორმით ნაციონალური კულტურა, სოციალისტური რეალიზმის ნაციონალური ხასიათი და თავისებურება, მისი ეროვნული წყარო და ნიადაგი. ლუი არაგონი, როგორც ხელოვნებისმცოდნე, როგორც თეორეტიკოსი სწორედ ასეთ ასპექტში იხილავს ყოველთვის სოციალისტური რეალიზმის პრობლემებს. ამ მხრივ აღსანიშნავია მისი შრომები: „სოციალისტური რეალიზმი და ფრანგული რეალიზმი“ (1937), „საბჭოთა ლიტერატურა“ (1955) და სხვ.

ლუი არაგონმა იმთავითვე ნათლად დაინახა და შეიგრძნო, რომ დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ და საბჭოთა სახელმწიფოს წარმოშობამ კიდევ უფრო გაამწვავა კაპიტალისტურ სახელმწიფოებს შორის ურთიერთობა, გაამწვავა მთელი იმპერიალისტური სისტემის კრიზისი. მწერალმა მუშათა კლასის რევოლუციური ბრძოლები შეაფასა, როგორც ერთადერთი გზა მშრომელი მასების განთავისუფლებისა კაპიტალიზმის მონობისაგან. ლუი არაგონი 1927 წელს საფრანგეთის კომუნისტური პარტიის წევრი გახდა.

საბჭოთა კავშირში მოგზაურობის უშუალო შთაბეჭდილებების საფუძველზეა დაწერილი ლუი არაგონის ლექსთა კრებული „წითელი ფრონტი“ (1931). აქ პოეტი უკვე ახლებურად, რეალისტურად აღიქვამს საგნებსა და მოვლენებს, გულწრფელად უმღერის დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციას, მის შედეგებს, დიად საბჭოთა კავშირს. პოეტი ამაყად გაიძახის: „სიკვდილი ყველას, ვინც ოქტომბრის გამარჯვების წინააღმდეგ იბრძვის“. ის დარწმუნებულია ბურჟუაზიული წყობილების აუცილებელ დაღუპვაში. ლუი არაგონი მოუხმობს მშრომელ ხალხს კაპიტალიზმის წინააღმდეგ შეტევისათვის.

1934 წელს ლუი არაგონმა გამოაქვეყნა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი ლექსების კრებული „ვაშა, ურალო“. ამ ლექსების თემა საბჭოთა კავშირია. პოეტი უმღერის სოციალისტური მრეწველობის ზრდასა და განვითარებას.

მეორე მსოფლიო ომის წლებში, ჰიტლერელებმა საფრანგეთის ოკუპაცია რომ მოახდინეს, ლუი არაგონმა შემოიკრიბა ფრანგული ლიტერატურის საუკეთესო ძალები, მან აქტიური ბრძოლა გააჩაღა გერმანელი დამპყრობლების წინააღმდეგ. ეს ბრძოლა კიდევ უფრო გაძლიერდა ფრანგული წინააღმდეგობის მოძრაობის დროს. ამ პერიოდში ყველგან ისმოდა ლუი არაგონის საბრძოლო მოწოდება. მისი პოეტური სიტყვა სწრაფად იკაფავდა გზას მშობლიური ხალხის გულისაკენ. საუცხოოა მისი ლექსი „რადიო-მოსკოვი“, რომელშიც პოეტი გამამხნევებელი სიტყვებით მიმართავს თავის საყვარელ სამშობლოს და ხალხს. ის ამბობს რომ საფრანგეთი მარტო როდია, საბჭოური სიმამაცე ძვირფასი მაგალითია ფრანგებისათვის.

ომის მწარე დღეებში ლუი არაგონის პოეზია ახალ საბრძოლო თვისებებს იძენს. ამ დროს პოეტი აქვეყნებს ლექსთა კრებულებს: „დანა გულში“ (1941), „ელზას თვალები“ (1942), პანოპტიკუმი“ (1943), „ფრანგული განთიადი“ (1945). ომისშემდგომ პერიოდში იბეჭდება ლექსთა კრებული: „კვლავ დანა გულში“ (1948), პოემები: „თვალები და მეხსიერება“ (1954), „დაუმთავრებელი რომანი“ (1956), „ელზას მიჯნური“ (1963).

ოქტომბრის რევოლუციის იდეებითაა განათებული ლუი არაგონის მდიდარი პროზა. მის კალამს ეკუთვნის რომანების დიდი სერია საერთო სათაურით „რეალური სამყარო“, იგი შედგება ნაწარმოებებისაგან: „ბაზელის ზარები“, (1934), „მდიდარი კვარტალები“ (1936), „იმპერიალის მგზავრები“ (1939), „ორელიენი“ (1944). შემდეგ ამავე სერიაში მწერალმა გააერთიანა თორმეტტომიანი ფრანგული ნაციონალური ეპოპეა „კომუნისტები“ (1949-1951).

რომანი „ბაზელის ზარები“ ეხება პირველი მსოფლიო ომის წინადროინდელი საფრანგეთის ბურჟუაზიულ საზოგადოებას ნაწარმოებში გადმოცემულია: იმპერიალისტური ომის საფრთხე, მოწოდებანი ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ. რევოლუციურად განწყობილი მუშათა კლასი გამოყვანილია, როგორც მშვიდობისათვის მებრძოლი ძალა. ავტორი სატირიკულ ფორმებში წარმოგვიდგენს სოციალისტთა ომისსაწინააღმდეგო კონგრესს, რომელიც მოაწყო მეორე ინტერნაციონალმა ბაზელში 1912 წელს.

განსაკუთრებული სიმპათიით ხატავს ლუი არაგონი რომანის დასასრულს გერმანიისა და საერთაშორისო მუშათა მოძრაობის გამოჩენილ მოღვაწეს კლარა ცეტკინს. მისდამი მწერლის ასეთი გულთბილი დამოკიდებულება უფრო გასაგები გახდება, თუ გავითვალისწინებთ კლარა ცეტკინის შთამაგონებელ გამოსვლას სოციალისტური პარტიის კონგრესზე ტურში 1920 წელს, რომელმაც კონგრესის მონაწილენი სიმპათიური გრძნობებით განაწყო დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციისა და საბჭოთა რესპუბლიკისადმი.

1957 წლის ნოემბერში ლუი არაგონს, დაბადების 60 წლისთავთან დაკავშირებით და მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის ბრძოლაში მისი დიდი დამსახურების აღსანიშნავად, მიენიჭა საერთაშორისო ლენინური პრემია „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“.

გაზეთმა „ლუმანიტემ“ გამოაქვეყნა მისასალმებელი დეპეშები, რომლებიც ლუი არაგონს გაუგზავნეს საფრანგეთის კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და მისმა გენერალურმა მდივანმა მორის ტორეზმა. უპასუხა რა მილოცვებზე, ლუი არაგონმა აღნიშნა, რომ მისთვის პრემიის მინიჭება, რომელიც ატარებს დიდი ლენინის სახელს, მას განსაკუთრებით დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს. „მე, — დასძენს ლუი არაგონი, — ვერ ვხედავ სხვა შესაძლებლობას გადავუხადოთ მადლობა იმათ, ვინც ლენინის სახელობის პრემია მომანიჭა, ვიდრე ის, რომ ვიყო ამ სახელის ღირსი“.

ლუი არაგონის შემოქმედებაში საპატიო ადგილი უჭირავს ისტორიაში ხალხის როლის თემას. ხალხია ისტორიისა და თავისი ბედის შემქმნელი. ამ მხრივ ფრიად საყურადღებოა ისტორიული რომანი „ვნების კვირა“ (1958). ლუი არაგონის საინტერესო ნაწარმოებების რიცხვს ეკუთვნის აგრეთვე რომანი „სასიკვდილოდ განწირვა“ (1965).

დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ, სოციალიზმის მშენებლობამ საბჭოთა კავშირში, საფრანგეთის კომუნისტურმა პარტიამ დიდი გარდაქმნები მოახდინეს ფრანგულ კულტურაში, ხელოვნებასა და ლიტერატურაში, გააძლიერეს დემოკრატიული ტენდენციები და ჰუმანისტური იდეალები. წამოიზარდნენ და სალიტერატურო ასპარეზზე გამოჩნდნენ მწერლები და პოეტები, რომლებიც განიმსჭვალნენ სოციალისტური რეალიზმის პრინციპებით, დადგნენ თავიანთი ხალხის ინტერესების დაცვის სადარაჯოზე, აქტიურად გამოვიდნენ მშვიდობისა და დემოკრატიისათვის ბრძოლის გზაზე.

მწერალთა ამ პლეადიდან აღსანიშნავია: პოლ ელუარი (1895-1952), ელზა ტრიოლე (1897), ჟან ფრევილი (1898), როჟე ვაიანი (1907), ჟან ლაფიტი (1910), პიერ კურტადი (1915), ელენ პარმელენი (1915), პიერ გამარა

ეროვნული ბიბლიოთეკა

(1919), ანდრე სტილი (1921), პიერ დექსი (1922) და სხვ.

ასეთია მოკლედ, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მძლავრი გავლენა ფრანგულ პროგრესულ მწერლობაზე.

ამ მოკლე მიმოხილვის ფარგლებში ჩვენ არ შეგვეძლო უფრო ფართოდ და ამომწურავად შევხებოდით ოქტომბრის რევოლუციის თემაზე დაწერილ ყველა ნაწარმოებს, ყოველმხრივ განგვეხილა დასახელებულ მწერალთა მსოფლმხედველობისა და შემოქმედების ევოლუცია.

ჩვენ გვაინტერესებდა გადმოგვეცა ის შემოქმედებითი წარმატებანი, ის სიხარული, რომელიც მოუტანა ფრანგ პროგრესულ მწერლებს ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამ, მისმა დიადმა მონაპოვრებმა, საბჭოთა კავშირმა, საბჭოთა იდეოლოგიამ, სოციალისტურმა რეალიზმმა.

ამ მსოფლიო ისტორიულმა მოვლენებმა გააფართოვეს და გააძლიერეს ანტიიმპერიალისტური მოძრაობა საფრანგეთში, ახლებურად განავითარეს და ააყვავეს ფრანგული პროგრესული ლიტერატურა, გამოიყვანეს იგი ფართო შარაგზაზე და გადაუშალეს ნათელი პერსპექტივები.

ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ საფრანგეთში წამოიზარდნენ და დავაჟკაცდნენ ნიჭიერი მწერლები, პოეტები, დრამატურგები, პუბლიცისტები, რომლებსაც შესწევთ ძალა, უნარი და ხალისი ასახონ საზოგადოებრივი ცხოვრება რეალისტურად, მის რევოლუციურ განვითარებაში, გვიჩვენონ ხალხის თავდადებული ბრძოლა თავიანთი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, ბედნიერი მომავლისათვის, მტკიცე და ხანგრძლივი მშვიდობისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავით მაისურაძე

# ოქტომბერი და სოციალური პროგრესი

სამოცი წლის წინათ რუსეთის გმირმა პროლეტარიატმა კომუნისტური პარტიისა და მისი ბელადის ვლადიმერ ილიას ძე ლენინის ხელმძღვანელობით გადამწყვეტი იერიშით დაამხო ბურჟუაზიულ-მემამულური წყობილება.

ოქტომბრის რევოლუციასთან განუყრელად არის დაკავშირებული ძირეული გარდატეხა კაცობრიობის ისტორიაში: დედამიწის ერთ მეექვსედ ნაწილში ექსპლუატაციის, სოციალური და ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ მშრომელთა ბრძოლის სრული გამარჯვებით დაგვირგვინება, ახალი, სოციალისტური სახელმწიფოს წარმოშობა და განვითარებული სოციალიზმის საზოგადოების აშენება; ახალი ტიპის საერთაშორისო კავშირის — სოციალისტური ქვეყნების მოძმე ხალხთა მსოფლიო თანამეგობრობის ჩამოყალიბება; იმპერიალიზმის კოლონიური სისტემის დაშლა; ყველა კონტინენტზე მუშათა მოძრაობისა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის გაძლიერება.

ოქტომბრის სამშობლოს მიღწევები ექვსი ათეული წლის მანძილზე დამაჯერებლად ადასტურებს, რომ სოციალიზმმა უზრუნველყო საზოგადოების ცხოვრების ყველა მხარის უმაღლესი პროგრესი. სოციალისტურმა ინდუსტრიალიზაციამ და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციამ, კულტურულმა რევოლუციამ, ეროვნული საკითხის სამართლიანმა გადაწყვეტამ სსრ კავშირი უმოკლეს ისტორიულ ვადაში უმძლავრეს სოციალისტურ სახელმწიფოდ გადააქცია.

სოციალიზმი რეალური ჰუმანიზმის საზოგადოებაა. მისი მთავარი ღირებულებაა მშრომელი ადამიანი. ყველაფერი ადამიანის კეთილდღეობისათვის — ასეთია ცხოვრების ახალი, სოციალისტური წესის ულრმესი აზრი.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია, რომელმაც მოსპო ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლუატაცია და შექმნა ურთიერთდამოკიდებულების ახალი ფორმები ადამიანებსა და ხალხებს შორის, გარდატეხის ეტაპს მოასწავებდა საერთაშორისო ურთიერთობის ისტორიაშიც. მან ხალხებს მოუტანა ახალი, თანასწორუფლებიანი ურთიერთობა, ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობა და მშვიდობა. საბჭოთა სახელმწიფომ დასაბამი მისცა ხალხთა ყოველმხრივი დაახლოების ისტორიულ პროცესს.

სსრ კავშირში აშენებული განვითარებული სოციალისტური საზოგადოება კანონზომიერი ეტაპია კომუნიზმისაკენ მიმავალ გზაზე. საბჭოთა სახელმწიფომ შეასრულა პროლეტარიატის დიქტატურის ამოცანები და საერთოსახალხო სახელმწიფო გახდა. ყველა ერისა და ეროვნების იურიდიული და ფაქტიური თანასწორობის საფუძველზე წარმოიქმნა ადამიანთა ახალი ისტორიული ერთობა — საბჭოთა ხალხი. საბჭოთა სახელმწიფო მიზნად ისახავს შექმნას კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, გააფართოოს რეალური შესაძლებლობანი პიროვნების ყოველმხრივ განვითარებისათვის. სოციალისტური ცხოვრების კანონია ყველას ზრუნვა თითოეულის კეთილდღეობისათვის და თითოეულის ზრუნვა ყველას კეთილდღეობისათვის.

ყოველივე ეს ასახულია სსრ კავშირის ახალ კონსტიტუციაში.

იგი მთელ მსოფლიოს უჩვენებს, თუ როგორ ვითარდება დიდი ოქტომბრის მიერ

შობილი საბჭოთა სახელმწიფო, რა არის სოციალისტური დემოკრატიის არსი.

„ანტიკომუნიზმის თეორეტიკოსები“, — ნათქვამია სკკპ პროგრამაში, — იმპერიალისტურ ქვეყნებს „თავისუფალ სამყაროს“ უწოდებენ. სინამდვილეში „თავისუფალი სამყარო“ ექსპლოატაციისა და უუფლებობის სამყაროა, ადამიანის ღირსებისა და ეროვნული პატივის ფეხქვეშ გათელვის სამყაროა, ბნელეთის მოციქულობისა და პოლიტიკური რეაქციის სამყაროა, მილიტარისტული თარეშისა და მშრომელთა სისხლისმღვრელი აწიოკების სამყაროა“.

კაპიტალიზმი უკვე დიდი ხანია გადაიქცა საზოგადოებრივი განვითარების ბორკილად. მისი მუდმივი თანამგზავრებია — მშრომელთა ექსპლუატაცია, სოციალურ-პოლიტიკური და სულიერი ჩაგვრა, უმუშევრობა, რასობრივი და ეროვნული დისკრიმინაცია, ძალადობის კულტი.

უკანასკნელ წლებში კიდევ უფრო განმტკიცდა სოციალისტური ქვეყნების მოძმე ხალხთა მსოფლიო თანამეგობრობის ძალა და გავლენა საერთაშორისო მოვლენების მიმდინარეობაზე. მან განსაზღვრა მსოფლიო საზოგადოებრივი განვითარების მთავარი შინაარსი და მიმართულება, იმპერიალიზმს ხელიდან გამოსტაცა ისტორიული ინიციატივა, მიაღწია მსოფლიო ასპარეზე ძალთა თანაფარდობის ძირეულად შეცვლას თავის სასარგებლოდ. იმპერიალიზმმა საბოლოო დაკარგა ბატონობა კაცობრიობის უმრავლესობაზე. ომისშემდგომი ოცდაათ წლის მანძილზე აზიასა და აფრიკაში ყოფილ კოლონიათა ადგილას 80-ზე მეტი ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფო წარმოიშვა. დედამიწის მოსახლეობის ნახევარზე მეტმა მოიშორა კოლონიური ჩაგვრის უღელი. ჩვენს თვალწინ დაინგრა ინგლისის, საფრანგეთის, ბელგიის, ჰოლანდიის, პორტუგალის და სხვა სახელმწიფოთა კოლონიური იმპერიები. კოლონიური სისტემის დაშლა თავისი ისტორიული მნიშვნელობით და ზემოქმედებით მეორე მოვლენაა მსოფლიო სოციალისტური სისტემის შექმნის შემდეგ.

ვ. ი. ლენინი გვასწავლიდა, რომ კაპიტალიზმი შეიძლება დამარცხდეს და კიდევაც დამარცხდება იმით, რომ სოციალიზმი შექმნის ახალ, გაცილებით უფრო მაღალ შრომის ნაყოფიერებას, რომ თავის მთავარ ზემოქმედებას საერთაშორისო რევოლუციაზე გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყანა მოახდენს თავისი სამეურნეო პოლიტიკით.

მეცნიერებისა და ტექნიკის ბევრ ახალ დარგში ჩვენმა ქვეყანამ პირველად გაკაფა უკვალავი გზა. მძლავრი საბჭოური მრავალდარგობრივი ინდუსტრია უზურნველყოფს საზოგადოებრივი შრომის მაღალ ეფექტურობას, სახალხო მეურნეობის უმაგალითო განვითარებას. წარმოების ყველა დარგი აღჭურვილია თანამედროვე მანქანებითა და მექანიზმებით. საბჭოთა კავშირი უფრო მეტ ელექტროენერგიას აწარმოებს, ვიდრე ინგლისი, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა და საფრანგეთი ერთად. უკანასკნელი ოცი წლის მანძილზე მოძმე სოციალისტური ქვეყნების სამრეწველო წარმოების მოცულობა გადიდდა დაახლოებით შვიდჯერ, კაპიტალისტურ ქვეყნებში კი იგი მხოლოდ 3-4-ჯერ გაიზარდა. ამჟამად სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნები აწარმოებენ მსოფლიოს სამრეწველო პროდუქციის 33 პროცენტზე მეტს, მაშინ როდესაც ისინი შეადგენენ დედამიწის მოსახლეობის მხოლოდ 10 პროცენტს. მოძმე სოციალისტური ქვეყნების ერთობლივი ეროვნული შემოსავალი 1950 წლიდან გადიდდა თითქმის 5,7-ჯერ, ორჯერ მეტად, ვიდრე განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის სოციალური პოლიტიკა მოიცავს საკითხების მთელ კომპლექსს, რომელიც ეხება საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის დონის შემდგომ ამაღლებას, მათი შრომისა და ყოფაცხოვრების პირობების გაუმჯობესებას, განათლების, კულტურის მნიშვნელოვან პროგრესს, ყოველივე იმას, რაც ხელს უწყობს ახალი ადამიანის ჩამოყალიბებას, პიროვნების ყოველმხრივ განვითარებას, ცხოვრების სოციალისტური წესის სრულყოფას.

სოციალური ამოცანების გადაწყვეტის ძირითად საფუძვლად პარტიას მიაჩნია ეკონომიკის განვითარება და სწორედ ამიტომ კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნას იგი თვლის კომუნიზმში სოციალიზმის გადაზრდის განმსაზღვრელ პირობად. ხალხის მატერიალური კეთილდღეობის ზრდა და მოხმარების საგნების სიუხვე, საზოგადოებრივ ურთიერთობათა სრულყოფა, კლასობრივ და სოციალურ სხვაობათა წაშლა — ყველაფერი ეს უშუალოდ ან მრავალი დამაკავშირებელი რგოლით არის დამოკიდებული საწარმოო ძალების განვითარებაზე, შრომის ნაყოფიერებასა და სოციალისტური წარმოების ეფექტიანობის ამაღლებაზე.

მატერიალური წარმოების განვითარების კვალობაზე ერთმანეთს უახლოვდება ქალაქსა და სოფელში შრომისა და ყოფაცხოვრების პირობები, მცირდება სხვაობა გლეხებისა და მუშების შემოსავლის შორის, ფართოვდება გონებრივი და ფიზიკური შრომის დაახლოების, მთელი ხალხის განათლებისა და კულტურის ამაღლების პირობები.

სოციალისტური წყობილების პირობებში საზოგადოებრივი წარმოების მთავარ მიზანს

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარმოადგენს განახორციელოს მაღალი სოციალური იდეალი — შექმნას ყველა პირობა ადამიანის ყოველმხრივ განვითარებისათვის. სოციალისტური ეკონომიკის თვით ბუნებას ახასიათებს წარმოებისა და მისი მუშაკების განვითარების ინტერესების ერთიანობა.

სკკპ XXIV და XXV ყრილობებს შორის პერიოდში გადაიდგა ახალი დიდი ნაბიჯი კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის, ხალხის ცხოვრების დონის ამაღლების, ქვეყნის უშიშროების უზურნველყოფის გზაზე, სწრაფი ტემპით ვითარდებოდა სოციალისტური წარმოება, დაჩქარდა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი. ხუთწლედის ძირითადი სოციალურ-ეკონომიკური ამოცანები გადაწყდა. სამრეწველო წარმოების მოცულობა ხუთწლედის მანძილზე 43 პროცენტით გადიდდა. ამავე პერიოდში მეურნეობის ყველა დარგში სულ დაბანდებული იყო 500 მილიარდ მანეთზე მეტი, რომლის მეოხებით ერთ-ნახევარჯერ გაიზარდა ძირითადი საწარმოო ფონდები ,ხოლო თუ შევადარებთ 1965 წელს, ისინი პრაქტიკულად ერთიორად გადიდდა ამრიგად, ეკონომიკურ პოტენციალს, რომელიც თითქმის ნახევარი საუკუნის მანძილზე შეიქმნა, თითქმის იმდენივე დაემატა სულ ათიოდე წელიწადში.

სოფლის მეურნეობის კომპლექსური მექანიზაციის, ავტომატიზაციისა და ელექტრიფიკაციის განუხრელი განვითარების შედეგად სასოფლო-სამეურნეო წარმოება სულ უფრო იქცევა მანქანურ-ინდუსტრიულ პროცესად. ხოლო სასოფლო-სამეურნეო შრომა ინდუსტრიული შრომის ნაირსახეობად. რომელიც ბევრად არ განსხვავდება მრეწველობის მუშათა შრომისაგან.

სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მექანიზაციის მხრივ ჩვენი ქვეყანა მოწინავე ადგილზეა მთელ მსოფლიოში.

საბჭოთა კავშირი მარცვლეულის ერთ-ერთი უდიდესი მწარმოებელია. მარცვლოვან კულტურათა შორის პირველი ადგილი უჭირავს ხორბალს, რომლის ნათესების ოდენობის მხრივ სსრ კავშირი წინ უსწრებს ყველა ქვეყანას, ამასთან ჩვენი ხორბალი განთქმულია თავისი მაღალი ხარისხით.

მეათე ხუთწლედის არსი გამოხატულია პარტიის მიერ შემუშავებული ყოვლისმომცველი ფორმულით — ეს არის ხარისხისა და მაღალი ეფექტიანობის ხუთწლედი ეკონომიკის შემდგომი ზრდისა და ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის.

მეათე ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულია, რომ მრეწველობის პროდუქცია თითქმის 197 მილიარდი მანეთით გაიზარდოს და 720 მილიარდ მანეთამდე მიაღწიოს. ხუთწლედში განსაზღვრულია მრეწველობის პროდუქციის წარმოება გადიდდეს 35-39 პროცენტით. მათ შორის წარმოების საშუალებათა წარმოება 38-42 პროცენტით და მოხმარების საგნებისა— 30-32 პროცენტით. მნიშვნელოვნად გაფართოვდება სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვება ყველა დარგში. შრომის ნაყოფიერება მრეწველობაში უნდა ამაღლდეს 30-34 პროცენტით.

ახალ ხუთწლედში გათვალისწინებულია სოფლის მეურნეობის განვითარებას მოახმარდეს 172 მილიარდი მანეთი, ესე იგი 41 მილიარდით მეტი, ვიდრე წინა ხუთწლედში. სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების საშუალო წლიური მოცულობა გადიდდება 14-17 პროცენტით, მარცვლეულის საშუალო წლიური მთლიანი მოსავალი 215-220 მილიონ ტონამდე, ხორცის საშუალო წლიური წარმოება 15-15,5 მილიონ ტონამდე.

საბჭოთა კავშირის უდიდესი წარმატებები ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში, ხალხის მატერიალური და სულიერი ცხოვრების დონის განუხრელი აღმავლობა, საბჭოთა საგარეო პოლიტიკის ისტორიული გამარჯვებები წარმოადგენს საბჭოთა ხალხის ხელმძღვანელი და მაორგანიზებელი ძალის — კომუნისტური პარტიის უდიდესი ორგანიზატორული და იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის შედეგს.

განვითარებულ სოციალისტურ საზოგადოების მშენებლობაში მოპოვებულ წარმატებათა შედეგად კიდევ უფრო ამაღლდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ავტორიტეტი, გაფართოვდა მისი გავლენა საბჭოთა საზოგადოების ცხოვრებისა და მოღვაწეობის ყველა სფეროში.

ისტორიულმა გამოცდილებამ ნათლად დაადასტურა კომუნიზმისათვის მშრომელთა ბრძოლაში კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი როლის კანონზომიერება. პარტია, რომელმაც მუშათა მოძრაობა შეუერთა სოციალიზმს, სათავეში ჩაუდგა ისტორიაში პირველ ძლევამოსილ სოციალისტურ რევოლუციას, უზრუნველყო სსრ კავშირში განვითარებული სოციალისტური საზოგადოების აშენება, ახლა წარმატებით ახორციელებს კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის გეგმებს. სოციალიზმის მშენებლობის გამოცდილება მსოფლიო სოციალისტური სისტემის მასშტაბით აგრეთვე იმის მაჩვენებელია, რომ იგი შეიძლება გამარჯვებით დაგვირგვინდეს მხოლოდ მარქსისტულ-ლენინურ პარტიის ხელმძღვანელობით.

კომუნისტური მშენებლობის პერიოდში პარტია შემდგომ ანვითარებს და აღრმავებს ხელმძღვანელობის პრინციპებს, ამდიდრებს მათ ახალი დებულებებით და დასკვნებით.

მეცნიერებისა და ტექნიკის პროგრესი წარმოადგენს კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის მთავარ ბერკეტს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლების გადამწყვეტ პირობას. კომუნიზმმა შეიძლება გაიმარჯვოს პირველყოვლისა საზოგადოებრივი შრომის მაღალი მწარმოებლურობით, დიდი შედეგების მიღწევით შრომისა და მატერიალურ საშუალებათა მცირე დახარჯვით. კომუნისტური მშენებლობის ერთ-ერთ ძირითად ამოცანად მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას რომ სახავს, პარტიას აუცილებლად მიაჩნია სოციალიზმის ყველა უპირატესობის სრულად გამოყენება.

მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის პირობებში პარტია მოითხოვს სამეურნეო საქმიანობის სტილისა და მეთოდების კარდინალურ შეცვლას, გადამწყვეტ ბრძოლას უძრაობისა და რუტინიორობის წინააღმდეგ, დაგეგმვისა და ეკონომიკური სტიმულირების სრულყოფას, ისეთი ატმოსფეროს შექმნას, რომელიც ყოველმხრივ შეუწყობს ხელს ახალი იდეების უსწრაფეს დანერგვას წარმოებაში.

მეათე ხუთწლიან გეგმაში ახალი ძალით გამოვლინდა პარტიის პოლიტიკის მეცნიერული განჭვრეტის ძალა და რეალიზმი, მისი უნარი-მასების ენერგია წარმართოს კომუნისტური მშენებლობის ამოცანების გადასაწყვეტად.

პარტია მტკიცედ იცავს თავის გენერალურ ხაზს, რომელსაც ახორციელებდა სოციალისტური და კომუნისტური მშენებლობის ყველა ეტაპზე. ამავე დროს იგი ითვალისწინებს თანამედროვე პერიოდში ქვეყნის განვითარების თავისებურებებს, რომელთაგანაც მთავარია: ქვეყნის ეკონომიკური ზრდის და ძლიერების უდიდესი მასშტაბი, მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის სწრაფი განვითარება, საგარეო პირობების სერიოზული შეცვლა, კერძოდ, სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების ეკონომიკური ინტეგრაციის ფართოდ გაშლა. თავისთავად ცხადია, თავისი ეკონომიკური სტრატეგიის განხორციელებისას პარტია ითვალისწინებს კლასობრივი ბრძოლის გაძლიერებას სოციალიზმისა და კაპიტალიზმს შორის ისეთ სფეროში, როგორიც არის ორი მსოფლიო სისტემის ეკონომიკური და მეცნიერული შეჯიბრება.

ეკონომიკურ პოლიტიკას კლასობრივი ხასიათი აქვს. კაპიტალისტური სახელმწიფოების მთავრობები, ბურჟუაზიული პარტიები თავიანთი ეკონომიკური პოლიტიკით გამოხატავენ გაბატონებული ექსპლუატატორული კლასების ინტერესებს — მშრომელი მასების გაძარცვით მიიღონ რაც შეიძლება მაქსიმალური მოგება.

ჩვენი პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა გამოხატავს მუშათა კლასის, მთელი საბჭოთა ხალხის სასიცოცხლო ინტერესებს. საბჭოთა ხალხი თავისი ისტორიული გამოცდილებით დარწმუნდა, რომ პარტიას სხვა ინტერესები არა აქვს, გარდა ხალხის ინტერესებისა, სხვა მიზნები არა აქვს, გარდა მშრომელთა ბედნიერებისათვის ბრძოლისა. ხალხისათვის სამსახური კომუნისტური პარტიის მოღვაწეობის უმაღლესი კანონია.

მეათე ხუთწლედით დაგეგმილია, რომ ჩვენი ქვეყნის ეროვნული შემოსავალი 1980 წლისათვის გაიზარდოს 457,5 მილიარდ მანეთამდე, ესე იგი გადიდდეს 96 მილიარდით. ეროვნული შემოსავალი — ეს არის ერთი წლის მანძილზე ქვეყნის მოსახლეობის მიერ გამომუშავებული მთელი პროდუქციის ღირებულება წარმოებაზე გაწეული ხარჯების გამოკლებით. როგორ ნაწილდება ეროვნული შემოსავალი ჩვენში და კაპიტალისტურ ქვეყნებში?

კაპიტალისტურ სამყაროში მოსახლეობის ძირითადი მასის — მშრომელების წილად მოდის მათ მიერ წარმოებული ეროვნული შემოსავლის მხოლოდ მცირე ნაწილი — 40-45 პროცენტი. ეროვნული შემოსავლიდან მათ ხელფასის გარდა არსებითად არაფერი რჩებათ. მოსახლეობის საჭიროებისათვის ბურჟუაზიული სახელმწიფოები თითქმის არავითარ ხარჯებს არ ეწევიან. საკმარისია ითქვას, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში სახალხო განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის ხარჯებისათვის გამოყოფილია სახალმწიფო ბიუჯეტის მხოლოდ ერთი პროცენტი.

საბჭოთა კავშირში ეროვნული შემოსავლის სამი მეოთხედი მშრომელთა მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას ხმარდება, ხოლო დანარჩენი იხარჯება სოციალისტური წარმოების გაფართოებისათვის, ახალი ფაბრიკების, ქარხნების, საცხოვრებელი სახლების, თეატრების, კლუბების, საავადმყოფოების მშენებლობისათვის. ეროვნული შემოსავლის ამ ნაწილისაგან შედგება აგრეთვე სახელმწიფოსა და საკოლმეურნეო-კოოპერაციული ორგანიზაციების რეზერვები.

ეროვნული შემოსავალი სოციალიზმის პირობებში ხალხის კეთილდღეობის, მუშა-მოსამსახურეთა რეალური ხელფასის ზრდის საწინდარია.

ხელფასი თავისთავად ყოველთვის როდი გამოხატავს მშრომელთა კეთილდღეობის დონეს. საბჭოთა მუშებსა და მოსამსახურეებს ხელფასის გარდა აქვთ ისეთი შეღავათები, როგორიცაა ბავშვების უფასო სწავლება, უფასო სამედიცინო მომსახურება, პენსიები, სტიპენდიები და სხვ. ეს არის ისეთი სოციალური მონაპოვარი, რომელსაც შენატრიან მუშები კაპიტალისტურ სახელმწიფოებში.

ეროვნული

ქვეყნის ისტორიას არ ახსოვს ისეთი ფართო სოციალური პროგრამა, რომელიც მეცხრე ხუთწლედში შესრულდა. ახალი სოციალური ღონისძიებების განხორციელებას მოხმარდა იმდენივე სახსრები, რამდენიც ორი წინა ხუთწლედის მანძილზე ერთად. რეალური შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე თითქმის მეოთხედით გაიზარდა.

ხუთწლედის მანძილზე ორმოცი პროცენტით გაიზარდა დახმარება და შეღავათები მოხმარების საზოგადოებრივი ფონდებიდან, პენსიები და დახმარებანი გაუდიდდათ მუშებს, მოსამსახურეებსა და კოლმეურნეებს, სტიპენდიები — სტუდენტებს. დიდი დადებითი ძვრები მოხდა სოფლის მშრომელთა ცხოვრების პირობებში. ამრიგად, მეცხრე ხუთწლედში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ხალხის ცხოვრების დონე.

საზოგადოების განვითარების ყველა ეტაპზე პარტია და საბჭოთა სახელმწიფო განსაზღვრავენ შრომის მიხედვით ანაზღაურებისა და საზოგადოებრივი ფონდების განაწილების ყველაზე უფრო მიზანშეწონილ თანაფარდობას, იმისათვის, რომ კი არ შემცირდეს, არამედ კიდევ უფრო ამაღლდეს შრომის მიხედვით ანაზღაურების წამახალისებელი როლი. ამასთან შეუნელებელი ყურადღება ეთმობა ადამიანის უნარის ყოველმხრივ განვითარებას და მის ჯანმრთელობის დაცვას.

საზოგადოებრივი ფონდების მეოხებით ჩვენი ქვეყნის მშრომელთა შემოსავალი ერთ მესამედზე უფრო მეტად გაიზარდა. ამ ფონდებით განსაკუთრებით სარგებლობენ მრავალშვილიანი ოჯახები. სახელმწიფო თავის თავზე იღებს ბავშვის აღზრდის მნიშვნელოვან ხარჯებს ჯერ კიდევ მის დაბადებამდე. საბავშვო ბაგებსა და ბაღებში ბავშვის შენახვის ხარჯების ხუთ მეოთხედს იხდის სახელმწიფო, ხოლო მშობელი —ერთ მეხუთედს. თითოეული მოსწავლის აღზრდაზე სახელმწიფო ყოველწლიურად ხარჯავს ას მანეთზე მეტს. ტექნიკოსის მომზადება სპეციალურ საშუალო სასწავლებლებში სახელმწიფოს უჯდება 2500 მანეთი, ხოლო ინჟინრისა—ხუთი ათასი მანეთი და სწორედ ამ ხარჯებზე, განათლების მთელი სისტემის კარგ ორგანიზაციაზე დიდად არის დამოკიდებული სოციალისტური საზოგადოების თითოეული წევრის ყოველმხრივი განვითარებისათვის რეალური პირობების შექმნა.

პირველი ხუთწლედების პერიოდში საბჭოთა კავშირში შემოღებული იქნა საყოველთაო სავალდებულო სწავლება დაწყებითი სკოლის ფარგლებში. ახლა კი ჩვენს ქვეყანაში ძირითადად შესრულებულია სკკპ XXIV ყრილობის დირექტივა საყოველთაო საშუალო სწავლების განხორციელების შესახებ. გასულ ხუთწლედში პროფესიულ-ტექნიკურმა სასწავლებლებმა მოამზადეს 9 მილიონი სპეციალისტი. ყოველ 10.000 მცხოვრებზე სტუდენტთა რაოდენობის მიხედვით საბჭოთა კავშირმა უკან შორს ჩამოიტოვა კაპიტალისტურ სახელმწიფოთა უმრავლესობა. ამ მაჩვენებლის მიხედვით ჩვენში სტუდენტთა რაოდენობა ორჯერ მეტია, ვიდრე ინგლისსა და საფრანგეთში, ოთხჯერ მეტია, ვიდრე გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში. ამჟამად სსრ კავშირში ყველა სახეობის სწავლებაში ჩაბმულია 93 მილიონზე მეტი კაცი, მოსახლეობის განათლებას ხმარდება საზოგადოებრივი ფონდების დაახლოებით ერთი მესამედი. სოციალისტური საზოგადოება თავის მოქალაქეებს არა მარტო უფასო განათლების შესაძლებლობას აძლევს, არამედ თავის ხარჯზე ასწავლის მილიონობით მოზარდსა და სტუდენტს პროფესიულ ტექნიკურ სასწავლებლებში, ტექნიკუმებსა და უმაღლეს სკოლებში.

მსოფლიოში ერთ-ერთი მწვავე სოციალური პრობლემაა საბინაო საკითხი, რომელიც მარქსიზმის კლასიკოსების თვალსაზრისით შეიძლება გადაწყდეს მხოლოდ საზოგადოების ძირფესვიანი გარდაქმნისა და ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლუატაციის მოსპობის გზით. ამერიკის შეერთებულ შტატებში ერთ სულ მცხოვრებზე საშუალოდ საკმარისი საცხოვრებელი ფართობი მოდის, მაგრამ 15 მილიონი ამერიკელი ქოხმახებში ცხოვრობს. სოციალიზმმა საბოლოოდ მოუღო ბოლო ქოხმახებს. საზოგადოებამ თავის თავზე იკისრა საცხოვრებელი ბინების მოვლის უმეტესი ხარჯი. სსრ კავშირში ყველაზე მცირე საბინაო გადასახადია, რომელიც სულაც არ ფარავს საცხოვრებელი სახლების ექსპლუატაციის ხარჯებს. ყოველი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობისათვის სახელმწიფო დაახლოებით ოთხ მანეთს იხდის. საბინაო მშენებლობის მოცულობისა და ტემპის მიხედვით საბჭოთა კავშირს პირველი ადგილი უჭირავს მსოფლიოში. ათას მცხოვრებზე გაანგარიშებით საბჭოთა კავშირში უკანასკნელ წლებში აშენდა ორჯერ მეტი ბინები, ვიდრე ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საფრანგეთში და გაცილებით უფრო მეტი, ვიდრე ინგლისსა და იტალიაში. გასულ ხუთწლედში საბინაო პირობები გაიუმჯობესა 56 მილიონმა კაცმა. მაგრამ საბინაო პრობლემა ჯერ კიდევ მოითხოვს გადაწყვეტას, რადგან ყველა მშრომელს როდი აქვს კეთილმოწყობილი ბინა. ამიტომ სკკპ XXV ყრილობის მიერ შემუშავებული პროგრამით ხალხის ცხოვრების დონის ამაღლების დარგში დასახულია ამოცანა — მეათე ხუთწლედში აშენდეს დაფინანსების ყველა წყაროს ხარჯზე 545-550 მილიონი კვადრატული მეტრი საერთო ფართობის საცხოვრებელი სახლები. განსა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კუთრებული ყურადღება ეთმობა საბინაო მშენებლობის ხარისხის, ბინების კომფორტულობის, მათი დაგეგმარების გაუმჯობესებას.

კაპიტალისტურ ქვეყნებში ავადმყოფს ყოველი საექიმო დახმარება ძვირი უჯდება. რამდენიმე ხნის წინათ ლონდონში მასობრივ დემონსტრაციაზე მიმქონდათ პლაკატი წარწერით: „საკმაოდ მდიდარი ხართ თუ არა თქვენ, რომ ავად გახდეთ". ფურცლებში, რომლებსაც დემონსტრანტები ავრცელებდნენ, აღნიშნული იყო: მოსახლეობის 85 პროცენტს ახლა გაცილებით მეტის გადახდა უხდება რეცეპტებისათვის, სათვალეებისათვის, კბილების მკურნალობისათვის.

საბჭოთა კავშირში ათიათას კაცს ემსახურება 17 ექიმი. ამერიკის შეერთებულ შტატებში ამდენივე მოსახლეობაზე მოდის 12 ექიმი, ხოლო ინგლისსა და საფრანგეთში ორჯერ ნაკლები. გასულ ხუთწლედში ჩვენში აშენდა მრავალი საავადმყოფო, პოლიკლინიკა, დისპანსერი და სხვა სამკურნალო დაწესებულება. მომზადდა მედიცინის მუშაკთა ათეული ათასობით ახალი კადრები. საბჭოთა სახელმწიფო სისტემატურად ადიდებს სოციალური დაზღვევის, დახმარების, პენსიების ხარჯებს.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1976-1980 წლების ძირითადი მიმართულებებით განსაზღვრულია მუშებისა და მოსამსახურეების საშუალო ხელფასი გაიზარდოს 16-18 პროცენტით და ხუთწლედის დამლევისათვის აყვანილ იქნას სულ ცოტა 170 მანეთამდე თვეში. წარმოებისა და შრომის ნაყოფიერების გადიდების საფუძველზე კოლმეურნეთა შემოსავალი კოლმეურნეობების საზოგადოებრივი მეურნეობიდან გათვალისწინებულია გაიზარდოს საშუალოდ 24-27 პროცენტით.

28-30 პროცენტით გაიზრდება მოსახლეობისათვის დახმარებისა და შეღავათების გაცემა მოხმარების საზოგადოებრივი ფონდების ხარჯზე; გაიზრდება მუშების, მოსამსახურეებისა და კოლმეურნეების მოხუცებულობის პენსიების მინიმალური ოდენობა.

სამედიცინო პრაქტიკაში უფრო ფართოდ დაინერგება თანამედროვე მეცნიერების მიღწევები, დიაგნოსტიკისა და მკურნალობის ახალი მეთოდები. დიდი ყურადღება ეთმობა სამედიცინო დახმარების ხარისხისა და ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებებში მუშაობის ორგანიზაციის დონის ამაღლებას. გათვალისწინებულია, რომ 1980 წელს საავადმყოფო საწოლების საერთო რაოდენობა გაიზარდოს დაახლოებით 3,3 მილიონამდე. გაფართოვდება ამბულატორიულ-პოლიკლინიკურ დაწესებულებათა მშენებლობა ახალშენებათა რაიონებში და სოფლად.

კომუნისტური პარტიის სოციალური პოლიტიკა ხელს უწყობს ყველა კლასისა და სოციალური ჯგუფის მზარდ დაახლოებას, საბჭოთა ხალხის ერთიანობის შემდგომ განმტკიცებას.

საბჭოთა საზოგადოებაში ხელმძღვანელ როლს ახორციელებს მუშათა კლასი, რომელიც კომუნიზმის მშენებლობის წამყვანი ძალაა. იგი არის ყველაზე მრავალრიცხოვანი კლასი, რომელიც 65 მილიონი კაცისაგან შედგება. მუშები წარმოადგენენ საბჭოთა მეურნეობებში მომუშავეთა 30 პროცენტს. მაგრამ მუშათა კლასის წამყვანი როლი სოციალისტურ საზოგადოებაში მარტო მისი რიცხობრივი უპირატესობით როდი განისაზღვრება. რიცხვი შეიძლება შეიცვალოს ეკონომიკის განვითარებისა და მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ტემპების კვალობაზე. მთავარია ის, რომ მუშათა კლასი არის საზოგადოების ძირითადი მწარმოებლური ძალა. ჩვენი სახალხო მეურნეობის განვითარების გადამწყვეტი ფაქტორი იყო და არის სოციალისტური ინდუსტრია, რომელშიც დასაქმებულია მუშათა უმრავლესობა. იგი აწარმოებს სსრ კავშირის საზოგადოებრივი პროდუქტის ორ მესამედს, მასზეა დამოკიდებული სოფლის მეურნეობის აღმავლობა, ტექნიკური პროგრესი მშენებლობასა და ტრანსპორტზე, კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა.

კომუნიზმის იდეალების პრინციპებზე მუშათა კლასის გარშემო ერთიანდებიან ყველა მშრომელები. ეს მკაფიოდ დაამტკიცა ახალი საზოგადოების მშენებლობის პრაქტიკამ, საზოგადოებისა, რომელშიც შექმნილია ხალხის სოციალურ-პოლიტიკური, იდეური და მორალური ერთიანობა. ხალხის ყველა ფენის მზარდი შეკავშირება მუშათა კლასთან ხელს უწყობს საზოგადოების წინსვლას კომუნიზმისაკენ, რომლის დროსაც მოისპობა ყოველგვარი კლასობრივი განსხვავება და მუშათა კლასიც ამოწურავს თავის ისტორიულ მისიას.

მუშათა კლასის წამყვანი როლის უზრუნველყოფა გულისხმობს მუდმივ ზრუნვას მისი საერთო კულტურის, განათლების კვალიფიკაციის, მისი პოლიტიკური აქტივობის ამაღლებისათვის.

მუშათა კლასის წამყვანი როლი სოციალისტურ საზოგადოებაში — ეს რაიმე პრივილეგია როდია, არამედ გამოხატულებაა იმ დიდი პასუხისმგებლობისა სოციალიზმის ბედ-ბედისადმი, რომელიც მას დააკისრა ისტორიამ. ამ პასუხისმგებლობის აღიარება სრულებითაც არ ნიშნავს მშრომელთა სხვა ფენების როლის დაკნინებას კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავის წამყვან როლს მუშათა კლასი ასრულებს კოლმეურნე გლეხობასთან, ინტელიგენციასთან მჭიდრო თანამშრომლობით. კომუნისტური პარტიის ლენინური პოლიტიკის განხორციელების შედეგად სსრ კავშირში დამყარდა მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის ურღვევი კავშირი, რომელიც წარმოადგენს ჩვენი საზოგადოების პოლიტიკურ საფუძველს.

მთლიანი საზოგადოებრივი პროდუქტის წარმოებაში სოფლის მეურნეობას მეორე ადგილი უჭირავს მრეწველობის შემდეგ. ეროვნული შემოსავლის 20 პროცენტზე მეტს ქვეყანა სოფლის მეურნეობისაგან იღებს. სახალხო მოხმარების საგნების 75 პროცენტი სასოფლო-სამეურნეო ნედლეულისაგან მზადდება.

საკოლმეურნეო მშენებლობა მუშათა და გლეხთა უდიდესი ისტორიული მონაპოვარია. იგი გლეხის პირად ინტერესებს კარგად უფარდებს საზოგადოებრივს, საყოველთაო-სახალხოს. კოლმეურნეობების საშუალებით კომუნისტური პარტია, საბჭოთა სახელმწიფო ახორციელებენ ეკონომიკურ, პოლიტიკურ, იდეურ გავლენას გლეხობაზე.

პარტიამ შეიმუშავა ეკონომიკურ და პოლიტიკურ ღონისძიებათა მთელი სისტემა სასოფლო-სამეურნეო წარმოების ტემპების დასაჩქარებლად, სოფლის მოსახლეობის კულტურისა და ყოფაცხოვრების გასაუმჯობესებლად.

განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს კოლმეურნეთა შრომის გარანტირებულ ანაზღაურებას, რაც ხორციელდება სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ცნობილი დადგენილების საფუძველზე. შრომის გარანტირებული ანაზღაურება (ფულით და ნატურით) არ წარმოადგენს კოლმეურნეთა ერთადერთ შემოსავალს. იგი შეიძლება გადიდდეს წარმოებული პროდუქციის მთლიანი შემოსავლის ზრდის კვალობაზე. ყოველთვიურმა გარანტირებულმა ანაზღაურებამ ხელი შეუწყო კოლმეურნეობებში კვალიფიციური კადრების დამაგრებას, კოლმეურნეთა შრომის დისციპლინისა და აქტიურობის ამაღლებას.

ისე როგორც ქალაქად, სოფლის მშრომელებს ენიშნებათ პენსიები ავადმყოფობისა და შრომისუნარის დაკარგვის გამო, შემცირებულია საპენსიო ასაკი. განვითარებული სოციალისტური საზოგადოების პირობებში გლეხის ცხოვრებაში უდიდესი ცვლილებები მოხდა. თანამედროვე კოლმეურნე — ეს არის ახალი ტიპის მიწის მუშა, რომელიც საკოლმეურნეო შრომის გამოცდილებას და ტექნიკის გამოყენებას აერთიანებს საზოგადოებრივ ინტერესებთან.

პარტიის პოლიტიკის თანმიმდევრულად განხორციელების შედეგად მნიშვნელოვნად ამაღლდა სოფლის მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობა და კულტურული დონე. გაფართოვდა სასოფლო თეატრების, კლუბების, კინოთეატრების, ბიბლიოთეკების ქსელი. სოფლის მოსახლეობის ყოფაცხოვრების განუყოფელი შემადგენელი ნაწილი გახდა ტელევიზორი, რადიომიმღები, მაცივარი, სარეცხი მანქანა.

სოფლის მეურნეობის საწარმოო ძალების ზრდა, სასოფლო-სამეურნეო შრომის გადაქცევა ინდუსტრიული შრომის ნაირსახეობად, სოფლის კულტურის ამაღლება და ყოფაცხოვრების გარდაქმნა — ყველაფერი ეს იწვევს გლეხის სოციალური სახისა და ფსიქოლოგიის შეცვლას.

მეათე ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს სასოფლო-სამეურნეო წარმოების თანმიმდევრულ და განუხრელ ინტენსიფიკაციას, მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემდგომ განმტკიცებას. დასახულია საწარმოო პროცესების კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის, სოფლის მეურნეობის ქიმიზაციისა და მიწების მელიორაციის, მეცნიერების, ტექნიკისა და მოწინავე გამოცდილების მიღწევათა დანერგვის ფართო პროგრამა.

პარტია განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ორგანიზაციისა და მართვის ფორმების სრულყოფას, მის შემდგომ სპეციალიზაციას, სასოფლო-სამეურნეო წარმოების განლაგების გაუმჯობესებას, მიწის, მატერიალურ-ტექნიკურ საშუალებათა და შრომითი რესურსების უკეთ გამოყენებას, მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების ხარისხის შემდგომ ამაღლებას.

საერთო-სახალხო სახელმწიფომ ფართო შემოქმედებითი ასპარეზი გაუხსნა ინტელიგენციას, რომელიც მშრომელი ხალხის სისხლი სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანია, მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის შედეგად სწრაფად იზრდება რიგები ინტელიგენციისა, რომლის მნიშვნელოვანი ფენები საწარმოო პროცესის უშუალო მონაწილენი გახდნენ საზოგადოების უშუალო საწარმოო ძალად მეცნიერების გადაქცევის გამო.

ბურჟუაზიული ტექნოკრატიული თეორიის მიმდევრები და მათი თანამოაზროვნე რევიზიონისტები ამტკიცებენ, რომ მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის პირობებში თითქოს მუშათა კლასი ჰკარგავს წამყვან როლს და მის შესრულებას ინტელიგენცია კისრულობს. ახეთი მსჯელობის მიზანია ინტელიგენციის დაპირისპირება მუშათა კლასთან. თუ მემარჯვენე რევიზიონისტები ცდილობენ დააკნინონ მუშათა კლასის როლი, „მემარცხენეები“ ინტელიგენციას განიხილავენ როგორც ბურჟუაზიულ ძალას. სინამდვილეში ინტელიგენციის როლის ამაღლება საზოგადოებრივ წარმოებაში განვითარებული სოციალიზმის დროს იწვევს მის მზარდ დაახლოებას მუშათა კლასთან და გლეხობასთან, მათ შორის ზღვარის თანდათანობით წაშლას.

ჩვენი ინტელიგენციის ძირეული ინტერესები

მთლიანად და სავსებით შეეფარდება მთელი ხალხის ინტერესებს.

საბჭოთა ქვეყნის სახალხო ინტელიგენციის შექმნაში დიდი როლი შეასრულა მუშათა კლასმა. ახლა, ისე როგორც საბჭოთა ინტელიგენციის ჩამოყალიბების პერიოდში, ძლიერდება მისი რიგების შევსება მუშათა კლასის წარმომადგენლებისაგან.

ჩვენი ინტელიგენციის ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისებაა მისი მრავალეროვნული ხასიათი. ქვეყნის მატერიალურ და სულიერ პროგრესში ღირსეული წვლილი შეაქვს ყველა საბჭოთა ერისა და ეროვნების ინტელიგენციას.

სოციალიზმის პირობებში ინტელიგენციის ზრდის თავისებურებას წარმოადგენს მასთან ერთად მუშებისა და გლეხების განათლებისა და კულტურის საერთო ამაღლება, მათი შრომის სულ უფრო ინტენსიურად დაახლოება ინჟინრის, ტექნიკოსის, აგრონომის შრომასთან. ჩვენში ხშირია ისეთი ფაქტები, როგორიცაა მუშა — უმაღლესი განათლებით, მწველავი ქალი — სტუდენტი, კოლმეურნეობის თავმჯდომარე — სწავლული ნოვატორი.

საბჭოთა ინტელიგენციის ჩამოყალიბებამ და მისი რიგების ზრდამ ხელი შეუწყო ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური, პოლიტიკური და სამხედრო ძლიერების განმტკიცებას.

პარტია უდიდეს მზრუნველობას იჩენს საბჭოთა ინტელიგენციისადმი, მისი კვალიფიკაციის ამაღლებისა და მატერიალური პირობების გაუმჯობესებისადმი. პარტიისადმი ინტელიგენციის ერთგულების მკაფიო დამადასტურებელია ის ფაქტი, რომ სკკპ წევრთა დაახლოებით 20 პროცენტს წარმოადგენენ ტექნიკური ინტელიგენციის წარმომადგენლები, ხოლო 24 პროცენტზე მეტს — მეცნიერების, ლიტერატურის, ხელოვნების მოღვაწენი, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, მართვის აპარატის მუშაკები, სამხედრო მოსამსახურენი.

საბჭოთა ინტელიგენციას თავის მოვალეობად მიაჩნია ხელი შეუწყოს წარმოების სწრაფად ზრდას, მასში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების დანერგვას, მთელი საბჭოთა ხალხის განათლებისა და კულტურის შემდგომ ამაღლებას. მუშათა კლასთან და კოლმეურნე გლეხობასთან ერთად ინტელიგენცია აქტიურად მონაწილეობს სოციალისტურ შეჯიბრებაში ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისათვის.

განვითარებული სოციალისტური საზოგადოების პირობებში სულ უფრო მეტად ვლინდება მეცნიერების, როგორც უშუალო საწარმოო ძალის როლი.

მთელ რიგ ძალიან დიდმნიშვნელოვან დარგებში ჩვენმა მეცნიერებმა მოწინავე პოზიციები მოიპოვეს მსოფლიოში.

სკკპ XXV ყრილობამ საბჭოთა მეცნიერებს ძირითად ამოცანად დაუსახა ბუნებისა და საზოგადოების კანონზომიერებათა კვლევის შემდგომი გაფართოება და გაღრმავება, მათი წვლილის გადიდება კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მშენებლობის, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისა და კულტურის ამაღლების, მშრომელთა კომუნისტური მსოფლმხედველობის აქტუალური პრობლემების გადაწყვეტაში.

პარტია მეცნიერთა განსაკუთრებულ ყურადღებას მიაპყრობს მეცნიერულ-ტექნიკური და სოციალური პროგრესის უმნიშვნელოვანეს პრობლემებს, რომელთა გადაწყვეტაზე მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია ეკონომიკის, კულტურისა და თვით მეცნიერების წარმატებითი განვითარება, შემდგომ გაძლიერებას იმ გამოკვლევებისა, რომლებიც სახავენ ქვეყნის საწარმოო ძალების გარდაქმნის, მომავლის ტექნიკისა და ტექნოლოგიის შექმნის პრინციპულად ახალ გზებსა და შესაძლებლობებს.

თავის იდეოლოგიურ მოღვაწეობაში პარტია პირველხარისხოვან მნიშვნელობას ანიჭებს მასობრივი ინფორმაციისა და პროპაგანდის ისეთ მძლავრ საშუალებებს როგორიც არის საგამომცემლო საქმე, პერიოდული პრესა, ტელევიზია და რადიომაუწყებლობა. საბჭოთა კავშირი პირველ ადგილზეა მსოფლიოში წიგნების გამოცემის დარგში. ახლა ჩვენში ყოველ წუთში გამოდის ორი ათასზე მეტი ეგზემპლარი წიგნი. უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა პრესის ტირაჟები, გადიდდა ახალ გამოცემათა რაოდენობა, შეიქმნა 400-ზე მეტი ახალი გაზეთი, 118 ჟურნალი. ახლა საშუალოდ ოჯახზე მოდის ოთხზე მეტი პერიოდული გამოცემა. მაგრამ საბჭოთა ბეჭდვითი სიტყვის ძალა არა მხოლოდ მის მოცულობასა და გავრცელებაშია. მისი ძალაა პირველ ყოვლისა კომუნისტური იდეურობა, პარტიული პრინციპულობა, ხალხურობა, მარქსიზმ-ლენინიზმის იდეებისადმი ერთგულება. ჩვენი პარტიის იდეურ არსენალში მასობრივი ინფორმაციისა და პროპაგანდის საშუალებანი ყველაზე მძლავრი, ყველაზე მახვილი და მოქმედი იარაღია.

პარტიის იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის სისტემაში დიდ როლს ასრულებენ ლიტერატურა და ხელოვნება. პარტია შორს არის ამ აზრისაგან, რომ მოახდინოს შემოქმედებითი ინტელიგენციის ნიველირება, როგორც ამის შესახებ ლაყბობენ სოციალიზმის მტრები, ან უვიცი ადამიანები. პირიქით, იგი შემოქმედებითი სტილისა და ხელწერის მრავალფეროვნების მომხრეა. ამავე დროს სკკპ ურყევად იცავს ხელოვნების პარტიულობისა და ხალხურობის პრინციპს, ზრუნავს იმისათვის, რომ მხატვრები არ აცდნენ რეალისტურ გზას და არ ჩაეფლონ „წმინდა აბსტრაქციისა“ და ფორმალისტური ოინბაზობის ჭაობში.

პარტია სრულებითაც არ თვლის რაღაც უარყოფით მოვლენად, როცა მხატვარი ცხოვრებისეული სინამდვილის ასახვის დროს გვიჩ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვენებს ამა თუ იმ ჩრდილოვან მხარეს. პირიქით, ასეთი ნაწარმოები ხელს გვიწყობს ნაკლოვანებათა აღმოფხვრაში. მაგრამ პარტია დაბეჯითებით გვასწავლის, რომ კრიტიკას არაფერი აქვს საერთო ცილისწამებასთან. ლიტერატურასა და ხელოვნების საზოგადოებრივი ვალია ემსახურონ ადამიანების აღზრდას პირველყოვლისა დადებითი სახეების, მაღალი იდეალების გამოხატვით.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებაში სკკპ XXV ყრილობაზე აღნიშნულია, რომ ახლა შემოქმედებითს ინტელიგენციას სულ უფრო მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის საერთო-პარტიულ, საერთო-სახალხო საქმეში. ჩვენი მწერლებისათვის, ხელოვნების ოსტატებისათვის შთაგონების წყაროა ისეთი დიდმნიშვნელოვანი, კეთილშობილური თემები, როგორიც არის: საბჭოთა ადამიანის შრომა და ყოფა, საბჭოთა ხალხის გმირობა დიდ სამამულო ომში, კომუნისტური მორალი, მშვიდობისათვის, ხალხთა განთავისუფლებისათვის ბრძოლა, მშრომელთა ინტერნაციონალური სოლიდარობა ამ ბრძოლაში.

საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწენი უფრო ხშირად და ღრმად ეხმაურებიან ძირითადსა და არსებითს, რითაც ქვეყანა ცხოვრობს, რაც საბჭოთა ადამიანების პირადი ბედის ნაწილი გახდა.

დიდ და სასარგებლო მუშაობას ეწევა სოფლის ინტელიგენცია. ჩვენს ქვეყანაში სოფლად მუშაობს 8 მილიონზე მეტი მექანიზატორი, ათასობით აგრონომი, ზოოტექნიკოსი, მასწავლებელი, ექიმი. ისინი არსებითად განაპირობებენ თანამედროვე საკოლმეურნეო სოფლის სულიერ ცხოვრებას.

სოციალიზმის გამარჯვების, სოციალისტური ერების ჩამოყალიბების, კომუნისტური პარტიის ეროვნული პოლიტიკის წარმატებით გადაწყვეტის შედეგად ერთა თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების განმტკიცების კვალობაზე ჩვენს ქვეყანაში შეიქმნა ადამიანთა ახალი ისტორიული ერთობა — საბჭოთა ხალხი. კაცობრიობის ისტორიაში სსრ კავშირში პირველად გამოინახა საზოგადოების ისეთი ორგანიზაცია, რომელშიც ერთიანი ცენტრალიზებული მრავალეროვანი სახელმწიფო სავსებით შეეფარდება ეროვნული სახელმწიფოებრიობის უზრუნველყოფას მოსახლეობის ენის, ყოფაცხოვრების, ტრადიციების შესაბამისად.

ლენინურმა პოლიტიკამ ეროვნულ საკითხში შემდგომი განვითარება ჰპოვა ყველა სოციალისტური ერის ეკონომიკისა და კულტურის განვითარების იმ ღონისძიებათა მთელ კომპლექსში, რომელსაც ახორციელებს კომუნისტური პარტია. ეს ღონისძიებანი მოიცავენ სსრ კავშირის ხალხთა ცხოვრების ყველა დარგს და ახალ ეტაპს მოასწავებენ მათ შორის მეგობრობის განმტკიცებაში.

უკანასკნელ წლებში ბევრად გაიზარდა მოკავშირე რესპუბლიკების როლი და პასუხისმგებლობა სახალხო მეურნეობის დაგეგმვაში, აგრეთვე საწარმოო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის, სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვების გადიდების, ვაჭრობისა და მოსახლეობის მომსახურების გაფართოების საკითხების გადაწყვეტაში ადგილობრივი და ეროვნული თავისებურებების გათვალისწინებით, შრომითი და სხვა რესურსების განსაკუთრებით სრულ გამოყენებაში.

სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობის მატიანეში ოქროს ასოებით ჩაიწერა ყამირი მიწების ათვისების ფურცელი. საბჭოთა კავშირის ყველა ხალხს შეაქვს თავისი ღირსეული წვლილი ბაიკალ-ამურის მაგისტრალის გიგანტურ მშენებლობაში.

ეროვნულ საკითხში პარტიის პოლიტიკის განხორციელების ნაყოფი ნათლად ჩანს საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის მაგალითით.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა თავის გამოსვლაში აღნიშნა: „ქართველ მუშათა და გლეხთა, საქართველოს ინტელიგენციის დაუცხრომელი შრომის მეოხებით საქართველოს სახალხო მეურნეობას, მის კულტურას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მთელი საბჭოთა კავშირის ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში.

ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხეში მოედინება თბილისის, ქუთაისის, სოხუმის, ბათუმის, რუსთავის, ჭიათურის, ცხინვალისა და რესპუბლიკის ბევრი სხვა ქალაქის საწარმოთა მარკიანი მრავალფეროვანი სამრეწველო ნაწარმი. საქართველოს ერთ-ერთი პირველი ადგილი უჭირავს ყურძნისა და ციტრუსოვანთა, თამბაქოსა და ჩაის, ტუნგოს ზეთისა და მაღალხარისხოვანი ღვინოების საერთო-საკავშირო წარმოებაში".

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, მისი პოლიტბიურო, პირადად სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ამხანაგი ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი უდიდეს ყურადღებას და მზრუნველობას იჩენენ საქართველოს ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი განუხრელი ამაღლებისათვის.

უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღეს ჩვენი რესპუბლიკისათვის ისტორიული დადგენილებები: პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ; საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების შესახებ; გადაწყვეტილება იმის თაობაზე, თუ როგორ ასრულებენ საქართველოს კომუნისტური პარტია, საქართ-

ველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ.

საქართველოს კომუნისტურმა ორგანიზაციამ, რესპუბლიკის მშრომელებმა უდიდეს წარმატებებს მიაღწიეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიერ დასახულ ამოცანების შესრულებისათვის ბრძოლაში.

გასულ ხუთწლედში საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა ოქტომბრის რევოლუციისა და ხალხთა მეგობრობის ორდენებით დაჯილდოვდა, მას ოთხჯერ ზედიზედ მიენიჭა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა — 1973, 1974, 1975, 1976 წლების საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში უმაღლესი მაჩვენებლების მიღწევისათვის.

სახალხო მეურნეობის განვითარების მეცხრე ხუთწლიანი გეგმა რესპუბლიკაში. მთლიანად წარმატებით შესრულდა, მიღწეული XXIV ყრილობის დირექტივებით დასახული ძირითადი მიჯნები, სამრეწველო პროდუქციის წარმოება ხუთწლეულში 40 პროცენტით და მეტად გაიზარდა.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით რესპუბლიკის მშრომელებმა შეუპოვარი შრომით დაძლიეს ხუთწლედის პირველი ორი წლის ჩამორჩენა... თუ 1971—1972 წლებში მრეწველობის ზრდის საშუალო წლიურმა ტემპმა 2,5 პროცენტი შეადგინა, მომდევნო სამ წელიწადში იგი უდრიდა 10,5 პროცენტს.

უპირატესი ტემპით ვითარდებოდა ტექნიკური პროგრესის განმსაზღვრელი მრეწველობა, მისი ელექტროტექნიკური, ქიმიური, ხელსაწყოთმშენებლობისა და ავტომატიზაციის საშუალებების, მანქანათმშენებლობის დარგები.

მეცხრე ხუთწლედში რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში შეიქმნა ახალი დარგები, კერძოდ სპილენძის, ფაიფურის წარმოება და სხვები. დენი გაუშვეს ენგურის ჰიდროელექტროსადგურის კასკადის პირველმა ჰიდროელექტროსადგურებმა. განსაკუთრებით სასიხარულოა, რომ საქართველოში აღმოჩნდა ნავთობის დიდი საბადოები.

ჩვენმა რესპუბლიკამ არა მარტო წარმატებით შეასრულა მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის ძირითადი პროდუქტების დამზადების ხუთწლიანი გეგმა, არამედ უკანასკნელი 15-20 წლის მანძილზე პირველად მიაღწია ეკონომიკის ამ დარგში წარმოების ზრდის უფრო სწრაფ ტემპს, ვიდრე საშუალოდ საბჭოთა კავშირშია.

გასულ ხუთწლეულში სახელმწიფოს გეგმის გადამეტებით მიეყიდა დიდძალი მარცვლეული, ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, ციტრუსი, შაქრის ჭარხალი, ბოსტნეული, ხილი, ხორცი, რძე და სხვა პროდუქტები: სულ 1971—1975 წლებში გეგმის ზევით დამზადდა 220 მილიონი მანეთის სოფლის მეურნეობის პროდუქცია. რესპუბლიკის 45-მა კოლმეურნეობამ და 31 საბჭოთა მეურნეობამ ყველა მაჩვენებლის მიხედვით ვადამდე შეასრულეს გასული ხუთწლედის გეგმები და გაიმარჯვეს საკავშირო და რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში.

საქართველოს კომუნისტური პარტიის XXV ყრილობაზე აღინიშნა, რომ მეცხრე ხუთწლედის განმავლობაში რესპუბლიკაში გადაწყდა დიდმნიშვნელოვანი სოციალურ-ეკონომიკური ამოცანები; მოხმარებისა და დაგროვებისათვის გამოყენებული ეროვნული შემოსავალი გაიზარდა 30 პროცენტით. მისი ზრდის საშუალო წლიურმა ტემპმა 5,4 პროცენტი შეადგინა. ამ წლებში მუშა-მოსამსახურეთა საშუალო ხელფასი 11,7 პროცენტით გაიზარდა, ხოლო კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურება — 24 პროცენტით; მოხმარების საზოგადოებრივი ფონდებიდან დახმარება და შეღავათები ერთ სულ მოსახლეზე 33 პროცენტით გაიზარდა, მოიმატა სტუდენტთა სტიპენდიების ოდენობამ, 50 პროცენტით მეტია გადახდილი პენსიები, 16 პროცენტით მეტი — დახმარება; მოსახლეობის რეალური შემოსავალი ხუთ წელიწადში 21,1 პროცენტით გაიზარდა.

ამავე პერიოდში ნახევარ მილიონზე მეტმა კაცმა გადაიხადა ახალმოსახლეობა ახალ, კეთილმოწყობილ ბინებში. 60 პროცენტით მეტია გაზიფიცირებული ბინები.

გადაიდგა დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი სასოფლო-სამეურნეო და ინდუსტრიული შრომის დაახლოების, ქალაქსა და სოფელს შორის, ფიზიკურ და გონებრივ შრომას შორის, მუშათა კლასსა და კოლმეურნე გლეხობას შორის არსებითი განსხვავების მოსპობის გზაზე.

მთელი საბჭოთა ინტელიგენციის მხარდამხარ კომუნისტური მშენებლობის ამოცანების წარმატებით გადაწყვეტაში აქტიურად მონაწილეობს ჩვენი რესპუბლიკის ინტელიგენცია — ათეულ ათასობით მასწავლებელი და ექიმი, ინჟინერი და აგრონომი, მეცნიერი და წარმოების ორგანიზატორი, ხელოვნებისა და კულტურის მოღვაწე, რომლებიც მთელ თავის ცოდნას, გონებასა და ნიჭს ახმარენ ხალხის კეთილდღეობას.

ჩვენმა ინტელიგენციამ ღირსეული წვლილი შეიტანა თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესასრულებლად, სახალხო მეურნეობაში გარკვეული ჩამორჩენის დასაძლევად, რესპუბლიკაში ვითარების გაჯანსაღებისათვის მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის შესაქმნელად.

ქართველი ხალხის სულიერი სიმდიდრის წყარო ყოველთვის იყო და არის მოძმე ხალ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხების კულტურის საგანძური. თავის მხრივ, ქართველ ხალხს ყოველთვის შეჰქონდა და შეაქვს მნიშვნელოვანი წვლილი სოციალისტური ერების შემოქმედებითს თანამეგობრობაში. განვლილ ხუთწლედში კიდევ უფრო გაფართოვდა და განმტკიცდა საბჭოთა საქართველოს ურღვევი სამეურნეო, მეცნიერულ-ტექნიკური, კულტურული ურთიერთობა სხვა მოძმე რესპუბლიკებთან და ხალხებთან.

ახალი ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს საქართველოში სამრეწველო პროდუქციის მოცულობა გადიდდეს 37-41 პროცენტით, ამასთან განსაზღვრულია ელექტროტექნიკური, ჩარხსამშენებლო, საინსტრუმენტო და ქიმიური მრეწველობის უპირატესი ზრდა. დასახულია ელექტროენერგეტიკის განვითარების წინმსწრები ტემპი. ელექტროენერგიის გამომუშავება გადიდდება 1,5 ჯერ. ეს მიღწეულ იქნება ენგურის, ჟინვალისა და ვარციხის ჰიდროელექტროსადგურების სიმძლავრეთა, აგრეთვე ტყვარჩელის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის ერთი ახალი აგრეგატის ამოქმედებით.

დასახულია მსუბუქი მრეწველობის შემდგომი განვითარება. ამ დარგის მთლიანი პროდუქცია თითქმის 40 პროცენტით გაიზრდება. გათვალისწინებულია მისი ტექნიკური ბაზის შემდგომი განმტკიცება. აშენდება 8 ახალი, რეკონსტრუირებულ იქნება და ტექნიკურად ხელახლა აღიჭურვება 17 მოქმედი საწარმო. მთლიანი პროდუქციის მატების დაახლოებით 70 პროცენტი — თითქმის 320 მილიონი მანეთი — მიიღება ამ დარგის მოქმედ საწარმოთა ხელახალი აღჭურვისა და რეკონსტრუქციის მეოხებით.

რესპუბლიკის ეკონომიკაში დიდმნიშვნელოვანი ხვედრითი წილი აქვს კვების მრეწველობას, განსაკუთრებით ღვინის, ჩაის, კონსერვების, თამბაქოს, ეთერზეთების, აგრეთვე მინერალური წყლების წარმოებას. კვების მრეწველობის მთლიანი პროდუქციის მოცულობა გაიზრდება 37 პროცენტით და შეადგენს 2,5 მილიარდ მანეთს.

გათვალისწინებულია მოქმედ საწარმოთა ფილიალების განლაგება მთის და მთისწინეთის რაიონებში შრომითი რესურსების უფრო სრული გამოყენების მიზნით.

რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის საშუალო წლიური მოცულობა ხუთწლედის განმავლობაში უნდა გაიზარდოს 21-24 პროცენტით. ეს შესაბამის საშუალო-საკავშირო მაჩვენებელზე 7 პროცენტით მეტია და მეცხრე ხუთწლედში ჩვენი რესპუბლიკის მიერ ფაქტიურად მიღწეულ დონეს 5-6 პროცენტით აღემატება. 38 პროცენტით გაიზრდება შრომის ნაყოფიერება სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში.

დასახულია ღონისძიებათა ფართო პროგრამა მოსახლეობის მატერიალური და კულტურული ცხოვრების დონის ასამაღლებლად. მოხმარებისა და დაგროვებისათვის გამოყენებული ეროვნული შემოსავალი რესპუბლიკაში გადიდდება 25 პროცენტით, ხოლო რეალური შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე — 21 პროცენტით. მოხმარების საზოგადოებრივი ფონდების ხარჯზე მოსახლეობისათვის დახმარებისა და შეღავათების გაცემა გაიზრდება 30-31 პროცენტით, მუშა-მოსამსახურეთა საშუალო ხელფასი —22 პროცენტით, ხოლო კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურება — ერთი მესამედით.

საბჭოთა კავშირი ჩვენი ქვეყნის ყველა ერისა და ეროვნების ძმური და ურღვევი ერთიანობით განუხრელად ადგას კურსს, რომელიც კომუნისტურმა პარტიამ შეიმუშავა. მიღწეული წარმატებები შემოქმედებითი ენერგიის მძლავრი წყაროა ყველა საბჭოთა ადამიანისათვის, შთააგონებს მათ სოციალისტური სამშობლოს შემდგომი აყვავებისათვის ბრძოლას.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კორნელი კინწურაშვილი

# პეტერბურგის ქართველოლოგიის სკოლა

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოში მიმდინარე პროცესებმა, რომლებიც უმთავრესად ქვეყნის ცხოვრებაში მომხდარი დიდმნიშვნელოვანი საზოგადოებრივი მოვლენებით იყო გაპირობებული და მათ უკავშირდებოდა, შესამჩნევად შეუწყო ხელი ისტორიული წარსულისადმი, ქართული ენის, მწერლობისა და, საერთოდ, კულტურული მემკვიდრეობისადმი ქართველი საზოგადოებრიობის ინტერესის ზრდას. ამ მიმართულებით საქართველოში მომუშავე მკვლევართა და საზოგადო მოღვაწეთა ნაყოფიერ მუშაობას მრავალმხრივი საქმიანობით მუდამ კარგ მაგალითს აძლევდნენ პეტერბურგის ქართველოლოგიის სკოლის წარმომადგენლები.

ქართული ხელნაწერების შეგროვება-დაცვა, ენის, ლიტერატურისა და საქართველოს ისტორიის საკითხების მეცნიერული შესწავლა, პერიოდული პრესის აღორძინება და ბევრი სხვა კულტურული წამოწყება როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ ჩვენი სახელოვანი მამულიშვილების მეცადინეობის შედეგი იყო.

მეცნიერებისა და კულტურის მსახურთ მუდამ მტკიცედ ჰქონდათ შეგნებული, რომ „რა დიდი ღვაწლიც უნდა მიუძღოდეს ეროვნებას წარსულში, თუ იგი აწმყოში არას წარმოადგენს, ბრწყინვალე წარსული ვერას უშველის".[1] ამიტომ ისინი მონდომებით ილვწოდნენ ხალხის კულტურულ-საგანმანათლებლო დონის ამაღლებისათვის და თავიანთი ნაშრომებით ამდიდრებდნენ ქართულ მეცნიერებას.

პეტერბურგელი ქართველოლოგები — თეიმურაზ ბაგრატიონი, მარი ბროსე, დავით ჩუბინაშვილი, ალექსანდრე ცაგარელი დიდ იმედებს ამყარებდნენ რუსეთსა და ევროპაში უმაღლესი განათლების მისაღებად ჩასულ ახალგაზრდებზე. ქართველ სტუდენტებთან გატარებული ყოველი საათი რუსეთში მოღვაწე მეცნიერებს უდიდეს ბედნიერებას ანიჭებდა, რადგან სამშობლოსათვის ღირსეული მამულიშვილების მომზადება მათ მთავარ საზრუნავად მიაჩნდათ.

თეიმურაზ ბაგრატიონის ბინა მუდამ ქართველთა საკრებულო იყო. „თეიმურაზის სახლი 1811 წლიდან ნელ-ნელა გარდაიქმნა მწერალ-მწიგნობრობის ტრფიალთა სადგომად, — წერდა პ. კარბელაშვილი, — თვით თეიმურაზი და იონა ბერი თავის შეძლებით დიდად უწყობდნენ ხელს წოდების განურჩევლად ყველა ახალგაზრდა ქართველს, რომელიც კი პეტერბურგს მიაღწევდა სასწავლად. პლატონ იოსელიანმა, სოლომონ დოდაშვილმა, დავით ჩუბინაშვილმა, სოლომონ რაზმაძემ, იოანე ბაზლიძემ, სიმონ ტაბიძემ აქ, თეიმურაზის სახლში იგემეს შარბათი მეცნიერებისა და სამშობლო ერის სიყვარულისა. აქ, შეფის კარზე იგინი ჰპოვებდნენ ნუგეშსა და მშობლიურსა მზრუნველობას გაჭირვებაში".[2]

ამ დროს და მომდევნო წლებშიაც ქართველი ერის მრავალსაუკუნოვანი კულტურის ახალი აღმავლობისათვის გაწეული ხასარგებლო თანამშრომლობა, რომელსაც მტკიცე საფუძველი პეტერბურგის ქართველოლოგიის სკოლის უფროსი თაობის წარმომადგენლებმა ჩაუყარეს, წარმატებით განაგრძეს ცნობილმა ქართველმა მეცნიერებმა — დავით ჩუბინაშვილმა და ალექსანდრე ცაგარელმა.

40-იანი წლებიდან ქართველ ახალგაზრდობას დიდ დახმარებას უწევდა დ. ჩუბინაშვილის ლექსიკონები, ქართული გრამატიკა, მის მიერ გამოცემული ისტორიულ და მხატვრულ ნაწარმოებთა კრებულები. 1845 წლიდან პეტერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბურგის უნივერსიტეტში ქართული ენის სწავლების შემოღებით ქართველ საზოგადოებასთან მეცნიერის ურთიერთობა კიდევ უფრო გაღრმავდა.

დავით ჩუბინაშვილი ისეთ მოღვაწეთა რიცხვს ეკუთვნოდა, რომელსაც ღრმად სწამდა ცარიზმის მიერ დაჩაგრული ქართველი ხალხის უკეთესი მომავალი და ამიტომაც სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობას თავის უმთავრეს პატრიოტულ მოვალეობად თვლიდა. მარტო სტუდენტებისათვის კი არა, პეტერბურგში მცხოვრები ყველა ქართველისათვის დ. ჩუბინაშვილი ერთგული მეგობარი და მუდამ გულღია მასპინძელი იყო. მის ბინაში კვირაობით ხშირად იკრიბებოდნენ, ქართველი სტუდენტები: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, სერგეი მესხი, გიორგი წერეთელი, ივანე მაჩაბელი, კირილე ლორთქიფანიძე, ილია ოქრომჭედლიშვილი, ვასილ სავანელი, პეტრე ნაკაშიძე, ნიკო, დავით და სიმონ ღოღობერიძეები, ალიოზ მიზანდარი, დავით სარაჯიშვილი, ალექსანდრე ცაგარელი, ალექსანდრე ხახანაშვილი და სხვები. ამ დროისათვის ბევრი მათგანი თავის ძალებს ცდიდა მწერლობასა და მეცნიერებაში. ისინი ახალ ნაწარმოებებთან ერთად ხშირად კითხულობდნენ რუსი და ევროპელი პოეტების ნაწარმოებთა თარგმანებს, ეცნობოდნენ ჰუმანისტურ შეხედულებებს, განიხილავდნენ საინტერესო თემებს, იმართებოდა მძაფრი კამათი სოციალურ-პოლიტიკურ საკითხებზე. „მაშინდელი ჩვენი მუსაიფის ან მსჯელობის საგანი, მაშინდელი ჩვენი შრომის მიზანი ის იყო, თუ რა მოვალეობა გვაწევს კისერზე ხალხისადმი, ან რა სახით უფრო უმჯობესია მომზადება ამ მოვალეობის ასასრულებლად...“, — იგონებდა შემდეგ ნ. ნიკოლაძე.[3]

რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში მყოფ ქართველ ახალგაზრდობას ჩვენი საზოგადოებრიობა ამოცანად უსახავდა, რომ ევროპის მეცნიერთა გამოცდილების ფარ-ხმალით შეჭურვილიყო და სამშობლოში დაბრუნების შემდეგ „ერთიორად მომეტებული სარგებლობა მოეტანა თავიანთი დაჩაგრული და დაცემული ხალხისათვის“.[4] იაკობ გოგებაშვილის აზრით, რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში ოთხ წელს სწავლამ ქართველ ახალგაზრდობაზე კეთილნაყოფიერი გავლენა მოახდინა რუსული განათლების, რუსული ენის ღრმად შეთვისებასა და დაუფლების თვალსაზრისით[5].

ეს ახალი თაობის იდეურად მომწიფებისა და დავაჟკაცების წლები იყო. "ბატონებო, ყველაზე მეტად, მთელი არსებით გიყვარდეთ სამშობლო, — მიმართავდა საქართველოში მომავალ თავის აღზრდილებს დ. ჩუბინაშვილი — შეისწავლეთ და ემსახურეთ მას თქვენი ძალების შესაფერისად. მხოლოდ მაშინ შესძლებთ გაიგოთ, დააფასოთ და შეიყვაროთ სხვებიც... ვინც თავის მშობლებს, ახლობლებს, თავის საკუთარ ოჯახს მოსწყდება, მას არ ძალუძს კეთილი გულით შევიდეს სხვის ოჯახში, და თუ მაინც შევა, მაშინ იგი ცბიერ მონად ან საზიზღარ ფარისევლად მოგვევლინება. და ეს ხომ ქართველის ბუნებისათვის მიუღებელიაო“. ასეთი სულისკვეთებით ზრდიდა იგი თაობებს და სამშობლოს უანგარო მსახურის საუკეთესო მაგალითს თვითონვე იძლეოდა.

ნაყოფიერ კვლევა-ძიებასთან ერთად იგი დიდ დროს ანდომებდა ახალგაზრდობასთან მუშაობას, ეხმარებოდა და საჭირო რჩევა-დარიგებას აძლევდა პეტერბურგში ჩასულ თანამემამულეებს ახალი წიგნების შერჩევასა თუ სწავლის გაგრძელებაში... საქართველოს ისტორიის საკითხებით დაინტერესებული ახალგაზრდებისათვის დამატებით ატარებდა პრაქტიკულ მეცადინეობებს, აცნობდა პირველწყაროებს და ხელმძღვანელობდა მათ რეფერატების დამუშავებაში. ასე შეიქმნა ოქრომჭედლიშვილის ნაშრომი „თემურ-ლენგი საქართველოში ქართული წყაროების მიხედვით“, ალექსანდრე ცაგარლის „მე-18 საუკუნის ქართველი მწერლები“, დავით ყიფიანის „ძველი საქართველოს ყოფის იურიდიული ნარკვევები“, ალიოზ მიზანდარის დისერტაცია „საქართველოს ისტორია დავით აღმაშენებლის მეფობის დროს (1089-1125“) და სხვ.

ახალგაზრდებმა თავიანთი მასწავლებლის ამაგი იმით დააფასეს, რომ ფართოდ გაშალეს პედაგოგიურ-სამეცნიერო მუშაობა მოსკოვის ლაზარევის სახელობის აღმოსავლურ ინსტიტუტსა და საქართველოში, ხოლო ალ. ცაგარელმა პეტერბურგშივე ღირსეულად განაგრძო სახელოვანი წინამორბედის კარგად დაწყებული საქმე.

დ. ჩუბინაშვილის სახელთან არის დაკავშირებული ქართველი ახალგაზრდების საუნივერსიტეტო სწავლება, აგრეთვე ქართული კულტურის დაცვისა და აღორძინების საკითხები. ბესარიონ გაბაშვილის ლექსთა კრებულის გამომცემელი ზაქარია ჭიჭინაძე გაზეთ „დროებაში“ წერდა: „მოვალედ ვთვლი ჩემს თავს, მადლობა გადავუხადო პროფესორად ყოფილ დ. ჩუბინაშვილს, რომლისგანაც ამ ბოლო დროს მივიღე წერილი და ბევრი რამ ვცანი სრულიად მივიწყებული ბესიკის შესახებ“.[6] ნიკოლოზ ბერძენიშვილი (ბერძენოვი), პეტრე უმიკაშვილი და გიორგი წერეთელი კმაყოფილებით იხსენიებდნენ აგრეთვე დ. ჩუბინაშვილისა და მ. ბროსეს ღვაწლს ქართული წიგნების გამოცემაში და აღნიშნავდნენ, რომ მათ „დიდი საქმე შესძინეს ჩვენს ლიტერატურას, და რაც შეეძლოთ, როგორც კერძო პირთა, ყოველივე აღასრულეს“.[7]

ილია ჭავჭავაძე ინტერესით ადევნებდა თვალს პეტერბურგელი ქართველოლოგის ნაყოფიერ მოღვაწეობას. რუსეთის სატახტო ქალაქში მყოფ „ივერიის“ თანამშრომელს ვასილ

მაჩაბელს იგი სწერდა, დავით ჩუბინაშვილს გაზეთი მიართვი და ლაზისტანისადმი მიძღვნილი მისი წერილი გამომიგზავნეო.

ეს ის პერიოდია, როცა რუსეთ-თურქეთის ომი მიმდინარეობდა და მოწინავე ქართველი ინტელიგენცია ხმას იმაღლებდა საუკუნეთა მანძილზე დაკარგული აჭარის მიწა-წყლის დასაბრუნებლად. დ. ჩუბინაშვილის ნარკვევისადმი ინტერესს ის უფრო აძლიერებდა, რომ მისი ნაშრომი აღნიშნულ პრობლემას ეხმაურებოდა. ამიტომ დიდმა ილიამ რუსულიდან თარგმნა იგი და „ივერიაში“ მოათავსა სათაურით — „ეთნოგრაფიული განხილვა ძველთა და ახალთა მკვიდრთა კაბადოკიისა ანუ ჭანეთისა“, რომელიც ცალკე წიგნაკადაც გამოვიდა, მოგვიანებით კი იგივე ნაშრომი პეტრე მირიანაშვილმა პარიზის ერთ-ერთ ჟურნალში გამოაქვეყნა.

ქართული პრესა სათანადოდ ასახავდა დავით ჩუბინაშვილის მეცნიერულ-პედაგოგიურ საქმიანობას. გაზეთმა „ივერიამ“ რუსული პრესის დამოწმებით თავის მკითხველებს პირველად აცნობა, რომ ვენაში შეკრებილი ორიენტალისტებისათვის განსახილველად დ. ჩუბინაშვილს ორი წერილი წარედგინა: „პონტოს ერა ანუ საიდან იწყება ქართული ქორონიკონი“ და „მცირე აზიაში რა ადგილებამდე მოსახლეობდნენ ქართველები“. იგივე გაზეთი 1877 წელს იუწყებოდა პეტერბურგელი ქართველოლოგის მიერ ახალი, უფრო ვრცელი ლექსიკონის სასტამბოდ მომზადებას და მკითხველებს აცნობდა მეცნიერების გადაწყვეტილებას ლექსიკონისაგან შემოსული ფულით და ზოგიერთი სხვა სახსრებით ქართველი ახალგაზრდებისათვის რომელიმე უნივერსიტეტში სტიპენდიის დაწესების შესახებ.

თანამემამულეებისათვის სრულფასოვანი ლექსიკონის გამოცემის სურვილი დ. ჩუბინაშვილს იმდენად ძლიერი აღმოაჩნდა, რომ იგი საკუთარი სახსრებით შეუდგა ნაშრომის ბეჭდვას, მაგრამ ფინანსურ სიძნელეებს წააწყდა თუ ჩვეულებრივ, ერთი საბეჭდი ფორმის აწყობა და სასტამბოდ მომზადება ათი მანეთი ღირდა, მას 38 მანეთი დაუფასეს.

დავითი იძულებული გახდა თხოვნით მიემართა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტისათვის — თქვენს ხარჯზე ლექსიკონს თუ არ დაბეჭდავთ, მისი ძვირადღირებული გამოცემა მაინც შემიმსუბუქეთო. 1885 წლის ნოემბერში დ. ჩუბინაშვილი კვლავ აღნიშნავდა: მომზადებული მაქვს ქართულ-რუსული და რუსულ-ქართული ლექსიკონები ფრანგულის გარეშე, მთლიანად გამოცემისათვის თანხები არ მყოფნის და დამეხმარეთო.

დავითმა ამ თხოვნაზე თუმცა უარი მიიღო, ლექსიკონების გამოცემისათვის ზრუნვა მაინც ერთი წუთითაც არ შეუწყვეტია. საქმიანობა მას შემდეგ კიდევ უფრო განაახლა, რაც ი. ოქრომჭედლიშვილმა მატერიალური დახმარება აღმოუჩინა. „ჩემო ილიავ, — წერდა იგი თავის ყოფილ სტუდენტს, — შენი წერილი ფულითურთ მივიღე, თუ შენ არ მოგესწრო შენის უხვი შეწევნით, ჩემი ლექსიკონის გამოსვლა ძალიან დაგვიანდებოდა, რადგანაც განსაკუთრებული ფული დაბეჭდვისათვის მე არ მქონდა, უნდა მომეცადა რუსულ-ქართული ლექსიკონის გაყიდვისათვის, ხუთი ან მეტი წელი გაივლიდა“.[9]

1887 წელს დაიბეჭდა ქართულ-რუსული ლექსიკონი სათაურით „საუნჯე ქართული ენისა“. ნაშრომი მშვენივრად იყო გამოცემული. ქართველმა საზოგადოებრიობამ მისი ავტორი ქებით მოიხსენია. „დღეს მოგვივიდა პატივცემული პროფესორის დავით ჩუბინაშვილის მიერ შედგენილი ახალი ქართულ-რუსული ლექსიკონი, თქმა არ უნდა, რომ ეს წიგნი მართლა საუნჯეა ჩვენის ენის, ლიტერატურისა და სიტყვიერებისათვის. საქართველო არ დაივიწყებს ამისთანა მშრომელის სახელს“, წერდა გაზეთი „ივერია“.

თანამემამულეთა ასეთი მხარდაჭერით აღფრთოვანებული მეცნიერი ხალისით განაგრძობდა ლექსიკონზე მუშაობას, პერიოდული პრესით თუ თავის ყოფილ სტუდენტებთან მიმოწერით ეცნობოდა ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებას. „პეტერბურგში გადახვეწილ მოღვაწეს“, ბუნებრივია, ყველაფერი აინტერესებდა, რაც საქართველოს კულტურულ წინსვლას შეეხებოდა. ამ ხანებში ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას იგი ატყობინებდა, რუსულ-ქართულ ლექსიკონს, ქართულ გრამატიკას და ქართულ-რუსულ-ფრანგულ ლექსიკონს სამუდამო საკუთრებად ვუთმობ საზოგადოებას, ოღონდ გამოსცეს და რაც სარგებლობა იქნება, თავისი საჭიროებისათვის მოიხმაროსო.[10] ქართულ-რუსული ლექსიკონი საზოგადოებამ მოგვიანებით, 1901 წელს მართლაც გამოსცა თბილისში.

80-იან წლებში დ. ჩუბინაშვილი აქტიურად მონაწილეობდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საქმიანობაში, რომლის საპატიო წევრადაც 1880 წელს აირჩიეს, გარდა ამისა, კონსულტაციებს უწევდა კავკასიის არქეოლოგიის მოყვარულთა საზოგადოების წევრებს.

„საქართველოში რას სჩადიან, როგორ მიდის წერა-კითხვის საზოგადოების საქმე?“ — ეკითხებოდა დ. ჩუბინაშვილი პირად წერილებში სამშობლოში მყოფ ი. ოქრომჭედლიშვილსა და სხვა ქართველ მოღვაწეებს. ნაცნობ-მეგობრებთან უშუალო შეხვედრა მან მცირე ხნით 1875 წელს მოახერხა, ხოლო უფრო დიდხანს (თითქმის ორთვენახევარი) საქართველოში 1881 წლის სექტემბერ-ნოემბერში დაჰყო, როცა პეტერბურგსა და მოსკოვში მოღვაწე

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვა ქართველოლოგებთან ერთად რუსეთის არქეოლოგთა მე-5 ყრილობაზე მონაწილეობის მისაღებად თბილისში ჩამოვიდა.

ქართველი ხალხი სახელოვან მეცნიერებს აღტაცებით ხვდებოდა ყრილობის დელეგატებისათვის სხვადასხვა ადგილას გამართულ საღამოებზე, სადაც დ. ჩუბინაშვილმა და ალ. ცაგარელმა თავიანთი გამოსვლები მშობლიური მწერლობის განვითარების, საქართველოს და რუსეთის ისტორიული ურთიერთობისა და ქართული თეატრის აღორძინების საკითხებს მიუძღვნეს.

ყრილობის შემდეგ საქართველოში დარჩენილმა დ. ჩუბინაშვილმა მონაწილეობა მიიღო წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მუშაობაში, გაეცნო მის წიგნთსაცავსა და ქართველ საზოგადო მოღვაწეთა პირად ბიბლიოთეკებს, საჯარო ლექციები წაიკითხა ანტონ კათალიკოსის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე, დაესწრო „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი კომისიის სხდომებს და სხვა კულტურულ საგანმანათლებლო ღონისძიებებს: ორი თვის მანძილზე მოგზაურობდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, რის შედეგად თავისი ლექსიკონებისათვის შეისწავლა ხალხში გავრცელებული იშვიათი სიტყვები, ანდაზები და ხატოვანი თქმები.

საქართველოში დ. ჩუბინაშვილის მოგზაურობას ქართველი საზოგადო მოღვაწეები დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. ჟურნალ „ივერიის“ 1882 წლის პირველ ნომერში გამოქვეყნებულ „შინაურ მიმოხილვაში“ იაკობ გოგებაშვილი აღნიშნავდა, რომ ქართველმა ხალხმა დ. ჩუბინაშვილისადმი გულითადი მიგებებით აშკარად დაამტკიცა ეროვნული პრინციპის ღრმა ცოდნა და მნიშვნელობა. წერილის ავტორი იხსენებდა გრანდიოზულ დღესასწაულს, რომელიც საფრანგეთის საზოგადოებამ გაუმართა ვიქტორ ჰიუგოს მისი იუბილეს დროს და აღნიშნავდა, რომ ჩვენში დიდხანს გულგრილად უცქეროდნენ იმ პირთა მოღვაწეობას, ვინც ხელს უწყობდა ერის კულტურულ აღორძინებასა და მათში სიამაყის გრძნობის ჩანერგვას, ერთი უპირველესი ღონისძიება მამულის სიყვარულის გაძლიერებისა, — განაგრძობდა ი. გოგებაშვილი — პატრიოტიზმია, მხურვალე თანაგრძნობაა საზოგადოების მხრივ მამულიშვილის მოქმედებისადმი. მათი წაქეზება, გამხნევება პატივისცემის გამოცხადებით, საზოგადოების თანაგრძნობა და ღირსეული დაფასება ქვეყნის სამსახურისა მოქმედს პირს ერთიორად უმატებს ძალას, ფრთებსასხამს და ადვილად ატანინებს ყოველგვარ განსაცდელს ეკლიან გზაზე. „ბ-ნ ჩუბინაშვილის მიგებება, მიმომხილველის აზრით, არის ერთი იმ ფაქტთაგანი, მოვლენათაგანი, რომელიც გამოაშკარავებს ამ სასიხარულო ცვლილებას ჩვენს საზოგადოებაში, და გვაჩვენებს, რომ ეროვნობითის პრინციპის მნიშვნელობა, ხალხოსნური მიმართულების დაფასება ინტელიგენციის მცირე დასიდგან საზოგადოებაში გავრცელდა და ღრმად იდგამს ფესვსა“.

ქართველი მოღვაწეები ამ „ეროვნული მიგებების“ შემდეგაც ხშირად ხვდებოდნენ სახელოვან მამულიშვილს პეტერბურგსა და საქართველოში, იღებდნენ მის ახალ გამოცემულ ნაშრომებსა თუ პირად წერილებს. უნდა ითქვას, რომ ჩვენი საზოგადოებრიობა ყოველ შემთხვევას მოხერხებულად იყენებდა მხცოვანი მეცნიერის დამსახურების აღსანიშნავად.

ქართველი საზოგადოებისაგან ასეთივე ყურადღებასა და მხარდაჭერას პოულობდა ალექსანდრე ცაგარელის პატრიოტული მოღვაწეობა. წლითიწლობით ფართოვდებოდა და ღრმავდებოდა პეტერბურგელი ქართველოლოგის ურთიერთობა და მეგობრული კავშირები ქართველ მწერლებთან და საზოგადო მოღვაწეებთან. საყურადღებოა, რომ გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან საქართველოს პერიოდული პრესის თითქმის არცერთი ორგანო არ დარჩენილა, რომ სახელოვანი მამულიშვილის მოღვაწეობას ამა თუ იმ ფორმით (წერილი, ინფორმაცია, ინტერვიუ თუ სხვა) არ გამოხმაურებოდა. ქართველი საზოგადოების ასეთი აღიარება ალექსანდრე ცაგარელმა მრავალი წლის მანძილზე ნაყოფიერი კვლევა-ძიებით და ქვეყნისათვის სასარგებლო მოღვაწეობით დაიმსახურა.

პეტერბურგელ ქართველოლოგს საქართველოს კულტურული ცხოვრების ყოველი წვრილმანი აინტერესებდა: ვინ რა წიგნი გამოსცა, რა მუშაობას ეწეოდნენ ადგილობრივი მკვლევართა კადრები, რა წარმატებებს მიაღწია წელში გამართულმა ქართულმა თეატრმა და სხვა. იგი დიდად აფასებდა ხალხური სიტყვიერების შეკრება-გამოცემის საქმეს, რადგან ეს მოზარდი თაობის გონებრივ საზრდოდ მიაჩნდა, თავის წერილებში კმაყოფილებით იხსენიებდა საქართველოში ამ მიმართებით გაწეულ მუშაობას და ხალხური საუნჯის შემკრებლებს ყოველნაირად ამხნევებდა.

ალ. ცაგარლის ეპისტოლურ მემკვიდრეობაში კარგად ჩანს ამა თუ იმ საზოგადოებრივი მოვლენისა თუ კონკრეტული საკითხისადმი დამოკიდებულება. ადრესატებს იგი ხშირად უზიარებდა თავის შთაბეჭდილებებს პეტერბურგის, მიუნხენის, ტიუბინგენის, ჟენევის, ვენისა და სხვა ქალაქების კულტურული ცხოვრების შესახებ.

განსაკუთრებით საყურადღებოა მეცნიერის წერილები ქართველი საზოგადო მოღვაწეებისადმი, სადაც იგი ჩვენი კულტურის ინტერესების ღირსეულ დამცველად და ქართველი ხალხის კულტურულ ფასეულობათა დიდ პოპულარიზატორად გვევლინება. აღნიშნულ წერილებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში დასმულია „ვეფხისტყაოსნის“ გერმანულად თარგმნის, ქართული ხალხური სიტყვიერების შეკრების აუცილებლობის, თბილისში მუზეუმის მშენებლობის, ისტორიულ ძეგლთა მოვლა-პატრონობის, სტუდენტი ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდის, ქართული ეკლესიის ავტოკეფალიისა და მრავალი სხვა საკითხი.

თუნდაც ის ფაქტი, რომ ხსენებული წერილების ადრესატები ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, კირილე ლორთქიფანიძე, დავით ჩუბინაშვილი, პეტრე უმიკაშვილი, მიხეილ მაჩაბელი, ანასტასია თუმანიშვილი-წერეთელი, ექვთიმე თაყაიშვილი და სხვა გამოჩენილი მოღვაწენი არიან, წერილების დიდ მნიშვნელობას მოწმობს.

პეტერბურგელ ქართველოლოგს მიმოწერა ჰქონდა აგრეთვე რუს და ევროპელ სწავლულებთან — სხვადასხვა ქვეყნებში ქართული კულტურის საკითხებით დაინტერესებულ ადამიანებთან. მრავალთა შორის უნდა გამოვყოთ მისი ურთიერთობა ა. ნ. ვესელოვსკისთან, ფ. ი. უსპენსკისთან, არტურ ლაისტთან, მარჯორი და ოლივერ უორდროპებთან, ვ. მორფილთან.

რა თქმა უნდა, ალ. ცაგარლის ეპისტოლარული მემკვიდრეობა ამით არ ამოიწურება. ამ მემკვიდრეობის შესწავლის ინტერესები მოითხოვს გულდასმით გაისინჯოს მოსკოვის, ლენინგრადისა და სხვა საუნივერსიტეტო ქალაქების სახელმწიფო არქივებში დაცული საზოგადო მოღვაწეთა პირადი ფონდები, სხვა მასალები, მუზეუმებისა და ბიბლიოთეკების ხელნაწერთა განყოფილებები, რომლებიც, ეჭვი არ არის, ნათელს მოჰფენს ქართველ და რუს მეცნიერთა ურთიერთობის ბევრ საინტერესო საკითხს.

ერთი რამ ცხადია: სადაც უნდა ყოფილიყო ალ. ცაგარელი, მას მუდამ ერთი მიზანი ჰქონდა — მრავალსაუკუნოვანი ქართული მწერლობა და საქართველოს ისტორიული წარსული ფართო საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი გაეხადა და ამ მონაპოვრებისათვის მსოფლიო კულტურის საგანძურში თავისი კუთვნილი ადგილი მიეჩინა.

აქ ვერ შევეხებით ყველა იმ დამსახურებას, რომელიც საერთოდ პეტერბურგელ ქართველოლოგებს და, კერძოდ, ალექსანდრე ცაგარელს მიუძღვის ქართული კულტურის წინაშე. მკითხველის ყურადღებას მხოლოდ რამდენიმე მომენტზე შევაჩერებთ, რომლებიც პეტერბურგელი ქართველოლოგის სახელს უკავშირდება. ეს, უპირველესად, საქართველოს ენციკლოპედიის გამოცემისათვის გაწეულ მოსამზადებელ სამუშაოებს შეეხება.

ცნობილია, რომ საქართველოში ენციკლოპედიური ლიტერატურის შედგენის ტრადიციები საუკუნეების მანძილზე ვითარდებოდა და იხვეწებოდა. რომ ამ პატრიოტულ წამოწყებას რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში მოღვაწე ქართველი სწავლულები — პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორი ალექსანდრე ცაგარელი, ოდესის უნივერსიტეტის პროფესორი ვასილ პეტრიაშვილი და მოსკოვის ლაზარევის სახელობის აღმოსავლურ ენათა ინსტიტუტის პროფესორი ალექსანდრე ხახანაშვილი ხელმძღვანელობდნენ.

„საქართველოს ენციკლოპედიის! გამოსაცემად შეიქმნა ამხანაგობა „ცისკარი“, რომლის გამგეობაში შევიდნენ ი. გოგებაშვილი, ფ. გოგიჩაიშვილი, პ. გოთუა, პ. თუმანიშვილი, კ. თუმანიშვილი და ი. მაჭავარიანი. ენციკლოპედიის გამოცემა ათ განყოფილებად იყო გათვალისწინებული, პირველ განყოფილებაში, რომელიც საქართველოს ისტორიის საკითხებს ეთმობოდა, განიხილებოდა საქართველოს ისტორიისა და ქართული ისტორიოგრაფიის წყაროები, საქართველოს პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიური ისტორია უძველესი პერიოდიდან ქრისტიანობის მიღებამდე, ქრისტიანობის მიღებიდან თამარ მეფის გარდაცვალებამდე, თამარის გარდაცვალებიდან რუსეთთან შეერთებამდე, საქართველო მე-19 საუკუნეში.

მეორე განყოფილება მთლიანად ეძღვნებოდა მაშინდელი საქართველოს ფიზიკური გეოგრაფიის საკითხებს (საზღვრები, რელიეფი, ჰიდროგრაფია, ფლორა და ფაუნა, კლიმატი და სხვ.).

მესამე განყოფილება საქართველოს მოსახლეობას ეთმობოდა და შემდეგ საკითხებს მოიცავდა: საქართველოს მოსახლეობის შესახებ არსებული წყაროები, საქართველოს ანთროპოლოგიური თვალსაზრისით, მოსახლეობის რაოდენობა, სიმჭიდროვე და შემადგენლობა, მოსახლეობის მოძრაობა (ქორწინება, შობადობა, სიკვდილიანობა, იმიგრაცია და მიგრაცია), ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის შეფარდება, ოჯახების რაოდენობა. შემდეგ უნდა განხილულიყო საქართველოს ეკონომიური მდგომარეობა, მიწათმოქმედება, მევენახეობა, მეცხოველეობა, მეფრინველეობა, ტყე და ტყის მეურნეობა, სარეწაო მეურნეობა, მონადირეობა, მეთევზეობა... ამავე განყოფილებაში ცალკე თავები ჰქონდა დათმობილი ვაჭრობის საკითხებს.

დაიბეჭდებოდა მასალები ქალაქებსა და დასახლებულ პუნქტებზე, მათ შორის ისტორიულ-გეოგრაფიული ნარკვევები ქალაქების თბილისის, მცხეთის, ქუთაისის, ბათუმის, ფოთის, გორის, თელავის, სიღნაღის, ოზურგეთის, სოხუმის და სხვათა შესახებ.

მეხუთე განყოფილება მთლიანად საქართველოს მმართველობის ორგანოებს ეთმობოდა.

ცალკე განყოფილებაში განიხილებოდა სხვა ენათა ოჯახში ქართული ენის ადგილი, მისი კილოები, ენის განვითარების ისტორია, გრამატიკა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლება უნდა დათმობოდა ქართული ლიტერატურის ისტორიას, ლიტერატურულ ურთიერთობებს; განიხილებოდა იმდროინდელი ქართული მწერლობის მდგომარეობა და მისი განვითარების ხელის შემშლელი მიზეზები. ისტორიული ნარკვევი ეთმობოდა საქართველოში წიგნის ბეჭდვის საქმეს, სტამბების, წიგნის გამომცემელთა ამხანაგობების, წიგნებისა და ჟურნალ გაზეთების გამოცემის მდგომარეობას.

მერვე და მეცხრე განყოფილებებში აისახებოდა სახალხო განათლების მდგომარეობა და მისი ნაკლოვანებები, ქართული მეცნიერება (ფილოსოფია, სამართალი, მედიცინა), დრამატული ხელოვნება და თეატრი, ფერწერა, არქიტექტურა, მუსიკა და ქორეოგრაფია.

საქართველოს ენციკლოპედიის მეათე, უკანასკნელი განყოფილების სათაურია „ნარკვევები ქართველთა სოციალურ ცხოვრებაზე". ნაშრომის ამ მონაკვეთში განიხილებოდა ქართველთა სამართლებრივი მდგომარეობა, ყოფა, ზნე-ჩვეულებები, დამახასიათებელი თავისებურებები, ჩაცმულობა, წოდებათა ურთიერთობა, ქართველთა ურთიერთობა მეზობელ ხალხებთან, მიწის საკითხი, ქართველი ქალი, ქართველი საზოგადო მოღვაწეები და სხვა აქტუალური და მნიშვნელობით ყურადსაღები მოვლენები.

როგორც ვხედავთ, საქართველოს ენციკლოპედიის ზემოთ მოცემულ პროგრამაში ბევრი ისეთი საკითხია გათვალისწინებული, რომელთა კვალიფიკაციური განხილვა ზოგად სურათს შექმნიდა ჩვენი ხალხის კულტურული მონაპოვრებისა და იმდროინდელი ქართული მეცნიერების განვითარების დონეზე, ხელს შეუწყობდა ამ მიღწევათა თავმოყრასა და სათანადო შესწავლას, პროგრამის შესადგენად ნაყოფიერი შრომაა გაწეული, მაგრამ მეცნიერების განვითარებისათვის მაშინდელმა ხელისშემშლელმა მიზეზებმა შეაფერხა ეს კარგად დაწყებული საქმე.

ქართველი საზოგადოების დიდი ხნის ოცნება ახლახან განხორციელდა. ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის პირველი ტომის გამოსვლა ჩვენი ერის კულტურულ ცხოვრებაში უდიდესი მნიშვნელობის მოვლენაა. მისი გამოცემა საქართველოში ენციკლოპედიური და ლექსიკოლოგიური საქმიანობის მდიდარი ტრადიციების გაგრძელებაა.

პეტერბურგის ქართველოლოგიის სკოლის უფროსი თაობის წარმომადგენლებს ასევე დიდი დამსახურება მიუძღვით თბილისის უნივერსიტეტისათვის მტკიცე საფუძვლის მომზადების თვალსაზრისით. სწორედ მათ აღზარდეს სპეციალისტთა მთელი რაზმი ,მეცნიერთა ჯგუფი, რომელმაც აქტიური მუშაობა გაშალა ეროვნული უმაღლესი სასწავლებლის შექმნისათვის.

1918 წელს ივანე ჯავახიშვილისა და ჩვენი კულტურის სხვა მოღვაწეების თავდაუზოგავი ბრძოლით თბილისში ქართული უნივერსიტეტი გაიხსნა. საქართველოს საზოგადოებრიობა უდიდესი აღფრთოვანებით შეეგება ამ მოვლენას.

„ახდა გულის წადილი, — წერდა მოსე ჯანაშვილი, — ამწვანდა ეროვნული შემეცნების ნიადაგი, რომლის გაფხვიერება იწყეს ბროსემ, ბაქრაძემ, ცაგარელმა და მომდევნოებმა. ივ. ჯავახიშვილი, რომელმაც იკისრა ყველაზე დიდი ტვირთი — გუთნის დედობა, წმინდა ოფლს ღვრის საყვარელი სამშობლოს დიდების საკურთხეველზე, ყოვლად უანგაროდ იღვწის, რათა მტკიცე საფუძველზე დაამყაროს ქართული დარგი მეცნიერებისა... ჯავახიშვილის მხნეობამ ყოველივე დაბრკოლება დასძლია და ახალი ლამპარი აგვინთო, ქართული გიმნაზიის შენობა გვიქცია ეროვნული დიდების ტაძრად. მისი პირველი უნივერსიტეტის სავანედ".[12]

თბილისის უნივერსიტეტის გამგეობა მიმოწერას ამყარებს გამოჩენილ თანამემამულეებთან და მათ სამუშაოდ იწვევდა. ბუნებრივია, ქართველ მოღვაწეებს ალექსანდრე ცაგარლის სახით რუსეთისა და ევროპის მეცნიერულ წრეებში აღიარებული მკვლევარი ეგულებოდათ. ამიტომ სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის დეკანი კ. კეკელიძე და მდივანი გ. ახვლედიანი 1920 წლის 8 მაისს უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს მოახსენებდნენ, რომ ფაკულტეტმა თავის 5 მაისის სხდომაზე პეტერბურგის უნივერსიტეტის დამსახურებული პროფესორი ალ. ცაგარელი ერთხმად აირჩია სახელმწიფო უნივერსიტეტის დამსახურებულ პროფესორად.[13]

უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს სახელით გაგზავნილ ბარათში ნათქვამი იყო: „დამსახურებულ პროფესორ ალექსანდრე ცაგარელს. პატივი გვაქვს გაუწყოთ, რომ პროფესორთა საბჭომ 1920 წლის 8 მაისს თქვენ აგირჩიათ ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამსახურებულ პროფესორად მიმდინარე წლის პირველი მაისიდან. რექტორი ივ. ჯავახიშვილი, საბჭოს მდივანი ა. შანიძე".

აქედან იწყება პეტერბურგელი ქართველოლოგის ხანმოკლე მოღვაწეობა სამშობლოში. მუდმივ საცხოვრებლად თბილისში გადმოსული ალ. ცაგარელი აღტაცებული იყო იმის გამო, რომ ლექციებს კითხულობდა ქართულ უმაღლეს სასწავლებელში. სიხარულს ისიც აძლიერებდა, რომ ამ დროს ქართველ ახალგაზრდობას მეცნიერული კვლევის ჩვევებს გადასცემდნენ პეტერბურგის უნივერსიტეტის ყოფილი სტუდენტები — ივანე ჯავახიშვილი, ექვთიმე თაყაიშვილი, აკაკი შანიძე, იოსებ ყიფშიძე და სხვები. ალექსანდრე ცაგარელს ქართული ლიტერატურისა და საქართველოს პოლიტიკურ ურთიერთობათა ისტორიის კურსის წაკითხვა დაეკისრა.

სახელოვან მეცნიერს აკაკი შანიძე ასე ახასიათებდა: „როგორც ადამიანი, პროფ. ალექ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სანდრე ცაგარელი იყო მეტად თბილი და თავისი ენაწყლიანობით, ოხუნჯობით და ტკბილი შექცევით ყოველთვის და ყველასათვის სანდომი და საყვარელი. როგორც მოქალაქე, იგი დიდი ინტერესით ადევნებდა თვალყურს ყველაფერს, რაც ხდებოდა ირგვლივ და განსაკუთრებით გული უცემდა საქართველოს აღორძინებისათვის".[14] სიცოცხლის უკანასკნელ წლებში სამშობლოსადმი თავისი უსაზღვრო სიყვარული ა. ცაგარელმა იმითაც გამოხატა რომ საკუთარი ბიბლიოთეკა სტუდენტი ახალგაზრდობისათვის გადასცა თბილისის უნივერსიტეტის წიგნთსაცავს.

ქართული კულტურისა და მეცნიერების წინაშე ალექსანდრე ცაგარლის დამსახურების აღსანიშნავად ქართველმა საზოგადოებამ ჯერ კიდევ 1922 წლის ოქტომბერში ფართოდ აღნიშნა მისი მოღვაწეობის ორმოცდამეათე წლისთავი.

ასე იყო მუდამ. ქართველი საზოგადოებრიობა ყოველთვის აქტიურად ეხმარებოდა, ამხნევებდა და მხარს უჭერდა პეტერბურგელ ქართველოლოგებს, რადგან მათი მოღვაწეობა ქართველი ხალხის კულტურული აღორძინების, რუსეთის პროგრესულ ადამიანებთან დაახლოებისა და მოწინავე რუსული კულტურის შეთვისების ერთ-ერთ მთავარ პირობად იყო მიჩნეული.

საკმარისია ითქვას, რომ გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან საქართველოში ძნელად მოიძებნება მეტნაკლებად ცნობილი ისტორიკოსი, მწერალი, ჟურნალისტი და საზოგადო მოღვაწე, პეტერბურგელ ქართველოლოგებთან, პირადი ნაცნობობა და მიწერ-მოწერა რომ არ ჰქონოდა.

რუსეთის ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლებთან, რუსეთისა და ევროპის მეცნიერულ წრეებთან უშუალო ურთიერთობამ, ბუნებრივია, კიდევ უფრო გააფართოვა ქართული კულტურის მოღვაწეთა მეცნიერული ჰორიზონტი, ისინი ეპოქის შესაფერისი სოციალურ-პოლიტიკური იდეალებით შეაიარაღა და საშუალება მისცა აქტიური მონაწილეობა მიეღოთ საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

პეტერბურგის უნივერსიტეტში მოღვაწე მეცნიერმა ქართველოლოგებმა დიდი როლი შეასრულეს როგორც საქართველოს საზოგადოებრივი აზროვნების, ისე ქართული ლიტერატურის, ხელოვნებისა და მეცნიერების განვითარებაში. აქ ბევრ კარგ წამოწყებას ჩაეყარა საფუძველი. მათი პუბლიკაციების, ქართველი ხალხის ისტორიოგრაფიისა და მდიდარი კულტურული მემკვიდრეობის სისტემატური შესწავლის შედეგად რუსეთის საზოგადოებრიობა ეცნობოდა საქართველოს ისტორიის წარსულს, მის ლიტერატურასა და მატერიალური კულტურის ძეგლებს.

პეტერბურგელი ქართველოლოგების მეცნიერული მემკვიდრეობისადმი ინტერესი განსაკუთრებით გაიზარდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. უკანასკნელ დროს სულ უფრო მზარდი ინტერესი შეინიშნება პეტერბურგის ქართველოლოგიის სკოლის საუკეთესო წარმომადგენლების მოღვაწეობისადმი; ამ მხრივ გააქტიურება ეტყობათ მკვლევარ-ფილოლოგებს, ლინგვისტებს, იურისტებს და ისტორიკოსებს, რომლებმაც აღნიშნულ საკითხებს საგანგებო ნაშრომები და ცალკეული წერილები მიუძღვნეს.

და მაინც, ქართული მეცნიერებისა და კულტურის წინაშე პეტერბურგის ქართველოლოგიის სკოლის როლი და დამსახურება ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ შესწავლილი. პეტერბურგელი ქართველოლოგების ღვაწლი კი მეტ ყურადღებას მოითხოვს და მეცნიერული განზოგადების ღირსია.

## შენიშვნები

1 ივ. ჯავახიშვილი, მამულიშვილობა და მეცნიერება, ტფ. 1904, გვ. 11.

2 გაზ. „საქართველო" 1916, № 140.

3 ნიკო ნიკოლაძე, რჩეული ნაწერები, ტ. I, თბ. 1931, გვ. 76.

4 სერგეი მესხი, თხზ. სამ ტომად. ტ. III, თბ. 1955, გვ. 97.

5 იაკობ გოგებაშვილი, თხზულებანი, ტ. 2, თბ. 1954, გვ. 157.

6 გაზ. „დროება", 1885, № 152.

7 ნ. ბერძენოვი, პ. უმიკაშვილი, გ. წერეთელი — ძველი წიგნების გამოცემაზე, გაზ. „დროება", 1869, № 52.

8 სსრკ მეცნიერებათა აკადემიის არქივი (ლენინგრადი), ფონდი 2, ნაწ. I. საქმე № 11, ფურც. 16.

9 გ. ლეონიძის სახელობის საქართველოს ლიტერატურული მუზეუმი, 19276-ი.

10 ლიტერატურული მუზეუმი, 19277-ხ.

11 „ივერია", 1882, № 1.

12 მ. ჯანაშვილი, ქართული უნივერსიტეტი, გაზ. „საქართველო" 1918, № 10.

13 საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 471, საქმე 69, ფურც. 60,67.

14 „ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე", 1930, 10, გვ. 11.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გიორგი სააკაძის უკანასკნელი დღეების შესახებ ოსმალეთში

ფართო საზოგადოებისათვის კარგადაა ცნობილი გიორგი სააკაძის ბიოგრაფიის ძირითადი მომენტები. სიცოცხლის უკანასკნელი წლები დიდმა მოურავმა ოსმალეთში გაატარა და აღსასრულიც იქვე ჰპოვა. 1629 წლის 3 ოქტომბერს, ოსმალეთის დიდი ვეზირის ხუსრევ ფაშას (1628 წ. აპრილი — 1630 წ. ნოემბერი)[1] ბრძანებით გიორგი სააკაძესა და მის თანმხლებ ქართველებს ალეპოში (ჰალაბში) თავი მოკვეთეს.

წინამდებარე წერილში მიზნად დავისახეთ დავადგინოთ, რატომ დასაჯა ოსმალეთის მთავრობამ დიდი მოურავი.

სანამ ჩვენთვის საინტერესო საკითხს შეძლებისდაგვარად გავარკვევდეთ, აუცილებელია შევიხსენოთ, რა გარემოებამ აიძულა სახელმოხვეჭილი სარდალი ოსმალეთს შეხიზნოდა.

მარტყოფის ბრძოლის გმირი გიორგი სააკაძე, ამ ბრძოლის შემდეგ უპირველეს ფიგურად იქცა საქართველოში. ქართლ-კახეთის გაერთიანებული სამეფოს სათავეში მდგომი თეიმურაზ I გარკვეულ ხანს იძულებული იყო ანგარიში გაეწია მისთვის. თეიმურაზისათვის იოლი ასატანი როდი იყო ის ფაქტი, რომ ოსმალეთის სულთანი სააკაძეს „ქართლის მპყრობელ მოურავ-ხანს“ უწოდებდა და ელჩებს უგზავნიდა.[2] ცხადია, ასეთი ვითარება დიდხანს ვერ გასტანდა. თეიმურაზისა და სააკაძის კონფლიქტს საფუძვლად ქართლში უპირატესი გავლენის მოპოვება ედო.[3] 1926 წლისათვის მკაფიოდ გამოიკვეთა ორი ურთიერთსაწინააღმდეგო დაჯგუფება: თეიმურაზისა და გიორგი სააკაძისა. ქართლის წარჩინებულთა ერთი ნაწილი მეფეს უჭერდა მხარს, ხოლო მეორე — გიორგი სააკაძეს. კონფლიქტში ოსმალეთი და ირანიც ჩაერთვნენ, ირანმა ყიზილბაშები მიაშველა თეიმურაზს, სულთანმა მურად IV-ემ იმერეთის მეფეს, ოდიშისა და გურიის მთავრებს ბრძანებები დაუგზავნა, მოურავისათვის დახმარება გაეწიათ,[4] ასევე ბრძანებები დაეგზავნათ თვით ოსმალო დიდმოხელეებს. საფარ-ფაშას, მურთაზა-ბეგს, ბათუმის ბეგლარ-ბეგს ომერ-ფაშას, ტრაპიზონის, არზრუმისა და ანატოლიის ეიალეთის ფაშებსა და იანიჩრებს.[5] შეტაკება თეიმურაზ მეფესა და სააკაძეს შორის აუცილებელი ჩანდა. მათ შორის ბრძოლა 1626 წლის შემოდგომაზე, ბაზალეთთან მოხდა. „ბაზალეთის ომი არ იყო თეიმურაზ მეფისა და გიორგი სააკაძის შორის მომხდარი უბრალო განხეთქილების შედეგი, რომელიც ლოკალურ ხასიათს ატარებდა, არამედ მას უფრო ფართო მნიშვნელობა ჰქონდა, ბაზალეთის ომი ფაქტიურად ასახავდა საქართველოში ირანული და ოსმალური ორიენტირების დაპირისპირებას“.[6] ბაზალეთის ბრძოლაში გიორგი სააკაძე დამარცხდა და იძულებული შეიქნა ოსმალეთში გადასულიყო, სადაც მან ყაჰრამანის (კონიის) ბეგლარბეგობა მიიღო. ამის შემდგომ დიდი მოურავი საქართველოში აღარ დაბრუნებულა.

დიდი მოურავის ბიოგრაფი იოსებ ტფილელი, ფარსადან გორგიჯანიძე და ვახუშტი ბატონიშვილი, როდესაც სააკაძის დაღუპვას ეხებიან, იმ აზრს ავითარებენ, რომ დიდმა ვეზირმა ხუსრევ ფაშამ შურის გამო მოაკვლევინა გამოჩენილი სარდალი.[7] ხუსრევ ფაშას თითქოს არ მოსწონდა დიდი მოურავის პოპულარობა ოსმალეთში. დიდ ვეზირს თვით ოსმალური წყაროებიც მოშურნე და მუხანათ პიროვნებად გვიხატავენ, მაგრამ სააკაძის მოკვლას კი უფრო სხვა გარემოებას აბრალებენ. მუსტაფა ნაიმას ცნობით: „ყარამანში მას (გიორგი სააკაძეს, ი. ა.) მიეტმასნენ ზოგნი ბოროტმოქმედნი პირნი, რომელნიც მძლავრობასა და უწესრიგობას ჩადიოდნენ, სახელი კი მისი, მოურავისა იყო ამის გამო მომჩივრები დიდვეზირს ეახლნენ. მეგობრებმა მოურავს უთხრეს, რომ ხუსრევ ფაშა მოსისხარი ვეზირია, შეიძლება შენ გაგიმეტოს კიდევაცო. მოურავი საგონებელში ჩაიგდეს და წააქეზეს რომელიმე მიმართულებით გაქცეულიყო“.[8]

ძალზე საინტერესოა იმავე ავტორთან დაცული ერთი პატარა დეტალი: „ხუსრევ ფაშა სისხლის მოყვარული და მუხანათი კაცი იყო. მხოლოდდამხოლოდ იმიტომ, რომ სისხლის დაღვრა ეწადა, მან ხონთქრისათვის შეუტყობინებლად ვითომდა მოურავი საქართველოში წა-

ვ ა ო (ხაზი ჩვენია, ი. ა.), მოჰკლა ასეთი გმირი მოხუცი".[9] ეს მეტად მნიშვნელოვანი ცნობაა. ძნელი დასაჯერებელია, რომ ოსმალეთის ვეებერთელა იმპერიის დიდ ვეზირს მხოლოდ შურიანობა ამოძრავებდა, როცა სააკაძეს თავს კვეთდა. მას სათანადო საბაბიც მოუტანია: „მოურავი საქართველოში წავაო". XVII საუკუნის ოსმალო ისტორიკოსის, ქათიბ ჩელების ცნობით (აღსანიშნავია, რომ მუსტაფა ნაიმა მისი ცნობებით სარგებლობს)[10] კონიელთა საჩივრების გამო სააკაძე ანატოლიიდან გაიქცა და იგი მალათიაში შეიპყრო ზორ ფაშამ.[11] იმავე ავტორის ცნობით, მოურავისათვის ხმები გაუვრცელებიათ „გურჯისტანში გაიქცაო".[12] ოსმალო ისტორიკოსებს ამ ვერსიის ნაკლებად სჯერათ და სააკაძის" „გურჯისტანში გაქცევა" ხუსრევ ფაშას, სიცრუე ჰგონიათ, მაგრამ თუ დავუკვირდებით, განა მოსალოდნელი არ იყო, დიდ მოურავს, საქართველოში დაბრუნებაზე ეფიქრა? „არაა გამორიცხული რომ თითქმის სამი წლის ლოდინის შემდეგ სააკაძეს იმედი გადაწყვეტოდა ოსმალეთის დახმარებაზე და ეცადა საქართველოში დაბრუნება, რათა საკუთარი ძალებით მაინც განეგრძო თავისი საქმე".[13] გიორგი სააკაძის საქართველოში გაქცევის განზრახვის შესახებ გარკვეულ ცნობას გვაწვდის ისქანდერ მუნშიც თავის თხზულებაში „ზეილ-ე თარიხ-ე ალამ არაი-ე აბასი". მისი ცნობით, სააკაძემ თავისი ქონება გურჯისტანის ციხე ალთუნ-ყალასაკენ (ოქროს ციხე)[14] — გაგზავნა, მაგრამ იგი შეიპყრეს, ხუსრევ ფაშამ მის ამ საქციელში გაქცევის განზრახვა დაინახა და მას თავი მოჰკვეთა.[15]

ზემომოტანილ ცნობებს მხარს უჭერს[16] თეიმურაზ I-ის 1658 წელს მოსკოვში წარმოებული მოლაპარაკების ჩანაწერები, რომლებიც ერთდროულად ორმა მკვლევარმა, ვ. მაჭარაძემ[17] და გ. პაიჭაძემ[18] გამოსცა. რუსეთის მეფის ალექსი მიხეილის ძის მოხელეები, ბოიარინი თავადი ივან ხილკოვი და დიაკი ლარიონ ლოპუხინი მოლაპარაკებას აწარმოებდნენ თეიმურაზთან და მისცეს შეკითხვა მისი ოსმალეთთან ურთიერთობის შესახებ. აი, რა უპასუხა თეიმურაზმა: „ოცდაათი წლის წინ უღალატა მას (თეიმურაზს, ი. ა.) მისმა ბოიარინმა გიორგიმ... მაჰმადიანობა მიიღო, თურქეთის სულთან მურადს მიუვიდა ლაშქარი შეჰყარა მის (თეიმურაზის, ი. ა.) წინააღმდეგ... ღვთის წყალობით (თეიმურაზმა, ი. ა.) ბევრი თურქი დახოცა... ხოლო ის მოღალატე (გიორგი, ი. ა.) ბრძოლის შემდეგ თურქთან გაიქცა".[19] ეჭვის შეტანა შეუძლებელია, რომ თეიმურაზის მიერ დასახელებული „მოღალატე ბოიარინი გიორგი," დიდი მოურავი გიორგი სააკაძეა. რა თქმა უნდა სწორია ვ. მაჭარაძე, როცა აღნიშნავს, რომ თეიმურაზის მიერ დახატული სააკაძის პორტრეტი არ არის რეალური.[20] ზემომოტანილ რუსულ ცნობაში ბაზალეთის ბრძოლაზეა საუბარი. ამ ცნობას სხვა, ჩვენთვის ამჟამად უფრო საინტერესო ცნობა მოსდევს. თეიმურაზი რუსებს ეუბნება, რომ ოსმალეთში გაქცეულ გიორგის საქართველოში დაბრუნება გადაუწყვეტია: „სურდა (გიორგი სააკაძეს, ი. ა.) თურქი სულთნისათვის ეღალატა და დადიანის სახელმწიფოში გაქცეულიყო და გაიგო რა ეს ვეზირმა, იგი სიკვდილით დასაჯაო".[21]

თეიმურაზისათვის, ისევე როგორც მისი ეპოქის სხვა პოლიტიკოსებისათვის, იშვიათი როდი იყო პოლიტიკური მიზნის მისაღწევად არარეალური რამის თქმა, მაგრამ ამ შემთხვევაში, ვფიქრობთ მისი ინფორმაცია სწორი უნდა იყოს, გიორგი სააკაძე ოცდაათი წლის მიცვალებული იყო იმ დროს, როცა თეიმურაზი მოსკოვს ჩავიდა და მის დროინდელ ამბებსაც დაკარგული ჰქონდათ პოლიტიკური აქტუალობა. ამდენად, ფაქტის დამახინჯებას თეიმურაზის ძხრივ არავითარი აზრი არ ჰქონდა. მითუმეტეს, რომ რუსეთის მთავრობისათვის სულერთი იყო გიორგი სააკაძის დაღუპვის გარემოება და ეს თეიმურაზს ვერაფერს შემატებდა.

ამრიგად, დიდმა მოურავმა, რომელმაც ვერ მიაღწია ოსმალეთის დახმარებას თავისი გეგმების შესასრულებლად, სხვა ძალის მოძებნა დააპირა თვით საქართველოში. თეიმურაზის ცნობით, მან „დადიანის ქვეყანაში", ე. ი. ოდიშის სამთავროში დააპირა გაქცევა. ბუნებრივია, ჩვენ გვევალება ავხსნათ, რატომ აპირებდა გიორგი სააკაძე მაინცდამაინც ოდიშში გაქცევას?

გიორგი სააკაძემ, როგორც ცნობილია ბაზალეთის ბრძოლა წააგო. ამდენად იგი ქართლ-კახეთში, სადაც თეიმურაზ I მეფობდა, ვერ ჩავიდოდა. ჩანს, იმ ხანებში ვერც იმერეთში ჩაესვლებოდა მოურავს. პოლიტიკაში ხშირად იცვლება სიტუაციები და თუ 1626 წელს, ბაზალეთის ბრძოლაში იმერეთის მეფე გიორგი III სააკაძის მხარეს იყო, 1629 წელს უკვე თეიმურაზ I დაუმოყვრდა. (აღსანიშნავია, რომ იმერეთის მეფის გიორგი III-ის ქალიშვილი ხვარამზე დაწინდული იყო სააკაძის ვაჟზე, ავთანდილზე). 1629 წელს თეიმურაზმა თავისი მომძლავრებული სიძე, ზურაბ არაგვის ერისთავი მოაკვლევინა, ხოლო მისი ცოლი თავისი ქალიშვილი დარეჯანი გიორგი იმერეთის მეფის ვაჟს, ალექსანდრეს მიათხოვა და „აქორწინნა ქინძარს მცირეს ეკლესიასა შინა".[22] ალექსანდრესა და დარეჯანის ქორწინება მათი მამების პოლიტიკური დაახლოების შედეგი იყო. ამიტომაც უნდა აერიდებინა თავი გიორგი სააკაძეს იმერეთისათვის. ფაქტობრივად ერთადერთი პოლიტიკური ერთეული, სადაც გიორგი სააკაძე შეიძლებოდა წასულიყო, ოდიში იყო. ოდიშში ამ დროს ლევან II დადიანი (1611-1657 წწ.) მთავრობდა, რომელიც მტრობდა თეიმურაზსა და იმერეთის მეფე გიორგის. თვითონ ლევანი, პატივმოყვარე, ფართო პრეტენზიებისა და გეგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მების მქონე პიროვნება სააკაძის სახით ავტორიტეტულ მოკავშირეს შეიძენდა. საქართველოში შექმნილი კონკრეტული პოლიტიკური სიტუაცია ობიექტურად აახლოებდა გიორგი სააკაძესა და ლევან II დადიანს.

გიორგი სააკაძის „გაქცევის“ შესახებ ცნობები რომ რეალურია, სხვა მხრივაც მტკიცდება. დიდ მოურავს საუკეთესო დრო შეურჩევია კვლავ დიდ პოლიტიკაში ჩასაბმელად. 1629 წლის 19 იანვარს მისი დაუძინებელი მტერი შაჰ აბას I გარდაიცვალა. შაჰის სიკვდილი გიორგი სააკაძეს საშუალებას აძლევდა საჭიროების შემთხვევაში კვლავ ირანს დაკავშირებოდა. მითუმეტეს, რომ ირანის საქმეები ერთბაშად მოექცა ისფაჰანის ტარუღის, ხოსრო-მირზას ხელში, ეს ხოსრო-მირზა (როსტომ ბაგრატიონი) დაუთ-ხანის შვილი და თეიმურაზის მიერ მოკლული სიმონ-ხანის ბიძა იყო. როსტომმა ირანის ტახტზე შაჰ აბასის მცირეწლოვანი შვილიშვილი სეფი-მირზა (1629-1642წწ.) აიყვანა, რომელმაც ერთგული ტარუღა ირანის ყულარაღასად დანიშნა. ერთხანს „ერანის საქმე როსტომ მეფეს ეკითხებოდა“.23 ხოსრო-მირზას (როსტომის) ირანის კარზე წინსვლა-დაწინაურებაში თავის დროზე დიდი როლი ითამაშა გიორგი სააკაძემ. როსტომი დიდად დავალებული იყო მისგან. ქართლის მეფედ გახდომის შემდეგ როსტომმა გიორგი სააკაძის შვილი იორამი ქართლში მოიყვანა და მამისეული მამულები დაუბრუნა. წყალობის სიგელში როსტომი წერდა“.... მამაშენი გიორგი მოურავი ჩვენზედ და საქართველოზედაც დიდად ნამსახური იყოო“.

შაჰ აბასის გარდაცვალებისთანავე ოსმალეთმა დიდი შეტევა წამოიწყო ირანის წინააღმდეგ დიდი ვეზირის, ხუსრევ ფაშას სარდლობით. სწორედ ამ ლაშქრობის დროს დაისაჯა გიორგი სააკაძე სიკვდილით. როგორც ჩანს მან არ მოინდომა ირანის ახალი მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლა და რაკი ოსმალები ვერაფერში გამოადგნენ, კვლავ ირანისაკენ გაიხედა, სადაც მისი წყალობით აღზევებული ხოსრო-მირზა (როსტომი) პირველი კაცი გამხდარიყო.

ამ სიტუაციაში ბუნებრივი ჩანდა ოდიშში გაქცევა. ლევან II დადიანი, როგორც აღინიშნა მტრობდა თეიმურაზსა და იმერეთის მეფეს და ცდილობდა ირანს დაკავშირებოდა. შემთხვევითი არაა, რომ როსტომის ქართლში გამეფების შემდეგ, ლევანი და როსტომი მოკავშირეებად იქცნენ. ჩანს, ყოველივე ამას ობიექტური საფუძვლები ადრევე ჰქონდა ჩაყრილი.

გიორგი სააკაძე საქართველოში რომ დაბრუნებულიყო და ლევან დადიანს დაკავშირებოდა, თეიმურაზისა და იმერეთის მეფის ხელისუფლებას აშკარა საფრთხე დაემუქრებოდა. ეს კი არ შედიოდა იმჟამად ოსმალეთის ინტერესებში. თეიმურაზი და იმერეთის მეფე ანტიირანულ განწყობილებას ამჟღავნებდნენ და ცხადია ამ მომენტში ბუნებრივი მოკავშირეები იყვნენ ოსმალებისა, რომლებიც ხუსრევ ფაშას სარდლობით ირანის წინააღმდეგ ილაშქრებდნენ.

ყოველივე ამან, როგორც აშკარად ჩანს, აუცილებელი გახადა გიორგი სააკაძის „თავიდან მოცილება“ და იგი სიკვდილით იქნა დასჯილი. თუ ყოველივე ზემონათქვამი არ გავითვალისწინეთ, ძნელი ასახსნელია ხუსრევ ფაშას „შურიანობაც“ და ისიც, თუ საქართველოში დაბრუნება რა ისეთი დანაშაული იყო, ამის გამო. დიდი მოურავი სიკვდილით დაესაჯათ.

ვფიქრობთ, ერთი რამ ნათელია: გავრცელებული ვერსია, თითქოს გიორგი სააკაძე ოსმალეთის დიდი ვეზირის მეშურნეობამ იმსხვერპლა, უდავო არ უნდა იყოს. დიდი მოურავის დაღუპვის მიზეზი მის პოლიტიკურ საქმიანობაში უნდა ვეძიოთ და მჭიდროდ დავუკავშიროთ საქართველოსა და ირან-ოსმალეთში შექმნილ კონკრეტულ ისტორიულ სიტუაციას.

**შენიშვნები:**

1 ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი“, თურქულიდან თარგმნა, კომენტარები და გამოკვლევა დაურთო გ. ფუთურიძემ, ნაკვ. II, გამოკვლევა, კომენტარები, თბილისი, 1973, გვ. 83.

2 გ. ჯამბურია, გიორგი სააკაძე, თბილისი, 1964, გვ. 154.

3 ნ. ნაკაშიძე, წიწამურიდან ბახტრიონამდე, თბილისი, 1977, გვ. 97.

4 ს. ჯიქია. ხონთქრის მიერ დიდი მოურავისადმი გაცემული სიგელი, ენიმკის მოამბე, 1942, ტ. XIII, გვ. 239; ვ. ჩოჩიევი, მარტყოფის 1625 წ. აჯანყების გამოძახილი ოსმალეთში, ქართული წყაროთმცოდნეობა, ტ. III, თბილისი, 1971, გვ. 242-247.

5 ს. ჯიქია, დასახ. ნაშრ., გვ. 238.

6 მ. სვანიძე, საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან XVI-XVII სს., თბილისი, 1971, გვ. 290.

7 გ. ჯამბურია, დასახ. ნაშრ., გვ. 169.

8 ს. ჯიქია, ცნობა დიდი მოურავის უკანასკნელი დღეების შესახებ ოსმალეთში, ენიმკის მოამბე, ტ. XIII, გვ. 212-213.

9 ს. ჯიქია, ცნობა დიდი მოურავის უკანასკნელი დღეების შესახებ, გვ. 213.

10 გ. ალასანია, საქართველოს ისტორიის ზოგიერთი საკითხი ქათიბ ჩელების ცნობათა

შუქზე, მაცნე, ისტორიის სერია, 1973, № 2, გვ. 125.

11 ნ. შენგელია, გიორგი სააკაძის ქალიშვილის ანე ხათუნის საფლავი, ცისკარი, 1973, № 9, გვ. 150.

12 იქვე.

13 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბილისი, 1973, გვ. 291.

14 ალთუნ ყალას (ოქროს ციხის) შესახებ იხ. ს. ჯიქია, 18-ე საუკუნის თურქული დოკუმენტი ოქროს ციხის შესახებ, თსუ შრომები, ტ. 91, თბილისი, 1960, გვ. 161-185.

15 იხ. ნ. გელაშვილი, სპარსული წყარო საქართველოს შესახებ, ცისკარი, № 8, 1975, გვ. 154.

16 შდრ. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, გვ. 291.

17 ვ. მაჭარაძე, ჩანაწერები თეიმურაზ I-ის მოლაპარაკებისა მოსკოვში 1658 წ., თსუ შრომები, ტ. 113, თბილისი, 1965.

18 გ. პაიჭაძე, მასალები რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის, საისტორიო მოამბე, ტ. 19-20, თბილისი, 1965.

19 ვ. მაჭარაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 446-477; გ. პაიჭაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 461.

20 ვ. მაჭარაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 440.

21 იქვე, გვ. 447.

22 თ. ჟორდანია, ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, ტ. II, გვ. 449.

23 ს. კაკაბაძე, ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, საისტორიო მოამბე, ტ. II, თბილისი, 1925, გვ. 30.

6126/227
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფასი 80 კაპ.

ИНДЕКС
76128

# „МНАТОБИ“

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ